საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი

სიმონ ჯანაშია

ოროქები

I

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი — 1949

შ ი ნ ა ა რ ს ი

ფეოდალური რევოლუცია საქართველოში

ავტორისაგან . . . . . I—II
VI საუკუნის მნიშვნელობა საქ. ისტორიაში 1
ირანული პოლიტიკა და რეჟიმი დაპყრობილ ქვეყნებში 2
ქართლი ირანელთა მფლობელობის ქვეშ 7
ტფილისის ისტორია 10
ირანელების მფლობელობის გავლენა ქართლის განვითარებაზე 13
აღმოსავლეთ რომის იმპერია VI ს. 21
იუსტინიანეს პირველი ღონისძიებანი ეგრისის მიმართ 25
ციბეს მოქმედება ეგრისში. სავაჭრო მონოპოლია 27
ციხე-ქალაქ პეტრას აშენება. პეტრას ადგილმდებარეობა 29
ეგრისის საგარეო ვაჭრობა. სავაჭრო გზები 44
ეგრისის მმართველ წრეების განწყობილება 47
დიდი ომიანობა ეგრისში 51
დიდი ომიანობის შედეგი ეგრისისათვის 60
მდგომარეობა აფხაზეთში 66
აღმოს. რომის იმპერიის (ბიზანტიის) შემდგომი წარმატებანი ამიერ-კავკასიაში 77
ბიზანტიის წარმატებათა მნიშვნელობა ამიერ-კავკასიისა და საქართველოსათვის 81
საერთო სურათი შინაგან ურთიერთობის განვითარებისა VI ს-ში 90
ირანელების კულტურულ-იდეოლოგიური პოლიტიკა 108
ბიზანტიის საეკლესიო-სარწმუნოებრივი პოლიტიკა 117
საერთო მიმოხილვა კულტურულ-იდეოლოგიურ ვითარებისა საქართველოში VI ს. 120
საერთო დასკვნები 125

საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე

თავი I. ამოსავალი ვითარება . . . . . 131—172
§ 1. უძველესი განვითარების მონახაზი 131
§ 2. საქართველოს ვითარება სტრაბონის ცნობების მიხედვით . . . 135
§ 3. სტრაბონის ცნობის საკონტროლო პარალელები და ფაქტები . 157
§ 4. მერმინდელი ანალოგიები 163
§ 5. საერთო დასკვნები 167

თავი II. უძველესი პოლიტიკური ისტორია . . . . . 173—191
§ 6. ადრინდელ პოლიტიკურ ისტორიის ფაქტები 173

§ 7. რომაელთა შემოსვლა ამიერ-კავკასიაში 177
§ 8. რომთან დამოკიდებულების ხასიათი. რომაელთა ინტერესები ა/კავკასიაში 180
§ 9. მონათვაჭრობა და ტყვეთაყიდვა სარმატიასა და ამიერ-კავკასიაში 186

თავი III. ადრინდელი ფეოდალიზაციის პროცესი . . . . . 192—295
§ 10. რომთან დამოკიდებულების განვითარება. რომისა და ირანის ომები 192
§ 11. „ერის“ (მესამე გენეს) განვითარება. „მძიმე აბჯრის“ მნიშვნელობა ამ განვითარებისათვის. ჯარის ხასიათი 193
§ 12. „ერის“ განვითარების გარეგანი პირობები 200
§ 13. „ერის“ განვითარების შინაგანი პირობები. მეურნეობა, შრომის საზოგადოებრივ განაწილების სახე, აღებ-მიცემა 201
§ 14. ქართლის განვითარება I—II სს. 206
§ 15. დას. საქართველოს ვითარება. II ს. 207
§ 16. სოციალური და პოლიტიკური პირობები ქრისტიანობის ოფიციალურ კულტად ქცევისა ქართლში. ქართლის სოციალური სტრუქტურა 212
§ 17. ჯვარი, როგორც ფეოდალური რელიგიისა და იდეოლოგიის სიმბოლო. ქართული ქრისტიანული კულტურის გავრცელება კავკასიის მთიანეთში 235
§ 18. ადრინდელ-ფეოდალურ ურთიერთობის განვითარება დას. საქართველოში II—IV სს. ეგრისის სამეფოს წარმოქმნა . . . 253
§ 19. სოციალურ-პოლიტიკურ ძალთა განწყობილების ცვლილების ისტორია და პირობები 262
§ 20. საგარეო ურთიერთობა IV საუკ. მეორე ნახევარსა და V საუკ. პირველ ნახევარში. „ქართველთა საპიტიახშოს“ დაარსება . . 265
§ 21. ქართლის საზოგადოებრივი აღნაგობა V ს. სხვადასხვა სოციალურ კლასებისა და ჯგუფების ადგილი და როლი შინაურ და საგარეო ურთიერთობაში 268
§ 22. საადგილმამულო ურთიერთობა IV—V სს. 279
§ 23. ვახტანგ გორგასლის მეფობა. ბრძოლა მეფის ხელისუფლებასა და მსხვილ მემამულეობას შორის 288
ბოლოსიტყვაობა 296
რედაქციისაგან 297
შენიშვნები 298

ფეოდალური რევოლუცია
საქართველოში

ნარკვევი ფეოდალიზმის წარმოშობის ისტორიიდან საქართველოში

ა ვ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

წინამდებარე ნარკვევი ეკუთვნის მონოგრაფიების სერიას, რომელთაგანაც, როგორც ეს წიგნის სათანადო ადგილებშია აღნიშნული, ზოგი უკვე გამოქვეყნებულია და ზოგიც, დამზადებული პუბლიკაციისათვის, ელის თავის გამოქვეყნების რიგს და რომელნიც საფუძვლად უნდა დაედონ ავტორის უფრო ვრცელ ნაშრომს — „ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობა საქართველოში" (განზრახულია ორ ტომად). ხსენებული ნაშრომისათვის მოსამზადებელი მუშაობა დაწყებული იყო ჯერ კიდევ 1928 წლის შემოდგომით, მაგრამ, ერთი მხრით, საგნის სირთულემ, ხოლო, მეორე მხრით და განსაკუთრებით, ავტორის ქუდბედად დაყოლილმა ავადმყოფობამ, საერთო დიდი დატვირთულობის პირობებში, შესცვალეს თავდაპირველი გეგმა გამოკვლევის მთლიანი სახით გამოცემის შესახებ და წიგნი ცალკე ნარკვევებად დააქუცმაცეს. ამ გარემოებამ, თუმცა მას ძირითადი ამოცანა არ მოუხსნია, გარკვეული დაღი დაამჩნია ავტორის არგუმენტაციის წესს და ერთგვარი უარყოფითი მომენტი შექმნა დაქსაქსულად წარმოდგენილი დებულებების სიზუსტით გაგებისათვის.

ქვემდებარე მონოგრაფიასაც, ცხადია, არ შეეძლო ამ სამწუხარო ნაკლის თავიდან აცდენა. მაგრამ ავტორი ვალად იდებს ზოგიერთი, აქ გაკვრით აღძრული, საკითხის უფრო დეტალურ დაშუშავებას უახლოეს დროში.

დასასრულ, ავტორი სიამოვნებით სარგებლობს ამ ხელსაყრელ შემთხვევას კმაყოფილების გამოსათქმელად იმ გარემოების გამო რომ მისი საკვლევო მუშაობის გაფართოებას თვალსაჩინოდ ხელი შეუწყო ტფ. სახ. უნივერსიტეტის სათანადო სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების დაარსებამ, რომლებთანაც ნაწილობრივ დაკავშირებულია წარმოდგენილი მონოგრაფიაც. ნარკვევის ძირითადი დებულებები მოხსენდა ტფ. სახ. უნ. ენის, ლიტერატურის, ხე-

ლოვნებისა და ისტორიის (ამჟამად, რუსთაველის **სახელობის**) ინსტიტუტის ისტორიის სექციას („ერთი მომენტი ქართულ ფეოდალიზმის ისტორიიდან", 1934 წ. ივნისის 16-ის სხდომაზე) და ტფ. სახ. უნ. საქართველოს ისტორიის კაბინეტს („საერთო სურათი შინაგან ურთიერთობის განვითარებისა საქართველოში VI ს.", 1935 წ. მარტის 23-ის სხდომაზე).

სიმონ ჯანაშია

ფეოდალური რევოლუცია საქართველოში

ნარკვევი ფეოდალიზმის წარმოშობის ისტორიიდან საქართველოში

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ტფილისი 1935

პირველი გამოცემის სატიტულო ფურცელი

VI საუკუნის მნიშვნელობა საძ. ისტორიაში

მეექვსე საუკუნე ნამდვილი ისტორიული მოსაბრუნია ჩვენი ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით ძველ ხანაში. ის ძალები, რომელნიც, როგორც ეს სხვაგან არის ჩვენ მიერ განმარტებული[1], თანდათან იზრდებოდენ წინა პერიოდის სივრცეზე და რომელთაც თავიანთი უპირატესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა პირველად ქართლში უეჭველობით წარმოაჩინეს მეოთხე საუკუნის შუაწლებში, ეხლა უკვე სრულ გასაქანს პოულობენ თავის შემდგომ განვითარებისათვის და საბოლოოდ ეუფლებიან სოციალურსა და პოლიტიკურ სარბიელს. ეს ვითარება მშვენივრად აქვს გამოხატული XI ს. ქართველ ისტორიკოსს, სუმბატ დავითის-ძეს, რომელიც ამბობს: „ვინათგან მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა, მით უამითგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა"[2], მას შემდეგ რაც ვახტანგ გორგასლის შთამომავლობამ სამეფო ხელისუფლება დაკარგა, ქართლში აზნაურები გაბატონდენო. მართლაც, მეფობის გაუქმება ქართლში, რომელიც, როგორც უნდა უკვე დავრწმუნებულიყავით, შედეგი იყო არა მარტო გარეგანი, ფიზიკურად უფრო ძლიერი, ფაქტორის ზემოქმედებისა, არამედ კიდევ უფრო მეტად სწორედ ამ დიდი აზნაურების მეფის წინააღმდეგ მ[illegible]ართულის და ირანთან* შეთანხმებული პოლიტიკისა,—ეს ფაქტი (მეფობის გაუქმება) უნდა ქცეულიყო ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პირობად თავის საკუთარ მიზეზის შემდგომი გაძლიერებისათვის. გუშინდელი მოკავშირენი—ირანელები და ქართლის დიდი აზნაურები—ეხლა ნადავლს იყოფდენ. ირანელები, თქმა არ უნდა, კმაყოფილი იქნებოდენ თავიანთი თანამებრძოლისა და სათანადო საზღაურიც უნდა გაეცათ გაწეული სამსახურისათვის. მაგრამ უფრო არსებითი დამპყრობელისათვის იყო საჭიროება გამოენახა ისეთი ადგილობრივი ძალა, რომელზედაც დაყრდნობით იგი შესძლებდა თავის ამოცანების განხორციელებას. ასეთ ძალას კი სწორედ ეს ერთგული აზნაურობა წარმოადგენდა. ეს გარემოებანი განსაზღვრავენ შაჰის

---

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელ-ფეოდალურ ხანაში.

[2] „ქართლის ცხოვრება" მარიამისეულ ნუსხით (ქვემოთ ყველგან=მარ.), 339.

*) ტერმინები „ირანი" და „ირანელი" ყველგან ნახმარია ძველი „სპარსეთისა" და „სპარსელის" ნაცვლად.

მთავრობისა და ქართლის დიდ აზნაურთა შეხმატკბილებულ|ურთიერთობას მრავალ მომდევნო წლის განმავლობაში. იმავე სურათს ვხედავთ, მხოლოდ უფრო ადრე, მეზობელ სომხეთსა და ალვანეთშიც. მაგ., სომხეთის ანალოგიურ მდგომარეობას, თითქმის სუმბატ დავითის-ძის სიტყვით, აგვიწერს სომეხი ისტორიკოსი (V-VI სს.) ელიშე: როცა (428 წ.) ირანელებმა თავის სამეფოდან გააძევეს სომეხთა უკანასკნელი მეფე, არტაშეს ვარამშაპუჰისძე, „მეფობა ხელთ ჩაუვარდათ სომეხთა ნახარარებს"-ო (ნახარარებად სომხეთში დიდ აზნაურთა საგვარეულოების მეთაურები იწოდებოდნენ), *ի նախարարսն հայոց անկանէր թագաւորութիւն*[1] 461 წ. ირანელებმა მეფობა მოსპეს მეზობელ ალვანეთშიც, და მეექვსე საუკუნის დამდეგისათვის, როგორც უკვე ვნახეთ, ჯერი მიდგა ქართლზედაც.

ირანული პოლიტიკა და რეჟიმი დაპყრობილ ქვეყნებში

მეექვსე საუკუნისათვის სასანიანთა ირანმა მიაღწია თავის გარეგნულ ძლიერებისა და ტერიტორიულ ექსპანსიის მწვერვალს. ამ ძლიერების გამოხატულება იყო სწორედ მთელი აღმოს. ამიერკავკასიის დაპყრობა და რომის აქედან საბოლოოდ გაძევება. მაგრამ სასანიან შაჰებს უფრო მეტი ჰსურდათ: ისინი მთელი სამხრეთკავკასიის ხელში ჩაგდებისა და საბოლოო შემომტკიცებისაკენ მიისწრაფოდენ. ამისთვის მიზანშეწონილად იყო მიჩნეული ერთიანი რეჟიმის დამყარება ამ ქვეყნებში. ეს რეჟიმი შიშველ ოკუპაციასა და უმეშვეო სამხედრო-ადმინისტრაციულ მმართველობაში მდგომარეობდა, რაც შეეფერებოდა სასანიდების სახელმწიფოს საერთო ხასიათს. თავის პოლიტიკურ წინაპრებთან, პართელ არშაკიდებთან, შედარებით სასანიდებს სწორედ მეტი ცენტრალიზმისაკენ მიდრეკილება ახასიათებდათ. თუ არშაკიდები იმითაც კმაყოფილდებოდენ რომ წვრილ, ნახევრად დამოუკიდებელ, სამფლობელოთა მეთაურები, ადგილობრივი მეფეები და მთავრები, შაჰებს თავიანთ სიუზერენებად და „მეფეთა-მეფეებად" (შაჰან-შაჰ) სცნობდენ, სასანიდებს ვასალური სამფლობელოები თანდათან ირანის სახელმწიფოს უბრალო პროვინციების მდგომარეობაში გადაჰყავთ. თვით სახელმწიფოებრივი აპარატიც თანდათან რთულდება და უფრო და უფრო

---

[1] *Եղիշէ ի պատմութիւն Վարդանանց Թիֆլիս* 1912 (ქვემოთ ყველგან = *Եղիշէ*). გვ. 7.

ბიუროკრატიულ ხასიათს იღებს. ამ დროისათვის ირანელების უზარ-შაზარი იმპერია ოთხს ძირითად სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულად არის დაყოფილი, რომელნიც „ქუსტების“ ანუ „ქუსტაკების“ სახელწოდებას ატარებენ. ამათგან | ჩრდილოეთის მხარე „ჩრდილოეთის“ (აპახთარ) ანუ „ატროპატაკანის“ (ე. ი. ადარბადაგანის) ანუ, უფრო ჩვეულებრივად, „კავკასიის“ (კაპკოჰ) ქუსტაკად იწოდება. კავკასიის ქუსტაკი, ისე როგორც სხვებიც, უფრო წვრილ ადმინისტრაციულ ერთეულების, „შაჰრ“-ებისაგან, იყო აგებული. ასეთი შაჰრების სახით შევიდენ კავკასიის ქუსტაკში სომხეთი, ალვანეთი და ქართლიც, ამ ქვეყნებში მეფობის მოსპობის შემდეგ [1]. თუ ქუსტაკების სათავეში „სპასპეტები“ („სპაჰბედ“) იდგნენ, როგორც არაბი გეოგრაფი იბნ-ხორდადბე გადმოგვცემს, შაჰრებს მ ა რ ზ პ ა ნ ე ბ ი ჰმართავენ. ისინი არიან ამ ქვეყნების უმაღლესი ადმინისტრატორები და შაჰის ადგილობრივი ნაცვალნი. მიმდინარე ადმინისტრაციულ საქმეების გაძღოლისა და უზენაეს სამოსამართლო ფუნქციის შესრულების გარდა, მარზპანების ძირითადი მოვალეობა იყო მოეკრიფათ დაპყრობილ ქვეყნებიდან ხარკი და სამხედრო რაზმები. ერთისა და მეორის დროულად და წესიერად მიღებას ირანის მთავრობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს მნიშვნელობა იზრდებოდა ირანის ტერიტორიულ და ბიუროკრატიულ ზრდასთან ერთად, რაც დაკავშირებული იყო განუწყვეტელ სამხედრო ოპერაციებსა და აქედან გამომდინარე გაძრავლებულ ხარჯებთან. V—VI სს.-ში სასანიდები შეუჩერებელსა და მძიმე ომებს აწარმოებენ თითქმის ყოველმხრივ, კერძოდ-კი—კავკასიონის სანაპიროზე, სადაც ცდილობენ ჩრდილოეთ-კავკასიის ნომადების—ჰუნების, ალანებისა და სხვათა მუდმივი თავდასხმებისაგან დაიცვან თავი: ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექციათ კავკასიის სათანადო ზეკარებისა და ზღვისკარებისათვის (იხ. ამის შესახებ ჩვენი „საქართველო ადრინდელ-ფეოდალურ ხანაში“).

ამ გზების, კერძოდ დარიალანისა და დარუბანდის, დაკეტვა იყო საჭირო რომ ენერგიით სავსე ველის ტომების მოზღვავებული ტალღები შეეჩერებინათ. ყველაზე ადრე ირანის მთავრობა დ ა რ უ ბ ა ნ დ ი ს ყ ე ლ ი ს, ა ნ უ, როგორც მას მაშინ ადგილობრივ

[1] Ак. В. В. Бартольд, Место прикаспийских областей в истории мусульманского мира.—Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана.

ეძახდენ, ჩ ო რ ი ს (ქართ. ჩორი, ბერძ. Γζιωρ, სომხ. Ջոր, Ճոր)[1] გამაგრებისათვის ზრუნავს. უკვე V ს. შუაწლებისათვის ირანელები აქ აშენებენ კედელსა და ციხეს, რომელნიც მომდევნო საუკუნეში გრანდიოზულ ნაგებობათა სახეს იღებენ. მეექვსე საუკუნეშივე ირანელები ასევე ამაგრებენ დანარჩენ ზეკარებსაც. მშვენივრად აქვს აწერილი ირანელების ეს საქმიანობა ერთს ქართულს უძველესს (როგორც ჩანს, თანამედროვე) მატიანეს: როდესაც ქართლს „მეფობაჲ დაესრულა, ქართლს შინა სპარსნი განძლიერდეს, და ჰერეთი და სომხითი დაიპყრეს. ხოლო ქართლი უმეტესად დაიპყრეს. და კავკასიანთა შევიდეს და კარნი ოვსეთისანი აიგნეს, და ერთი დიდი კარი ოვსეთისაჲ და ორნი—დვალეთს, და ერთი—პარჭუანს დურძუკეთისასა და იგი მთიულნი გომარდად დაადგინნეს. და სხუაჲ ვინმე კაცი დაიდგინეს მთავრად წანარეთისა ჭევსა და მორჩილებაჲ დასდვეს მისი.—და ოდეს ერაკლე მეფე მოვიდა, მაშინ დაიმჭუნეს სპარსნი.—და სპარსთა ხაზარეთისა კარნი შექმნეს და ხაზარნი მეოტ ყვნეს“[2]. როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ირანელებს სხვადასხვა დროს თითქმის მთელი ცენტრალური და აღმოსავლეთი კავკასიონის ხაზი გაუმაგრებიათ: „ოვსეთის დიდი კარი“ უთუოდ დარიალანია (დარ-ი-ალან ირანულად „ალანების კარს“ ნიშნავს და ძვ. ქართ. „ოვსთა კარს“ უდრის), დვალეთის ორი კარი ალბათ მდ. მდ. ლიახვ-არდონის წყალთგასაყარ ქედის ზეკარებს იცავდა. ამ გზებით ქართლიდან გადადიოდენ შეძდეგში კარგად ცნობილ კასრისხევში, სადაც მეთვრამეტე საუკუნეშიაც, ვახუშტის ცნობით, მოღწეული იყო „კარი, კლდისაგან და ქვიტკირით ქმნული, დიდ-კამაროვანი, მდინარესა ზედა, მეფეთაგან ქმნული, რათა არა ვიდოდენ თვინიერ მათსა ოვსნი“[3]. დურძუკეთის კარი ფშავ-ხევსურეთიდან ჩაჩან-

---

[1] ძველ ქართულ მწერლობაში მოხსენებული აქვს იაკობ ხუცესს, V ს., ორგზის: ერთხელ, როცა მოთხრობილია ვარსქენის, როგორც ირანელთა მეფის ვასალის, ჰუნების წინააღმდეგ ბრძოლაში წასვლაზე: „ხოლო პიტიახშნი ჩორდ წარემართა“ (გორგ. გამ., გვ. 13),—ირანელ-ჰუნების ბრძოლის მთავარი ასპარეზი სწორედ დარუბანდის ყელი იყო,—და მეორედ, როცა ვარსქენი ემუქრება შუშანიკს: „ჩორდ წარგცე შენ ანუ კარად კარაულითა“ (იქვე, 15), აქაც პირველი პუნქტი დარუბანდს გულისხმობს, მეორე კი—ქალ. კარს ანუ თანამედროვე ყარსს.

[2] „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ექვთ. თაყაიშვილის გამოცემა; Описание рукописей... II, 723—724 (ქვემოთ ყველგან ეს გამოცემაა ნაგულისხმევი).

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, გეოგრაფია, ბროსეს გამოცემა (ქვემოთ=გეოგრ., ბრ.), 458

ქისტეთში მიმავალ გზას ჰკეტავდა, „ხაზარეთის კარნი“ კიდევ დარუბანდს უნდა გულისხმობდეს (დარუბანდიც ირან. სახელია, ძველი დროიდანვე შემონახული, და, დარიალანთან ერთად, ცოცხალი მოწმეა ამ პუნქტების მნიშვნელობისა იმდროინდელ ირანის პოლიტიკისათვის). მაგრამ აძ სიმაგრეების აშენება ერთი საქმე იყო, მათი შენახვა კიდევ—მეორე. მთიულთა „გომარდად დადგენისათვის“, ე. ი. კავკასიის მთიელ ტომთა გამოსაყენებლად საგარნიზონო სამსახურისათვის ამ სტრატეგიულ ხაზზე, ქირა იყო საჭირო. გარდა ამისა, საკუთარი მეცხოვნე ჯარის გარეშეც ირანელები აქ ვერაფერს გააწყობდენ. ყოველივე ეს უზარმაზარ ხარჯებს მოითხოვდა ირანის მთავრობისაგან. ამიტომ არის რომ ირანელების და რომაელთა იმდროინდელ ურთიერთობაში ამ ზღვისკარ-ზეკარების დაცვის საკითხი ყოველთვის იჩენს თავს. ირანელები მუდამ იმ თვალსაზრისს იცავენ, რომ ამ ხაზის გამაგრება ხსენებულ სახელმწიფოების საერთო საქმეა, ვინაიდან ჩრდილოეთის ველური ხალხები ერთნაირად საშიში არიან მათთვის. ამ საბუთით ირანელები რომის მთავრობისაგან ყოველთვის მოითხოვდენ სამხედრო დახმარებას, უფრო ხშირად და მეტი ხალისით-კი, ამ დახმარების სანაცულოდ ფულად სუბსიდიებსაც სჯერდებოდენ. მართლაც, რომაელებს ასეთი ფულადი შეშწეობა (საზავო პირობების სხვა პუნქტებთან შეწონასწორებით) არა ერთგზის უკისრნიათ. მაგრამ არც ეს იყო საკმარისი და ირანის მთავრობას უხდება შინაგანი რესურსების შემდგომი დაჭიმვა. ამრიგად დაპყრობილი ქვეყნების უღელი სულ უფრო და უფრო მძიმე ხდება. მეზობელ სომხეთში, მაგ.,—სადაც ირანელებმა ნახარარებს სწორედ იმისათვის ჩაუგდეს ხელთ სამეფო, რათა, იმავე ელიშეს სიტყვით, ხარკიც სამეფო საჭურჭლეში შეტანილიყო და სომხეთის მხედრობაც ნახარარების წინამძღოლობით გასულიყო სალაშქროდ [1],—როგორც ფულადი გამოსაღები, ისე სამხედრო ბეგარაც თანდათან იზრდება. ირანელები მოსახლეობის პერიოდულ აღწერას აწარმოებენ, ახალ-ახალი დასაბეგრავი ობიექტების აღმოსაჩენად. ძდგომარეობა, რომელიც შეიქმნა სომხეთში, ამ პოლიტიკის შედეგად, მჭევრმეტყველურად აქვს აწერილი იმავე ძვ. სომეხ მემატიანეს. სომხეთის ერთ-ერთმა მმართველმა შაჰის დავალებით აღწერა მთელი ქვეყანა, თითქოს იმ განზრახვით, რომ

[1] *Ղազար*, 7—8.

შემცირებული ყოფილიყო ხარკი და შემსუბუქებული—სამხედრო ბეგარა. მაგრამ მისი ვერაგობა მალე გამომჟღავნდა: ეკლესიის თავისუფლება მონობად შეიცვალა, მონასტრებში დასადგურებული ბერებიც შეტანილ იქმნენ აღწერაში, ქვეყნის ხარკი უაღრესად გაიზარდა, შფოთი და უთანხმოება ჩამოვარდა ნახარართა სახლებშიო. ყველაფერზე მძიმე მაინც გადასახადების გადიდება იყო: იქ, სადაც წინათ ას დრაჰკანს ართმევდენ, ეხლა ორმაგად ახდევინებდენ. ჰბეგრავდენ ეპისკოპოსებს და ხუცესებსაც, ხარკავდენ არა მარტო ნაშენებსა და დასახლებულ ადგილებს, არამედ პარტახტსაც (ნაოხარს). ან ვის შეუძლია იმის მოთხრობა თუ რამდენად მძიმე იყო მთასა, ველსა და ტყეზე დადებულ სხვადასხვა ხარკისა და ბაჟის სიმძიმე? არა შეფური ღირსებისამებრ სჩადიოდენ ამას, არანედ ყაჩაღური ძარცვა-ყლეჯით. ისე რომ თვით ირანელებს დიდად უკვირდათ—საიდან მოდის მთელი ეს განძი, ან როგორ უდგას კიდევ სული სომხეთის ქვეყანასო?[1] ასეთმა პირობებმა სომხები გაპირვების პირას მიიყვანა: იმდროინდელ დამკვირვებელს სამართლიანად შეეძლო ეთქვა, რომ აღარავის მომკვდავთაგანს აღარა ჰქონდა უნაღვლო ცხოვრება, ყოველივე აღსავსე იყო მწუხარებით, შინაგანით თუ გარეგანით: სიცივე, სიცხე, შიმშილი, წყურვილი, სიღატაკე და უპოვარება, უსამართლობა, ძარცვა და ავაზაკობა, სიბილწე და გარყვნილება, ღვთისგმობა და რენეგატობა, უმეცრება და ცთომილება,—აი, რით იყო ყველა მოცული[2]. როცა ძოსახლეობას მოთმინება უწყდებოდა და ხელს იარაღს ჰკიდებდა თავის უფლებების დასაცავად, მაშინ უკვე საომარი მოქმედება აოხრებდა ქვეყანას. შემთხვევით გადარჩენილებსა და დამარცხებულებს თავს ატყდებოდათ ურჩობის საზღაური—ციხე, ქონების კონფისკაცია, კონტრიბუციები. ისინიც, ვინც ირანელების ერთგულნი იყვნენ, დაზღვეულნი არ ყოფილან შაჰის უეცარი რისხვისაგან. დამახასიათებელია მოთხრობა ცნობილ ვასაკ სივნიელის, უდიდეს ნახარარის, შესახებ, რომელიც კარგა ხანს სომხეთის მარზპანადაც იყო. თუმცა მას ცოტა სამსახური არ გაუწევია ირანელებისათვის, ბოლოს მაინც მათი გულისწყრომის საგანი გახდა. მაშინ როცა თვით მას, პატიმრად მყოფს, ბორკილებში ჩასმულს, დღიდან დღე ლე-

---

[1] *Եղիշէ* 26—28.

[2] იქვე, 217—218.

შივით დაათრევდენ მოედანზე სალანძღავად და საკიცხავად, წაართვეს ყველაფერი, რაც რამ თან ჰქონდა და ისეთს სამარცხვინო სიღატაკეში ჩააგდეს იგი, რომ მსახურთა მათხოვრობით შეძენილ პურით იკვებებოდა, ამავე დროს გულმოდგინედ ანგრევდენ ვასაკის სახლსა და მეურნეობას—ისეთი ხარკი დაადეს მას, რომ მამაპაპეული და საკუთარი საქონელი, ქალების სამკაულებიც, გაჰქონდათ და მაინც ვერ ახერხებდენ სამეფო გადასახადების გადახდას. იმ ზომამდის მიიყვანეს ვასაკი, რომ კითხულობდა, იქნებ ჩემი წინაპრების საფლავებში იყოს რამე განძიო[1].

ქართლი ირანელთა მფლობელობის ქვეშ

ასევე იქცეოდენ ირანელები სხვა დაპყრობილ ქვეყნებშიც, ცხადია, ადგილობრივ პირობებთან ერთგვარ შეგუებით. ასეთივე იყო ირანული რეჟიმი ქართლშიც. „ქართლის მოქცევის“ მატიანის ცნობით, რომელიც სხვაგანაც | იყო მოტანილი, ქართლი ირანელების განსაკუთრებული ყურადღების საგანიც-კი გამხდარა: „ქართლს შინა სპარსნი განძლიერდეს, და ჰერეთი და სომხითი დაიპყრეს. ხოლო ქართლი უმეტესად დაიპყრეს-“ო. ქვეყნის უზენაესი მმართველი, როგორც უკვე ნათქვამი იყო, არის ირანის მეფის წარმომადგენელი მოხელე, რომელიც მარზპანის სახელწოდებას ატარებს (მარზპანი ირან. ტერმინია და ქვეყნის, ეხარის მმართველს ნიშნავს: მარზ—ქვეყანა, მხარე, აქედან—ახალი ქართ. მაზრა, პან—მცველი). იგი, უწინარეს ყოვლისა, საკუთრივ ირანულ შეიარაღებულ რაზმებს ეყრდნობა, რომელნიც ქვეყნის სხვადასხვა მნიშვნელოვანს (სამხედრო-სტრატეგიულად თუ ადმინისტრაციულად) პუნქტებში არიან ჩაყენებულნი. პროვინციულ გარნიზონების სათავეში ირანელივე ციხისთავები დგანან, რომელთაც ადმინისტრაციული ფუნქციაც აქვთ დაკისრებული.

უეჭველია, ამ თანამდებობებით არ აძოიწურებოდა ირანული სამოხელეო შტატი ქართლში. მხოლოდ ცნობების ნაკლოვანება საშუალებას არ გვაძლევს უფრო დეტალურად განვიხილოთ როგორც ეს საკითხი, ისე ირანული მფლობელობის სხვა მხარეებიც. ერთადერთი ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც თანამედ-

[1] *Եղիշէ*, 176—177.

როვის მიერაა დაწერილი და რომელშიაც რეალურ ფერადებითაა დახატული ირანელების მიერ შექმნილი მდგომარეობა, არის ე. წ. „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“, შედგენილი მეექვსე საუკუნის შუაწლებში. აქ მოთხრობილია ერთი ირანელი ხელოსნის ამბავი. ეს ხელოსანი (შეხამლე) მცხეთაში ცხოვრობს, აქ ეწევა თავის ხელობას და ქრისტიანობას აღიარებს. მას უთანხმოება მოსდის სარწმუნოებრივ ნიადაგზე სხვა მცხეთელ ხელოსნებთან—მეჯადაგეებსა და მეხამლეებთან, რომელნიც ევსტათის თანამეტომენი ყოფილან და თავის მამა-პაპეულ რელიგიას—მაზდეიზმს—შერჩენიან. ისინი ევსტათის მ ც ხ ე თ ე ლ ც ი ხ ი ს თ ა ვ თ ა ნ აბეზღებენ—გამოიძიე ეს ამბავი, შენ „ამას ქალაქსა შინა ჯელმწიფე (ე. ი. ყველაზე უფროსი, ბატონ-პატრონი) ხარო“. ციხისთავი ჰგზავნის ევსტათისთან ერთს მ ხ ე დ ა რ თ ა გ ა ნ ს, რომელიც ევსტათის მრისხანედ ეუბნება—ციხისთავი გიბარებსო. ციხისთავთან დაბარება თავისთავად, როგორც ჩანს, კარგს არაფერს მოასწავებდა და ევსტათის გაქცევაც დაუპირებია, მაგრამ ბოლოს იგი მაინც მიუყვანიათ ამ მოხელესთან. როცა ციხისთავი გაიგებს საქმის ვითარებას თვით ევსტათისგან, ცდილობს შეაგნებინოს მას მისი საქციელის—რენეგატობის—მთელი წინდაუხედაობა და სიმძიმე და სიტყვიერი შთაგონებით დააბრუნოს იგი მოგვობის—ცეცხლმსახურების—წიაღში. | მაგრამ რაკი ამ გზით ვერაფერს აწყობს, ციხისთავი აცხადებს: „ამის კაცისა პატიჟი (= დასჯა) მე არა რაჲ ჯელ-მეწიფეგბის (= არ შემიძლია, ჩემს კომპეტენციაში არ შედის), არცა აღბმაჲ ძელსა, არცა ჴყრობილებაჲ, არამედ წარუძღვანო ეგე ტფილისს ქალაქსა არვანდ გუშნაპს, ქართლისა მარზაპანსა და რაჲცა იგი შეჰგვანდეს (= შეეფერებოდეს, რისიც ღირსი იყოს), მან უყოს, რამეთუ ყოვლისა კაცისა ქართლისა მას ჯელ-ეწიფების სიკვდილი და ცხორება“-ო, და ორს მხედარს გაატანა ევსტათი ტფილისს. მაბეზღარნი არ ისვენებენ, ისინი იმავე ციხისთავს სთხოვენ, სხვებიც არიან აქ გაქრისტიანებული ირანელები, „მათიცა ბრძანე მოწოდებაჲ და ტფილისს მათიცა წარყვანებაჲ“-ო. ციხისთავი აპატიმრებს კიდევ შვიდ კაცს, მაგრამ არც მათს „განკითხვას“, გასამართლებას, აწარმოებს, არამედ იმათაც ტფილისს ჰგზავნის, თანაც მარზპანს სწერს—ეს ირანელები ჩვენს სარწმუნოებას გადაუდგნენ, ეხლა შენ გიგზავნი, რადგანაც „შენ ჯელ-გეწიფების მაგათი განკით-

ხვა"-ო. მარზპანი, პატიმართა სიმტკიცით განრისხებული, უბრძანებს თავის მსახურებს ურჩთა პირში ცემას, თავისა და წვერის მოპარსვას, ცხვირის გახვრეტას, კისერზე ჯაჭვისა და ფეხებზე ბორკილის დადებას და, შემდეგ, საპყრობილეში შეგდებას, თუ მარზაპანის ნებას არ დაჰყვებიან. რაკი ევსტათი და რამდენიმე სხვა თავის ახალ რწმენას გულმოდგინედ იცავენ, ისინი ექვსი თვე სხედან საპყრობილეში, ვიდრე ეს მარზპანი ირანში არ დაიბარეს. ქართლიდან გამგზავრების წინ მარზპანი პატიმრებს ათავისუფლებს ადგილობრივ დიდკაცების შუამდგომლობით. ისინი თავის სახლსა და საქმეს უბრუნდებიან. მაგრამ ქართლში ახალი მარზპანის მოსვლის შემდეგ ძველი მაბეზღრები მას სთხოვენ რენეგატების დასჯას, „განკითხვა მათი თქვენ ჴელ-გეწიფებისო". ევსტათი და სხვები ისევ დაპატიმრებული არიან. მარზპანის ცდა, მათი სიტყვიერი შეგონებისათვის მიმართული, ეხლაც უშედეგო რჩება. ევსტათი ისევ ისე მტკიცედ დგას—შენზე ადრე „სჯუათა ჴელმწიფეთა მტანჯეს მე ფრიად და მგვემეს", მაგრამ ვერ გამტეხესო. მაშინ, მარზპანის „ბრძანებულის აღსასრულებლად", მისი მსახურნი ღამით თავს ჰკვეთენ ევსტათის მახვილით [1].

ეს გრძელი მოთხრობა იმისთვის დაგვჭირდა, რათა მკითხველს საშუალება მისცემოდა თვითონ ჩაეხედნა პირველწყაროს ჩვენებებში: ისეთი ქალაქში, როგორიც იყო მცხეთა, უმაღლეს ადმინისტრაციულ პირს ციხისთავი წარმოადგენს, რომლის ხელქვეით მხედრები იმყოფებიან. ციხისთავს შეუძლია სხვადასხვა ადმინისტრაციულ ღონისძიების მიღება, მაგრამ მას არა აქვს უფლება გაასამართლოს ვინმე, სასჯელი დასდოს—ძელზე აღბმა (ჩამოხრჩობას ან სხვა მსგავს სასჯელს გულისხმობს ეს გამოთქმა) ან თუნდაც დაპატიმრება (ალბათ ხანგრძლივი პატიმრობა). ასეთი რამე მარზპანის კომპეტენციაა, რადგანაც მასა აქვს მინიჭებული უფლება განსაჯოს ქართლის ყოველი მცხოვრების სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. და მართლაც, ჩვენ ვნახეთ რომ მარზპანს შეუძლია ადამიანის ფიზიკური დასჯა—ცემა, საჯარო შერცხვენა (თავ-წვერის მოპარსვა), შონად ქცევა (ცხვირის გახვრეტა, ალბათ

[1] საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 313 შემდ. ტექსტის თავდაპირველი სახის რეკონსტრუქციისათვის ავტორს გამო ყენებული აქვს საისტ. და საეთნ. საზ. ყოფ. ხელნაწერის № 341-ის ჩვენებები.

ისეთივე ნიშანი იყო, როგორიც ყურის მოჭრა—შეადრ. „ყურმოჭრილი მონა"), ჯაჭვისა და ბორკილის დადება, დაპატიმრება განუსაზღვრელ დროით და სიკვდილით დასჯაც. დასასრულ, მარზპანის ხელთაა აგრეთვე ადამიანის პატიება და სრული განთავისუფლებაც. მარზპანის განკარგულებაში მ ხ ე დ რ ე ბ ი და მ ს ა ხ უ რ ე ბ ი იმყოფებიან. მიმართვის დროს მარზპანს „მის უფლებას" უწოდებენ [1].

როგორი იყო ხარკი, როგორ ჰკრეფდენ მას, რამდენი იყო გაწერილი ქართლზე—ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ შენახულა. სომეხ მემატიანეთა მოწმობით შეგვიძლია მხოლოდ დავასკვნათ, რომ, ხარკს უმთავრესად ფულადი სახით ახდევინებდენ და რომ ის ქართლშიაც მძიმე უნდა ყოფილიყო. ასეთივე მძიმე უნდა ყოფილიყო სამხედრო ბეგარაც—სომხურივე ცნობებით, ირანელებს ქართლიდანაც ისევე, როგორც სომხეთიდან, გაჰყავდათ უმთავრესად ცხენოსანი რაზმები, რომელთაც ისინი ხშირად ძალიან შორეულ ექსპედიციებში ჰგზავნიდენ, მაგ., ირანის აღმოსავლეთ საზღვრებზე. „შუშანიკის წამებიდან" ჩანს, რომ ირანელებს ქართლიდან ჯარი ჯერ კიდევ მეფობის დროს (V ს.) გაუყვანიათ. ვარსქენ, ქართლის პიტიახში, ლაშქრობს „ჰონთა ზედა", განთქმული ჰუნების წინააღმდეგ, რომელნიც იმხანად ჩრდ.-კავკასიის ველებზე ბინადრობენ და სიცოცხლეს უმწარებენ ირანელებს. ირან-ჰუნების ფრონტი დარუბანდის რაიონშია გამართული. ქართლიდან ჩორის (დარუბანდის) პოზიციებზე სალაშქროდ სიარული სახარბიელოს არაფერს წარმოადგენდა, რა თქმა უნდა. თუმცა მარზაპანს რეზიდენციად, როგორც ჩანს, არა ერთი ადგილი აქვს (ერთი ძველი ძეგლის ცნობით, მაგ., სხვათა შორის ქალა|ქი თუ დაბა რეხაკ), მაგრამ ჩვეულებრივად იგი ტფილისში იმყოფება, და ამ რიგად ტფილისს ქართლის პოლიტიკური ცენტრის როლი ეკისრება. მეფობის ხანაში ქართლის სატახტო ქალაქი არის ჯერ არმაზი და შემდეგ—მცხეთა.

ტ ფ ი ლ ი ს ი ს ი ს ტ ო რ ი ა ტფილისის ზრდის ძველი ისტორია ბურუსითაა მოცული. შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ ქართლის ძველ ქალაქთა შორის იგი ერთი ყველაზე უმცროს-

[1] შეადრ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I³, 259.

თაგანია თავის ასაკით. პირველად ტფილისი, როგორც ციხე-ქალაქი, იხსენიება IV ს. დამლევის ამბებში: „მაშინ მოვიდა ქრამ-ხუარ-ბორ-ზარდ, სპარსთა მეფისა პიტიახში, ტფილისად ქალაქად-ციხედ-და ქართლი მისსა ხარკსა შედგა“-ო[1]. მაშასადამე, თავდაპირველად ტფილისი ირანელი პიტიახშების საჯდომად ქცეულა. ამ დროისათვის ეს პუნქტი ჯერ კიდევ ქალაქად არ ითვლება[2]. რამ შეუწყო ხელი ტფილისის დაწინაურებას, ამის შესახებ არავითარი ფაქტიური მასალა არ შენახულა. ცხადია, მხოლოდ რომ აქ, სხვა მიზეზთა შორის, დიდი როლი უნდა ეთამაშნა ტფილისის მდებარეობასაც. აქ იყო და არის საუკეთესო ადგილი ხიდის ასაგებად, სახელდობრ იქ, სადაც დღეს მეტეხის ხიდებია და სადაც მტკვრის კლდოვანი ნაპირები არაჩვეულებრივად ახლოს ადგებიან ერთმანეთს: ეს გარემოება მნიშვნელოვანი იყო იმდროინდელ ტექნიკისათვის. ტ ფ ი ლ ი ს შ ი ჯ დ ო მ ა ი რ ა ნ ე ლ მ ო ხ ე ლ ე ს შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ს ა ძ ლ ე ვ დ ა კ ო ნ ტ რ ო ლ ი გ ა ე წ ი ა ა მ გ ზ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, ხ ო ლ ო მ ე ო რ ე მ ხ რ ი თ თ ვ ა ლ ყ უ რ ი ე დ ე ვ ნ ე ბ ი ნ ა ქ ა რ თ ლ ი ს მ ე ფ ი ს ა თ ვ ი ს, რ ო მ ე ლ ი ც მ ც ხ ე თ ა შ ი ი ყ ო დ ა მ კ ვ ი დ რ ე ბ უ ლ ი.—შემდეგ, ვახტანგ გორგასალის ბიოგრაფი გვარწმუნებს რომ „ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისსა / და საფუძველი ოდენ დაედვა“-ო[3]. მემატიანის წარმოდგენით, ვახტანგს ვერც დაუმთავრებია თავისი მშენებლობა, მას ამის შესახებ სათანადო ანდერძი დაუგდია თავისი მემკვიდრისათვის. ტ ფ ი ლ ი ს შ ი ჯ დ ო მ ა ი რ ა ნ ე ლ მ ო ხ ე ლ ე ს შ ე დაჩიმ „განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი, ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეფოდ“, ხოლო კათალიკოზს მეფემ

---

[1] მოქც. ქართლ., 720.

[2] მოტანილი ციტატა შატბერდულ საკითხავს წარმოადგენს. ჰელიშერი—მნიშვნელოვნად განსხვავებულია: „მაშინ მოვიდა ხუარ... ტფ´ლის და კ´დ ციხედ“ და სხვ. გეოგრაფიულ ადგილის დაქარაგმებული სახელწოდება შეიძლება გახსნილ იქნას ასე: „ტფილისს და კალად ციხედ“. გამოდის რომ დასახელებულია ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ადგილი, ერთი, მოსახლეობის და, მეორე, ციხის პუნქტები. არსაიდან არ ჩანს რომ უკანასკნელის სახელწოდება „კალა“ მართლაც არაბული სიტყვაა, და არა საკუთარი გეოგრაფ. სახელი, გარეგნულად მსგავსი უცხო სიტყვისა. ანაქრონიზმს აქ ჩვენ ამიტომ ვერ ვხედავთ. სრულიად ცხადია, როგორც ეს ქვემოთ არის ნაჩვენები, რომ მატიანე ტფილისის „გაქალაქებას“ მომდევნო ხანაში დასდებს. ამრიგად, შატბერდული საკითხავის „ქალაქი-ციხე“ მერმინდელი ავტორის განმარტებაა.

[3] ჯუანშერი, მარ. 180.

„მიათვალა მცხეთა“[1]. ე. ი. დაჩი ამთავრებს ტფილისის გალავანს და ტფილისს სამეფო საჯდომად ჰხდის, მცხეთას-კი კათალიკოზს ებარებს. ანალოგიურივე ხასიათისაა მეორე ძველი მატიანის, „ქართლის მოქცევის“, მტკიცება, რომლის მიხედვითაც დაჩის მეფობაში ტფილისის ზრდაში რაღაც მნიშვნელოვანი ცვლილება უნდა მომხდარიყო. „ამისსა-ზე (ე. ი. დაჩის დროს) ტფილისს კაცნი დასხდებოდეს და მარიამ წმიდისა ეკლესია აღაშენეს“-ო[2], თუმცა აქ სატახტო ქალაქად ქცევაზე არაფერია ნათქვამი. დაჩის მეფობა ძეხუთე-მეექვსე საუკუნეების მიჯნაზე მოდის. რომ მართლაც აღნიშნულ ხანაში ტფილისის ზრდაში მნიშვნელოვანი ცვლილება უნდა მომხდარიყო, ამას უეჭველობით მოწმობს ტფილისის საეპისკოპოსოს დაარსება, როგორც ჩანს, V ს. ბოლოს: 506 წლისათვის ტფილისის ეპისკოპოსი უკვე იხსენიება. მეექვსე საუკუნის ოციან წლებში, როგორც ვიცით, ირანელებმა მოსპეს მეფობა ქართლში და თავის მთავარ სიმაგრედ და სატახტო ქალაქადაც უკვე საბოლოოდ ტფილისი აირჩიეს. ამ ამბავს „ქართლის მოქცევა“ ასე მოგვითხრობს: „მაშინ მცხეთაჲ ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალაჲ განდიდნებოდა“[3], ტფილისი იზრდება მცხეთის ხარჯზე, ტფილისის ციხე ქალა-კი—არმაზისაზე. ქალა ისეთსავე დამოკიდებულებაშია ტფილისის მიმართ, როგორშიაც არმაზი—მცხეთის მიმართ. ცხადია, რომ ირანელების მიერ ამ პუნქტისათვის დაკისრებული ფუნქცია ძალიან უწყობს ხელს მის, როგორც ქალაქის გაძლიერებას. ტფილისის ზრდა გრძელდებოდა მთელი მეექვსე საუკუნის განმავლობაში. 571 წლისათვის, ბიზანტიელ მემატიანის თეოფანეს ცნობით, „იბერთა დედაქალაქი ტიფილისი“ არის, ისევ ისე[4]. VII ს. დამდეგისათვის ტფილისი, იმდროინდელ თვალსაზრისით, საკმაოდ მოზრდილი ქალაქი უნდა ყოფილიყო. ქალაქის მაშინდელი ფარგლები ჩვენ შეგვიძლია მეტნაკლებად წარმოვიდგინოთ: თავდაპირველად მოსახლეობა და ქალაქის შენობები დღევანდელ აბანოს უბანში უნდა გაჩენილიყო, რადგანაც სწორედ ამ პუნქტის საკუთარი სახელი უნდა იყოს „ტფი-

---

[1] ჯუანშერი, მარ. 186.
[2] Опис. II, 722.
[3] იქვე, 724.
[4] იხ. ს. ყაუხჩიშვილი, პირველი ბერძნული ცნობა ტფილისის შესახებ: საქ. მუზ. მოამბე, IV, 283—4.

ლისი“, მიღებული აქ არსებულ თ ბ ი ლ (ძველ ქართულ გამოთქმით—„ტფილ“) მინერალურ წყაროებისგან, და რადგანაც აქვე იყო ტფილისის ციხე-სიმაგრე. შემდეგ ხანებში ქალაქი უპირატესად ჩრდილო-დასავლეთით იზრდება (მტკვრის დენის მიხედვით—„ზევით“). VI—VII სს. ძიჯნაზე ქალაქის ფარგალი ამ მიმართულებით, ყოველ შემთხვევაში, დღევანდელ მუხრანის ხიდს სამხრეთით არ უნდა ვიგულისხმოთ, რადგანაც VII ს. ოციან წლებისათვის „დიდი ეკლესია“, ე. ი. სიონი, უკვე აგებულია, კათედრალის აშენება-კი ქალაქს გარეთ, ან თუნდაც განაპირაზე, გაუგებარი იქნებოდა. სიონის ჩრდილოეთით კიდევ მდებარეობდა ერთი ძველი ტაძართაგანი, ე. წ. ანჩისხატი. უძველეს დროიდანვე მოსახლეობა ჩნდება მტკვრის მარცხენა ნაპირას, დღევანდელ ავლაბარსა ანუ ძველ ისანში.

აღებულ ხანაში, ტფილისის პოლიტიკურ-სამხედრო და ეკონომიური ანალოგონი დასავლეთ საქართველოსათვის არის ციხე-ქალაქი პეტრა (იხ. ქვემოთ).

ირანელების მფლობელობის გავლენა ქართლის განვითარებაზე

ირანელების უმეშვეო მმართველობის რეჟიმი ქართლში ისე ხანგრძლივი არ ყოფილა, როგორც ზოგიერთ ძერმინდელ დამპყრობელებისა, მაგრამ მას ძაინც დიდი გავლენა უნდა მოეხდინა ქვეყნის განვითარებაზე. ძნიშვნელოვანი იყო უკვე ის გარემრებაც, რომ ამ დამპყრობელთა გრძელ სერიაში ი რ ა ნ ე ლ ებ ს ქ რ ო ნ ო ლ ო გ ი უ რ ა დ პ ი რ ვ ე ლ ი ა დ გ ი ლ ი უ ჭ ი რ ა ვ თ. რომისგან დამოკიდებულება, როგორც ვნახეთ, შედარებით მსუბუქ ვასალობის ფორმას არ გასცილებია, სხვისი ვისიმე ძორჩილება კი ძველ ქართლს არ ახსოვს; ირანი იყო, კერძოდ, პირველი უცხო სახელმწიფო, რომელმაც აღმოს. საქართველო დ ა ხ ა რ კ ა. თვით ტერმინი ხ ა რ კ ი ც, როგორც ჩანს, ირანელთა ბატონობის ნაშთია ქართულ ენაში. ამავე დროისა და ასეთივე ნაშთია მეორე, მეტად მნიშვნელოვანი, სოციალურ-ეკონომიური ტერმინი „ბეგარა“, რომელიც ირანული სიტყვაა. განვიხილოთ, როგორი უნდა ყოფილიყო ეს გავლენა.

ჯერ ერთი, ფ უ ლ ა დ ხარკს უნდა მოეხდინა გარკვეული ზემოქმედება სამეურნეო და საზოგადოებრივ განვითარებაზე. საზოგადოდ, ფულადი გადასახადები, გარკვეულ დონემდის, ხელს უწყო-

ჩენ ნატურალურ მეურნეობის შიგნით სასაქონლო და ფულად ურთიერთობათა ზრდას. გადამხდელმა თავის ვალდებულებათა შესასრულებლად ფული უნდა იშოვოს. ფულის შოვნა-კი მას შეუძლია მხოლოდ ბაზარში რაიმე საგნის გატანით. ამისთვის კიდევ მისმა მეურნეობამ გარკვეული საქონელი უნდა დაამზადოს. რა თქმა უნდა, ხარკმა შეიძლება იმდენად მძიმე ფორმები მიიღოს რომ, საერთოდ, განადგურებამდის მიიყვანოს მეურნეობა. მაგრამ ასეთ პირობებშიც მისი გავლენა ყველა კერძო მეურნეობაზე ერთგვარი არ არის: ზოგი უფრო ძლიერად განიცდის მას, ზოგი—უფრო სუსტად. და საერთოდ, ფულადი გადასახადები, თავის ძველ სახეებში, შეიძლება იქცნენ ერთ-ერთ პირობად მოსახლეობის ეკონომიურ დიფერენციაციისათვის, რაც, თავის მხრივ, სოციალურ ჯგუფების სხვაობის გაღრმავებას უწყობს ხელს. სოციალურ დიფერენციაციის ზრდისათვის გარკვეულ სტიმულს ირანელების პოლიტიკური რეჟიმიც წარმოადგენს. ჩვენ უკვე გარკვეული გვაქვს (იხ. საქართველო ადრინდ.-ფეოდ. ხანაში). რომ ირანელები ქართლში დიდ აზნაურთა წრეს დაეყრდნენ. გაგრძელდა თუ არა ბოლომდის ეს თანამშრომლობა, ან რა ცვლილებები ხდებოდა მასში დროთა ვითარებაში, ეს სხვა საკითხია, და ამის შესახებ ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი. ყოველ შემთხვევაში, მეექვსე საუკუნის შუაწლებში ეს თანხმობა ჯერ კიდევ დარღვეული არ არის, რაც მშვენივრად ჩანს იმავე ევსტათი მცხეთელის „მარტვილობიდან". იქ, სახელდობრ, მოთხრობილია რომ, როცა ევსტათისა და მისი ამხანაგების დამაპატიმრებელი მარზპანი შაჰის ბრძანებით ქართლს სტოვებს, მის გ ა ს ა ც ი ლ ე ბ ლ ა დ, გ ა მ ო ს ა თ ხ ო ვ რ ა დ ქვეყნის უმაღლესი წრე, ანუ, ძეგლის ენით რომ ვთქვათ, მ თ ა ვ რ ე ბ ი, იკრიბება: „ვითარ წარემართებოდა მარზაპანი იგი მეფისა მის, შეკრბეს ქ ა რ თ ლ ი ს ა მ თ ა ვ ა რ ნ ი: მარზაპანისა მის ჯმნად (ე. ი. გასაცილებლად, გამოსასალმებლად) მოვიდეს". სულ უკანასკნელ მომენტში, როცა მარზპანი უკვე ცხენზე ჯდებოდა, მთავრებმა მას, სხვათა შორის, დაპატიმრებულ ევსტათისა და მისი ამხანაგების განთავისუფლება სთხოვეს. მარზაპანმა მიუგო: მაგათ ისეთი დანაშაული აქვთ ჩადენილი, რომ სიკვდილის ღირსნი არიან, მაგრამ რაკი თქვენ მთხოვთ, ეგრე იყოსო, და განკარგულება გასცა გაეთავისუფლებინათ პატიმრები, რომელნიც უკვე ექვსი თვე საპყრობილეში ისხდნენ: „რაჟამს აღმჭედრდებოდა მარზაპანი იგი, აღდგეს

მთავარნი ქართლისანი და სამოელ, ქართლისა კათალიკოზი, და გრიგოლ, ქართლისა მამასახლისი, და არშუშა, ქართლისა პიტიახში, და სხუანი სეფეწულნი და მარზაპანსა | ჰრქუეს „ვევედრებით შენსა მაგას უფლებასა, სათხოველსა ერთსა გთხოვთ“. ხოლო მან ჰრქუა მათ: „თქუით რაჲცა გნებავს! რაჲმცა იყო რომელი თქუენ არა მოგმადლე!“ ხოლო მათ ყოველთა ჰრქუეს: „გევედრებით შენ, ჯერ გიჩნდინ, უფალო, განტევებაჲ კაცთა მათ, რომელნი-იგი მცხეთელნი ქრისტეანობისათუის საპყრობილედ მიცემულ არიან“. ჰრქუა მათ მარზაპანმან მან: „იგი კაცნი მოსაკლავად შეჰგვანდეს, ხოლო თქუენითა თხოვნითა განუტევნე იგინი“. ხოლო მათ მადლი მისცეს მას, და უბრძანა განტევება მათი. და გამოიყვანნეს იგინი მიერ საპყრობილითა“ [1]. მკაფიოდ ჩანს რომ ქართლის უმაღლეს საზოგადოებრივ წრეს ახლო ურთიერთობა აქვს მარზაპანთან და დიდი გავლენის მოხდენაც შეუძლია მასზე. ვისგან შესდგება ეს წრე? ამის შესახებაც მოტანილი ადგილი საყურადღებო ცნობებს გვაძლევს: ზოგადად ეს არიან „ქ ა რ თ ლ ი ს მ თ ა ვ რ ე ბ ი“ და „სეფეწულები“. „მთავარი“ აქ, აშკარაა, არ არის ნახმარი იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც ეს ტერმინი მიეკუთვნება ქართლის მფლობელ ერისთავებს (უფრო სწორედ—ერისმთავრებს) VII—VIII სს. ყველა ნიშნით, ამ დროს, VI ს. შ უ ა წ ლ ე ბ შ ი, ქ ა რ თ ლ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი ს თ უ ე რ ი ს მ თ ა ვ რ ი ს ე. ი. ისეთი პირის, რომელიც მთელი ქვეყნის უზენაეს მფლობელად ითვლება, ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ჯ ე რ კ ი დ ე ვ ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს. „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“ ორჯერ მოხსენებული „ქართლისა მთავარნი“ მრავალ პირთა კრებულს გულისხმობს. ზოგ მათგანს, მართლაც, უჭირავს უმაღლესი ადგილობრივი სამოხელეო თანამდებობა—ორი დასახელებულია კიდეც ძეგლში: „ქართლისა მამასახლისი“ და „ქართლისა პიტიახში“. უფრო საინტერესოა რომ ქართლის მთავართა შორის შერაცხილია „ქართლისა კათალიკოზიც“. გარდა ამისა, ფრაზის კონსტრუქციიდან უფრო ისეთი აზრი უნდა გამოვიტანოთ, რომ მოხსენებულთა გარეშე სხვებიც არიან საგულისხმებელნი, შესაძლოა ისეთი პირნი, რომელთაც არავითარი ოფიციალური ფუნქცია არ ჰქონდათ და მხოლოდ თავიანთ ქონებრივ და საზოგადოებრივ მდგომარეობის წყალობით სარგებლობდენ სათანადო პატივისცემითა და გავლენით.

[1] აღდგენილი ტექსტი; შეადრ. საქ. სამ., 315 და H № 341.

უკვე კათალიკოზის მოხსენება მთავართა წრეში ცხადად მოწმობს ტერმინის ზოგად მნიშვნელობას (საერთოდ „მთავრის“ ზოგადი მნიშვნელობის შესახებ იხ. ჩვენი „საქართველო ადრ.-ფეოდ. ხანაში“). მეორე ზოგადი ეპითეტი, ამავე წრის დასახასიათებლად ნახმარი ავტორის მიერ, არის „სეფეწული“. თუ „მთავარი“ მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ზ ე მიუთითებს, ს ე ფ ე წ უ ლ ი უკვე | წ ა რ მ ო შ ო ბ ი ს, ჩ ა მ ო მ ა ვ ლ ო ბ ი ს, მაჩვენებელია. თავდაპირველად სეფეწული ძეფის გვარის შვილს აღნიშნავდა. ამ დროინდელი მისი მნიშვნელობა შესაძლოა, რა თქმა უნდა, რამდენადმე უფრო გაფართოებული იყოს. მაგრამ რომ იგი ს ა ზ ო გ ა დ ო დ არისტოკრატიას მიეკუთვნებოდეს, როგორც ზოგნი ფიქრობენ, კატეგორიულად იმის მტკიცება მეექვსე საუკუნისათვის შეუძლებელია. ამ მხრივ ჩვენ ორი საყურადღებო ცნობა გვაქვს. სომეხთა ისტორიკოსი, მოსე ხორენელი,—რომლის შესახებაც ეხლა მეცნიერებაში თითქმის გაბატონებულია აზრი, რომ იგი VIII—IX ს. მწერალია,—ამბობს: სომხეთის მეფემ ვალარშაკმა სამეფო კარის ოთხი მცველი გუნდი შექმნა ძ ვ ე ლ მ ე ფ უ რ, ჰაიკის, შ თ ა მ ო მ ა ვ ლ ო ბ ი ს პ ი რ თ ა გ ა ნ. ი ს ი ნ ი ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ პ ი რ ვ ე ლ მ ე ფ ე თ ა თ ე ს ლ ი ს ხ ა ლ ხ ი ა ი ს ე ვ ე, *რ ო გ ო რ ც ე ხ ლ ა ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი ა, ს ა დ ა ც ი ს ი ნ ი ს ე ფ ე წ უ ლ ე ბ ა დ ი წ ო დ ე ბ ი ა ნ ო* (*այլ առաջինն հաստատ, 'ի զարմից Թադաւորացն աւուրնոց. Որպէս և այժմ, 'ի վերայ աշխարհին, որ Սեփանեանն կոչի. Պատմ. հ.*, II, 7). მეორე ცნობა ბევრად უფრო გარკვეული და სანდოა, ეკუთვნის პროკოპი კესარიელს და უკვე სომხეთს შეეხება. რომაელებისგან შეწუხებული სომხები, მეექვსე საუკუნის ოცდაათიან წლებში, ირანელების მხარეს გადადიან. მათი მოციქულები შაჰს წარუდგნენ,—ესენი იყვნენ „უწარჩინებულესნი“,—და შემდეგი უთხრეს ხოსროს: „მ რ ა ვ ა ლ ი ჩ ვ ე ნ თ ა გ ა ნ, ბ ა ტ ო ნ ო, ა რ ს ა კ ი დ ე ბ ი ა რ ი ა ნ, ი მ ა რ ს ა კ ი ს შ თ ა მ ო მ ა ვ ა ლ ნ ი, რომელიც არც პ ა რ თ ე ლ თ ა ს ა მ ე ფ ო ხ ე ლ ი ს ჯ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ი ყ ო უ ც ხ ო, როდესაც ირანი პართელებს ექვემდებარებოდა, და- რ ო მ ე ლ ი ც ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე მ ე ფ ე ი ყ ო... ეხლა-კი ვდგევართ თქვენს წინაშე ყველანი, მონებად და ლტოლვილებად ქ ც ე ულ ნ ი... არსაკმა ხომ, ჩვენი წინაპრების უკანასკნელმა მეფემ, თავისი ზ ა გ ა მ ბ ე ბ ლ ო რომაელთა ავტოკრატორს თეოდოსის გადასცა თ ვ ი ს ი ნ ებით იმ პირობით რომ მომა-

ვალში მუდამ ყველა ის, ვინც არსაკის გვარისა იქნებოდა, თავისუფლად იცხოვრებდა საზოგადოდ და არას დროს ხარკს არ გაიღებდა". და ასეც იყო, ვიდრე შენ რომაელებთან ზავი არ შეჰკარი და მათს თვითნებობას ხელი არ გაუხსენიო (B. P. II, 3, გეორგიკა II, 38—40). აქედან ირკვევა, რომ არშაკუნიანები, სომეხთა სამეფო დინასტიის (რომელიც, მართლაც, პართიული მოდგომისა იყო) შთამომავლობა, ე. ი., ქართული ტერმინოლოგიით, „სეფეწულები", სომხეთში ბლომად ყოფილან და ადგილობრივი არისტოკრატიის უმაღლეს ფენასაც შეადგენდენ. ამიტომ უეჭველია რომ მოსეს ცნობა (და ეს გარემოება ხორენელის კრიტიკისათვის ძალიან საყურადღებოა) მეექვსე საუკუნეზე უფრო გვიანდელია და მის მიხედვით, საშუალება გვეძლევა ვიფიქროთ რომ, დაახლოებით, ალბათ, მერვე საუკუნეში, ქართლში ჯერ კიდევ „სეფეწულებად" მეფური შთამომავლობის ხალხი იწოდებოდა, მაშინ როცა მეზობელ სომხეთში ეს წრე უკვე გამქრალი იყო. ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, რომ მეექვსე საუკუნისათვის „სეფეწულს" ქართლში უფრო მკაფიოდ ჰქონდა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა შერჩენილი: ამ დროს ეს წრე, ალბათ, წარმოშობით ჯერ კიდევ სამეფო შთამომავლობისად ითვლება, მაგრამ თავისი რეალური მდგომარეობითა და ინტერესებით მას კავშირი გაწყვეტილი აქვს საკუთრივ სამეფო ოჯახთან და უფრო ორგანულად საერთოდ აზნაურობას, არისტოკრატიას, უკავშირდება, რომლის უმაღლეს ფენასაც იგი წარმოადგენს. „ს ე ფ ე წ უ ლ ე ბ ი" ქ ა რ თ ლ ი ს ა რ ი ს ტ ო კ რ ა ტ ი ი ს ე რ თ ი გ ა რ კ ვ ე უ ლ ი უ მ ა ღ ლ ე ს ი წ რ ე ა.

ამრიგად, ადგილობრივ მ ო ხ ე ლ ე—მ თ ა ვ ა რ თ ა გ ან, VI ს. შუაწლებისათვის, ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ს ა და პ ი ტ ი ა ხ შ ს. საფიქრებელია, რომ ადგილობრივ უმაღლეს მოხელეთა შტატი ამით არ ამოიწურებოდა, მაგრამ თვით მოხსენებულთა ფუნქციის შესახებაც ბევრი არაფერი ვიცით. რა უფლება-მოვალეობანი ჰქონდა დაკისრებული ქ ა რ თ ლ ი ს მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ს, არ ჩანს. მხოლოდ, როგორც უკვე სხვაგან აღნიშნული გვქონდა, ამ თანამდებობის არსებობა იმის საბუთია, რომ ქ ა რ თ ლ ი ს მ ე ფ ი ს ხელისუფლება მამასახლისობიდან არ არის წარმომდგარი, რადგანაც მეფობის მოსპობის შემდეგაც ირანელები მამასახლისის ინსტიტუტს სტოვებენ, და რომ შესაძლებელია ქ ა რ თ ლ ი ს მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი ს არსებობა მეფობის ხანაშიაც ვივარაუდოთ. „ევსტათი მცხე-

თელის მარტვილობით“ თითქოს უნდა დაგვესკვნა, რომ ქართლის მამასახლისი პირველი პირია მთავართა უწყებულ წრეში, მაგრამ ცნობათა ნაკლოვანების გამო კატეგორიული მტკიცებისაგან ჯერ თავი უნდა შევიკავოთ. პიტიახშის შესახებაც უკვე გვქონდა მსჯელობა (იხ. „საქართველო ადრ.-ფეოდ. ხანაში“). ცხადია, მარზპანობის დროს, პიტიახშის ამოცანები უნდა დავიწროებულიყო, შესაძლოა, მხოლოდ ადგილობრივ, პროვინციალურ მმართველის მოვალეობამდის. აქ მოხსენებული არშუშა პიტიახში ალბათ არის (პაპის სახელის განმეორების მიხედვით) ‘შვილი ვარსქენისა, რომელმაც თავისი ცოლი შუშანიკი აწამა.

არსებითად, მთავართა ოფიციალურ წრის წარმომადგენელია ქართლის კათალიკოზიც, რომელიც ჩვენ მიერ განხილულ ძეგლში პირველ რიგშია დასახელებული. ქართლის კათალიკოზი შინაური კაცი ჩანს მარზაპანის კარზე. კავშირი, რომელიც ბევრად ადრე, ჯერ კიდევ მეფობის ხანაში გაისკვნა ქართლის ეკლესიასა და ირანის მთავრობას შორის, კვლავ მტკიცეა. ეს კავშირი მრავალმნიშვნელოვანია ქვეყნის კულტურულ-იდეოლოგიურ განვითარებისათვის, მაგრამ ეს მოვლენა სპეციალურ განხილვის ღირსია (იხ. ქვემოთ). ზემოთქმულის მიხედვით, მეექვსე საუკუნის შუაწლებში, ქართლის არისტოკრატია (როგორც საერო, ისე საეკლესიო) საერთოდ, და, კერძოდ, არისტოკრატიულ ჩამომავლობის ადგილობრივი უმაღლესი მოხელეობა ახალ ვითარებაშია წარმოდგენილი. იქცა რა ირანელთა უმეშვეო დასაყრდენ ძალად ქართლში, ამ წრეს ახალი პირობები უნდა გამოეყენებინა, ბუნებრივად, თავკერძო ინტერესების დაკმაყოფილებისათვის. ძველ ქართველ ისტორიკოსს ჯუანშერს, რომელსაც ამ ხანისათვის, როგორც ჩანს, რამდენადმე ნაგვიანევი ცნობები ჰქონდა, ასე აქვს წარმოდგენილი ეს ახალი ვითარება: უშუალოდ მეფობის გაუქმების შემდეგ ქართლში ირანელების მეფის შვილი ქასრე ამბარვეზი, რომელსაც მამისაგან სამმართველოდ მიცემული აქვს ქართლის მეზობელი ქვეყანა, რანი და მოვაკანი, მოლაპარაკებას აწარმოებს ქართლის ერისთავებთან და სათანადო სიკეთეების აღთქმით ახერხებს მათ გადაბირებას თავის მხარეზე: „უწყო ზრახვად ერისთავთა ქართლისათა, აღუთქუა კეთილი დიდი და დაუწერა მაძულები შვილითი შვილამდე, და ესრეთ წარიბირნა ლიქნითა. და გაბდგეს ერისთავნი თვის-

თ ვ ი ს ა დ, ხ ა რ კ ს ა მ ი ს ც ე მ დ ე ს ქასრეს ამბარვეზსა“-ო[1]. მემატიანის წარმოდგენით, მაშასადამე, ერისთავთა მიერ მოპოვებული სიკეთეები, უწინარეს ყოვლისა, იმაში გამოიხატა, რომ ირანელებმა მათ „მამულები“ დაუმტკიცეს საუკუნო მემკვიდრეობის უფლებით. თავისი ძველი ქართული აზრით, სიტყვა „მამული“ შეიძლება ნიშნავდეს მფლობელობის ყოველგვარ ობიექტს, რომელიც მ ა მ ი ს გ ა ნ ა ა მიღებული. თუ რა მამული იგულისხმება აქ, ეს ცხადი ხდება მომდევნო თხრობიდან. სახელდობრ, როცა ქართლში აღდგა ახალი სახით პოლიტიკური ავტონომია, ამ ავტონომიის მეთაურმა „ერისთავნი ქ ა რ თ ლ ი ს ა ნ ი ვ ე რ ც ვ ა ლ ნ ა ს ა ე რ ი ს თ ა ვ ო თ გ ა ნ მ ა თ თ ა, რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ჰ ქ ო ნ დ ე ს ს ი გ ე ლ ნ ი მ კ ვ ი დ რ ო ბ ი ს ა ნ ი“, და, როგორც ერთ-ერთი ნუსხათაგანი (ხელნაწერი პირი) ბოლომდის ხსნის ფრაზის აზრს,—სიგელნი მკვიდრობისანი „საერისთვოთა მათთა“-ო[2]. შემდეგი, მეშვიდე საუკუნის დამდეგის, ამბებისთვისაც, ნათქვამია: „ერისთავნი იგი იყვნეს თ ი ს-თ ვ ი ს ს ა ს ა ე რ ი ს თ ა ვ ო ს ა შ ი ნ ა ჰ მ კ ვ ი დ რ ო ბ დ ე ს“-ო[3]. ცხადია, მემატიანის გაგებით, აქ საქმე ეხება გარკვეულ ადმინისტრაციულ თანამდებობათა გადაცემას მემკვიდრეობით ხასიათის ინსტიტუტებად (დაწესებულებად). რადგანაც ჩვენი წარმოდგენით ამ სამოხელეო თანამდებობათა სოციალური საფუძველი მსხვილი მემამულეობაა, ამიტომ გასაგებია რომ ახალი პირობები ხელს უწყობენ აღნიშნული წრის შემდგომ გაძლიერებას ამ მიმართულებითაც, ე. ი. მიწისმფლობელობის ზრდისა და სათანადო უფლებების განმტკიცების მიმართულებით.

აღწერილი პროცესი ეხებოდა იმ ძლიერ მიწისმფლობელთ, რომელთაც მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობანი ეჭირათ. მაგრამ წყაროების გულდასმით განხილვა გვარწმუნებს, რომ მიწისმფლობელობის საკონცენტრაციო ცენტრების, ფეოდალურ სენიორიათა პროტოტიპების, რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე უმაღლეს სამოხელეო პატივთა რიცხვი. ამ ცენტრების გათვალისწინება ნაწილობრივ ქართლის ეკლესიის ჰიერარქიულ ფაქტების ნიადაგზეა შესაძლებელი. განსაკუთრებით ნიშანდობლივია ამ მხრივ საეპისკო-

[1] მარ., 189—190.
[2] იქვე, 192.
[3] იქვე, 196.

პოსოების ისტორია. როგორც ყველგან და ყოველთვის, ქართლშიაც საეკლესიო სტრუქტურა სოციალურ და პოლიტიკურ აღნაგობის შესაბამისად იყო აშენებული. საეპისკოპოსო კათედრები, ამიტომ, ბუნებრივად მიუთითებენ და თანემთხვევიან უმსხვილეს პროტოგეონურ ფეოდალურ ცენტრებს. ამიტომ საინტერესოა რომ, როგორც დოკუმენტურ ცნობებით ირკვევა, ქართლში, VI ს. დამდეგისათვის, სულ ცოტა, 24 საეპისკოპოსო ყოფილა. თვით მეექვსე საუკუნეში, კი ამ რიცხვს დიდად უმატნია და VII ს. დამდეგისათვის უკვე 35-დის მიუღწევია. თვით საეპისკოპოსოების სახელწოდებათა აღდგენა ამჟამად მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება, სამწუხაროდ. აი, ყველაზე უეცველი პუნქტების დასახელება. შიდა-ქართლში: მცხეთის გარდა—სამთავისი, რუისი, ნიქოზი, წილკანი, ქვემო-ქართლში: ტფილისი, მანგლისი, ბოლნისი, ცურტავი, კახეთ-კუხეთში: ჭერემი, რუსთავი, ნინოწმიდა,—რომელიც უჯარმოს კ ა რ თ ა ნ იდო და, არსებითად, უჯარმოზე მიუთითებდა, როგორც ჩვენთვის საინტერესო ცენტრზე,—ხორნაბუჯი, ბოდბე, ჩელთა (ძველი სახელწოდებით ბერი თუ ბერთა), სამცხეში: აწყვერი, ჯავახეთში: წუნდა-კუმურდო, კლარჯეთში: ახიზა, |არტაანში: ერუშეთი და სხვ.[1] იმ ფეოდალურ ერთეულებს, რომელთა ცენტრებსაც აღნიშნული პუნქტები შეადგენდენ, უკვე იმ დროს, როგორც ჩანს, „სახლები" ეწოდებათ. ასე, მაგ. მოხსენებული არიან „სამეფო სახლისა" (*ᲛᲔᲤᲔᲡᲐᲜᲘᲡᲐᲜᲘ*) სომხ. ცნობით[2]) და „პიტიახშის სახლის" (იაკობ ხუცესის ცნობით)[3], ეპისკოპოსები. ს ა ხ ლ ი ა ქ ს ე ნ ი ო რ ი ა ს ა ღ ნ ი შ-

[1] საეპისკოპოსო კათედრების სია აღდგენილია სომხ. „ეპისტოლეთა წიგნი"-ს *Գիրք թղթոց*-ისა, გვ. 182—3, და ჯ ო ა ნ შ ე რ ი ს, მარ. 179, ცნობების შედარებითი შესწავლით. დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ ავტორი სხვაგან აპირებს მსჯელობას. შეადრ. ანალოგიური ცდები პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ა, ქართვ. ერის ისტ. I[3], 277—9 და პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს ა, ტფ. უნ. მოამბე, X, 320—21.

[2] *Գիրք թղթոց*, 182.

[3] შუშანიკის წამება, გორგ. გამ., გვ. 3: ...„ეპისკოპოსი სახლისა მის პიტიახშისაჲ, რომელსა სახელი ერქუა აფუტ". გვ. 21; „[შუშანიკმა] მოუწოდა ეპისკოპოსსა მისისა სახლისასა აფუტს". „სახლის ეპისკოპოსი" სამეც. ლიტერატურაში სხვადასხვანაირად არის განმარტებული: პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს ა თ ვ ი ს, ტფ. უნ. მოამბე, X, 318—9, „სახლი" „კარია", ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს ა თ ვ ი ს, საისტ. მოამბე, 1924 წ., I, 102—თითქოს „გვარი" (ავტორს, ჩვეულებისამებრ, ახრი ბუნდოვანად აქვს გამოთქმული), ხოლო პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს, ქართ. სამართლ. ისტ. I, 141—„ის მიწაწყალი", რომელიც ამ შემთხვევაში მეფის თუ პიტიახშის „უშუალო სამფლობელოს შეადგენდა". უკანასკნელი მოსაზრება ჩვენ ყველაზე უფრო მართებული გვგონია. მხოლოდ, ჩვენი ახრით, ეს „სამფლობელო" ფ ე ო დ ა ლ უ რ ი ხ ა ს ი ა თ ი ს ა ა. სახლი აქ სენიორიას აღნიშნავს, ადრინდელ—ფეოდალურ მნიშვნელობით.

ნავს, რა თქმა უნდა, ადრინდელ ფეოდალიზმის სენიორიას, და, მაშასადამე, ზემოთ დასახელებული ერთეულები სამეფო სენიორიასა და საპიტიახშო სენიორიას გულისხმობენ.

რომ ირანელთა მფლობელობა აღნიშნულ „სახლების" განვითარებისათვის გარკვეულ მომენტამდის ხელის'შემწყობი პირობა იყო, ეს გასაგები უნდა იყოს ზემოთ გამოთქმულ საერთო მოსაზრებათა მიხედვით. ეს პროვინციალური „მთავრებიც" ისეთივე ხასიათის კავშირში უნდა იმყოფებოდენ ქართლის ირანელ ადმინისტრაციასთან, როგორ'შიაც—ქართლის მამასახლისი, პიტიახში და სხვა დიდი მთავრები. ცენტრიდან დაშორებულსა და განაპირა რაიონებში ადგილობრივ ძლიერ კაცთა გამოყენების საჭიროება, ადმინისტრაციულ მმართველობის სფეროში, კიდევ უფრო მწვავე უნდა ყოფილიყო. შედეგებსაც ანალოგიური ხასიათი ექნებოდათ. პროვინციის ფეოდალური ძალების საერთო ზრდის ობიექტური მაჩვენებელია ის გაორმაგება საეპისკოპოსოების რიცხვისა, რომელიც მოხდა ერთი საუკუნის მანძილზე (დაახლოებით V ს. ოთხმოციან წლებიდან VI ს. ბოლომდის). | ახლად ჩამოყალიბებული ადრინდელ-ფეოდალური ერთეულები ჰგრძნობენ საჭიროებას, და ახორციელებენ კიდევაც მას, გაფორმებულ იქნას საეკლესიო ჰიერარქიული საშუალებითაც მათი დამოუკიდებელი სახე.

ფეოდალიზმის შემდგომი წარმატებებისათვის ქართლში მნიშვნელობა ჰქონდათ VI ს. დამლევის ახალ ფაქტებს. მაგრამ მათს განმარტებას წინ უნდა უძღოდეს ეგრისის მდგომარეობის მიმოხილვა განვლილ ხანაში: აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს ვითარება მეტ-ნაკლებად ურთიერთ განსაზღვრულია უკვე ამ დროს.

აღმოსავლეთ რომის იმპერია VI ს.

რომის კეისრების უზარმაზარ სამფლობელოს,—რომელსაც იმთავითვე თავისი მძიმე ფრთები განსაკუთრებით მტკიცედ დასავლეთ საქართველოზე გადაეფარებინა,—ამ დროისათვის უკვე განვითარების დიდი გზა ჰქონდა განვლილი. შინაგანმა კრიზისმა, რომელიც გამოწვეული იყო მოხათმფლობელურ სისტემის დაცემით და სუსტად გაერთიანებულ სხვადასხვა სტრუქტურის მქონე საზოგადოებრივ ერთეულების წინააღმდეგობით, მეტად ძლიერად გამოხატულმა საგარეო ფაქტორმა,—ბარბაროსების შეუნელებელმა შემოტევამ,—რომელიც შინაგან ტენდენციების მოქმედებას არაჩვეულებრივად აჩქარებდა, ყოველი-

ვე ამან დაშლისა და რღვევის გზაზე დააყენა რომის იმპერია. 395 წ. მოძაკვდავი კეისარი თეოდოსი სახელმწიფოს უყოფს თავის ორ ვაჟს—არკადისა და ჰონორის. უფროსს, არკადის, წილად ხვდება იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილი—დაკია, ძაკედონია, თრაკია, აზიის სათანადო სექტორი და ეგვიპტე. ასე ეძლევა პოლიტიკური სახე იმას, რასაც აღმოსავლეთ რომის იმპერიას ეძახიან. სახელმწიფო ფორმალურად კიდევ დიდხანს ერთიანად ითვლება, მაგრამ ფაქტიურად ეს ნაწილები სხვადასხვა გზით ვითარდებიან. მაშინ როცა დასავლეთის ნაწილი შეუჩერებელ დაქვეითების გზაზე დგას, აღმოსავლეთი, პირიქით, ეწყობა და ირაზმება ახალ საფუძველზე. გარკვეულ ძალთა აღმოსავლეთისაკენ გადმონაცვლება ნათლად გამოიხატა უკვე ქალაქ კონსტანტინოპოლის დაარსებაში (326 წ.), რომელი ქალაქიც ჯერ აღმოს. რომის იმპერიისა და შემდეგ ბიზანტიის დედა-ქალაქის როლს კისრულობს. მეხუთე საუკუნის დამლევისათვის იმპერიის დასავლეთ ნაწილში, განსაკუთრებით, იტალიაში, მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება: ბარბაროსული, განსაკუთრებით, გერმანული მოდგმის ტომები ზღვასავით ედებიან იტალიის მიწა-წყალს და პოლიტიკურადაც გაბატონებულ მდგომარეობას აღწევენ. 476 წ. ერთ-ერთ გერმანულ რაზმის | მეთაურმა, ოდოვაკარმა, ტახტიდან ჩამოაგდო კეისართა დასავლეთის შტოს უკანასკნელი წარმომადგენელი, ახალგაზრდა იმპერატორი რომულ ავგუსტული, და თვითონ აიღო ხელთ მძართველობის სადავე. მართალია, გამარჯვებული ბარბაროსი კისრულობს კონსტანტინოპოლის ვასალობას, მაგრამ მომხდარი ფაქტი მაინც მრავალმეტყველია. იგი აშკარად მოასწავებს, რომ მომდევნო ეპოქების მღელვარე ამბებში ნელი-ნელ დაილევა იმპერიის დასავლეთი ნაწილი და აღმოსავლეთ რომის იმპერიის ეს ცალუღელა არსებობა თანდათან ჩამოყალიბდება, როგორც მრავალმხრივ ახალი, დამოუკიდებელი და ორიგინალური ისტორიული მოვლენა,—„ბიზანტია". ამ გარდაქმნის პირველ, მკაფიოდ გამოხატულ და თვალსაჩინოდ შესამჩნევ, პერიოდად შეიძლება VII ს. იყოს მიჩნეული, თუმცა ამ შემთხვევისათვისაც უნდა გვახსოვდეს, რომ აქ მკვეთრი ქრონოლოგიური მიჯნის გატარება თითქმის ისევე ძნელია, როგორც გეოლოგიაში—ცალკე პერიოდებს შორის.

მომხდარი ცვლილება არსებითად ნიშნავდა: სოციალურად—ფეოდალიზმის საბოლოო გაძარჯვებას მონათმფლობელობაზე, ეთნიკურად—ბერძნული ელემენტის უპირატესობის დადგინებას რომა-

ულთან შედარებით, კულტურულად—ლათინური ენისა და იტალიური კულტურის უკანდახევას ბერძნულ-ელინური ენისა და კულტურის წინაშე.

ეს ახალი, ბიზანტიური, სამყარო შემდეგში უძლიერესად მოქმედებს საქართველოზე. მაგრამ აქ აღებულ მომენტში ამ სამყაროს სახე ჯერ საბოლოოდ გამორკვეული არ არის—ეს ტიპიური გარდამავალი ხანაა, თავის დამახასიათებელ ნიშნების მატარებელი, შინაგან დუღილითა და ჭიდილით აღსავსე, ძველის კვდომისა და ახლის დაბადების გამძაფრებულ ტკივილებით გამსჭვალული.

VI საუკუნეში აღმოსავლეთ რომის იმპერია გარეგნულად ძლიერების მწვერვალს აღწევს. კეისრის გვირგვინს ამ დროს ატარებს იუსტინიანე (527—565), ძველი სტილის ისტორიკოსების მიერ „დიდად" წოდებული, თანამედროვე და მუდმივი მებრძოლ-მეტოქე ირანის მბრძანებლის, ხოსრო ანუშირვანისა, ენერგიული, ბოქმედი, სახელისა და საქონებელის მოხვეჭის დაუღალავი მაძიებელი, რომელსაც, თანამედროვე ანალისტის თქმით, „მთელი დედამიწა ვეღარ იტევდა, მისთვის ისიც ცოტაა, რომ ერთად ეუფლებოდეს მთელ მსოფლიოს. ის ეთერსაც შეჰყურებს და ოკეანეს იქით ეძებს იდუმალ საყუდლებს, სადაც უნდა შექმნას თავისთვის მეორე სამყარო"-ო [1].

იუსტინიანეს მეფობა, მართლაც, სავსეა სამხედრო დიდებით, ერთგვარი ტექნიკური მიღწევებით, საიმპერატორო კარის ბრწყინვალეებით. იმპერია ხელახლა იბრუნებს ვესტგუთებისაგან სამხრეთ-დასავლეთ ესპანეთს, ოსტგუთებისაგან—იტალიას, ვანდალებს ხელიდან გამოჰგლეჯს აფრიკას, და, მოკლე ხნით, თითქოს აღადგენს თავის ძველ მთლიანობას. უზარმაზარი სამხედრო ციხესიმაგრეები, გრანდიოზული სასახლეები და ტაძრები ავსებენ ამ სურათს. მაგრამ თუ ეპოქას უფრო ღრმა თვალით ჩავწვდებით, სახელმწიფო წარმოგვიდგება, როგორც აბობოქრებულ ზღვაში გატაცებული, აფრებ-შემოძარცული და საჭე დაკარგული ხომალდი, რომელიც ძლივს-ძლიობით იკაფავს გზას ხმელეთისაკენ და რომელმაც არც იცის, სადაურ ნაპირს მიადგება. ვერ ასწრებენ ერთი ხვრელის

[1] ასეთ სიტყვებს ათქვევინებს პროკოპი კესარიელი არმენიელთა ელჩებს, რომელნიც ირანის მეფის წინაშე არიან წარმდგარნი. იხ. Проц. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ (ქვემოთ ყველგან = გეორგიკა), ტ. II, 41.

დაგმანვას, რომ წყალი ღვართქაფით ჩადის მეორეში. ძველი მსოფლიო მონარქიის აღდგენის იდეა კვდება თვით იუსტინიანესთან ერთად. სახელმწიფოს შინაგანი რესურსები გამოფიტულია. აღმოსავლეთელი ბარბაროსები ხან ერთგან არღვევენ იმპერიის ზღუდეს, ხან—მეორეგან. უდიდესი მსხვერპლით მოპოვებული გარეგანი წარმატებები უქმი და უსარგებლო რჩება, რადგანაც მათი შენარჩუნებისათვის ღონე აღარ ჰყოფნით. გაუთავებელი ომები, რომლებსაც ჩვეულებრივად დაქირავებულ უცხოელ მეომრების საშუალებით აწარმოებენ, უზარმაზარ ხარჯებს ითხოვს. არაჩვეულებრივი მარაგი ოქროსი (თითქოს 140 მილიონ მანეთამდის)*, რომელიც სახელმწიფო ხაზინას წინა მეფობათა დროს ჰქონდა დაგროვებული, მალე ილევა. სახელმწიფო იძულებული ხდება უკიდურესობამდის დასჭიმოს ქვეყნის საგადასახადო შესაძლებლობანი. ეს კი ბუნებრივ რეაქციას იწვევს გაყვლეფილ საზოგადოებრივ კლასების მხრივ. აქედან—აუცილებლობა ბიუროკრატიულ აპარატის შემდგომი გადიდებისა და მაქსიმალურ ცენტრალიზაციისა და საზოგადოებრივ ძალთა თვითმოქმედების სრული ჩახშობის ცდა. გათავხედებული, თავის ნებას გასული, ანგაარი, თაღლითი, ცბიერი და გაუმაძღარი მოხელეები თითქმის დაუსჯელად დათარეშობენ უპატრონო ქვეყანაში, რომელიც გმინავს აუტანელ უღლის ქვეშ. იმპერიის ყველა კუთხეში ერთი და იგივე სურათია. ყველგან რაღაც წარმოუდგენელი ამბავი ხდება—მოხელეთა უსაზღვრო ბოროტმოქმე|დება, ქონების დატაცება, ქურდობა, ძარცვა-გლეჯა, კაცის კვლა, მოსახლეობის სასოწარკვეთილება და აჯანყებანი, ადმინისტრაციის საპასუხო სისხლიანი რეპრესიები, გაოხრება და გაპარტახება. პროვინციელ მოხელეებს რაღა უნდა ექნათ, როცა სახელმწიფო ფინანსების ხელმძღვანელიც, იოანე კაბადუკიელი, განთქმული იყო თავის სიხარბით, გულქვაობითა და ზნედაცემულობით, მაგრამ დაუსჯელი რჩებოდა იმიტომ, რომ შეუდარებელი ოსტატი იყო ქვეშევრდომებისაგან უკანასკნელი სახსრის ამოცინცვლის საქმეში.

დამახასიათებელია მეზობელ არმენიის რომაულ ნაწილის მდგომარეობა, რომელსაც იგივე პროკოპი გვიხატავს კეისრის მიერ დანიშნულ ერთ-ერთი გამგის, ვინმე აკაკის, დროს.

* ამ სიტყვის გასწვრივ დედანში ავტორის ხელით მიწერილია: „რუსულ ვალუტაზე“.

„აკაკი ბუნებით ბოროტი კაცი იყო,—აცხადებს ისტორიკოსი,—და ეხლა მიეცა საშუალება გამოემეღავნებინა თავისი ხასიათი ქვეშევრდომთა მიმართ. ის მართლაც რომ ყველაზე უფრო მკაცრი აღმოჩნდა: სრულიად უსამართლოდ ართმევდა მათ ქონებას და დაადვა მათ ისეთი სახარკო გადასახადი, როგორიც არასდროს არ ყოფილა, დაახლოვებით ოთხი კენდინარი"[1]. არმენიელები ჰკლავენ აკაკის და ირანელების მხარეს გადადიან. განსაკუთრებით უჩიოდენ არმენიელები ამ ხარკს, რომელიც მართლაც დიდი იყო: კენდინარი უდრის ას ლიტრა ოქროს, ოთხი კენდინარი კი დაახლოებით—150.000 ოქროს მანეთს.

იუსტინიანეს პოლიტიკა თითქმის ყველა თავისი მხარით შეეხო საქართველოსაც, პირველ რიგში, საკუთრივ, ეგრისს.

იუსტინიანეს პირველი ღონისძიებანი ეგრისის მიმართ

ირანელების მიერ ქართლში მეფობის ძოსპობა და იქ მტკიცე ფეხით ჩადგომა კონსტანტინოპოლის მთავრობას ბუნებრივად უნდა გაეგო, როგორც რეალური მუქარა ეგრისის მიმართაც. ირანი ხომ წინათაც ურევდა ხელს დასავლეთ საქართველოს საქმეებში და დროგამოშვებით საჯაროდაც აცხადებდა თავის პრეტენზიებს ამ ქვეყნის შესახებ. ასე, იუსტინიანეს წინამოადგილის, იუსტინე კეისრის დროს (518—527), ირანის შაჰის წარმომადგენლები უმტკიცებდენ კეისრის რწმუნებულთ: კოლხეთი, რომელსაც ლაზიკეს ეძახიან, ძველთაგანვე ირანის ქვეშევრდომი ქვეყანა იყო, ეხლა კი იგი რომაელებს ძალითა და უსამართლოდ უჭირავთო[2]. 528* წ. ირანელებმა ეგრისის მეფის, წათეს, წინააღმდეგ გაილაშქრეს, მისი ორგულობისათვის | დასჯა უნდოდათ, მაგრამ რომაელ-მეგრელთა შეერთებულ ჯარისაგან ძლეულ იქნენ. შემდეგ, როდესაც ქართლის მეამბოხე მეფის გურგენის წინააღმდეგობა გასტეხეს ირანელებმა და ეგრისში გაქცეულს ურჩ ვასალს უკან დაედევნენ, მათ ისიც მოახერხეს, რომ შედარებით მცირე ენერგიის დახარჯვით, ეგრისის ორი სიმაგრე, ქართლის საზღვრებთან მდებარე (როგორც ჩანს, შორაპანი და სკანდა), ხელთ ჩაიგდეს[3]. 532 წლის საზავო მოლაპარაკების დროს ამ სიმაგრეების საკითხი ერთ-ერთ მწვავე საკითხად იყო

[1] B. P. II, 3; იქვე 35.
[2] იქვე I, 11; გეორგიკა II, 21.
[3] იქვე I, 12; გეორგ. II 24—5.
* შეადრ. „საქ. ადრ. ფეოდალიზაციის გზაზე", გვ. 95.

ქცეული: ირანელები მათი დაბრუნების გადაჭრით წინააღმდეგნი იყვნენ, რომაელებსაც ისინი ვერ დაეთმოთ. ბოლოსდაბოლოს მხარეები მაინც იმაზე შეთანხმდენ რომ ერთმანეთს ომში დაპყრობილი ადგილები გაუცვალეს და ირანელები იძულებული გახდენ ეგრისის დასახლებული ციხეები დაეცალათ[1]. ამრიგად, ე. წ. „უვადო ზავმა" (532 წ.) ეგრისის ტერიტორიული მთლიანობა აღადგინა რომაელთა სუვერენიტეტის ქვეშ. მაგრამ მაინც ცხადი იყო, რომ მდგომარეობა არ იყო მტკიცე და რომაელებს სიფრთხილე ჰმართებდათ.

ამიტომ ჯერ იუსტინემ და შემდეგ იუსტინიანემ გარკვეული ღონისძიებანი განახორციელეს. გურგენ ქართლის მეფის წყალობით შემთხვეულ ამბავს (ეგრისის სანაპირო ციხეების დაკარგვას) შედეგად ის მოჰყვა, რომ ეგრისში რომაული გარნიზონები გაჩნდა. იუსტინიანეს მეფობის ისტორიკოსი, პროკოპი კესარიელი ამტკიცებს, რომ ასეთი მოვლენა ეგრისისათვის უჩვეულო იყო. „ლაზები თავდაპირველად კოლხიდის ქვეყანაში მოსახლეობდენ და რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ, ხოლო არც ხარკს იხდიდენ, არც სხვა რამეში ემორჩილებოდენ მათ, გარდა იმისა რომ, როდესაც მათ მეფე მოუკვდებოდა, რომაელთა მეფე უგზავნიდა სამეფო ტახტის შემკვიდრეს ძალაუფლების სიმბოლოს. ის ზედმიწევნით იცავდა თავის ქვეშევრდომებთან ერთად ამ ქვეყნის საზღვრებს, რათა მტრულად განწყობილი ჰუნები, მათი (ლაზების) მოსაზღვრე კავკასიის მთიდან ლაზიკეზე გამოვლით რომაელთა მიწა-წყალში არ შემოჭრილიყვნენ. ისინი მტკიცედ იცავდენ იმათ ისე, რომ არც ფულს ღებულობდენ რომაელებისაგან, არც ჯარს, და არც ლაშქრობდენ რომაელებთან ერთად,—რა სახითაც არ უნდა ყოფილიყო ეს"-ო[2]. ასეთი მდგომარეობა იყო დას. საქართველოში უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებით, საგულისხმებელია, V ს-ში. თორემ წინათ, ჩვენ ვიცით, ეს ქვეყანა რომაელებს ხარკსაც უხდიდა და თავის ტერიტორიაზე მათს მეციხოვნე ჯარებსაც ინახავდა. ამ ჯარების ხელახალი აქ გამოჩენა, ცხადია, სასიამოვნოდ არ უნდა დარჩენოდათ ადგილობრივ მმართველ წრეებს. ასე აფასებდენ მომხდარ ფაქტს მეზობლებიც: რომაელთაგან გამდგარ არმენიელების მოციქულები, იუსტინიანეს სხვა ბოროტმოქმედებათა შორის, ირანის შაჰს იმასაც უსა-

[1] B. P. I, 22; გეორგ. II, 33.
[2] იქვე, II, 15; გეორგ. II, 45—6.

ხელებდენ, რომ „საცოდაე ლაზთა მეფეს რომაელი სარდალი ჩაუ-ყენა"-ო [1].

რომ შავი ზღვის ამ სანაპიროს იუსტინიანე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ეს ჩანს მისი მოქმედებიდან მეორე ქართველი ტომის, ჭანების, მიმართაც. წინათ ისინი არავის ქვეშევრდომები არ ყოფილან, პირიქით, რომაელთა მეფე მათ ყოველწლიურად ოქროს გარკვეულ რაოდენობას უგზავნიდა, რათა მეზობელი რომაელები დაეცვა ამ გზით ჭანების მძარცველობისაგან. ძარცვა-კი მათთვის ხელობად იყო გადაქცეული, რადგანაც მიწა არაფერს აძლევდა სარჩოდო. იუსტინიანეს სარდალმა მოახერხა მათი დამორჩილება და ჭანეთში რომაულ რეჟიმის დამყარება მთელი თავისი ატრიბუტებით— ქრისტიანობით, მოლაშქრეობით რომაულ დროშებს ქვეშ და სხვ. [2]

საკუთრივ დასავლეთ საქართველოს მაინც კონსტანტინოპოლის მთავრობა მეტ ყურადღებას აქცევდა და თანდათან აფართოებდა იქ თავის საქმიანობას.

უკვე პირველსავე მეცხოვნეებს ადგილობრივი მოსახლეობა შეუწუხებიათ, და უწინარეს ყოვლისა, ჯარის უფროსს, პეტრე სტრატეგოსს, რომელიც ყველას უდიერად ექცეოდა და რომელიც თავის ვერცხლმოყვარეობით, ჩანს, არ ჩამოუვარდებოდა სხვა ჩვეულებრივ ბიზანტიელ მოხელეებს.

პეტრეს მომდევნო მთავართა შორის თავის უტიფრობით ყველასათვის წაუცილებია ვინმე იოანე ციბეს. ეს ციბე, იმავე პროკოპი კესარიელის სიტყვით, იყო „კაცი, არაწარჩინებულთა და არასახელოვანთა შთამომავალი, რომელმაც სტრატეგოსობამდის მიაღწია სხვა არაფრით, გარდა იმისა, რომ ყველაზე უფრო საზიზღარი იყო და ყველაზე უფრო მოხერხებული ფულის საშოვნელად უსამართლო საშუალებათა გამოგონებაში. ის იყო რომ რომაელთა და ლაზთა ყველა საქმე გაამრუდა და არივ-დარია" [3].

ციბეს მოძმედება ეგრისში. საკვაჭრო მონოპოლია

ციბემ, როგორც მისი თვისებებისაგან იყო მოსალოდნელი, უწინარეს ყოვლისა, მოსახლეობის ძარცვა-გლეჯით ისახელა თავი. მაგრამ მისი ინიციატივის ნაყოფია ისეთი ღონისძიებაც, რომლის მსგავსს მანამდის ადგილი არ ჰქონია ამ ქვეყანაში და რომელმაც

[1] B. P. II, 3; გეორგ. II, 4C.
[2] იქვე, I, 15; გეორგ. II, 25—7.
[3] იქვე II, 15; გეორგ. II, 47.

ეგრისის მმართველ წრეებს უაღრესად სერიოზული ნაბიჯი გადაადგმევინა. ამ ამბების შესახებ სჯობს სიტყვა მივსცეთ თვით ციბეს თანამედროვეს, იმავე პროკოპი კესარიელს, რომელსაც პირველხარისხოვანი ოფიციალური დოკუმენტები ჰქონდა ხელთა და რომელსაც, თავის წარჩინებულ მდგომარეობის წყალობით იუსტინიანეს ბიუროკრატიაში, პირადადაც ბევრი რამ შეიძლებოდა სცოდნოდა. გარდა იმისა, ამბობს პროკოპი, რომ ციბე „სძარცვავდა ლაზთა ქონებას", ამავე პირის განკარგულებით, „ვაჭრებს უკვე ნება აღარ ჰქონდათ კოლხიდაში შეეტანათ მარილი და სხვა საქონელი, რაც ლაზებისათვის აუცილებლად საჭიროა, არც აქედან შეეძლოთ რამე ეყიდინებინათ, არამედ მან (ე. ი. იოანე ციბემ) შემოიღო ეგრეთწოდებული მონოპოლიონი და თვით გადაიქცა მეწვრილმანედ და მთელი ამ საგნებით ვაჭრობის ზედამდგომად; ყველაფერს ჰყიდულობდა და აწვდიდა კოლხებს არა ისე, როგორც ეს ჩვეულებრივ იყო, არამედ ისე, როგორც ეს მის მიერ ნებადართული იყო" [1].

სხვა ადგილას ავტორი თვით ლაზებს ათქმევინებს, რომ რომაელები მათთვის საჭირო საგნებში, რომლებიც ქვეყნიდან გაჰქონდათ, ფასს მხოლოდ სიტყვით იხდიდენ, „რადგან ფასი თვითეულ შემთხვევაში წესდება მმართველთა აზრისდა მიხედვით". ციბე და მისი თანამოაზრენი უფრო შორსაც წასულან: ისინი იძულებით აღებმიცემასაც აწარმოებდენ—„რაც კი საჭირო საგნებიდან მათთვის ზედმეტი აღმოჩნდებოდა, მის ყიდვას აიძულებენ ლაზებს, მათი ნების წინააღმდეგ". „ამნაირად, საჭირო საგნებთან ერთად ისინი გვართმევენ მთელ ოქროსაც, და უწოდებენ ამას ვაჭრობის კეთილშობილ სახელს. საქმით-კი ისინი გვმძლავრობენ რაც შეიძლება უფრო მეტად. ჩვენ გვიყენია მთავარი მეწვრილმანე, რომელიც ჩვენს სიღარიბეს, ძალაუფლების წყალობით, მოგების საშუალებად ხდის"-ო, შესჩიოდენ ლაზების ელჩები ირანის მეფეს [2].

ესე იგი, იოანე ციბემ მოსპო დასავლეთ საქართველოში აღებმიცემის თავისუფლება იმისთვის, რათა მთელი სარგებელი მიეთვისებინა და რათა თავისთვის სასურველი ფასები თვითნებურად დაეწესებინა. მოქმედებდა ამ შემთხვევაში ციბე სრულიად დამოუკიდებლად, თუ მას თავის მთავრობის ერთგვარი დასტურიც ჰქონდა,

---

[1] გეორგიკა II, გვ. 48.

[2] იქვე, გვ. 51.

ეხლა ძნელი გასაგებია. სავაჭრო მონოპოლიას ამ დროს ჩვენ აღმ-
რომის იმპერიის სხვა პროვინციებშიც ვხედავთ: იგი გულისხმობდა
არა მარტო ფუფუნების საგნებს, როგორც, მაგ., აბრეშუმს (აბრეშუ-
მის ვაჭრობა იმთავითვე სახელმწიფო მონოპოლიისა და მკაცრი რეგ-
ლამენტაციის საგანი იყო), არამედ მასობრივი მოთხოვნილების საქო-
ნელსაც, მაგ. პურს. ამიტომ ადვილად შესაძლებელია, ბიზანტიონშიაც
ჰყოლოდა ლაზების „მთავარ მეწვრილმანეს", თუ მთავარ ჩარჩს,
სარგებლის მონაწილენი და ამ საქმიანობის მფარველნი, მაგრამ შემ-
დეგში, როდესაც ასეთმა პოლიტიკამ სრულიად მოულოდნელი ნა-
ყოფი გამოიღო, ყველაფერი ამ მოხელისათვის დაებრალებინათ [1].

ყოველ შემთხვევაში, ციხეს საქმიანობამ მართლაც დიდ-დიდი
ამბები დაატრიალა ეგრისში. საგარეო ვაჭრობას ეგრისის მმართველ-
წრეებისათვის სასიცოცხლო შნიშვნელობა ჰქონდა და ამ ვაჭრობის
უკვე არსებულ პირობებზე მათ ადვილად უარის თქმა არ შეეძლოთ.

ციხე-ქალაქ პეტრას აშენება. პეტრას ადგილმდებარეობა

ეგრისში განზრახულ პოლიტიკის გასატა-
რებლად საჭირო იყო რომაელთა ფიზიკურ-
ძალების ისეთი გამაგრება ადგილობრივ,
რომ კეისრის წარმომადგენელს თავისუფლად შესძლებოდა თავისი
ნებასურვილები ეკარნახებინა ქვეყნის მმართველ წრეებისათვის. ამ
მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ იუსტინიანემ,
იმავე ციხეს რჩევითა და დაჯერებით, ერთი ადგილობრივი, წინათ
„უმნიშვნელო",—როგორც ამბობს პროკოპი,—პუნქტი ციხე-ქალა-
ქად აქცია: „გარეზღუდისა და სხვა მინაშენების საშუალებით გაამა-
გრა და ყოველმხრივ გააშშენიერა კიდეც" [2]. ქალაქი პეტრა მიუ-
ვალად ითვლებოდა, საძხედრო თვალსაზრისით, რადგანაც, ერთი
მხრით, ზღვა ერტყა (იგი ზღვის პირას იყო აშენებული), მეორე
მხრით კი,—ციცაბო კლდეები, რომელიც იქ ყოველი მხრით იყო
ამართული, და სწორედ ამიტომაა, რომ მას „პეტრა" დაერქვაო, ამ-
ტკიცებს ეს ბერძენი მწერალი („პეტრა" ბერძნულად „კლდეს" ნიშ-
ნავს). შემდეგში მისთვის, კეისრის პატივსაცემად, „იუსტინიანეს ქა-
ლაქი" დაურქმევიათ [3].

იმავე მწერლის ცნობებიდან ჩანს, რომ ციხე დიდი იყო: მასში

[1] გეორგიკა II, 51. იხ. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის შენიშვნა.
[2] იქვე II, 17, გვ. 54. შეადრ. გვ. 47, 190 (პროკოპის სხვა თხზულებიდან; „შენებულებათათვის") და 198 (თვით იუსტინიანეს ნოველიდან).
[3] იუსტინიანეს ნოველა 31-ე, გეორგიკა, II, 198 და იქვე, გვ. 60, პროფ. ს. ყაუხჩიშვილის შენიშვნა.

შეიძლებოდა სამი ათასი ციხოვანი მეომარი დატეულიყო. სამხედრო სიმაგრეებს გარდა ზღუდის შინაგან ჩვეულებრივი საცხოვრებელი შენობებიც ყოფილა.

პეტრამ იმ დროინდელ დასავლეთ საქართველოს ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა, რამდენადმე მსგავსი ტფილისის როლისა აღმოს. საქართველოსათვის, და ამიტომაა რომ მისი ადგილმდებარეობის საკითხი მკვლევართა ყურადღებას იპყრობდა და იპყრობს. საკითხს ითქმის ერთი საუკუნის ისტორია აქვს. უკვე პირველმა ევროპელმა არქეოლოგმა, რომელმაც სპეციალური მიზნით მოიარა საქართველო, Dubois de Monpereux-მ, წამოაყენა ეს საკითხი და მოსაზრებაც გამოსთქვა, რომ საძიებელი ქალაქის ნაშთები დაცულია ნატანებ-ოზურგეთის გზაზე, მდ. ნატანებისა და სკურდების შესართავთან, იმ ადგილას, რომელიც უჯენარის (შეცდომაა, უნდა იყოს—ვაშნარის) სახელწოდებას ატარებსო[1]. დიუბუაზე ამ შემთხვევაში განსაკუთრებული გავლენა ვაშნარის მართლაც საყურადღებო და მნიშვნელოვანმა ნანგრევებმა მოახდინეს. მაგრამ ჯერ უკვე მ. ბროსემ და შემდეგში დიმ. ბაქრაძემ სავსებით სამართლიანად უარყვეს დიუბუას მოსაზრება, ეყრდნობოდენ რა უმთავრესად იმ მკაფიო ცნობას, რომ პეტრა ზედ ზღვისპირას იყო აგებული, რასაც სრულებით არ შეეფერებოდა ზღვიდან 25 კილომეტრით დაშორებული ვაშნარის მდებარეობა.

მ. ბროსემ ამასთან ერთად წამოაყენა საკუთარი მოსაზრება, რომ პეტრა ქობულეთის მახლობლად, vers Kobouleth, არის საძიებელი[2]. შემდეგ, პროკოპი კესარიელის რუსმა მთარგმნელმა და კომენტატორმა, გ. დესტუნისმა, პეტრად მიიჩნია მერმინდელი რუსული სიმაგრე, წმ. ნიკოლოზის სიმაგრედ წოდებული, მდ. ნატანების შესართავთან (ქართ. „შეკვეთილი"). დესტუნისი ამოდიოდა პროკოპის ცნობიდან პეტრას მდებარეობის შესახებ შავი ზღვის აღმოს. სანაპიროს ნახევარ-მთვარისებრ მოხაზულ ნაპირის სამხრეთის თავში[3].

სამოცდაათიან წლებში კავკასიოლოგმა ვაიდენბაუმმა გაკვრით შენიშნა ციხისძირის (პუნქტი ქობულეთსა და ჩაქვს შორის) შესახებ,

---

[1] Voyage autour du Caucase, t. II, p. 85 და t. III, p. 86 sqq.

[2] Additions et éclaircissements, p. 103; შეადრ. დიმ. ბაქრაძე, Археолог. путешествие по Гурии и Адчаре, 275—6.

[3] Пр. Кесарийский, Ист. войн римлян с персами, пер. Дестуниса, кн. II, гл. 29, прим. 13; იქვე, დანატება III, 263—264.

ალბათ აქ იყო პეტრაო[1]. ხოლო 1906 წ. ი. კალფოგლუმ ვაიდენ-
| ბაუმის მიერ წამოყენებულ დებულებას სპეციალური წერილი უძ-
ღვნა, რომელშიაც იმავე აზრს მიემხრო, ციხისძირის ისტორ. ნაშთის
ადგილობრივ დათვალიერების ნიადაგზე[2]. მაგრამ ვერც ვაიდენბაუმ-
მა, ვერც კალფოგლუმ, როგორც ჩანს, არქეოლოგები ვერ დაარწმუ-
ნეს: პირველს არც უცდია თავის აზრის დასაბუთება (იგი მხოლოდ
ამ პუნქტის სტრატეგიულ სიძლიერეზე მიუთითებდა). მეორის წერი-
ლი-კი დილეტანტის ნაწარმოების შთაბეჭდილებას ახდენდა—აქ ერ-
თადერთ საბუთად მოტანილი იყო ციხისძირის ნაშთის ადგილმდე-
ბარეობა კლდეზე, ზღვისპირას, რაც ახლოს არის სათანადო ცნობას-
თან პეტრას ტოპოგრაფიის შესახებ (აქ ავტორი ასახელებს მხოლოდ
B. P. c. 15), მაგრამ ეს მოსაზრებაც არ იყო ზუსტ ფორმაში გამო-
თქმული. ავტორი წყაროებს, როგორც ჩანს, არ იცნობს და ვერც
საჭირო მეცნიერული პასუხისმგებლობით ეპყრობა მათ; მაგ., სრუ-
ლებით არ შეეფერება სინამდვილეს ავტორის მტკიცება, თითქოს
პროკოპი ამბობდეს, რომ იუსტინიანემ პეტრა ააშენა „ბათის“ ნავთ-
სადგურთან (ე. ი. ბათომთან), თუ მის მახლობლადო. ასეთი ცნობა
არსად არ მოიპოება. საკითხის გარკვევას ვერაფერს ჰმატებს აგრეთ-
ვე ავტორის ერთადერთი ახალი ცნობა, თავისთავად საინტერესო
ჩვენება, იერუსალიმის პატრიარქ ქრისანთისა, რომ პეტრა მდება-
რეობდა ქუთაისსა და ბათომის ნავთსადგურს შორის.

1934 წ. პროფ. ს. ყაუხჩიშვილი გამოსთქვამს ახალ მოსაზრებას,
რომლის მიხედვითაც პეტრად თანამედროვე ბათომი უნდა მივიჩ-
ნიოთ. ს. ყაუხჩიშვილისათვის გარდამწყვეტი მნიშვნელობა აქვს
ნავთსადგურის საკითხს—პეტრა, მისი აზრით, ისეთ პუნქტში უნდა
ვეძიოთ, „რომელიც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ვაჭრობისათვის
და სავაჭრო მიმოსვლისათვის და აგრეთვე სამხედრო საქმიანობისა-
თვის, ე. ი. კარგი საზღვაო ნავთსადგურის პირობებს აკმაყოფილებ-
და, ასეთი კი, ამ რაიონში, ბათომია“[3]. გარდა ამისა, მას შესაძლებ-
ლად მიაჩნია ერთმანეთს დაუახლოოს ეს ორი სახელწოდება (ბ ა თ
უნდა ენათესავებოდეს სვანურ სიტყვას „ბაჩ“, რაც ქ ვ ა ს ნიშ-
ნავსო. შეადრ. „პეტრა“—ქვა).

როგორც ვნახეთ, საკითხით დაინტერესებულ პირთა უმრავლე-

[1] „От Батума до Артвина“: Кавказские этюды, Т. 1901, 112—3.
[2] И. И. Казьфогду, Город Петра-Цихис-дзири, ИКОИРГО, т. XVIII
[3] გეორგიკა, II, გვ. 58, შენ. 2 და გვ. 77, შენ. 1.

სობა პეტრას გურია-აჭარის სანაპიროზე იგულვებს, მდ. ნატანებსა და ქალ. ბათომს შორის, და სავსებით სამართლიანადაც. პროკოპი კესარიელი, რომელიც გადმოგვცემს მთავარ ცნობებს პეტრას შესახებ, | სრულიად გარკვეულად მიუთითებს პეტრას ადგილმდებარეობის შემდეგ ნიშნებზე: პეტრა მდ. ფაზისის, ე. ი. რიონის, მარცხნივაა (მაშასადამე, სამხრეთით) [1]. ქალაქ პეტრადან სამხრეთისაკენ წასული რომაელთა საზღვრებს ხვდება, სადაც რიზე, ათინა (დღეს აც არსებობენ) და სხვა პუნქტები მდებარეობს (იქვე). ამ პუნქტთა შორის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე და რიზესგან სამი დღის სავალზე დაშორებული, აფსირტი (ანუ აფსარუნტი), თავის მხრივ, ქალაქ პეტრასა და ლაზთა საზღვრებს (ე. ი. ლაზიკის სამხრეთ საზღვარს, რომელზედაც იდო პეტრა) ერთი დღის სავალითაა დაშორებული [2]. ამ ლაზიკის სამხრეთ საზღვარსა (და, მაშასადამე, პეტრას) და მდ. ფაზისს (რიონს) შორის აგრეთვე ერთი დღის მანძილია, ანოდნავ მეტი [3]. თუ გავითვალისწინებთ რომ აფსარუნტი, სრული უეჭველობით, ჭოროხის შესართავთანაა საძიებელი და, შესაძლებელია, თანამედროვე გონიოს ადგილზე მოდიოდეს (ასეთი მოსაზრება გამოთქმული ჰქონდა აკად. თ. უსპენსკის, და ჩვენც, სხვა ადგილას, ვცდილობდით მის დასაბუთებას), მაშინ ცხადი გახდება რომ პეტრა მდებარეობდა შუაგზაზე რიონსა და ჭოროხს შორის. ამასვე, ნაწილობრივ, ეთანხმება პროკოპის აღწერილობა შავი ზღვის აღმოსავლეთის, ნახევარმთვარისებრი, ნაპირისა, რომელიც შუაშია გაყოფილი ფაზის-რიონით, და რომლის სამხრეთით მდებარე კიდეზე მოდის ლაზიკის საზღვარი და ქალაქი პეტრა. ამ პუნქტიდან ფაზისამდის, პროკოპის ცნობის თანახმად, 225 სტადიონი უნდა ვიანგარიშოთ, ე. ი. დაახლოებით 40 კილომეტრი. ამ მანძილების მიხედვითაც აშკარაა, რომ პეტრა ქობულეთ-ჩაქვის რაიონშია საძიებელი.

ტოპოგრაფიული აღწერილობა იმ ადგილისა, სადაც აგებული იყო ქალ. პეტრა, გაარკვევს საკითხს უფრო ნათლად. საბედნიეროდ ეს ტოპოგრაფიული ჩვენებებიც, რომელნიც იმავე პროკოპის ეკუთვნიან, აგრეთვე სავსებით მკაფიო და ნათელია.

„პეტრა ზღვისპირა ქალაქია კოლხეთში, ეგრეთწოდებულ ევქსინის პონტოსთან“ [4]. იგი „ზღვისპირა ქალაქია ლაზების ქვეყანა-

[1] B. P. II, 73; გეორგიკა II, 73.
[2] B. G. VIII, 2; იქვე. II, 96.
[3] B. P. II, 29; იქვე II, 73.
[4] იქვე II, 17; გეორგ. II, 54.

ში“ [1]. ქალაქი, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, „მიუვალად“ ითვლებოდა „ჯერ ერთი ზღვის მხრით, მერე ციცაბო კლდეებით“, რომელიც იქ ყოველი მხრით არის აღმართული. აქედან არის, რომ | მას ეს სახელწოდება ხვდა წილად. მხოლოდ ერთი შესავალი აქვს მას დაბლობში, ისიც არც თუ ისე ფართე: ვინაიდან მის ორივე მხარეს არაჩვეულებრივი კლდეებია დაკიდებული [2].

თუ აღნიშნულს ტოპოგრაფიულ ცნობებს ჩავუკვირდებით, იძულებული ვიქნებით დავასკვნათ, რომ ქობულეთ-ჩაქვის სანაპირო ხაზზე მხოლოდ ციხისძირი, და ციხისძირი-კი ზედმიწევნით, უპასუხებს პროკოპის აღწერილობას. შეიძლება მეტიც ითქვას: გურია-აჭარის მთელ სანაპიროზე მხოლოდ ციხისძირს შეშვენის მთლიანად ის ტოპოგრაფიული ნიშნები, რომლებიც ზემოთ იყო ჩამოთვლილი. მართალია, ჩაქვთან, მახინჯაურთან, ბათომთან არის ცალკე პუნქტები, სადაც ზღვისპირას ბორცვებია აღმართული. მაგრამ არსად ეს ასეთი მასშტაბითა და სახით არ არის მოცემული, როგორც ციხისძირში: აქ საკმაოდ მაღალი ქედი ზედ ზღვას მისდგომია, ნაპირისგან მცირე დაშორებით მრავალ შტოდ დაშლილა და ამრიგად შიგ ზღვის სიღრმეში გადაჭრილა. ეს გორაკები ერთმანეთისაგან ღრმად გაღარულ ხევებითაა გამიჯნული, რომლებშიაც ბლომად ჩამოდის წყალი (წყაროები თუ ღელეები). ასეთი რელიეფი აქ დაახლ. ორნახევარი კილომეტრის მანძილზეა გაფენილი. მეორე ნიშანდობლივი თვისება ციხისძირის ნაპირისა არის მისი კლდოვანი ხასიათი. მთელს აღწერილ სივრცეზე კლდეებს ვხვდებით, მეტ-ნაკლები სიდიდისას. შესაძლებელია, რომ ეს კლდოვანი ხასიათი ნაპირისა თავის დროზე კიდევ უფრო მკაფიოდ ყოფილიყო წარმოჩენილი, რადგანაც საფიქრებელი ხდება, რომ გარკვეულ ხანაში აქ ნაპირს ერთგვარი დეფორმაცია უნდა განეცადოს. კერძოდ, ამ დეფორმაციის შედეგი შეიძლება იყოს მეტნაკლები სიდიდის ლოდები და კლდეები, რომლებიც აქ ბლომადაა ზღვის ფსკერზე მიმოფანტული, ნაპირის სიახლოვეს.

ყოველივე ამის შემდეგ სრულიად ბუნებრივად შეიძლება გაჩნდეს ეჭვი იმის შესახებ, ხომ არა აქვთ კავშირი პეტრასთან იმ თავისთავად საყურადღებო ნანგრევებს, რომლებიც ციხისძირის ერთ-ერთ ჩრდილოეთით მდებარე ბორცვზეა შემონახული. ტოპოგრაფია ბორ-

[1] B. P. II, 15; გვ. 47.

[2] იქვე II, 17; გვ. 57.

ცვისა კიდევ უფრო ახლო დგას პროკოპის ნიშანდობლივ აღწერილობასთან: იგი ზედ ზღვის კიდეზეა აღმართული და მისი ჩრდ. და დას. ფერდობები ნაწილობრივ—დიდი გაშიშვლებული კლდეებისაგან შესდგება. ყურადღებას იქცევს წყლის სიმრავლე გორაკის რაიონში—თვით მის ძირობაზე სამი კარგი წყაროა, ხოლო იქვე მოზრდილი ღელეც ჩამოდის.

| სპეციალურად უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ გამოთქმული მოსაზრება ნაპირის სახის ცვლილების შესახებ, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ ნანგრევების ადგილს შეეხება. ერთი თურქი ოფიცერი, რომელიც მომსწრე და მონაწილე იყო რუსეთ-თურქეთის ომებისა წარსული საუკუნის შუაწლებში და, კერძოდ, საომარი მოქმედებისა, თვით ჩვენთვის საინტერესო რაიონშიაც, ამბობს რომ ციხისძირის ციხე (ე. ი. ჩვენ მიერ ნაგულისხმევი ნაშთი, აწ ნანგრევების სახით არსებული) აგებულია ერთს უზარმაზარ კლდეზე, რომელსაც 120 მეტრის სიმაღლე აქვს[1]. მაშასადამე, 1855 წ., რა დროსაც ეკუთვნის ამ ოფიცრის მოგონებები, ციხისძირის ისტორიულ ნაშთის ბორცვს კიდევ უფრო სპეციფიკური შეხედულება ჰქონია და მას მხოლოდ შემდეგში უცვლია ნაწილობრივ სახე. მართლაც, აჭარის საშხარეთმცოდნეო მუზეუმის დირექტორმა, ნ. ნ. გომანმა, რომელიც ქ. ბათომის ძველი მკვიდრია, დაგვიდასტურა, რომ ციხისძირის ნაციხვარის გორაკის ერთი მხარე, თვით ნაშთის ნაწილთან ერთად, ამ 50 წლის წინათ ააფეთქა ბათომის ოლქის გენ.-გუბ. თავ. ერისთავმა. ააფეთქების მიზანი იყო ქვის მოპოვება ბათომის ნავთსადგურის ჯებირისათვის („მოლისათვის"), რომელსაც იმხანად აგებდენ[2]. ყოველივე თქმულის შემდეგ ცხადი უნდა იყოს რომ, თავის დროზე, მოცემულ პუნქტს კიდევ უფრო მეტი უფლებით, ვიდრე ეხლა, შეეძლო ეტარებინა „პეტრას" (კლდის) სახელწოდება. ჩვენ მაინც შეუძლებლად მიგვაჩნია მხოლოდ მოტანილი მოსაზრებებით დაკმაყოფილება. საჭიროა აგრეთვე პუნქტისა და ძეგლის რეალურ-პრაქტიკული ფუნქციის განხილვა და მისი ისტორიული განვითარების გათვალისწინებაც.

ახალი ქალაქისათვის გარკვეული პუნქტის შერჩევისას რომაელებისათვის გარდამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რა თქმა უნდა, იმ

[1] Майор Осман-бей, Воспоминания 1855 г. Кавк. Сборник, т. II. ამ წერილზე ჩვენი ყურადღება მიაქცია ქრ. გ. შარაშიძემ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

[2] ნ. ნ. გომანს აღნიშნულ ცნობისათვის მადლობას ვუძღვნით.

ამოცანას, რომელსაც ისინი ამ თავის ნაგებობას აკისრებდენ. ეს ამოცანა სავსებით მკაფიოდ არის აღნიშნული იმავე პროკოპის მიერ. პეტრას აგების ისტორიას პროკოპი ასე მოგვითხრობს, ახასიათებს რა იმავე დროს ამ ამბის პირობებსაც: იუსტინიანე კეისარი, სხვა მოხელეთა შორის, გზავნის ლაზიკაში, როგორც უკვე მოთხრობილი იყო, იოანე ციბეს. „ის იყო,—ამბობს პროკოპი,—რომ რომაელთა და ლაზთა ყველა საქმე გაამრუდა და არივ-დარია. მანვე დააჯერა [მეფე იუსტინიანე ლაზების ქვეყანაში ზღვისპირა ქალაქი აეშენებინა, სახელად პეტრა. ი ქ ი ჯ დ ა ი ს, ვ ი თ ა რ ც ა ა კ რ ო პ ო ლ ი ს-შ ი“[1]... მოვიგონოთ რომ იმ მიზეზების შესახებ, რომელთაც გამოიწვიეს ამ ა კ რ ო პ ო ლ ი ს ი ს აგება, პროკოპი მოგვითხრობს: ლაზები მანამდინაც რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ, მაგრამ არც ხარკს იხდიდენ, არც სხვა რამეში ემორჩილებოდენ მათ, გარდა იმისა, რომ კეისარი ლაზიკის ტახტზე ახლად ამავალ მეფეს სამეფო ნიშნებს უგზავნიდა. ამ ვასალის მოვალეობას შეადგენდა თავისი ქვეყნის ჩრდილოეთის საზღვრის დაცვა ჩრდილოეთ-კავკასიელ ნომადების (კერძოდ—ჰუნების) წინააღმდეგ. მაგრამ VI ს. ოციან წლებიდან ლაზიკაში პ ი რ ვ ე ლ ა დ (როგორც ამბობს პროკოპი; ნამდვილად კი—დიდი ხნის აქ არყოფნის შემდეგ) გაჩნდენ რომაული გარნიზონები. გამოწვეული იყო ეს იმ გარემოებით, რომ ამ ხნისათვის აღმ. საქართველო (ივერია) საბოლოოდ ხელში ჩაიგდეს ირანელებმა, რომლებმაც 523 წ. მეფობაც მოსპეს ივერიაში და რომელნიც სრულიად არ მალავდენ თავიანთ ზრახვებს დას. საქართველოს (ლაზიკის) მიმართაც. რაკი თვით ლაზიკის მმართველ წრეებსაც წინახანებში არა ერთხელ გამოეჩენინათ თავისი ანტირომაული განწყობილება და მიდრეკილება ირანულ ორიენტაციისადმი, ამიტომ ბუნებრივია, რომ იუსტინიანემ განახორციელა რადიკალური ღონისძიებანი, რომლებიც გულისხმობდენ, ერთი მხრით, ქვეყნის თავდაცვას, განსაკუთრებით, ირანელების წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრით, კონტროლის გაძლიერებას ლაზიკის მმართველ წრეების მიმართ (რაკი კონსტანტინოპოლის მთავრობას არ ჰქონდა დიდი საფუძველი სრული ნდობით მოჰპყრობოდა ამ უკანასკნელთ). სწორედ ეს დანიშნულება ჰქონდა რომაელთა ციხოვან ჯარების შეყვანას ლაზიკაში. თავდაპირველად რომაელებმა სცადეს ამ ჯარებით იმ სიმაგრეების (პირ-

---

[1] B. P. II, 15; გ;ორგ. II, 47—48.

ველ რიგში, სკანდისა და შორაპნის) დაცვა, რომლეთიც ივერიის საზღვართან მდებარეობდენ. მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა ეკონომიურად: ეს მხარე საკუთარი მეურნეობით მეტად მწირი იყო და აღნიშნულ გარნიზონებს თავის გამოკვება აქაურ პროდუქტებით არ შეეძლოთ, ხოლო გარედან სურსათის მიწოდება მათთვის აგრეთვე გადაულახავ სიძნელეებთან ყოფილა დაკავშირებული, გზებისა და ტრანსპორტის მდგომარეობის მიზეზით ამ ქვეყანაში[1], რომაელებმა დასტოვეს ეს სიმაგრეები და ისინი ირანელებმა დაიპირეს (იქვე). მაგრამ ეს | უკანდახევა არ ნიშნავდა რომაელების მიერ მთლად ხელის აღებას ლაზიკაზე. რომაელთა ჯარები მაინც დარჩნენ ამ ქვეყანაში, მხოლოდ უფრო მოხერხებულ პუნქტებში გამაგრდენ. ასეთებად, უწინარეს ყოვლისა, ცხადია, ზღვისპირა სიმაგრეები უნდა ყოფილიყო მიჩნეული (მაგ. ფაზისი—ფოთი და სხვ.). მსგავს პუნქტებთან კავშირის განხორციელება ზღვით რომაელებისათვის სრულიად ადვილი საქმე იყო. ამ ზღვისპირა სიმაგრეთა შორის პირველი ადგილი იმთავითვე დაიპირა პეტრამ. პროკოპის საწინააღმდეგო ცნობები აქვს ამ ადგილას მოსახლეობის მანამდე არსებობის შესახებ, მაგრამ, შესაძლებელია, რომ მისი მერმინდელი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა ადრევე ნათელი ყოფილიყო. თუ, მაინც, იგი ციხე-ქალაქად მართლაც იოანე-ციბეს რჩევით აქციეს, მაშინ, უნდა ითქვას, რომ ეს კეისრის, სხვაფრივ სახელგატეხილი, აგენტი ჭეშმარიტად ნიჭიერი კაცი ყოფილა. არჩევანი უზადო იყო: როგორც რომაული პოლიტიკის გატარებისათვის თვით ლაზიკაში, ისე საგარეო-სამხედრო თავდაცვის საქმისათვის ციხისძირზე უკეთესი პუნქტის მოძებნა გურია-სამეგრელოს სანაპიროზე შეუძლებელი იყო. ეს გარემოება მომდევნო ისტორიულ ეპოქებშიაც არა ერთგზის გამოაშკარავებულა.

ჯერ ერთი, როგორც ვნახეთ, სტრატეგიული თვალსაზრისით, პუნქტი მიუვალად ითვლებოდა. მეორე მისი უდიდესი მნიშვნელობა მდგომარეობდა იმაში, რომ იგი ჰკეტავდა უმნიშვნელოვანეს გზას, რომლითაც სამხრეთიდან (ე. ი. რომის აღმოსავლეთ პროვინციებიდან, არმენიიდან, ირანის ჩრდ.-დასავლ. პროვინციებიდან) შემოდიოდენ დას. საქართველოში. მეორე გზა, რომლითაც აგრეთვე შეიძლებოდა სამხრეთიდან დასავლეთ საქართველოში გადმოსვლა,

[1] B. P. I, 12, გეორგ. II, გვ. 24—25.

რკინის ჯვარზე ანუ, ეხლანდელი სახელწოდებით, ზეკარის უღელტეხილზე, მიემართებოდა (ე. ი. თანამედროვე აბასთუმან-ბაღდათის გზის ხაზს მიჰყვებოდა). რადგანაც ეს უკანასკნელი ბუნებრივად ირანული კონტროლის ქვეშ უნდა ყოფილიყო (იგი უშუალოდ ირანული პროვინციებიდან გადმოდიოდა დას. საქართველოში), ამიტომ პირველს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სწორედ რომაელებისათვის: იგი ლაზიკას პირველ რიგში სწორედ რომაულ პროვინციებს უკავშირებდა. ციხისძირზე გადმოსული ეს გზა ჭოროხთან, ჩანს, იყოფოდა ორ შტოდ: ა) ერთი ჭოროხისავე მიმდინარეობას მიჰყვებოდა ზევით (ე. ი. დაახლოებით თანამედროვე ბათომ-ართვინის გზის მიმართულებით) და ერზერუმში (მაშინდელს თეოდოსიოპოლში) ჩადიოდა. დამახასიათებელია, რომ ამ გზაზე IX ს. დამდეგს აღმოცენდა ქალ. არტანუჯი, რომელიც კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, X ს. პირველ ნახევრისათვის, უკვე ითვლებოდა მთელი მესხეთის, ქართლისა და აფხაზეთის ეკონომიურ გასაღებად. ბ) მეორე შტო ჭოროხის შესართავიდან უკვე ზღვისპირს მიჰყვებოდა ტრაპეზუნტამდის. ამ მიმართულებით, ჩანს, ზღვით მოძრაობას უფრო არჩევდენ, მაგრამ რომ ხმელეთითაც ამ ხაზზე მიმოსვლა წარმოებდა, ეს ცხადია ძველი ქართული ცნობებიდან. ორივე ეს გზა, ერთს მაგისტრალში გაერთიანებული, როგორც ვთქვით, მხოლოდ ვიწრო დეფილეთი შედიოდა ლაზიკის ტერიტორიაზე: ციხისძირის აღმოსავლეთით მდებარე დიდი მთის მასივები, უღრან ტყეებით დაფარული, სრულიად გაუვალი იყო (ვიდრე ზეკარის უღელტეხილამდე) ხმელეთით მოგზაურთათვის. იმავე დროს პეტრა-ციხისძირს ადვილად შეეძლო კონტროლი გაეწია საზღვაო მოძრაობისათვისაც, რადგანაც მაშინ, ჩვეულებრივ, საზღვაო ნაოსნობა საკაბოტაჟო ხასიათისა იყო.

თქმულიდან ცხადია პეტრა-ციხისძირის დიდი ეკონომიური მნიშვნელობაც: აღნიშნული მაგისტრალი ხომ ემსახურებოდა არა მარტო სამხედრო საჭიროებებს, არამედ უწინარეს ყოვლისა და კიდევ უფრო მეტად საქონლის ტრიალსაც. ამიტომ იყო რომ რომაელთა სტრატეგოსი, რომლის ძთავარ რეზიდენციად იქცა პეტრა, ახერხებს „ლაზთა ქონების ძარცვის“ ორგანიზაციას ამ თავის „პროპოლისიდან“. აქ მჯდომმა იოანე-ციბემ შემოიღო ლაზიკის საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, და ამით მწვავედ დაარტყა ლაზიკის

მმართველ წრეების ინტერესებს, რომლებიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული საგარეო აღებ-მიცემასთან.

ხოლო ყველა ზემოთ აღნიშნული პირობა, ერთად აღებული, შესაძლებლობას აძლევდა კეისრის აგენტს თავისუფლად ეკარნახებინა თავისი ნებასურვილები ლაზიკის მეფისა და მმართველი წრეებისათვის. ტყუილად კი არ ამბობენ, ამ ახალი ვითარების მიზეზით რომაელთაგან გამდგარის, ლაზიკის მეფის ელჩები, რომელნიც ირანის შაჰს წარუდგნენ და მას თავის ქვეყანაში ეპატიჟებოდენ: „წყეულმა რომაელებმა... ჩვენს მეფეს ხომ მეფობის მხოლოდ გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ხოლო ძალაუფლება საქმეებში თვითონ მიითვისეს; მეფეც მოსამსახურის ბედში იმყოფება და განმკარგულებელი სტრატეგოსის ეშინია. უამრავი ჯარიც ჩაგვიყენეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ დაიცვან ქვეყანა შემწუხებელთაგან... არამედ | რათა დავემწყვდიეთ ჩვენ როგორც სხდილეგოში და ჩვენს ქონებას დაჰპატრონებოდენ"[1]...

ფაქტიური საბუთები, ციხისძირის ზემოთ განმარტებულ მნიშვნელობას რომ გვიდასტურებენ, ბლომად შეიძლება ვიპოვოთ სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა წარმოშობის წყაროებში.

ზემოთ აღწერილი მაგისტრალი, რომელიც, ციხისძირის დეფილეს გავლით, აკავშირებდა რომის აღმოს. პროვინციებს დას. საქართველოსთან, II ს. დამდეგისათვის მკაფიოდ მოცემულია (როგორც საზღვაო გზა) არიანეს ცნობილ პერიპლში. ამ მაგისტრალის მნიშვნელობა IV საუკუნის დამლევისათვის კიდევ უფრო რელიეფურ გამოხატულებას ჰპოვებს Tabula Peutingeriana-ში, რომლის მიხედვითაც ეს გზა გაჭიმულია ტრაპეზუნტიდან სევასტოპოლის-ცხუმამდის (=თანამედროვე სოხუმს). აქვე გადიოდა, როგორც უკვე ვთქვით, ფეოდალურ საქართველოს გზებიც სამუალო საუკუნეებში.

მშვენივრად აქვს, მაგალითად, ეს გზა აღწერილი, ჩანს, VIII—IX სს. ცნობებზე დამყარებით, ძველ ქართველ ისტორიკოსს ჯუანშერს, მურვან-ყრუს ლაშქრობაში. აფხაზეთიდან უკუქცეული არაბები მოდიან ანაკოფიიდან ცხუმზე, კლისურაზე (ეხლანდ. კელასური), ციხე-გოჯზე (ნოქალაქევი), ერთი პირობა დაიბანაკებენ აბაშა-

[1] B. P. II, 15; გეორგ. II, გვ. 50—51.

ცხენისწყლის რაიონში, ხოლო შემდეგ—აიყარნენ, „შ ე ვ ლ ე ს გ ზ ა გ უ რ ი ი ს ა და გ ა ნ ვ ლ ე ს ს პ ე რ ი ს ა“ და გავიდენ საქართველოს ფარგლებიდან. სპერი თანამედროვე ისპირის რაიონია, რომელიც ჭოროხის ხეობის ზემო ნაწილში მდებარეობს. ცხადია, რომ მისთვის მისაღწევად არაბებს უნდა აევლოთ მთელი ჭოროხის ხეობა ანუ „გზა კლარჯეთისა“, მეორე ძველი ქართველი ისტორიკოსის, ლეონტი მროველის მიერ აღნიშნული [1].

იმავე ხაზს მიჰყვებოდა გზა ბათომ-ქობულეთს შორის თურქთა მფლობელობის ხანაში, რუსული გზატკეცილი XIX ს. ბოლოსა და XX ს. დამდეგს და თანამედროვე შოსეც. რკინის გზამაც ხომ აქ გაიარა და, საინტერესოა, რომ ეხლაც რკინის გზა და შოსე ერთმანეთს ეჯვარედინებიან სწორედ ციხისძირის ნაციხვართან, ე. ი. იმ პუნქტთან, სადაც, ჩვენი აზრით, პეტრა მდებარეობდა.

ციხისძირის სტრატეგიული მნიშვნელობა შეგნებული იყო აგრეთვე ყველა მომდევნო ისტორიულ ეპოქის მიერ. ფეოდალურ სა-| ქართველოსაც ციხისძირი გამოყენებული ჰქონდა, როგორც სიმაგრე, და მის სათანადო მნიშვნელობას იმდროინდელ თვალსაზრისით ნათლად გამოსთქვამს ციხის ქართული სახელწოდება „ქაჯეთის ციხე“. გამოჩენილი ქართვ. გეოგრაფის, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, რომელიც XVIII ს. პირველ ნახევარს ეკუთვნის, ეს იყო „ძაგარი, მაღალს კლდესა ზედა შენი; აქვს გვირაბი—კლდე გამოკვეთილი—გზად“-ო [2]. შემდეგში, როცა თურქებმა დაიპყრეს ეს სანაპირო, მათაც ციხისძირი თავის სიმაგრედ აქციეს. თუ როგორი მნიშვნელობა ჰქონდა ციხისძირს თურქებისთვის, ეს იქიდანაც კარგად ჩანს, რომ XVIII ს. შუაწლებში მათ აქ 25 ზარბაზანი ედგათ, მაშინ, როცა ბათომში ქვემეხი ყოფილა მხოლოდ 5 ან 6, რუხში—6, ანაკრიაში—20 და მხოლოდ ფოთი ჰქონიათ მათ ციხისძირზე მეტად გამაგრებული [3]. სწორედ ამ ძველი თურქული თვალსაზრისის გამოძახილია, რა თქმა უნდა, თავის ადგილას ჩვენ მიერ მოხსენებული

---

[1] ჯუანშერი, მარ. 204; ლ. მროველი, მარ. 30. სპეციალურად იხ. ჩვენი „ძველი საქართველოს სავაჭრო გზები და ქალაქები“.

[2] გეოგრ., ჯანაშვ. გამ 322. საინტერესოა, რომ ძველი საქართველოს განათლებული წრეები ამ ქაჯეთის-ციხესთან აიგივებდენ რუსთაველის მთავარი გმირის, ნესტანის, საპატიმრო ადგილს, რომელიც პოემაში ამავე სახელს ატარებს.

[3] P e y s s o n e l, Traité sur le commerce de la Mer Noire, II, 15; იხ. აგრეთვე მოურავოვის რაპორტი პანინს, Грамоты, I, 73.

თურქი ოფიცრის ოსმან-ბეის შეხედულება, რომლის თანახმადაც ციხისძირის ციხე, უზარმაზარ კლდეზე აგებული, „სრულიად ჰკეტავს მიმოსვლას (იგულისხმება დასავლ. საქართველოსა და თურქეთს შორის, ამ მიმართულებით) და ჰქმნის აქ ყველაზე საძნელო დეფილეს“.

ამითვე აიხსნება, რომ სამივე ომის დროს რუსეთსა და თურქეთს შორის, მე-19 ს., ციხისძირთან და მის გამო მწვავე ბრძოლებს ჰქონდა ადგილი.

რომ პუნქტს საყურადღებო ეკონომიური როლიც შერჩა მერმინდელ ხანებშიაც, ესეც უდაო უნდა იყოს. ჩვენ ვფიქრობთ, მაგ., რომ ციხისძირს ჰგულისხმობს ვენეციელი კ ო ხ ტ ა რ ი ნ ი, რომელიც საქართველოში იყო 1474 წ. და რომელიც შავი ზღვის პირას ასახელებს ერთს პატარა ქალაქს, Caltichea-ს, სადაც თურმე აბრეშუმს, ტილოსა და თაფლს ვაჭრობდენ[1]. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „Caltichea“ არის „ქაჯეთის ციხის“ (თუ: ქაჯთა-ციხის) დამახინჯება. დოკუმენტალურად დასტურდება აგრეთვე რომ ციხისძირში იყო საბაზრო ადგილი ჯერ კიდევ XIX ს. სამოცდაათიან წლებში, ვიდრე აქ თურქები ბატონობდენ.

ციხისძირის ეს მრავალმხრივი მნიშვნელობა საუცხოოდ აქვს გამოხატული ერთს ქართველ პოლიტიკოსს, იმერეთის სამეფოს სარდალ-სახლთხუცეს ზურაბ წერეთელს, რომელიც ელჩად იყო გაგზავნილი პეტერბურგს 1784 წ. მან რუსეთის უძლიერეს მოხელეს, პოტიომკინს, წერილი გადასცა იმ სარგებლობის შესახებ, რომელსაც რუსეთი მოიპოვებდა იმერეთის შეძენით. არსებითად მისი წინადადებები და დაპირებები ორი მუხლისაგან შესდგებოდა. პირველი შეეხებოდა რუსული პოლკის მოწყობას იმერლებისაგან, მეორე-კი იმერეთში რუსული მთავარი სიმაგრის აგებას. ასეთი სიმაგრისათვის საუკეთესო ადგილი წერეთელს კინტიში (თუ კინტრიში) ანუ ციხისძირი მიაჩნდა (ციხისძირი მდ. კინტრიშის ნაპირას ძევს). აქ აშენებული ციხე-სიმაგრის სარგებლობა შეუდარებელი იქნება, რადგანაც იმერეთისა, აფხაზეთისა, სამეგრელოსა და გურიისათვის სავსებით შეასრულებს გაუვალი ზღუდის როლს და ყველა ამ ქვეყანას მტკიცედ დაუმორჩილებს რუსეთს. ეს ადგილი ადვილად და მალე დასახლდება ანატოლიელ ბერძნებით, რადგანაც მას უხვად აქვს სასმე-

[1] „მოამბე“, 1894 წ., XI.

ლი წყალი და ძრავაღრიცხოვანი ლითონები, აბრეშუმი, ბამბა, ცვილი, გემთსაშენი ხეტყე და სხვ. აქ უკვე იყო ოდესღაც ქალაქი და არც ისე დიდიხანია რომ აქვე არსებობდა სოფელი და ვაჭრობა წარმოებდა. ამ ადგილის მდგომარეობა იმდენად ხელსაყრელია, რომ სამს თუ ოთხ წელიწადში ხარჯებს გაასწორებს. მთელ იმერეთში ამაზე უფრო სახეიერო ადგილი არ არის. ყირიმიდან, თუ კარგი ამინდია, ხომალდები აქ ორ დღეში მოდიან. ამ ადგილს იმერლები წინათაც აქცევდენ ყურადღებას, და მამაჩემს, სარდალს ქაიხოსრო წერეთელს, ჯერ კიდევ სოლომონ მეფის სიცოცხლეში უნდოდა ამ გახზრახვის განხორციელება. თუ ეს სიმაგრე აგებულ იქნა, საქართველო მაშინ თავს დააღწევს ახალციხის თავდასხმებს, რადგანაც ციხისძირი ახალციხის ზურგში იმყოფება. თუ ციხისძირში ციხე-ქალაქი დაარსდება, თურქები იძულებული შეიქმნებიან უომრად დასტოვონ ფოთის ციხე, აგრეთვე ბათომი და ჩაქვიო [1].

უკეთესი დასაბუთება პეტრა—ციხისძირის იგივეობისა შეუძლებელია. აქ ყველაფერია დახასიათებული: ციხისძირის თავისთავადი სტრატეგიული თვისებები, მისი სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა მეზობელ პროვინციებისათვის, მისი ეკონომიური ღირებულება და გამოყენების შესაძლოება ხომალდების მისადგომად, ჰავის ღირსებები (ყველაზე ნაკლებ მალარიანი პუნქტი ამ | სანაპიროზე—ამ მომენტს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ძველი რომაელებისა და ბერძნებისათვის). ყოველივე აღნიშნული საუცხოოდ უპასუხებს იმ ნიშნებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, ამ პუნქტისაკენ იზიდავდა რომაელ პოლიტიკოსთა და სამხედრო პირთა ყურადღებას, როცა ისინი ახალ ციხე-ქალაქის ადგილს ეძებდენ.

რომ პუნქტი და მისი რაიონი იზიდავდა არა მარტო უცხოელთა ყურადღებას, ესეც ნათელია. ამას შეიძლებოდა სხვა მოსაზრებებიც დამატებოდა, მაგრამ აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ლაზიკაში არსებულ ოთხ ბერძნულ საეპისკოპოსო კათედრიდან, ერთი პეტრაში იყო. შემდეგში იგი, ადგილობრივ საეკლესიო დამოუკიდებლობის განმტკიცების პირობებში, საერთო ტენდენციის თანახმად, გა-

---

[1] Бутков, Материалы для новой истории Кавказа, II, 139.

დადის ხინოში, რაც, სათანადო „პოლიტიკურ გეოგრაფიის“ კანონ-ზომიერი გამოხატულებაა.

კიდევ ერთი პატარა მომენტი. საქ. კარტოგრაფიულ ინსტიტუტის რუკაზე ძდ. კინტრიშის შესართავთან, სამხრეთით, მაშასადამე ციხისძირის ზონაში, აღნიშნულია მცირე მოსახლეობა „პანტურანი“. თუ ადგილობრივი შემოწმება გამოარკვევს, რომ აქ არავითარი დამახინჯება არაა, მაშინ ჩვენ შესაძლებლად მივიჩნევთ თვით ამ სახელწოდებების,—„პეტრა“ || „პანტურანი“, დაკავშირებას: ან პირველი იქნება მეორის გააზრიანება უცხოელთა მიერ, ან უკანასკნელი—ბერძნული ფორმის ადგილობრივი განვითარება. უნდა მოვიგონოთ აგრეთვე, რომ მერმინდელ საუკუნეებში სახელწოდება ბერძნულ მწერლობაში მრავლობითი რიცხვის ფორმითაა მოცემული, რაც შესაბამისად გენეტივში გვაძლევს ფორმას „პეტრაიონ“ = „პეტრეონ“ ან „პეტრონ“—Πετραιῶν—Πετρῶν; ხოლო ეს ფორმა და „პანტურანი“ კიდევ უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს. საინტერესოა ისიც, რომ ზემოთ მოტანილი ბერძნ. ფორმა იმავ სახითაა გადმოსული ძველ ქართ. თარგმნილ მწერლობაში: —„ქალაქი პეტრონი, ქუეყანისაგან მეგრელთაჲსა“, ამბობს ერთი ძეგლი[1].

მოღწეული ნაშთი არის, ჩვენი აზრით, პ ე ტ რ ა ს ა კ რ ო პ ო ლ ი ს ი. პროკოპის ეს აკროპოლისი სპეციალურად აქვს აღნიშნული: როცა რომაელებმა, 550 წ., ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ უკან დაიბრუნეს პეტრა (იგულისხმება ქ ა ლ ა ქ ი) ირანული გარნიზონიდან 500 კაცმა თ ა ვ ი შ ე ა ფ ა რ ა ა კ რ ო პ ო ლ ი ს ‘ შ ი, სადაც ერთი დღის განმავლობაში კიდევ უწევდენ მტერს წინააღმდეგობას, საბოლოოდ | მაინც არ დანებდენ რომაელებს და ცეცხლში ამოიწვეს თავი (B. G. VIII, 11—12). თვით ქალაქი, პროკოპისავე ცნობით, დანგრეული იყო რომაელების ძიერ.

აკროპოლისის დარჩენილი ნაწილების არქიტექტურული ნიშნები, ჩვენი დაკვირვებით, უნდა ამართლებდენ წამოყენებულ დებულებას. წყობა კედლისა, ზომები და სხვა, ეთანხმება იმ ცნობებს, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება ეპოქის ნაგებობათა შესახებ. გარეგნულად, მაგ., ეს კედლები ძალიან ჰგვანან კელასურის კედელს აფხაზეთში, რომლის აშენებაც აგრეთვე იუსტინიანეს საქმე უნდა იყოს.

---

[1] მეზუთე მსოფლიო კრების კანონების ძვ. ქართ. თარგმანი, ქრნკ. II, 88, შენ.

ციხისძირის ნაციხვარის კედლები ნაშენებია რიყის ქვისაგან, შიგა და შიგ სპეციფიკურ აგურის გამოყენებით. ერთს ასეთ აგურზე, რომელიც ციხისძირიდანაა ჩამოტანილი და ეხლა ინახება საქ. სახ. მუზეუმში, ამოკვრილია საქარხნო მარკა ლათინურ ასოებით: vexea [1].

ზღუდის კედელი ორმაგად ნაშენებია. გარეთა და შიგნითა კედლებს ‘ბორის თავდაპირველად დატოვებული ყოფილა ერთი სანტიმეტრის სივრცე. ორთაშუა რიცხვით, შიგნითა კედლის სისქე უდრის 1 მ., გარეთასი—2 მ. სიმაღლეც კედლებს ძალიან დიდი უნდა ჰქონოდათ, ზოგს, უფრო კარგად დაცულ ადგილას, ეს სიმაღლე 12—15 მ-ს უნდა აღწევდეს. ეს ციფრები ეთანხმება პროკოპის ცნობებს იუსტინიანეს სხვა ნაგებობათა საზომების შესახებ (მარტიროპოლის კედლები: სისქე—3,7 მ., სიმაღლე—12,2 მ.; დარას კედლები: სიმაღლე—18,5 მ. და სხვ.). საძირკველი ამოყვანილი ყოფილა 2 მ-ის სიმაღლეზე. საინტერესოა თვით გეგმაც აკროპოლისისა. აკროპოლისის შიგნით რამდენიმე შენობის კვალია დარჩენილი: ერთი აშკარად ყაზარმაა; მეორე, შესაძლოა, ტაძარი იყოს,—საეპისკოპოსო საჯდომი,—ან სხვა დანიშნულების შენობა (იქნებ სტრატეგოსის სახლი), არის სხვა შენობათა საძირკვლებიც.

კულტურული ფენაც აქ დიდი სიმაღლისა და მკვეთრად გამოხატული სახისაა. დიდი რაოდენობითაა მოღწეული კერამიკის ნაშთები (ჭურჭლის, სახურავი კრამიტისა და სხვათა ნამსხვრევები).

აკროპოლისის სამხრეთით ბორცვზე ყოფილა აგრეთვე კოშკი. | აკროპოლისი და კოშკი შეერთებული ყოფილა ორი პარალელური მაღალი კედლით. აქვე დარჩენილია მეტად საყურადღებო ნაგებობის (ჩვენი აზრით, ქარვასლის) ნაშთი.

ნაციხვარის რაიონში ბევრი საინტერესო ნივთი, კერძოდ, ფულიც, ჩნდება. აქ დავასახელებთ მხოლოდ ორ მონეტას, რომელნიც, ჩვენი წინასწარი განმარტებით, უკანასკნელი პერიოდის სასანიდური დრაქმებია. სასანიდური ფულის პოვნა აქ უაღრესად საყურადღებო

---

[1] მოქ. გოლიცინი თავაზიანად გვატყობინებს კერძო წერილებში (1935 წ. 13/III და 19/VI) რომ აგური მის მიერ ნაპოვნია 1927-8 წ. ნაციხვარის რაიონში აკროპოლისის ბორცვის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, ბორცვის ზემოთა ნახევარში, საყანეში, ყანის მეპატრონე გლეხების მიერ მოგროვებულ ნაყარში, რომელიც შესდგებოდა ქვებისა და კერამიკულ ნამტვრევებისაგან. მპოვნელს ნივთი გადაუცია აპარის „სამთო კლუბის მუზეუმისათვის“, საიდანაც იგი გადმოსულა საქართველოს მუზეუმში, ვგონებთ, დოც. გ. ჩიტაიას მეშვეობით.

ფაქტია. ეს ფულები ნაპოვნი იყო ნაციხვარის რაიონში მუშების მიერ და ამჟამად აჭარის საძხარეთმცოდნეო მუზეუმში ინახება.

უეჭველია რომ გათხრა კიდევ არა ერთ ცნობას შეგვძენს ამ ნაქალაქარის შესახებ [1].

ძალიან ჰგავს პეტრას თავის მნიშვნელობითა და თავის მდებარეობით გაგრა, რომელსაც იმ ხანაში ტრაქეას ციხეს ეძახიან (როგორც ეს წყაროების შესწავლით ირკვევა), მაგრამ ამის შესახებ უფრო დაწვრილებით სხვაგან ვისაუბრებთ.

ეგრისის საგარეო ვაჭრობა. საგაჭრო გზები

მეექვსე საუკუნეში ეგრისის ეკონომიკაში საგარეო ვაჭრობას საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უნდა სჭეროდა. იუსტინიანეს ეპოქის შემატიანე, რომელსაც ჩვენ ასე ხშირად მივმართავთ, პროკოპი კესარიელი, გვარწმუნებს, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობას „არც მარილი ჰქონდა, არც ხორბალი, არც სხვა რამე სიკეთე", და ამიტომ იძულებული იყო საგარეო ვაჭრობის საშუალებით შეეძინა ეს საგნები. სხვა ადგილას-კი იმასაც ამტკიცებს, რომ ეგრისში ღვინოც არ მოდისო [2]. რომ ეგრისში „არავითარი სიკეთე" არ მოიპოვებოდა, ეს დაუჯერებელია და, რა თქმა უნდა, გაზვიადებაა, ზოგიერთ შემთხვევაში, რომაელთა ადგილობრივ მოხელეების გასაგები ტენდენციის გამოძახილი. მაგრამ აღნიშნული საგნების, განსაკუთრებით მარილისა და ხორბლის, შემოტანა დას. საქართველოსათვის, მართლაც აუცილებელი იყო იმიტომ, რომ არც პირველი და არც მეორე ადგილობრივ არ მოიპოვებოდა. მარილის საბადოები ან სხვა ხასიათის წარმოება ადგილობრივ არ არსებობდა. მარცვლეულისაგან ეგრისში უმთავრესად ითესებოდა, იმავე პროკოპის ცნობით, „ელიმოსი", რომელსაც თვით რომაელები სრულებით ვერ სჭამდენ, რადგანაც

---

[1] ეს პარაგრაფი წარმოადგენს ექსტრაქტს ორი მოხსენებისას, რომლებიც წაკითხული იყო ავტორის მიერ ტფ. სახ. უნ. რუსთაველის სახელობის ინსტიტუტში 1934 წ. მაისსა („პეტრას ადგილმდებარეობის საკითხის შესახებ") და ოქტომბერში („შედეგები პირველი არქეოლოგიური ექსპედიციისა პეტრა-ციხისძირში"). ამ მოხსენებებში აღძრულ საკითხებისა და სათანადო დებულებებისაგან აქ არა ერთი უგულებელყოფილია ეკონომიის მოსაზრებით.—ტფ. სახ. უნ-ტი და გან. სახ. კომ. სამეცნ. დაწესებულებათა სამმართველო ამზადებენ ვრცელ არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომლის ამოცანა უნდა იყოს ძეგლის ყოველმხრივ შესწავლა, კერძოდ, გათხრების საშუალებით.

[2] B. P. I, 12; II, 15; II, 28; გეორგიკა II, 25, 46, 67.

მათთვის უჩვეულო იყო. „ელიმოსის“ მნიშვნელობა ზუსტად გარკვეული არ არის, მაგრამ უნდა ვიფიქროთ რომ აქ ან „ფეტვ“ იგულისხმება, ან „ქვრიმა“ (ფეტვის სახეობაა) [1]. რაც შეეხება ღვინოს, აღნიშნული ცნობა ისე უნდა გავიგოთ, რომ ადგილობრივი ღვინო ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას და საზღვარგარეთიდან შემოტანილს თავის ხ ა რ ი ს ხ ი თ ა ც ჩამოუვარდებოდა. ვენახის კულტურის არსებობა ამ დროს (და ბევრად უფრო ადრეც) დას. საქართველოში ყოველ ეჭვს გარეშეა. ჩვენ კიდევ ვნახავთ რომ როგორც პროკოპი, ისე იმავე ხანის დანარჩენი წყაროებიც სხვა ცნობებსაც გვაწვდიან ეგრისის მეურნეობის შესახებ.

პროკოპივე ამბობს, რომ ეგრისში სხვა საქონელიც შეჰქონდათ. თუმცა კონკრეტულად დასახელებული არ არის, მაგრამ შეიძლება წარმოვიდგინოთ რომ ეს იყო ძვირფასი ქსოვილები, იარაღი, საზოგადოდ, ლითონის ნაწარმოები და სხვა.

საექსპორტო ეკვივალენტს, ამავე მემატიანის მრავალგზის განმეორებული ჩვენებით, შეადგენდა, უმთავრესად, ტყავეულობა, ბეწვეულობა და მონები [2]. თვით აღებ-მიცემის პროცესი თითქოს უშუალო ნატურალურ გაცვლის ფორმით ხდებოდა: „ამაში ისინი ფულს კი არ აძლევენ მიმწოდებლებს, არამედ ტყავებს, მონებს და თუ სხვა რამ სიჭარბით აღმოაჩნდებათ“ [3]. მაგრამ ესეც გაზვიადება უნდა იყოს: უეჭველია რომ ფულს ერთგვარი, თუნდაც მცირე, ადგილი მაინც უნდა ჰკავებოდა ამ პროცესში, რასაც თუნდაც იმავე პროკოპის სიტყვებიც ამოწმებენ, როცა იგი ლაზების ელჩებს ალაპარაკებს | რომაელების ახალ სავაჭრო პოლიტიკის შესახებ ეგრისში: ლაზიკის ნაწარმოებიდან თავიანთთვის საჭირო საგნებს ისინი ჩვენგან ყიდულობენ, მაგრამ ყ ი დ უ ლ ო ბ ე ნ მხოლოდ ზეპირად, რადგანაც ფასს ყოველთვის თვითონ ეს ჩვენი მმართველები აწესებენ, როგორც მოეპრიანებათ. „ამრიგად, საჭირო საგნებთან ერთად ისინი

---

[1] პროფ. ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონ. ისტ., I, 364—69; გეორგიკა II, 24, შენ. 1934 წ. აგვისტოში, ტფ. სახ. უნ. ექსპედიციაში ყოფნისას, თიანეთში ჩვენ ჩავიწერეთ შემდეგი ცნობა ქვრიმას შესახებ, ერთი ადგილობრივი მკვიდრის მექვაბიშვილისაგან: „ხვრიმა (!) ფეტვია. ფეტვი ორნაირია: ერთი-არის ძურწა. მეორე—ხვრიმა. ხვრიმა ისაა, რომელსაც ფარჩხას ეძახიან (ვგონებ, ინფორმატორი გულისხმობდა რომ ფარჩხა სხვა რაიონებში მაღებული სახელია ქვრიმასი ს. ჯ.). ძურწას მარცვლები ერთად აქვს მოკრებილი, ფარჩხას დაშლილი აქვს ცოცხივით“.

[2] B. P. II, 15, 28; გეორგ. II, 46, 67—8.

[3] იქვე II, 28.

გვტაცებენ ჩვენ მთელ ოქროსაც, და ამას უწოდებენ ვაჭრობის კეთილ სახიერ სახელსა“-ო[1].

ეგრისის საგარეო ვაჭრობის შესახებ პროკოპის გაძგრძელებელი, ბიზანტიელი მემატიანე, აგათიაც გვამცნობს, რომ არგონავტების კოლხეთში მოსვლის შემდეგ აქაურმა მცხოვრებლებმაც ხელი მიჰყვეს ზღვაოსნობას და დიდ სარგებელს იღებენ ვაჭრობისაგანაო: „იმ დროს, როდესაც წინანდელ მცხოვრებლებს ამ მხარისას სრულიად არ სცოდნიათ ზღვის დადებითი თვისებები, წარმოიდგინეთ არც კი გაეგონათ ხომალდის სახელი მანამდე, სანამ მათთან არგოს ნავი მივიდოდა, ეხლანდელი მცხოვრებლები დასცურავენ კიდეც, რამდენადაც შესაძლოა, და ვაჭრობაშიაც ნახულობენ დიდ სარგებლობას“[2].

აღებ-მიცემობდა ეგრისი, ისე როგორც მისი წინაპარი კოლხეთი, ყველა მეზობელ ქვეყანასთან—ქართლთან, სომხეთთან, ამათი მეშვეობით შესაძლოა სხვა აღმოსავლეთის ქვეყნებთანაც, ჩრდილოეთ-კავკასიასთან და, განსაკუთრებით კი, აღმოსავლეთ რომის იმპერიასთან და ამ უკანასკნელის სხვადასხვა პროვინციებთან, კერძოდ, პონტოსა და ყირიმთან: ყირიმიდან შემოჰქონდათ ეგრისელებს მარილი.

რომთან ვაჭრობა უმთავრესად ზღვის გზებით უწარმოებიათ. „ყველაფერი შემოაქვთ მათთან ნავებით, რომაელთა სანაპიროებიდან“, ძველად ეგრისელები „მუდამ აწარმოებდენ პონტოში მცხოვრებ რომაელებთან საზღვაო ვაჭრობას“-ო, ამბობს პროკოპი[3].

ამასვე მოწმობს აგათიას ზემოთმოტანილი ჩვენებაც. მაგრამ, უეჭველია, რომის იმ პროვინციებთან, რომელნიც დას. საქართველოს სამხრეთიდან ესაზღვრებოდენ, ეგრისს სახმელეთო მიმოსვლაც ჰქონდა. ხმელეთის გზებით იყო დაკავშირებული ეგრისი, როგორც | თავისთავადაც გასაგებია, ქართლთან, სომხეთთან და ჩრდილოეთ კავკასიასთან.

ეგრისის დიდი გზების შესახებ დიდად საყურადღებო ცნობები დაცული აქვს ე. წ. „ტაბულა პეევტინგერიანას“, ანუ ძველ რომაულ

---

[1] იქვე II, 15.

[2] აგათია III, 5, პროფ. ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი, გეორგიკა III, 50—51; ჩვენ ვისარგებლეთ აღნიშნულ ტომის გამოქვეყნებამდის ამონაბეჭდით, პროფ. ს. ყაუხჩიშვილის ნებართვით, რისთვისაც მას გულითად მადლობას მოვახსენებთ.

[3] B. P. II, 28 და 15; გეორგ. II, 67 და 46.

მსოფლიო რუკას, რომელიც შედგენილია კასტორის მიერ IV ს. მეორე ნახევარში, მაშასადამე, აქ აღებულ ხანას წინ უსწრებს ორი საუკუნით [1]. ეს რუკა ორ გზას უჩვენებს: ერთი ტრაპეზუნტიდან ნაპირით მოდის, ფაზისზე გაივლის და სევასტოპოლისში (ქართულ ცხუმში) თავდება; ამ გზაზე ძევს, სხვათა შორის, მერმინდელი პეტრაც (ციხისძირი). მეორე გზა იმავე სევასტოპოლიდან იწყება და სომხეთის დედა-ქალაქ არტაშატისაკენ მიემართება.

უეჭველია რომ სევასტოპოლისიდან უკვე მაშინაც, ისე როგორც შემდეგში, გზა გადიოდა ჩრდ. კავკასიაში. ეს გზა კოდორის ხეობას მიჰყვებოდა და ყუბანის ზემოთა შენაკადების ხეობებში გადადიოდა (ქლუხორის ზეკარით, როგორც ეს შემდეგში იყო). ჩრდილოეთისაკენ ეგრისს სხვა გზებიც ჰქონდა: ენგურის ხეობით, სვანეთზე, და რიონის ხეობით.

ყოველივე მოწმობს, რომ გარე სამყაროსთან ამ დროს ეგრისს ცხოველი ურთიერთობა აქვს.

ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ყველაფერს რაც ამათუიმ მხრით ამ საგარეო ეკონომიურ ურთიერობას შეეხებოდა, მისი გაძლიერების თუ შესუსტების, ან მთლიანი მოსპობის მიზნით, ეგრისში სათანადო რეაქცია უნდა გამოეწვია. შემდგომი დაკვირვების საგანი უნდა იყოს ეგრისის საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების დამოკიდებულება ცვლილებებისადმი აღწერილ ურთიერთობაში.

ეგრისის მმართველ წრეების განწყობილება

კონსტანტინოპოლის მთავრობის ამოცანების განხორციელებას ეგრისში სწორედ ის შეჯავშნული მუშტი სჭიროდა, რომელსაც მათთვის უმთავრეს სიმაგრეებში, განსაკუთრებით-კი, პეტრაში დაბანაკებული ჯარები წარმოადგენდნ. ეხლა, რომაელებს თავისუფლად შეეძლოთ ემოქმედნათ, კერძოდ, თავიანთი ნება ეკარნახებინათ ეგრისის მეფისა და მმართველ წრეებისათვის. ამას მშვენივრად ჰხედავდენ და გრძნობდენ ეგრისის დაინტერესებული პირები და ჯგუფები. იგივე პროკოპი კესარიელი ეგრისელ წარჩინებულებს, ეგ-

[1] Miller K., Weltkarte des Kastorius, genannt die Peutingersche Tafel, Ravensburg, 1888, და მილერისავე სხვა გამოცემები.—ამ რუკის ცნობების დაწვრილებითი ანალიზისათვის იხ. ჩვენი „ძველი საქართველოს გზები და ქალაქები".

რისის მეფის ელჩებს, ასეთ სიტყვებს ათქმევინებს: „საჭიროა ითქვას ზოგიერთი ბოროტების შესახებ, რაც ჩაიდინეს ჩვენს წინააღმდეგ წყეულმა რომაელებმა. ჩვენს მეფეს ხომ მეფობის მხოლოდ გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ხოლო ძალაუფლება საქმეებში თვითონ მიითვისეს; მეფეც მოსამსახურის ბედში იმყოფება და განმკარგულებელი სტრატეგოსის ეშინია. უამრავი ჯარიც ჩაგვიყენეს, მაგრამ არა იმიტომ რომ დაიცვან ქვეყანა შემწუხებელთაგან (მოსაზღვრეებიდან სხვა ხომ არავინ გვაწუხებდა ჩვენ, ვარდა რომაელებისა), არამედ რათა დავემწყვდიეთ ჩვენ როგორც ციხეში (ციხეში) და ჩვენს ქონებას დაპატრონებოდენ“-ო [1].

„მწარე მიმძლავრება“, ეგრისის თავზე აღმ. რთული, უწინარეს ყოვლისა, ახალი პოლიტიკური ვითარება, მწვავედ სცემდა სამეფო სახლის ინტერესებს. ადგილობრივ არისტოკრატიაში-კი, შესაძლოა, ისეთი ჯგუფებიც არსებულიყვნენ უკვე ამ დროს, რომელნიც გულგრილი, თუ არ მოხარული, მოცქირალნი იქნებოდენ დატრიალებულ ამბებისა. ჩვენ გვაქვს კანტი-კუნტი ცნობები მეფის უკმაყოფილო წარჩინებულთა შესახებ. ასევე განსხვავებულად, მაგრამ მაინც ბევრად უფრო ერთსულოვნად უნდა შეხვედროდენ ეგრისის მმართველი წრეები თავიანთი ინტერესების შელახვას საგარეო ვაჭრობის სფეროში. საგარეო აღებ-მიცემას მათთვის ამ დროს საარსებო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

თუ გულდასმით ჩავუკვირდებით ზემოთ განხილულ ცნობებს ეგრისის საგარეო საღებ-მიცემო ურთიერთობის შესახებ, დავრწმუნდებით, რომ მთავარი ადგილობრივი კონტრაჰენტი ამ პროცესში არის ეგრისის მეფე და წარჩინებული წოდება. ჯერ ერთი, შემოტანილი საქონლის მთავარი მომხმარებელი სწორედ ეს წრე უნდა იყოს. ცხადია, მაგ., რომ საზღვარგარეთული ძვირფასი ღვინო მდიდარ აზნაურებს სჭიროდათ, ხალხი ადგილობრივ მაღლარსაც დასჯერდებოდა. იგივე აზნაურები იყვნენ, ცხადია, შემოტანილი პურის მომხმარებლები, მდაბიონი, უეჭველია, მამაპაპეულ ფეტვითა და მის მსგავს მარცვლეულით იკვებებოდენ. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ უცხოური ძვირფასი ქსოვილები და იარაღი, რაც აუცილებლად უნდა შემოეტანათ, აგრეთვე მხოლოდ დიდებულებისათვის იყო მისაწვდომი. საიმპორტო საქონელთა შორის ერთადერთი, ალბათ ფართო

[1] В. Р. II, 15; გეორგიკა II, 50—51.

მოხმარების საგანი, იყო მარილი. შედარებით ფართო დანიშნულება | შეიძლებოდა ჰქონოდა რკინეულობას, რომლის შესახებაც, სამწუხაროდ, არავითარი კონკრეტული ჩვენება არ შენახულა.

ძაგრამ ეგრისის მაღალი წოდება იყო არა მარტო მთავარი ძომხმარებელი, არაძედ მთავარი მიმწოდებელიც. თვით ფორმა აღებ-მიცემობისა (ფული ან სულ არ მონაწილეობს, თითქოს, ან მეორეხარისხოვან როლს ასრულებს, რაც, რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო სარწმუნოა) მოწმობს რომ ეგრისში ამ დროს ვაჭრების მეტნაკლებად მნიშვნელოვანი წრე ჯერ კიდევ არ არსებობს. საქონელი, აღწერილ პირობებში, უმეტეს წილად იმასვე გააქვს ბაზარში, ვინც მას ამზადებს.

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს თვით გასატან საქონლის ხასიათიც. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საექსპორტო საქონელში მთავარი ადგილი მონებს უნდა სჭეროდათ, მიუხედავად იმისა, რომ პროკოპის ცნობებში ისინი ბოლოში იხსენიებიან. ეს იყო ყველაზე ხელსაყრელი სავაჭრო საგანი: მისი ტრანსპორტის სიიაფე (ხმელეთზე იგი საკუთარი ფეხით დადის, წყალში შეიძლება ნიჩბებზე დაისვას), მისი მოპოვების შედარებითი სიადვილეც (რადგანაც სათანადო სიძნელეები ბოლოს და ბოლოს ისეთი ხასიათისა არ არის, რომ მათი დაძლევა უსიამოვნო და სათაკილო შრომას მოითხოვდეს,—ეს „შრომა“ მოცემულ სოციალურ პირობებში მონადირის „გასართობისა“ და აზარტიან „სპორტის“ სახესაც-კი იღებს), დიდი საბაზრო მოთხოვნილება,—ყოველივე ეს ძონას ყველაზე სარფიან საქონლად აქცევს. ასე იყო ეგრისშიაც. მეორე მხარე აღნიშნულ მოვლენისა ის იყო, რომ მონა იმ დროს, როგორც უკვე ვამბობდით სხვა ადგილას [1], წარმოშობით ტ ყ ვ ე ა, უ ც ხ ო ტ ო მ ი ს შ ვ ი ლ ი. დასავლეთ საქართველოსათვის მონების მთავარი წყარო, რა თქმა უნდა, იყო ჩრდილო კავკასია. ძალიან საინტერესოა ამ მხრივ, მაგ., ცნობილ ქართველ ლექსიკოგრაფის, სულხან-საბა ორბელიანის ცნობა—„ქ ა შ ა გ ი მოზრდილი ტყვეა“. ქაშაგი იყო ჩერქეზთა სატომო სახელი. სიტყვამ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა იმიტომ იცვალა (ეთნიკურ ტერმინიდან სოციალურად იქცა) რომ გარკვეულ ხანაში საქართველოში ტყვეები სწორედ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ჩერქეზებიდან მოჰყავდათ. აღნიშნული ფაქტი, მართალია, უფრო ნაგვიანევ ხანისაა, მაგრამ იგი დამახასიათებელია ძველი დროისთვისაც.

[1] იხ. ჩვენი „საქართველო ადრინდელ-ფეოდალური ხანაში“.

ჩრდილოეთ კავკასიის თემებიდან ტყვეების გადმოყვანას-კი შესაფერი ორგანიზაცია ესაჭიროებოდა. ამ საქმის ინდივიდუალურად | გაკეთება შეუძლებელი იყო. მიმხტომნი დარაზმულნი უნდა ყოფილიყვნენ. ამ რაზმების, რომელნიც, ცხადია, არც მცირერიცხოვანნი უნდა ყოფილიყვნენ, სათავეში ეგრისის აზნაურები და, საბოლოოდ, თვით მეფე დგანან. ეს მეფე და დიდი აზნაურები არიან ტყვეების მიმწოდებელნიც ეგრისის სანაპირო ბაზრებში. ამიტომ არის რომ, როგორც უკვე ვამბობდით, მონებით ვაჭრობას ჩვენ დიდ როლს ვაკუთვნებთ საქართველოში ფეოდალურ პროცესების განვითარების საქმისათვის.

როდესაც ეს ტყვეთა გამყიდველნი შედარებით განვითარებულ სოციალურ დიფერენციაციის ნიადაგზე საკმაოდ ფეხს მოიმაგრებენ, ისინი უკვე ცდილობენ ამ სახარბიელო საქონლის შინაური წყაროებიც აღმოაჩინონ. აბაზგების შესახებ, მაგ., იგივე პროკოპი გვიამბობს: აბაზგებს „თავიანთი მთავრებისაგან საშინელი ჩაგვრა აქვთ გამოცდილი, იმათი ვერცხლისმოყვარეობის წყალობით. მათი ორივე მეფე, როგორც კი დაინახავდენ ამ ტომში კარგი გარეგნობისა და ლამაზი ტანის ბავშვებს, დაუყოვნებლივ დააშორებდენ მათ მშობლებს, ევნუქებად (საჭურისებად) გადააქცევდენ და გზავნიდენ რომაელთა ქვეყანაში, რათა იქ მიეყიდათ მსურველთათვის დიდძალ ფულზე. მათ მამებს-კი მაშინვე კლავდენ, რათა ზოგიერთი მათგანი არ ცდილიყო ოდესმე ეზღო მეფისათვის მათი შვილების მიმართ ჩადენილი უსამართლობისათვის, ხოლო ზოგიერთი ქვეშევრდომთაგანი კიდევ მათთვის საეჭვო არ ყოფილიყო... აქედან არის, რომ მეტი წილი ევნუქებისა რომაელთა ქვეყანაში, განსაკუთრებით-კი მეფის სასახლეში, ტომით აბაზგები არიან“ [1]. ჩვეულებრივად, მაინც ამ ხანაში მონა-ტყვე წარმოშობით უცხოელია.

სხვა საქონელიც (ტყავეული, ბეწვეული) ალბათ ამავე წრეების საშუალებით გამოდიოდა ბაზარში. ამ მხრივ საყურადღებოა სხვა ბიზანტიელ მწერლის, მენანდრეს, ცნობა, რომ ეგრისის ვასალი, სვანეთის მთავარი (ჰეგემონი) თავის პატრონს, ეგრისის მეფეს, ხარკის სახით აძლევდა თაფლსა („ფუტკრების ნაყოფს“) და ტ ყ ა ვ ე ბ ს [2]. ცხადია, ეგრისის მეფეს სვანეთიდან მორთმეული ტყავები გასაყიდად უნდოდა.

[1] B. G. VIII, 3; გეორგ. II, 103—104.

[2] მენანდრე, ნაწყვ. 11, Dind., გვ. 30.

ყველაფერი ზემოთქმული მოწმობს, რომ საგარეო ვაჭრობას ეგრისის მეფისა და დიდებულებისათვის ამ დროს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა და ცხადყოფს, რომ ამ წრეების საგარეო პოლიტიკაშიც სათანადო ინტერესებს დიდი როლი უნდა ეთამაშნათ. რომ იმდროინდელი საერთაშორისო ურთიერთობა ეგრისის გაბატონებული კლასისა, უმთავრესად, მატერიალურ მომენტით იყო განსაზღვრული, ეს ხატოვანებით გამოსახულია იმ სიტყვებში, რომლებსაც პროკოპი ეგრისის მეფე გუბაზს ათქმევინებს ლაზი დიდებულების მიმართ, ერთ-ერთი ბრძოლის წინ: „საფრთხე არსებობს... ცოლებისთვის, შვილებისთვის, სამშობლო ქვეყნისთვის, ერთი სიტყვით, ყველაფრისათვის... არავინ არ დაუთმობს იმათ, ვინც რასმე ართმევს მას ძალით მისი ქონებიდან, ვინაიდან ბუნება აიძულებს მას იბრძოლოს თავის საკუთრებისათვის“-ო[1]. მართალია, ეს სიტყვები სხვა შემთხვევის გამოა თქმული, მაგრამ ისინი კარგად ააჭარავებენ სტიმულებს, რომელნიც საზოგადოდ ამოძრავებდენ საგარეო მოქმედებისა და ბრძოლისათვის თავიანთ მთქმელს. სავსებით გასაგები ხდება ამიტომ ის რეაქცია, რომელიც ამ მხრივ რომაელებმა თავიანთი ახალი ეკონომიკური პოლიტიკით გამოიწვიეს ეგრისის მმართველ წრეებში: ამ წრეებმა თავიანთი სიუზერენისაგან პირი იბრუნეს და ირანულ ორიენტაციას დაადგნენ. ეგრისის მთავრობამ საგანგებო ელჩების საშუალებით საიდუმლო მოლაპარაკება გამართა ხოსროსთან. ირანის შაჰმა სიამოვნებით მიიღო ეგრისის მთავრობის წინადადება ამ ქვეყნის გადასვლის შესახებ ირანელების ყმობაში და გადასწყვიტა, მეგრელების დახმარებით, ძალით გაედევნა რომაელები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან. ასე ატყდა ეგრისში დიდი ომი, რომელიც ოც წელზე მეტს გაგრძელდა და რომელმაც უეჭველია ამ ქვეყნის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა.

დიდი ომიანობა ეგრისში

ომიანობა ეგრისში არსებითად იყო, რა თქმა უნდა, ერთი ეპიზოდთაგანი იმ გაუთავებელი ბრძოლისა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში წარმოებდა რომსა და ირანს შორის, და საბოლოო

[1] B. G. VIII, 8; გეორგ. II, 118.

ანგარიშით, ამ საერთო ბრძოლის მიზეზებით განისაზღვრებოდა.. გარდა იმ ჩვეულებრივი პირობებისა, რომელნიც საერთოდ იწვევენ ომებს ძველ სამყაროში, აქ სავაჭრო ინტერესებიც დიდ როლს კისრულობენ. ირანი იმთავითვე არის სავაჭრო შუამავალი რომსა და შუა- და შორეულ-აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის, და თავის ტერიტორიით გატარებულ სატრანზიტო საქონელზე (გარკვეულ დროიდან, | განსაკუთრებით, ა ბ რ ე შ უ მ ზ ე) დიდ სარგებელს იღებს.. რომაული საზოგადოების გაბატონებული წრეები ცდილობენ თავი გაითავისუფლონ ამ საკომისიონერო ბეგრისაგან.

მაგრამ ეგრისში, როგორც ნაწილობრივ ზემოთაც იყო ნაჩვენები, სპეციფიკური პირობებიც იყო. კერძოდ, ირანის დაინტერესება ეგრისით თვით თანამედროვეებს ასე ეხატებოდათ: ჩვენი ჩვეულებრივი მოამბე, პროკოპი კესარიელი, ეგრისის ელჩებს, მაგ., ასეთ სიტყვებს უდებს პირში, როცა ეს ელჩები ხოსროს თავის ქვეყანაში ეპატიჟებიან: „იმ სარგებლობის შესახებ, რომელიც გექნებათ თქვენ ლაზთაგან, თუ მათ თხოვნას შეიწყნარებთ, ეხლავე მოგახსენებთ.. სპარსელთა ძალას თქვენ შეჰმატებთ უძველეს სამეფოს, და მისი საშუალებით თქვენი ჰეგემონიის ღირსება გადიდებული იქნება, ხოლო ჩვენი ქვეყნის ზღვით რომაელთა ზღვას დაუკავშირდებით. აქ თუ ხომალდებს ააგებ, მეფეე, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს რომ ბიზანტიონის პალატს მიაღწიო. გზაზე ხომ არავითარი წინააღმდეგობა არ შეგხვდება. უნდა დაუმატოთ ისიც, რომ თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელთა მიწა-წყალი... თქვენ ალბათ იცით, რომ ლაზთა ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების წინააღმდეგ საფარს წარმოადგენდა“-ო[1]. ეხლა ძნელი გასაგებია თუ რა სთქვეს ნამდვილად ეგრისელმა ელჩებმა შაჰის კარზე. ჩვენთვის საინტერესოა ისიც, რომ ეს ნათქვამი ზემომოტანილი სახითა აქვს წარმოდგენილი თანამედროვე პირსა და ამბების მონაწილეს. სხვა ადგილას იგივე მწერალი ამტკიცებს, რომ ხოსროს „ღირსშესანიშნავ მოპოვებად მიაჩნდა კოლხიდის ქვეყანა ჰქონოდა მტკიცე საკუთრებად მითვისებული, რადგან, მისი აზრით, ირანის ძალაუფლებას ეს დიდ სარგებლობას მოუტანდა. იბერიაც ხომ მომავალში სავსებით მორჩილი იქნებოდა,

[1] B. P. II, 15; გეორგ. II, 52—53.

რადგან იბერებს აღარ ეყოლებოდათ ის ხალხი, ვისთანაც ისინი, განდგომის შემთხვევაში, თავს გადაირჩენდენ... აგრეთვე ლაზიკის შეზობლად მოსახლე ჰუნებისაგანაც სპარსელთა სახელმწიფო სამუდამოდ დაურბეველი იქნებოდა, ხოლო გაცილებით უფრო ადვილად შიუსევდა იმათ რომაელთა სახელმწიფოს, როცა-კი ეს მისთვის სასურველი იქნებოდა: კავკასიაში მოსახლე ბარბაროსთათვის ლაზიკეა მხოლოდ საწინააღმდეგო ტიხარი. ყველაზე უფრო-კი, მას იმედი ჰქონდა, ლაზიკის მხრით გაძლიერება სპარსელებისთვის იმით იქნებოდა სასარგებლო რომ იქიდან შეტევით ისინი ადვილად შესძლებდენ თავს დასხმოდენ, / ხმელეთითაც და ზღვითაც, ეგრეთწოდებულ ევქსინის პონტზე მდებარე სოფლებს, დაემორჩილებინათ კაბადუკიელები, მათი მოსაზღვრე გალატიელები და ბითინიელები და მოულოდნელად დაეპყროთ ბიზანტიელები, ისე რომ მათ ვერავინ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. ამიტომ უნდოდა ხოსროს ლაზიკის შემოერთება"-ო[1].

ეგრისის პოზიციებს, წმინდა სამხედრო თვალსაზრისით, ის მნიშვნელობაც ჰქონდა ირანელებისათვის, რომ სამხრეთში ფრონტი ძალიან ფართოდ იყო გაშლილი, იქ, რომაულ მიწა-წყლის შუაგულში შეჭრის შემთხვევაში, ირანელებს უკან მტრის ბევრი ციხე-სიმაგრე რჩებოდათ, რაც ზურგიდან შემოვლის საფრთხეს ჰქმნიდა; აქ-კი ირანელებს ზურგი (ქართლი!) სრულებით მტკიცე ჰქონდათ. გარდა ამისა ხოსროს იმედი ჰქონდა, რომ იგი ეგრისიდან კონსტანტინოპოლს დაჰკრავდა ჩრდილოეთის ხმელეთის გზითაც, მეოტიდაზე (=აზოვის ზღვა) შემოვლით.

„მას (ე. ი. ხოსროს) გაეგო საიდანღაც,—მოგვითხრობს იგივე პროკოპი,—რომ ევქსინის პონტის მარცხნივ ის ბარბაროსები, რომლებიც მეოტის ტბის ირგვლივ ბინადრობდენ, უშიშრად არბევდენ რომაელთა მიწა-წყალს, და მან თქვა: სპარსელებიც, თუ ისინი ლაზიკეს ხელთ იგდებენ, ადვილად შესძლებენ, როდესაც-კი მოისურვებენ, ბიზანტიონამდე მისვლას ზღვაზე გადაუსვლელად, ისევე როგორც სხვა ბარბაროსული ტომები, რომლებიც იქ დამკვიდრებულან,

---

[1] B. P. II, 28; გეორგ. II, 65—66. ს. ყაუხჩიშვილის თარგმანში ჩვენ მიერ მცირეოდენი ცვლილებაა შეტანილი.

[2] B. G. VIII, 7; გეორგ. II, 115—6.

მუდამ დათარეშობენო. ამის გამო იყო რომ სპარსელებმა გადასწყვიტეს ხელთ ეგდოთ ლაზიკე"[1]. პროკოპის გამგრძელებელი და იმავე ეპოქის შვილი, ისტორიკოსი აგათია, ასეთსავე შეხედულებას გამოსთქვამს მოცემულ მოვლენების შესახებ. მისი მტკიცებით, ეგრისის დიდი ომის გარკვეულ მომენტისათვის, იუსტინიანეს, ბიზანტიის კეისარს, „აფიქრებდა და აშინებდა ის, რომ თუ სპარსელები ომში გაიმარჯვებდენ და მთელ ქვეყანას აიღებდენ, აღარაფერი დააბრკოლებდა მათ უშიშრად შემოეცურათ ევქსინის პონტოთი და ძალიან ღრმად გაეკვალათ გზა რომაელთა სამეფოში" და ამიტომ ახალი საუკეთესო ძალები გაგზავნა იქო (553 წლისათვის)[2], ლაზების ერთს წარჩინებულთაგანს, აიეტს, იგივე აგათია ასეთ აზრს | გამოათქმევინებს ეგრისის მეფის მოკვლის გამო გამართულ ერისკრებაზე: კოლხების „ნებაყოფლობითი" მიმხრობით ირანელები „მოკავშირედ იძენენ უაღრესად გამოსადეგ ქვეყანას და მნიშვნელოვან ჯარს, რაც მათ ფულსა და ქონებას ურჩევნიათ"-ო[3].

თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას აძლევდა ირანის მეფე ამ საქმეს, იქიდანაც ჩანს, რომ იგი პირადად ხელმძღვანელობდა საომარ მოქმედებას. წინასწარი სიფრთხილის ღონისძიებათა დაცვით, რომ მტრის ყურადღება არ გაეღვიძებინა, დიდძალი ჯარით ირანის შაჰი 542 წ. მოვიდა ქართლში და აქედან, ლაზი ძეგზურების წინამძღოლობით, გადავიდა ეგრისში (შემდეგშიც ირანელებისათვის ქართლია ბაზა): მას შუა კოლხეთში მიეგება ლაზთა მეფე გუბაზი, ეთაყვანა ხოსროს, „როგორც ბატონს, და თავისი თავი სამეფო ძალაუფლებითურთ და მთელი ლაზიკე გადასცა მას"[4]. რადგანაც რომაელთა მთავარი სამხედრო ძალა პეტრაში იყო დაბანაკებული, პირველ რიგში სწორედ ამ ციხე-ქალაქის აღება იყო საჭიროდ მიჩნეული: სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ ხოსროს ჯარებმა აიღეს პეტრა. მოკლულ იქნა თვით ის ციბეც, რომელმაც ზემოთ აღწერილი როლი ითამაშა ეგრისის ამბებში. პეტრაში ჩაყენებულ იქნა ირანელთა ციხის ჯარი. თვით ხოსრო იძულებული შეიქნა ირანში გაბრუნებულიყო, რადგანაც იქ, თავისი მხრით, რომაელები შეეჭრილიყვნენ.

---

[1] B. G. VIII, 7; გეორგ. II, 115—6.
[2] აგათია II, 18; პროფ. ს. ყაუხჩიშვილის თარგმ., გეორგ. II[1], 29.
[3] აგათია III, 10; იქვე, III, 70.
[4] პროკოპი, B. P. II, 17; გეორგ. II, 54.

545—6 წ. ირანელებმა და რომაელებმა ხუთწლიანი დროებითი ზავი შეჰკრეს. ამ მშვიდობიანობის გამოყენება ხოსროს, სხვათა შორის, ეგრისის საქმეების საბოლოოდ მოწესრიგებისათვისაც უნდოდა. იმდროინდელი ოფიციალური რომაული ისტორიოგრაფია გვარწმუნებს,—ხოსროს განზრახული ჰქონდა მთლიანად აეყარა ეგრისის მოსახლეობა და მის მიწა-წყალზე ირანელები და სხვა ხალხები დაესახლებინა[1]. ყოველ შემთხვევაში ის-კი ცხადი გახდა, რომ ირანის შაჰს გუბაზ მეფის თავიდან მოცილება სურდა და მისი მოკვლა დაევალებინა ერთი თავისი აგენტისათვის.

ასეთი რადიკალური ღონისძიებანი იმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ ირანელების მდგომარეობა ეგრისში მტკიცე არ გამოდგა. რომაელებთან ვაჭრობის შეწყვეტა ეგრისის მმართველ წრეებისათვის, ყოველ შემთხვევაში, ამ წრეების ყველაზე გავლენიან ნაწილისათვის და, უწინარეს ყოვლისა, თვით მეფისათვის, მიუღებელი იყო: ისინი იმთავითვე ხომ იმისთვის იბრძოდნენ, რომ ეს ვაჭრობა თავიანთ სასურველ ფორმებში მოექციათ, და არა იმისთვის, რომ მთლად მოესპოთ იგი. სხვა მხრივაც, როგორც ჩანს, ეგრისელები ვერ შეეგუენ ირანელებს. ეხლა კიდევ გუბაზის, რომელიც გადარჩა სიკვდილს, პირადმა განწყობილებამ ხელი შეუწყო ურთიერთობის საბოლოო გაფუჭებისა: ეგრისის მეფე ისევ რომაელების მხარეს გადავიდა. ამის შემდეგ, მთელი ამ ხანგრძლივი ომიანობის დასასრულამდის, ეგრისელები ირანელთა წინააღმდეგ იბრძვიან რომაულ რაზმებთან ერთად.

ეს ბრძოლა გაგრძელდა სამოციან წლების დამდეგამდის. გარდა ხანგრძლიობისა, მას სისასტიკე და ძალიან ფართო არე ახასიათებდა. თითქმის არ დარჩენილა დას. საქართველოში ისეთი ადგილი, სადაც მებრძოლთა სისხლი არ დაღვრილიყოს.

თავდაპირველად ბრძოლა უმთავრესად პეტრასთან და პეტრასთვის წარმოებს, შემდეგ თანდათანობით ეგრისის მთელ ტერიტორიას ედება. ნაწილობრივ (მაშასადამე, წმინდა სამხედრო სტრატეგიულ მიზეზებს გარდა) გამოწვეულია ეს იმ გარემოებით, რომ საომარ მოქმედებაში ებმებიან დასავლეთ-საქართველოს სხვა წვრილი ტომები, რომელთაც საკუთარი ინტერესები აქვთ და ეგრისის მე-

[1] პროკოპი. B. P. II, 28.

ფისგან მეტნაკლები დამოუკიდებლობით სარგებლობენ ან მიისწრაფიან ასეთი მდგომარეობისაკენ. ბრძოლის მსვლელობაში მთავარ მოწინააღმდეგეებს სულ ახალ-ახალი მაშველი ჯარები მოსდით. საკუთარ ძალებს გარდა იყენებენ, დაქირავების გზით, ჩრდილო-კავკასიელ ნომადებსაც (ჰუნებს, ალანებს). ჯარების რიცხვი ხშირად მეტად შთამაგონებელი ციფრებითაა წარმოდგენილი (30.000 კაცს ანგარიშობენ, მაგ., იმ ირანულ რაზმში, რომელიც გუბაზის განდგომის საპასუხოდ იქნა ეგრისში გამოგზავნილი!). ხშირად იცვლებიან სარდლები, უშუალო საბრძოლო მოქმედებას თანსდევს სხვა ხერხებიცა და მოვლენებიც: მოსყიდვა, ღალატი, ვერაგობა, შური და ჯიბრი.

გუბაზის განდგომის შემდგომ მომხდარ ბრძოლების პირველ ტურში (ირანელთა მხრით სარდლობს მერმეროე, რომაელთა მხრით—დაგისთე) ირანელებმა სასტიკი დამარცხება იწვნიეს (რიონის პირას), თუმცა პეტრა ბისმა გარნიზონმა მაინც შეინარჩუნა (549 წ.). ამ გარნიზონის გარდა ირანელთა სხვა ჯარებმა დასტოვეს ეგრისი.

550 წ. ირანელები ისევ შეიჭრნენ ეგრისში, ხორიანეს მეთაურობით. მაგრამ ეს ლაშქარიც სასტიკად დამარცხდა, სადღაც ცხენისწყლის შესართავთან.

ამ დროს აბაზგები აჯანყდენ რომაელების წინააღმდეგ. ეხლა ისინი უკვე ეგრისის მეფის ყმები აღარ იყვნენ, არამედ უშუალოდ კეისარს ემორჩილებოდენ (დაწვრილებით ქვემოთ). რომაელ მოხელეების ძალადობისაგან „აბაზგები პირდაპირ აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნილან". ისარგებლეს რა ამ არეულ დროთი, აბაზგები გადაუდგნენ კეისარს და ირანელებს მიეკედლნენ (550 წ.); ირანელების ახალმა სარდალმა მათ მძევლები ჩამოართვა სიმტკიცისათვის. ამ სამთავროს ხელში ჩაგდება ირანელებმა უფრო ადრეც სცადეს: პირველ ექსპედიციისავე დროს (542 წ.) ხოსრომ, სხვათა შორის, სცადა აბაზგების ორი ზღვისპირა ციხე-ქალაქის, სებასტოპოლის—ცხუმისა და პიტიუნტ—ბიჭვინტის დაჭერა. ამ სიმაგრეების გარნიზონებმა, რაკი თავდაცვის იმედი არა ჰქონდათ, „გადასწვეს სახლები, საფუძვლამდე დაანგრიეს კედლები", რომ ამ ადგილების გამოყენება მტერს ვერ შესძლებოდა, და ხომალდებით გავიდენ სამშვიდობოს. ირანელებმა მართლაც ვეღარ დაიპყრეს ეს ქვეყანა.

ახალი ცდაც ასევე უშედეგოდ დამთავრდა. რომაელებმა ენერგიულად შეუტიეს აბაზგებს, რომელთა მთავარი იმედი იყო ზღვის-

პირას მდებარე ტრაქეასციხე (სათანადო აღწერილობის შესწავლით ცხადი ხდება, რომ ეს არის დღევანდელი გაგრა). მაგრამ რომაელებმა მოახერხეს ამ ძლიერი სიმაგრის აღება, ნაცარტუტად აქციეს იგი და ბოლო მოუღეს აფხაზთა ურჩობასაც. აბაზგების განდგომას მოჰყვა არეულობა აფშილეთშიაც, რომლის მთავარი ციხეც წიბილი (დღევანდელი წებელდა უნდა იყოს) ეგრისის მაგისტროსმა, ვინმე ტერდეტემ, გუბაზ მეფის მტრობით, ირანელებს გადასცა. მაგრამ ირანელი სარდლის სიბრიყვემ (ციხისთავის ცოლის შეურაცხყოფა სცადა) საშუალება მისცეს გუბაზსა და რომაელებს აფშილეთი ისევ უკან დაებრუნებინათ.

551 წ. რომაელებმა უკვე პეტრას აღებაც მოახერხეს, სისხლისმღვრელ ბრძოლის შემდეგ, ჰუნების სამხედრო დახმარებისა და ტექნიკური მოხერხების წყალობით. მაგრამ რადგანაც, როგორც ჩანს, რომაელებს არ ჰქონდათ მტკიცე იმედი პეტრას შენარჩუნებისა, მათ საფუძვლამდის დაანგრიეს ციხის კედლები, რომ ირანელებს მათთვის კიდევ არ მიეყენებინათ ასეთი ვაი-ვაგლახი. ამის საპასუხოდ ირანელთა ახალმოსული უზარმაზარი რაზმი ეგრისის დედა-ქალაქს არქეოპოლისს (დღევანდელი ნოქალაქევი, მდ. ტეხურის პირას), სადაც რომაელთა რაზმიც იდგა, ალყას არტყამს, მაგრამ სასტიკად მარცხდება და დიდი ზარალით (ამბობენ, რომ ირანელებმა დაკარგეს 4000 | მეომარი, 3 სარდალი, 20000 ცხენი)[1] დაიხიეს უკან ქუთაისისაკენ, რომელიც ამ დროს ნაციხვარს წარმოადგენდა, მაგრამ მნიშვნელოვანი იყო სტრატეგიულად (ჰკეტავდა გზას ეგრისის პროვინციების, ლეჩხუმისა და სვანეთისაკენ) და იქ გამაგრდა.

მიუხედავად ამ დამარცხებისა, საერთო შთაბეჭდილება ისეთი იყო, რომ ირანელების მდგომარეობა ეგრისში სჯობდა რომაელებისას. ამ მდგომარეობას მოუსწრო ახალმა დროებითმა ზავმა, აგრეთვე ხუთი წლით დადებულმა (552 წ.), რომელმაც, ერთი მხრით, ერთგვარი ფინანსური დახმარება აღმოუჩინა ირანელებს (საზავო პირობებით, რომაელებს დიდი ფულადი სუბსიდია უნდა ეძლიათ მათთვის), ხოლო მეორე მხრით, საშუალება მისცა მათ ჩუმ-ჩუმად განეგრძოთ მუშაობა თავიანთი საქმეების განსამტკიცებლად ეგრის-

[1] B. G. VIII, 14.
[2] აგათია II, 18.

ში და თვით საომარი მოქმედებაც[1]. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ თუმცა გუბაზ მეფე ისევ კონსტანტინოპოლის ორიენტაციისა იყო, ეგრისის მოსახლეობის ზოგიერთი ძლიერი ჯგუფები, კერძოდ სარდლები, რომაელების ძალმომრეობისაგან თავმობეზრებულნი, უფრო ირანელების მხარეს იხრებოდენ. ამ განწყობილებების მქონე პირებმა გადასცეს ირანელებს, ქუთაისის პირისპირ მდებარე, ძლიერი უქიმერიონის ციხე. ამან მეტად გააძლიერა ირანელები, რომელთაც განამტკიცეს თავიანთი ხელისუფლება ეგრისის მიწა-წყლის დიდ ნაწილზე და გზა მოუჭრეს ეგრისელებსა და რომაელებს ლეჩხუმისა, სვანეთისა და მთელი ქვემო-იმერეთისაკენ. გუბაზიცა და მისი მოკავშირენიც იძულებულნი იყვნენ მხოლოდ სამალავებზე ეზრუნათ.

შემდეგ წლებში სამხედრო გამარჯვების სასწორი უფრო ირყევა, რასაც შეიძლებოდა კიდევ უფრო გარკვეული შედეგები მოჰყოლოდა. მოკავშირეებისათვის, ირანელთა ნიჭიერი სარდლის, მერმეროეს, სიკვდილის გამო (553 წ.), მაგრამ ძოწინააღმდეგეებმა ამ გარემოებით ვერ ისარგებლეს შინაურ უთანხმოების წყალობით. გუბაზი დამარცხებას რომაელ მხედართმთავრების უტვინობასა და უმოქმედობას აბრალებდა და უჩივლა კიდევაც მათ კეისართან. იუსტინიანემ ზოგი დაბეზღებულთაგანი დასაჯა. ყოველივე ამან კიდევ უფრო გაზარდა შური, შფოთი და განხეთქილება. ბოლოსდაბოლოს ეს მტრობა გათავდა იმით, რომ რომაელმა სარდლებმა ვერაგულად მოჰკლეს მეფე გუბაზი, შეასმინეს რა იგი თავის მხრით იმპერატორთან წინასწარ.

ამ მკვლელობამ უაღრესად არია საქმეები. ლაზები გადაუდგნენ რომაელებს. საერთო აღშფოთებით ისარგებლა ეგრისის წარჩინებულთა ირანოფილურმა ჯგუფმა, რომელმაც მკვლელობაში ბრალი დასდო თვით იუსტინიანეს, და მოითხოვა მასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა და საბოლოოდ ირანის მხარეს გადასვლა. მაგრამ ბოლოსდაბოლოს მაინც კონსტანტინოპოლის ორიენტაციის დიდებულებმა გაიმარჯვეს და კეისართან დეპუტაცია გაგზავნეს თხოვნით—დაესაჯა დამნაშავენი და ეგრისის მეფედ დაენიშნა წათე, გუბაზის უმცროსი ძმა, რომელიც მაშინ კეისრის კარზე ცხოვრობდა. ლაზები მოითხოვდენ აგრეთვე მათი მამაპაპური ადათისა და სამეფო სახლის უფლებების დაცვას.

[1] აგათია II, 18.

იუსტინიანემ დააკმაყოფილა ეს თხოვნა: მკვლელები დასჯილ იქნენ და ეგრისის ტახტზე დამტკიცებულ იქნა წათე: ლაზები დაშოშმინდენ და ისევ მხნედ შეუდგნენ ირანელების წინააღმდეგ მოქმედებას, რომელსაც ეხლა უკვე საიმედო პირი უჩანდა.

ერთგვარი შეფერხება გამოიწვია რომაელ მოხელეების უდიერ ქცევით აღელვებულ მ ი ს ი მ ი ე ლ ე ბ ი ს აჯანყებამ. ეს ტომი აგრეთვე ეგრისის მეფის ვასალად ითვლებოდა და, როგორც იმდროინდელ ცნობების ანალიზით ირკვევა, წებელდისა და დალის ხეობაში ბინადრობდა. ამბოხებულები სასტიკად იქნენ დასჯილნი (555 წ.) [1].

ირანელებმა ახალ სარდლის ხელში, თავდაპირველი გამარჯვების შემდეგ, ორი დიდი დამარცხება იგემეს (ერთხელ ქალ. ფაზისთან—ფოთთან, სადაც ირანელებმა თითქოს 10000 კაცამდის დაჰკარგეს, მეორედ—არქეოპოლისთან), ეხლა კიდევ ისინი იძულებული იყვნენ მტრისათვის ქალ. ვარდციხე დაეთმოთ. ამიტომ ირანელების სარდალმა, ნახორაგანმა, უმჯობესად მიიჩნია სამხედრო მოქმედების გაგრძელებაზე ხელი აეღო, ჯარს საფანადო ბანაკი მიუჩინა და თვითონ ქართლში გადავიდა. ეგრისში დარჩენილი ირანელი რაზმები და რომაელები კი ერთმანეთს უთვალთვალებდენ და ომის განახლებისაგან თავს იკავებდენ.

შაჰმა ნახორაგანი ფაზისთან დამარცხების მიზეზად ჩასთვალა, ქართლიდან დაიბარა და, ირანული პოლიტიკური პედაგოგიკის თანახმად, ბედუკუღმართ სარდალს ცოცხლივ ტყავი გააძრო თავის თხემიდან ფეხის ტერფამდის.

რაც შეეხება ეგრისში ომის განგრძობის საკითხს, შაჰი დარწმუნდა, რომ ამ საქმეს მისთვის კარგი ბოლო არ უჩანდა. თუ ეგრისის ფრონტს, სხვასთან შედარებით, თავისი პლუსები ჰქონდა, სამხედრო მოქმედების პროცესში მისი დიდი ნაკლიც ცხადი გახდა. დიდ დაბრკოლებას შეადგენდა ირანელებისათვის, უწინარეს ყოვლისა, ეგრისში მისასვლელი გზები, რომელნიც, ქართლიდან გადასავალ ადგილებში (ირანელები ხომ ქართლიდან გადადიოდენ დას. საქართველოში), უღრან და გაუვალ ტყეებით იყო დაფარული და დიდი მასების მოძრაობისათვის საჭირო ხდებოდა ტყის ვრცელი მასივების სახელდახელოდ გაკაფვა. მეორე დაბრკოლებაც ნაწილობრივ ამავე

[1] მისიმიელებისა და მათი აჯანყების შესახებ მოკვი თხრობს აგათია III, 15—17.

უგზოობასთან იყო დაკავშირებული. ირანელების დიდ რაზმებს საკვების ეგრისში შოვნა არ შეეძლოთ, სურსათი მათ ქართლიდან უნდა მიეტანათ, მაგრამ ასეთ გზებზე ამოდენა სანოვაგის წაღება კაცისა და სახედრის ტვირთით ძალიან ძნელი იყო. მოწინააღმდეგეს-კი ყოველივე სახმარი საგანი იოლად მოჰქონდა ზღვით. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ირანელებისათვის იმ გარემოებასაც, რომ ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ა დ (უფრო მცირერიცხოვან გამონაკლის შემთხვევების გარდა) მტრულად განწყობილ მოსახლეობაში უხდებოდათ მოქმედება. ხშირი დამარცხებები ეგრისში უკმაყოფილებას ჰბადებდა ირანის მმართველ წრეებში. მაგალითად, ერთხელ როცა ირანელები ეგრისიდან დიდი ზარალით დაბრუნდენ, დიდებულებმა „განიზრახეს აშკარად შეთქმულიყვნენ მის (ხოსრო მეფის) წინააღმდეგ და საზარელი სიკვდილით მოეკლათ ის", „რომელსაც (ე. ი. ხოსროს) ერის დაძღუპველს უწოდებდენ". ასეც მოხდებოდაო, „რომ ხოსროს წინასწარ არ შეეტყო ეს და ზომები არ მიეღო და პირფერობით არ მოექონა თავი დიდგვარიანთათვის" [1].

ეხლა, უკანასკნელ დიდ დამარცხებათა შემდეგ, ხოსრომ ზავის დადება გადასწყვიტა.

დიდი ოკეანოზის შედეგი ეგრისისათვის

ირანელებმა და რომაელებმა ჯერ დროებითი შეთანხმება მოახდინეს სამხედრო მოქმედების არგანახლების შესახებ, ვიდრე უფრო მტკიცე ზავს არ შეჰკრავდენ.

ეს „მტკიცე" ზავი, რომელსაც თითქოს ორმოცდაათი წლის ვადა უნდა ჰქონოდა, 562 წ. დაიდო. ამ ხელშეკრულებით, შაჰი ხელს იღებდა ეგრისზე და უთმობდა მას კეისარს, მაგრამ ცალ ფეხს მაინც ამ ქვეყანაში იტოვებდა: ირანელები პრეტენზიას აცხადებდენ სვანეთზე, ეს კუთხე ჩვენ გვეკუთვნისო. ისინი ემყარებოდენ იმ ფაქტს რომ ომის დროს სვანები ირანელების მხარეს გადავიდენ, გაბრაზებულნი იმის გამო რომ გუბაზ მეფემ, რომაულ სარდლობის ჯიბრით, ადათი დაარღვია და სვანებს დაწესებული სანოვაგე არ მიაწოდა. ირანელებისათვის სვანეთს, სამხედრო-სტრატეგიულის გარდა, ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რ ო მ მ ი ს ტ ე რ ი ტ ო რ ი ა ზ ე გ ზ ა ი დ ო, რომლითაც ჩრდილო-კავკასიელი ტომები („სკვითები",

[1] პროკოპი, B. G. VIII, 7; ჯორგიკა II, 113—114.

როგორც მემატიანე მენანდრე ათქმევინებს ხოსროს[1]) გადმოდიო-დენ. რომაელებიც სვანეთს არ სთმობდენ, და ამ ერთს პუნქტში მოწინააღმდეგენი ვერ შეთანხმდენ. 565 წელს იუსტინიანეს მემკვიდრემ, იუსტინე კეისარმა, ისევ აღძრა საკითხი სვანეთის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ დაცლილი არ ჰქონდათ ირანელებს. კეისარი მზად იყო ფულითაც-კი ეყიდა ეს ქვეყანა, რადგანაც ირანელების წინააღმდეგ თავდაცვის საქმეში მას დიდ ღირებულებას ანიჭებდა. მაგრამ, კეისრის ელჩის წინდაუხედაობისა და თვით სვანების ირანელებისადმი მიდრეკილების წყალობით, ეს საქმე ისევ ჩაიფუშა[2]. ბოლოსდაბოლოს მაინც ირანელები იძულებული გახდნენ სავსებით აეკვეთათ ფეხი ეგრისიდან და სვანეთიდანაც წაბარგებულიყვნენ. ამრიგად, ეს ხანგრძლივი ბრძოლა რომაელების სრული გამარჯვებით დამთავრდა.

ეს იყო ყველაზე დიდი ომი, რომელიც-კი ისტორიას ახსოვს ეგრისსა და ქართლში, VI ს. უწინარეს. მას, უეჭველია, დიდი ცვლილებები უნდა მოეხდინა დას. საქართველოს ცხოვრებაში. ცვლილებები, ჩვენ ვფიქრობთ, დაახლოებით ისეთივე ხასიათისა უნდა ყოფილიყო, როგორიც ქართლშიაც გამოიწვია იმავე ირანულმა პოლიტიკურმა ექსპანსიამ (ხომ სწორედ ირანელების გააქტიურება, V—VI სს. მიჯნაზე და მომდევნო ხანაში, იყო მიზეზი კონსტანტინოპოლის მთავრობის საპასუხო ღონისძიებათა და, შემდეგ, თვით სამხედრო მოქმედებისაც). ცვლილებათა მეტნაკლებად ანალოგიურ ხასიათს განსაზღვრავდა აგრეთვე მეტნაკლებად ანალოგიური ხასიათი იმ სოციალურ გარემოსი, რომელშიაც აღნიშნული მოვლენები ვითარდებაა: ეგრისიც ამ დროს ადრინდელ-ფეოდალური ქვეყანაა. გაბატონებულ კლასს იგივე წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ თ ა წ ო დ ე ბ ა შეადგენს. მართალია, და ეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, როგორც უკვე თავის ადგილას ვამბობდით, ეგრისის მეფის ხელისუფლება სხვა ნიადაგზეა წარმოშობილი, ვიდრე ქართლის მეფისა, და ამიტომ ეგრისში მეფისა და მსხვილ მიწისმფლობელთა მკაცრი ანტაგონიზმისათვის არ არსებობს ისეთი პოხიერი ნიადაგი, როგორც ქართლში. ამიტომვეა, რომ აღწერილ ამბების დასაწყისში ეს ანტაგონიზმი ისე არ არის წარმოჩენილი, როგორც ქართლის შესატყვის ისტორიაშია. მაგრამ თანდათანობით აქაც იჩენს თავს სათანადო, თუმც იქნებ უფ-

[1] მენანდრე, ნაწყვ. 11, Dindorf-ის გამოც., გვ. 28.

[2] იგივე, ნაწყვ. 15, Dind. 36—40; იხ. აგრეთვე იქვე ნაწყვ. 12, 13, 16, 17.

რო სუსტი, წინააღმდეგობა, რომელსაც ჰკვებავს, განსხვავებულ ინტერესთა შეჭონე, ლოკალურ ფეოდალურ ჯგუფთა და ტომთა სხვადასხვაობის არსებობა. ეგრისშიც, ამ მიზეზით, გარედან მოსული ძალა პოულობს თავის დასაყრდენს ახალგაზრდა ფეოდალურ ძალებში ადგილობრივ მეფის წინააღმდეგ, რომელიც (მეფე) საჭირო არ არის არც რომაელებისათვის და არც ირანელებისათვის: სათანადო პოლიტიკა და მოქმედება ეგრისშიაც, საბოლოო ანგარიშით, მეფის ხელისუფლების დასუსტებას გვაძლევს. სამაგიეროდ, შეცვლილი მდგომარეობით შეიძლებოდა ესარგებლათ გარკვეულ ფეოდალურ წრეებს და, უნდა ვიფიქროთ, რომ ისარგებლეს კიდევაც. საკმარისია ჩავუკვირდეთ მოთხრობილ ამბებს.

უკვე რომაულ ჯარების ჩაყენება ეგრისში, როგორც ვამბობდით, სამართლიანადაა გაგებული დაინტერესებულ პირთა მიერ, როგორც ეგრისის მმართველ წრის (პირველ რიგში, მეფის), „დაპატიმრება". თანამედროვეებს კარგად ესმით, რომ ეგრისის მეფეს რომაელები ეხლა „მეფობის მხოლოდ გარეგნულ ნიშნებს უტოვებენ, ხოლო ძალაუფლება საქმეებში თვითონა აქვთ მითვისებული: მეფე მოსამსახურის ბედში იმყოფება და განმკარგულებელი სტრატეგოსის ეშინია" [1]. მაგრამ რაც უფრო მეტად ებმება კონსტანტინოპოლის მთავრობა ეგრისის გამო ბრძოლაში, რაც უფრო ძლიერი ადმინისტრაციული ყურადღების მიქცევა უხდება მას ამ ქვეყნის საქმეებისათვის, მით უფრო ბუნებრივად იზრდება ეს „განმკარგულებელი" როლი სტრატეგოსისა, ე. ი. კეისრის ადგილობრივ უზენაეს მოხელისა.

ამ გარეგან ტენდენციას ხვდება სათანადო განწყობილება ეგრისის წარჩინებულთა ზოგიერთ წრეებში. ფაქტები მეფის წინააღმდეგ განწყობილ ჯგუფების არსებობისა საკმაო რაოდენობითაა მოღწეული. ირანელების ვერაგი განზრახვის, გუბაზ მეფის მოკვლის, შესრულების იარაღად არჩეულია ერთი წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ ი ლ ა ზ თ ა გ ა ნ ი (τῶν τις ἐν Κόλχοις λογίμων). „რომელსაც გუბაზისათვის შეურაცხყოფა მიუყენებია და მასთან ამის გამო დიდ შუღლში ჩავარდნილა" [2]. მართალია, შემდეგში ამ კაცმა არ გაამართლა ირანელთა იმედები და შეიძლება აზრი დაიბადოს აღნიშნულ უკმაყოფილების| პირად ხასიათის შესახებ ,მაგრამ ერთგვარი ინტერესი ამ ფაქტს

[1] B. P. II, 15; გეორგ. II, 50.

[2] იქვე II, 29; გვ. 69—70.

მაინც უნდა შერჩეს. უფრო მნიშვნელოვანია მეორე ლაზი წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ ი ს, ტერდეტეს (τῶν δέ τις ἐν Λαζοῖς λογίμων), „რომელსაც ეგრეთწოდებული მაგისტროსის უფლება ეპყრა ამ ხალხში“ (ე. ი. დიდი თანამდებობის პირი იყო), ამბავი: ტერდეტემ სახელმწიფო ღალატი ჩაიდინა (წიბილის ძლიერი ციხე ირანელებს გადასცა) იმიტომ, რომ „ლაზთა მეფე გუბაზთან წაჩხუბებული იყო და მასთან უკმაყოფილება ჰქონდა“[1]. იხსენიება კიდევ ერთი ლაზი, „ლ ა ზ ე ბ ს შ ო რ ი ს წ ა რ ჩ ი ნ ებ უ ლ ი“, არქეოპოლისის მცხოვრები, რომელიც „ღალატობს სამშობლოს“ და ირანელებს ჰპირდება, რომ მათი იერიშის დროს ცეცხლს წაუკიდებს ეგრისის სასურსათო ბეღლებს[2]. შემდეგ, ვინმე თეოფობი, „კაცი არა უაზნო“ (ἦν δέ τις ἐν Λαζοῖς οὐκ ἀφανὴς ἀνήρ) ღალატით აძლევს ირანელებს ეგრისის ციხეს, უქიმერიონს[3]. იხსენიებიან აგრეთვე სხვა უფრო წვრილი რენეგატები და შინათგამცემელნი.

რომ ეგრისის ფეოდალურ წრეებში სხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ინ ტ ე რ ე ს ებ ი ს ა და, ა მ ი ტ ო მ, სხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ს ა გ ა რ ე ო ო რ ი ე ნ ტ ა ც ი ი ს მ ქ ო ნ ე ჯ გ უ ფ ე ბ ი არსებობდენ, ეს განსაკუთრებით რელიეფურად ჩანს იმ ცნობებიდან, რომელნიც აღწერენ გუბაზ მეფის მოკვლისადმი დამოკიდებულებას ამ წრეებისას. მართალია, ამ საზიზღარი აქტის გამო „ლ ა ზ თ ა მ თ ე ლ ი ჯ ა რ ი ა ა ღ ე ლ ვ ე ბ უ ლ ი“[4], მაგრამ, განსაკუთრებით, „საგონებელში ქ ვ ე ყ ნ ი ს მ მ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი არიან ჩაცვივნულნი“[5]. მათ არ იციან, რა ქნან, რა მოისაზრონ. ბოლოს, ერთს მიყრუებულ ხეობაში, ერისკრებას იწვევენ, რომელმაც უნდა საგარეო ორიენტაციის საკითხი გადასწყვიტოს. ეს კრება მეტად საინტერესო მოვლენაა. იგი მოწმობს რომ ეგრისში VI ს. კიდევ არსებობდა გვაროვნული წყობილების ეს გარდმონაშთი, საერო კრება, რომელსაც განსაკუთრებულ შემთხვევებში იწვევდენ. მაგრამ ცხადია რომ იგი, თავის შეზღუდულ ფუნქციის გარდა, სხვა მხრივაც მნიშვნელოვნად განსხვავდება თავის წინაპრისაგან. კერძოდ, აშკარაა, რომ მ ი ს ი ს ა დ ა ვ ე წ ა რ ჩ ი ნ ებ უ ლ ებ ს უ პ ყ რ ი ა თ ხ ე ლ თ. კრებაზე „მრავალ-

[1] პროკოპი, B. G. VIII, 10; გეორგ. II 131.
[2] იქვე, VIII, 14; გვ. 160.
[3] იქვე, VIII, 17.
[4] აგათია, III, 4.
[5] იქვე, III, 8.

მა (სამწუხაროდ, აღნიშნული არ არის, ვისგან შესდგება ეს სიმრავ-
ლე. ს. ჯ.) წარმოთქვა სიტყვა; ზოგი ერთ | წინადადებას იძლეოდა,
ზოგი კიდევ—სხვას. იყო უთავბოლო და არეული. ყვირილი; კაცი-
ნათლად ვერ გაარკვევდა ვერც იმას, თუ ვინ ლაპარაკობდა, ვერც
იმას, თუ რას ამბობდა. მ ა შ ი ნ დ ი დ ებ უ ლ ებ მ ა (οἱ δυνατώ-
τατοι) მ ო უ წ ო დ ე ს ხ ა ლ ხ ს ს ი წ ყ ნ ა რ ე დ ა ე ც ვ ა თ.
ყოველი მსურველი, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, წყნარად გამო-
სულიყო და ეთქვა თავისი წინადადება, როგორც შეეძლო". ამის
შემდეგ კრების ხელმძღვანელობა წარჩინებულთა ხელში გადადის.
„იყო წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ თ ა შ ო რ ი ს ე რ თ ი (ἀνὴρ δέ τις τῶν
λογιμωτάτων) სახელად აიეტი. ის ყველაზე უფრო მძიმედ გრძნო-
ბდა მომხდარ ამბებს და წუხდა; სხვათა შორის, რ ო მ ა ე ლ თ ა მ ო-
ძ უ ლ ე ი ყ ო დ ა მ უ დ ა მ ს პ ა რ ს ე ლ ე ბ ი ს მ ო მ ხ რ ე".
რაკი მისმა პირველმა სიტყვამ სათანადო შთაბეჭდილება ვერ მოახ-
დინა, აიეტი „აღელვებული წამოდგა, შ უ ა შ ი გ ა ვ ი დ ა და ილა-
პარაკა ისე, როგორც ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა ბ ჭ ო შ ი (ἐν δημοκρατικῷ
βουλευτηρίῳ) ლაპარაკობენ"[1]. აიეტმა მოახერხა ბოლოსდაბოლოს
„მთელი ხალხის აღფრთოვანება", რომელიც მას „სიხარულის ყვი-
რილით" მიემხრო. მაგრამ მოწინააღმდეგე პარტიასაც ჰყოლია თა-
ვისი დახელოვნებული ორატორები: „ერთი ვინმე, სახელად ფარტა-
ზი, კაცი, კოლხთა შორის გ ა ვ ლ ე ნ ი ა ნ ი, გონიერი და თავისი
ქ ც ე ვ ი თ მეტად მდაბიური", რომლის „რ ი დ ი ჰ ქ ო ნ დ ა თ"
მის თანამეტომეებს, კრების „შუაში წამოდგება" და აიეტის საბუთე-
ბის დარღვევას ცდილობს. ფარტაზი რომაული ორიენტაციისაა. ფარ-
ტაზი იმარჯვებს: მას ეხმარება ერის ა რ ი ს ტ ო კ რ ა ტ ი ა და
ა ზ ნ ა უ რ ო ბ ა—„რადგან ფარტაზის აზრმა გაიმარჯვა. ე რ ი ს
წ ა რ ჩ ი ნ ებ უ ლ მ ა და კ ე თ ი ლ შ ო ბ ი ლ მ ა კ ა ც ებ მ ა
(οἱ ἄριστοι καὶ εὐπατρίδαι τοῦ ἔθ νους)აცნობეს იუსტინიანე მეფეს ის,
რაც გუბაზის გარშემო მოხდა"[2]. ჩვენ ზემოთ უკვე განვმარტეთ, თუ
როგორი რეალური პირობებით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული
ლაზურ არისტოკრატიის ამ უძლიერეს ჯგუფის საგარეო ორიენტა-
ცია. მაგრამ გარკვეული რეალური პირობები განსაზღვრავდენ მის

[1] იქვე, პროფ. ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი, გეორგ. III, 63—4.
[2] იქვე, III, 11—14; გეორგ., III, 71—81.

შემდგომს კონკრეტულ ნაბიჯებსაც: ვასალობის არსებული ფორმის რადიკალური შეცვლა მოცემულს ისტორიულ გარემოში (ვგულისხმობთ ეგრისის მიმდინარე დიდი ომიანობის მიერ შექმნილს პირობებსა და ურთიერთობას) შეუძლებელი იყო, რა თქმა უნდა. ადგილობრივი მეფე ვასალი რომაელებს ჯერ კიდევ აუცილებლად სჭიროდათ. ლაზურ არის|ტოკრატიას მხოლოდ ის უნდა ემეცადინა, რომ მისთვის მაქსიმალურად სასურველი კაცის კანდიდატურისათვის ძოეპოვებინა კონსტანტინოპოლის მთავრობის დასტური. ბიზანტიონში ჩასული ეგრისელი ელჩები სთხოვენ იუსტინიანეს: ... „დაუსჯელს ნუ დასტოვებ ამ ბოროტმოქმედებას და მეფედ ვინმე უცხოელს, არათვისტომს, კი ნუ დაგვიყენებ, არამედ წათე გამოგვიგზავნე, გუბაზის უმცროსი ძმა, რომელიც ამჟამად ბიზანტიონში ცხოვრობს, რათა დაცულ იქნეს მამაპაპური წესი და ძველი სამეფო გვარი შეურევნელი დარჩესო“ [1]. იუსტინიანე მიზანშეწონილად სცნობს ამ თხოვნის დაკმაყოფილებას: მის მიერ ეგრისის მეფედ დამტკიცებული წათე მოდის სამშობლოში, „რომაელთა მეფისაგან მიეღო მას, როგორც ეს ძველითგანვე დაწესებული იყო, მამაპაპეული ხელისუფლება და საამისო ნიშნები (აქ აღწერილია წათეს სამეფო სამოსელი)“ [2]. წათე დიდი ზეიმითა და ბრწყინვალებით მიიღეს ეგრისში. იგი „ჩაუდგა სამეფოს სათავეში, შეუდგა ამიერიდან საქმეების მოწესრიგებას და უვლიდა თვისტომთ, როგორც მას სურდა და როგორც მას მამაპაპური წესი უკარნახებდა“ [3]. ჩვენ ძალიან გვეეჭვება, რომ წათე ისე მართავდა „როგორც მას სურდა“. პირიქით, აშკარა გვგონია: წათეს ხელისუფლება ისეთ პირობებში დაიბადა, რომ იგი ბევრად უფრო ვიწრო მოცულობისა უნდა ყოფილიყო, ვიდრე გუბაზის ძალაუფლება—ერთი მხრით, იგი ბევრად უფრო დამოკიდებული უნდა ყოფილიყო რომაელებზე, ხოლო, მეორე მხრით,—ბევრად უფრო შეზღუდული ეგრისის წარჩინებულთაგან. უკანასკნელს მოწმობს, მაგ., ის ფაქტი, რომ რომაელებმა ეგრისში გუბაზის მკვლელთა საჯარო გასამართლება მოაწყვეს, სასამართლოში ბრალმდებლებად გამოვიდენ „დ ა რ ბ ა ი ს ე ლ ი კ ო ლ ხ ე ბ ი, რომელთაც უკვე

[1] აგათია, III, 14; გვ. 82.
[2] იქვე, III, 15.
[3] იქვე, III, 15; გეორგ. III, 85.

კარგა ხანია შეესწავლათ ელინური ენა“ [1]. მომჩივანნი ეგრისის წარჩინებულნი არიან: ეგრისის მეფის ხელისუფლება აშკარა დაქვეითების გზაზე იდგა.

არა ნაკლებ არყევდა ამ ხელისუფლებას ცალკე ტომთა, წინათ ეგრისის მეფის ყმათა, პარტიკულარისტული ტენდენციები (სვანების, მისიმიელების, შესაძლოა, აგრეთვე აფშილებისაც), რომელი ტენდენციებიც თავისი საკუთარი წყაროებით იკვებებოდა, მაგრამ რომელთაც გარეშე ძალა აქეზებდა და ხელს უმართავდა, საკუთარ ინტერესების სასარგებლოდ.

| მდგომარეობა აფხაზეთში

სპეციალურ ყურადღებას იპყრობს აბაზგიის ამბები აღებულ ხანაში, აღწერილი იმავე წყაროების მიერ.

პროკოპი კესარიელის ცნობით, „აბაზგები ძველითგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო მუდამ ჰყავდათ ორი თვისტომი მთავარი. ამათგან ერთი დადგენილი იყო დასავლეთის ნაწილში, ხოლო მეორე—აღმოსავლეთისაში“ [2]. გარკვეულ დროიდან აბაზგებს უკვე დამოუკიდებლად უჭირავთ თავი. აბაზგების განკერძოებითი ტენდენციები ალბათ იმავე პერიოდში მჟღავნდება, როცა წყაროები კონკრეტულად მიუთითებენ სვანეთის განდგომაზე ლაზიკისგან, ე. ი. მეხუთე საუკუნის დამლევს, ან, შესაძლოა, ცოტა უფრო გვიანაც. უნდა ვიფიქროთ, რომ აბაზგთა მთავრების ამ შედარებითი გაძლიერების ხანას გულისხმობს ის ცნობები, რომელიც აბაზგების მფლობელთა დესპოტიას გვიხატავს. „აბაზგებს—ამბობს პროკოპი—თავიანთი მთავრებისაგან საშინელი ჩაგვრა აქვთ გამოცდილი, იმათი ვერცხლისმოყვარეობის წყალობით. მათი ორივე . მეფე, როგორც-კი დაინახავდენ ამ ტომში კარგი გარეგნობისა და ლამაზი ტანის ბავშვებს, დაუყოვნებლივ დააშორებდენ მათ მშობლებს, ევნუქებად (საჭურისებად) გადააქცევდენ და გზავნიდენ რომაელთა ქვეყანაში, რათა იქ მიეყიდათ მსურველთათვის დიდძალ ფულზე. მათ მამებსკი მაშინვე კლავდენ, რათა ზოგიერთი მათგანი არ ცდილიყო ოდესმე ეზღო მეფისათვის მათი შვილების მიმართ ჩადენილი უსამართლობისათვის, ხოლო ზოგიერთი ქვეშევრდომთაგანი კიდევ მათთვის საეჭვო არ ყოფილიყო. ამრიგად, შვილების სილამაზე მათთვის და-

[1] იქვე, IV, 2; ბ3. 127.
[2] B. G. VIII, 3; გეორგ. II, 103.

ღუპვის მომასწავებელი იყო, ვინაიდან ისინი იღუპებოდენ საცოდავნი, შვილების საბედისწერო სილამაზით გაუბედურებულნი. აქედან არის, რომ მეტი წილი ევნუქებისა რომაელთა ქვეყანაში, განსაკუთრებით-კი—მეფის სასახლეში, ტომით აბაზგები არიან"[1]. ცნობა მეტად კონკრეტული, ნიშანდობლივი და, ამიტომ, უაღრესად საყურადღებოა. მეექვსე საუკუნის დამდეგისათვის, როდესაც, ჩანს, ეს ამბები ხდება, აბაზგებს განვითარების საკმაოდ გრძელი გზა ჰქონიათ განვლილი. მეფეების ვერცხლისმოყვარეობა, მათ მიერ ტყვისყიდვის (და, მაშასადამე, მონათვაჭრობის) მოწყობა ესოდენ ფართო სარეწავის სახით, ამ გზით დიდძალი შემოსავლის მიღება,—ყოველივე ეს მიუთითებს საალებ-მიცემო პროცესების მოცულობასა და ხასიათზე ქვეყნის ცხოვრებაში. თუ ეს მთავრები საკუთარ ქვეშევრდომებსაც არ ინდობდენ, რა ხელს დაკლებდენ სხვისას, ან, საერთოდ, მეზობელ ტომთა მოსახლეობას! ამიტომ, უეჭველია, რომ აბაზგთა მთავრებს ტყვის მოტაცება, სათანადო სამხედრო ექსპედიციები მონების საშოვრად და მოსარბევად, ჩვეულებრივ ხელობად ექნებოდათ გადაქცეული. ამ გარემოებას განსაკუთრებით უნდა გაეზარდა მთავართა სამხედრო რაზმების მნიშვნელობა. ასეთ ძალაზე დამყარებას შეეძლო აღმოეცენებინა აბაზგთა მფლობელების ზემოთ აღწერილი დესპოტია. ასევე უეჭველია, რომ თვით საზოგადოების შიგნითაც მთავართა ხელისუფლებას სჭიროდა და ჰქონდა ერთგვარი სოციალური მისანდობელი, საყრდენი. ყოველივე ეს უკვე საკმაოდ განვითარებულს საზოგადოებრივ დიფერენციაციას გვაგულისხმებინებს. მართლაც, თუ აბაზგების მთავრებს ჰყავდათ ისეთი ქვეშევრდომები, რომელნიც „შვილების საბედისწერო სილამაზით გაუბედურებულნი" იყვნენ, თუ ზოგნი ამ ქვეშევრდომთაგან „საეჭვოდაც" გამოიცქირებოდენ და მათ მიმართ ჩადენილი უსამართლობისათვის მეფის მოსისხლე მტრებად იგულისხმებოდენ, სამაგიეროდ, ისეთი ხალხიც უთუოდ იქნებოდა, რომელიც ამ დესპოტებს სანდოდ და ერთგულად მიაჩნდათ. ადრინდელ-ფეოდალური ხასიათის საზოგადოებრივი ფენიანობა, ერთი მხრით, სხვადასხვა ფეოდალური თუ, საერთოდ, გაბატონებული ჯგუფები, მეორე მხრით,—აბაზგიის ეს სოციალური სურათი, მოცემულ ხანაში, თვალსაჩინოა.

---

[1] გეორგ. II, 103—4.

სოციალური დიფერენციაციის განვითარებას მოწმობს წყაროებში მოხსენებული ფაქტი, რომ, მეექვსე საუკუნის ორმოცდაათიან წლების დამდეგს, ირანელების სარდალი ნაბედი, რომელიც ჯარით ჩადგება, რომაელებისა და ლაზებისაგან განდგომილ, აბაზგების ქვეყანაში, სიმტკიცისათვის მოსახლეობას გამოართმევს მძევლებს—ს ა მ ო ც ბ ა ვ შ ვ ს წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ თ ა გ ვ ა რ ე ბ ი დ ა ნ, παῖδας τῶν ἐν σφίσι λογίμων ἑξήκοντα ἐν ὁμήρων λόγῳ ἵπρὸς αὐτῶν ἔλαβε[1]. აქედან ჩანს, რომ ქვეყნის ბატონ-პატრონი სწორედ წარჩინებულნი არიან და რომ ეს წოდება ამ დროისათვის საკმაოდ მრავალრიცხოვანია. სოციალურ ფენიანობის შესახებ აბაზგიაში უაღრესად ნიშანდობლივი ცნობაა, აგრეთვე, ცნობა მათი გაქრისტიანების შესახებ, რაც დაწვრილებით ქვემოთ იქნება განხილული.

შემდეგი ამბების გაგებისათვის საჭირო მოვიგონოთ აფხაზეთის პოლიტიკური ვითარება VI ს. მომდევნო პერიოდში, განსაკუთრებით, იუსტინიანეს მეფობაში, პროკოპი კესარიელის ცნობებით უნდა დავასკვნათ, რომ რომაელები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ თანამედროვე აფხაზეთს. ეს ავტორი მოგვითხრობს, რომ „პირველ ხანებში რომაელ ჯარისკაცთა რაზმებს ეპირათ მთელი ადგილები ტრაპეზუნტის საზღვრებიდან დაწყებული ვიდრე სანიგების ქვეყნამდე (აქ „სანიგების ქვეყნად“ ავტორი თანამედროვე სოხუმის რაიონს გულისხმობს, ს. ჯ.)... ამჟამად კი მათ დარჩათ მხოლოდ ეს ორი სიმაგრე (ე. ი., პიტიუნტი და სევასტოპოლისი*, ანუ დღევანდელი ბიჭვინტა და, მიახლ., სოხუმი, ს. ჯ.), სადაც ჩვენ დრომდე ჰქონდათ სადარაჯოები“[2]. აქ ალბათ იგულისხმება მეექვსე საუკუნის ოციანი წლების დამდეგის ხანა. ავტორის წარმოდგენით, ამ მომენტში დასავლ. საქართველოს ტერიტორიაზე რომაელთა გარნიზონები სხვაგან არსად დგას, გარდა თანამედროვე აფხაზეთის სანაპიროსი. აღნიშნული ფაქტი ნაწილობრივ ალბათ იმ გარემოებასთანაც არის დაკავშირებული, რომ აღებულ დროისათვის რომაელებს უკვე მოუხერხებიათ აბაზგების რაიონის ერთგვარი გამოთიშვა ეგრისის სამეფოს პოლიტიკური

* ამ სიტყვის გასწვრივ დედანში ავტორისავე ხელით წერია: „მაშასადამე, ამ დროს ჯერ კიდევ სევასტოპოლი აბაზგიის საზღვრებში მოდის“.!

[1] B. G. VIII, 9; გეორგ. II, 125.

[2] იქვე, VIII, 4; იქვე, 106-7.

სისტემიდან. ცხადია, რომ კონსტანტინოპოლის მთავრობა იძულებული გამხდარა განსაკუთრებული ღონისძიებანი ეანეხორციელებინა ამ მხარის შემოსამტკიცებლად. ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ რომაელებს აქ განსაკუთრებული ინტერესები ჰქონდათ. უეჭველია, რომ ეს ინტერესები მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული ზემოთ მოთხრობილ მონისა და „ტყვის“ ვაჭრობასთან. აბაზგების ქვეყანაშივე იწყებოდა ჩრდილოეთისაკენ მიმავალი, უაღრესად საყურადღებო საუღელტეხილო გზები, რომელნიც, უწინარეს ყოვლისა, ცოცხალი საქონლის, მონების, გამტარებელ არხებს წარმოადგენდენ.

ამ სანაპიროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისითაც: აქ მდებარეობდა ჩრდილო-დასავლეთიდან დასავლეთ საქართველოში მომავალთათვის ისეთივე კარები, როგორიც იყო სამხრეთ-დასავლეთიდან მომავალთათვის პეტრა (თანამედროვე ციხისძირი)—ვგულისხმობთ გაგრა—ტრაქეას. ყოველივე ეს აფხაზეთის შემდგომდროინდელ ისტორიაში უფრო რელიეფურად გამოჩნდება.

„როდესაც მოხდა გურგენ, ივერთა მეფის წყალობით შემთხუელი ამბავი“, ე. ი. როდესაც ივერიის აჯანყება ირანელთა წინააღმდეგ მარცხით დამთავრდა (მეექვსე საუკუნის ოციან წლების დამდეგს), მაშინ „ლაზებთან დაიწყეს ჩადგომა რომაელთა ჯარისკაცებმა“ [1], რადგანაც თვით „ლაზებს არ სურდათ თავისი ქვეყნის თანადაცვა“. რომაელთა იმპერატორმა გადასწყვიტა ლაზიკაში „გაეგზავნა ჯარი და სარდალი ირენე“, რომელთაც დაიპირეს აქ ივერიის საზღვრებთან მდებარე ეგრისის ორი ძლიერი ციხე (იგულისხმება სკანდა და შორაპანი)[2]. რომაელები ამ ციხეების გამაგრებას ვერ ახერხებენ და მათს მთავარ სადგომად იქცევა, როგორც ზემოთ უკვე მოთხრობილი იყო, იუსტინიანეს მიერ ახლადაგებული პეტრა ერთი მხრით, პეტრაში დაბანაკებულ ძალებზე დაყრდნობით, მეორე მხრით აბაზგების დასახელებულ სიმაგრეებში მდგომ გარნიზონების საშუალებით. იუსტინიანე და მისი ადმინისტრაცია ატარებს, ლაზიკასა და აბაზგიაში, ეგრისისათვის თავის ადგილას აღწერილს, პოლიტიკას. ამ პოლიტიკის ხასიათი და შედეგები აბაზგიაშიაც დაახ-

[1] B. P. II, 15; გეორგ. II, 46.
[2] იქვე, I, 12; გვ. 24—25.

ლოებით იგივე იყო, რაც საკუთრივ ეგრისში. უწინარეს ყოვლისა, რომაელები ცდილობენ აბაზგიის უმეშვეო მართვის შესაძლებლობის მოპოვებას. თუ ეგრისში მათ შეჰკვეცეს ადგილობრივი სამეფო ხელისუფლება თავისთვის სასურველ ფარგლებამდის, აბაზგიაში მათ სრულიად მოსპეს მთავართა ხელისუფლება. უეჭველია, რომ რომაელთა უშუალო შთაგონებამა და წაქეზებამ არამცირედი როლი შეასრულა აბაზგიაში ამ დროს მომხდარ რევოლუციაში. პროკოპის მოთხრობით, „ორივე მეფე მოსპეს აბაზგებმა და გადასწყვიტეს თავისუფლად ეცხოვრათ". ამ აქტს წინ უსწრებს რომაული მთავრობის გარკვეული ღონისძიებები. ოფიციალური ისტორიკოსი გვარწმუნებს, თითქოს ამ ღონისძიებებს მხოლოდ „ჰუმანური" დანიშნულება ჰქონდათ—ქრისტიანობის გავრცელება აბაზგებში და კასტრაციის ბარბაროსული ჩვეულების მოსპობა. მაგრამ ცხადია, რომ პირველიცა და მეორეც მხოლოდ სასურველი ზემოქმედების იარაღი იყო ადგილობრივ გარკვეული წრეების მიმართ. გასაგებია, რომ როცა კეისრის ადგილობრივი წარმომადგენელი სასტიკად უკრძალავს აბაზგთა მეფეებს ამიერიდან ვისმე გასაჭურისებას და როცა „ამას აბაზგები სიხარულით ხვდებიან", ან როცა "შემდეგში, „რომაელთა მეფის ბრძანებით გამხნევებულნი, ისინი მთელი თავისი ძალ-ღონით ეწინააღმდეგებიან ამ საქმის ჩადენას" [1], გასაგებია, ვიმეორებთ, რომ ამ შემთხვევაში კეისრის მთავრობას კურსი ადგილობრივ წარჩინებულთა წრეების გადმობირებაზე აქვს აღებული, მათი მეფეების წინააღმდეგ. წინააღმდეგობა მეფეებსა და წარჩინებულთა ამ წრეებს შორის ხელოვნურად არ იყო გაჩენილი. ადგილობრივ მთავართა ხელისუფლება, წარმოშობილი იმ სპეციფიკურ ადრინდელ საძყაროში, სადაც სოციალურ დიფერენციაციის თავდაპირველს, მონათმფლობელურ, სახეს ადრე უჩნდება ფეოდალური მეტოქე, რაც პოლიტიკურ ზედნაშენის თავისებურებას განსაზღვრას, ეს ხელისუფლება შემდეგში კვლავ იხრება პირველი ელემენტებისაკენ, რომელსაც, სასურველ პირობებში გაძლიერების ტენდენცია უჩნდება. ყველაზე ხელსაყრელი ამ სასურველ პირობათა შორის არის მეტნაკლებად (შედარებითი თვალსაზრისი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვეკარგოს) ინტენსიური საგარეო ვაჭრობა, რომელსაც აღებულ მომენტისათვის ეხედავთ აფხაზეთშიაც, როგორც ზემოთ

[1] B. G. VIII, 3; გეორგ. II, 104—5.

ყო მოთხრობილი: „ანტიკურ ქვეყანაში ვაჭრობის ზეგავლენა და ვაჭრული კაპიტალის განვითარება შედეგად მოიღებს მუდამ მონურ მეურნეობას“[1]... რა თქმა უნდა, იმდროინდელ აბაზგიაში ეს მონათმფლობელური მეურნეობა მეტად სუსტი იყო და, შესაძლებელია, რომ იგი უპირატესად მხოლოდ მონების, როგორც საბაზრო საქონლის, „წარმოებაში“ გამოიხატებოდა, მაგრამ იგი მაინც საფუძვლად იქცა აბაზგთა მთავრების ზემოთ აღწერილ დესპოტიისათვის. ეს უკანასკნელი-კი შეუთავსებელი იყო თუმცა განუვითარებელს, მაგრამ ზრდის პროცესში მყოფ, ფეოდალურ ელემენტთან.

აღნიშნული ბრძოლა დამთავრდა იმ გადატრიალებით, რომლის შესახებაც ზემოთ იყო საუბარი. რომ გადატრიალება სწორედ წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ ე ბ მ ა, ჩვენი გაგებით, ე. ი. ახალგაზრდა ფეოდალურმა კლასმა, მოახდინეს, ეს ჩანს, აგრეთვე აღნიშნულ ფაქტიდან რომ აბაზგიის პირველ დაპერისთანავე ირანელებმა მძეულები სწორედ ამ წარჩინებულებს გამოართვეს: ქვეყნის ბატონი ეს წოლება იყო და პასუხისმგებლობასაც მას აკისრებდენ.

ალბათ, აბაზგი წარჩინებულების თავდაპირველი თანხმობა საიმპერატორო მთავრობასთან და მათივე ანტილაზური განწყობილება იყო იმის ერთი მიზეზთაგანი, რომ ირანელებმა თავიდანვე ვერ მოახერხეს აფხაზეთში დამკვიდრება. როცა, 541 წ., ეგრისის მეფის ძოწვევით, ირანის შაჰი ხოსრო უზარმაზარი ჯარით დას. საქართველოში გადავიდა და, უწინარეს ყოვლისა, პეტრასკენ გაეშურა, იმავე დროს მან ერთი რაზმი აფხაზეთის ციხე-ქალაქებისაკენ გაგზავნა, ამ პუნქტების განსაკუთრებულ სტრატეგიულ მნიშვნელობის გამო. როგორც უკვე ნათქვამი იყო, აფხაზეთში მაშინ რომაული ციხოვანი ჯარი სევასტოპოლისსა და პიტიუნტში იდგა. როდესაც ამ გარნიზონებმა ირანელების მათკენ გალაშქრების ამბავი „წინდაწინ გაიგეს, დაასწრეს და გადასწვეს სახლები, საფუძვლამდე დაანგრიეს კედლები, დაუყოვნებლივ ჩასხდენ ხომალდებში, გასწიეს პირისპირ მდებარე ხმელეთისაკენ და მივიდენ ქალაქ ტრაპეზუნტში“. ცხადია, მათ ირანელებისათვის გამკლავების იმედი წარწყმედილი ჰქონდათ. „ამრიგად,—განაგრძობს ბიზანტიელი მემატიანე,—თუმცა ზარალი მიაყენეს რომაელთა ძალაუფლებას სიმაგრეების მოსპობით, მაგრამ მით დიდი სარგებლობაც მოუხვეშეს იმ მხრივ, რომ მტრებ-

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, III, ნაწ. I, გვ. 289. ქართ. თარგმ. 1932 წ.

მა ვერ დაიპყრეს ეს ქვეყანა: სპარსელები ხომ იქიდან უშედეგოდ გაბრუნდენ პეტრაში"[1]. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ირანელები უკან გააბრუნა არა მარტო დანგრეულ სიმაგრეების სურათმა, არამედ იმ გარემოებამაც, რომ მათ, მაშინ ჯერ კიდევ, არ ჰქონდათ მოპოვებული საჭირო გავლენა არც ერთს ადგილობრივს, სოციალურად მნიშვნელოვან, საზოგადოებრივ ჯგუფში. ასეთ მდგომარეობას ირანელები მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ აღწევენ, როგორც ეს ქვემოთ იქნება აღნიშნული.

მას შემდეგ, რაც აბაზგებმა თავიანთი მეფეები მოსპეს და „თავისუფალ ცხოვრებას" შეუდგნენ, როგორც ამას ოფიციალური მემატიანე ამბობს, ნამდვილად ეს „თავისუფლება" იმაში გამოიხატა რომ რომაელებმა თვითონ დაიჭირეს გაძევებულ ტირანების ადგილი. ეხლა უკვე „რომაელთა ჯარისკაცები, კეისრის მიერ წარგზავნილები, მათ ქვეყანაში იდგნენ ხოლმე ძალიან ხშირად. მათ უნდოდათ ეს ქვეყანა დაემორჩილებინათ რომაელთა ძალაუფლებისათვის, და მათ ახალ-ახალს რაღაც წესებს უმყარებდენ. ამ ძალადობის გამო აბაზგები პირდაპირ აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნენ". მაშასადამე, რომაელებმა სცადეს თავიანთი უმეშვეო მმართველობის დამყარება აფხაზეთში, რაც მეტად უხეში, რომაულ ადმინისტრაციისათვის დამახასიათებელი, მეთოდებით იქნა განხორციელებული. ამან ახალი მოკავშირეები გასთიშა და ერთმანეთს გადაამტერა. აბაზგებმა, „იმის შიშით, რომ ამიერიდან რომაელთა მონები არ გამხდარიყვნენ, კვლავ დაიყენეს თავისთვის მთავრები, აღმოსავლეთის ნაწილისათვის—ოფსიტე სახელად, ხოლო დასავლეთისათვის—სკეპარნა". მაშასადამე, აბაზგები გადაუდგნენ რომაელებს და კვლავ ადგილობრივი უზენაესი ავტონომიური ხელისუფლება გაიჩინეს. ცხადია, ეს ხელისუფლება განსხვავდებოდა ძველისაგან, რომელიც განადგურებულ იქნა აბაზგების მიერ. იქნებ შემთხვევითი არ იყოს რომ უზენაეს ხელისუფლების ახალ მატარებლებს აბაზგების თანამედროვე უცხოელი მემატიანე „მთავრებს", „არქონტებს", ან „წინამძღოლებს", „ჰეგუმენებს", ეძახის, ძველს-კი—უფრო ჩვეულებრივ, „მეფეებს",

[1] B. G. VIII, 4; გეორგ. II, 107.

ბაზილევსებს. ეს მთავრები მართლაც მხოლოდ წინამძღოლნი იყვნენ აბაზგიის ახალგაზრდა ფეოდალური კლასისა, წარჩინებულთა წოდებისა, რომელიც ეხლა თავისი, სავსებით საკუთარი, პოლიტიკური ორგანიზაციის გაჩენას ლამობდა. ამ წრემ საზღვარგარეთულ დამხმარე ძალის ძებნაც დაიწყო, მოსალოდნელ რომაულ რეპრესიებისათვის შესახვედრად, ორიენტაცია ირანზე აიღო და შაჰის კარზე, სათანადო დავალებით, ერთი თავისი „წინამძღოლთაგანი", სკეპარნა მიავლინა. მაგრამ აბაზგ წარჩინებულთა ეს ცდა მარცხით დამთავრდა: იუსტინიანემ მათ წინააღმდეგ დიდძალი ჯარი გამოგზავნა, რომელმაც თუმცა დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც, აიღო აბაზგების ერთი უძლიერესი სიმაგრე, ტრაქეას ციხე, სადაც თავშეფარებული იყო მთავარი ოფსიტე, და მთელი არემარე ცეცხლსა და მახვილს მისცა[1]. თვით ოფსიტემ, მთავარმა, მოახერხა გაქცევა და ჰუნებთან შეაფარა თავი, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერი ვიცით მისი შემდეგდროინდელი მოქმედების შესახებ, კერძოდ, შეიძლო თუ არა მან უკან დაბრუნება და დაკარგულ მდგომარეობის აღდგენა. იმხანობად-კი აბაზგია რომაელებს დარჩათ ხელთა. აბაზგების განდგომა 550 წელს მოხდა[2].

მოთხრობილ ამბებში მშვენივრად გამოჩნდა აბაზგიის სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა: აქ, კერძოდ ტრაქეას ციხესთან ანუ თანამედროვე გაგრასთან[3] იდო ის კარები, რომელიც აუცილებ|ლად უნდა გაევლო ყველას, ვინც ჩრდილოეთ-დასავლეთიდან მოდიოდა დასავლეთ საქართველოში. როგორც უკვე ზემოთ ვამბობდით, ტრაქეა—გაგრა და პეტრა—ციხისძირი ორს მოპირდაპირე კიდეზე მაგრად ჰკეტავდენ ეგრის-აფხაზეთს.

---

[1] B. G. VIII, 9; გეორგ. II. 126—130.

[2] ასეთი თარიღი აქვს მიღებული შ. დილსაც: Юстиниан и византийская цивилизация в VI в.; СПб. 1908 г., გვ. 223.

[3] ტრაქეა გაგრას იგივეობას თვალსაჩინოდ ამტკიცებს, ჩვენი აზრით, პროკოპის ტოპოგრაფიული აღწერილობა: „აფსილიის სახღვრების შემდეგ აბაზგიის შესავალში ასეთი ადგილია: მაღალი მთაა გადაჭიმული, რომელიც კავკასიის მთებიდან იწყება და თანდათან ეშვება, როგორც კიბე, და ევქსინის პონტოსთან თავდება. ამ მთის ძირში აბაზგებს ძველადვე აუშენებიათ უმტკიცესი სიმაგრე ღირსშესანიშნავი სიდიდისა. აქ შეხიზნულები მუდამ იგერიებენ მტრის შემოტევას, რომელსაც არსად არ შეუძლია ამ ძნელი ადგილის გადალახვა. ერთი შესავალი გზა მიდიოდა ამ ციხეშიც და აბაზგების დანარჩენ მიწა-წყალზეც და იგი წყვილწყვილად მიმავალთათვის ძნელად გასავლელია. არავითარი შესაძლებლობა არ არის იქ გასვლისა, თუ არა კაცად-კაცადად [ე. ი. დაცალკევებით, ს. ჯ.] და ისიც

იუსტინიანეს სამხედრო და პოლიტიკური ღონისძიებანი აფხაზეთში იდეოლოგიურ ზემოქმედების საშუალებებითაც იყო შეზავებული. მეექვსე საუკუნის დამდეგამდის აბაზგები წარმართები ყოფილან და მათი განსაკუთრებული კულტის საგანს თურმე ხეები წარმოადგენდენ. მაგრამ იუსტინიანეს მიერ აბაზგიაში განხორციელებული ცვლილებები არა მარტო პოლიტიკური ხასიათისა იყო, როგორც ვთქვით. კეისარმა აბაზგ წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ ე ბ ს ქრისტიანობის მიღებაც დაავალა. რომ იუსტინიანე ამ შემთხვევაში სრულიად გარკვეულს საზოგადოებრივ ფენას მიმართავდა, ეს სავსებით ცხადია აფხაზეთის შესახებ მოთხრობილი ამბებიდან ამავე მომენტისათვის და აგრეთვე იმიდანაც, რაც ჩვენ სხვა ადგილას გავარკვიეთ, ქრისტიანობის, როგორც ოფიციალურ სარწმუნოების, შემოღების შესახებ ქართლსა და ეგრისში[1]. ამ შემთხვეულებიდანაც უეჭველი ხდება რომ აზნაურობა აბაზგიაში გაბატონებულ ძალას წარმოადგენდა.

პოლიტიკური გადატრიალებისა და ქრისტიანობის ოფიციალურ კულტად შემოღების ერთდროულობას აბაზგიაში წყაროებიც მოწმობენ და მოვლენათა განვითარების ლოგიკაც გულისხმობს. პროკოპი მოგვითხრობს: „ი უ ს ტ ი ნ ი ა ნ ე ს მ ე ფ ო ბ ი ს ა ს აბაზგების მდგომარეობა შეიცვალა, უმჯობესი გახდა. ი მ ა თ მ ი ი ღ ე ს ს ა ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო რ წ მ ე ნ ა. და იუსტინიანე მეფემ მათ პალატის ერთი ევნუქთაგანი გაუგზავნა, ტომით აბაზგი, სახელად ევფრატა. მან სასტიკად აღუკრძალა მათ მეფეებს, რომ მათ ამიერიდან აღარა-

---

ფეზით. ამ გზას ზედ ადგას ნაპარალი, მეტად საზარი, რომელიც ციხიდან ზღვამდეა გადაპეშული. თვით ადგილიც ამ ნაპარალის შესაფერ სახელწოდებასაც ატარებს: იქაური მცხოვრებლები ელინურად მას „ტრაქეას“ უწოდებენ“... როდესაც გამდგარი აბაზგების წინააღმდეგ გამართული რომაელები „ტრაქეას მიუახლოვდენ, დაინახეს აბაზგები, ყველანი შეიარაღებულნი, რომელნიც იმ გზის ზემოთ, რომელიც ახლახან მოვიხსენიე, მთელი ნაპარალის გასწვრივ იდგნენ დარაზმულნი, და დიდს გაჭირვებაში ჩავარდენ, რადგან ვერ გარკვეულიყვნენ შეკმნილ მდგომარეობაში, ვიდრე იოანემ დიდი ჩაფიქრების შემდეგ არ გამოძებნა ერთი საშუალება ამ უბედურების წინააღმდეგ. ულიგაგე ნახევარი ჯარითურთ იქ დასტოვა და თვითონ წაიყვანა დანარჩენები ხომალდებზე. მათ გასცურეს, მოუარეს, და გაიარეს მთელი ადგილი ტრაქეისა და მოეკენენ მტერს ზურგით. მაშინ ამართეს მათ დროშები და გასწიეს მტრის წინააღმდეგ. აბაზგებმა რომ დაინახეს მტერი მათ ორივე მხრით მოაწვა, ვეღარ შესძლეს წინააღმდეგობის გაწევა“... (B. G. VIII, 9. გეოროგ. II, 127—9). ვინც აფხაზეთის ზღვის სანაპიროს იცნობს, ის დაგვეთანხმება, რომ მოცემული აღწერილობა მხოლოდ გაგრას გვაგულისხმებინებს— სხვაგან არსად ასეთი ადგილი არ მოიპოვება. გაგრის გასავლის ხასიათი ასევე აქვთ აღწერილი XIX საუკუნის (ვიდრე აქ გზატკეცილს გაკეთებდენ) წყაროებს.

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელ ფეოდალურ ხანაში.

ვინ დაესაჭურისებინათ, ბუნებაზე ძალა არ ეხმარათ დანით. ამას აბაზგები სიხარულით შეხვდენ. რომაელთა მეფის გრძანებით გამხნევებულნი ისინი მთელი თავისი ძალ-ღონით ეწინააღმდეგებოდენ ამ საქმის ჩადენას: თითოეულ მათგანს ხომ ეშინოდა, ოდესმე არ გამხდარიყო ლამაზი ბავშვის ძმა. მაშინ იუსტინიანე მეფემ აბაზგების ქვეყანაში ღვთისმშობლის ტაძარიც აშენა და მათ მღვდელთ-მსახურნი დაუყენა და მიაღწია იმას, რომ მათ შეითვისეს საქრისტიანო წესები. მალე ორივე მეფე მოსპეს აბაზგებმა და გადასწყვიტეს თავისუფლად ეცხოვრათ"-ო [1]. ეს ამბები 541 წლამდის, ე. ი. ირანელების ეგრისში პირველ შეჭრამდის, უნდა მომხდარიყო, დაახლოებით, ალბათ, ოციან და ოცდაათიან წლების მიჯნაზე [2]. ამრიგად, საკუთარი პოლიტიკური აპარატის მოპოვებასთან ერთად აბაზგიის წარჩინებულებმა საკუთარი ოფიციალური რელიგიაც მოიპოვეს. დიდი სოციალური მნიშვნელობა ამ მოვლენებისა აფხაზური ფეოდალიზმის განვითარების ისტორიაში თვალსაჩინოა.

მეექვსე საუკუნის დიდს ირანულ-რომაულ ომს დასავლეთ საქართველოში აფხაზეთისათვისაც დაახლოებით იგივე შედეგი მოჰყვა, როგორც ჩანს, რაც ეგრისისათვის. როგორც დამოუკიდებელი შეჭრა ირანელებისა აფხაზეთში 541 წ., ისე მათი მიწვევა, ადგილობრივ წარჩინებულთა მიერ, აბაზგების ქვეყანაში 550 წ., ხოლო

---

[1] B. G. VIII, 3; გეორგ. II, 104—5.

[2] ყურადღებას იპყრობს ბარონიუსის ქრონოლოგიური ჩვენება, ვახუშტი, საქ. გეოგრ., ჯან., 311, რომელიც აბაზგების გაქრისტიანების თარიღად 529 წ. დასდებს.—В. Латышев, К ист. христианства на Кавказе, СПб. 1911 წ., გვ. 8, ემხრობა, არ ჩანს-კი რა მოსაზრებით, 546 წლის ახლო ხანას, ხოლო Ю. Кулаковский, Где был построен имп. Юстинианом храм для Абазгов, Археол. изв. и зам. V, М. 1897, გვ. 34-35, —547—8 წლების უშუალოდ წინამორბედ წლებს და ამას საფუძვლად უდებს ცნობას გუთების მოციქულობის შესახებ კონსტანტინოპოლში. აქ აშკარა ჩაუკვირვებლობაა: პროკოპი გვიამბობს, B. G. VIII, 4, რომ, იუსტინიანეს მეფობის ოცდაპირველ წელს, ე. ი. 547—8 წ., გუთებმა კეისარს ეპისკოპოსი სთხოვეს, რადგანაც მათი გარდაცვლილიყო და ამასთანავე გაგებული ჰქონდათ,—იუსტინიანეს აფხაზეთისათვის მოძღვარი გაუგზავნიაო. აქ არაა ნათქვამი რომ აფხაზების პირველი გაქრისტიანების ამბავი იგულისხმება. განა შემდეგში-კი არ შეეძლოთ აფხაზეთისათვის მოძღვარი გაეგზავნათ, თუნდაც იმავე „გარდაცვალების მიზეზით"? პოლიტიკური პირობები აბაზგების გაქრისტიანებისათვის 546—548 წლებში სრულიად შეუფერებელი იყო.

მისიმიელთა ქვეყანაში—554 წ., მარცხით დამთავრდა, რომაელებმა მოახერხეს ამ პროვინციების უკან დაბრუნება და სათანადო დასტური ფორმალურადაც გამოსტაცეს ირანელებს: არც „50-წლიან ზავის“ პირობებით, არც მერმინდელ დიპლომატიურ მოლაპარაკებათა პროცესში, აფხაზეთის შესახებ ირანელები კრინტსაც არ სძრავენ,— ისინი მხოლოდ სვანეთს ედავებიან რომაელებს. აფხაზეთი რომაული გავლენის სფეროში რჩება. სამწუხაროდ, ამ გავლენის პოლიტიკურ და გეოგრაფიულ ფარგლების ზუსტი განსაზღვრა ძნელი ხდება ცნობათა ნაკლოვანების გამო. საერთო შთაბეჭდილება მაინც ისეთია, რომ იუსტინიანეს მთავრობა აბაზგებისა და მისიმიელების ქვეყანაში თავს მკვიდრად ვერ ჰგრძნობდა. ალბათ ამაზე მიუთითებს პირდაპირი ცნობა ლაზიკის შესავალში „კლისურის“, ე. ი. სტრატეგიულად მნიშვნელოვანი „ხეობის“ („კლისურებს“, პროკოპის ჩვენებით, რომაელები ვიწრო ხეობებში გამავალ გზებს უწოდებდენ, იხ. B. P. II, 29) გამაგრების შესახებ იუსტინიანეს მიერ[1]. თუმცა ამ „შესავლის“ მდებარეობას წყაროები კონკრეტულად არ განსაზღვრავენ, მაგრამ, სხვადასხვა მოსაზრების გამო, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ აქ საუბარია ეგრისის ჩრდილოეთ სანაპიროს შესახებ, სადაც (დღევანდელ აფხაზეთში, სოხუმიდან სამხრეთისაკენ ხუთი კილომეტრის მანძილზე), ამჟამადაც „კელასურად“ წოდებულ ხეობაში, დიდი კედლის ნაშთები ნაწილობრივ დაცულია ჯერ კიდევ ანგარიშგასაწევი ცნობებით, ეს ნაგებობა მდ. კელასურის ხეობაში იწყება და ამ ხეობასვე მიჰყვება ჩრდილოეთით წებელდამდის და შემდეგ სამხრეთისაკენ უხვევს. რაკი, როგორც ჩანს, ზღუდის ფასი (წინაპირი) ჩრდილოეთისკენ არის მიქცეული, გამოდის, რომ მდ. კოდორის ხეობის ზემოთა ნაწილი და სოხუმის მიდამოები, უფრო ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიაზე რომ არ ვილაპარაკოთ, ამ გალავნის უშუალო მფარველობას მოკლებული რჩებოდა. შესაძლოა დავუშვათ, რომ ვიწრო ზღვისპირა ზოლი, მდ. კელასურის შესართავიდან თვით ქალ. სოხუმის მიწა-წყლითა და ამ უკანასკნელის მიჯნებამდის ასეთუისე დაკავშირებული იყო ამ რთულ სტრატეგიულ-საფორტიფიკაციო სისტემასთან. ზღვისგან დაშორებული და ქვეყნის შუაგული ადგილები უკვე სხვა ვითარებაში იმყოფებოდა და

[1] პროკოპი, De aedificiis III, 7; გეორგ. II, 189.

თავისთავს იყო მინდობილი. ეს გარკვეული მოწმობაა ამ მხარეში იმხანად არსებული მდგომარეობის შესახებ[1].

|ალმოს. რომის იმპერიის (ბიზანტიის) შემდგომი წარმატებანი ამიერ-კავკასიაში

იუსტინიანეს მემკვიდრეების დროს ის პროცესი, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი (იხ. გვ. 23—27)—აღმოს. რომის იმპერიის ბიზანტიად გარდაქმნა—უკვე იმდენად დასრულებულ სახეს იღებს, რომ ჩვენ უფლება გვაქვს ჩვენს სიტყვახმარებაში სათანადო ცვლილება შემოვიტანოთ:—აღმ. რომის იმპერიას ბიზანტია ვუწოდოთ და მისს მოსახლეობას—ბიზანტიელები. *განმეორებით აღსანიშნავია და ყურადღებამისაქცევი:* არ უნდა ვიფიქროთ თითქოს ეს რაღაც უეცრად წამოჭრილი მოვლენა ყოფილიყოს. არა, ეს მრავალსაუკუნოვანი განვითარების შედეგების წარმოჩენა იყო, წარმოჩენა ეხლა უკვე საბოლოო და გამოკვეთილი. გარეგნულად ეს ფაქტი სხვადასხვა ნიშნებში გამოიხატა, კერძოდ, სახელმწიფო ენად უკვე ლათინურის მაგიერ ბერძნულის დამკვიდრებაში—თუ იუსტინიანეს დროს ლათინურ ენის პოზიციები ძალიან შერყეულია, მიუხედავად თვით იუსტინიანეს პირადი ენერგიული ცდებისა ამ პოზიციების გასამაგრებლად რომ არის მიმართული, იუსტინიანეს მიმდევნო კეისრების დროს ბერძნული სულ უფროდაუფრო შეუზღუდველად იპყრობს ამ პოზიციებს. ამ ცვლილებაზე მიუთითებენ ერთი მხრივ—ევროპაში ლანგობარდელი და მეორე მხრივ—აზიაში სირიელი ქრონისტები, როდესაც ისინი „*ბერძენ*“ *იმპერატორების რიგს მავრიკესგან* (მესამე მემკვიდრეა იუსტინიანესი, მეფობს 582—602 წ.წ.) *იწყებენ*[2].

საგარეო პოლიტიკის სფეროში ცვლილება გამოიხატა იმაში რომ იუსტინიანეს ყოვლისმომცველი, „რომაული“, პოლიტიკა მიტოვებულია და ეხლა ყურადღება საკუთრივ „ბიზანტიური“ (ე. ი. აღმ.-რომაული) ტერიტორიის ინტერესებისაკენ არის მიპყრობილი. საგარეო პოლიტიკა „აღმოსავლურ“ მიმართულებას იღებს უპირატესად: უწინარეს ყოვლისა, ჩრდილო-აღმოსავლურ (დუნაის აღმოსავლეთით) და აღმოსავლურ (ირანულ) საზღვრების შესახებ ზრუ-

[1] საკითხს ვრცელი ლიტერატურა აქვს. ამ უკანასკნელის განხილვა, ისე, როგორც დაწვრილებითი მსჯელობა თვით საკითხის შესახებ იხ. ს. ჯანაშია ეგრის—აფხაზეთი (თავი „ტერიტორიის“ შესახებ).

[2] Гельцер, История Византии, 40—41.

ნავენ. ბუნებრივია ამიტომ რომ ამიერ-კავკასიაც ეხლა კიდევ უფრო მტკიცედ ექცევა კონსტანტინოპოლის მთავრობის პოლიტიკურ გულისყურისა და მოქმედების ცენტრში.

562 წლის „ორმოცდაათწლიანი" ზავი, როგორც მოსალოდნელი იყო, მალე დაარღვიეს, და ამის ერთი მთავარი საბაბთაგანი იყო, როგორც უკვე ვამბობდით, სვანეთი. 568 წ. სვანეთი ჯერ კიდევ, როგორც ჩანს, ირანელების გავლენის ქვეშ იმყოფება: ალანთა მთავარი ურჩევს ზიმარხს,—კეისრის ელჩს, რომელიც თურქების სახელმწიფოდან კონსტანტინოპოლში ბრუნდება და ჩრდილო-კავკასიიდან შავი ზღვისაკენ გასვლას ცდილობს,—მინდიმიელების (მისიმიელების? ს. ჯ.) ეზით ნუ წახვალ, რადგანაც სვანეთის მახლობლად ირანელები არიან ჩასაფრებულნი, სჯობს ე. წ. დარიანის გზით დაბრუნდეო. ზიმარხი უსმენს ამ რჩევას, აფსილიაში ჩადის და როგორიასა და შავ ზღვას აღწევს[1]. პირველი მარშრუტი ან მამისონის, ან სვანეთზე გარდამავალ ერთ-ერთ გზას უნდა გულისხმობდეს, მეორე-კი აფხაზეთისას, კოდორის ხეობაზე მიმავალს.

უშუალო მომდევნო წლებში ბიზანტიელებმა მაინც მოახერხეს, ჩანს, ირანელების განდევნა სვანეთიდანაც. მეტიც: მათ ეხლა მოქმედება უფრო აღმოსავლეთითაც გადაიტანეს, გამოიყენეს რა სომხეთისა და ქართლის ამბები. როგორც სომეხი ისტორიკოსი სებეოსი მოგვითხრობს, „ხოსრო კობადის ძის მეფობის 41 წელს (571—2 წ.) აჯანყდა ვარდანი (მამიკონიანი, სომეხ ნახარარების ერთი ჯგუფის ბელადი) და ყველა სომხის თანხმობით განთავისუფლდა სპარსთა სამეფოს სამსახურისაგან. მოჰკლეს შალ. დვინში მარზპანი სურენი უეცრად, აიღეს დიდი ძლაფი და გადავიდენ ბერძნების სამსახურში"[2]. მართლაც, 571 წ. იუსტინე კეისარმა პირდაპირ განუცხადა ირანის ელჩს, რომ თუ პერსარმენები (ირანის ქვეშევრდომი სომხები) განუდგებიან ირანელებს, ის მიიღებს და გამოესარჩლება სომხებს, როგორც თავის თანამორწმუნეებს, და ომიც გამოაცხადა[3]. ეს ომი, პაუზებით, ოცი წელიწადი გაგრძელდა. სომხეთის შემდეგ ირანელების წინააღმდეგ აჯანყების დროშა ააფრიალა

[1] მენანდრე, ნაწყვ. 22: Dind. 55—6.

[2] *Սեբեոս, պատմութիւն ի Յերակն*, პატკანოვის გამოც. 1879 წ., გვ. 26 (ქვემოთ ყველგან ეს გამოცემაა ნაგულისხმევი).—ამასვე ადასტურებს თეოფანე ბიზანტიელიც.

[3] მენანდრე, ნაწყვ. 36; Dind. 72—4.

ქართლმაც, რომლის მოსახლეობაც, ვინმე გურგენის მეთაურობით, ბიზანტიელების მხარეს გადავიდა (571 წ.). 572 წ., როგორც ჩანს, ირანელთა წინააღმდეგ მებრძოლ სომხებს ეხმარებიან კოლხები (ე. ი. ეგრისელები), აბაზგები და ალანები და ამ ხანებშივე ქართლში დამარცხებას განიცდის ირანელთა სარდალი გოლონმიჰრანი [1]. ამ (ირანელთა საწინააღმდეგო) ამბების უკან, ცხადია, კეისარი დგას, რომელიც ეხლა უკვე პერსარმენიისა და ქართლის შემოსამტკიცებლად ზრუნავს და ამას ახერხებს კიდევაც მომდევნო წლების განმავლობაში. 576 წ. ბიზანტიელები მოკლე ხნით ჰკარგავენ პერსარმენიას, მაგრამ ინარჩუნებენ, როგორც ჩანს, ქართლსა და ალვანეთის ნაწილს, მტკვრის ჩრდილოეთით მდებარეს [2]. ირანელები მიისწრაფოდენ თეოდოსიოპოლისაკენ (კარნუ-ქალაქი, ეხლანდელი ერზერუმი), რომლის დაპყრობით იმედოვნებდენ თავიანთ ხელისუფლების განმტკიცებას სომხეთსა და ქართლში, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს [3]. მომდევნო წლებში ისევ წარმოებს განუწყვეტელი მოლაპარაკება სომხეთისა და ქართლის შესახებ, რომელნიც კვლავ ბიზანტიელების ხელში იმყოფებიან. რადგანაც სამხედრო წარმატება რამდენადმე ცვალებადია [4], ბიზანტიელები მზად არიან დაუთმონ ირანელებს პერსარმენია და ქართლი, იმ პირობით, რომ ვინც არ მოისურვებს ირანულ ბატონობის ქვეშ ცხოვრებას, მას ნება მიეცემა რომაელების მხარეს გადავიდეს. ირანელები ამ პირობას სთანხმდებიან ფარული ვარაუდით: მათ კარგად იციან, რომ არც ერთი პერსარმენი და ქართველი, გარდა აჯანყების მოთავე ორიოდე უფროსისა, უცხო ქვეყანაში არ გადასახლდება, რადგანაც მათ თანდაყოლილი აქვთ სიყვარული თავიანთი გამზრდელი მიწისადმი. ასე მოგვითხრობს ბიზანტიელი მემატიანე [5]. სხვადასხვა მიზეზების გამო ასეთი შეთანხმება თავის დროზე არ განხორციელდა. შემდეგ ირანელების საქმე ცუდად წავიდა. ატყდა შინაური შფოთი, ირანის შაჰი

---

[1] თეოფანე ბიზანტიელი, Hist. gr. min., Dind., 1870 წ., გვ. 448;—სებეოსი, 29.

[2] მენანდრე, ნაწყვ. 41, Dind., 79—83.

[3] იქვე.

[4] მენანდრე. ნაწყვ. 59, Dind 114, მოგვითხრობს, 580 წლისათვის, რომ ბიზანტიელთა რაზმები, დვინსა და ქართლში რომ გზავნიდა სარდალი, არა ერთგზის იყვნენ დამარცხებულნი. თვით სარდალი მავრიკეც, მომავალი იმპერატორი, ძლივს გადარჩა ხიფათსაო.

[5] მენანდრე, ნაწყვ. 47, Dind., 92—8.

ტახტს ჰკარგავს და მის დასაბრუნებლად ბიზანტიელების დახმარებას ეძებს. გვირგვინოსანი გვირგვინოსანს ეხმარება, არც-თუ უანგაროდ (591 წ.): ამ დახმარების საზღაურად შაჰმა კეისარს დიდი ტერიტორია დაუთმო, კერძოდ, ქართლის უდიდესი ნაწილი ქალ. ტფილისამდის[1]. საფიქრებელია, რომ ეს იყო ფაქტიურ მდგომარეობის ფორმალური დადასტურება.

VII ს. დამდეგს სამხედრო გამარჯვების გენიამ უკანასკნელად გაუღიმა ირანელებს. ეხლა მათ უწყობს ხელს შინაური შფოთი ბიზანტიაში. ისინი ღრმად იჭრებიან კეისრის მიწა-წყალზე და იჭერენ ისეთ ქალაქებს, როგორიც იყვნენ: ანტიოქია, კესარია კაბადუკიისა, იერუსალიმი, ანკირა და სხვ. იპყრობენ ეგვიპტეს. თვით კონსტანტინოპოლიც შიშით კანკალებს მათ წინაშე. საფიქრებელია, რომ ამ დროს ირანელებმა ისევ მოახერხეს თავიანთი ძველი მდგომარეობის აღდგენა საქართველოში, ყოველ შემთხვევაში, ქართლში. მაგრამ რამდენადაც ბრწყინვალე იყო ირანელების წარმატება, იმდენადვე ხანმოკლე გამოდგა იგი (606—619 წ. წ.). ირანელების ჯავრის ამოყრა ჰერაკლე კეისარმა მოახერხა, რომელმაც დიდი საომარი მოქმედება ჩაატარა ირანელების წინააღმდეგ (622—629) და საბოლოოდ შემუსრა თავისი მოსისხლე მტრის სამხედრო ძლიერება.

ჩვენთვის ძალიან საინტერესოა, რომ ამ ომის, ნიშანდობლივ, II და III ექსპედიციების (624—628 წ. წ.), დროს ჰერაკლე კეისრისათვის მთავარი ბაზა არის ამიერ-კავკასია და, კერძოდ, საქართველო, მიუხედავად იმისა რომ ტფილისის ძლიერი ირანული გარნიზონი სრულებით არ ეპუება ბიზანტიელებს. აქ, „ქართველებსა, მეგრელებსა და აბაზგებში მან იპოვა მნიშვნელოვანი მოკავშირენი და უძვირფასესი თანამოლაშქრენი“, როგორც ამბობს გერმანელი ისტორიკოსი გელცერი. შემდეგ (626 წ.) ჰერაკლე კავშირს აბამს ხაზარებთანაც, ჩრდილო-კავკასიის ველების ახალ მებატონეებთან, რომელნიც მომდევნო საუკუნეების განმავლობაში დიდ როლს ითამაშებენ აქ. ამ თავის სადგურიდან ჰერაკლე აწყობს, დროგამოშვებით, რამდენსამე ლაშქრობას ირანელების წინააღმდეგ და ენერგიული, მოხერხებული, მოქმედებით ანადგურებს მოწინააღმდეგეს. არასოდეს წინათ ირანს ასეთი დამარცხება არ უნახავს. მრავალსაუ-

[1] სებეოსი, 33, 45.

კუნოვანი, უძლიერესი, სახელმწიფო ეხლა უფსკრულის პირას იდგა. საჭირო იყო კიდევ ერთი პატარა ბიძგი, რომ მისი პოლიტიკური არსებობაც გამქრალიყო. სულ ცოტა ხნის შემდეგ ეს კიდევაც შეასრულეს არაბებმა.

საკუთრივ საქართველოში კეისარს საქმე გაუჭირა ტფილისმა, რომელიც დანებებას სრულებით არ აპირებდა: ბიზანტიელებმა და მათმა მოკავშირე ხაზარებმა დიდი ენერგია შეალიეს ტფილისის ციხის წინააღმდეგ ბრძოლას. ბოლოს, როგორც იყო, ხაზარებმა მოახერხეს ქალაქის აღება (626 წ.), მცხოვრებნი შეუბრალებლად გაჟლიტეს და უთვალავი ნადავლი—ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტი—იგდეს ხელთ.

ბიზანტიის წარმატებათა მნიშვნელობა ამიერ-კავკასიისა და საქართველოსათვის

ჩვენ განზრახ შევჩერდით იმ წვრილ ფაქტებზე, რომელნიც, VI ს. სამოციან წლებიდან მოყოლებული, აშკარად გვიჩვენებენ ბიზანტიის სამხედრო-პოლიტიკური უპირატესობის შეუჩერებელს, თუმცა ხანმოკლე შეფერხებით დახასიათებულს, ზრდას. VII ს. ოციან წლების დამლევისათვის მთელს ამიერ-კავკასიაში და, მით უმეტეს, საქართველოში, ბიზანტიის ჰეგემონია უკვე უცილობელი ფაქტია. ეხ ახალი პოლიტიკური ვითარება-კი ძალიან მნიშვნელოვანი გამოდგა იმ ადგილობრივ ძალების ჩამოყალიბების პროცესისათვის, რომელთა განვითარებასაც ჩვენ აქ სპეციალურად ვაკვირდებით.

იმპერია, თვითონაც, ეხლა უკვე საბოლოოდ, ფეოდალურ განვითარების გზაზე შემდგარი, ახლად შეძენილ ქვეყნებში ხვდება გამორკვეულს ფეოდალურ სამყაროს. თუმცა ფეოდალური საზოგადოებრივი კლასები და მათი ურთიერთობა ჯერ სავსებით დასრულებულ სახეს არ ატარებენ, მაგრამ გადაჭრით-კი მიისწრაფიან აქითკენ. კერძოდ პოლიტიკურ სფეროში, როგორც ქართლის მაგალითზედაც ეხსომება მკითხველს, ახალგაზრდა ფეოდალურმა კლასმა უკვე VI ს. დამდეგს მიაღწია გაბატონებულ მდგომარეობას. აღებულ პერიოდის მეორე ნახევრისათვის აქ უკვე ახალ ნიადაგზე ადგილობრივს ფეოდალურ სახელმწიფოებრიობასაც გარკვეული წარმატებისათვის მიუღწევია და აშკარად მოჩანს, ან უკვე წარმოქმნილ ან ჯერ ჩანასახად მოცემულ, ახალ ფეოდალურ პოლიტიკურ

ერთეულების კონტურები. ასეთია მდგომარეობა ქართლში (რაც ქვემოთ სპეციალურად იქნება განხილული), ასეთივეა, დაახლოებით, მდგომარეობა მეზობელ პერსარმენიასა და ალვანეთშიც. ამიტომ, ამ ორს, სოციალურად მონათესავე ძალას, მოსულსა და დამხდურს, შორის შესაძლებელი, და აუცილებელიც, იყო კონტაქტი. აუცილებელი იყო შეთანხმება იმდენად, რამდენადაც, ახალს პოლიტიკურ პირობებში, ორივე მხარე ურთიერთსაჭიროებას განიცდიდა. შეთანხმება, მართლაც, მოხდა.

თუნდაც დავეთანხმოთ სომხეთის ისტორიის მკვლევარს ადონცს, რომ სომხური მოსახლეობის იმ რაიონებში, რომელნიც იმთავითვე აღმოსავლეთ-რომის იმპერიას ეკუთვნოდენ, იუსტინიანე ახორციელებდა პოლიტიკას, ადგილობრივ სომხურ არისტოკრატიის განადგურებისაკენ მიმართულს (ფაქტები მაინც ცოტაა)[1]. ეს ჩვენი | თეზის წინააღმდეგ არაფერს ამბობს. ჯერ ერთი, როგორც მრავალგზის გვითქვამს, იმპერიის პოლიტიკა ამ მხრივ განსაზღვრული იყო ადგილისა და დროის პირობებით. საკუთარს, ძველთაგანვე შეძენილსა და ახლად მოპოვებულ ტერიტორიებში, რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკა მთლად ერთიდაიგივე არ იქნებოდა. მაგრამ მთავარია აქ თვით ეპოქების სხვაობა: იუსტიანიანეს მეფობა, როგორც უკვე ვამბობდით, იყო უკანასკნელი აღმოფშვინვა ძველი, მომაკვდავი, წესწყობილებისა, თუ გნებავთ, ერთგვარი რეაქციაც, რამდენადაც იუსტინიანე აქტიური ხელოვნური ღონისძიებებით ერეოდა ამ პროცესში და ძველს ესარჩლებოდა,—ჩვენ-კი ვგულისხმობთ აღებულ პერიოდის, მეექვსე საუკუნის (ჩვენი გაგებით), მეორე ნახევარს, კიდევ უფრო მეტად ამ პერიოდის დასასრულს, როდესაც, თვით იმპერიაში მდგომარეობა უკვე სულ სხვაგვარია; ამ მომენტისათვის გამარჯვებული ელემენტები, ცხადია, წინათაც არსებობდენ და თავს წამოჭყოფდენ ხოლმე ხან ერთს, ხან მეორე სფეროში, მიუხედავად ცალკე პირთა, თუნდაც ისეთი დესპოტის, როგორიც იყო იუსტინიანე, მტრული პირადი განწყობილებისა. ასეთ მოვლენას ვხედავთ ჩვენ, მაგ., სამხედრო ორგანიზაციაში, რომელიც, საერთოდ, უაღრესად დამახასიათებელია საზოგადოებრივი სტრუქტურისათვის. ძველი რომაული სამხედრო წყობილება VI საუკუნისათვის უკვე აჩენს თავის სრულ გამოუსადეგრობას და თანდათანობით ახალ ორგანიზაციაში გადა-

---

[1] Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 157 შემდ.

დის. სამხედრო ძალა თანდათან მეომრების წოდებად იქცევა. სამხედრო სამსახური მიწისმფლობელობას უკავშირდება. ცალკე სარდლები თავის საკუთარ ხარჯით აწყობენ საკუთარ რაზმებს ფედერატებისაგან, ე. ი. მოკავშირე ბარბაროსებისაგან. ეს სარდლები სულ უფროდაუფრო კერძო პირთა სახით გვევლინებიან, და არა თანაძდებობის პირებად, ისინი კეისართან დაკავშირებულნი არიან პირადად ფიცით შეკრულ ერთგულების პირობით. ერთი სიტყვით, ჯარი უკვე ფეოდალურ საფუძველზე ეწყობა. ასე ყალიბდება თემი, რომელიც არის ადმინისტრაციული ოლქი, მოწყობილი იმრიგად, რომ მისმა მოსახლეობამ სამხედრო სამსახური გასწიოს, სათანადო ადგილმამულის მიღების პირობით. მხედარი არის ის, ვინც მამულის მჭირავია. სამხედრო ბეგრის ხასიათი და მოცულობა თვით მამულის სიდიდით („სრული მიწის" ქონება თუ არქონება, მერმინდელ ქართულ ფეოდალურ ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ) არის განსაზღვრული. თემის სათავეში მდგომი პირი აღჭურვილია როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო უფლებებით.

ასეთი სამხედრო სამოქალაქო ოლქების, თემების, ხსენება VII ს. | დამდეგს ჩნდება პირველად და სწორედ ჰერაკლე კეისრის სახელთან არის დაკავშირებული. პირველი თემები აღმოსავლეთის განაპირა პროვინციებში ჩნდება. მეორე მხრით, თემურ წყობილების განვითარებაში დიდ როლს თამაშობენ ე. წ. ფედერატები, ბარბაროსი ტომები, რომელნიც იმპერიის მიწა-წყალზე სახლდებიან სამხედრო სამსახურის პირობით. ყოველგვარ სხვა გადასახადისა და გამოსაღებისაგან ფედერატები განთავისუფლებული არიან [1].

საერთო მდგომარეობისა და პოლიტიკის აღწერილი ხასიათი გვირკვევს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო კეისრის მთავრობის მოქმედების ხაზი ამიერ-კავკასიის იმ ქვეყნებში, სადაც, აღებულ შომენტისათვის, ბიზანტიის გავლენა ვრცელდება.

ბიზანტიელები ადგილობრივ წვრილ ფეოდალურ მფლობელებისაგან, ან ფეოდალურ წრის ისეთ პირთაგან, რომელნიც პოლიტიკურ უზენაესობისაკენ მიისწრაფიან, მოითხოვენ ერთგულ სამ-

[1] „თემის" საკითხისათვის იხ. თ. უსპენსკის, კ. უსპენსკის, ა. ვასილიევისა და გ. გელცერის კურსები ბიზანტიის ისტორიიდან.

ხედრო საძსახურს და ამიო კმაყოფილნიც, არიან; საშაგიეროდ ისი-ნი მფარველობას ჰპირდებიან. მფარველობა, ჩვეულებრივ ფეოდა-ლურ სიუზერენის მოვალეობათა გარდა, იმაშიაც გამოიხატება, რომ-კეისარი ადასტურებს ამა თუ იმ მსხვილ ფეოდალის უკვე არსებულ-პოლიტიკურ მდგომარეობას და, ჩვეულებრივად, თანხმობას აცხა-დებს, როგორც ამას თავის დროზე ირანელები სჩადიოდენ, ამ მდგო-მარეობის მემკვიდრეობით გადაცემაზე.

ასეთი იყო ვითარება, მაგ., ქართლში. მემატიანე ჯუანშერის-მტკიცებით, როცა ქასრე ამბარვეზი, სპარსელთა მეფის ძე, რომელიც-ბარდავში იჯდა და რომელსაც, ალვანეთის გარდა, ერთგვარი პო-ლიტიკური გავლენა ქართლზედაც ჰქონდა, სპარსეთში წავიდა თა-ვის გაჭირვებული და მტერთაგან შევიწროებული მამის საშველად (მაშასადამე, ავტორი ამ ამბავს VI ს. ოთხმოციან წლებს მიაკუთ-ვნებს, რადგანაც ქასრეს მამა, ჰორმუზდ IV, 579—590 წ. წ. მე-ფობს), და რაკი „ესრეთ რა უცალო იქმნეს სპარსნი“, ქართლის-ერისთავებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს—„შეითქუნეს ყო-ველნი ერისთავნი ქართლისანი ზემონი და ქვემონი და წარგზავნეს-მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა და ითხოვეს, რათა უჩინოს-მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა [და] რ ა თ ა ი ყ უ ნ ე ნ ერ ი ს თ ა ვ ნ ი ი გ ი თ ვ ი ს-თ ვ ი ს ს ა ა ერ ი ს თ ა ვ ო ს ა შ ე უ ც ვ ა ლ ე ბ ე ლ ა დ. მ ა შ ი ნ | კ ე ი ს ა რ შ ა ნ ა ღ ა ს რ უ-ლ ა თ ხ ო ვ ა მ ა თ ი“-ო [1]. შემდეგ ამ ბერძენთა მიერ დადგენი-ლის (თითქოს, ნამდვილად კი ყაქმის ვითარება სხვაგვარია, იხ. ქვე-მოთ) პირის, გუარამის, შესახებ ნათქვამია: „მეფობდა კეთილად და-უშფოთველად, არამედ ე რ ი ს თ ა ვ ნ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა ნ ი ვ ე რ ც ვ ა ლ ნ ა ს ა ე რ ი ს თ ა ო თ ა გ ა ნ მ ა თ თ ა, რ ა მ ე თ უ-ს პ ა რ ს თ ა მ ე ფ ი ს ა გ ა ნ დ ა ბ ე რ ძ ე ნ თ ა მ ე ფ ი ს ა გ ა ნ ჰ ქ ო ნ დ ე ს ს ი გ ე ლ ნ ი მ კ ვ ი დ რ ო ბ ი ს ა ნ ი ს ა ე რ ი ს-თ ა ო თ ა მ ა თ თ ა, ა რ ა მ ე დ ი ყ უ ნ ე ს მ ო რ ჩ ი ლ ებ ა ს ა გ უ ა რ ამ-კ უ რ ა ტ პ ა ლ ა ტ ი ს ა ს“-ო [2]. შემდეგ კიდევ არის ხაზგასმული: „ერის-თავნი იგი იყუნეს თვის-თვისსა საერისთვოსა შინა, ჰ მ კ ვ ი დ რ ო ბ-დ ე ს“-ო [3]. ამ ამბებთან დაკავშირებით საინტერესოა კიდევ ერთი-ფაქტი, რომელსაც სხვადასხვაგვარად გადმოგვცემენ ძველი ქართუ-

[1] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, მარ. 190.
[2] იქვე, 192.
[3] იქვე, 196.

ლი წყაროები, თუმცა ერთხმივ თარიღად (და, უმეტესობა, მიზეზადაც) არაბების პირველ გამოჩენას ასახელებენ. „ქართლის მოქცევა“ ამბობს: „ჰამბავი მოვდა, ვითარმედ ბაღდადი (შეცთომითაა აქ ეს ქალაქი დასახელებული, ს. ჯ.) აგარეანთა (ე. ი. არაბებმა) დაიპყრესო. და ამისთჳს ბერძენთა ქუეყანაჲ ჯორსა აჰკიდეს და წარიღეს საბერძნეთა“ [1]. მეთერთმეტე საუკუნის მწერალი, სუმბატ დავითის-ძე, სხვანაირ რედაქციას იძლევა: „ქუეყანა ქართლისა აღწერეს და წარიღეს საბერძნეთს“-აო. [2]. ცნობილი ჯუანშერი-კი ავრცობს თხრობას და ლაპარაკობს უმთავრესად, შიშიანობის გამო, ბერძენ და ირანელ წარჩინებულთა მიერ განძების დაფვლის შესახებ, „წარჩინებულნი ჰფლვიდეს ქუეყანათა შინა განძთა მათთა, რათა რაჟამს გამოვიდენ, პოვონ განძი იგი და არღარა ნახონ ჭირი წაღებასა და მოღებასა“, და დასძენს: „შეიტანნეს ყოვლისა საგანძურისა გუჯარნი. და რა გუჯარითა აღწერეს ნათესავი თჳსი და ქუეყანა,—დადვეს, რათა, ოდეს მოვიდეს ბერძენნი, მით გუჯარითა მოიძინნენ (ე. ი. იპოვონ) ნათესავნი მათნი და თჳთოეულად განუყონ განძი და ქუეყანა“-ო [3]. მიუხედავად ტექსტის ერთგვარი დამახინჯებისა სამსავე შემთხვევაში (ცხადია, შაგ., რომ „ქართლის მოქცევის“ უცნაური „ჯორი“ არის „გუჯარის“ დამახინჯება. „გუჯარი“-კი, როგორც გარკვეულ ტიპის საბუთის სახელი, აქ სავსებით | გასაგებია), მაინც აქ გარკვეული მითითებაა იმის შესახებ, რომ ბიზანტიელები, განსაზღვრულ, გარკვეულ მომენტში, საკმაოდ ენერგიულად ჩარეულან ადგილობრივს სამეწისმფლობელო ურთიერთობაში. იქნებ ამ ბუნდოვან ცნობაში განძების დაფვლის სავსებით გასაგებ ფაქტს გარდა საადგილმამულო კადასტრიც იგულისხმებოდეს, რომელიც, ეპოქისათვის დამახასიათებელ სამხედრო-ორგანიზაციულ ლონისძიებებთან შეფარდებით, აქაც უნდა ჩაეტარებინა ბიზანტიის მთავრობას? საყურადღებოა რომ შემდეგში საქართველოში ფართო გავრცელებას პოულობს ტერმინი „თემი“, რომლის წარმოშობა და ზუსტი მნიშვნელობაც-კი შეუსწავლელია. ხომ არ უკავშირდება იგი ამ ეპოქას?

---

[1] Опис. II, 726.

[2] მარ. 342. საინტერესოა რომ, სუმბატის მიხედვით, „ბაღდადის“ დაპყრობის ამბავი წინ კი არ უსწრებს,—მოსდევს ბერძენთა წასვლას ქართლიდან.

[3] მარ. 199. ტექსტი შესწორებულია ჩვენ მიერ.

შემდეგ, მეტად დამახასიათებელია ბიზანტიის კეისარსა და ახალგაზრდა ადგილობრივ ფეოდალურ მფლობელებს შორის დამყარებულ ურთიერთობისათვის, რომ ეს უკანასკნელნი ატარებენ კეისრისაგან ბოძებულს უმაღლესს ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებსა და წოდებებს. ეს გარემოება, ერთი მხრით, მიუთითებს არსებულს (ზოგჯერ, სრულიად გარეგნულ) დამოკიდებულებაზე, მეორე მხრით, ხელს უწყობს ამ წვრილი მფლობელების პოლიტიკურ უფლებათა გაფორმებას და მათი ადგილობრივი ავტორიტეტის ზრდას. ფორმალური საფუძველი აღნიშნული მოვლენისა ის შეხედულებაა, რომ ერთადერთი უზენაესი სუვერენი არის კეისარი—ბაზილევსი (როგორც, მეშვიდე საუკუნიდან მოყოლებული, უწოდებენ თავიანთ თავს ბიზანტიის იმპერატორები), სხვები-კი მისი მოადგილეები და ვასალები არიან, სხვადასხვანაირ დამოკიდებულებაში მყოფნი თავიანთ პატრონისაგან.

საქართველოს მფლობელებს წინათაც მიუღიათ ბიზანტიური საკარისკაცო წოდებანი: მაგ., უკვე VI ს. დამდეგს, ეგრისის მეფე გუბაზი ჩარიცხული ყოფილა „პ ა ლ ა ტ ი ს ს ი ლ ე ნ ტ ი ა რ ი ე ბ შ ი“ სათანადო სარგოს გაჩენით [1], ე. ი. იგი წევრად (რა თქმა უნდა, ფიქტიურ წევრად) დაუნიშნავთ იმპერიის საწარმომადგენლო ორგანოში, რომელსაც მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეების განსახილველად იწვევდენ [2]. VI ს. დამლეგს უკვე ასეთ ტიტულად გვევლინება, როგორც საქართველოში, ისე მეზობელ ქვეყნებში (მაგ., სომხეთში) „კ უ რ ო პ ა ლ ა ტ ი“ (იყო სხვებიც, მაგ., იპატოსი, მაგრამ მათ ისეთი მნიშვნელობა არ მოუპოვებიათ). კუროპალატობა, რომელიც მერმინდელს ქართულ-ბიზანტიურ ურთიერთობაში განსაკუთრებულ ადგილს | დაიპერს, VI ს. დამლეგს კეისარს უბოძებია ქართლის პირველ ერისმთავრის, გუარამისათვის. VII ს. დამდეგიდან აღნიშნული ფუნქცია მეორე, აგრეთვე უმაღლესს საკარისკაცო, ტიტულს, „პატრიკიოზს“ ანუ, ბერძნულ დაბოლოების მოკვეცით, „პატრიკს“ ეკისრება. „პატრიკობამ“ უდიდესი გავრცელება ჰპოვა არა მარტო მთელს ამიერ-კავკასიაში, არამედ მომდგომ ქვეყნებშიაც, ამოიჭამა თავისი წარმომშობელი ეპოქა და პოლიტიკური ვარემო და თანდათანობით იქცა სპეციფიკურ ტექნიკურ ტერმინად, რომელიც

---

[1] პროკოპი. კესარიელი, B. P. II, 29.

[2] Б ь ю р и, Гос. строй Визант. империи, 47 შემდ.

აღნიშნავდა წვრილ, ნახევრად დამოუკიდებელ თუ ზოგჯერ სავსებით დამოუკიდებელ, ფეოდალურ მფლობელის ხელისუფლების მოცულობას. მას არაჩვეულებრივი გამძლეობის უნარი აღმოაჩნდა (სწორედ იმიტომ, რომ რეალურს სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას დაემყნო): საქართველოში, მაგ., პატრიკების ხსენებას ჯერ კიდევ XI ს. ვხვდებით.

განსაკუთრებით დიდი სტიმული „პატრიკობის" გავრცელებას მისცა ჰერაკლე კეისრის ლაშქრობათა ეპოპეამ, რომელმაც სწორედ მთელი ამიერ-კავკასია და მომდგომი ქვეყნები (მაგ., ჩრდილოეთი ირანი) მოიცვა. ჰერაკლეს თანამედროვე, ქართლის ერისმთავარი, სტეფანოზი, მაგ., უკვე ატარებს „ქართლის პატრიკიოსის" წოდებას (იხ. ჯვარის საყდარის წარწერა). აქ „პ ა ტ რ ი კ ი ო ს ი" ა რ ა მ ა რ ტ ო უ ბ რ ა ლ ო ტ ი ტ უ ლ ი ა, ა რ ა ძ ე დ ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს მ ო ც უ ლ ო ბ ი ს ა ღ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ი ტ ე რ მ ი ნ ი ც. არაბულ ცნობებიდან ჩანს, რომ პატრიკებით (არაბ. გამოთქმით—„ბატრიკ") მოფენილია ეს მხარეები VII—IX სს.: არაბი ისტორიკოსი ბალაძორი იხსენიებს, მაგ., არმენიაკის (ბიზანტიის სანაპირო თემი იყო), ხლათის (ქალაქი ვანის ტბის პირას), ბაგრავანდის, ბოსფორაჯანის (ვასპურაკანის), ჯურზანის (ქართლის), სისაჯანის (სიუნიეთის) და სომხეთის მრავალ ცალკე სამფლობელოს პატრიკებს: მისთვის ეს სიტყვა ჩვეულებრივი ტერმინიც-კია ამ ქვეყნების ყველაზე მაღალი (აზნაურებზე მაღლა მდგომი) წრის აღსანიშნავად[1]. ასეთივე მნიშვნელობა აქვს „ბატრიკს" მეორე არაბი მწერლის, იაკუბისათვის[2]. ადგილობრივ არსებული შეხედულებისათვის „ბატრიკობაზე" საინტერესოა სომეხი მემატიანის, მოსე კალანკატუელის ცნობა, რომ როდესაც ალვანეთის მთავარი ჯუანშერი ნებსით ეყმო ბიზანტიის კეისარს, კეისარმა კონსტანტინემ (იგულისხმება VII ს. ორმოციანი წლები) დ ა უ წ ე რ ა ფ ი ც ი, გაუგზავნა ძვირფასი საჩუქრები, თვითონ ჯუანშერს უბოძა პ რ ო ტ ო ნ-პ ა ტ რ ი კ ო ბ ა და მიანიჭა უფლება მიეცა

---

[1] Из соч. Б а л а д з о р и, Книга завоевания стран, ეუზეს გამოც. ბაქო, 1927.

[2] Из соч. Я к у б и, История, გამოც. ეუზესი, ბაქო 1927.—ასეთსავე სურათს გვაძლევენ სხვა არაბული წყაროებიც.

თავის მხრით, 1200 კაცისათვის (!) ტიტულები პატრიკისა, ჰიპატოსისა, აპა-ჰიპაქოსისა (თუ: აპა-ჰიპატოსისა?) და სტრატელატისა[1].

ადვილად წარმოსადგენია, რომ ცოტა სხვაგვარად უნდა მოქცეულიყვნენ ბიზანტიელები დას. საქართველოში, სადაც ისინი სულ სხვანაირად გრძნობდენ თავს. ამ მხრივ საინტერესოა ჯუანშერის ცნობა, რომ ჰერაკლე კეისრის ლაშქრობათა დროს „კუალად წარიღეს ბერძენთა საზღუარი ქართლისა: სპერი და ბოლო კლარჯეთისა—ზღვის პირი"-ო[2]. ასეთი ანექსია დასაჯერებელია, რადგანაც ზღვის პირის შემომტკიცება ბიზანტიისათვის მართლაც საჭირო საქმე იყო. ამისდა შესაბამისად, თვით ეგრისში ბიზანტიელები სულ უფროდაუფრო ახლო უნდა დაინტერესებულიყვნენ უშუალო მმართველობის სფეროთი, ე. ი. კიდევ უფრო მეტად შეეკვეცათ ეგრისის მეფის ისედაც შეზღუდული და დასუსტებული პრეროგატივები: ამიტომ ჩვენ ნიშანდობლივ ჩვენებად მიგვაჩნია, როდესაც 697 წლისათვის ვპოულობთ ბიზანტიურსავე ცნობას რომ ლაზიკის პატრიკიოზი, ὁ πατρίκιος τῆς Λαζικῆς, სერგი (თუ გიორგი) ბარნუკისძე ასჯანყებია კეისარს და თავისი საშფლობელო არაბებისათვის დაუმორჩილებია[3]. აქაც, ჩვენი აზრით, „პატრიკიოზი" უბრალო ტიტული კიარ არის (მაშინ გვექნებოდა ფორმა: „ლაზიკის მეფე, სერგი პატრიკიოზი"), არამედ იგი ხელისუფლების ხასიათზე მიუთითებს. თუ ჩვენ არ ვცდებით, მაშინ გამოდის, რომ ეგრისის მფლობელს უკვე მეფის უფლებები წართმეული ჰქონია. დამახასიათებელია ცნობა მისი აჯანყების შესახებაც: შესაძლოა უკმაყოფილების მოტივად სწორედ ეს გარემოება გამხდარიყო. თუნდაც მოტანილი ტექსტი ასეთ საბუთად არ ვარგოდეს (რაც არა გვგონია), ჩვენ სხვა მოსაზრებებითაც იძულებული ვართ ვიფიქროთ, რომ რო|მელილაც მომენტში VI—VII სს. სიგრძეზე უნდა მოსპო-

---

[1] ემინის გამოც. 1860 წ., გვ. 143—144. — საკუთრივ სომხეთის პატრიკების შესახებ ბევრი ცნობა აქვთ დაცული სებეოსსა და ლევონდს.

[2] მარ. 196.

[3] თეოფანე, Chronographia, Bon. II, 566. თეოფანე ასახელებს თარიღს „დასაბამიდან სოფლისა" (=6189 წ.). რადგანაც თეოფანეს გამოყენებული აქვს პანოდორეს სისტემა (5492 წ. ქრისტ. ერამდის), რაზედაც ჩვენი ყურადღება თავაზიანად მიაქცია პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა, ამიტომ განხილულ ამბის თარიღად, ახალ წელთაღრიცხვით, ვიღებთ 697 წ.

ბილიყო, ცხადია, ბიზანტიელების წყალობით, მეფობა ეგრისში. ეს უნდა მომხდარიყო VI ს. დამლევს, ან VII ს. ოცდაათიან წლებში, ჰერაკლე კეისრის ლაშქრობათა შემდეგ და შედეგად. სხვაგვარად ძნელი იქნებოდა აგვეხსნა, მაგ., ის ფაქტი, რომ VIII ს. დამლევს აფხაზეთის მთავრებმა ერთი დაკვრით გაანადგურეს ეგრისის სამეფო.

საბაბის მოძებნა ასეთი აქტისათვის ცბიერ ბიზანტიელ მმართველებს არ გაუჭირდებოდათ. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ უკვე ჰერაკლე კეისრის ლაშქრობათა მეორე პერიოდში ბიზანტიური წყაროები გვიამბობენ იმ უთანხმოების შესახებ, რომელიც კეისარს მოსვლია თავის მოკავშირე ლაზ, აბაზგ და ივერიელ ჯარებთან: როგორც ჩანს, მოკავშირეები წინააღმდეგი იყვნენ შორეული ექსპედიციისა, და როცა ჰერაკლემ თავისი მაინც არ დაიშალა, ლაზებმა და აბაზგებმა კეისარს ლაშქრობაზე უარი უთხრეს და შინისაკენ გაემგზავრნენ. ცხადია, ასეთ რამეს ჰ ე რ ა კ ლ ე თ ა ვ ი ს ყ მ ე ბ ს არ აპატიებდა, თუ-კი პერსარმენიის, ქართლისა და ალვანეთის მთავრებს, რომელთაგანაც ბევრი არა მარტო ფორმალურად, არამედ ფაქტიურადაც ირანის შაჰის ყმები იყვნენ, უთვლიდა ომის დასაწყისში: ნებაყოფლობით მემსახურეთ თქვენი ჯარებით, თორემ ისე მოგექცევით, როგორც წარმართებს, და ნაცარტუტას აგადენთო[1]. ამიტომ, არც ის არის შეუძლებელი, რომ ჰერაკლეს დროს მომხდარიყო აღნიშნული პოლიტიკური ცვლილებები ეგრისში.

ანალოგიურია ქართ. მატიანეებში წარმოდგენილი სურათიც, თუმცა მისი ჭეშმარიტების ფარგლების გარკვევა ამჟამად ძნელია. ჯ უ ა ნ შ ე რ ი თ, VIII ს. დ ა მ დ ე გ ს ე გ რ ი ს შ ი ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი დ ი ნ ა ს ტ ი ა ს უ ლ ა რ ჩ ა ნ ს დ ა მ თ ე ლ ი ქ ვ ე ყ ა ნ ა ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ს ა მ თ ა ვ რ ო ს ს ა ზ ღ ვ რ ა მ დ ი ს ქ ა რ თ ლ ი ს ე რ ი ს მ თ ა ვ რ ებ ს ე კ უ თ ვ ნ ი ს. უეჭველია, ამ შეხედულებასაც ისტორიულ ჭეშმარიტების მარცვალი უძევს საფუძვლად, სახელდობრ მერმინდელი გამოძახილი იმ მდგომარეობისა, როდესაც ეგრისის მეფეების უპატრონოდ დარჩენილ (როგორც ადგილობრივ სამეფო დინასტიის გადაშენების, ისე ბიზანტიის დასუსტების წყალობით) მემკვიდრეობის ხელში ჩაგდებას ცდილობ-

---

[1] *Կարանկատուսայի*, 102—103.

დენ მეზობელი ფეოდალური მფლობელები: ჯერ ქართლის ერისთავები, ხოლო, შემდეგ, აფხაზთა მთავრები.

საქართველოს ურთიერთობის განვითარებისა VI ს-ში

საქართველოს სამეურნეო და სოციალურ (კლასობრივ ურთიერთობის) ისტორიისათვის VI ს-ში ცნობები უაღრესად მცირეა, თითქმის სრულებით არ მოგვეპოვება. იძულებული ვართ ამიტომ მეტად სქემატურად და ისიც ხშირად პრობლემატურობის ფარგლებში განვიხილოთ ეს საკითხები.

ქართლში ამ ხანაში, ყოველ შემთხვევაში, VI ს. ოთხმოციან წლებამდის, ხელსაყრელი პირობები უნდა ვიგულისხმოთ სოფლის მეურნეობის,—რომელსაც ბევრად ადრევაც საკმაოდ განვითარებული სახე ჰქონდა, როგორც ვნახეთ,—შემდგომი ზრდისათვის. ასეთი პირობა იყო პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია, რომელიც ირანელთა უმეშვეო მმართველობის დამყარებამ მოიტანა. მართლაც, საერთო ცნობებით ამ პერიოდის აღმოს. საქართველო მდიდარი და ნაყოფიერი ქვეყანა ჩანს. მაგრამ სასოფლო-სამეურნეო კულტურების შესახებ კონკრეტულად, არც სასაქონლო წარმოების ხასიათისა და მოცულობის შესახებ მის შიგნით, არაფერია შენახული. მემატიანის უაღრესად საყურადღებო და ეჭვმიუტანელი (ჩვენი აზრით) ცნობა რომ უკვე IV ს. მეორე ნახევრისათვის თრდატ ქართლის მეფემ „რუჲსთვისა რუჲ გამოიღო", ე. ი. რუსთავის (აქ იგულისხმება უთუოდ მტკვარზე მდებარე ქალაქი, ტფილისის სამხრეთით, სადაც შემდეგში საეპისკოპოსო კათედრა არსდება) სარწყავი არხი გაიყვანა [1], მიუთითებს მეურნეობის საკმაო ინტენსიფიკაციაზე ბევრად ადრე ჩვენს ხანამდის, მაგრამ გაურკვეველი რჩება, რა

---

[1] მოქცევაჲ ქართლისაჲ, 720.—ცნობა ძველის შთაბეჭდილებას, უწინარეს ყოვლისა, თავის კონკრეტულობით ჰქმნის, მიუხედავად იმისა, რომ აშკარაა მისი გატარება მერმინდელ რედაქციის ბრძმედში, როცა სახელწოდება „რუსთავი", წარმოშობილი ამ სამეურნეო აქტის შედეგად, უკვე განმტკიცებული იყო. მეორე მხრით, სწორედ ამ ქალაქის სახელწოდება, დოკუმენტალურად დადასტურებული VI ს. დამდეგისათვის, უდავოდ ამტკიცებს ხსენებული საირიგაციო სისტემის არსებობას უფრო ანდრინდელ ხანისათვის, ყოველ შემთხვევაში, მეხუთე საუკუნისათვის. რუსთავთან იყო (და არის დღესაც) ყარაიის არხის თავი. ვახტანგ VI-მ „ნაგებიდამ", ე. ი. რუსთავიდან (ასე იწოდებოდა ეს ნაქალაქარი ახალ საუკუნეებში) „გაიღო... რუ მტკვრისაგან, და მიერ ეაძითგან ნაყოფიერებს ჭალებს ქვეითი მინდორი": ვახუშტი, გეოგრ. ჯან. 67. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იყო ძველი არხის განახლება.

კულტურებს ეშსახურება აქ ეს სარწყავი სისტემა. მარცვლეული კულტურების გავრცელებასა და ნაწილობრივ, შესაძლოა, სასაქონლო ხასიათსაც გვიმოწმებს ცნობა რომ დიდი ომიანობის დროს ეგრისში (542—562 წ.წ.) ქართლი ირანელებისათვის არის არა მარტო სამხედრო, არამედ აგრეთვე სასურსათო ბაზა: აქედან ეზიდებიან ისინი ეგრისში, სახედრისა და კაცის საშუალებით (ანუ, ძველი ქართ. ტერმინოლოგიით, „სატვირთავითა და მკვირცხლით"), სანოვაგეს, უწინარეს ყოვლისა, პურს (ე. ი. საერთოდ, მარცვლეულს).

პროკოპი მოგვითხრობს რომ პეტრას საშველად მოსულ ირანელების სარდლის ერთს მთავარ საზრუნავს შეადგენდა თავის ჯარისსურსათით მომარაგება ეგრისში: პეტრაში ახალ გარნიზონის ჩაყენების შემდეგ უკან გაბრუნებულ მერმეროეს დანარჩენი ჯარი ახალი, მთის, გზებით მიჰყავს, „რათა ჯარისკაცებს შესძლებოდათ რბევით ერჩინათ თავი", იმიტომ რომ „მას, იმავე (ე. ი. ძველი) გზით იქითკენ მიმავალს, არაფერი საჭირო სახსარი აღარ ხვდებოდა, ყველაფერი-კი, რაც ჯარმა იბერიიდან მოიტანა, პეტრაში დასტოვა" [1]. მაინც, რაკი პეტრაში დატოვებული სანოვაგეც არასაკმარისი ყოფილა და არც ლაზიკის მთებში შეიძლებოდა სურსათის დიდი რაოდენობით შოვნა, ამიტომ ირანელები იძულებული შეიქნენ უმეტესი ნაწილი თავისი ჯარებისა მთლად გაეყვანათ ამ ქვეყნიდან [2]. დარჩენილებმა მწარე დამარცხება იწვნიეს რომაელებისა და ლაზებისაგან, რომელთაც მტრის ბანაკში „დაიტაცეს ბევრი ირაღი და დიდძალი ფული და აუარელი ცხენი და კერძო ვირი... სხვა სურსათიც და აუარელი ფქვილიც იპოვეს იქ და ყველაფერი დასწვეს, რაც-კი ბარბაროსებს იბერიიდან წამოეღოთ, რათა პეტრაში შემოეტანათ". მომავლისთვისაც, გამარჯვებულმა მოკავშირეებმა „მრავალი ლაზი დასტოვეს ვიწრობში, რომ სპარსელებს აღარ შესძლებოდათ პეტრაში სურსათის შეტანა" [3]. 550 წ. ირანის ჯარმა კვლავ გაამაგრა „პეტრაში მყოფი მცველი რაზმები დიდძალი

---

[1] B. P. II, 30; გეორგ. II, 83-4.
[2] იქვე, 85-6.
[3] იქვე, 88; B. G. VIII, 8, 123.

სანოვაგითა და ყველა საჭირო საგნით" [1]. მართლაც, როცა რომაელებმა ციხე-ქალაქი აიღეს, იქ „უამრავი აღმოჩნდა პური, დამარხლებული ხორცი და სხვა სურსათიც: ალყაშემორტყმულთ ის ხუთი წლის განმავლობაში ეყოფოდათ" [2]. საფიქრებელია, რომ მრავალგზისი მითითება აღნიშნულ სურსათის იბერიიდან შემოტანის შესახებ ქართლს გულისხმობს, როგორც ადგილობრივს დასამზადებელ პუნქტს, და არა როგორც გადამცემ სადგურს. ჩვენ ძალიან საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ ეს სანოვაგე, პირველ რიგში, მარცვლეული ქართლში შემოტანილი ყოფილიყო რომელიმე მეზობელი ქვეყნიდან (მაგ., სომხეთიდან, რომელიც თავისი სამეურნეო მდგომარეობით, ყველა ნიშნით, დიდად არ უნდა განსხვავდებოდეს ქართლისაგან), ან, მით უმეტეს, ირანიდან.

ქართლში ეს მარცვლეული ირანელებს შეეძლოთ, რა თქმა უნდა, ხარკის ნატურალურ კატეგორიის სახითაც აეღოთ, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ეს პური აქ ნაწილობრივ მაინც, შესყიდული უნდა ყოფილიყო. ეგრისში მდგომი ბიზანტიური რაზმის შესახებ, მაგ., დაცულია ერთი საინტერესო ცნობა (აგათიასი), რომ იგი ბალახსაკი ყიდულობდა, ისეთი გაჭირვებული იყო. ერთ-ერთ ბიზანტიელ მოხელის შესახებ, მაგ., ნათქვამია: მას „შეეძინა სატვირთო ხომალდები და ადგილობრივ ნაყოფებს იძენდა (კრებდა), ბევრი რამე ეყიდა მეტად დაბალ ფასებში, გაჰქონდა უცხოეთში და ჰყიდდა. ამიტომ, რასაკვირველია, პირველ საჭიროების საგანთა ნაკლებობა შეექმნათ ჯარებს, ისე რომ ბალახიც-კი საყიდელი იყო" [3]. ნათელია რომ ეს ჯარები ეგრისში თავისთვის საჭირო სურსათ-სანოვაგეს უმთავრესად ყიდვის გზით იძენდენ.

პირველ, ხარკის, შემთხვევაშიაც, ირანელებს არ შეეძლოთ მოსახლეობის საკვები ფონდის გარკვეულ ზომაზე მეტად შეკვეცა, თავიანთი პოლიტიკური მდგომარეობის გამო ქართლში (ზურგი ეგრისის სამხედრო ფრონტისათვის, ადვილად გასაშიშელებელი და მეტად საშიში სტრატეგიული ხაზი ქართლის ჩრდილოეთ საზღვარზე— დარიალანთან და სხვ.). მაშასადამე, მარცვლეულის საკმაოდ ფართო წარმოება ქართლში VI ს. არ უნდა იყოს შეუძლებელი. განსა-

[1] B. G. VIII, 8, 123. [2] იქვე, VIII, 12, 147.

[3] IV, 22. Hist. Gr. Min. II, 328—9. თარგმანი ეკუთვნის პროფ. ს. ყაუხჩიშვილს, რომელმაც ჩვენი თხოვნით სათანადო აძონაწერი გადმოგვცა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

კუთრებით თუ ძოვიგონებთ ირან. ჯარების რაოდენობას ეგრისში (იხსენიება ხომ ცალკეული რაზმები 30000 მეომრის შემადგენლობით!). ქართლის სოფლის მეურნეობის საერთო ვითარებისათვის უეჭველად დამახასიათებელია პროკოპის ცნობა მესხების შესახებ, რომელნიც, ამავე მწერლის მტკიცებით, „ძველითგანვე იბერთა ქვეშევრდომი“ არიან (ე. ი. ტერიტორიულად და პოლიტიკურად ქართლს ეკუთვნოდენ) და „რომელთაც მთებში აქვთ საბინადრო ადგილები“. „მესხეთის მთები არც მწირია და არც ნაყოფიერებას მოკლებული, არამედ სავსეა ყოველგვარი სიკეთით, რადგან მესხებიც მარჯვე მიწის მუშები არიან და იქ ვენახებიც არის“, ამბობს პროკოპი[1]. შეიძლება უეჭველად მივიჩნიოთ, ბუნებრივ-ისტორიულ პირობების მიხედვით, რომ, მესხეთთან შედარებით, შიდა ქართლის არა ერთი რაიონი თუ უფრო კარგს, ყოველ შემთხვევაში უფრო ცუდ, მდგომარეობაში არ იქნებოდა. ქართლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის, როგორც საღებ-მიცემო საგნის შესახებ, პირდაპირი ცნობის მსგავსი არაფერი მოღწეულა. ღვინის გამო შეიძლებოდა მხოლოდ მოგვეგონებინა, რომ იგი საიმპორტო საგანი იყო მეზობელ ეგრისში. მაშასადამე, სათანადო საბაზრო მოთხოვნილება მეზობელ ქვეყნებში არსებობდა, და ქართლის მევენახეებს ვაჭარი ეყოლებოდათ.

რომ ქართლს ამ დროს მართლაც ინტენსიური საგარეო საღებ-მიცემა აქვს, კარგად ჩანს პროკოპი კესარიელის ცნობიდან იმდროინდელ ირანულ სომხეთის სატახტო ქალაქის დვინის შესახებ. პროკოპი, სხვათა შორის, ამბობს რომ დვინის გარშემო „მრავალი მჭიდროდ დასახლებული სოფელია გაშენებული... აქ მრავალი ვაჭარი ცხოვრობს და საქმიანობს, რადგანაც აქ საქონელი შემოაქვთ ინდოეთიდან, მ ე ზ ო ბ ე ლ ი ი ვ ე რ ი ი დ ა ნ და თითქმის ყველა, სპარსელთა და რომაელთა ქვეშევრდომ ხალხის, ქვეყნიდან და ერთმანეთში აღებ-მიცემას აწარმოებენ“-ო[2]. ინდოეთის შემდეგ ერთბაშად, და მხოლოდ, ქართლის დასახელება სომხეთთან მოვაჭრე ქვეყნებიდან ცხადად მოწმობს რომ ქართლის მონაწილეობა სომხეთის საგარეო ვაჭრობაში მართლაც დიდი იყო. ამასვე კვერს უკრავს ის ცნობილი ფაქტი, რომ როდესაც VII ს. დამდეგს, საეკლესიო გან-

[1] B. G. VIII, 2; გეორგ. II, 97; შეადრ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, საქართვ. ეკონომ. ისტორია, II, 110.
[2] B. P. II, 25.

ზეთქილების ნაიდაგზე, საშინელი მძულვარება და გათიშულობა ჩამოვარდა ქართულ-სომხურ მმართველ საეკლესიო წრეებს შორის, სომეხთა კათალიკოზმა თავის სამწყსოს უბრძანა—ქართველებთან საერთო არაფერი იქონიოთ, არც ლოცვაში, არც ჭამა-სმაში, არც მეგობრობაში, არც მოყვრობაში; შეგიძლიათ მხოლოდ ივაჭროთ მათთან, როგორც ურიებთანო. „ცხოვრებისგან გამდგარი“ ბერი, რომელიც ყოველგვარი ბრძოლისათვის მზად იყო სრულიად განყენებულ დოგმატიკურ საკითხების გამო, ქართველებთან ვაჭრობას მაინც ვერ ეღეოდა!

ქართლის საიმპორტო საქონლის შესახებ ცნობები არ შენახულა. მაგრამ თავის ხასიათით იგი ისეთივე იქნებოდა, როგორიც ეგრისისათვის იყო ჩვენ მიერ აღნიშნული—მისი მთავარი მომხმარებელი წარჩინებულთა წრეა და, სათანადოდ, განსაზღვრულია თვით საქონლის რაობაც. ვარსქენ პიტიახშის ცოლს, მაგ., ანტიოქიური | სამოსი აცვია (ანტიოქია იყო წინა აზიის ერთი ყველაზე უფრო მდიდარი ქალაქი, სირიაში) [1].

ეს სოფლის მეურნეობის სასაქონლო წარმოება, რომლის ზრდას, გარკვეულ მიჯნამდის, ხელს უწყობს ფულადი ხარკი, როგორც უკვე ნათქვამია თავის ადგილას (იხ. ზემოთ), ჰქმნის პირობას საქალაქო ცხოვრების გაფართოებისათვის. ქართლის იმდროინდელი ქალაქებია: მცხეთა, ტფილისი, უჯარმა, რუსთავი, ბოლნისი, მანგლისი, ერუშეთი, ჰერეში, ხუნანი და სხვ. ბევრი ამათგანის შესახებ ჩვენ მხოლოდ გუმანით ვამბობთ, ქალაქიაო, ვეყრდნობით რა ზოგიერთ არაპირდაპირს ჩვენებას: ფაქტიური ცნობები არ შენახულა. ვიცით მხოლოდ რომ VI—VII სს. მიჯნაზე ტფილისი ძალიან მდიდარი ქალაქი ყოფილა. ძველ სომეხ მემატიანის, მოსე კალანკა-

[1] შუშანიკის მარტვილობა, გორგ. გამ., 18: „რამეთუ შინაგან ძაძაჲ ემოსა და არავინ იცოდა ჩემსა გარეშე, ხოლო გარეგან, კაცთა თუალსა, ანტიოქიისა პალეკარტი ემოსა“; შეადრ. სომხ. თარგმანი *և էր հանդերձ նորա 'ի մերկուց քուրջ. և ի վերոյ պարէ գօտք անտիքացի* ვენეტიკის გამოც., გვ. 43 – შიოს სასწაულებში, საქ. სამ., 254—6, მოთხრობილია ერთი საინტერესო ეპიზოდი ირანელი კაცის შესახებ, რომელსაც ძღვენი მოაქვს მონასტრისათვის ჯორებით [ირანიდან]: „აქუნდეს ორნი კერძო-ვირნი აღტვირთულად ზეთითა, სიმსიმითა, თაფლითა და ლეღვითა ხმელითა“. აქ ალბათ დასახელებულია ის საქონელი, რომელიც, ნაწილობრივ მაინც, შემოჰქონდათ უცხოეთიდან. ძეგლი ამბავს VI ს-ით ათარიღებს, მაგრამ ამ თარიღის სიმართლეს შემდგომი გარკვევა -ჰკირია.

ტუელის, ცნობით, როცა ჰერაკლე კეისრის მოკავშირემ, ხაზართა ხაკანმა, ტფილისი აიღო, მან აქ დიდი სიმდიდრე იშოვა. ხაზარებმა, ამბობს მემატიანე, „გარემოიცვეს ნებიერი, მოვაკრე, სახელოვანი დიდი ქალაქი ტფილისი“ და მიუხედავად პირველი ცდების დამარცხებისა, მანამ არ მოეშვნენ ქალაქს, სანამ არ დაიმორჩილეს იგი. ჯერ მოსახლეობა გაქლიტეს და შემდეგ „ხელი მიჰყვეს საგანძურებს. მთელი სიმრავლე მეომრებისა ძძიძედ დატვირთული მოდიოდა თავის ბატონთან და მოჰქონდა ნადავლის ზვინები და ხვავები. იმდენი მოჰყარეს, რომ თვალს წყალი ელეოდა ოქროსა და ვერცხლის ქანქრების უთვალავ რაოდენობის ცქერაში. ენით უთქმელია თვალშარგალიტით მოოჭვილ, საეკლესიო, საძკაულ-სამსახურებელის ამბავი, რომელიც წაიღესო“. შემდეგში ალვანელ წარჩინებულებს მათ ქვეყანაში დაბანაკებულ ხაზარების ნადიმზე უნახავთ მოოქროვილი ვერცხლის თასები და სასმისები, რომელიც ტფილისურ ნადავლიდან ყოფილა წამოღებული[1].

| დასავლეთ საქართველოშიაც ამ დროს ქალაქები ბლომად იხსენიება: სატახტო ქალაქი არქეოპოლისი ანუ ქართულად ციხე-გოჯი (ეხლანდელი ნოქალაქევი), პეტრა — ქაჯთა-ციხე (ციხისძირი), ფაზისი (ფოთი), როდოპოლისი—ვარდციხე, სკანდა, შორაპანი, სებასტოპოლისი—ცხუმი (სოხუმი), პიტიუნტი (ბიჭვინტა), და სხვა.

თუ ბევრი ამ პუნქტთაგან, იმპერატორ იუსტინიანეს საკუთარი თქმით, „სიმაგრეები“, φρούρια იყო, როგორც, მაგ., სკანდა, სარაპანი (შორაპანი), მურისი, ლისირი და სხვ., ზოგიც კიდევ, როგორც „პიტიუნტი და სებასტოპოლი ხომ უფრო ციხე-სიმაგრეებშია ჩასათვლელი, ვიდრე ქალაქებში“, ἐν φρουρίοις μᾶλλον ἀριθμητέον ἢ πόλεσιν, ზოგიერთს, კერძოდ, პ ე ტ რ ა ს, ამ სიტყვების პატრონი, უკვე ნამდვილ ქ ა ლ ა ქ ა დ სთვლის. შემდეგ როცა კეისარი თავის ნოველაში ამბობს, რომ „არქეოპოლისი და როდოპოლისი უ დ ი დ ე ს ი და ძ ვ ე ლ ი სიმაგრეებია“-ო[2], აქ, საფიქრებელია, მათი ქ ა ლ ა ქ ო ბ ა ც არის ნაგულისხმევი. პროკოპი, მაგ., გვაცნობს რომ ლაზთა ქალაქები — πολίσματα, უმეტეს წილად, ფაზისის მარჯვნივ არის გაშენებული, მათ შორის „არქეოპოლისი ძალიან გამაგრებული“ და სხვ. „ყველაზე შესანიშნავი ქალაქები-კი მაინც არის

[1] *Կաղանկատուացի*, 107, 119—126.

[2] იუსტინიანეს XXXI ნოველა, გეორგ. II, 198.

აქ როდოპოლისი და მოხირისი"-ო [1]. სხვაგან, არქეოპოლისი დახასიათებულია როგორც „მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში" [2].

აღნიშნული პირობებიდან ჰკვებავდენ ხელოსნურს (კერძოდ, ქალაქისას) წარმოებას: მცხეთაში, როგორც უკვე ვიცით, ბლომად ყოფილან, მაგ., მეხამლეები და მეჯადაგეები. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ბევრი მათგანი უცხოელი ყოფილა ტომით. ის გარემოება რომ ამ ხელოსნებს ჩვეულება ჰქონიათ ერთად ედღესასწაულნათ თავიანთი სარწმუნოებრივი უქმე დღე (ევსტათის მარტვილობა), საკითხს ჰბადებს, ხომ არა აქვთ ამ ხელოსნებს უკვე იმ დროს რაიმე კორპორაციული კავშირი (საერთო დღესასწაულები დამახასიათებელია ამქრული წყობილებისათვის). ასეთსავე ეჭვს აძლიერებს ამ ხელოსნების საერთო სოლიდარული მოქმედება გარკვეულ შემთხვევის გამო. ხელოსნობის შესახებ დას. საქართველოში არავითარი ცნობა არ მოიპოვება.

საქართველოს მჭიდრო ეკონომიური კავშირი მეზობელ დიდ სახელმწიფოებთან მეღავნდება უკანასკნელთა საფას-საზომების გავრცელებაში ჩვენს ტერიტორიაზე. ამ მხრივ დამახასიათებელია რომ აღმ. საქართველო უფრო ახლო დაკავშირებულია ირანთან, დასავლეთი — აღმ. რომის იმპერიასთან (შეადრ. სამეგრელოში ეხლაც ხმარებული ბერძნ. საზომი „ორგია" და მრავალი სხვა ფაქტი). ფულიც, სათანადოდ, ამ პერიოდში უცხოური ტრიალებს: ქართლში — უპირატესად, ირანული, ეგრისში — უპირატესად, რომაული [3]. საყურადღებოა, რომ როცა ქართლის დამოკიდებულება ირანზე შესუსტდა და ირანული მონეტის სათანადო რაოდენობით შემოსვლა შეფერხდა (VI ს. დამლევი), ქართლში დაიწყეს ადგილობრივი ფულის ჭრა ქართული წარწერით, იმდენად დიდია, მაშასადამე, მოთხოვნილება. ეს არის დღემდის ცნობილი ყველაზე ძველი ფული ქართული ზედწერილით. იგი, სხვათა შორის, იმაზედაც მიუთითებს რომ VI ს. დამლევის პო-

---

[1] B. P. II, 29; გეორგ. II, 72-3,

[2] B. G. VIII, 13; იქვე, 152.

[3] ამ რთულ საკითხს ავტორი სპეციალურ მონოგრაფიაში იხილავს.

ლიტიკურ ამბებს ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში დიდი დაბრკოლებები არ უნდა გამოეწვიათ.

ეხლა თუ გავითვალისწინებთ ლიტერატურულ ცნობებსაც ქვეყნის საერთო სამეურნეო მდგომარეობის შესახებ, სურათი შედარებით უფრო სრული იქნება. როცა 577-8 წ. კვლავ დაიწყო საზავო მოლაპარაკება ირანელებსა და რომაელებს შორის, პირველნი განსაკუთრებით დაჟინებით მოითხოვდენ დაებრუნებინათ მათთვის პერსარმენია და ივერია, და, უკიდურეს შემთხვევაში, უარს ამბობდენ ფულად საზღაურზე. ამ ამბების მოძთხრობელი ბიზანტიელი მემატიანე ამტკიცებს, რომ ირანულმა საზავო პირობებმა კონსტანტინოპოლში საერთო სიხარული გამოიწვიეს: „კეისარი მზად იყო დაეთმო სპარსელებისათვის პერსარმენია და თვით ივერიაც. იგი დარწმუნებული იყო რომ სპარსელები, მხნეობის დაცემისა და უკიდურესი დასუსტების დროსაც, არ დათანხმდებოდენ ხელი აეღოთ ასეთ მნიშვნელოვან ქვეყანაზე“. შემდეგ მემატიანე დასძენს, რომ თავის მხრით ირანის შაჰი ძალიან ნასიამოვნები იყო ამ ქვეყნების უკან დაბრუნების შესაძლებლობით. იგი იმედოვნებდა, რომ „ომის დამთავრების შემდეგ სასურველად მოაწყობდა საქმეს (იგულისხმება პოლიტიკური მდგომარეობა) პერსარმენიასა და ივერიაში; ხოლო ეს ქვეყნები, არაჩვეულებრივი ნაყოფიერების გამო, დიდ შემოსავალს იძლეოდა“-ო[1]. ეგრისი, საერთოდ, უფრო ღარიბი ქვეყანა ჩანს. სათანადო ცნობა ზემოთ იყო განხილული, მაგრამ იქვე ჩვენ ვამბობდით, რომ ეს ცნობა კრიტიკულ დამოკიდებულებას საჭიროებს და რომ მისი განზოგადება არ შეიძლება. მართლაც, იგივე ავტორი სხვა ადგილას მოულოდნელად ამბობს, რომ ლაზიკის ერთ რაიონში, მუხირესის მხარეში, რომელიც ერთი დღის სავალით იყო დაშორებული არქეოპოლისს (ნოქალაქევს), ბევრი მჭიდროდ დასახლებული დაბა იყო. ეს არის ყველაზე ნაყოფიერი, „საუკეთესო“ მხარე კოლხეთში, რადგანაც აქ ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფიც იქ კარგი იცის, თუმცა ლაზიკის სხვა მხარეებზე არ შეიძლება იგივე ითქვას“-ო. აქ ჩაუდის მდინარე რიონი, სადაც ძველ კოლხებს დაუარსებიათ, ამჟამად უკვე დანგრეული, ციხე ქუთათისიო. იქვე განმეორებით, მუ-

[1] მენანდრე, ნაწყვ. 47.

ხურისი „კოლხეთის საუკეთესო ნაწილადაა“ მოხსენებული[1]. ცხადია, აქ იგულისხმება მერმინდელი ვაკე ანუ ქვემო-იმერეთი, ტლანქი მოხაზვით ცხენის წყალსა და რიონს შორის მდებარე ტერიტორია. აღწერილობით, ეს ბაღ-ბოსტანის რაიონია უფრო, ვიდრე მარცვლეული კულტურებისა.

საერთო ეკონომიურ სიძლიერეზე მიუთითებენ იმდროინდელ ქართ. ხუროთმოძღვრების ნაშთები, როგორც, მაგ., ჯვარის-საყდარი (არაგვის შესართავთან), უბერებელი და უმშვენიერესი ძეგლი ქართ. ხელოვნებისა, ტფილისის სიონი (პირვანდელ სახით მოღწეული არ არის), და მრავალი სხვ.

ამრიგად, აღმ. საქართველოში უფრო დიდ არეზე, დას. საქართველოში უფრო მცირე არეზე, სოფლის მეურნეობა ამ დროს ინტენსიურ ხასიათს ატარებს და მაღალ-შემოსავლიანი დარგია. კერძო საკუთრების ინსტიტუტის არსებობის პირობებში (რასაც ჩვენ ბევრად ადრეც ვხვდებოდით და რაშიაც ქვემოთ უეჭველობით დავრწმუნდებით), ამ ნიადაგზე, იქმნება შესაძლებლობა მაღალი რენტის მიღებისა. ეს-კი იწვევს მიწის, ძირითად საწარმოო საშუალების, მიმართ ყურადღების კონცენტრაციას. ჩქარდება შესაბამისი პროცესები მიწისმფლობელობის სფეროში. მწვავდებიან სათანადო დამოკიდებულებანი. ხდება საადგილმამულო უფლებების გადაჯგუფება იმ მიმართულებით რომ მიწის ძირითადი ფონდები თავს იყრიან (მიისწრაფიან აქეთკენ) გაბატონებულ უმცირესობის ხელში.

ეს განვითარება მიმდინარეობს როგორც ეკონომიური, ისევე, და შესაძლებელია უფრო მეტადაც, უმეშვეო ძალადობის გამოყენების გზითაც.

არსებული პირობები ხელს უწყობდენ მიწის სულ უფროდაუფრო ღრმა ჩათრევას საერთო აღებ-მიცემის პროცესში. გაღატაკებული მესაკუთრენი (გაღატაკება-კი იმ შფოთიან ხანაში, როგორც ზემოთ თავის ადგილას ვნახეთ, ძნელი არ იყო გარკვეული წრეებისათვის) ნებსით, ან არაპირდაპირი ზეგავლენის წყალობითაც, ჰყიდიან თავიანთ მამულებს, რომლებიც, ცხადია, მათი მდიდარი მეზობლების ხელში გადადის. თუ რამდენად შორსაა უკვე იმ დროს ეს პროცესი წასული, ამის მშვენიერი დოკუმენტი ჩვენ ამჟამად მოგვეპოვება ერთი ქვანიშნის წარწერის სახით.

---

[1] B G. VIII, 14, § 46; გეორგ. 163, 165.

წარწერის ენის სიძველეს მისი ჰაემეტობა და ტერმინოლოგია ამტკიცებს. დათარიღებაც გარკვეულ ფარგლებში უზრუნველყოფილია: პროფ. აკ. შანიძის აზრით (რომელიც წარწერის ირანულ-ქრისტიანულ თარიღების სინქრონიზმზეა დამყარებული), წარწერა მიახლოებით 616—619 წ.წ. უნდა ეკუთვნოდეს. მაგრამ თვით წარწერის ცნობა რომ ეს ქვანიშანი აღმართული ყოფილა „სახელსა ზედა მცხეთისა ჯუარისასა", თითქოს უფრო ადრინდელ ხანაზე მიუთითებს (თუ „ჯვარის" ქვეშ ჯვარის-საყდრის წინამორბედ ნიშანს ვიგულისხმებთ, რაც ყველაზე უფრო დასაჯერებელია: ეს ქვანიშანიც სომ „ჯუარი ქრისტჱსი" იყო, როგორც იგი თავის თავს უწოდებს; ხოლო თვით ტაძრის გულვების შემთხვევაშიც, რაც ნაკლებ საფიქრებელია, თარიღი უფრო დაბლა უნდა იყოს დაწეული, VII ს. ოციან წლების დასასრულის ქვეშოთ, რადგანაც ამ ტაძრის შენება მაშინ მთავრდება). თვით წარწერის ტექსტი გვამცნობს, რომ ეს ქვანიშანი, ჯვარის სახით, აუმართავს ვინმე კოსტანტის, სტეფანესა და გუდას შვილს, „ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა", ე. ი. ნაყიდ მიწაზე [1]. იმ დროს საერთოდ ჩვეულებრივი ამბავია მამულზე მსგავსი ნიშნის აღმართვა საკუთრების გამოსაცხადებლად [2]. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო ის გარემოებაა, რომ მიწის გასხვისების (გაყიდვის ფორმით) ფაქტი დოკუმენტალურად დამტკიცებულია მეექვსე საუკუნისათვის და ისიც საკმაოდ მაღალ ზონაში და საკმაო მოშორებით ცენტრალურ რაიონებიდან; ქვა აღმართული ყოფილა ერთ მიწის ნაკერზე სოფ. წყისეში (სამხრ.-დასავლ. 4 კილომეტრზე სოფ. უდესგან ახალციხის | რაიონი)[3]. რამდენად უფრო ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული ასეთი ურთიერთობა ძირითად რაიონებში! ცხადია, რომ იქ მიწის ყიდვა-გაყიდვა სრულიად ჩვეულებრივი ამბავია.

---

[1] ამჟამად წარწერა უკვე გამოცემულია: პროფ. აკ. შანიძე, ძვ. ქართ. ქრესტომათია, ტფ. 1935, გვ. 25. ჩვენ ვისარგებლეთ პროფ. აკ. შანიძის სპეციალური ცნობით, რასაც მადლობით აღვნიშნავთ.

[2] ამ საინტერესო ჩვეულებასა და მის გავრცელებას, კერძოდ, საქართველოში ავტორი სპეციალურ მონოგრაფიაში ეხება.

[3] თუმცა ამ რაიონს ჰქონდა საფუძველი გარკვეული დაწინაურებისათვის, რადგანაც იგი მნიშვნელოვან გზაზე მდებარეობდა მესხეთის აღმ. სექტორიდან დასავლ. სექტორისაკენ, მაგრამ იგი მაინც არ შეიძლება იმდროინდელ ქართლის ეკონომიურად წამყვან რაიონების პირველ რიგში იყოს დაყენებული.

რაც შეეხება მსხვილ მიწისმფლობელობის ტენ-
დენციას შემდგომი ზრდისაკენ უშუალო მი-
ტაცების გზით, ამის საილუსტრაციოდ ჩვენ ერთი საინტერე-
სო ცხობა მოგვეპოვება. საქმე ეხება ახლად აღმოცენებულ ქართ-
ლის საერისთავო ხელისუფლების ბრძოლას ადგილმამულისათვის.
შიო-მღვიმის მონასტერთან. ერისმთავარი სტეფანოზ (VII ს. დამდე-
გი) მონასტერს ესტუმრება კათალიკოზთან ერთად. მას ჰგონია, რომ
კათალიკოზს ბერებმა მეტი პატივი სცეს და ფრიად ნაწყენია, „გა-
ნიხერხებოდა შურითა". ერისმთავარი მონასტრის მამასახლისს სტუ-
ქსავს: „ბერო არაკეთილო... ვითარ შეურაცხ მყავთ რამეთუ არარაჲ
პატივი მთავრობისა წინა მიყავთ, და ოდეს სცანით ეპისკოპოზისა
თქუენისა მოსლვა, ესეოდენ ადიდეთ იგი"-ო. ბერის მიკიბულ-მო-
კიბულ პასუხის უკმაყოფილო, სტეფანოზი ეკითხება მას: „უმეტეს
არსა საყდარსა ჩემსა—ეპისკოპოზისა? მე მეფეთა საყდართა ვზი"...
ჩემს სამეფო ტახტზე უფროსი ეპისკოპოზის ტახტი (ე. ი. ხელისუფ-
ლება) როგორ შეიძლება იყოსო. აქ ქრისტეს მსახურიც ჰკარგავს
მოთმინებას და შეურაცხებას აყენებს ერის მთავარს. საპასუხოდ
„განრისხნა გულისწყრომითა სტეფანოზ მხილებათა მათთჳს და
მისტაცნა ორნი აგარაკნი და თქუა: „არა მივსცე შეურაცხისმყო-
ფელთა მამული ჩემი"-ო [1]. თავის მამულს ეძახის ამ მიწებს სტეფა-
ნოზ, ალბათ იმიტომ, რომ ისინი შეწირული იქნებოდენ მონასტრი-
სათვის ქართლის წინანდელ მფლობელებისაგან. ერთ-ერთი მათგანის
შესახებ იგივე ძეგლი, მაგ., მოგვითხრობს, რომ მან „მიანიჭა უკეთ
მონასტერსა ოთხი რჩეულნი სამეფოთა დაბათაგან და დაწერა ჴელი-
თა თჳსითა თავისუფლება მათი"-ო [2]. ეხლა სტეფანოზს უკან მიჰ-
ქონდა ნაჩუქარი, „შეწირულის" „გამოწირვას" აპირებდა, რაც შემ-
დეგში ჩვეულებრივ ამბად იქცევა: კიდევაც ემუქრებოდა, „უთქმი-
და შინებათა". შემდეგ ავტორს გამოჰყავს სცენაზე ყშ.-შიო, მონას-
ტრის პატრონი და მფარველი, რომელიც ვითომც ძილში ჩვენებით
გავლენას | ახდენს სტეფანოზზე, რათა მან დაუბრუნოს ტაძარს მისი
ქონება: „სტეფანოზ ბოროტო და მედგარო, რად მისტაცენ მონას-
ტერსა ჩემსა აგარაკნი?—თუ ეხლავე უკახ არ დააბრუნებ, ვაი შენს
ტყავსაო". სტეფანოზი შეშინებულია; მაგრამ ეს მიწაც საშინლად

---

[1] „თხრობა სასწაულთათჳის... შიოსთა": საქართვ. სამოთხე, 256-7.
[2] შიოს ცხოვრება: საქ. სამ. 237.

ენანება და წმინდანისა და ეკლესიის მოტყუებას ცდილობს, მხოლოდ ერთს აგარაკს უბრუნებს მონასტერს. მაგრამ არამც თუ ეს ხრიკი არ გაუდის, მას ეხლა ჯარიმასაც ახდევინებენ, ნამატიც მოიტაო. სასჯელსაც ადებს შიო: სტეფანოზ და მისი ოჯახი ცოფდება — „ძალით იპყრობდეს ჭელებითა ძთავარნი და ყოველი ერი... გულიხმაჰყვეს ესე უკვე წარჩინებულთა მათ ქართლისათა“ და შეკრული წაიყვანეს ისინი მღვიმედ, ე. ი. დამნაშავე საკუთარი ფეხით მიდის ცოდვის მოსანანიებლად. როცა ეს მიღწეულია, სტეფანოზმა მიუწოდა „მწიგნობარსა თჳსსა და უბრძანა, რათა დასწერნეს ორნი დაბანი დაბათაგან სამეფოთა ურჩეულესნი“... ეს დოკუმენტი შიოს საფლავს დაადო და ჰგოდებდა: „აჰა, მამაო, პატიჟი ბრალისა ჩემისა“, აი, ჩემი დანაშაულისათვის სასჯელი. შემდეგ, „დაამტკიცა უკვე ჭელითწერილი იგი ჭელითა თჳსითა და მასვე ჟამსა დასწერა ჰროარტაგი და დამტკიცა ჭელითა თჳსითა და წარსცა ყოველსა შინა ქუეყანასა ქართლისასა, რათა ყოველნი ეკლესიანი განათავიხსუფლნენ მძლავრებისაგან და ხარკის მიცემისა“ [1]. ეკლესიამ გაიმარჯვა, ან ყოველ შემთხვევაში, ამ საეკლესიო მწერალს სურს ასე.

მაგრამ იყვნენ ისეთი მესაკუთრენიც, რომელთაც ძლიერთა ამ მიძტაცებლობისათვის არ შეეძლოთ აღწერილის მსგავსი წინააღმდეგობა გაეწიათ, და რომელთა მამულებზედაც წარჩინებულთა სიხარბე უფრო ადვილად იკმაყოფილებდა თავს. ანტაგონისტურ საზოგადოებაში ნორმალურია რომ ცვლილებები ერთი ძირითადი კლასის მდგომარეობაში მომხდარი, გავლენას ახდენს მეორე კლასის ვითარებაზედაც, თუმც შესაძლოა, სრულიად საწინააღმდეგო ხასიათისაც. ყოველი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენა უთუოდ ეხება, თავის სხვადასხვა მხრით, ორსავე ფრთას: ერთის გაძლიერება მეორის დასუსტებას უდრის და უკანასკნელის ხარჯზედაც ხდება.

ის განსაკუთრებული სიძლიერე, რომელსაც VI ს. წარჩინებულთა ჯგუფმა მიაღწია,—განსაკუთრებით, ქართლში, არ შეიძლებოდა თავის რომელიღაც მხრით, სოფლის ძირითად მოსახლეობას არ დასტყობოდა. სოფლის მოსახლეობის ძირითად კატეგორიას-კი ამ დროს „წვრილი ერი“ შეადგენს, რომლის დამოკიდებულება წარჩინებულთაგან აღებულ ხანაში, და ისიც ბარის რაიონებში ჯერჯერობით მხოლოდ ადრინდელ-ფეოდალურ ხასიათისაა, განსხვავებით „გლეხებისაგან“, ბევრად უფრო მცირერიცხოვან ჯგუფისაგან, რო-

[1] „თხრობა სასწაულთათვის... შიოსთა“: საქ. სამოთხე, 257-8.

მელიც უკვე ბატონყმურ დამოკიდებულებაში იმყოფება. „წვრილი ერის“ მდგომარეობისათვის დამახასიათებელია, რომ უმეტეს წილ შემთხვევაში მას ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს თავისი სამამულო უფლებები, ჩვეულებრივად, თემურ მიწისმფლობელობის ფორმით, ნაწილობრივ კერძო საკუთრების სახითაც (აქ მხიშვნელოვანია თვით საადგილმამულო კატეგორიები). ამ თავის სამამულო უფლებების დაკარგვით, ძირითად საწარმოო საშუალების მიწის — დაკარგვით, ეს კლასი მიდის ყმობისაკენ, მაშინ როდესაც „გლეხთა“ ყმობა პირად უთავისუფლობისაგან მომდინარეობს.

მეექვსე საუკუნეში „წვრილ ერს“ უხდა გაევლო ერთი უმნიშვნელოვანესი საფეხურთაგანი თავისი განვითარებისა: წარჩინებულთა წოდება, რომელმაც ეხლა ასეთი ჩინებული პირობები მოიპოვა თავის სოციალურ ინტერესების დასაპურებლად, ცხადია, მგლის თვალებით უცქერის იმ მიწის ფონდებს, რომლებიც ჯერ კიდევ შერჩენია „წვრილ ერს“ და ყოველგვარი საშუალებით ცდილობს მათს ხელში ჩაგდებას. ეს ხანგრძლივი ბრძოლაა, რომელიც მეექვსე საუკუნეში არც დაწყებულა და არც დამთავრებულა. აქ ჩვენ მხოლოდ მისი ერთი უმძაფრესი გამოხატულების პერიოდი გვეგულება. გარდა ამისა, ამ ბრძოლის აღებულ მომენტისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ, როგორც ეს ჩვენთვის უფრო ცხადი გახდება საქართველოს ისტორიის მომდევნო პერიოდის განხილვიდან, მიტაცებისა და მიმძლავრების საგხად და მიზნად ჯერ კიდევ მხოლოდ სახნავ-სათესი მიწებია საგულვებელი[1].

პირდაპირი ცნობის უქონლობის გამო ჩვენ ამ შემთხვევაში სხვა ხასიათის მასალას ვეყრდნობით. საინტერესო კვალი ჩანს, მაგ., ტერმინოლოგიაში. ავიღოთ თუნდაც სიტყვა „ბეგარა“, რომელიც შემდეგში ერთი ძირითადი ტერმინთაგანია ყმის ფეოდალურ გამოსაღებების აღსანიშნავად. იგი მთელი ირანული გამოთქმის ნაშთად ითვლება („ბე ქარ ამადან“) და „სამუშაოზე გასვლას“ ნიშნავს. თავდაპირველად „ბეგარა“ ქართლში შეიძლებოდა შემოსულიყო,

[1] იხ. ჩვენი ნარკვევი საქართველოს ვითარების შესახებ VII—IX სს.

როგორც ირანული ხარკის ერთ-ერთი სახეთაგანი, მოსახლეობის ნა-
| ტურალური შრომითი გამოსაღები დამპყრობელების სასარგებლოდ.
სწორედ ასეთი ურთიერთობის აღსანიშნავად აქვს ნახმარი ეს ტერ-
მინი უძველეს ქართველ მემატიანეს, ჯუანშერს, როცა იგი ლაპარა-
კობს ირანელების მიერ ჯორჯანეთის, ე. ი. გურგანის, დაპყრობის
შესახებ: „წარმოტყუენეს ჯორჯანეთი და შემდგომად უმკვიდრო
ყვეს. და დასხნეს ადგილსა მათსა ნათესავნი სპარსთანი და ელამ-
თანი, და მ ი ე რ ი თ გ ან ქ მ ნ ნ ე ს ჯ ო რ ჯ ა ნ ნ ი* გ ლ ე ხ ა დ,
რ ო მ ე ლ ნ ი ა წ ა რ ი ა ნ მ ე ბ ე გ რ ე ნ ი ს პ ა რ ს თ ა ნ ი დ ა
ე ლ ა მ თ ა ნ ი“[1]. როცა დამპყრობელი სცენიდან ჩამოდის, მოსახ-
ლეობის ვალდებულებებს მის მიმართ ეპატრონება ადგილობრივი
უმაღლესი წრე, რომელიც წინათ მხოლოდ აგენტი იყო გარედან
მოსული ძალისა. საგარეო ხარკი შინაურ ფეოდალურ გამოსაღებად
იქცევა, ასეთი მეტამორფოზი საქართველოს მერმინდელ ისტორია-
ში სრულიად ჩვეულებრივი ამბავია. — ამ შემთხვევაში სწორედ ბე-
გარას მოსდის აღწერილი ცვლილება იმიტომ, რომ იგი თავისი ხა-
სიათით ალაგობრივ განსახორციელებელი გამოსაღები იყო (ტვირ-
თის ზიდვა, სამხედრო სამუშაოები და სხვ.). ამასვე ხელს უწყობს
ბეგარის ნატურალური ფორმა (მისი „გადაგზავნა“ არ შეიძლება).
„ხარკი“-კი, როგორც ფულადი, ცენტრალური დანიშნულების გამო-
საღები, უფრო მტკიცედ ინარჩუნებს თავისს სახელმწიფოებრივს,
ფისკალურ ხასიათს. თუ მისი მითვისება ხდება, მიმთვისებელი ად-
გილობრივი ცენტრალური (მეექვსე საუკ. დამლევიდან, ქართლის
ერისმთავრების) ხელისუფლებაა. მართლაც, არის ცნობები, რომ
„ხარკი“ იხმარება ადგილობრივ სახელმწიფო გადასახადის აღსანიშ-
ნავად გარკვეულ ხანაში (იხ. თუნდაც ამ პარაგრაფში, ზემოთ)—
მეზობელ სომხეთში „ბეგარა“ უკვე VII ს. შუაწლებში ფეოდალუ-
რი გამოსაღები ჩანს[2]. საქართველოშიაც, აღებულ პერიოდის დამ-
ლევისათვის, „ბეგარა“ თავისუფლად შეგვიძლია ვიგულისხმოთ,
რ ო გ ო რ ც ე რ თ ი ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა გ ა ნ ი „წ ვ რ ი ლ ი
ე რ ი ს“ ზ ე დ მ ე ტ ი შ რ ო მ ი ს მ ი თ ვ ი ს ე ბ ი ს ა ფ ე ო-
დ ა ლ ე ბ ი ს მ ი ე რ. მასალების სიმცირე არ გვაძლევს საშუალებას

[1] ქ. ცხ., მარ. 168.

[2] А л о н ц, Армения в эпоху Юстиниана, 484.

* ამ სიტყვის გასწვრივ აღტორის ხელით ამიახე მიწერილია: „არაბ. ხანა ჯ—გ“.

შეავამოწმოთ ჩვენი ეპვი, რომ მეორე საყურადღებო ტერმინი, „ხოდაბუნი“, უდაოდ ირანული სიტყვა, აგრეთვე იმ ხანებშია შემოსული ჩვენში. სულხან-საბას ლექსიკონით, „ხ ო დ ა ბ უ ნ ი ს ა ბ ა ტ ო ნ ო დ ი დ ი ყ ა ნ ა ა“. ასეთივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მას ძველადაც, რასაც სიტყვის ეტიმოლოგიური სტრუქტურა ამტკიცებს (ხოდა — ბატონი, ბუმ — მიწა, ხოდაბუნ — ბატონის მიწა. მორფოლოგიურად შეადრ. ხუდაბანდა, ქეთხუდი და სხვ. მანის ნარად ცვლისათვის შეადრ. ბამ — ბანი)[1]. ამ მოსაზრების გამართლებისას მივიღებდით საბუთს რომ ფეოდალის (ბატონის) მსხვილ მიწისმფლობელობასთან ერთად ეპოქა უკვე იცნობს ფეოდალის (საბატონო) მეურნეობასაც. რამდენად მსხვილია ეს საბატონო მეურნეობა, არაფერი ვიცით. ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფება „პარტახტი“ || „ფარდახტი“ და სხვა ტერმინებიც უწყებული კატეგორიისა, მაგრამ მათ შესახებ დაწვრილებით ჩვენ სხვაგან გვექნება საუბარი[2].

მსხვილ მიწისმფლობელთა ინტერესების მოქცევას სახელმწიფოებრივ რეგლამენტაციის ცენტრში ადასტურებს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ, ჩანს, სწორედ ამ ხანაში, საქართველოში ყოველი მხრიდან მოედინება საადგილმამულო მფლობელობის აქტების აღმნიშვნელი ტერმინები. ირანიდან, ჩანს, შემოდის „გუჯარი“, მეშვიდე საუკუნის დამდეგის ბიზანტიურ ტალღას კიდევ მოაქვს „სიგელი“. ორივე ტერმინი უფრო ფართო მნიშვნელობისაც იყო არსებითად, მაგრამ ჩვენში ისინი სწორედ სამიწისმფლობელო ურთიერთობას უნდა დაემკვიდრებინა.

მემამულეობის კონცენტრაცია, როგორც ვთქვით, უმთავრესად

---

[1] ტერმინი „ხოდაბუნი“ „ხუდაბუნი“ ვგონებთ პირველად გვხვდება დავ. აღმაშენებლის ანდერძში, შიო-მღვიმის ისტ. საბ., 17, სამწუხაროდ, მისი მნიშვნელობა იქ მთლად კარგად არ ჩანს.—შეადრ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, საქართვ. ეკონომ. ისტორია, წ. I, ტფ. 1907 წ, გვ 18.

[2] საკითხი, თავის სირთულის გამო, სპეციალურ განხილვას საჭიროებს. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ რომ ამ ტერმინების ჩვენში დამკვიდრების დასათარიღებლად ერთგვარი (არასაკმარისი, რა თქმა უნდა) საშუალებაა სწორედ მათი ირანულობა. შემდეგ ხანაში ჩვენში, უპირატესად, ა რ ა ბ უ ლ ი ან გ ა ა რ ა ბ უ ლ ე ბ უ ლ ი ტერმინები შემოდის, ფეოდალურ საწარმოო ურთიერთობის ცნებების გამოსახატავად. ასეთებია, მაგ., ღალა, სუხრა, ხარაჯა (და სახარაჯო, მეხარაჯე), კაბალა (და საკაბალო), ნადი, ხასი (და სახასო), მალი, ულუფა, ხიზანი და სხვ.

სწორედ „წვრილი ერის“ საკუთრების ხარჯზე ხდება. მაგრამ ეს „წვრილი ერი“ ამ დროს არც სულიერად არის გატეხილი და არც საჭირო თავდაცვის სახსარსაა მთლიანად მოკლებული. ამიტომ, გასაგებია, რომ იმართება მძაფრი ბრძოლა მიმხტომებსა და დამხდურებს შორის. ვიდრე წარჩინებულთა წოდებას ირანელებთან საქმე კარგად ჰქონდა და ვიდრე თვით ირანელები ჯერ კიდევ იყვნენ ქართლში, აგ ბრძოლაში | გაბატონებული კლასი, ცხადია, ფართოდ იყენებს ირანულს ადმინისტრაციულ მანქანას. მაგრამ, გარკვეულ ხნიდან, ქართლის ფეოდალებსა (ყოველ შემთხვევაში, საერო არისტოკრატიასა) და ირანელებს შორის ურთიერთობა ფუჭდება. ირანელები, როგორც ჩანს. თვითონაც სუსტდებიან და ადგილობრივი წარჩინებულნიც მათ თავიანთ ქვეყნიდან ერეკებიან. ეხლა უკვე იბადება საჭიროება შექმნილ იქნას ისეთი იძულების საკუთარი აპარატი, რომელიც გაძარცულთა წინააღმდეგობას დასთრგუნავს. ამ ნიადაგზე ყალიბდება სწორედ ქართლის ახალი დაბოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია.

შესანიშნავად აქვს ეს განვითარება გამოხატული „ქართლის მოქცევას“: „ნელად-რა შეკრბა ქართლი“, ამბობს მატიანე[1]. ეს იყო მართლაც ფეოდალური ქართლის შეკრების, გაერთიანების, შედარებით ნელი პროცესი. უკვე VI ს. სამოცდაათიან წლების დამდეგს ირანელების წინააღმდეგ აჯანყდენ ქართლის წარჩინებულნი: უკანასკნელთა წინამძღოლი მაშინ ვინმე გურგენი ყოფილა (ბიზანტიური ცნობით)[2]. ალბათ ამ გურგენს ეკუთვნის უძველესი მოღწეული ფული ქართული ზედწერილით (მონოგრამა „გნ“, რომელსაც, როგორც ჩანს, სამართ-

[1] Опис. II, 724.

[2] სტეფანე ბიზანტიელის მოთხრობით, ირანელებს. სომხებთან ერთად, „გადაუდგნენ იბერებიც და მიემხრნენ რომაელებს. მათ მთავრობდა (ჩვენ ვფიქრობთ რომ უფრო მართებული თარგმანი იქნება „წინამძღოლობდა“, „ბელადობდა“. ს. ჯ.), გორგენი Γοργένους αὐτῶν ἡγεμονεύοντος, ხოლო იბერთა დედაქალაქში მაშინ ტიფილისი იყო“. იხ. ს. ყაუხჩიშვილი, პირველი ბერძნული ცნობა ტფილისის შესახებ: საქ. სახ. მუზეუმის მოამბე IV, 283.

ლიანად კითხულობენ ნუმიზმატები როგორც „გურგენს“), რომლის ბომბრელის ვინაობა დღემდის გაურკვევლად ითვლებოდა. თუ ეს ფული მართლაც აჯანყების მეთაურს გურგენს ეკუთვნის,—გამოდის, რომ მას (ფული მოჭრილია ოთხმოციან წლებში) ერთგვარი სახელმწიფოებრივი პრეროგატივები მიუთვისებია. მაგრამ, შესაძლებელია, რომ სამხედრო ამბებში და ომის ასპარეზზე მოპოვებული გურგენის უფლების მოცულობა მთლად სასურველი არ აღმოჩენილიყო გაბატონებული წრისათვის. იგივე ქართული ფულები VI ს. დამლევისა გვიჩვენებენ, რომ მათი მომჭრელის (მაშასადამე, სახელმწიფოებრივ პრეროგატივების მპყრობელის) ვინაობა სწრაფად იცვლება, კიდევ უფრო მეტი: მოღწეულია ისეთი ფული, რომელზედაც არავითარი წარწერა არ არის — თითქოს იგი გ ა ბ ა ტ ო ნ ებ ულ ი კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ის მიერაა მოჭრილი. ამავე დროს აქ უკვე ირანულ პოლიტიკურ გავლენის ყოველგვარი კვალი წაშლილია: თუ წინა ფულებზე მაზდეიანური ემბლემა, ანთებული ცეცხლია გამოსახული, ეხლა მის ადგილს უკვე ჯვარი იჭერს. მართლაც, VII ს. დამდეგის სომხურ-ქართულ საეკლესიო ბიწერ-მოწერიდან ნათლად ჩანს რომ ქართლს იმ დროს „მთავარნი და ყოველნი წარჩინებულნი“ ჰმართავენ, რომელნიც თუმცა აშკარად ანტიირანულ საქმეს აკეთებენ (ამას პირში აყვედრიან მათ სომხები), მაგრამ თავიანთ ირანული ქვეშევრდომობის ფორმალურადაც საჯაროდ უარყოფას ჯერ ვერ ბედავენ (პოლიტიკური მდგომარეობა ხომ უაღრესად ცვალებადი იყო).

მაგრამ ბოლოსდაბოლოს ხელისუფლების ერთგვარი ცენტრალიზაცია მაინც აუცილებელი იყო და აი, როგორც ამბობს მატიანე, „გ ა ნ ა ჩ ი ნ ე ს ე რ ი ს თ ა ვ ად გ უ ა რ ა მ“[1]. ვ ი ნ „გ ა ნ ა ჩ ი ნ ა“ ეს გ ვ ა რ ა მ? ცხ ა დ ი ა, ი მ „ქ ა რ თ ლ მ ა“, რ ო მ ე ლ ი ც ა მ ის წ ი ნ „ნ ე ლ ა დ - რ ი შ ე კ რ ბ ა“, ე ი, როგორც ვამბობდით, ქ ა რ თ ლ ი ს უ მ ა ღ ლ ე ს მ ა ფ ე ო დ ა ლ ურ მ ა წ რ ე მ, ქართლის წარჩინებულებმა. ა მ კ ლ ა ს მ ა ე ხ ლ ა ი პ ო ვ ი ა ის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ფ ო რ მ ა დ ა ფ ო რ მ უ ლ ა, რ ო მ ე ლ ს ა ც

[1] Опис. II, 724.—ჩვენ აქ არ ვეხებით იმ საკამათო საკითხს, თუ ვინ არის ეს გვარამი, ან როდის მოხდა აღნიშნული ამბავი, ან ხომ არა აქვს რამე კავშირი „გვარამს“ „გურგენთან“. ჩვენთვის აქ საინტერესოა მოვლენის სოციალურ-პოლიტიკური ბუნება და მისი გამოხატულება მატიანეში.

დიდიხანია ეძებდა. ახალი ხელისუფლების მეთაური კი არ იყო მეფე „ნებითა ღვთისათა“, „თვითფლობით მპყრობელი“, როგორც თავის უფლებას უთუოდ განმარტავდა ძველი ქართლის მეფე, ან საითკენაც მერმინდელი ძონარქი მიის-წრაფის, არა, ეს თვით წარჩინებულთა მიერ „განჩენილი“, დადგენილი, დანიშნული, თვითონაც წარჩინებულია და მეშაძულე, მსგავსად თავის „განმაჩენელთა“, იგი მხოლოდ ყველაზე წარჩინებულია წარჩინებულთა შორის, სხვებზე დიდი მემამულე, ერთი სიტყვით — „პრიმუს ინტერ პარეს“ (ტოლთაგან პირველი). ასე აღმოცენდა ახალი, მეტ-ნაკლებად სუვერენული, ხელისუფლება ქართლში.

როგორ იწოდება ამ ხელისუფლების მატარებელი, კარგად არ ჩანს. ზოგი წყარო მას „ერისთავს“ უწოდებს (რაც ყველაზე საეჭვოა), ზოგი — „ერისმთავარს“ (ი. საბანისძე, რომლის ტექსტის მერყეობის მიუხედავად ჩვენ მაინც ეს ტერმინი ყველაზე რეალურად მიგვაჩნია), ზოგი — „ერისთავთა მთავარს“. ჯუანშერი, მაგ., ამტკიცებს, რომ მეორე მფლობელმა დინასტების ამ სიიდან, სტეფანოზ გვარამისძემ, „მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან, არაშედ ერისთავთა მთავრად ხადოდეს“-ო [1]. შესაძლოა, სტეფანოზს შინაურებისა არა ნაკლებ ეშინოდა, ვიდრე გარეულებისა! ყოველ შემთხვევაში, ტექნიკურად ჩვენ ვარჩევთ ტერმინს „ერისმთავარს“, ჩვეულებრივ „ერისთავისაგან“ განსასხვავებლად.

ქართლის ერისმთავრებმა იმთავითვე ბიზანტიური ორიენტაცია აირჩიეს. ცხადია, ისინი წარჩინებულთა უმრავლესობის ინტერესებს გამოხატავდენ ამ შემთხვევაში. რამ გამოიწვია ცვლილებები ქართლის მმართველ წრეებში?

ქართლის წარჩინებულთა და ირანელების თანხმობა არ შეიძლებოდა უსასრულო ყოფილიყო, რამდენადაც სასანიდების დინასტიის საერთო პოლიტიკის საბოლოო მიზნები, კერძოდ ქართლში, გამორიცხავდა ასეთ შესაძლებლობას. მას შემდეგ, რაც ირანმა სავ-

---

[1] ქ. ცხ., მარ. 193. ამასვე ამბობს მემატიანე ადარნასეს შესახებაც: სხუა-ყოველი ქართლი დაიპყრა ადარნასე ბაკურის ძემან მთავრობით, და „მეფობისა სახელი ვერცა მან იკადრა“, იქვე, 196.

სებით უარი თქვა დას. საქართველოს მიმართ პრეტენზიებზე, მას უკვე აქ (ქართლში) ზურგის რიდი აღარა ჰქონდა. ესა და სხვა მიზეზებიც ალბათ ამძიმებენ ამ პერიოდში ირანულ რეჟიმს. სავსებით ასევე ცვალებადია. პოლიტიკური მდგომარეობა და ადგილობრივ ფეოდალურ არისტოკრატიის დამოკიდებულება ირანელებისადმი მეზობელ ქვეყნებშიაც, კერძოდ და განსაკუთრებით, სომხეთში. შესაძლოა, სომხეთისავე მსგავსად, ამ ამბებში ქართლის საერო და საეკლესიო არისტოკრატიის ურთიერთობაც გაერია: იქნებ ზემოთ მოთხრობილი ამბავი სტეფანოზ ერისმთავრისა და შიო-მღვიმის მონასტრის ბრძოლის შესახებ შემთხვევითი ეპიზოდი არ იყოს.

ირანელების კულტურულ-იდეოლოგიური პოლიტიკა

როგორც არა ერთგზის გვქონდა აღნიშნული, ირანელებს მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი ამიერ-კავკასიის მთლიანი და უპირობო შემომტკიცება. ეს იყო მათი საბოლოო მიზანი, რომლის მისაღწევადაც შაჰის მთავრობა არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა. როცა VI ს. ორმოციან წლების დამდეგს ირანელები დასავლეთ საქართველოში შეიჭრნენ თვით ადგილობრივ მმართველ წრეების მოწვევით, მათ მოთმინება აღარ ეყოთ! და უმალვე თავიანთი ფარული ზრახვა გამოამჟღავნეს: დაემყარებინათ უმეშვეო და შეუზღუდველი ირანული მმართველობა ეგრისში. თუნდაც ამისთვის საჭირო გამხდარიყო ადგილობრივი მოსახლეობის აყრა და მის ადგილას ირანელების დასახლება. ასევე დაურიდებლად იქცეოდენ ირანელები სხვა ქვეყნებშიაც, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

ამ დაჭიმულ ბრძოლაში, სრული ბატონობის მოპოვებისაკენ რომ იყო მიმართული, ირანელები, ისე როგორც მათი მეტოქეებიც, ფართოდ იყენებდენ იდეოლოგიურ იარაღსაც. რადგანაც იმ ხანაში იდეოლოგიის ძირითადი ფორმა რელიგიაა, ამიტომ ეს იდეოლოგიური პოლიტიკა არსებითად სარწმუნოებრივ პოლიტიკის ხასიათს იღებს.

რა თქმა უნდა, ირანული რელიგიური პოლიტიკა დაპყრობილ ქვეყნებში, საბოლოო მიზნად, ირანული ეროვნული სარწმუნოების, მაზდეიზმის, დანერგვას ისახავს. სათანადო ფაქტებს ჩვენ დიდი რაოდენობით ვპოულობთ.

ამიერ-კავკასიის ქვეყნებში იმ დროისათვის, როდესაც ირანელებმა საბოლოოდ შესძლეს აქ თავიანთი ხელისუფლების განმტკი-

ცება, თავისებურ მდგომარეობას ჰქმნიდა ის გარემოება, რომ ქრისტიანობა უკვე დიდი ხნის სახელმწიფო კულტი იყო და გაბატონებული კლასის ფართო მასების შეგნებაში საკმაოდ მაგრად იყო ფესვგამდგარი.

ამასთან ერთად, ჩვენ გარკვეული გვაქვს, რომ ქრისტიანობა შეთვისებულ იქნა აზნაურობის მიერ როგორც იარაღი თავისი სრულიად მკაფიო სოციალურ-ეკონომიური ინტერესების განხორციელებისათვის თავისი საზოგადოებრივი მტრის და, იმავე დროს, სხვა სარწმუნოების მატარებელი, კლასის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ ქრისტიანობისათვის მაზდეიანობის უშუალო დაპირისპირება არც ისე ადვილი იყო. ამ მხრივ ირანის მთავრობა ბოლოსდაბოლოს პირდაპირი ძალადობის მეთოდს უარჰყოფს: სასტიკად (სიკვდილით) ისჯებიან მხოლოდ მაზდეიანობის რენეგატები, ვინც ირანულ სარწმუნოებიდან ქრისტიანობაში გადადის. ამ გვარი დევნულობის ეპიზოდია ევსტათი მცხეთელის ცხოვრება. არაპირდაპირს ზემოქმედებაზე ირანელებს ამ მხრივ ხელი არასოდეს არ აუღიათ. V საუკუნისათვის მემატიანე ამტკიცებს: ირანული ადმინისტრაცია ქართლის მთავრობისაგან მოითხოვდა, „ვინცა ქართველი ნებითა თჳსითა აღირჩევდეს სჯულსა ჩვენსა, ნუ აყენებთ (ხელს ნუ შეუშლით)"-ო. და თითქოს ამ შეთანხმების მიხედვით მცხეთის ერთ უბანში, მოგვთაში, დამსხდარ|ნი ცეცხლისმსახურნი და მათი ეპისკოპოზი დიდ პროპაგანდას აჩაღებენ. მემატიანე ამტკიცებს, ამ ქადაგებამ „წარჩინებულთა" შორის, ე. ი. მაღალ წოდებაში, ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო, მაგრამ საძაგიეროდ „წვრილისა ერისაგანი მოაქცია ცეცხლისმსახურებასა" და ამნაირად „შეერია ქართლსა შინა ერსა ზედა წვრილსა ცეცხლისმსახურება"[1]. მდაბიოთა შორის მაზდეიანობამ მომხრენი ჰპოვაო. რამდენად ზუსტად გამოჰხატავს ეს სურათი ისტორიულ სინამდვილეს, ეს კიდევ სარკვევია (მ ა რ თ ა ლ ი, ყ ო ვ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი, ი ს ა ა რ ო მ „წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ თ ა" და „წ ვ რ ი ლ ი ე რ ი ს" ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი რ ე ლ ი გ ი უ რ ა დ ა ც ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა გ ვ ა რ ა დ ი ძ ო ს ე ბ ი ა ნ), ისე-კი მოღწეულია ცნობები ცეცხლის მსახურთა ცალკე კოლონიების არსებობის შესახებ აღმ. საქართველოს სხვადასხვა რაიონში. მაგ., „საგზებელი ცეცხლისა" თითქოს ყოფილა ნიქოზში, შემდეგ კახეთ-

[1] ჯუანშერი, მარ. 122-123.

ბი, ლოპოტისხევში, მოსახლეობა „წყლისა და ცეცხლისა მსახური“ ყოფილა[1]. თუ, მეფობის დროს, სადმე შეეძლოთ ირანელებს მაზდეიანობის გავრცელება ეცადნათ, უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა. ე. წ. „ქართველთა საპატიახშოში“. და, მართლაც, ჩვენ ვიცით კარგად, რომ V ს-ში ქართლის ამ პროვინციის მფლობელთა სახლის მეთაურები, პატიახშები, ქრისტიანობიდან მაზდეიანობაში გადადიან. ასე მოიქცნენ არშუშა და ძე მისი ვარსქენი (იხ. ზემოთ). მაგრამ, იმავე დროს, სწორედ ამ ფეოდალურ სახლის ისტორია, კერძოდ ვარსქენის ეპიზოდი, მშვერმეტყველებით აღწერილი იაკობის მიერ, უდავოდ ადასტურებს ზემოთგამოთქმულ აზრს მაზდეიანობის მასობრივი გავრცელების სიძნელის, მეტიც, შეუძლებლობის შესახებ: ვარსქენი თავის საკუთარ ცოლის გადაბირებასაც ვერ ახერხებს ახალ სარწმუნოებრივ გზაზე (თუმცა, უეჭველია, შუშანიკს სხვა უფრო ჩვეულებრივ ადამიანური მოტივებიც ამოძრავებენ).

ამიტომ, ბოლოსდაბოლოს, ირანის მძართველი წრეები სხვა გზას ადგებიან. ამ შემთხვევაში, ერთ-ერთ ძირითადად განმსაზღვრელ ფაქტორის როლში რომისა და ირანის დაუსრულებელი ბრძოლა გამოდის. რადგანაც ქრისტიანობა რომის იმპერიის სახელმწიფოებრივი კულტია, რადგანაც ირანის ქვეშევრდომ ქრისტიანულ ქვეყნებში (სომხეთი, ქართლი, ალვანეთი და სხვ.) რომის ოფიციალურ კულტისათვის ასეთისავე ოფიციალურ ირანულ კულტის უშუალო | დაპირისპირება მარცხს განიცდის, ამიტომ ირანელები ცდილობენ ისარგებლონ ქრისტიანულ ეკლესიის შინაგან წინააღმდეგობებითა და დაბრკოლებებით და მხარი დაუჭირონ ისეთს ქრისტიანულ სექტას, რომელიც მტრული სახელმწიფოს მფარველობის გარეშე დგას.

აღმოსავლეთ რომის იმპერია ამ დროს საეკლესიო სარწმუნოებრივ თვალსაზრისით აბობოქრებულ ზღვას ჰგავდა. საზოგადოებრივმა და ეთნიკურმა სიჭრელემ ძალიან ადრე იჩინეს თავი იმდროინდელი იდეოლოგიის ძირითად სფეროში — რელიგიურ-კონფესიონალურ აღსარებაში: ამ მხრივ იმპერიის აღმოსავლური პროვინციები ყოველთვის ცენტრალურ რაიონებისაგან განსხვავე-

---

[1] ჯუანშერი, მარ. 179, 181.—საინტერესოა, რომ ეს ლოპოტისხევი ყოფილა „ქუეყანა, კლდეთა მოზღუდვილი“, მაგრამ ამ საკითხების შესახებ დაწვრილებით—სპეციალურ მონოგრაფიაში.

ბულსა და განკერძოებულ ხაზს ადგენენ. V ს., მაგ., სირიისა (ძვ. ქართ. ტერმინოლოგიით — ასურეთის) და ეგვიპტის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა და აღმოსავლეთ მცირე-აზიის ნაწილი ე. წ. არიანობასა და სხვა მის ნაბარტყ სექტებს მისდევდა. მეხუთე საუკუნეშივე ყალიბდება აგრეთვე ნ ე ს ტ ო რ ი ა ნ ო ბ ა, რომელიც სირიის დედაქალაქ ანტიოქიიდან გამოდის და რომლის მიმდევართა უმრავლესობა სირია-მესოპოტამიაში ბინადრობს. შემდეგ, ნესტორიანობასთან ბრძოლაში დაიბადა ე. წ. მ ო ნ ო ფ ი ზ ი ტ ო ბ ა. თუ არიოზი ამტკიცებდა, რომ „ძე ღვთისა“ არ არის „მამა-ღმერთის“ თანატოლი, ნესტორი ქრისტეს ადამიანურ ბუნების სრულ დამოუკიდებლობას ქადაგებდა, მონოფიზიტები (ე. ი. ერთბუნებიანები, ერთი ბუნების აღმსარებელნი) უპირატესობას აძლევდენ ღვთაებრივ ბუნებას ქრისტეში, ადამიანურის საწინააღმდეგოდ, და იმასაც-კი ამბობდენ, რომ ღვთაებრივმა შთანთქა ადამიანური და, ამრიგად, ქრისტეში მარტოოდენ ღვთაებრივი ბუნება დარჩაო. მონოფიზიტობაც აღმოსავლური სექტა იყო — ეგვიპტესა და სირიაში უმრავლესობა მოსახლეობისა საბოლოოდ მონოფიზიტობას დაადგა. ასეთ პირობებში, მთავრობა, თავის საეკლესიო პოლიტიკის განხორციელებისას, დიდ გასაჭირს განიცდიდა. თუ, ერთი მხრით, მას მთავარი ყურადღება დედაქალაქისა და ცენტრალურ რაიონების განწყობილებისათვის უნდა მიექცია, მეორე მხრით, მას არ შეეძლო აღმოს. პროვინციების უგულებელყოფაც, რადგანაც ამ პროვინციებს ყოველმხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ იმპერიისათვის. ამიტომ კონსტანტინოპოლის მმართველი წრეების კურსი ამ სფეროში ძალიან მერყევი იყო. არიანობა და ნესტორიანობა შედარებით ადვილად გაიმეტეს. განსაკუთრებული დევნა განიცადეს, V ს. დამლევს, ნესტორიანებმა, რომლებმაც თავი შეაფარეს ირანს, სადაც დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაცია გაიჩინეს, ცალკე კათალიკოზით. გაცილებით უფრო რთული იყო მონოფიზიტობის საკითხი, ზოგი კეისარი (მაგ., ანასტასი, ზენონი, ნაწილობრივ სხვებიც) აშკარად თანაუგრძნობდა ამ მოძღვრებას, სწორედ იმავე პოლიტიკური მოტივებით, მაგრამ ბოლოსდაბოლოს მთავრობა იძულებული შეიქნა ხელი აეღო მონოფიზიტების მფარველობაზე და დევნაც-კი გამოეცხადებინა ამ სექტისათვის. უარყოფილ იქნა ეს მოძღვრება ე. წ. ქალკედონის საეკლესიო კრებაზე (451 წ.), რომელიც ისევ ძველს ორთოდოქსალურ „ორბუნებიანობას“ დაუბრუნდა.

ყველა ამ ამბავს თან სდევდა საშინელი სამოქალაქო შფოთი, აჯბოხებები, რეპრესიები და სისხლის ღვრები, რითაც იმპერიის მტრები კარგად სარგებლობდენ. რელიგია უაღრესად ინტიმურად ეკუთვნოდა პოლიტიკას. დამახასიათებელია ამ მხრივ ერესიარქ ნესტორის სიტყვები, რომლითაც მან მიმართა იმპერატორს, თავის არჩევისთანავე კონსტანტინოპოლის პატრიარქად: „მომეცი მეფევ, მწვალებლებისაგან (ე. ი. ვინც ნესტორის მოძღვრებას არ ეთანხმებოდა) განწმენდილი ქვეყანა, და ამისთვის მე შენ მოგცემ ზეცას. მიშველე მწვალებლების განადგურება, და მე შენ გიშველი სპარსელების განადგურებას“-ო.

რადგანაც ირანელების მიზანი ის იყო, ძველი ქართველი მემატიანის სიტყვით რომ ვთქვათ, „რათა სიძულილი შთავარდეს შორის მათსა (ე. ი. აღმ. რომის მმართველ წრეებსა და ირანის ქრისტიან ქვეშევრდომებს შორის) გამოშორებითა სჯულისათა და ამით უმეტეს მორჩილ იყვნენ (ეს ქვეშევრდომნი) სამეფოსა სპარსთასა“, ამიტომ „სპარსთა მეფენი აიძულებდეს“ საერთოდ თავის ქრისტიანულ პროვინციების მოსახლეობას, „რათა განეშორნენ ბერძენთა სარწმუნოებასა“. თუ რომელს ქრისტიანულ სექტას მიემხრობოდნენ ეს ხალხები, ირანელებისათვის თავდაპირველად სულ ერთი იყო. იმავე ქართველი მწერლის სიტყვით, ჯერ ირანელებს სომეხთაგან განესტორიანება მოუთხოვიათ: „აიძულნა მეფემან პეროზ (მეფობს ირანში 459 — 483) სომეხნი მსახურებად სჯულსა ნისტორის უღმრთოებასა“. მაგრამ სომხებს ეს მწვალებლობა არ მიუღიათ. მაშინ შაჰს სხვა ხერხისთვის მიუმართავს და თავისი უსაიდუმლოესი ზრახვაც გამოუმეღავნებია: „ხოლო მეფე იქცა კუალად სხუად მანქანებად და განუცხადა საქმე თჳსი განყოფისათჳს ბერძენთაგან, და ესრეთ მიუვლინნა მოციქულნი, ვითარმედ ერთი ორთაგანი ყავთ: ანუ გამოირჩიეთ ყოველთა ასურთაგან სჯული თჳნიერ მელქთაჲსა, რომელნი არიან სჯულითა ბერძენ, ანუ დაუტევეთ ქვეყანაჲ თქუენი და ივლტოდეთ ჩუენგან“-ო[1]. ჩვენთვის მთავარი ის არის რომ ბერძნებს, ე. ი. აღმოსავლეთ რომის სამეფოს, ჩამოშორდეთ; ამისთვის ხელი უნდა აიღოთ ბერძნულ სჯულზე (აქ უკვე ბერძენი ნიშნავს გარკვეულ ეკლე-

[1] არსენი, განყოფისათვის, ქრნკ. I, გვ. 324, 315-6,

სიის წევრს, ეროვნება ეკლესიურ-კონფესიონალურ ნიშნით განისაზღვრება), მ ე ლ ქ თ ა სარწმუნოებაზე (ტერმინი „მელქთა“ ნიშნავს „სამეფოთა“-ს, ე. ი. რომაელთა ოფიციალურ აღსარებაზე და ამ უკანასკნელის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე მიუთითებს), ისე-კი შეგიძლიათ ერთ-ერთი აღმოსავლური („ასურნი“ აქ ასეთი ზოგადი მნიშვნელობითაა ნახმარი; გარდა ამისა, ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ მწვალებლობათა ერთი მთავარი ბუდეთაგანი სწორედ ასურეთი, ანუ სირია იყო) ქრისტიანული სექტა აირჩიოთ, რომელიც „მელქთა“ ანუ „ბერძენთა“ სჯული არ არის, ე. ი. კონსტანტინოპოლის მთავრობის მფარველობით არ სარგებლობს; თუ ამ მოთხოვნას არ შეასრულებთ, უნდა თქვენი მიწაწყლიდან აიყარნეთ და თავიდან მოგვშორდეთო. სომხები იძულებული შეიქნენ დაჰყოლოდენ შაჰის წადილს. რადგანაც ქალკედონში მოწვეულმა აღმ. რომის ეკლესიის ოფიციალურმა კრებამ საბოლოოდ ჩამოაყალიბა, გაბატონებულ შეხედულებათა ნიადაგზე, სათანადო სავალდებულო აღსარება, ამიტომ ანტიქალკედონიტური, ე. ი. ქალკიდონის კრების დადგენილებათა მოწინააღმდეგეების, დროშა იქცა კეისართა მთავრობისადმი მტრულად განწყობილი ძალების მთავარ დროშად. ქალკიდონის აღსარება დიოფიზიტური იყო — მთავარი მოწინააღმდეგენი მონოფიზიტები იყვნენ. ირანული სომხეთი ირანის მთავრობის ზეგავლენით, ანტიქალკედონიტურ, მონოფოზიტურ, წრეში ექცევა. ახალი ვითარება გავლენას ახდენს სომხეთის ეკლესიის ორგანიზაციაზედაც — ირანელებისავე მოთხოვნით, ეს ეკლესია ავტონომიურ ორგანიზაციის სახით ეწყობა: „სომხითმან ბრძანება მოიღო სპარსთა მეფისაგან ელთდასხმად ეპისკოპოსობისა თავით თჳსით“-ო [1].

საინტერესო ცნობები ამ ამბების შესახებ დაცულია სომხურს საისტორიო მწერლობაში. კერძოდ, ჩვენს ყურადღებას იპყრობს VII ს. მწერლის, სებეოსის, მიერ შემონახული წერილი, რომელიც პასუხია სომხეთის საეკლესიო და საერო არისტოკრატიისა (კათალიკოს ნერსესის და მთავარ თეოდორე რშტუნის მეთაურობით) ბიზანტიელების მოწოდებაზე ამ უკანასკნელებთან სარწმუნოებრივი შეერთების შესახებ. ეკუთვნის ეს დოკუმენტი, რომელშიაც საკითხის ისტორიაა მოთხრობილი, VII ს. შუაწლებს. როცა, ვკითხულობთ ამ | ეპისტოლეში, ირანელებმა მეფობა მოსპეს სომხეთში

[1] ქრონიკები, I, 319.

(428 წ.) და ამ ქვეყნის ძალა გასტეხეს, მათ გადარჩენილ სომხების ბოცთუნებაც (აქ იგულისხმება გამაზდეიანება) სცადეს; მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს, სომხები მტკიცედ იდგნენ ქრისტიანობაზე. მაშინ მეფე კობადმა (მეფობს ირანში 488 — 531 წ.წ.) და მისმა შვილმა (იგულისხმება ხოსრო ანუშირვანი, 531 — 579 წ.წ.) ბრძანება გამოსცეს: „დე, თვითეული თავის რჯულზე იდგეს, და ნურავინ გაბედავს სომხების შეწუხებას: ისინი ჩვენი მსახურნი არიან ხორცით, ხოლო სულის საქმე იმან იცის, ვინც სულებსა სჯის“-ო.

ჩვენ ვიცით რომ შაჰების ეს „ლმობიერება“ სარწმუნოებრივ პოლიტიკაზე უარის თქმას კი არ ნიშნავდა, არამედ ამ პოლიტიკის შეცვლას: მაზდეიანობის სომხეთში გავრცელების მარცხი აიძულებს მათ ეხლა თვით ქრისტიანულ ეკლესიის შიგნით ეძიონ თავიანთვის მისაღები ფრთა და ისინი იწყებენ სომხეთის რომისაგან საეკლესიო სარწმუნოებრივ ჩამოშორების მცდელობას.

შემდეგში, ეპისტოლეს მტკიცებით, როცა ირანმა თავისი საუკუნოებრივი მტერი წამოაჩოქა, შაჰმა ხოსრომ, ორმუზდის ძემ (590 — 628 წ.წ.), იერუსალიმის წარტყვენვის (614 წ.) შემდეგ, თავის სასახლეში ქრისტიანული საეკლესიო კრებაც მოიწვია, ვითომც თავის „თეორიულ“ ინტერესის დასაკმაყოფილებლად: თუ რომელი ამ ორ მებრძოლ ქრისტიანულ დასთაგან (ქალკედონიტები და ანტიქალკედონიტები) არის მართალიო. საინტერესოა რომ ამ კრებას, ერთ სომეხ ფეოდალთან ერთად, შაჰის ლაიბ-მედიკი (მთავარი ექიმი) თავმჯდომარეობს! კრებაზე დიდი ვნებათაღელვა ყოფილა, რადგანაც აქ ისეთი ქრისტიანული სექტებიც ყოფილან წარმოდგენილნი, რომელთა რელიგიურ-დოგმატიკურ შეხედულებების „სისწორე“ შემაგრებული არ ყოფილა ისეთი მძიმე „საბუთებით“, როგორიცაა ძველ მეფეთა ხელმოწერილი და სამეფო ბეჭდით დაბეჭდილი სათანადო ფირმანები! ასეთი „საეჭვო“ ხალხის გაძევების შემდეგ ნათელი გახდა მსჯელობის სავალდებულო გზაც: შაჰის დირექტივა იყო დაედასტურებინათ ისეთი აღსარება, რომელიც ირანის სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ გზას (*„յաղթական պարտության“*) ეთანხმებოდა! ასეთი „დახმარების“ წყალობით კრებამ სწრაფად გაარკვია. რომ მართალი ყოფილა ნიკეას საეკლესიო კრება (325 წ.) და რომ მას სავსებით ეთანხმება სომხური აღსარება, დანერგული გრიგოლ განმანათლებლის მიერ, ხოლო ქალკედონის კრებას ამ წმინდა

სარწმუნოებასთან საერთო არაფერი აქვსო. ამის შემდეგ შაჰის ბრძანებით სამეფო საგანძურში (!). მოიძიეს ნიკეას მოძღვრება და დაადასტურეს მისი | იგივეობა სომხურ სარწმუნოებასთან. ეს დოკუმენტი დაბეჭდილი ყოფილა (ე. ი. ოფიციალურად მოწონებული) ზემოთხსენებულ კობაღ შაჰისა და მისი შვილის ხოსროს ბეჭდით. მაშინ ამ მეორე ხოსრო მეფემაც ბრძანება გამოსცა — ყველა ქრისტიანმა, ვინც ჩემს ხელმწიფებას ემორჩილება, სომეხთა სარწმუნოება უნდა მიიღოსო. სამეფო კარიც ამ დადგენილებას თანაუგრძნობს. ბოლოს, სამეფო განკარგულებითვე, ამ საბოლოოდ „გამორკვეულ" „შეშმარიტ" სარწმუნოების აღსარებას შაჰის ბეჭდით ბეჭდავენ და სამეფო საგანძურში ინახავენ [1]. ქართლის მიმართ თავის საეკლესიო პოლიტიკის გატარება ირანის მთავრობას შედარებით თავისუფლად შეეძლო მას შემდეგ, რაც უკვე სცენიდან ჩამოსული იყო ისეთი ძლიერი მოწინააღმდეგე, როგორიც იყო ვახტანგ გორგასალი. 506 წ., რა თქმა უნდა, სწორედ ირანელების კარნახით, მოწვეულ იქნა სომხეთის, ქართლისა და ალვანეთის გაერთიანებული კრება, რომელმაც აშკარად დაჰგმო ქალკიდონის აღსარება და მონოფიზიტებს მიემხრო. ამ კრებაზე, ისე როგორც მთელს მომდევნო პერიოდში, ინიციატივას სომხები ჩემულობენ, როგორც უფრო ძველი მონოფიზიტები და ირანის პოლიტიკურ ცენტრებთან უფრო დაახლოვებულნი. შესაძლოა უკვე ამ დროს, ირანელებისავე მოთხოვნით, შექმნილიყო ერთგვარი ორგანიზაციული ცენტრი სომხეთის, ქართლისა და ალვანეთის ეკლესიების მოქმედების კოორდინაციისათვის, მაგრამ ეს საკითხი ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის.

ყოველ შემთხვევაში, აღნიშნულ კოორდინაციის ინტერესებისათვის სხვა, არანაკლებ რთული ღონისძიებები იყო განხორციელებული. საჭიროდ იქნა მიჩნეული დამტკიცებულიყო ქრისტიანობის საერთო, ერთი წყაროდან, წარმომავლობა აღნიშნულ ქვეყნებში. ასე იბადება და ყალიბდება VI ს. ლეგენდა იმის შესახებ, რომ სომხეთი, ქართლი და ალვანეთი (შემდეგში ამ სიას სხვა ქვეყნებიც ემატება) გაქრისტიანებულია ვინმე გრიგოლის ღვაწლის მეოხებით. ეს გრიგოლი კიდევ თავის ჩამომავლობით ირანიდან გამოიყვანეს. V ს. შუა წლებში გრიგოლს ჯერ კიდევ ასეთი ფუნქცია დაკისრე-

[1] *Սիքեոս* 120 შემდ.

ბული არ ჰქონია: ალბათ ეს გრიგოლი უნდა იგულისხმებოდეს ერ-
თი ასურული ცნობის (პროფ. ივ. ჯავახიშვილის დათარიღებით
ეკუთვნის ხანას, V ს. მესამე ათეულიდან VI ს. პირველ მეოთხედს
შორის, რის დასაზუსტებლად შეიძლება ითქვას, რომ ცნობა არ უნ-
და იყოს 461 წ. გვიანდელი, რადგანაც მასში მოხსენებულია ალვა-
ნეთის მეფე, ხოლო მეფობა ალვანეთში უკვე 461 წ. მოსპეს ირანე-
ლებმა) [1] გრიგოლში, რომელიც იქ წარმოდგენილია როგორც „კათა-
ლიკოზი, მართალი და განთქმული კაცი“ [2]. ადგილობრივი გარდმო-
ცემები ქრისტიანობის უფრო ძველ მოციქულთა შესახებ (მაგ.,
ქართლში — ნინოს შესახებ) ამ თხრობას დაუკავშირეს და დაუმორ-
ჩილეს. ასე წარმოიშვა ე. წ. „აგათანგელოსი“, ე. ი. წიგნი წმ. გრი-
გოლის ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ. თუ როგორ კარგად უპა-
სუხებდა ეს ლიტერატურული ქმნილება თავის წარმომშობელ
პოლიტიკურ ინტერესებს, რელიეფურად არის გამოხატული ერთს
ძველ სომხურ ცნობაში: სომხეთის წარჩინებულებმა ირანის მეფე
შაბურს „აგათანგელოსის მშვენიერი ისტორია
წარუდგინეს“ თავიანთ გვარტომობის გასარკვევად. შაჰმა
ათარგმნინა წიგნი ირანულად და როცა გაეცნო მის შინაარსს და
ისიც გაიგო, რომ ამ წიგნის დასაწყისი მის წინაპარ არდაშირთა-
ნაა დაკავშირებული, „დიდი სიხარულით აივსო, აქებ-
და მას (წიგნს) და ლმობიერებით თვალებზე
იდებდა“-ო [3].

საჭიროდ იყო მიჩნეული აგრეთვე დამტკიცებულიყო ერთიანო-
ბა არა მარტო ქრისტიანობის წყაროსი, არამედ ამ ქრისტიანობის
უმთავრეს იარაღთაგანის — მწერლობის — წარმომავლობისაც. ამ
ნიადაგზე შეთხზულ იქნა (როგორც ჩანს, VI ს. პირვ. ნახევარში) აშ-
კარად ტენდენციური თქმულება იმის შესახებ, რომ სომხური, ქარ-
თული და ალვანური ანბანები ერთი პირის, ვინმე მესროპის თუ
მაშტოცის, მიერაა გაძოგონილი, V ს. დამდეგს. პრიმატობა აქაც
სომხურ ანბანსა აქვს მიჩემებული.

---

[1] ქართვ. ერის ისტ. I², 300-301. შემდეგ ავტორი კიდევ უფრო მკვიდროდ
ჩაუდავს ქრონოლოგიურ ფარგალს: ცნობა „არ შეიძლება 450 წ. უწინარესი
იყოს, არამედ V ს. მეორე ნახევრისაა“, იქვე, 302.

[2] თვით ცნობა იხ. Адонц, Армения, 219; ი. ჯავახიშვილი, ქართვ. ერ-
ისტ. I², 296.

[3] Կողանկատուացի, 82.

რაკი ეხლა სამივე ქვეყნის ოფიციალურ საეკლესიო წრეებს ერთი სარწმუნოებრივი აღსარება ჰქონდათ მიღებული, რაკი სამსავე ქვეყანაში ქრისტიანობა ერთ წყაროდან მომდინარედ იყო დასახული და მწერლობის ძირითადი იარაღიც — ანბანიც — საერთო წარმოშობისა იყო, აქედან უცილობლად გამომდინარეობდა საჭიროება თვით მწერლობის ერთს იდეოლოგიურ ყაიდაზე შეუხრელად გამართვისა. არსებული მწერლობა, ამ ქვეყნების წარსული განვითარების სხვადასხვა გზების წყალობით, ჭრელი იყო. ამიტომ საჭირო იყო არა მარტო საკალდებულო ნორმა მიმდინარე ლიტერატურული | მუშაობისათვის, და, მაშასადამე, მკაცრი ცენზურაც, აუცილებელი იყო ძველი მწერლობის ხელახალი განხილვა, შემოწმება და შეჯერება, რათა აღმოფხვრილი ყოფილიყო ყველაფერი, რაც ამჟამად გაბატონებულ დოგმას არ ეთანხმებოდა. და, მართლაც, მეექვსე ს. გარკვეულ პერიოდში (ქართლისათვის, საუკუნის დასაწყისიდან სამოცდაათიან წლების დამდეგამდის), ამ მხრივ ძონოფიზიტებს (ე. ი. პოლიტიკურ-კულტურულად — ირანოფილებსა და სომხოფილებს) დიდი მუშაობა ჩაუტარებიათ: ძველი მწერლობა მთლიანად „გაწმენდილ“ იქნა, არასასურველი ელემენტი შეუბრალებლად მოსპეს ან ძირეულად გადააკეთეს, ბერძნულიდან ნათარგმნი წიგნები სხვა, უფრო „მისაღებ“, ენებზე არსებულ ვერსიებს (მაგ. სომხურსა და ასურულს) შეუდარეს და შეასწორეს, ზოგი რამ ახლად ან ხელმეორედ სთარგმნეს. ამ პროცესში უაღრესად უნდა დაზიანებულიყო კერძოდ უძველესი ქართული ისტორიოგრაფიაც. მაგრამ ამით არ დამთავრებულა ძველი ქართული მწერლობის განადგურების საქმე. ახალი ღვაწლი ამ საქმეში ეკუთვნის უკვე დიოფიზიტური (პოლიტიკურად, მაშასადამე, ბიზანტიური) რეაქციის ტალღას, რომელმაც VI ს. სამოცდაათიან წლებიდან მოიცვა საქართველო.

ბიზანტიის საეკლესიო-სარწმუნოებრივი პოლიტიკა

ასეთივე იყო აღმოსავლეთ რომის იმპერიისა და მისი მემკვიდრის, ბიზანტიის მთავრობის საქმიანობა საეკლესიო-სარწმუნოებრივ სფეროში. კარგად არის ცნობილი, რომ ბიზანტიაში კონფესიონალურმა ინტერესებმა, ქრისტიანულმა დოგმატიკამ და სქოლასტიკამ, საეკლესიო იდეოლოგიამ და პოლიტიკამ არაჩვეულებრივად გაზვიადებული გამოხატულება ჰპოვეს სამოქალაქო და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ბიზანტიის კეისრების ხელში ქრისტიანიზმი და ქრისტ. ეკლესია არის იდეოლოგიური და

საზოგადოებრივი ზემოქმედების ერთი უმთავრესი საშუალებათაგანი, და ამ ნიადაგზეა აღმოცენებული მათი ე. წ. ცეზარეპაპიზმიც, ე. ი. თეოკრატიის ადგილობრივი, სპეციფიკური, ფორმა, როცა სახელმწიფოს მეთაური (ცეზარი ანუ კეისარი) თავის თავს იძავე დროს ეკლესიის მეთაურადაც (პაპი) სთვლის. ზედმეტია განმეორება რომ ყოველივე ეს ჰფარავს და ჰფერავს სოციალურს, ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ინტერესებსა და სულისკვეთებას.

რაც უფრო ირკვეოდა ირანის მფარველობა ჯერ ნესტორიანობისა და შემდეგ მონოფიზიტობისადმი, მით უფრო გარკვეული ხდებოდა ბიზანტიის მმართველ წრეების დამოკიდებულებაც ამ სექტებისადმი. ბოლოსდაბოლოს ისინი აშკარა და სასტიკ დევნულების საგნად იქცევიან. განსაკუთრებით მწვავდება ამ მხრივ მდგომარეობა VI ს. დამლევიდან, როცა კეისრები მკაცრი მართლ-მადიდებლობის, ე. ი. დიოფიზიტობის, კურსს ითვისებენ. აღმოსავლეთში, კერძოდ, ქართლსა და სომხეთში, აქტიური სარწმუნოებრივ-იდეოლოგიური პოლიტიკა იწყება მავრიკის დროიდან (582 — 602 წ.წ.), როდესაც სამხედრო გაძარჯვებათა მზემ ისევ გააშუქა ბიზანტიური პოზიციები აღმოსავლეთის ბრძოლის ველზე. მავრიკის სომხეთში ბრძანება გაუცია ქალკიდონის აღსარების სავალდებულოობის შესახებ, რასაც დიდი შფოთი და ორი საკათალიკოზო ტახტის დაარსება გამოუწვევია (მიუხედავად იძულებისა, ერთი ნაწილი მაინც შეჰრჩა ძველ დოგმას) [1]. იგივე პოლიტიკა გრძელდება სომხეთში ჰერაკლეკეისრისა და მისი მემკვიდრეების დროს. ჰერაკლეს სარდლის, მუეჟ ენუნის, მოქმედებით სომხეთის კათალიკოზი ეზრა გადადის ბერძნების მხარეს, რისთვისაც იმპერატორისაგან კოლბის მარილის მაღაროებს იღებს [2]. მაგრამ მონოფიზიტური პარტია სომხეთში მაინც უფრო ძლიერი იყო და ისარგებლეს-რა ახალი პოლიტიკური სიტუაციით, ჰერაკლეს შვილიშვილის დროს, სომხეთის მმართველმა წრეებმა აშკარად გამოაცხადეს თავიანთი ანტიქალკედონიტური რწმენა და შერჩნენ კიდევაც ბოლომდის ამ პოზიციას, თუმცა შემდეგშიაც სომხეთში, იშვიათად, დიოფიზიტური განწყობილება იჩენს თავს.

---

[1] *Սեբեոս*, 52—53.

[2] იქვე, 101.

სხვა გზას დაადგა ქართლი. იქ, — ალბათ საერო-არისტოკრატიულ პარტიის უპირატესობის წყალობით საეკლესიოს წინაშე და რაკი პირველი ანტიირანულად იყო განწყობილი, — ანტიირანულმა პოლიტიკურმა მოძრაობამ იმთავითვე ანტიმონოფიზიტიზმის სახეც მიიღო. საინტერესოა რომ უკვე 574 წ. (ირანელების წინააღმდეგ აჯანყება ხომ 571—2 წ. ხდება!) ქართველებსა და ალვანელებს მონოფიზიტ სომხებისათვის უარი უთქვამთ მათ თხოვნაზე დახმარებოდენ ქალკედონიტების წინააღმდეგ ბრძოლაში[1]. მავრიკიოზ კეისრის საეკლესიო ხაზი, ცხადია, ცხოველ გამოხმაურებას ჰპოვებდა ამ წრეებში. ყველაფერი ეს თავდება მწვავე უთანხმოებით სომეხ-ქართველ მმართველ, საერო და საეკლესიო, ფენებს შორის და გვირგვინდება სრული სარწმუნოებრივ-საეკლესიო განხეთქილებით სომხეთსა და ქართლს შორის (608 წ.). თუმცა ირანის მოჩვენებითი სუვერენიტეტის აჩრდილი ამ დროს ჯერ კიდევ ეკიდა ქართლს თავზე, რის გამოც, ყოველ შემთხვევისათვის, ქართლის წარჩინებულნი თავს ირანის ქვეშევრდომებად აცხადებდენ საჯაროდ, მაინც ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ ქართლის გაბატონებული საერო ფეოდალური ჯგუფი იმდენად დამოუკიდებელია და მას იმდენი გავლენა აქვს მოპოვებული საეკლესიო საქმეებზე, რომ ჰბედავს და ახერხებს ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმას. უკანასკნელი მახვილი „მართლმადიდებლობის“ მტრებისათვის ქართლში ჰერაკლე ეკისარს ჩაუცია. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გვიამბობს: „ამან ჰერაკლ(ე) ტფილისს და მცხეთას და უჟარმას განავლინნა ქადაგნი, რათა ყოველნი ქრისტიანენი, ქალაქთა შინა, ეკლესიათა შინა შემოკრბენ და ყოველნი მოგუნი და ცეცხლისა მსახურნი ანუ მოინათლნენ, ანუ მოისრნენ. ხოლო მათ ნათლისღებაჲ არა ინებეს. ზაკვით თანა აღერინეს ქრისტეანეთა. ვიდრემდის ყოველთა ზედა წარჰმართა მახვლი და ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლისანი დიოდეს“-ო[2]. თუმცა ჰერაკლე მთავარ ქრისტიანულ სექტებისადმი თითქოს ოდნავ უფრო ლიბერალურად იყო განწყობილი, მაინც დაუჯერებელია რომ ეს დევნულობა მხოლოდ წარმართებს და მაზდეიანობის მიმდევართ შეჰხებოდა. ან როგორ უნდა შერეოდენ ისინი ქრისტიანებს და ტაძრებშიაც-კი დამალულიყვნენ? ცხადია, რეპრესიები ადგილობრივ ქრის-

[1] პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I³, 321.
[2] Опис. II, 725—6.

ტიან მწვალებლებსაც შეეხო, რასაც ბატიანის მომდევნო ფრაზაც ამტკიცებს. ჰერაკლემ „განწმიდა შჯული ქრისტესი და წარვიდა“-ო. ეკლესიებში დადენილი სისხლის მდინარეები კარგი საშუალება იყო ქრისტეს სარწმუნოების გასაწმენდად!

გასაგებია ისიც, რომ ამ რეპრესიებში ადგილობრივ, აგრესიულად განწყობილ, წრეების ხელიც ერია. მათი მხრით ამ ხასიათის საქმიანობა არც იწყებოდა და არც თავდებოდა მოცემული მომენტით. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ის რომ რეპრესიებს ამ წრეების მხრით სხვა მიმართულებაც ჰქონდა: ნადგურდებოდენ არა მარტო ადამიანები, არამედ ამ ადამიანების კულტურულ-იდეოლოგიური შემონაქმედიც ისპობოდა და სახეჩრდებოდა. ცხადია, მელანიც სისხლზე ცოტა არ დადენილა ამ შფოთის ხანაში. მთელი მწერლობა, ერთხელ უკვე გადაკეთებული და „გადასწორებული“ ძოხოფიზიტურ ყაიდაზე, ეხლა ხელახალი ჯიჯგნის საგნად იქცა. შეუბრალებლად აცამტვერებდენ ყოველივე „სომხურს“, რადგანაც მონოფიზიტობა გაიგივებული იყო სომხობასთან. ჯერ კიდევ X-XI ს.ს. ქართული ეკლესიის ორთოდოქსები ეძებდენ „გესლს“, ძველითგანვე საქართველოში დანთხეულს იმის გამო, რომ „ვითარცა ღვარძლნი რაჲმე, დათესულ იყუნეს ქუეყანასა ჩუენსა ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი“, რომელნიც „რეცა მიზეზითა წესიერებისათა ცთუნებად აზმნობდეს“ ქართველებს, ვინაიდან ქართველთა ტომი „წრფელ იყო და უმანკო“-ო. ამ მხრივ, ქალკედონიტებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს აღებულ ხანაში.

საერთო მიმოხილვა კულტურულ-იდეოლოგიურ ვითარებისა საქართველოში VI ს.

მძაფრმა ბრძოლამ, რომელიც კულტურულ-იდეოლოგიურ საფარველით, წარმოებდა საქართველოში, VI ს. სხვადასხვა სოციალურ-სა და პოლიტიკურ ინტერესებს შორის, ღრმა კვალი გაავლო ქვეყნის განვითარების აღებულ მხარეს. ორივე მებრძოლი ბანაკი დაუნდობელი იყო. გამარჯვებას მოსდევდა დამარცხებულის არა მარტო მოქალაქეობრივი ან ზნეობრივი, არამედ ფიზიკური დევნაც. იდევნებოდენ არა მარტო ადამიანები, რომელნიც ცოცხალი წარმომადგენელნი იყვნენ ძველ რწმენათა და შეხედულებათა, არამედ ამ უკანასკნელთა მატარებელი ნივთებიც. ყველაზე მეტად დაზიანდა მწერლობა: მტრის გესლის ძიება, შეჩვენებულ შეხედულებების განქიქება, ჩხრეკა და რეცენზია, ცენზურა

და დაბრკოლება, გადაკეთება და მოსპობა, ყოველივე ეს ყველა მხრიდან არღვევდა ლიტერატურის არსებულს მატერიალურ მხარეს და იმდენად უცვლიდა მას სახეს, რომ თითქმის წყდებოდა ორგანული კავშირი ძველსა და ახალ ეპოქას შორის. მეექვსე საუკუნე შავი ნაპრალივით ჩაწვა ქართული ქრისტიანული მწერლობის დასაწყისსა და საშუალო პერიოდებს შორის. ყველაზე სამწუხაროა ძველი ქართული საისტორიო მწერლობის განადგურება. „ქართლის მოქცევის", „ჯუანშერის" და სხვა მატიანეებში ამ მწერლობიდან შერჩენილია მხოლოდ დამახინჯებული ფრაგმენტები.

რადგანაც მებრძოლ მოწინააღმდეგეთა ძალები გეოგრაფიულადაც სხვადასხვაგვარად იყო განაწილებული, ცალკე რაიონების ძალთა გახწყობილების განსხვავებულ სტრუქტურისა და განსხვავებულ პოლიტიკურ-კულტურულ ორიენტაციის წყალობით, ამიტომ აღნიშნული ცვლილებები ფორმალურადაც ძალიან ჭრელ სამოსელში გვევლინებიან. უეჭველია, მაგ., რომ ქართულ ლიტერატურის ისტორიისა და ისტორიულ გრამატიკის ისეთი კარდინალური მნიშვნელობის მოვლენები, როგორიცაა ხახმეტობა და ჰაემეტობა, განვითარების უწყებულ პირობებთანაა დაკავშირებული. თვითეულს მსხვილს საზოგადოებრივ-კულტურულ რაიონს საკუთარი ნიუანსი შეაქვს საერთო საკმწერლო ენობრივსა და ორთოგრაფიულ ნორმებში. ძველი ქართული კულტურული ცენტრების ისტორია სრულიად შეუსწავლელია. აღნიშნულ ხანისათვის ქართლში, მაგ., უეჭველია, რომ შიდა-ქართლთან (მცხეთა-ტფილისი) ერთად თავისებურ სახეს ატარებენ ქართველთა საპიტიახშო ანუ მერმინდელი ქვემო ქართლი (ცურტავ-ბოლნის-მანგლისი), კლარჯეთი (ერუშეთ-ახიზა; კლარჯეთი აქ ფართო გაგებითაა აღებული), კახეთი (უჯარმა-ნინოწმინდა, რუსთავი, ჭერემი).

ცალკე რაიონების ამოძრავებას სხვა მხარეც ჰქონდა. უეჭველია, რომ არასოდეს მანამდის ისეთი ხშირი და ცხოველი ურთიერთობა საქართველოს სხვადასხვა მხარესა და პროვინციებს შორის არ არსებულა, როგორსაც ჩვენ ამ ხანაში ვხედავთ. აქ ჩვენ ვგულისხმობთ არა მარტო ქართულ სახელმწიფოების ცალკე ადმინისტრაციულ-გეოგრაფიულ ერთეულების კავშირს, არამედ თვით ამ სახელმწიფოების ურთიერთ დამოკიდებულებასაც. უკანასკნელის საყურად-

ღებო ფაქტები უკვე V ს-შია მოცემული[1]. VI ს. დამდეგს ქართ-ლის აჯანყებული მეფის, გურგენის, ეგრისში გახიზნვა აგრეთვე და-მახასიათებელია. კიდევ უფრო მაჩვენებელია ამ მხრივ ირანელების პოლიტიკური მოტივი, რომელიც მათ ეგრისის დასამორჩილებლად ამოძრავებს, როგორც ეს თვალსაჩინო გამხდარა უკვე იმდროინ-დელ მეთვალყურეებისათვისაც: მოუსპონ მეამბოხე ქართლს მუდმი-ვი მოკავშირე, თანამოსაგრე და თავშესაფარის მიმცემი მასპინძელი. VI საუკუნის ამბები: ხოსროს ხანგრძლივი ომები ეგრისში მუდმი-ვი ბაზით ქართლში, იუსტინიანეს ძლევამოსილი მ[ე]მკვიდრეების მოქმედება ქართლში, უკვე ბაზით ეგრისში, განსაკუთრებით ჰერაკ-ლე კეისრის ლაშქრობანი, სადაც გვერდის-გვერდ იბრძვიან ქართ-ლის, ეგრისისა და აფხაზეთის მეომრები, მუდმივი მისვლა-მოსვლა, მოციქულობა, ხიზნობა (შორეული სომხებიც-კი, ირანელებისაგან ლტოლვილნი, ეგრისის ქ. ფოთში აფარებენ თავს) და სხვადასხვა-გვარი ურთიერთობის კომბინაციები, ცხადია, ამოძრავებენ უფრო დიდ მასებს, აახლოებენ მათ ერთმანეთთან, აძლიერებენ ძველ კავ-შირებსა და აბამენ ახალთ. დასასრულ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ საკმაოდ გრძელი პერიოდის განმავლობაში (დაახლოებით, VI ს. სამოცდაათიან წლებიდან VII ს. სამოციან წლებამდის) თითქმის მიმდემად (ან მცირე წყვეტილებით) ეგრისი და ქართლი ერთს საერთო საეკლესიო-რელიგიურ ფარვატერსა და ბიზანტიის ერთიან პოლიტიკურ ეგიდის ქვეშ ექცევიან. ისე, რო-გორც უფრო ადრე ირანი, ეხლა ბიზანტიის მთავრობაც ეცდებოდა გარკვეული ორგანიზაციული თანხმობა დაემყარებინა ადგილობრივ ეკლესიებს შორის. რა კონკრეტულ სახით ხორციელდებოდა იგი, ამჟამად გადაჭრით ძნელი სათქმელია, მაგრამ რაღაც გავლენა, საეკ-ლესიო-კულტურული, უნდა კი გავრცელებულიყოს, სწორედ ამ დროს, ქართლიდან ეგრისში. რომ ქართლი ახდენდა გავლენას ეგ-რისზე, და არა პირუკუ, ეს გასაგებია: ქართლში არსებობდა ავტო-ნომიური ეკლესია მწერლობით ადგილობრივ ენაზე, ეგრისში-კი არა. გარდა ამისა, ქართლი ყოველმხრივ (პოლიტიკურად, ტერიტო-რიულად, რიცხობრივად) უფრო დიდი და ძლიერი ერთეული იყო, ვიდრე ეგრისი. გავლენის გამტარებელი გზებიც ძალიან ხელსაყრე-

[1] ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელ ფეოდალურ ხანაში.

ლი იყო. მოვიგონოთ რომ არგვეთი, ე. ი. მთელი ზემო-იმერეთი, იმთავითვე პოლიტიკურად ქართლს ეკუთვნოდა. არგვეთი-კი მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამოქალაქო-მუხურის მხარეებთან, ე. ი. ზესტაფონ-ჩხარ-ქუთაისის რაიონებთან, და, ამათი შემწეობით, დაბარჩენ ეგრისთანაც. ამ მხრივ, ძალიან საინტერესოა ერთი ძველი სომეხი ისტორიკოსის ცნობა რომ კირიონი, რომელიც მეთაურობდა ქართლის ეკლესიის სრულ დაშორების საქმეს სომხეთისაგან VII ს. დამდეგს, ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა, გ უ გ ა რ ე ლ თ ა (გუგარეთი=ქართველთა საპატიახშოს) და მ ე გ რ ე ლ თ ა ა რ ქ ი ე პ ი ს კ ო პ ო ს ად. ყოფილა ხელდასხმული „პ ი რ ვ ა ნ დ ე ლ წ ე ს ე ბ ი ს თ ა ნ ა ხ მ ა დ“[1]. უეჭველია, პირვანდელ წესად ავტორი ხელდასხმის წესს გულისხმობს, ხოლო რაც შეეხება თვით იურისდიქციის ტერიტორიის განსაზღვრებას, აქ მერმინდელ ვითარების არქაიზაციასთან უნდა გვქონდეს საქმე (კირიონი ნაკურთხია თითქოს სომეხთა კათალიკოზის მოსეს მიერ, რომელიც მონოფიზიტად ითვლება, ეგრისი-კი ამ დროს სავსებით მტკიცედ უჭირავს ხელთ ბიზანტიას და მონოფიზიტების აგენტს, რა თქმა უნდა, იქ არ გააჭაჭანებენ). თუ როდისმე შეიძლებოდა ასეთ კავშირს ადგილი ჰქონოდა, ეს მხოლოდ VII ს. პირველ ათეულიდან მოყოლებული იმავ საუკუნის შუაწლებამდის, როცა აქ ერთგვარი პოლიტიკურ-საეკლესიო პირობები დამყარდა.

მაგრამ აღნუსხულ ფაქტებზე ბევრად უფრო საინტერესო და ნიშანდობლივია ქართლის, როგორც ისტორიულ-პოლიტიკურ ორგანიზმის, ის კონცეპცია, რომელიც წარმოდგენილია უძველეს ქართულს ისტორიულ თხზულებაში, ე. წ. „ქართლის მოქცევაში“. როცა | ალექსანდრე მაკედონელმა ამიერ-კავკასია დაიპყრა, მცხეთა, როგორც სატახტო ქალაქი, „საჯდომი“, მან მიუბოძა თავის ერთ სარდალს, აზოს, არან ქართლისა მეფისძეს, რომლითაც, მემატიანის შეხედულებით, იხსნება მცხეთის (ქართლის) მეფეთა გრძელი სია, ვიდრე მეფობის მოსპობამდის ქართლში ირანელების მიერ (VI ს.). ჩვენ ვიცით, რომ ეს ამბავი არ ეთანხმება ისტორიულ ჭეშმარიტებას, მაგრამ საინტერესოა სხვა რამ — მემატიანის წარმოდგენა აზოს სამფლობელოს მოცულობის შესახებ: „თანა ჰყვანდა ალექსანდრეს. მეფესა აზოჲ, ძ(ؤ) არან ქართლისა მეფისაჲ. და მას მიუბოძა მცხე-

[1] პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტ. I², 279.

თაჲ საჯდომად. და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრისწყალი და სომხითი და მთაჲ ცროლისა“ [1]. აღმოსავლეთი საზღვარი ამ პოლიტიკური ერთეულისა არის ჰერეთი ანუ ალვანეთი, სამხრეთი — სომხეთი, ჩრდილოეთი — კავკასიონის ქედის ერთი ნაწილი, ცროლის მთა, დასავლეთი (შემატიანის გეოგრაფიული წარმოდგენები მთლად ზუსტი არ არის, რაც გასაკვირველს არაფერს შეიცავს) — ეგრისწყალი, ე. ი. თანამედროვე სამურზაყანოს ერისწყალი ან ღალიძგა, უკიდურეს შემთხვევაში, თუნდაც ენგური. ასე თუ ისე, ეგრისწყალი აქ ეგრისის ანუ ლაზიკის ჩრდილოეთის პოლიტიკურ საზღვარზე მიუთითებს.

ამრიგად, ყოველ ეჭვს გარეშეა რომ ავტორისათვის „ქართლის“ პოლიტიკურ ცნებაში შედის არა მარტო კახეთი, არამედ ეგრისიც. რაც არ უნდა გვიან გადმოიტანონ მატიანის საბოლოო რედაქციის დრო, IX საუკუნეს იგი მაინც ვერ გადმოსცილდება, ე. ი. ეს ლიტერატურული ძეგლი ბევრად ადრინდელია საქართველოს გაერთიანების ხანაზე. მაშ როდის-ღა იყო შესაძლებელი „ქართლის“ ასეთი ფართო ცნების შემუშავება და ან რა ნიადაგზე უნდა აღმოცენებულიყო იგი? ყველაზე ბუნებრივი იქნებოდა ასეთ ხანად მიგვეჩნია VII ს. პირველი ნახევარი (იქნებ უფრო ოცდაათიანი ან ორმოცდაათიანი წლები), როცა ზემოთ აღწერილი კავშირი მყარდება ქართლსა და ეგრისს შორის, თვით კონსტრუქცია-კი ჩაგვეთვალა უფრო საეკლესიო-კულტურულისა და საეკლესიო-ორგანიზაციული ერთობის ანარეკლად, ვიდრე პოლიტიკური მთლიანობის გამოხატულებად. მართალია, VII ს. შუა წლებში, მეორე მატიანის მტკიცებით, თითქოს რაღაც პოლიტიკური ერთობაც-კი ხორციელდება ქართლსა და ეგრისს შორის, და აღნიშნული კონცეპცია თითქოს პოლიტიკურ საყრდენსაც პოულობს, მაგრამ მატიანის ეს ცნობა ჯერ კრიტიკულად შესწავლილი არ არის, და მისი ზოგი ელემენტი გარკვეულ ეჭვსაც ჰბადებს | (მაგ., ქრონოლოგია: თუ ერთი მხრით, ეპიზოდი VII ს. შუა წლებით უნდა დათარიღდეს თავის ადგილობრივ მოქმედ პირთა ვინაობის მიხედვით, მეორე მხრით იგი დაკავშირებულია იმ არაბ სარდალთან, რომელიც VIII ს. ოცდაათიან წლებში მოქმედებს ამიერ-კავკასიაში. ეჭვს ჰბადებს აგრეთვე თხრობის პოლიტიკური ტენდენცია — ჰერაკლე კეისრის თანამედროვე სტეფა-

[1] Опис. II, 709.

ნოზს, ქართლის ერისთავარს, ქუთაისში უმზადებენ შვილები საფლავს, „რათა იყოს იგი საწამებლად სამკვდროსა ჩუენისა“[1], ქართლის მეფეების უფლებებს ამტკიცებდეს ქუთაისის მიმართო; ეს-კი, ჩანს, იმ დროის გამოძახილია, როცა ქუთაისი სატახტო ქალაქად იქცევა საქართველოს მონარქებისათვის, ბაგრატიონთა, პოლიტიკურ-წარმომავლობის მიხედვით, ა მ ე რ უ ლ, საგვარეულოსათვის).

ამრიგად, აღებულ ხანაში უკვე მზადდება ნიადაგი იმიერ-ამიერ საქართველოს ტომთა ფეოდალურ კლასების მჭიდრო კულტურული დაახლოებისათვის[2].

საერთო დასკვნები

მკითხველს, ალბათ, საფუძველი აქვს ეხლა, ავტორთან ერთად გაიმეოროს, რომ მეექვსე საუკუნე, მართლაც, ნამდვილი ისტორიული მოსაბრუნია ძველი საქართველოს განვითარებისათვის. მთელი წიგნის სივრცეზე გაშლილს საზოგადოებრივი ქმნადობის სურათს უნდა დაერწმუნებინა იგი, რომ აღებულ ხანაში ევოლუციის „თანდათანობის შეწყვეტით“, გარკვეულმა სოციალურ-ეკონომიურმა ძალებმა მოიპოვეს ახალი და საკუთარი ფორმა თავისი შინაგანი ბუნების სრული დასაბოლოო გამომჟღავნებისათვის შემდგომი განვითარების გზით. მართალია, წყაროების უაღრესი სიმცირე და ცალმხრივობა საშუალებას გვისპობს ღრმად შევიხედოთ აღებულ და წინამორბედ პერიოდების საწარმოო ურთიერთობის კონკრეტულობაში, მაგრამ რადგანაც ახლადდამდგარი ხანა სრულიად უეჭველსა და სავსებით გარკვეულს ფეოდალურ ხასიათს ატარებს, რადგანაც ყველაფერი, რაც ჩვენ მიერ აღებული წინამორბედი ხანიდან მოღწეულა, აგრეთვე ფეოდალურ ძალების წამყვან მნიშვნელობაზე მიუთითებს, ამიტომ, ვამბობთ ჩვენ, მეექვსე საუკუნე ფეოდალიზმის საბოლოო გამარჯვების საუკუნე იყო.

ეს გარდატეხა აშკარად რევოლუციონურ გარდატეხის ხასიათს აცხადებს. რევოლუციის საკითხი თავისებურად წყდება თვითეულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციის მიერ. თავისებურება ახასიათებს აგრეთვე ფეოდალურ რევოლუციასაც. პირველყოფილ

---

[1] ჯუანშერი, მარ. 207.

[2] უკანასკნელ პარაგრაფებში აღძრულ საკითხებისათვის შეადრ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტორია, I[2], 263—5, 269—271, 280—290, 321—324, 342—347, 348—359; პავლე ინგოროყვა, ძველი ქართული წარმართული კალენდარი, საკ. მუზეუმის მოამბე, VI, 380—395, და სხვ.

კომუნისტურ ურთიერთობის დაძლევა ეკონომიკასა და შეგნებაში, უმცირესობის ბატონობის დამყარება მთელი საზოგადოების თვითმმართველობის ნანგრევებზე აუცილებელს ხდიდა ხანგრძლივსა და რთულს წინასწარს, მატერიალურსა და იდეოლოგიურს, მომზადებას იქ, სადაც საქმე ეხებოდა წინაკლასობრივი წყობის შეცვლას კლასობრივით. ხოლო საკუთრივ ფეოდალურ საწარმოო წესის გაბატონებისათვის ბრძოლაში ახალ სირთულეს ჰქმნიდა მონათმფლობელური ურთიერთობის ამათუიმ სახით არსებობა. სადაც მონათმფლობელობა არ განვითარებულა იმდენად, რომ საბოლოოდ დაერღვია გვაროვნული საზოგადოება, მაგრამ თავის გარკვეულ მნიშვნელობას იგი მაინც საგრძნობელს ხდიდა, იქ ფეოდალიზმს ბრძოლა უნდა ჩაეტარებინა როგორც ერთის, ისე მეორის წინააღმდეგ. ასე იყო საქართველოში.

ქართლის ისტორიაში, მაგ., ჩვენ ვნახეთ[1], რომ ახალგაზრდა ფეოდალურმა კლასმა თავის პირველს დიდ გამარჯვებას მეოთხე საუკუნის შუაწლებისათვის მიაღწია. მაგრამ მაშინ მას ერთი დიდი საკითხი დარჩა გადაუწყვეტელი—ეს იყო ხელისუფლების საკითხი, რომელიც, როგორც ვიცით, საზოგადოდ ძირითადია რევოლუციისათვის (ლენინი). ეს საკითხი ქართლის ფეოდალებმა მეექვსე საუკუნის დამდეგისათვის გადასჭრეს, როცა მათ ძველი, მონათმფლობელთა საჭიროებების ნიადაგზე აღმოცენებული და ფეოდალიზმისათვის შეუფერებელი, სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია დაამხვეს. ეს ამბავი მშვენივრად აქვს გამოხატული, როგორც ვამბობდით; ძველ ქართულ მატიანეს, როცა, მისი მტკიცებით, მეექვსე საუკუნეში „ეპყრათ უფლება ქართლისა აზნაურთა". ძველ ქართულად უფლება სხვას არას ნიშნავს, თუ არ ბატონობას. მაშასადამე, ძველი დამკვირვებელიც ხედავდა, რომ აზნაურობამ ეხლა სრული და შეუზღუდველი (პოლიტიკური) ბატონობა მოიპოვა.

ასევე აშკარაა აფხაზეთში (აბაზგიაში) მომხდარი გადატრიალების მნიშვნელობაც. განსხვავება, ქაროლთან შედარებით, ისაა რომ აქ, ძირითადად, აღებული პროცესი მეექვსე საუკუნის ფარგლებში განვითარდა მთლიანად.

---

[1] იხ. ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელ ფეოდალურ ხანაში.

უფრო თავისებური იყო მდგომარეობა საკუთრივ ეგრისში. აქ ფეოდალურ კლასს ნაკლები დაბრკოლებები ეღობება თავის მისწრაფებების განხორციელების გზაზე, ვიდრე, ვთქვათ, ქართლში, და სათანადო წინააღმდეგობაც ისე მძაფრად არ ვითარდება. მაინც, როგორც ვნახეთ, აქაც არსებული წესწყობილება, მეშვიდე საუკუნის ოცდაათიანი წლების დამლევს, დაახლოებით, საკმაოდ მნიშვნელოვან ტეხილს განიცდის და კიდევ ერთხელ გაივლის, ასე ვთქვათ, საზოგადოებრივ ბრძმედში.

როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, აღწერილ ამბებში გარკვეული როლი შეასრულა გარეშე ძალამ. მაგრამ ეს იყო მხოლოდ პირობა, რომელიც აჩქარებდა პროცესს. უამფაქტოროდაც განვითარება მაინც იმავე გზით წავიდოდა.

მოსალოდნელი იყო და ასევეც მოხდა, რომ აღნიშნულ ბრძოლებს თან სდევდა დაუნდობელი იდეოლოგიური ჭიდილიც. ისიც გასაგებია, რომ იდეოლოგიურმა ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი ქართლში მიიღო — სწორედ აქ ექსოვებოდა უაღრესად ინტიმურად სოციალურ-პოლიტიკური ინტერესები იდეოლოგიურ მომენტს. ფეოდალიზმმა გამარჯვებას მიაღწია ამ სფეროშიაც ისევე, როგორც სხვა სფეროებში.

ამრიგად, შეგვიძლია მივიღოთ, რომ მეექვსე საუკუნიდან მთელ საქართველოს მიწა-წყალზე შეუზღუდველად მკვიდრდება ფეოდალური საწარმოო წესი, ფეოდალური საკუთრება და სახელმწიფოებრივობა, ფეოდალური იდეოლოგია. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ახალ საზოგადოებას თავის განვითარების ზენიტამდე ჯერ კიდევ დიდი გზა უძევს.

საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე

თავი პირველი

ამოსავალი ვითარება

§ 1. უძველესი განვითარების მოკნახაზი

წინამდებარე ნარკვევი მიზნად ისახავს გაითვალისწინოს იმ პროცესების განვითარება, რომელთაც საქართველო აღებულ პერიოდის დამლევისათვის (V—VI საუკუნეების მიჯნა) ადრინდელ ფეოდალურ ქვეყნად აქციეს. პერიოდის დამდეგისათვის ქვეყანას სულ სხვა სახე ჰქონდა. აქ ჩვენ ვხედავთ მდგომარეობას, რომელიც წინა ხანგრძლივი განვითარების შედეგია და, რაც ამჟამად ჩვენთვის უფრო საინტერესოა, ამოსავალი წერტილია შემდგომი განვითარებისათვის. ამ მნიშვნელობის გამო ჩვენ გვსურს აქ, წინასწარ და სქემატურად მაინც, გადმოვსცეთ ჩვენი შეხედულება საქართველოს ვითარების შესახებ პირველ საუკუნეში ძვ. წ. და, კიდევ უფრო სქემატურად, წინამორბედი გზებიც მოვხაზოთ [1].

ქართველ ტომთა წინაპარ ეთნიკურ კოლექტივების მიწაზე დაჯდომა, ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა, მიწისმოქმედებაზე გადასვლასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მიწისმოქმედება აქ, როგორც ჩანს, პრიმიტიულ მებოსტნეობის სახით არის წარმოდგენილი. სოციალურად ამ ცვლილებას შეეფარდებოდა „სახლ"-ის, როგორც ძირითად სოციალურ ერთეულის, ჩამოყალიბება. „სახლი" (ჟანურ-მეგრული „ოხორი", სვანური „ლახორ" ანუ „ლალხორ") არის გარკვეული საზოგადოებრივი ერთობა, რომელიც დასახელებულ სამეურნეო ფაქტისა (მებოსტნეობა) და წინა პერიოდიდან მიღებულ ტრადიციების ნიადაგზე მატრიარქალურ წესის მიხედვით ეწყობა. „სახლ"-ის სათავეში დგას ქალი, დედათმთავარი, „დიასახლისი". სახლის წევრები ანუ „სახლისშვილები" ურთიერთნათესაობას დედის ხაზით ანგარიშობენ. ამიტომ არის, რომ დასავლეთ სა-

---

[1] იხ. ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, კურსი დაუსწრებელ პედაგოგიურ ინსტიტუტის მსმენელებისათვის, ნაკვეთი I და II, ტფ. 1932 წ. ეს ნაკვეთები ამჟამად თავიანთ გადამუშავებულ გამოცემას ელოდებიან.

ქარ|თველოში დღესაც „სახლისშვილი“, ისევე როგორც ჭანური „ოხრასკირი“ (სკირი ნიშნავს შვილს) და „ოხრასურე“, მეგრული (ამჟამად, მხოლოდ ნაწილობრივ) „ოხორასკილი“ ისეთი ტერმინებია, რომელნიც აღნიშნავენ ნათესაობის დედის, ქალის, ხაზით. ხოლო „სახლის“ ჩამოყალიბების კავშირი ბინადარ ცხოვრებაზე ვადასვლასთან მიზეზია იმისა, რომ ეს სიტყვა, ასევე ტრადიციულად, მერმინდელ ხანებშიც „მიწაზე ჯდომის“, „მკვიდრობის“, „მოსახლობის“ მნიშვნელობის მომენტს შეიცავდა. შემდეგ, ეს „სახლი“ არის, ეთნოგრაფების ენით რომ ვთქვათ, „დიდი ოჯახი“—ისეთი ერთობა ადამიანებისა, რომელიც ერთს ჭერ ქვეშ, ერთ ბინაში ცხოვრობს. ამიტომ გახდა შესაძლებელი, რომ „სახლი“ ადამიანთა საცხოვრებელ შენობასაც დაერქვა, და დღეს ხომ ეს ტერმინი უპირატესად სწორედ ამ მნიშვნელობით იხმარება. სახლისშვილების სოციალური ერთობა დამყარებულია მათს ეკონომიკურ ერთობაზე. ერთ ჭერ ქვეშ ერთად ცხოვრება სწორედ ამ ეკონომიკურ ერთობის ერთ-ერთი მომენტია. გარდა ამისა, სახლი, გარკვეულ დროში მაინც, კოოპერირებულ სამეურნეო საქმიანობას ეწევა მიწის გარკვეულ ნაკრის საერთო მფლობელობის ნიადაგზე. აქედან—„სახლი“ შემდეგში, უკვე კლასობრივ საზოგადოებაში, შესაძლებელია ხმარებული ყოფილიყო, ერთი მხრით, მიწის გარკვეულ ნაკვეთის, რომელიც გლეხურ მეურნეობის საფუძველს შეადგენდა (—მერმინდელ „ფუძეს“), აღსანიშნავად, ხოლო, მეორე მხრით, თვით ფეოდალურ საზოგადოების ძირითად ერთეულის, სენიორიის, მენორის, — რომელიც აგრეთვე თავისებურ ხასიათის ეკონომიკურ ერთობას წარმოადგენდა,—აღსანიშნავადაც. თავისთავად ცხადია, რომ ყოველივე ამასთან ერთად, პირველყოფილი „სახლი“ პრიმიტიულ კომუნიზმის პრინციპსაც ემყარებოდა.

ამრიგად, თავდაპირველად ქართული „სახლი“ წარმოადგენდა მიწაზე მჯდომს მატრიარქალურ კომუნას, რომელიც, თავის ზრდის გარკვეულ საფეხურამდე, ერთს ჭერ ქვეშაც ცხოვრობდა.

ზემოთ აღწერილი ხანის სამეურნეო პროცესების ენობრივი ნაკვალევია, როგორც ჩანს, ტერმინი „მარგლვა“, რაც დღეს „თოხნას“ ნიშნავს, დას. საქართველოში—პირველ თოხს. ეს ზმნა ნაწარმოებია სიტყვისგან „მარგილი“, რაც თავის მხრივ, „წვერწათლილ ხეს“ ნიშნავს (სულხან-საბა, ლექსიკონი). წვერწაოილილი ხე, როგორც სამეშაო იარაღი, უპრიმიტიულესი საშუალებაა უძველესი ხანისა, და

ბისი გამოყენება სწორედ ბოსტნის კულტურაში იყო შესაძლებელი. იმავე საბას განმარტებით (იქვე), მარგლა „ბალახთ ამოგლეჯას“ ნიშნავს, „ნამარგლი“ კიდევ „მარგლით მოფხურილი შამბი“-აო. | ჩუბინაშვილის განმარტებითაც (იხ. მისი დიდი ქართული ლექსიკონი) მარგლა, მარგლვა „ბოსტანთა და ჯეჯილთა შუა ამოგლეჯაა ცუდი ბალახისა“. შემდეგში, როცა სიმინდის კულტურა ასე ფართოდ გავრცელდა ჩვენში, ტერმინმა თოხნის მნიშვნელობა მიიღო და, ამასთან ერთად, პირველი გათოხნისა სწორედ იმიტომ, რომ პირველი თოხი, ასე ვთქვათ, „შავი“ თოხია, რომელმაც ზედმეტი სიმინდი და ბალახ-ბულახი უნდა ამოიღოს. თვით „მარგილი“ შეიძლება „რგვასთან“ იყოს დაკავშირებული, მაგრამ ეს კავშირი ისე ნათელი არ არის. „მარგილ“—„მარგლვას“ დიდ სიძველეს მოწმობს აგრეთვე მეგრული პარალელი „ბერგი“—„ბარგუა“ (—თოხი და თოხნა), რაც, რა თქმა უნდა, იმავე ძირისაა. საინტერესოა „თოხის“ ეტიმოლოგიაც, რომელიც „თხრა“ ზმნასთან კავშირში იხსნება.

ეს პერიოდი მრავალი ათასეული წლითაა დაშორებული ჩვენი ხანისაგან. საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარება იწვევს იმას, რომ მატრიარქალური „სახლი“ ადგილს უთმობს პატრიარქალურს, სადაც უპირატესობა მამაკაცს ეკუთვნის და რომლის სათავეშიც „მამასახლისი“ დგას. „სახლისკაცობას“ (გვარიშვილობას) ახლა უკვე მამის ხაზით ანგარიშობენ. მეურნეობრივად ქართველ ტომთათვის ეს ცვლილება, როგორც ჩანს, დაკავშირებული იყო მიწისმოქმედების შემდგომ განვითარებასა (მებოსტნეობის ინტენსიფიკაცია და შებაღეობის გაჩენა) და შინაურ საქონლის მომშენებლობასთან მეტნაკლები სიძლიერით (რასაც ქართველურ ენების შედარებითი მასალა გვაფიქრებინებს). სათანადოდ ვითარდება და რთულდება ტომური ცხოვრებაც. „სახლთა“ კავშირი შეადგენს „ნათესავს“ (ტომს). „ნათესავის“ ყველა სახლისშვილები შეადგენენ კრებულს, რომელსაც ეწოდება „ერი“. „ერი“ უაღრესად შესანიშნავი ძველი ქართული ტერმინია, რომელიც ერთსადაიმავე დროს აღნიშნავს როგორც „ხალხს“, ისე „ჯარსაც“. ეს იმიტომ, რომ გვაროვნული საზოგადოება ამ საფეხურზე წარმოადგენს „სამხედრო (მილიტარულ) დემოკრატიას“: ხალხი და ჯარი აქ ერთმანეთისაგან განუყრელნი არიან. ყოველი „ერის კაცი“, ყოველი „სახლის შვილი“, იმავე დროს ჰეომარია, „ერისკაცი“ „ჯარისკაცსაც“ ნიშნავს. ყველა „ერისკაცი“ (ანუ „ერისგანი“), ყველა „სახლისშვილი“, თანასწორუფლებიანი წევრია

საზოგადოებისა. ეს უფლებები, სხვათაშორის, გვაროვნულ დემოკრატიის უზენაეს ორგანოების წევრობაში გამოიხატება. ასეთ ორგანოებს წარმოადგენს სახლი-გვარისა და ნათესავ-ტომის სახლისშვილთა ყრილობა, რომელსაც გარკვეულ ხანაში „ერისკრება“ ეწოდება, როგორც მერმინდელ მასალებიდან არის საგულისხმებელი. ამ „ერის|კრების“ საშუალებით ახორციელებს თავის ნებას გვაროვნული საზოგადოება ანუ „ყოველი ერი“. „ყოველი ერი“ ანუ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, „მთელი ხალხი“, არის უზენაესი ბატონ-პატრონი. ვინც ამ „ნათესავს“, ამ „თესლს“ (ე. ი., ამ მოდგმას) არ ეკუთვნის, ის „უცხო თესლი“-ა და, მაშასადამე, აქ, არა თავის გვაროვნულ საზოგადოების წიაღში, სათანადო უფლებებს მოკლებულია.

რაკი ამ მომენტში მაინც, „ერი“ აღნიშნავდა, საფიქრებელია, გვაროვნულ საზოგადოების მაძრობით ნაწილს უპირატესად, აქედან, pars pro toto, „ერი“ შეიძლებოდა გვარის ცალკეულ ვაჟ-წევრის მნიშვნელობამდის დავიწროებულიყო. ამ ნიადაგზე ჩნდება სომხური *ազգ*.

ასეთი მნიშვნელობით ტერმინი ქართულშიც გვხვდება. ლ. მროველის მტკიცებით, აზონმა „ამცნო სპათა მისთა: „ყოველმან ქართველმან ერმან, რომელმან პოვოს საჴურველი, მოკალით იგი“. და ჰყოფდეს ესრეთ რომნი ქართველთა ზედა: ვინცა ვინ გამოჩნდის ქართველთაგანი ქმნულ(დედანში ქმნა)-კეთილი და ჰასაკოვანი (←ასაკი), მოკლიან“-ო (მარ., 16). ტერმინის სემანტიკურ ფუნქციის მრავალფეროვანება კარგად ჩანს ნინოს ცხოვრების თხრობაში მირიან მეფის შემთხვეულ „სასწაულისა“ და მისი შედეგების შესახებ: „[მზის დაბნელებისას] განიბნივნეს ურვისა მისგან და ჴირისა ურთიერთარს ყოველნი ერნი მისნი (ეს ხდება ნადირობის დროს!) და დარჩა მეფე მარტოჲ... ვითარცა იხილეს ნათელი ერმან მისმან, მყოვარ ჟამ შეიერთნეს და მეფე... ეტყოდა ყოველსა მას ერსა მისსა, ვითარმედ — „მიეცით დიდება... ღმერთსა ნინოსსა ყოველმან ერმან“... (ბრუნდებიან მცხეთაში!) „ნანა დედოფალი და ყოველი ქალაქი განვიდეს მიგებებად მეფისა... (მეფე ეძებს ნინოს და როცა გაიგებს მისს ადგილმყოფობას) მოდრკა მეფე და ყოველი ლაშქარი და გარდამოიჭრა ჰონისაგან თჳსისა... იყო გრგჳნვაჲ და ტირილი ყოვლისა მის ერისაჲ... მას ჟამსა შინა წარემართა მეფე და ყოველი ერი ქართლისა“ (Опис. II, 772-5). აქ „ერი“ ხან მეფის მხლებელ

მეომარს, მხედარს, გულისხმობს, ხან ამ მხედართა კრებულს (და უკანასკნელ შემთხვევაში მისი სინონიმია სპარს. „ლაშქარი"), ხან „ყოველ ქალაქს", ე. ი. ქალაქის მკვიდრ მოსახლეობას (მკვიდრი—უფლებამოსილი, ძირეული, ავტოხტონი გვარიშვილი), დასასრულ კიდევ—მთელი ქვეყნის მოსახლეობასაც!

ეს პატრიარქალური პერიოდიც დიდი მანძილითაა დაშორებული ჩვენი ხანისაგან. საზოგადოებრივი დიფერენციაცია იწყება ქართველ ტომებში ძალიან ადრე და ძალიან ადრევე ისინი აღწევენ კულტურული განვითარების მაღალ საფეხურს, ეს ხანა, რომელიც ქართველ ტომებს წინაზიის სამხრეთ რაიონებში—შუამდინარეთში, მცირე აზიაში, ვან-არარატის მხარეში მობინადრეებად გულისხმობს, ჩვენ მიერ სპეციალურ ნარკვევში იქნება განხილული.

§ 2 საძართველოს ვითარება სტრაბონის ცნობების მიხედვით

ზემონათქვამს, ენობრივ ანალიზის გარდა, ადასტურებენ ისტორიული და ეთნოგრაფიული ფაქტებიც.

„გვაროვნული წყობილების ნაშთებმა ქართველ ტომებში XX საუკუნემდისაც მოაღწიეს... მთელი ეს ეთნოგრაფიული მასალა იმდენად მდიდარია, მრავალფეროვანი და, ამასთან, ერთიანიც, მთლიანი, რომ მარტო მის ნიადაგზე მდგომთაც ჩვენ უფლება გვექნებოდა დაგვესკვნა, რომ ქართველ ტომებს, ყველას, უკლებლივ, განუვლიათ გვაროვნული წყობილება და უმაღლეს ფორმამდე განუვითარებიათ იგი. მაგრამ ეთნოგრაფიასთან ერთად, ჩვენ ისტორიაც გვაძლევს სათანადო ჩვენებებს, და ეს გარემოება ჩვენთვის კიდევ უფრო საყურადღებოა: ისტორიულ, ლიტერატურულ, მოწმობათა შემწეობით შესაძლებელი ხდება ქართული გვარის განვითარების ზოგიერთი საფეხურის გათვალისწინება მაინც" [1]. „ამავე საზოგადოებრივ ფორმაციისაკენ (ე. ი. პირველყოფილ კომუნიზმისაკენ) მივყევართ უცხოურ ცნობებსაც, რომელთაგანაც ყველაზე ძველი (თუ გაბმულს წერილობით ცნობებს ვიგულისხმებთ) ბერძენთა ცნობილ მწერლის, **სტრაბონის**, „გეოგრაფიაშია" დაცული". სტრაბონის ცნობა სვანების შესახებ „ნიშანდობლივია და უეჭველად **მოქმედ გვაროვნულ საზოგადოებას ახასიათებს**". რა ფაქტებზეა და-

[1] ს. ჯანაშია, გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში, ტფ. 1932, გვ. 23—24.

ყრდნობილი ეს დასკვნა? მეურნეობის, მმართველობის ორგანიზაციის („ტომს მოეპოება ის ორგანო, რომლითაც ხალხი თავის სუვერენულ უფლებებს ახორციელებს—სატომო საბჭო"), შეიარაღების (ხალხი—ჯარი!) სპეციფიკურ ხასიათზე. სტრაბონის „ცნობა (სვანთა) „მეფის" შესახებ ამ დასკვნას ვერ დაარღვევს... "შეუძლებელი არ არის, რომ იმდროინდელს გარე"ში დამკვირვებელს ძლიერ ტომის მეთაურის ხელისუფლების განსაზღვრისას სიზუსტე ვერ დაეცვა" (იქვე, გვ. 27—28). მაშასადამე, ჩვენი აზრით, სტრაბონის ცნობების თანახმად სვანები გვაროვნულ წყობილებაში იმყოფებიან. ასეთივე წყობილება ჰქონდათ სხვა ქართველ მთიელ ტომებსაც, რომელნიც იმავე ზონაში ცხოვრობდნენ.

„ბარის ქართველ ტომებს-კი სტრაბონისეული იმავე ხანის ცნობები სულ სხვანაირად გვისურათებენ... უკვე იმ დროს მთის ვანვითარება რამდენადმე ჩამორჩებოდა ბარისას"... (იქვე, გვ. 29). ბარის ვითარების განხილვა, სტრაბონის ცნობების საფუძველზე, მოცემულია იმავე „ისტორიის" მეორე ნაკვეთში (ტფ. 1932 წ.).

აქ ჩვენ აღვნიშნავთ შემდეგ ფაქტებს: არსებობა განვითარებული შრომის საზოგადოებრივი განაწილებისა, ამ ნიადაგზე აღმოცენება ადგილობრივი ქალაქებისა (სტრაბონის ცნობა: იბერია არის „მდიდარი ქვეყანა, რომელსაც შეუძლია ფრიად ხშირი მოსახლეობა დაიტიოს, და მართლაც, იბერია მშვენივრად არის დასახლებული, უმეტეს წილად, ქალაქებად და დაბებად, ისე, რომ აქ კაცს ხვდება კრამიტის სახურავები და ხუროთმოძღვრების წესების თანახმად აგებული სახლები, ბაზრები და სხვა საზოგადოებრივი შენობები", იქვე, გვ. 27); მოსახლეობის სიმჭიდროვე განვითარებულ ტრანსპორტის (ნაოსნობა მტკვარზე, ალაზანზე, ყვირილაზე შორაპნის ქვემოთ, რიონზე, ას-ოცი ხიდი მდ. ფაზისის იმ ნაწილზე, სადაც ნაოსნობა შეუძლებელი იყო, ადგილობრივ და საერთაშორისო ვაზების ფართო ქსელი) პირობებში, რაც ხელს უწყობს შრომის საზოგადოებრივი განაწილების გაღრმავებას, საკმაოდ ფართო (იმ დროისათვის) ფულადი ურთიერთობა ბევრად ადრე სტრაბონის ხანამდე, ადგილობრივი ფული—მონეტა; კერძო საკუთრების არსებობა, კერძოდ, სპეციფიკურ ფორმის კერძო საკუთრების არსებობა მიწაზე; სოციალურ სფეროში—საზოგადოების განაწილება ოთხ „გენედ", რომელთაგანაც პირველი—სამეფო დინასტიაა, დანარჩენი სამი წოდება, წინაფეოდალური ხასიათისა; ხელისუფლების სფეროში—

ტომური ორგანიზაციების არ არსებობა, სამაგიეროდ არსებობა მემკვიდრეობითი სამეფო ხელისუფლებისა, რომელიც ქვეყნის ბატონპატრონია და რომელიც საკუთარს, ხალხისაგან გამოყოფილს, რაზმებს ეყრდნობა.

რაზ წარმოადგენენ სტრაბონის დასახელებული გენეები? ამ საკითხისათვის ჩვენ სპეციალური ნარკვევი გვაქვს მიძღვნილი[1]. აქ მოკლედ უნდა განვმარტოთ ჩვენი შეხედულება, ადრევე გამოთქმული, და ზოგიერთი ახალი მოსაზრებაც წარმოვადგინოთ.

პირველი „გენე", როგორც უკვე ვთქვით, სამეფო დინასტიაა, ე. ი., სამეფო საგვარეულო. მაშასადამე, ამ საგვარეულოს მეთაური, ჩვენი აზრით, მეფეა, ქართლის მეფე. სტრაბონი მას „ბაზილევსს" უწოდებს. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, იბადება საკითხი, რა მნიშვნელობა აქვს სტრაბონის დროს და თვით სტრაბონის ტექსტში ამ ტერმინს.

ბერძნული ტერმინის „ბაზილევსის" მნიშვნელობას ეხება ფრ. ენგელსი თავის საყოველთაოდ ცნობილ თხზულებაში: „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა"[2], იმ ადგილას, სადაც ენგელსი აგვიწერს უძველესი, ე. წ. გმირული ხანის ბერძნებს, ჰომიროსის პოემებში მოცემულ ბერძენ ტომთა სურათს.

„ამ ტომებისა და ხალხების წესწყობილება 'შემდეგნაირი იყო", ამბობს ენგელსი (იქვე, გვ. 121) და ჩამოსთვლის სათანადო დაწესებულებებს: პირველი—საბჭო, მეორე—სახალხო კრება, მესამე მხედართმთავარი (basileus). ამ ბაზილევსის შესახებ აქ ენგელსი იქლევა შემდეგ განმარტებას: „მარქსი შენიშნავს:" ევროპიელი მეცნიერები, რომელნიც უმეტეს ნაწილად მეფეების მსახურებად არიან დაბადებულნი, ბაზილევსისაგან თანამედროვე მონარქს ჰგმნიან. ამ შეცდომის წინააღმდეგ იანკი-რესპუბლიკელი მორგანი ილაშქრებს. იგი ირონიულად, მაგრამ სწორად ლაპარაკობს მირონის მწრთოლვარე გლადსტონსა და მის „Juventus Mundi"-ზე: ბატონი გლადსტონი გმირული ეპოქის ბერძენ სარდლებს მე-

[1] იხ. დასახელებული „საქართველოს ისტორიის" მეორე ნაკვეთი, რომლის განვრცობილი და გადამუშავებული გამოცემა ახლო მომავალში უნდა გამოქვეყნდეს.

[2] ქართ. გამოცემა 1932 წ., ტფ., გვ. 120 შემდ., ჩვენ ვსარგებლობდით აგრეთვე გერმანულ დედნითა და რუსულ თარგმანით.

ფ ე ე ბ ა დ დ ა მ თ ა ვ რ ე ბ ა დ გ ვ ი ს ა ხ ა ვ ს, მხოლოდ ამის გარდა ისინი ჯენტლმენებიც იყვნენო“ (ხაზი ჩვენია. ს. ჯ. იქვე, გვ. 122). მაშასადამე, აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ არ შეიძლება „გ მ ი რ უ ლ ი ე პ ო ქ ი ს“ ბაზილევსის გაგება მეფედ. რომელია ეს „გმირული ეპოქა“? ეს არის მე-13—11 სს. ძვ. წ. ასახული, გარკვეული გადამუშავებით, „ილიადასა“ და „ოდისეაში“, რომელნიც თავის მხრივ მე-10—9 სს. ეკუთვნიან. ენგელსიც ადასტურებს, რომ აქ მხოლოდ აღნიშნულ ხანაზეა ლაპარაკი:... „ბაზილევსის გერმანულ კოენიგად (მეფედ) გადმოთარგმნა ეტიმოლოგიურად სრულიად მართებულია იმიტომ, რომ კოენიგი (ანუ Kuning) Kuni-სა Künne-საგან წარმოდგება და გვარის უფროსს, მამასახლისს ნიშნავს. მაგრამ ს ი ტ ყ ვ ა კ ო ე ნ ი გ ი ს დ ღ ე ვ ა ნ დ ე ლ ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ს ძ ვ ე ლ ი ბ ე რ ძ ნ უ ლ ი ბ ა ზ ი ლ ე ვ ს ი სრულიადაც არ შეესაბამება. თუკიდიდე ძველ Basileia-ს პირდაპირ patrikê-ს უწოდებს, ე. ი. გვარის მიერ წარმოშობილს, და ამბობს, მას მტკიცედ გარკვეული, მაშასადამე, შეზღუდული უფლებები ჰქონდაო. ხოლო არისტოტელე ამბობს, გ მ ი რ უ ლ ი პ ე რ ი ო დ ი ს Basileia თავისუფალი ადამიანების მეთაურობას წარმოადგენდა, ბაზილევსი კი მთავარსარდალს, მსაჯულს და მღვდელმთავარსო; მაშასადამე, მას არ ჰქონია ხელისუფლება შემდეგ დამყარებული გაგებით. ზემონათქვამიდან ჩანს, რომ გ მ ი რ უ ლ ი პ ე რ ი ო დ ი ს ბ ე რ ძ ნ ე ბ ი ს წ ე ს წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა შ ი ძველ გვაროვნულ ორგანიზაციას ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა სიცოცხლის ძალა, მაგრამ მისი დაქვეითება უკვე დაწყებული იყო“... (გვ. 124—125, ხაზი ყველგან ჩვენია. ს. ჯ.). მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, ა ქ ყ ვ ე ლ გ ა ნ ლ ა პ ა რ ა კ ი ა გ ბ ი რ უ ლ ი პ ე რ ი ო დ ი ს ბ ა ზ ი ლ ე ვ ს ი ს შ ე ს ა ხ ე ბ, რ ო მ ე ლ ი ც ს ტ რ ა ბ ო ნ ი ს ე პ ო ქ ა ს დ ა შ ო რ ე ბ უ ლ ი ა თ ო რ მ ე ტ ი ს ა უ კ უ ნ ი თ. შემდეგში „ბაზილევსმა“ იცვალა მნიშვნელობა და ბერძნულ ენაში იგი იქცა ერთადერთ სიტყვად „მეფის“ ცნების გამოსახატავად. როდის მოხდა ეს ამბავი? ძალიან ადრე. უკვე ენგელსის ზემოთ მოყვანილ ციტატიდან ჩანს, რომ თუკიდიდე და არისტოტელე ასხვავებდენ „ძველსა“ და „გმირული პერიოდის“ ბაზილევსსა და ბასილეას თავის დროის ასეთივე დაწესებულებებისაგან. ჰეროდოტე (მე-5 ს. ძვ. წ.) ბაზილევსს ეძახის ეგვიპტის ფარაონს (I, 105) ცნობილ დარიოსს, ირანის აქემენიდ მბრძანებელს (IV, 97). მეორე ცნობილი ბერძენი

მწერალი, ქსენოფონტე (V ს. დამლევი—IV ს. დამდეგი ძვ. წ.) ბაზილევსს ეძახის აგრეთვე იმავე აქემენიდ მეფეებს, რომელნიც სატრაპების საშუალებით ჰმართავენ თავიანთს უზარმაზარ იმპერიას (IV, 4, 4; 5, 10 და სხვა). სტრაბონის თანამედროვე ეგვიპტის ცნობილ დედოფლის კლეოპატრას ფულზე, რომელიც, სხვათაშორის, ქ. გორთან არის ნაპოვნი, წარწერილია „ბ ა ს ი ლ ი ს ა კ ლ ე ო პ[ატრა]“ [1]. თვით სტრაბონი სომხეთის შესახებ ამბობს: „არმენია, რომელსაც თავდაპირველად ვრცელი ფარგლები არ ჰქონდა, გადიდებულ იქნა არტაქსიასა და ზარიადრის მიერ, რომელნიც ჯერ ანტიოქოს დიდის სარდლები („სტრატეგები“) იყვნენ, ხოლო მერმე, მისი (ანტიოქოსის, ს. ჯ.) დამარცხების შემდეგ (190 წ. ძვ. წ.), მეფეები („ბაზილევსი“) გახდნენ“, ერთი—სომხეთის ერთ ნაწილში, მეორე—სომხეთის მეორე ნაწილში, მეზობელ ხალხებს დიდი ტერიტორია წაართვეს და თავისი სამფლობელო გაადიდესო (XI, 14, 5). ცხადია, სტრაბონის ბაზილევსი მეფედ უნდა ითარგმნოს.

მაგრამ სწორი თარგმანი ჯერ კიდევ არ სწყვეტს საკითხს საბოლოოდ. არა ნაკლებ სავალდებულო და უფრო მეტად საჭირო არის ცნობის სწორი ინტერპრეტაცია, განმარტება. ეს უკანასკნელი სავალდებულოა ხომ იმისათვისაც, ვისაც თარგმანი სრულიად არ სჭირდება და ვინც დედნის ფარგლებში რჩება. ჩვენ თითონ სტრაბონის ცნობაში სვანების შესახებ ბაზილევსი მეფედ გადმოვსთარგმნეთ, მაგრამ ტომის მეთაურად განვმარტეთ, რადგანაც ვიგულისხმეთ, რომ უცხო დამკვირვებელმა ადგილობრივი დაწესებულების ნამდვილი ბუნება ვერ გაიგო. იქნებ ასეთსავე გაუგებრობასთან გვაქვს საქმე ცნობაში ქართლის (იბერიის) შესახებაც? აი, რას ამბობს სტრაბონი ამის შესახებ: იბერიის მოსახლეობის პირველი გენეარის ის, „რომლისგანაც აყენებენ („კათისტასი“) მეფეებს („ბაზილევსებს“), ნათესაობისა და წლოვანობით უხუცესობის მიხედვით. მეორე (პირი მეფის შემდეგ, რომელიც ტახტის მემკვიდრეა და რომელიც „ბაზილევსი“ გახდება მეფის სიკვდილის შემდეგ, ს. ჯ.) მოსამართლეობს და სარდლობს („სტრატელატეი“). მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, ს ა რ დ ლ ა დ ი ბ ე რ ი ა ‘შ ი (ქ ა რ თ ლ შ ი), ს ტ რ ა ბ ო ნ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ, ტ ა ხ ტ ი ს მ ე მ კ ვ ი დ რ ე ი თ ვ ლ ე ბ ო დ ა დ ა ა რ ა მ ე ფ ე-ბ ა ზ ი ლ ე ვ ს ი! იქნებ ბაზილევსი მამასახლისი იყო?

[1] Пахомов, Монетные клады Азербайджана, стр. 39—40.

არც ეგ არის სწორი: როცა ირანელებმა ქართლში მეფობა მოსპეს და ქვეყნის მმართველად მარზპანი დანიშნეს, მათ ხელუხლებლად დასტოვეს „ქართლის მამასახლისის“ თანამდებობა. „ქართლის მეფე“ და „ქართლის მამასახლისი“ სრულიად სხვადასხვა მოვლენებია. ამრიგად, სტრაბონისეული იბერიის ბაზილევსი არა მარტო ეტიმოლოგიურად ქართულ „მეფეს“ უდრის.

ძოცემული გადაწყვეტა საკითხისა ქართლის მეთაურის ხელისუფლების შესახებ თავისთავად სწყვეტს საკითხს აგრეთვე თვით მმართველობის ორგანიზაციის ბუნების შესახებ. ჩვენი აზრით, იმ ხანის ქართლში, გარკვეული კლასობრივი ურთიერთობის პირობებში, უკვე არსებობს სახელმწიფო (იხ. ნაკვ. II).

სტრაბონის აღწერილობაში მოცემულ იბერიის მმართველობის დაწესებულებათა ბუნების განმარტებისათვის ძალიან დაგვეხმარება მათი შედარება გმირული ხანისავე ბერძენთა სათანადო დაწესებულებებთან. აქაც ჩვენ ენგელსს უნდა მივმართოთ.

სათანადო თავის დასაწყისშივე („ბერძნული გვარი“) ენგელსი ამბობს რომ „ი მ დ რ ო ს, რ ო ც ა ბ ე რ ძ ნ ე ბ ი ი ს ტ ო რ ი ა ში შ ე დ ი ა ნ, ი ს ი ნ ი ც ი ვ ი ლ ი ზ ა ც ი ი ს მ ი ჯ ნ ა ზ ე დ გ ა ხ ა ნ; მათსა და ამერიკელ ტომებს შორის, რომელთა შესახებ ზემოთ იყო საუბარი, თითქმის ორი დიდი განვითარების პერიოდი ძევს, რომლითაც გმირული დროის ბერძნები იროკეზებს წინ უსწრებენ“ (ხაზი ჩვენია. ს. ჯ. გვ. 115 და 88). იროკეზების წყობილება კი, მორგანის აზრით, არის „პირვანდელი გვარის კლასიკური ფორმა“ (იქვე, გერმ. დედ. 72), ხოლო ენგელსის დახასიათებით, ეს ამერიკული მაგალითი „გვაროვნული წყობილების აყვავებას“ წარმოგვიდგენს (ქართ, 113, შეად. გერმ.: „Die Gentilverfassung in ihrer Blüte, wie wir sie in Amerika sahen“)[1].

გმირული ხანის ბერძენთა წესწყობილების შესახებ-კი ენგელსი სწერს: „ზემონათქვამიდან ჩანს, რომ გმირული პერიოდის ბერძენების წესწყობილებაში ძველ გვაროვნულ ორგანიზაციას ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა სიცოცხლის ძალა, მაგრამ მისი დაქვეითება უკვე დაწყებული იყო: შემოღებული იყო მამის უფლება და ქონების გადაცემა შვილებზე“ და სხვა. ენგელსის აზრი ცხადია: რომ გმირული პერიოდის ბერძნების წესწყობილებაში გვაროვნულ

[1] ვსარგებლობ ძოსკოვის გერმანულ გამოცემას 1934 წლისას.

ორგანიზაციას ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა სიცოცხლის ძალა, ეს „ზემონათქვამიდან ჩანს“ (გერმან. დედანში: „wir sehen also“, რუს. თარგმანში—„итак, мы видим“), ეს ენგელსს ზევით აქვს განმარტებული, ხოლო რომ მისი დაქვეითება უკვე დაწყებული იყო, ეს ქვემოთ არის განმარტებული. ამაზე მიუთითებს ორი წერტილი, რომელიც არის გერმანულ დედანშიაც (გვ. 97) და რუსულ თარგმანშიაც (პარტგამომცემლობის გამოც. 1933 წლისა, გვ. 132). დაქვეითების ნიშნების ჩამოთვლის შემდეგ, ფრაზას—„ძველ გვაროვნულ წესწყობილებას ბოროტად იყენებდნენ, რათა სიმდიდრის მოტაცება გაემართლებინათ“, უშუალოდ მოსდევს: „ამ ეპოქას მხოლოდ ერთი რამ აკლდა: ისეთი დაწესებულება, რომელიც არა მარტო უზრუნველყოფდა კერძო პირების მიერ ახლად შეძენილ ქონებას გვაროვნული წესწყობილების კომუნისტური ტრადიციების წინააღმდეგ, რომელიც არა მარტო წინათ ათვალისწუნებული კერძო საკუთრების კურთხევას წარმოადგენდა და ამ კურთხევას ყოველი ადამიანური კოლექტივის უზენაეს მიზნად სახავდა, არამედ საკუთრების შეძენის ახალ ფორმებს, მაშასადამე, სიმდიდრის გაძლიერებულ დაგროვებას საყოველთაო საზოგადოებრივი აღიარების ბეჭედს აჭდობდა; ეს ისეთი დაწესებულება უნდა ყოფილიყო, რომელიც ამუდმივებდა არა მარტო საზოგადოების ახლად დაწყებულ დაყოფას კლასებად, არამედ შეძლებული კლასების უფლებასაც ებატონა შეუძლებელ კლასებზე და მათი ექსპლოატაცია მოეხდინა. და ეს დაწესებულებაც გაჩნდა, გამოგონებულ იქნა სახელმწიფო“ (იქვე, ქართ. 125-6, გერმ. / 97, რუს. 132; ხაზი ჩვენია. ს. ჯ.). ენგელსის აზრი სრულიად მკაფიო და ნათელია: ზემოთ მოყვანილ ციტატაში გმირული ხანის ბერძენთა წესწყობილების შესახებ მის მიერ მოცემული ნიშნები ახასიათებენ არა გვაროვნულ საზოგადოებასა და წყობილებას, არამედ მათ შიგნით ძალუმი განვითარების გზაზე დამდგარს კლასობრივ დანაწილებასა და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას, რომელთა საბოლოო გაბატონებისათვის მხოლოდ ერთი ნაბიჯის გადადგმა-ღაა საჭირო.

მაშ რატომ-ღა ამბობს ენგელსი, რომ ამ პერიოდის ბერძნების წესწყობილებაში ძველ გვაროვნულ ორგანიზაციას ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა სიცოცხლის ძალა? ეს მას, მისივე სიტყვით, ზემოთა აქვს განმარტებული, წინამორბედ სამ გვერდზე.

ენგელსი ამბობს: „ამ ტომებისა და ხალხების (თუ ვინ არიან ესენი, ამის შესახებ ენგელსი იქვე ზემოთ ამბობს: „ჰომიროსის პოემებში ბერძენთა ტომები გვევლინებიან, როგორც გაერთიანებულნი პატარა ხალხებად, რომელშიც გვარები, ფრატრიები და ტომები მაინც სრულს დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ", იქვე, 120-121. ს. ჯ.) წესწყობილება შემდეგი იყო („die Verfassung dieser Stämme und Völkchen war nun wie folgt"; აქ გერმანულ დედანში და რუს. თარგმანში ორი წერტილი ზის და ის აუცილებელიცაა): 1) მუდმივ მოქმედ მთავრობას (die stehende Behörde) საბჭო, bulê, წარმოადგენდა, რომელიც თავდაპირველად გვარების უხუცესებისაგან შესდგებოდა, ხოლო შემდეგ, როცა მათი რიცხვი მეტად გაიზარდა, მათში არჩეული წარმომადგენლებისაგან; არჩევანის მოხდენა საბაბს იძლეოდა არისტოკრატიული ელემენტის შესაქმნელად და გასაძლიერებლად . . . . სახელმწიფოს დაარსების შემდეგ ეს საბჭო სენატად იქცა. 2) სახალხო კრება (agora) ... მას საბჭო იწვევდა მნიშვნელოვანი საქმეების გასარჩევად; ყოველ მამაკაცს "შეეძლო სიტყვა მოეთხოვა... იგი სუვერენული იყო საბოლოო ინსტანციაში, მიტომ რომ, შემანისა არ იყოს („Griechische Geschichte"), როცა საკითხი ისეთ საქმეს ეხებოდა, რომლის გასაკეთებლად ხალხის მონაწილეობა იყო საჭირო, როგორც ჰომიროსიდან ჩანს, ვერავითარი ღონისძიებებით ხალხს ვერ აიძულებდნენ თავისი სურვილის წინააღმდეგ წასულიყო". ეს გასაგებია: ამ ეპოქაში, როცა ყოველი მოშწიფებული მამაკაცი მეომრად ითვლებოდა, არ არსებობდა ხალხისგან გამოთიშული საჯარო ხელისუფლება, რომელიც შეიძლებოდა მას დაპირისპირებოდა. ბუნებრივად აღმოცენებული დემოკრატია | ჯერ კიდევ აყვავების ხანას განიცდიდა და მხოლოდ ამ თვალსაზრისით უნდა აიხსნას, როგორც საბჭოს, ისე ბაზილევსის ძალა და მდგომარეობა (ხაზი ჩვენია. ს. ჯ.). 3) მხედართმთავარი (basileus) ... (აქ ენგელსი იძლევა ზემოთ მოყვანილს მარქსის განმარტებას, რომ ეს ბაზილევსი უნდა გაგებულ იქნას, როგორც მხედართმთავარი და არა მერმინდელი მეფე. ს. ჯ.)...

თუ ბერძნებში მამის უფლების ბატონობის დროს ბაზილევსის თანამდებობა ჩვეულებრივ ვაჟსა ან ერთ-ერთ ვაჟზე გადადიოდა, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ვაჟებს მეტი შანსი ჰქონდათ მემკვიდრე გავხდებით ხალხის არჩევნების შემწეობითო და არა იმას, თითქო კანონიერი მემკვიდრეობის წესი არსებულიყოს ხალხის არჩევნების გარეშე. ეს ირიკეზებში და ბერძნებში განსაკუთრებულ წარჩინებულ ოჯახების პირველი წარმონაქმია (რუს. თარგმანში первый зародыш), ხოლო ბერძნებში აგრეთვე მომავალი მემკვიდრეობითი წინამძღოლობის თუ მონარქიის პირველი წარმონაქმი (первый зародыш; ეს წინადადება ჩვენ ხელახლა ვთარგმნეთ, რადგანაც ქართ. თარგმანი რამდენადმე დაშორებულია გერმან. დედანს; შეადრ. ეს უკანასკნელი „wahier vorliegt, ist bei den Irokesen und Griechen die erste Anlage zu besondern Adelsfamilien innerhalb der Gentes, und bei den Griechen noch dazu die erste Anlage einer künftigen erblichen Führerschaft oder Monarchie". ს. ჯ.). მაშასადამე, ჭკუასთა უფრო ახლოა, რომ ბერძნებში ბაზილევსი ან ხალხს უნდა აერჩია ან კიდევ მის ავტორიტეტიან ორგანოს—საბჭოს ან აგორას დაემტკიცებინა, როგორც ეს რომში ხდება „მეფის" (წინწკლებში ზის ეს სიტყვა დედანში და რუს. თარგმანში. ს. ჯ.) (Rex) დაყენების დროს. ილიადაში მამაკაცთა მბრძანებელი აგამემნონი გვევლინება არა ბერძენთა უზენაეს მეფედ, არამედ მოკავშირეთა ჯარის მთავარსარდლად ალყაშემორტყმული ქალაქის წინაშე... „ბერძნები ტროის გალავანთან მხოლოდ ჯარს წარმოადგენდნენ, მათი აგორაკი საკმაოდ დემოკრატიული დაწესებულება იყო. როცა აქილესი ძღვენზე, ე. ი. ნადავლის განაწილებაზე ლაპარაკობს, განმანაწილებლად არც აგამემნონს ასახელებს, არც სხვა რომელიმე ბაზილევსს, არამედ „აქაველების ვაჟებს", ე. ი. ხალხს... ერთის სიტყვით, basileia. რომელსაც ბერძენი მწერლები ჰომიროსის ე. წ. მონარქიისათვის (Königtum) იყენებენ (მიტომ რომ მის მთავარ თვისებას მთავარსარდლობა წარმოადგენს) და საბჭოსა და სახალხო კრების გვერდით სვამენ, მხოლოდ მილიტარულ

დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს“ (მარქსი). სამხედრო ხელისუფლებას გარდა ბაზილევსს მღვდელმთავრის და მსაჯულთ-უხუცესის მოვალეობაც ჰქონდა დაკისრებული... მოქალაქეობრივი, მძართველობითი, ხელისუფლების შესახებ არსად არაა ლაპარაკი... (აქ მოსდევს ზემომოყვანილი ციტატი რომ გმირული ხანის ძველი ბერძნ. ბაზილევსი თანამედროვე მეფე არ არის. ს. ჯ.). არისტოტელი ამბობს, გ მ ი რ უ ლ ი პ ე რ ი ო დ ი ს Basileia თ ა ვ ი-ს უ ფ ა ლ ი ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი ს მ ე თ ა უ რ ო ბ ა ს წ ა რ მ ო-ა დ გ ე ნ დ ა, ბ ა ზ ი ლ ე ვ ს ი კ ი მ თ ა ვ ა რ ს ა რ დ ა ლ ს, მ ს ა-ჯ უ ლ ს დ ა მ ღ ვ დ ე ლ მ თ ა ვ ა რ ს ო; მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, მ ა ს ა რ ჰ ქ ო ნ ი ა ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა შ ე მ დ ე გ დ ა მ ყ ა რ ე-ბ უ ლ ი გ ა გ ე ბ ი თ“ (ხაზი ყველგან ჩვენია. ს. ჯ. იხ. ენგელსი, დასახ. შრ., ქართ. 121-124; გერმ. 93-96, რუს. 128-131).

მაშასადამე, სრულიად ცხადია რომ გმირული ხანის ბერძნებში (XIII—XI სს. ძვ. წ.), მიუხედავად იმისა რომ ისინი ცივილიზაციის ზღურბლთან იდგნენ და კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის უკვე მზად იყვნენ, ენგელსი ჯერ კიდევ გვაროვნულ წყობილებას ხედავს ამ უკანასკნელის შემდეგი ძირითადი ნიშნების არსებობის გამო: 1) საბჭო, ბულე, როგორც მუდმივი მოქმედი მთავრობა, 2) სახალხო კრება, აგორა, როგორც სუვერენული ორგანო ბუნებრივად აღმოცენებული დემოკრატიისა, რომლის არსებობა იმითაა განსაზღვრული, რომ ყოველი მოწიფული მამაკაცი მეომარია და ხალხისაგან გამოთიშული საჯარო ხელისუფლება ჯერ კიდევ არ არსებობს, 3) „ბასილეია“, მთავარსარდლობა, შეერთებული ქურუმობასა და მსაჯულობასთან. იგი თავისუფალი ადამიანების მეთაურობაა. ბაზილევსის მთავარი თვისება მთავარსარდლობაა. ის გარემოება რომ ბაზილევსის თანამდებობა უკვე ერთგვარს გაურკვეველ მემკვიდრეობის წესზეა დამყარებული, წარმოადგენს მემკვიდრეობითი წინამძღოლობისა თუ მონარქიის ჩანასახს. ეს ბაზილევსი ხალხისაგან უნდა იყოს არჩეული და ან მისი უზენაესი ორგანოების—საბჭოს ან სახალხო კრების—მიერ დამტკიცებული. ბაზილევსის ხელისუფლება ბულესა და აგორას მიერ არის განსაზღვრული და შეზღუდული. ამ საკითხის შესახებ ამავე თავში ენგელსი ამბობს: ძველი ბერძ. გვარის ერთი დამახასიათებელი თვისება იყო „მამასახლისების არჩევისა და გადაყენების უფლება. ჩვენ ვიცით, რომ თითოეულ გვარს თავისი არხონტი ჰყავდა, მაგრამ

რომ ეს თანამდებობა მემკვიდრეობითი იყო განსაზღვრულ ოჯახებში, ეს არსად არ არის ნათქვამი. ბარბაროსობის დასასრულამდე ყოველთვის საგულისხმებელია არარსებობა მკაცრი მემკვიდრეობისა, რომელიც სრულიად შეუთავსებელია იმ მდგომარეობასთან, როცა მდიდრებსა და ღარიბებს გვარის შიგნით სავსებით თანასწორი უფლებები ჰქონდათ" (იქვე, გერმ. გამოც. 90).

„მხედართმთავარი, საბჭო, სახალხო კრება წარმოადგენენ ორგანოებს გვაროვნული საზოგადოებისა, რომელიც მილიტარული დემოკრატიისაკენ ვითარდება", იმეორებს ენგელსი თავის წიგნის განზოგადებულ თავშიაც (იქვე, 196).

მთავარი ამ წესწყობილებაში სწორედ ესბულე (საბჭო), აგორა (სახალხო კრება) და სამხედრო დემოკრატია. ჩვენ სწორედ ამ თვალსაზრისზე ვიდექით სტრაბონის ცნობების ანალიზის დროს. სტრაბონის მიერ დახატული სვანების წესწყობილება ჩვენ გვაროვნულ წყობილებად მივიჩნიეთ, უწინარეს ყოვლისა, იმის გამო რომ იქ საბჭო (სტრაბონი მას „სინედრიონს" ეძახის) და, საერთოდ, სამხედრო დემოკრატია აღმოვაჩინეთ. იბერიაში-კი (ქართლში) არავითარი ხსენება არ არის არც საბჭოსი, არც სახალხო კრებისა. რომ ამ დაწესებულებათა მოუხსენებლობა სტრაბონის ტექსტში შემთხვევითი გამორჩენის შედეგი არ არის, ეს ცხადი ხდება მისი პოზიტიური ცნობების ანალიზით: ამ დაწესებულებებს აქ საქმე და ფუნქცია აღარ რჩებათ. მართლაც და, ეს იბერია რომ სახელმწიფო კი არ იყოს, არამედ „მილიტარული დემოკრატია", მარქსისა და ენგელსის ტერმინოლოგიით, მაშინ „მეზობლებთან სადავო საქმეებს" უმცირესობა, ქურუმთა გენე, კი არ უნდა განაგებდეს, როგორც გვამცნობს სტრაბონი, არამედ საბჭო და სახალხო კრება, იმიტომ რომ სამხედრო დემოკრატიაში „ომი და ომის ორგანიზაცია რეგულარული ფუნქციები გახდენ" (ენგელსი, იქვე, ქართ. 196). სარდლობა და მართლმსაჯულება პირველს, ბაზილევსების, გენეს ეკუთვნოდა, იმავე სტრაბონის ცნობით. რაღა დარჩა? სამოქალაქო მმართველობის სფერო. მაგრამ უეჭველია, რომ სამოქალაქო მმართველობა იბერიის „ბაზილევსის" ხელშია.

მართლაც, ჩვენ ვნახეთ, რომ იბერიის „ბაზილევსი" მხედართმთავარი არ არის. სტრაბონის ცნობით, მხედართმთავრობა ეკუთვნის მეორე პირს ბაზილევსის შემდეგ, ბაზილევსებისავე გვარში.

ესევე პირია აგრეთვე მსაჯულიც. მაშ რაღა დარჩა ბაზილევსს, თუ იგი არც მხედართმთავარია, არც მთავარმსაჯული? გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ეს მეორე პირი „ბაზილევსობის" მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, რადგანაც, სტრაბონის ცნობით, ბაზილევსად იყო ბაზილევსების გვარის ის წარმომადგენელი, რომელიც ყველაზე უხუცესი და ახლობელი ნათესავი იყო წინანდელი მეფისა. ბუნებრივია | რომ ასეთ პირს, ვიდრე მეფე ცოცხალია, „მეორე" პირი ეწოდოს. შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ მემკვიდრე ჰკარგავდა იმ უფლებებსაც კი, რომელიც მას მემკვიდრეობის დროს ჰქონდა, მაშინ, როცა იგი თითქოს წინაურდებოდა. უნდა ვიფიქროთ ამიტომ რომ სამოქალაქო მმართველობა ბაზილევსის, მეფის, ხელშია. დასაჯერებელია განა ისეთი მეფის არსებობა, რომელსაც არაფერი ეკითხება არც სარდლობის, არც მართლმსაჯულების, არც მეზობლებთან სადაო საქმეებისა და არც საშოქალაქო მმართველობის სფეროში?

მაგრამ ჩვენ ხომ სტრაბონის გარდა მრავალი სხვა წყაროების ჩვენებაც მოგვეპოვება იბერიის (ქართლის) მეფეების შესახებ პირველ საუკუნეში ძვ. წ. და ახ. წ. ამ ცნობებიდან ჩანს, რომ რომაელები იბერიის ბატონ-პატრონად სწორედ იბერიის ბაზილევსებს სთვლიდნენ და მასთან იჭერდნენ. უწინარეს ყოვლისა, საქმეს. ცხადი ხდება, რომ სტრაბონი აგვიწერს კონსტიტუციას, თეორიულ ნორმას, რომელთან შედარებითაც სინამდვილე გაცილებით უფრო შორს იყო წასული და ქართლის მეფე თავის ხელს მმართველობის ყველა დანარჩენ სფეროშიაც ურევდა, მეტ-ნაკლები უფლებამოსილებით.

საყოველთაოდ ცნობილს „ანკვირიის ძეგლში", რომელიც იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტუსის ოფიციალური დოკუმენტია, მისივე ბრძანებით ამოჭრილი ქვაზე და დედნის სახით მოღწეული ჩვენს დრომდე, ნათქვამია (ძეგლი, ყოველ შემთხვევაში, 14 წელზე გვიანდელი არ არის ახ. წ.): „ჩვენს მეგობრობას თხოულობდნენ, ელჩების პირით, ბასტარნები, სკვითები, მდინარე ტანაისის გაღმა-გამოღმა მცხოვრები სარმატების მეფეები და აგრეთვე ალვანელების, იბერების და მიდების მეფეები" (SC II, 41). აქ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ბასტარნები და სკვითები უმეფოდ არიან მოხსენებულნი, მათ იმპერატორთან ურთიერთობა აქვთ როგორც ტომებს, სარმატებს, ალვანელებს, იბერებს და მიდებს-კი მეფეები (ლა-

თინურ ტექსტში — „რეგეს", ბერძნ. ტექსტში — „ბახილეის") ჰყავთ და ეს მეფეები უგზავნიან ელჩებს კეისარს. მეტად საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ იბერების (ქართველების) და სხვა კავკასიელ ტომთა მფლობელები რომაულს ოფიციალურ დოკუმენტში იმავე წოდებულობას ატარებენ (რეგს, ბაზილევს), რომელსაც ატარებს მიდების მფლობელიც. მიღებად აქ პართელები იგულისხმებიან. პართიის პოლიტიკური ორგანიზაციის შესახებ ხომ არავის შეუძლია უეჭვი შეიტანოს რომ ეს სახელმწიფო იყო და მისი მეთაური — მეფე. მსგავსი ფაქტების გამრავლება ადვილად შეიძლება, ნაწილობრივ ისინი უკვე აღნუსხულია ჩვენს დასახელებულ ნაშრომში.

ამ საკითხს აქვს სხვა მხარეც. იმავე ძველ ბერძნების შესახებ ენგელსი ამბობს: „ბერძნები, ისევე, როგორც პელასგები და სხვა მათი მონათესავე ხალხები უკვე პრეისტორიული ხანიდან იმავე ორგანული რიგის ძიხედვით იყვნენ დაწყობილი, როგორც ამერიკელები: გვარი, ფრატრია, ტომი, ტომების კავშირი" (იქვე, ქართ. 115). ცალკე ტომებს საკუთარი სარწმუნოებრივი დღესასწაულები ჰქონდათ, რომელსაც ტომის მამასახლისი (ფილობაზილევსი) ხელმძღვანელობდა (116). ტომური სტრუქტურა ძალიან მკაფიოდ ჩანს: ატიკაში, მაგ. ოთხი ტომი არსებობდა, თვითეულში სამ-სამი ფრატრია იყო, თვითეული ფრატრია თავის მხრით ოცდაათ გვარად იყოფოდა (120). ჰომიროსის ცნობების შესახებ კიდევ ენგელსი ამბობს: „ჰომიროსის პოემებში ბერძენთა ტომები გვევლინებიან, როგორც გაერთიანებულნი პატარა ხალხებად, რომელშიაც გ ვ ა რ ე ბ ი, ფ რ ა ტ რ ი ე ბ ი და ტ ო მ ე ბ ი მ ა ი ნ ც ს რ უ ლ ს დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ა ს ი ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ ე ნ" (იქვე, გვ. 120—121). ტომური ორგანიზაციის არსებობას ენგელსისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ასწერს რა ირიოკეზების გვარს, იგი ამბობს... „ეს ორგანიზაცია განწირული იყო. იგი ვერ გასცილდა ტომის ფარგლებს; ტ ო მ თ ა კ ა ვ შ ი რ ი მ ი ს ი დ ა მ ხ ო ბ ი ს დ ა ს ა წ ყ ი ს ს მ ო ა ს წ ა ვ ე ბ ს, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ და როგორც უკვე დავინახეთ ირიოკეზების ცდაში სხვა ტომები დაემორჩილებინათ" (იქვე, გვ. 113. ხაზი ჩემია. ს. ჯ.). როგორია ამ მხრივ მდგომარეობა იბერიაში?

ამ პუნქტში საკითხი იბერიის პოლიტიკური ორგანიზაციის შესახებ საბოლოოდ წყდება. ი ბ ე რ ი ა ში ტ ო მ უ რ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს უ კ ვ ე ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი კ ვ ა ლ ი წ ა შ ლ ი-

ლია, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი სხვადასხვა, ზოგჯერ სრულიად სხვადასხვა მოდგმის, ტომი ცხოვრობს. ეთნიკურად და ეთნოგრაფიულად ცალკე ტომები დღესაც განსხვავდებიან აღმ. საქართველოში (ფშაველები, ხევსურები, წოვა-თუშები და ჩაღმა-თუშები, მოხევეები, მთიულები, ქისტები, ოსები და მრავ. სხვ.). რა თქმა უნდა, სიჭრელე მაშინ ნაკლები არ იქნებოდა. თვით სტრაბონი ამბობს: იბერიის „ბარი დასახლებულია იმ იბერების მიერ, რომელნიც უფრო მიწისმოქმედებას მისდევენ, მშვიდობიან ცხოვრებისადმი არიან განწყობილნი და სომხურად და მიდურად ირთვებიან, ხოლო მთიანი ნაწილი უკავია მეომარ უმრავლესობას, ცხოვრების წესით მსგავსს სკვითებისა და სარმატებისას, რომელთაც ისინი კიდევაც ემეზობლებიან და კიდევაც ენათესავებიან"... (წ. მე-11, თავი მე-3, § 3). მაშასადამე, ბარელები და მთიელები | ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო მეურნეობით, ცხოვრების წესით, ზნით, მორთულობით, არამედ მოდგმითაც—მთიელები სკვითებისა და სარმატების მონათესავენი იყვნენ. გარდა ამისა, სტრაბონივე ამბობს, რომ მესხების ქვეყანა სამ ნაწილად იყოფა: ერთს ჰფლობენ კოლხები, მეორეს—იბერები, მესამეს—არმენიელები (იქვე, თ. 11, § 18). პროკოპი კესარიელიც, ცნობილი ბიზანტიელი მემატიანე, ექვსასი წლის შემდეგაც-კი, სავსებით ნიშანდობლივ ცნობას იძლევა მესხების შესახებ: ლაზიკის „გვერდით, სახელდობრ იბერიის გასწვრივ, ცხოვრობენ ძველითგანვე იბერთა ქვეშევრდომი („კატეკოოი") მესხები, რომელთაც მთებში აქვთ საბინადრო ადგილები"[1]. მაშასადამე, სრულიად ცხადია: თვით სტრაბონმა და მისმა წყაროებმა იციან, რომ იბერიაში (რომელიც, სტრაბონისავე ცნობით, მჭიდროდ დასახლებული ვრცელი ქვეყანაა შორაპნიდან ალაზნამდე და კავკასიის ქედიდან სომხეთამდე) სხვადასხვა ტომი ცხოვრობს, რომ ზოგი მათგანი ძალით არის დამორჩილებული იბერების მიერ. მიუხედავად ამისა, ერთი კრინტიც დაძრული არ არის ტომური ორგანიზაციების შესახებ, აშკარაა იმიტომ, რომ ცალკე ტომებს საკუთარი ორგანიზაცია სრულებით არ გააჩნდათ. თავისი თხზულების მე-11 წიგნის მესამე თავი სტრაბონს მთლიანად იბერიისათვის აქვს მიძღვნილი. აქ ეს ქვეყანა აღწერი-

[1] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II გვ. 97 (ხახი ჩვენია. ს. ჯ.)

ლია ტერიტორიის, ტოპოგრაფიის, მოსახლეობის, მეურნეობის, გზებისა და ტრანსპორტის, ეთნოგრაფიისა და კულტურის, სოციალურ-პოლიტიკური წყობისა და სხვა მხრივ, ერთი სიტყვით—ყოველ-მხრივ. უკანასკნელი ფრაზა ამ თავისა კი არის: „ასეთია იბერები და მათი ქვეყანა". სტრაბონმა ხომ იცოდა, რომ იბერიაში მარტო იბერები არ ცხოვრობენ, რომ აქ ცხოვრობენ სკვიოებისა და სარმატების მოდგმის მთიელები, მესხები და სხვანი, მაშ რა მნიშვნელობით შეიძლებოდა მას ეთქვა, რომ ეს სხვადასხვა ტომით დასახლებული ქვეყანა ი ბ ე რ ე ბ ი ს ქ ვ ე ყ ა ნ ა ა ო? ც ხ ა დ ი ა, მ ხ ო ლ ო დ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი თ! მეტიც შეიძლება ითქვას: ეს ტერიტორიული წყობა, რომელმაც შესცვალა ტომურ-გვაროვნული, უკვე იმდენად შორს არის წასული, რომ უკვე გაჩენილია ამ ტერიტორიალურ-პოლიტიკურ ერთეულის ტ ე რ ი ტ ო რ ი უ ლ ი სახელწოდება—„იბერია". ეს უაღრესად დამახასიათებელი ფაქტია. ჩვენ სხვა ადგილას უფრო დაწვრილებით ვუჩვენებთ, სწორედ კავკასიურ სინამდვილის კონკრეტულ მასალაზე, თუ როგორ წარმოებს ' ეს პროცესი. ტომური ორგანიზაციის დაცემა და მის ადგილას აღმოცენებულ სახელმწიფოებრიობის პირველი, დასაწყისი, პერიოდი ჯერ კიდევ იგუებს ძველ სახელწოდებას ძველი ფორმით. ე ს ა რ ი ს ტ ო მ უ რ ი ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ცხ ვ ი ს ფ ო რ მ ი თ. მაგრამ სახელმწიფოსა და მისი ტერიტორიული წყობის შემდგომი განმტკიცება უკვე აჩენს ა ხ ა ლ ი ფ ო რ მ ი ს ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა ს, რ ო მ ე ლ ი ც ე ხ ლ ა ტ ე რ ი ტ ო რ ი ა ს ა ღ ნ ი შ ნ ა ვ ს და ა რ ა ტ ო მ ს. საფუძვლად მასაც ტომის სახელი უძევს, მხოლოდ ეს ფუძე ეხლა გაფორმებულია ადგილსათავსის ფორმანტით.

მეორე „გენე" ქურუმების, „წარმართული" სარწმუნოების ტაძართა მსახურების, წოდებაა. კლასობრივად ისინი მონათმფლობელები არიან, წარმოების მონათმფლობელური წესის წარმომადგენელნი. სტრაბონის ცნობა რომ ეს ქურუმები განაგებენ მეზობლებთან სადაო საქმეებს, ისევე, როგორც ქვემოთ აღნიშნული ისტორიული ფაქტები, ჩვენ საფუძველს გვაძლევენ ეს ქურუმები იბერიის გაბატონებულ საზოგადოებრივ წრედ წარმოვიდგინოთ.

ზედმეტია სიტყვის განვრცობა იმის შესახებ, რომ ამგვარი სოციალური სტრუქტურა ფართოდაა გავრცელებული ძველს აღმოსავლეთში. სტრაბონიც თავის დროის შესახებ ამბობს, რომ აზიაში რო-

მაელებს „ეპორჩილებიან ზოგიერთი დინასტები, ერისთავები და ქურუმები, რომელნიც მამაპაპური კანონების მიხედვით ცხოვრობენ“ (წ. XVII, თ. III, § 24).

მესამე „გენე“, ჩვენი განძარტებით, თავისუფალ წვრილ მწარმოებელთა წოდებაა. მისი ადგილობრივი, ქართული, სახელწოდება, ჩვენი აზრით, „ერია“ (ხალხი—ჯარი), და არსებითადაც იგი იმ ძველი „ერის“ ნაშთია, რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. აქ საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ, კიდევ ერთხელ, სტრაბონის ცნობის ანალიზზე მეოთხე „გენეს“ შესახებ. სტრაბონი ამბობს შემდეგს: იბერიის (ქართლის) მოსახლეობის „მეოთხე (გენე არის) „ლაოების“ გენე, რომელნიც სამეფო მონები არიან და რომელნიც ასრულებენ ყოველგვარ სამსახურს, რაც საჭიროა ცხოვრებისათვის“ (ამ ფრაზის თარგმნა სიძნელეს წარმოადგენს. რუსულად მას ასე გადმოსცემენ: მიშჩენკო— „Это царские рабы, производящие все необходимое для жизни“, ხოლო აკადემიკოსი ლატიშევი: „Служит рабами у царей и доставляет все необходимое для жизни“. ს. ჯ.). მაშასადამე, იბერიის (ქართლის) უკანასკნელ გენეს საკუთარი სახელი ყოფილა „ლაოების გენე“. „ლაოს“ ბერძნულად ნიშნავს „მდაბიო ხალხს“ და ასე სთარგმნიან მას რუსულადაც: მიშჩენკო „прос|той народ“, აკად. ლატიშევი: „простонародье“. მაგრამ ამ ტერმინს ბერძნულად უფრო სპეციალური მნიშვნელობაც ჰქონდა: იგი აღნიშნავდა ისეთ მდაბიო ხალხს, რომელიც სხვის მიწაზე იჯდა, მას ამუშავებდა და პირად თავისუფლებასაც მეტ-ნაკლებად მოკლებული იყო. ბერძნ. „ლაოი“ უახლოვდებოდნენ რომაელ კოლონებს. განსაკუთრებით ბლომად იყვნენ ეს „ლაოი“ მცირე აზიაში, ე. ი., სწორედ სტრაბონის სამშობლოში, რაც ჩვენთვის მეტად საყურადღებოა. იქ ისინი, ესეც ძალიან საყურადღებოა, უპირატესად მეფეებს ჰყავთ და სამეფო მიწაზე სხედან. ცხადია, იბერიის აღწერილობაშიაც სწორედ ასეთი დამოკიდებული მოსახლეობაა. ცნობა რომ ისინი „სამეფო მონები“ არიან, ჩვენი კლასობრივი კლასიფიკაციისათვის სრულებით არაფერს არ ამბობს. „დულოს“ ბერძნულში ნიშნავს არა მარტო „მონას“, არამედ „მსახურსაც“, სტრაბონისავე ტექსტში ტაძრის მსახურნი „ჰიეროდულებად“ იწოდებიან. ფეოდალურ ხანაში „დულოს“ აღნიშნავდა „ვასალს“, ხოლო „დულეია“—ფეოდალურ „სამსახურს“, ვასალის სათანადო ვალდებულებას. თუნდაც სტრაბონიდან ამოღებულ ამონაწერში „დუ-

ლოს“ ჩვენ რომ „მონად“ გაგვეგო და ასევე გვეთარგმნა (როგორც მოვიქეცით ჩვენ, რომ სრული ობიექტურობა დაგვეცვა), მაინც უნდა დაგვესკვნა, რომ აქ მხოლოდ მათი იურიდიკული დამოკიდებულებაა გამოხატული, არა ზუსტად ტერმინოლოგიურად, და ასეთი უზუსტობა ძველი დროისთვის სრულებით არ არის გასაკვირველი. საქართველოში, მე-19 ს-შიაც ყმა-გლეხებს ზოგჯერ ჰყავდათ ნაყიდი მონები, რომელნიც „გლეხის გლეხად“ იწოდებოდნენ—ამ ტერმინოლოგიაში სრულიად წაშლილია განსხვავება ყმასა და მონას შორის, მაშინ როცა რეალურად ეს განსხვავება ძირითადი ხასიათისაა. ესეც არ იყოს, იმისთვის, ვინც იცნობს ანტიკურ სამყაროსა და მის შეხედულებებს, მისთვის აბსოლუტურად გამორიცხულია შესაძლებლობა რომ სტრაბონისა თუ მისი წყაროს მეოთხე გენეში ნამდვილი მონები იგულისხმება.

ასეთივე არაპირდაპირი მნიშვნელობით ჩვენ ხშირად ვუწოდებთ მონას როგორც ყმას, ისე პროლეტარსაც: „მონობა პირველი, ანტიკური მსოფლიოსათვის დამახასიათებელი ფორმაა ექსპლოატაციისა; მას საშუალო საუკუნეებში ბატონყმობა მოსდევს, ახალ ეპოქაში—დაქირავებული შრომა. ეს მონობის სამი დიდი ფორმაა; ისინი ახასიათებენ ცივილიზაციის სამ დიდ ეპოქას; მონობა მუდამ ცივილიზაციას მოჰყვება თან, ახდილი თუ ნიღაბჩამოფარებული სახით“ (ენგელსი, ოჯახი, 211; იხ. აგრეთვე „კაპიტალი“, I, 701). ამიტომ უეჭველია, რომ სტრაბონიც აქ „მონას“ არაპირდაპირი მნიშვნელობით ხმარობს.

ანტიკურ სამყაროში „მონათმფლობელები მონებს სთვლიდნენ თავის საკუთრებად, კანონი ამტკიცებდა ამ შეხედულებას და განიხილავდა მონებს, როგორც ნივთს, რომელიც მთლიანად იმყოფება მონათმფლობელის მფლობელობაში. ყმა-გლეხის მიმართ დარჩა კლასობრივი ჩაგვრა, დამოკიდებულება, მაგრამ მებატონე-მემამულე არ ითვლებოდა გლეხის, როგორც ნივთის, მფლობელად, არამედ მას ჰქონდა მხოლოდ უფლება მის შრომაზე და განსაზღვრული ვალდებულების შესრულების იძულებაზე. პრაქტიკაში, როგორც ყველამ იცით, ბატონყმობა, განსაკუთრებით რუსეთში, სადაც მან ყველაზე დიდხანს გასძლო და ტლანქი ფორმები მიიღო, არაფრით არ განსხვავდებოდა მონობისაგან“ (ლენინი, ლექცია სახელმწიფოს შესახებ). ლენინის მიერ აღნიშნული განსხვავება შეხედულებათა

მონასა და ყმაზე ძალიან დიდი იყო: „მონათმფლობელური ეპოქის სახელმწიფო იყო მონათმფლობელთა სახელმწიფო, სულ ერთია — იყო ეს მონარქია თუ რესპუბლიკა არისტოკრატიული თუ დემოკრატიული. ძველი დროის ისტორიის ყოველ კურსში, როცა თქვენ მოისმენთ ლექციას ამ საგნის შესახებ, თქვენ გაიგონებთ ბრძოლაზე, რომელიც მონარქიულ და რესპუბლიკურ სახელმწიფოთა შორის იყო, მაგრამ ძირითადი იყო ის, რომ მონები არ ითვლებოდნენ ადამიანებად: არამც თუ არ ითვლებოდნენ მოქალაქეებად, არამედ ადამიანებადაც არ ითვლებოდნენ. რომაული კანონი მათ განიხილავდა, როგორც ნივთს. კანონი მკვლელობის შესახებ, ადამიანის. პიროვნების დაცვის სხვა კანონთა შესახებ რომ არ ვილაპარაკოთ, არ განეკუთვნებოდა მონებს. იგი იცავდა მხოლოდ მონათმფლობელებს, რომელნიც, მხოლოდ და მხოლოდ, მიჩნეულნი იყვნენ სრულუფლებიან მოქალაქეებად. მაგრამ თუ არსებობდა მონარქია, ეს იყო მონათმფლობელთა მონარქია, თუ რესპუბლიკა, ეს იყო მონათმფლობელთა რესპუბლიკა, მათში ყველა უფლებით სარგებლობდნენ მონათმფლობელები, ხოლო მონები წარმოადგენდნენ ნივთს, კანონის მიხედვით, და მათ მიმართ არამც თუ შესაძლებელი იყო რანაირიც გინდა ძალმომრეობა, არამედ მონის მოკვლაც-კი არ ითვლებოდა ბოროტმოქმედებად"... (იქვე, ხაზი ყველგან ჩვენია). ამრიგად, ძველ სამყაროში მონები არამც თუ მოქალაქეებად არ ითვლებოდნენ, ისინი არ ითვლებოდნენ ადამიანებადაც-კი, ისინი მხოლოდ ნივთად (რომაული სამართლის ენაზე—„რეს") იყვნენ მიჩნეულნი. არისტოტელე ამბობს, რომ მონა მხოლოდ ცოცხალი იარაღია, სულდგმული საკუთრება, სატვირთავი პირუტყვი! რას წარმოადგენენ იბერიის „ლაოი"? ისინი ამ ქვეყნის მოსახლეობის ერთი ოთხ „გენეთაგანია": პირველი ბაზილევსების გენეა, მეორე—ქურუმებისა, მესამე—მეომართა და მიწათმოქმედთა, მეოთხე—ლაოებისა. თითქოს „ითვალისწინებდაო" მომავალ მკვლევართა საჭიროებას, სტრაბონი აქ განსაკუთრებით ზუსტია, იგი ამბობს: τέταρτον δὲ τὸ τῶν λαῶν,

აქ არტიკლი „ტო“, სამუალო სქესის გრამატიკული ნიშანი, სრულიად უეჭველად გულისხმობს სიტყვა „გენოს“-ს, რომელსაც ჩვენ „გენედ“ ვაქართულებთ და რომელიც სტრაბონის ფრაზაში, ბერძნული ენის ჩვეულებრივი წესის თანახმად, გამოტოვებულია, მაგრამ აუცილებლად იგულისხმება. ამას ადასტურებს მომდევნო სიტყვის, გრამატიკული მსაზღვრელის, ნათესაობითი ბრუნვის ფორმა. მაშასადამე, მთელი ფრაზა უნდა გადმოითარგმნოს: „ძეოთხე გენე არის გენე ლაოებისა“. მაგრამ რა არის „გენოს“ გენე? ეს სიტყვა ბერძნულად, უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს „გვარს“ (ლათინ. „გენუს“), შემდეგ — შთამომავლობას, ნაშიერს, ტომს, ხალხს (შეადრ. ძვ. ქართ. „ნათესავი“—ტომი), თაობას, რასას, ნათესაობას, სქესს, „პოლიტიკურსა და სამოქალაქო ცხოვრებაში—კლასს, რიცხვს“ (იხ. მაგ. პოსპიშილის ბერძნ.-რუს. ლექსიკონი), შემდეგ აგრეთვე—წარმოშობას. ორი ყველაზე უფრო ცნობილი რუსი მთარგმნელი სტრაბონისა, მიშჩენკო და აკადემიკოსი ლატიშევი, სტრაბონის ცნობაში იბერიის შესახებ გენოსს სთარგმნიან „კლასად“. ჩვენ ეს არ მიგვაჩნია სწორად, ისევე როგორც სწორად არ მიგვაჩნია აქ მისი გადმოთარგმნა „გვარად“ გვაროვნული ორგანიზაციის მნიშვნელობით (იბერია იყო ვრცელი ქვეყანა, მრავალ ქალაქად და სოფლად მჭიდროდ დასახლებული, რომელსაც შეეძლო 80000 კაცამდე მეომრის გამოყვანა, და მისი ოთხ გვარში მოთავსების ცდა სრული უაზრობაა). აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება ოთხი საზოგადოებრივი წრე, სტრაბონისა და მისი წყაროს თვალსაზრისით—უწინარეს ყოვლისა, განსხვავებული თავისი წარმოშობის მხრივ, ხოლო რეალ-ისტორიულად, განსხვავებული თავის სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობის მხრივაც. ჩვენი აზრით, პირველი გენე სამეფო დინასტიაა, დანარჩენი სამი თავისებური, წინაფეოდალური, წოდებები. ყოველ შემთხვევაში, აბსოლუტურად ცხადია რომ აქ ლაპარაკია ერთისა და იმავე საზოგადოების ოთხ სხვადასხვა განაყოფზე, წრეზე, რომელნიც რომელიღაც პუნქტში შეიძლება ერთ სიბრტყეზე იქნან განხილულნი, ოთხივე ერთნაირად გენეა. ეს|რა თქმა უნდა, მოქალაქეობრივი თვალსაზრისია. სტრაბონი ამ აღწერილობას ხომ ასე იწყებს: „ადამიანთა ოთხი „გვარი“ (გენე) სახლობს (ბინადრობს) ამ ქვეყანაში“. გამოთქმა „ხან-

ლობს“ („ოიკეი“) კიდევ უფრო მეტად ამტკიცებს ჩვენს მოსაზრებას — მეოთხე გენეც აქ, პირველი სამივით, ქვეყნის „მოსახლეთა“, „ბინადართა“, მკვიდრთა რიცხვშია ჩათვლილი. აბსოლუტურად შეუძლებელია, რომ მონათმფლობელურ საზოგადოების ღვიძლ შვილებს, როგორიც იყვნენ სტრაბონი თუ სხვა ბერძენი მწერლები, მონები მიეჩნიათ ასეთს ორგანულ სოციალურ წრედ. აქ დამახასიათებელია ცნობაც, რომ ეს „ლაოი“ ყოველგვარს, ცხოვრებისათვის საჭირო, სამსახურს ასრულებდნენ სამეფო დინასტიის სასარგებლოდ. რომელ ძველ მწერალს მოუვიდოდა თავში აზრი ეთქვა ასეთი რამ მონების შესახებ — სხვა რა დანიშნულება ჰქონდათ მონებს, თუ არ მხოლოდ სამსახური? ეხლა თუ „გენეს“ გავიგებთ, როგორც „გვარს“, გვაროვნული ორგანიზაციის მნიშვნელობით, ან ტომს, რაც თავისთავად აბსურდია, მაშინ ზემოაღნიშნულ უაზრობას კიდევ ახალი ემატება — მონები მიჩნეულ არიან ერთ მთლიან, მეტ-ნაკლებად დიდ მჭიდრო საზოგადოებრივ წრედ, რომლის წევრები ურთიერთშორის სისხლის ნათესაობით, საერთო წარმოშობით, არიან დაკავშირებულნი, შაშასადამე, აქ ქორწინება, ოჯახიანობა, ბუნებრივი გამრავლება თავისთავად საგულისხმებელი მოვლენაა. მოკლედ: გამოვა რომ მონები მონები არ არიან.

ამრიგად, გასაგები ხდება, რომ სტრაბონის ცნობაში ამ წრეს შემთხვევით არ ეწოდება „ლაოების“ გენე: ესენი მართლაც „ლაოი“, დამოკიდებული, ექსპლოატირებული, სოფლის „მდაბიო ხალხია“, და არა მონები.

ამ დასკვნას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთი საზოგადოებრივი წრის არსებობა სრული მიუცილებლობით ჩვენ გვაგულისხმებინებს მონობის და მონების წინაარსებობას და არ გამორიცხავს მონობისა და მონების თანარსებობასაც. ვინც ოდნავ მაინც იცნობს საქართველოს არქეოლოგიას, მისთვის ასეთ მტკიცებაში მოულოდნელი არაფერი იქნება — მონური შრომის გამოყენება აქ ბევრ რამეში უდაოდ ჩანს მრავალი საუკუნით ადრე სტრაბონის ეპოქამდე. მოიპოვება ჯაჭვით დაბმულ მონების ბრინჯაოსგან გაკეთებული ქანდაკებანიც-კი. მაგრამ ამას ეხლა თავი დავანებოთ. არა-

ვის შეუძლია | იმის უარყოფა რომ, სტრაბონის აღწერილობით, იბერიაში ქურუმებს ერთგვარი გაბატონებული მდგომარეობა აქვთ მოპოვებული. აქ დავა შეიძლება იყოს, და არის კიდევაც, მხოლოდ იმის შესახებ, თუ რა დონეს მიაღწია უკვე ამ ბატონობამ. მაგრამ რანაირად მოიპოვეს ქურუმებმა ეს, თუნდაც განსაზღვრული, ბატონობა? ჩვენი აზრით: „ეჭვს გარეშეა რომ ტაძრებს ამ დროს იბერიაში საკუთარი, არამცირედი, სივრცის მამულები აქვთ, რომელთა დამუშავებისათვისაც ისინი არათავისუფალ შრომას იყენებდნენ (საფიქრებელია, რომ უფრო მონების შრომას, რადგანაც სტრაბონის ტექსტში კოლონების მფლობელად მხოლოდ მეფის „გენე"-ა აღნიშნული). საფიქრებელია აგრეთვე, რომ ეს ტაძრები განძების მფლობელნი არიან" (ნაკვ. II, გვ. 21). შემდეგ, აღვწერთ რა ტიპურ გზას ტაძრებისა და ქურუმების დაწინაურებისას, ვამბობთ: „თანდათან ტაძრები და მათი წარმომადგენლები იქცევიან უდიდეს მემამულეებად, რომელნიც თავიანთ მიწებს მონების ან ყმების შრომით ამუშავებენ. ფულად ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად ტაძრები, რომელთაც დიდი განძები აქვთ დაგროვილი, სავაჭრო კაპიტალის როლში გამოდიან და კიდევ უფრო ჰბოჭავენ მათი გავლენის ქვეშ მყოფ ხალხს... იბერიის ქურუმთა წოდების განვითარების კონკრეტული ისტორია ჩვენთვის უცნობია პირდაპირი ცნობების სრულ უქონლობის გამო, მაგრამ აქაც განვითარების გზა ზემოთ აღწერილის მსგავსი იყო" (იქვე, 24).

შრომის ექსპლოატაციის რომელ სახესთან გვაქვს საქმე ტაძრების მამულებზე? რაკი ლაოი-კოლონები მხოლოდ სამეფო დინასტიას ჰყავდა, აქედან ლოგიკური აუცილებლობით გამომდინარეობს, რომ ტაძრები და ქურუმები მონების შრომით სარგებლობდნენ. და, მართლაც, უეჭველი ხდება, რომ ტაძრები თავიანთ მამულებზე შედარებით ფართო მეურნეობის წარმოებას იწყებენ და ამისათვის საჭირო ხდება მონების შრომის უფრო დიდი მასშტაბით გამოყენება. იმათთვის-კი, ვინც მეოთხე გენეს მონათა გენედ სთვლის და, მაშასადამე, სამეფო დინასტიის გარდა, სხვა საზოგადოებრივი წრისათვის მონური შრომის გამოყენების შესაძლებლობას უარყოფს (მეოთხე გენეს წარმომადგენლები ხომ მხოლოდ სამეფო დინასტიას ემსახურებოდნენ), ასეთივე აუცილებლობით გამომდინარეობს, რომ ქურუმთა თუნდაც განსაზღვრული სახით ბატონობასაც არავითარი ეკონომიური საფუძველი არა აქვს, რომ ტაძრების მამულებზე არა-

ვითარ შრომის ექსპლოატაციას ადგილი არ ჰქონია, რაც, რა თქმა უნდა, არ არის სწორი.

ტაძრებისა და ქურუმების გარდა, მონები ჰყავდათ, ცხადია, სხვებსაც — სახელდობრ, სამეფო დინასტიას, ერთი მხრით, და მეორე მხრით — მესამე გენეს, თავისუფალთა წოდების ანუ „ერის“, წარმომადგენლებსაც.

ჩვენ კარგი ცნობები მოგვეპოვება იმის შესახებ, თუ რამდენად იყო გავრცელებული მონური შრომა საქართველოს უახლოეს მეზობელ ქვეყნებში. ეს ცნობები ჩვენ ამ ნარკვევში, ქვემოთ, გვაქვს განხილული.

თვით საქართველოს ისტორიიდანაც ჩვენ შეგვიძლია მრავალი არაპირდაპირი ჩვენების მოპოება მონობის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ საქართვ. უძველეს ისტორიაში. არავის არ მიუქცევია ყურადღება, მაგ., იმ უაღრესად საინტერესო გარემოებისათვის, რომ სწორედ მონობასთანაა დაკავშირებული და მხოლოდ მის ნიადაგზე არის გასაგები განსაკუთრებული გავრცელება ტრანსპორტის იმ სახისა, რომელიც შემდეგში ჰკარგავს თავის მნიშვნელობას სოციალურ-ეკონომიურ პირობების გამოცვლასთან დაკავშირებით, სახელდობრ, ნაოსნობისა (ალაზანზე, მტკვარზე, რიონზე, ყვირილაზე), რომლის შესახებაც ლაპარაკობს სტრაბონი: შედარებით ჩქარი დენის მქონე ჩვენს მდინარეებზე ნაოსნობის ფართო გამოყენება ტვირთების გადასაზიდად, განსაკუთრებით, როცა მოძრაობა ზევით მიიმართებოდა, შესაძლებელი იყო რენტაბელურად მხოლოდ მონა მენიჩბეების უხვი და მუქთი შრომის გამოყენებით. წარმოების ამ წესის დაცემასთან ერთად ეცემა ტრანსპორტის ამ სახის მნიშვნელობაც: ფეოდალურ საქართველოში მდინარეებზე ნაოსნობა შეუდარებლად უფრო სუსტადაა წარმოდგენილი. ცვლილება ღრმად ეხება თვით გზების მიმართულებას და მათს ხასიათსაც სხვა მხრივ, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ.

§ 3. სტრაბონის ცნობის საკონტროლო პარალელები და ფაქტები

სტრაბონის ცნობის შემოწმება უნდა მოხდეს არა მარტო სხვა წყაროების საშუალებით, არამედ საქართველოს ისტორიის მთელი შემდეგდროინდელი მსვლელობის ფაქტებზედაც. ჩვენი ანალიზით მიღებული დასკვნები არა მარტო მართლდება ამ ფაქტებით, არამედ მერმინდელი უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენების გაგებისათვის ეს დასკვნები სრულიად აუცილებელია. აღწერილი სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის ნიადაგზე შეიძლება მხოლოდ ავსსხათ ისეთი უაღრესად მნიშვნელოვანი ცვლილება ქართლის ცხოვრებაში, როგორიც იყო ქრისტიანობის | სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადება აქ სამეფო ხელისუფლების მეორე მეოთხე საუკუნის შუაწლებისათვის (იხ. ქვემოთ, § 16). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ამბებში, კერძოდ, ვპოულობთ საყურადღებო საბუთებს იმისათვის, რომ სტრაბონის მეორე წრე, ქურუმები, როგორც მონათმფლობელები, მართლაც შეადგენდნენ უძველესი ხანის ქართლში გაბატონებულ სოციალურ ფენას. ნაწილობრივ უკვე აღნიშნულიც გვაქვს, რომ ანალოგიურ მოვლენებს ჩვენ ვპოულობთ მეზობელ ქვეყნებშიაც. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ ალბანეთისა და სომხეთის ანალოგიები. ალბანეთის შესახებ, მაგ., სტრაბონი ამბობს (წ. 11, თ. 4, § 7): „ღმერთებად მიჩნეული ჰყავთ მათ (ალბანელებს) მზე, ზეესი და მთვარე, განსაკუთრებით კი — მთვარე. არის ამისი ტაძარიც იბერიის მახლობლად. ქურუმობს ყველაზე პატივცემული, მეფის შემდეგ, პირი. იგი მეთაურობს სატაძრო მიწის, რომელიც ვრცელია და კარგად დასახლებული, გამგეობას და აგრეთვე ჰიეროდულებს (ტაძრის მსახურთ)...". ეს ცნობა საყურადღებოა სხვა მხრივაც. ჩვენ ვფიქრობთ რომ აქ დასახელებული მთვარის ტაძარი იყო სწორედ იმ ადგილას, სადაც შემდეგში, ქრისტიანულ ხანაში ალავერდის წმ. გიორგის ეკლესია ააშენეს. შემთხვევითი არ არის, რომ იქვეა სოფ. ალვახი და რომ თვით ტაძრის ადგილის სახელწოდებაც ამავე ფუძეზეა აგებული: „ალავერდი" ალვან-გვერდის განვითარებაა. სასაზღვრო ხაზი ძველ იბერიასა და ალბანეთს შორის სწორედ აქ გადიოდა. მაშასადამე, ამ სახელწოდებაში მეზობელი ქვეყნის სახელის მოგონება და კვალი შეიძლება ვივარაუდოთ. ერთი მსგავსი ტაძარი სტრაბონს აღწერილი აქვს საქართველოშიაც. იგი ამბობს: „დასახელებულ მდინარეებს ზემოთ მოსხიკეში (მესხეთში) არის ლევკოთეას

ტაძარი, აგებული ფრიქსეს მიერ, და აგრეთვე მისი საწინასწარმეტ-ყველო. სადაც მსხვერპლად ვერძს არ სწირავენ. ოდესღაც იგი მდიდარი იყო. მაგრამ ჩვენს დროებაში გაძარცულ იქნა ფარნაკის მიერ და ცოტა ხნის შემდეგ მითრიდატ პერგაძელის ძიერ. ხოლო, ევრიპიდესი არ იყოს, როცა ქვეყანა აოხრებულია, „ღმერთებიც შეწუხებული არიან და მათ პატივისცემის მიღება არ ჰსურთ“ (წ. 11, თ. 11, § 17). „დასახელებულ მდინარეებს“ ქვეშ აქ ნაგულისხმევია კოლხეთის, ამავე პარაგრაფში აღწერილი, მდინარეები ფაზისი და მისი შენაკადები—გლავკი და ჰიპპი, ე. ი., რიონი და მისი შემდინარეები. ამ მდინარეთა, კერძოდ, თვით ფაზისის,—სათავეების შესახებ ძველ გეოგრაფებს არ ჰქონდათ ზუსტი წარმოდგენა—ფაზისის სათავეს მაგ., ჩვეულებრივად, სამხრეთით გულისხმობდნენ. სტრაბონიც აქვე ამბობს, რომ ფაზისს სათავე ა რ მ ე ნ ი ა შ ი | აქვსო. ამიტომ აქ მესხეთის ის ნაწილია ნაგულისხმევი, რომელიც კოლხეთის აღმოსავლეთ ნაწილს სამხრეთიდან ეკრა, ღადო-ფერსათის (ახალციხის ქედის) გასწვრივ, რომელ მთაშიაც ფაზისის სათავე იყო შეცდომით დადებული (მაგ. ვთქვათ, ფაზისის თავნაკადად ხანისწყლის მიჩნევით). ეს ტერიტორია კიდევ დიდი ხნით ადრე საქართველოს პოლიტიკურ ფარგლებში იყო შემოსული. ასეთი მდიდარი ტაძარი, რომელიც გაძარცული იყო მეზობელ ქვეყნების რამდენიმე მეფის მიერ, უეჭველობით მოწმობს ამ მოვლენის სათანადო სოციალურ-ეკონომიურ საფუძვლის შესახებ. სავსებით ანალოგიურ ფაქტებს ვხედავთ მეზობელ სომხეთშიაც. სტრაბონის ცნობით, ხომხები თაყვანს სცემდნენ ირანელების ყველა ღმერთს. მაგრამ განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ ისინი ღმერთ-ქალის ანაჰიტის ტაძრებს, რომლებიც აგებული ჰქონდათ აკილისენასა და სხვა ადგილებში. ამ ტაძრებში იყვნენ მსახური ვაჟები და ქალები. აქვე ყველოდა საღმრთო პროსტიტუცია: ყველაზე წარჩინებულნი სწირავდნენ ღმერთ-ქალს თავის ასულებს, რომელთათვისაც არსებობდა წესი რომ ღმერთ-ქალის საძსახურად დიდხანს ემეძავნათ, შემდეგ-კი გათხოვილიყვნენ. ეს ღმერთის მსახური მეძავი ქალები თავის საყვარლებს განურჩევლად კი არ იყვანდნენ, არამედ უპირატესად თავის საკუთარ საზოგადოებრივ წრეში ეძებდნენ. საყურადღებოა იხიც, რომ საღმრთო მეძავნი თვითონ უფრო დიდ საჩუქრებს უძღვნიდნენ ხოლმე თავიანთ რჩეულებს, ვიდრე იღებდნენ მათგან, და ამ საქმეზე დიდ ქონებას ხარჯავდნენ (წ. 11, თ. 14, § 16). მეორე ძველი

ეწერლის, პლინიუსის, ცნობით, აღნიშნულ ღმერთ-ქალის პატივსაცემად აღმართული ყოფილა ერთიან ოქროსაგან გაკეთებული ქანდაკება. საყურადღებოა ტაციტუსის ცნობაც რომ სომხეთის მეფე თრდატ I (I ს. დამდეგი ახ. წ.) იმავე დროს პირველი ქურუმიც იყო.

მერმინდელ ქართულ წყაროების მიხედვით ჩვენ სრული უეჭველობით დავადგინეთ ქურუმების გარდა სხვა საზოგადოებრივ ერთეულების არსებობაც, რომლებსაც სტრაბონი „გენეებს“ უწოდებს. ოთხთავის უძველესი ქართული ვერსიების, რომელნიც უკვე მეოთხე საუკუნეში ჩნდებიან, ცნობებით გამოვარკვიეთ, რომ ბაზილევს— მონარქის ძველი ქართული შესატყვისობა სწორედ „მეფე“-ა. ირკვევა ამასთანავე, რომ „მეფე“ ჩნდება ძლიერი გარდატეხის შედეგად, რადგანაც მისი პროტოტიპი „მეუფე“ (პროფ. ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი განმარტებით „მეფე“ „მეუფის“ განვითარებაა), გვაროვნული წყობილების ხანაში წარმოშობილი, ახალ შინაარსს ვეღარ იტევს და წარმოდგენილი სახით იცვლის ფორმას. მეფის ხელისუფლების წარმოშობის შემდეგ ჩნდება სამეფო დინასტია: გამოირკვა, რომ ძველი ქართული სამეფო დინასტიის და, მაშასადამე, სტრაბონის პირველ გენეს, სახელწოდება არის „სეფე“, რომელიც ენობრივად სწორედ „მეფესთან“ დაკავშირებით არის აღმოცენებული. „მეუფეს“ კი ასეთი მნიშვნელობის შესატყვისი არ მოეპოვება. „მეუფის“ მსგავსი შესატყვისის როლში გამოდის ნაწილობრივ „სოფელი“, რომელსაც „სეფეს“ მნიშვნელობა არასოდეს არ ძიუღია. „მეფე“-„სეფის“ აქ განსაზღვრული სემანტიკა სრულიად უეჭველია. მერმინდელ ცნობებითვე ირკვევა, რომ „სეფის“ მოცეული მნიშვნელობის ნიადაგზე ვითარდება ძველი ქართული ისეთი ტერმინები, როგორიცაა „სეფე“-ს ა მ ე ფ ო ს ა ს ა ხ ლ ე (აქედანაა დასავლ. საქართველოში გავრცელებული „სეფა“, საქორწილო შენობა, ნ ე ფ ე-დ ე დ ო ფ ლ ი ს საჯდომად განკუთვნილი), შემდეგ, სეფე—ყოველივე ის, რაც სამეფო დინასტიას ეკუთვნის, მაგ., მიწა („ს ე ფ ე ყ ა ნ ა“), თუ სხვა რაიმე ქონება, თვით წევრებიც ამ საგვარეულოსი. აღნიშნული მნიშვნელობიდან გამოდის ძველი ქართული „სეფის-კვერი“, ზეციერი მეფის პური, და ახალი ქართული— „სეფე-სიტყვა“. სამეფო დინასტიის წევრთა აღსანიშნავად ძირითადი ტერმინის როლში გვევლინება „ს ე ფ ე-წ უ ლ ი“ ან, მისი უფრო ძველია ად გავრცელებული პარალელი, „ს ე ფ ე-შ ვ ი ლ ი“. „წული“

და „შვილი“ აქ სწორედ წარმოშობის, შთამომავლობის, სისხლით ნათესაობის მომენტზე მიუთითებენ. სეფე-წულები თანდათანობით დაშორდნენ მთავარს სამეფო შტოს და გადაეცნენ ძველი ქართლის არისტოკრატიის უმაღლეს წრედ, ყველაზე ძლიერ მემამულეებად, უძველეს მესაკუთრეებად და უძველეს აზნაურებად. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს ძველი სომეხი მემატიანის მოსე ხორენელის ცნობიდან (II, 7), მეექვსე საუკუნის ორიგინალური ქართული ლიტერატურული ძეგლის, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“, ჩვენებიდან და მრავალ სხვა წყაროს ცნობებიდანაც. ამ მოვლენასთან დაკავშირებით, შემდეგ, გაცილებით უფრო გვიანდელ ხანაში, როცა „სეფე-წულების“ საკუთარი წრე უკვე გადაშენდა, „სეფე“ ზოგჯერ იხმარებოდა საერთოდ ფეოდალის სასახლის და ქონების აღსანიშნავადაც.

კიდევ უფრო საყურადღებოა ტერმინები „სეფე-ქალი“ და „სეფე-კაცი“. „ქალი“ და „კაცი“, რომელნიც წარმოშობაზე, შთამომავლობაზე არას ამბობენ, ძირითად ტერმინთან კავშირში უკვე სხვა შნიშვნელობას გვაძლევენ. „სეფე-ქალი“ და „სეფე-კაცი“ ძველ ქართულში მეფის, სამეფო კარის, სამეფო ხელისუფლების მსახურებს აღნიშნავენ, პირველი — სასახლის მოახლეს, მეორე — სამეფო მოხელეს. ოთხთავის ქართულ თარგმანის უძველეს ვერსიებში „სეფე-კაცი“, მაგ., სწორედ ამ აზრითაა ნახმარი: აქ ავტორი ურჩევს (ლუკას თავი, 12,58) დროზე განთავისუფლებას მეტოქე მოცილისაგან, თორემ თუ „მთავართან“ მიხვედი, „მთავარი“ გადაგცემს „მსაჯულს“, მსაჯული გადაგცემს „შენ სეფესა კაცსა და სეფემან კაცმან მიგცეს შენ საპყრობილედ“. ამ საპყრობილიდან კიდევ ვერ გამოხვალ, ვიდრე უკანასკნელ „წვლილს“ არ მისცემო. ქართული ოთხთავის სხვა, უფრო ნაგვიანევ ვერსიებში, „სეფე-კაცის“ მაგიერ „მეხარკე“ არის ნახმარი (ახალ რუს. თარგმანში ამას შეესატყვისება „истязатель“). დაწვრილებით ამ საკითხების შესახებ ჩვენ სხვაგან გვექნება მსჯელობა. აქ კი ვიტყვით, რომ „სეფე-კაცის“, როგორც სახელმწიფო მოხელის აღმნიშვნელი ტერმინის, არსებობა ამ ციტატით სრულიად უეჭველია.

ზოგიერთი ძველი ქართული ძეგლი ამ ტერმინების სხვადასხვა, აქ აღნიშნულ, აზრით ხმარების საყურადღებო მაგალითებს იძლევა (იხ. მაგ., ნინოს ცხ., Опис., II, 766, 767, შემდ. 761 და სხვა).

და სავსებით ადასტურებს გამოთქმულ დებულებას, რომლის დაწ-ვრილებითი განვითარებისათვის ჩვენ აქ ადგილი არა გვაქვს.

მესამე გენის („მიწისმოქმედნი და მეომარნი") ქართული სა-ხელწოდება, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არის „ერი", მილი-ტარულის ანუ სამხედრო დემოკრატიის წიაღში წარმოშობილი ცნე-ბა—ტერმინი. ამდენად, „ერის" აყვავების პერიოდად უნდა მიჩნეულ ქნას გვაროვნულ წყობილების უმაღლესი საფეხური, რომელიც სტრაბონის ცნობის დროისათვის უკვე განვლილია, რადგანაც „ერის-გან" გამოყოფილია და ცალკე წოდებრივ წრედ არის ჩამოყალიბე-ბული მონათმფლობელ ქურუმების ჯგუფი (მეორე გენე). რომ სტრა-ბონის დროინდელი „ერი" უკვე ძველი ერი აღარ არის, ეს კიდევ უფრო კარგად ჩანს მისი სუვერენული თვითმყოფობის ძირითადი ნიშნის, ძველი მმართველობის უმაღლესი ორგანოების, საბჭოსა და სახალხო კრების („ერის-კრების") გაქრობის ფაქტიდან. სტრაბონი-სეული „ერი", რომელიც ჯერ კიდევ შეიცავს ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას, თავის სოციალურ-ეკონომიური შემდგომი დიფე-რენციაციის გზაზეა შემდგარი. ქართლის ფეოდალიზაციის ხან-გრძლივი პროცესი ამ გენეში, „ერში", მიმდინარეობს. „ერს" ეთიშე-ბა და ზევით მიიწევს მისი უმეტესობა—„ერისთავები", საერთოდ „თავები" და „თავადები" (ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობით), „მთავ-რები", „წარჩინებულნი" და სხვ., რომელნიც ბოლოს და ბოლოს ერთიანდებიან „აზნაურთა" ახალ წოდებაში. ქვევით მიდის და უფ-ლებებისაგან სულ | უფრო და უფრო მეტად იძარცვება „ერის" უმ-რავლესობა, რომელიც ჰქმნის ყმათა ფეოდალური კლასის ძირითად სარეზერვო სოციალურ მასას, წყაროებში „წვრილი ერის" სახელ-წოდებით აღნიშნულს (ზემოთ დახასიათებული ჯგუფი მასთან შეპი-რისპირებით „მსხვილი" ერია). „წვრილი ერი" დიდხანს იბრძვის თავის ძველი უფლებების დასაცავად (მისი ნაშთები, „ჰეროვანთა", „ერისგანთა" და სხვ. სახელით, ქართ. ფეოდალიზმის კლასიკურ პე-რიოდშიაც გვხვდება), მაგრამ, საბოლოოდ, მარცხდება და ყალიბ-დება, როგორც ქართველ „ყმათა" ძირითადი ფეოდალური კლასი.

ასევე დოკუმენტალურად ვადასტურებთ ჩვენ, ქართული წყა-როების მერმინდელ ჩვენებათა მიხედვით, სტრაბონისეული მეოთხე გენის („ლაოი") არსებობას, რომელიც, ჩვენი დებულებით, კოლო-ნებისაგან შესდგება. ამ ჯგუფის ადგილობრივი უძველესი წოდებ-რივი სახელწოდებაა „გლეხი" (ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა დ ი ა ლ ე ქ ტ უ რ ი

ფ ო რ მ ი თ). ეს „გლეხობა“ ჰქმნის შემდეგში ქართული ფეოდალური საზოგადოების ძირითადი კლასის, ყმების, ყველაზე ძველს ელემენტს, რომელიც შეესატყვისება, ზოგადად, ევროპულ „სერვებს“ (გერმ. Leibeigene), ხოლო „წვრილი ერი“, „ერისგანნი“ და სხვა მსგავსი „ქვეყანისმოქმედნი“ ჰქმნიან იმავე კლასის უფრო გვიანდელს (წარმოშობით) ელემენტს, რომელიც შეესატყვისება ევროპ. „ვილანებს“ (გერმ. Grundhörige). სტრაბონის ცნობით, ეს „ლაოი“, „გლეხები“ (სხვათა შორის, ეხლა ჩნდება ძველი წყაროები, რომელთა მიხედვითაც, „გლეხნი“, ძველ ქართულში, ლაოის შესაბამისად, „მდაბიო ხალხსაც“ აღნიშნავს) [1], ჰყავს მხოლოდ მეფის საგვარეულოს ანუ, ჩვენი განმარტებით, „სეფეს“. ეს გარემოება სავსებით დასტურდება გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში „მესეფე“ ტერმინის არსებობით: „მესეფე“ აქ უცხოურ წარმოშობის „მებეგრეს“ შეესატყვისება და მუშაობავალდებულ ყმას აღნიშნავს (იხ. მაგ., „საისტორიო კრებული“, I, 39—40). სტრაბონის ცნობით, ეს „ლაოი“ იყვნენ „ბასილიკოი დულოი“, რაც შეიძლება ადგილობრივი „მესეფე გლეხების“ პირდაპირ გადაცემად იყოს მიჩნეული. „მესეფე გლეხები“ სამეფო გვარისათვის, „სეფესათვის“, მუშაობდნენ და უმზადებდნენ მას ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის იყო საჭირო. ბუნებრივად უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ვალდებულება-გაძოსაღების ადგილობრივი სახელწოდება იყო სწორედ „სეფეობა“, რომელი ტერმინიც მერმინდელ საუკუნეებში არც თუ იშვიათად გვხვდება, ყმა-გლეხის საბატონო სამუშაოს მნიშვნელობით (როსტომ მეფის სიგელი 1637 წ., საქ. სიძვ. II, 32; იასე ერისთავთ-ერისთავის სიგ.

[1] რიფსიმეანთა ეპიზოდის ძველ ქართულ თარგმანში, რომელიც ამ ძეგლზე მომუშავის დოც. ილ. აბულაძის აზრით VIII—X ს. ს. უნდა იყოს შესრულებული, არის ასეთი ადგილი: „და ხილვასა მას კეთილისასა მიკრებოდა სიძრაველე დიდი, და მთავართა მათგანნი იგიცა ერთი ერთსა ჰხდებოდა და სრბით მივიდოდეს ხილვად სიკეთისა მისსა, და აზნაურნი იგი აღრეულად გლეხითურთ ეტენებოდეს და დასდებდეს ერთიერთსა“. ხაზგასმული უდრის სომხური დედნის *ադատակոյսն, խառնախառնեալ ամբոխեալ հանդիպեալ*, ე. ი. „გლეხით“ გადმოცემულია სომხ. „ამბოხ“. ილ. აბულაძის აზრით აქ „გლეხი“ ჯერ კიდევ არ ნიშნავს მიწისმოქმედს. ყოველ შემთხვევაში, „გლეხს“ აქ „მდაბიო ხალხის“ ზოგადი მნიშვნელობაც აქვს. მაგრამ მისი „აზნაურისადმი“ დაპირისპირება ტერმინს აშკარად აძლევს უკვე წოდებრივ მნიშვნელობასაც. თარგმნის თარიღადც, ჩვენი აზრით, ადრინდელი მიჯნა უნდა იყოს აღებული.—ამონაწერის ბოწოდებისათვის ილ. აბულაძეს მადლობას მოვახსენებთ.

XVI ს., საქ. სიძვ. III, 562—3; გივი ამილახვრის სიგ. 1689 წ., საისტ. კრებ. I, 113—4; განსაკუთრებით იხილეთ ჯრუჭის საბეგრო დავთარი 1809 წ., საისტ. კრებ. I, 45—56, და სხვ.).

§ 4. მერმინდელი ანალოგიები

ისტორიული წერილობითი სურათი ქართველ ტომთა სოციალურ დიფერენციაციის პროცესისა შენახული არ არის, მაგრამ საშაგიეროდ მოგვეპოვება მერმინდელი ანალოგიები, რომელნიც საშუალებას გვაძლევენ თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ აღნიშნული პროცესის ზოგიერთი, მეტად საყურადღებო, მოძენტი ცოცხალ ცხოვრების მასალაზე. შევჩერდებით აქ მხოლოდ ერთს მაგალითზე, რომელსაც გვაძლევს ძველ ქართულ საისტორიო მწერლობის შესანიშნავი ძეგლი, ქსნის ერისთავების საგვარეულო მატიანე, რომლის, როგორც სოციალურ ისტორიის დოკუმენტის, მნიშვნელობა სცილდება საქართველოს ფარგლებს. ავტორი აგვიწერს ბიბილურთა გვარის ქსნის ხეობაში გაერისთვების ისტორიას. თავის ფეოდალურ ტენდენციის გამო ის ხშირად არღვევს ისტორიულ პერსპექტივს, უმართებულოდ აშუქებს ისტორიულ ფაქტებს, აზვიადებს ერთი რიგის მოვლენებს, ამცირებს მეორე რიგისას. მაგრამ კრიტიკული თვალსაზრისი ობიექტურ სინამდვილის აღდგენას შესაძლებელს ხდის. პოლიტიკურ უბედობის მიზეზით სამშობლოდან გადმოხვეწილი, ცხრაზმის ხევ'ში მოდის როსტომ ბიბილური, თავის ორი ძმით, შვილებით და საძოცდაათი „კეთილი" (კარგი, რჩეული) მონით. ცხრაზმისხეველებს ამ დროს სამხედრო გასაჭირი ადგას. მოსულნი, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, როსტომ, ჩინებული მეომრები არიან. იგულისხმება რომ შეიარაღებითაც ეს რაზმი უზადოა. როსტომ და მისი მხლებლები დაუფასებელ სამხედრო სამსახურს უწევენ თავიანთ მასპინძლებს. ამიტომ ეს უკანასკნელნი გადასწყვეტენ, ამიერიდან „ეს გოლიათი კაცი" თავიდან აღარ მოიშორონ. იქნებ მათ ჰსურთ როსტომის მხოლოდ შეყვანა ჩვეულებრივ წევრად თავის საზოგადოებაში, მაგრამ თვით როსტომს სხვა განზრახვები აქვს. იგი უკავშირდება ცხრაზმის ერთ-ერთ მთავარ პუნქტის მამასახლისს გუგაკ ხუციანდაბისძეს. ეს მამასახლისი უკვე გვაროვნულ საზოგადოების წარმომადგენელი კი არ არის, იგი მეფის მოხელეა, მისი „პატივი და ველი (თანამდებობა) მეფეთაგან არის მოცემული". როსტომი მოითხოვს

ვუგაკისაგან, რომ იგი „უქმნიდეს და ეტყოდეს“ ხოლმე ყველაფერს, „რომელი სჯობდეს საქმედ“ როსტომისთვის, ე. ი., საქმით და სიტყვით ეხმარებოდეს მას. სანაცვლოდ როსტომი ჰპირდება ლარგვისის მამასახლისს მისი „პატივი და ქელი, რომელ შეფეთაგან მოცემულ არს“ (მამასახლისობა) სამუდამოდ შეუნარჩუნოს მის შთამომავლობას. გუგაკ სავსებით კმაყოფილია ამ პირობისა: „მე თავი ჩემი დავსდვა ერთგულებით მსახურებად შენდა და ღმერთმან წარგიმართოს უმჯობესი ყოველი“, არის გუგაკის პასუხი: იგი თავის მხრით ერთგულ სამსახურს კისრულობს. აქ დახატულია ტიპიური სურათი იმისა, თუ როგორ მყარდება ორ პირს შორის განსაზღვრული სახე ფეოდალურ ურთიერთობისა, რომლის შესახებაც ჩვენ შემდეგში გვექნება საუბარი. აი ეს მამასახლისი საიდუმლოდ ურჩევს როსტომს: თუ გინდა ამ ქვეყანაში დამკვიდრება, „ითხოვე საფლავი მონასტერსა ამას, რამეთუ ყოველთა დიდებულთა აზნაურთა საფლავი აქა არს, და სოფელნი ესე, რომელნი ღვთივ-გვირგვინოსნისა იყო, იუსტინიანე აღმაშენებლისაგან შემოწირულ არიან, იყო წინამძღუარ მათდა“-ო. მონასტერს მამულები აქვს. ამ მამულების გამგეობა ტაძრის, საყდრის, წარმომადგენელთა, მსახურთა, მოხელეთა ფუნქციაა. ტაძრის, საყდრის, წარმომადგენლის ერთ-ერთი გარეგნული ნიშანია უფლება დასაფლავებულ იქნას მონასტერში (ამით ცხადდება მისი სიახლოვე და განსაკუთრებული კავშირი ტაძართან). როსტომმა ამ უფლების შეძენით უნდა თვით საყდრის, ტაძრის, წარმომადგენლის უფლებებიც და პატივიც შეიძინოს, რომ შემდეგ ამ გზით ხელი დაადოს თვით ტაძრის მამულსაც. აქ მემატიანეს საჭიროდ მიაჩნია სცენაზე „ყოველი ერი“ გამოიყვანოს. „მე მოვითხოვო ყოვლისა ამის ერისაგან“ საფლავი მონასტერში, ეუბნება როსტომი | გუგაკს. შემდეგ: „რქუა ყოველმან ერმან როსტომს“, რა გსურს, რომ შენთვის ვქნათო. ეს ყოველი ერი ქვემოთაც რამდენიმე გზის იხსენიება. სხვა შემთხვევაში იგი უდრის „ყოველთა ცხრაძმისხეველთა“ ან მარტივად—„ცხრაძმისხეველებს“, ე. ი. „ყოველ ერს“ შეადგენს ცხრაზმის ხვობის მთელი თემი, მოსახლეობა. „ყოველ ერის“, მთელი ხალხის, უფლება ყოფილა შეუსრულოს როსტომს ეს საწადელი, რომელიც მის ფარულ ზრახვების განხორციელების გზაზე პირველ საჯარო ნაბიჯს წარმოადგენს. შესაძლებელია (და, უფრო სწორედ, ასეც უნდა

იყოს) რომ აქ ავტორი ტენდენციურად სცდილობს ხალხის ნებაყოფლობითი სანქციის შთაბეჭდილება შექმნას ბიბილურთა გაერისთავების საქმეში. სინამდვილე სხვანაირი უნდა ყოფილიყო, მაგრამ შაინც ცხადია, რომ გვაროვნულ საზოგადოების სუვერენს „ყოველ ერს", რომელსაც ამ დროს, რა თქმა უნდა, თავის ძირითადი პრეროგატივები უკვე აღარ გააჩნდა, მაინც შერჩენილი ჰქონდა იმდენად ძლიერი ტრადიციები, რომ შესაძლებელი იყო მიზეზი გამხდარიყო ფეოდალურ მემატიანის აღნიშნულ ტენდენციისათვის. და აი, მემატიანის მტკიცებით, როსტომმა, „ყოველ ერის" კითხვაზე თუ რა ჰსურს მას, „მოითხოვა საფლავი ლარგვისსა და საჯდომად სახლი შუა საყდრის შვილთა, და ცხრაძმის ციხისთავის ნაქონები მამული". მაშასადამე, როსტომი ეძიებს: 1) საფლავს (სასაფლაოს) ტაძარში, ზემოთ აღნიშნულ მიზეზით, 2) „საჯდომად სახლს", სასახლო ადგილს, მამულს, რომელიც უპირატესად უნდა იყოს მისი რეზიდენცია. ამ ადგილს როსტომი ეძიებს „შუა საყდრის შვილთა". საყდრის შვილებად იწოდება მთელი ის პერსონალი, რომელიც დაკავშირებულია კულტსა და ტაძართან, კერძოდ — ტაძრის მეურნეობასთან. უპირატესად აქ ტაძრის, საყდრის, მოხელე ხელისუფალნი იგულისხმებიან. საკათალიკოსო სენიორისათვის სათანადო პარალელს „მცხეთისშვილი" წარმოადგენს, ზოგადად კი, საყდრის შვილთან ერთად (აქედან კოლექტივის აღსანიშნავად — „საყდრიონი") იხმარებოდა „ეკლესიის შვილი". ერთს, მაგ., XVI საუკ. დამდეგის დოკუმენტში ნათქვამია: „დიდი და პატიოსანი ვარძიის მონასტერი მისითა შესავლითა და ეკლესიის შვილებითა". ტერმინი, რა თქმა უნდა, საგვარეულო წყობილებიდან მოდის, მაგრამ ამ დროს მას ახალი შინაარსი აქვს — „საყდრისშვილთა შუა", ცენტრალურ ადგილას, „სახლი" ტყუილად არ არის მოთხოვნილი — ეს გარემოებაც საფუძველი უნდა გახდეს როსტომის მომავალ პრივილეგიებისათვის: ცენტრალური ადგილი უფროს საყდრიშვილს უჭირავს (დაწვრილებით ამის შესახებ—შემდეგში). 3) თავის მდგომარეობის საბოლოო განმტკიცებისათვის როსტომს თავის მოთხოვნებში კიდევ ერთი პუნქტი აქვს წამოყენებული, რომელსაც იგი ამყარებს იმაზე, რომ მას, როსტომს, თვით ცხრაზმისხეველებისათვის უპირატესად სამხედრო ინტერესი და მნიშვნელობა აქვს. იგი ხეობის სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, წინამძღვარი

უნდა გახდეს. მან ცხრაზმის ციხისთავის ადგილი უნდა დაიპიროს. ამისთვის მას ერგება „შუა (აქაც—ცენტრი!) ცხრაძმის ციხისთავის ნაქონები მამული“, რომელიც თემის ამ მოხელისათვის თვით თემს დაუთმია, როგორც მინი შრომის საზღაური, გასაძღელო. როსტომი ორი გზით მიილტვის თავის მიზნისაკენ, მაგრამ ეს გზები არ არიან გათიშულნი ერთმანეთისაგან: ციხისთავიც საყდრის შვილია.

ერი ასრულებს როსტომის მოთხოვნას. „მისცეს ესე ყოველი ცხრაძმისჭეველთა: შუა ცხრაძმის ციხისთავისა ნაქონებნი სოფელნი და ქუეყანანი. საფლავი ლარგვისსა და საჯდომი ქვენიფხევს“... როსტომის ფუნქცია ხეობაში ამის შემდეგ უპირატესად სამხედრო ხასიათისაა: როსტომმა და მისმა ძმებმა „იწყეს შ ე ნ ე ბ ა დ ც ი ხ ი ს ა და სახლებისა დიდ-დიდებისა. და უკეთუ ს ა დ ა ი ყ ვ ი ს ლ ა შ ქ რ ო ბ ა, ი გ ი ნ ი ი ყ ვ ნ ი ა ნ წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ბ რ ძ ო ლ ა თ ა, და ა რ ა ვ ი ნ ი პ ო ე ბ ო დ ა მ ა რ ტ ო დ მ ბ რ ძ ო ლ ი რ ო ს ტ ო მ ი ს ა, და შეიყუარნა ყოველმან ერმან ცხრაძმისჭეველისამან“. საფლავსაც როსტომი, თავის „ერთგულად მსახურ“ მამასახლისის დახმარებით, მიიღებს ტაძრის საუკეთესო ადგილას. ამრიგად ის და მისი ნათესაობა ერისა და საყდრისშვილების ყველაზე წარჩინებულ წრეში ექცევიან. რამდენისამე ხნის შემდეგ როსტომი ერისთაობასაც მიიღებს. ამ პროცესის აღწერილობაც მეტად საყურადღებოა.

დიდებულნი და აზნაურნი ეძიებენ მეფისაგან ცხრაზმის ხეობის ერისთაობას—...„იქმნა დიდებულთა და აზნაურთაგან თხოვად ერისთაობისა ბირებითა ერისათა, რაძეთუ იტყოდეს: „ვისიცა იყოს საფლავი, მას შეჰგავს ეკლესია და ყოველი მიმდგომი მისი“, ე. ი. ვისაც საფლავი აქვს მონასტერში, ვინც, მაშასადამე, ტაძრის წარმომადგენელია, მას შეჰფერის ეკლესია და ამ ეკლესიის, საყდრის, „მიმდგომი“, ყველაფერი, რაც ტაძართანაა დაკავშირებული, პირველ რიგში-კი, რა თქმა უნდა, მამული, მიწებიო,—აი, რას ამბობენ ერისთაობის მაძიებელნი. მეფის გამოძიება არკვევს, რომ „ყოველთა მახლობელთა დიდებულთა და აზნაურთა შეექმნა საფლავი, ნუთუმცა მიუბოძნა ქუეყანანი, შეწირულნი ეკლესიისათუს“ — ყველა მახლობელ დიდებულსა და აზნაურს (მაგრამ მაინც მ ხ ო ლ ო დ ა მ წ ო|დ ე ბ ი ს ხალხს) გაუჩენიათ თავიანთთვის სასაფლაო ტაძარში იმ იმედით, რომ ამ გზით მიიღებენ ისინი ტაძრისათვის შეწირულ

მამულებს. რაკი, მაშასადამე, პრეტენდენტი და კანდიდატი ბევრია, მეფე ბრძანებს: ვისი საფლავიც ყველაზე საპატიოა, ყველაზე „უპატიოსნესია“, „მისი არს ეკლესიისა გასაგებელი ყოველი სამართლად, უკეთუ ენებოს ერთა“, სამართლით მას ეკუთვნის ტაძრის მთელი საგამგეო, თუ ერმა ისურვოსო (ერი ისევ ჩნდება სცენაზე!). მაშინ ტაძრის ერთი მსახურთაგანი, „კლიტეთმპყრობელი“, მოახსენებს მეფეს, რომ ასეთია როსტომის საფლავი, რომელიც მას მიცემული აქვს „ყოველთა ცხრაძმისკეველთაგან“ და ამიტომ, „უკეთუ ინებოს მეფობამან თქუენმან, მას შეჰგავს ყოველი გასაგებელი ეკლესიისა, მსახურება თქუენი და მთავრობა შვიდთა მათ ჭევთაჲ“, თუ თქვენი დიდებულება ინებებს, როსტომს შეჰფერის ტაძრის საგამგეო (მამული!), თქვენი სამსახური და ამ ხეობის მთავრობაო. მეფე ერთხელ კიდევ კითხულობს ერის ნებას: „ვითარ ჰნებავს ერთა“-ო? და პასუხად გაიგებს, რომ „ჰნებავს იგი ყოველთა ჭევთა შ უ ა მ კ ვ ი დ რ ო ბ ი ს ა თ ჳ ს“, როსტომი უნდა მთავრად მთელს ხეობას, რადგანაც მას სამკვიდრებელი, რეზიდენცია ცენტრში (იგულისხმება საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობის ცენტრი) აქვსო. მეფე ამის შემდეგ ნიშნავს როსტომს ერისთავად: „მაშინ მიუბოძა შვიდნი ესე ჭევნი გასაგებელად, ეკლესიანი და ყოველნი აზნაურნი მკვიდრნი მას შინა და უწოდა ერისთავი ცხრაძმის ჭევისა და შემოსა სამოსლითა მით, რომელ ემოსა მაშინ მეფესა, და შეაცვა ბეჭედი და საყურე და სარტყელი თვისი, საჭურველი და ცხენი თოროსანი, დროშა და ‘შუბი“. როსტომი იღებს მთელი ხეობის გამგებლობას, ტაძრებს და ამასთან ერთად მასვე უქვემდებარებენ ხეობის აზნაურებს. გარდა ამისა, თავის თანამდებობის ნიშნად ის მოიპოვებს უფლებას ატაროს სათანადო გარეგნული ნიშნები, რომელთა შორისაც სპეციალურად იპყრობს ყურადღებას საკუთარი საომარი ფარაღი და აგრეთვე ცხენის მძიმე საჭურველი [1].

§ 5. საერთო დასკვნები

რა თქმა უნდა, მთელი ეს სურათი საკუთრივ ფეოდალურ სამყაროს ეკუთვნის და პირველ რიგში ამ სამყაროს განვითარებისათვის არის საინტერესო. მაგრამ მასში, ჯერ ერთი, უეჭველად არის უფრო ძველი ელემენტი და, გარდა ამისა, საანალოგიოდაც მას დიდი მნიშვნელობა აქვს. უწინარეს ყოვლისა, ჩვენთვის საყურადღე-

[1] იხ. „ქრონიკები“, წ. II, გვ. გვ. 1—18. ავტორი ამზადებს ამ ძეგლის კრიტიკულ გამოცემას.

ბოა ძეგლის მკაფიო და დაჟინებითი ჩვენება რომ სოციალურ-პოლიტიკურ მწვერვალისკენ მოძრაობა, ასევე ვთქვათ საბოლოო საფეხურებზე, საბოლოო ანგარიშით, ტაძრის მემამულეობის გზით ხდება. ვინც „საყდრის შვილია“, ტაძრის მსახურია, ამ მემამულეობის რეალური, ფაქტიური, სუბიექტიც ის არის. შემდგომი მეტამორფოზი მსახურიდან ბატონისაკენ შედარებით ადვილი საქმეა.

ლარგვისის ქრისტიანულ ტაძრის მიწები მეფე-ფეოდალთა მიერ არის შეწირული. პირველყოფილ საზოგადოების თავისუფალ თემში კი ამ მიწას თვით თემი გამოჰყოფს საერთო საზოგადოებრივ ფონდიდან. გვაროვნულ საზოგადოების ყოველ ერთეულს (გვარი, ფრატრია, ტომი ან, სხვა დაყოფით, დაბა (სოფელი), ხევი, სოფელი (ქვეყანა) მოეპოვება გარკვეული თავისუფალი მიწის ფონდი, რომელიც გადარჩა გვარისშვილთა პირად სამეურნეო საჭიროებას. ამ ფონდიდან „ერი“ გამოჰყოფს გარკვეულ ნაკვეთებს, რომელთა საშუალებითაც ის აკმაყოფილებს თავის საზოგადოებრივ დაწესებულებათა საჭიროებებს ან ანაზღაურებს თავის მოხელეების შრომას. მაგრამ ვიდრე ამ კომუნას თავისი სუვერენული უფლებები შერჩენილი აქვს, ეს მიწის ნაჭრები განკუთვნილია საზოგადოებრივ დაწესებულებებისა და სამოხელეო თანამდებობებისადმი, და არა ამ დაწესებულებათა წარმომადგენელ ან ამ თანამდებობათა მატარებელ პირებისადმი. უკანასკნელნი ხომ იცვლებიან „ერის“ ნებით: დღეს ერთია, ხვალ შეიძლება მეორე იყოს. მითვისება ამ მიწებისა აღნიშნულ პირთა მიერ ღრმა საზოგადოებრივ ცვლილებას მოასწავებს.

თავისებურ პირობებში, რომელთა შესახებაც ჩვენ ზემოთ ვსაუბრობდით (იხ. § 2), მონათმფლობელთა წრიდან გამოსულნი, ეს ტაძრის მსახურნი, ქურუმების სახით, გაბატონებულ სოციალურ კლასად იქცევიან. ქართველ ტომებში, ჩვენ გვგონია, ეს პროცესი დაკავშირებული იყო ინტენსიურ მებოსტნეობის კულტურისა და, უკანასკნელზე დაქვემდებარებით, მებაღეობის ნიადაგზე ზოგიერთ სამუშაოს (კერძოდ, ირიგაციისა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის კალენდარულ განსაზღვრის) საზოგადოებრივ კონტროლისა და განწესრიგების აუცილებლობასთან (სათანადო არგუმენტაციაზე აქ,

უადგილობის გამო, სამწუხაროდ, ვერ შევჩერდებით). ეს პროცესი დაიწყო და ვითარდებოდა სამხრეთის ერთ-ერთს შორეულ რაიონში, საიდანაც, როგორც ვფიქრობთ, ქართველი ტომები მოსულნი არიან თავიანთ დღევანდელ სამშობლოში. აქ საჭიროა შევნიშნოთ: ქ ო ბ ულ კ ლ ა ს ა დ, ر ო მ ი ს ი ნ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ტ ო რ ე ბ ი ა რ ი ა ნ. ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ში ე ს პ რ ო ც ე ს ი პ ი რ უ კ უ ხ დ ე ბ ო დ ა. წინასწარი ერთგვარი ეკონომიური დიფერენციაციაა არის აუცილებელი პირობა საზოგადოებრივ ფუნქციების უზურპაციისა და საზოგადოებრივ მიწების მიტაცებისათვის. როსტომი უკვე ეკუთვნის, ეკონომიურად და სოციალურად, გაბატონების გზაზე დამდგარ ჯგუფს. სხვა არა იყოს რა, გარკვეული ეკონომიური საფუძველი სჭირია როსტომისა და მის რაზმელების სამხედრო თვისებათა (საუკეთესო შეიარაღება, სამხედრო გაწვრთნილობა და სხვ.) წინასწარ შემზადებას. ასევეა თეოკრატიის წარმოშობის შემთხვევაშიც. ეკონომიურად დაწინაურებული, სხვებთან შედარებით, ჯგუფი, დიფერენციაციის გზაზე შემდგარ საზოგადოებაში, მონოპოლიურად ითვისებს ტაძრების სამსახურს, ტაძრების მამულების გამგეობას, იმდროინდელ ცოდნის მარაგს, რომელიც ქურუმთა ხელშია, და ამრიგად გზას იკაფავს თავის საბოლოო კლასობრივ გაბატონებისაკენ.

ტაძრების მამულს გარდა, სათემო მიწებიდან გამოყოფილი არის ხოლმე აგრეთვე გვარის, თემის, საერო (როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო), სამოხელეო დაწესებულებათა საჭიროებისათვისაც სათანადო მიწის ნაკვეთები. XI ს., ბაგრატ IV ოპიზის მონასტერს სწირავს სოფელს და ამბობს: ... „თავსავე ჩემსა დავათმინე: ავიღე სამამასახლისოჲსა სამსახურებლისა ჩვენისაგან სოფელი ბარევანი და მივეც ოპიზართა“ (საქ. სიძვ. II, 4; პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. სამართლ. ისტ., I, 174), ე. ი., მე თვითონ მოვიკელი და ჩემი „სამამასახლისო სამსახურებელიდან“ სოფელი შევსწირეო. რა თქმა უნდა, ეს მიწისმფლობელობა სულ სხვა, ახალ, ნიადაგზე იყო წარმოშობილი. მაგრამ თავისთავად ტერმინი ძველია და უდავოდ მიუთითებს იმაზე, რომ გვაროვნულ საზოგადოებაში არსებობდა გარკვეული მიწის ფონდი, რომელიც „მამასახლისის სამსახურის“ ასანაზღაურებლად იყო თემის მიერ გამოყოფილი. ასეთივე „სამსახურებელი“ მიკუთვნებული ჰქონდა სამხედრო ბელადს, „წინამძღვარს“

(შეადრ. ცხრაზმის ციხისთავის შესახებ ცნობა). ეს მიწები, რომელნიც თავდაპირველად „ერის“ საკუთრებას შეადგენენ, შემდეგ კერძო საკუთრებად იქცევიან მიტაცების გზით.

ყოველივე თქმულის ნიადაგზე გასაგები უნდა გახდეს სტრაბონისეულ იბერიის საზოგადოების ხასიათი. ეს არის გარდამავალი ტიპის საზოგადოება. აქ წარმოების სხვადასხვა წესები ებრძვიან ერთმანეთს. თავდაპირველმა დიფერენციაციამ მოგვცა გაბატონებული ჯგუფი ქურუ|მებისა, რომელნიც მონათმფლობელთა კლასს ეკუთვნიან და რომელთა პოლიტიკურ ბატონობის ფორმაც განსაზღვრული თეოკრატიის ხასიათს ატარებს. მაგრამ წარმოების მონათმფლობელურ წესს, რომელიც წარმოადგენდა ქურუმთა ბატონობის საფუძველს, არ მიუღია, როგორც ჩანს, საქართველოში ისეთი ფართო ხასიათი, რომ ის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების საძირკველი გამხდარიყო, როგორც ეს მოხდა, ვთქვათ, რომსა და საბერძნეთში. გვაროვნულ საზოგადოების ერთმანაწილმა (მესამე გენე, „ერი“) დიდხანს, ფეოდალურ ურთიერთობის საბოლოო გაბატონებამდე, შეინარჩუნა ერთგვარი ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ნაწილი თავის ძველ პოლიტიკურ უფლებებისა. უფრო ხუსტად და აქა-იქ ამ წრეშიც ვხვდებით მონის შრომის გამოყენებას, სოციალურსა და პოლიტიკურ სფეროში—გვაროვნულ წყობილების ნაშთებს, მაგრამ ეკონომიკურად მაინც ამ ფენის უმრავლესობა წვრილ მესაკუთრე მწარმოებლებისაგან შესდგება. ყველაზე გვიან ამ საზოგადოებაში ისახება ფეოდალური წესი წარმოებისა, რომელიც თანდათან უპირისპირდება მონათმფლობელურს. ყმის შრომის ექსპლოატაციას თავდაპირველად და ყველაზე ადრე „სეფე-სახლი“, სამეფო სახლი

ეწევა. მეფის ხელისუფლება დიდხანს ატარებს აქ თეოკრატიულ ხასიათს, რადგანაც მის (მონარქიის) სოციალურ დასაყრდენს ქურუმები წარმოადგენენ. მაგრამ აღნიშნულ ნიადაგზე უეჭველად უნდა ჩასახულიყო და განვითარებულიყო ჯერ სუსტად, შემდეგ თანდათან სულ უფრო და უფრო ძლიერად, წინააღმდეგობა მეფესა და ქურუმებს შორის (ანალოგიურ პროცესს ჩვენ მრავალს ძველ ქვეყანაში ვხედავთ). ეს მით უფრო შესაძლებელი ხდებოდა, რომ ფეოდალური ურთიერთობა ისახებოდა და ვითარდებოდა იბერიის საზოგადოების ძირითად ფენაში, სტრაბონის „მესამე გენეში", ქართულ „ერში". ამ „მესამე გენეს", „ერის", მთელი შემდეგდროინდელი ისტორია იმაში მდგომარეობს, რომ იგი სულ უფროდაუფრო მკვეთრად და შეურიგებლად იყოფა ორ ბანაკად: უმრავლესობა თანდათან ჰკარგავს თავის ძველს|ძირითად ქონებრივსა და სოციალურ-პოლიტიკურ უფლებებს და „მეოთხე გენეში", „გლეხობაში" გადადის (თავის მდგომარეობის მიხედვით). უმცირესობა კი ჰქმნის იმ კლასს, რომელსაც ჩვენ ფეოდალებს ვეძახით. ამ კლასს გარკვეული ურთიერთობა უჩნდება ძველს გაბატონებულ წოდებასთან — ქურუმებთან — და მეფესთან. ეს ურთიერთობა თანდათან იღებს მტრულ ხასიათს ქურუმთა მიმართ, ხოლო მონარქიისათვის იგი თავდაპირველ მსახურისა და მოკავშირიდან მთავარ სოციალურ საყრდენად იქცევა, როცა თვით მონარქია ფეოდალურ პოლიტიკურ ორგანიზაციის ხასიათს იღებს. ასეთია ძირითადი ხაზი იბერიის საზოგადოების შემდეგდროინდელ განვითარებისა.

დასავლეთ საქართველოს შესახებ ჩვენ ნაკლები ცნობები მოგვეპოვება. მაგრამ აქაც, რაკი კლასობრივ საზოგადოების ისტორიის დასაწყისში თეოკრატიულ მომენტს ვხვდებით, განვითარება დაახლოებით მსგავსივე უნდა ყოფილიყო.

ეს ჩვენს მიერ აღნიშნული თეოკრატიული მომენტი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ მერმინდელ ფეოდალურ საზოგადოების ზოგიერთი მოვლენა. შესაძლოა, მაგ., მის ნიადაგზე აიხსნებოდეს ის ფაქტი რომ ძველ კახეთის სამთავროს მფლობელი საეკლესიო-იერარქიულ ტიტულს ატარებს (თუ რომ ეს ტიტული მართლაც „ქორეპისკოპოსი"-ა). შესაძლოა აგრეთვე მას უკავშირდებოდეს ის გარემოება, რომ ახალ კახეთის სამეფოში სამხედრო ოლქების („სადროშოების") სათავეში საეკლესიო პირები, ეპისკოპოსები, დგანან. და, უეჭველია, აღნიშნულ სათავიდან მომდინარე ტრადიციების ნიადაგზე უნდა აიხსნებოდეს ის მნიშვნელობა, რომელიც ფეოდალის ფსიქო-იდეოლოგიურ სამყაროში უჭირავს სასაფლაოსა და კარის ეკლესიას (საილუსტრაციოდ იხ. სია სამცხის თავადებისა, რომელნიც მცხეთის კათალიკოსის სამწყსონი არიან. აქ ოცამდე დიდი მფლობელი გვარია ჩამოთვლილი და თვითეულის შესახებ სპეციალურად აღნიშნულია, რომ მას „სასაფლაო მონასტერი და კარის ეკლესია მოეპოვება", ამ წესით: „სამძივარი მისითა სასაფლაოთა მონასტრითა და კარის ეკლესიითა", „სპასალარნი **ს ა მ ი თ** სასაფლაოთა მონასტრებითა და კარის ეკლესიითა" და სხვ.[1]). ამ ტრადიციებს შესაძლოა აგრეთვე გავლენა მოეხდინათ მონასტრების მერმინდელ ეკონომიურ როლზედაც. ყოველივე ამის შესახებ დაწვრილებით თავის ადგილას ვისაუბრებთ.

---

[1] Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, 79—80. ს. კაკაბაძე, კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, 7—8.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

უძველესი პოლიტიკური ისტორია

§ 6. ადრინდელ პოლიტიკურ ისტორიის ფაქტები

ასეთი იყო მდგომარეობა პირველ საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებამდე (ან, შესაძლოა, უფრო ადრეც). მერმინდელ განვითარების გასაგებად მნიშვნელოვანია იმდროინდელ პოლიტიკურ ისტორიის ამბების გათვალისწინება.

ჩვეულებრივად, საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას იწყებენ რომაელთა შემოსვლით ამიერ-კავკასიაში. ამის მიზეზი ის არის რომ ამ დროიდან მოყოლებული განსაკუთრებით მრავლდება ცნობები საქართველოს შესახებ ბერძნულ-რომაულ მწერლობაში. მაგრამ ჩვენ საშუალება გვაქვს ზოგადად მაინც წარმოვიდგინოთ უფრო ადრინდელი პოლიტიკური ვითარებაც.

თავი რომ დავანებოთ ქართულ ეროვნულ ტრადიციებს (ამ ტრადიციებს ჯერ კიდევ კრიტიკული შესწავლა სჭირდება, თუმცა ისინი უეჭველად შეიცავენ ჭეშმარიტების ელემენტს; მაგ., ამ ქართულ ცნობების შედარებით სომხურთან ირკვევა, რომ ეს ძველი იბერიის მეფეები ფ ა რ ნ ა ვ ა ზ ი ა ნ თ ა დ ი ნ ა ს ტ ი ა ს ეკუთვნოდნენ)—უაღრესად საყურადღებოა ბერძენ ისტორიკოსისა და გეოგრაფოსის ა პ ო ლ ო დ ო რ ი ს (ცხოვრობდა II ს. ჩვენს ერამდე) ცნობა რომ ი ბ ე რ ი ა ს ს ო მ ხ ე თ ი ს ა გ ა ნ მ დ. ა რ ა ქ ს ი ს ა ზ ღ ვ რ ა ვ ს[1]. მაშასადამე, იბერია საკმაოდ ვრცელი სახელმწიფოა, და, მასთან ერთად, ძლიერიც, როგორც ეს ჩანს პლუტარქის ცნობიდან რომ წინათ „იბერიელები არ ემორჩილებოდნენ არც მიდიელებს, არც სპარსელებს და მაკედონელთა ბატონობაც მათ თავიდან აიცილეს“-ო[2].

---

[1] ცნობა დაცული აქვს სტრაბონს, გეოგრაფია, წ. I, თ. III, § 21, SC, I, 98.

[2] SC I, 492..

პირველი დიდი ზიანი მცხეთის სამეფოს მიაყენეს ანტიოქოზ დიდის სარდლებმა — არტაქსიამ და ზარიადრემ, — რომელთაც სომხეთის (არმენიის) სამეფოები დააარსეს და, კერძოდ, იბერიას წაართვეს სამხრეთი პროვინციები — პარიადრის მთის კალთები, ხორზენე და გოგარენე [1]. ეს უნდა მომხდარიყო მეორე ს-ის დამდეგს, ასე რომ აპოლოდორის ცნობა ამაზე ადრინდელ ხანას ეკუთვნის.

კოლხეთის ძველი სამეფო, როგორც ჩანს, იბერიასთან შედარებით, ადრე დასუსტებულა.

ჰეროდოტე გვიამბობს: ირანის მბრძანებელ აქემენიდების სასარგებლოდ „კოლხებმა იკისრეს ძღვენი ისევე, როგორც მათმა მეზობლებმა კავკასიონის ქედამდე (ვინაიდან ამ ქედამდე ვრცელდება სპარსელების ბატონობა, ხოლო კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნები არც კი ფიქრობენ სპარსელებზე). ამრიგად, ისინი ჩვენს დროებამდისაც ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იხდიან მათ მიერ ნაკისრებ ძღვენს, სახელდობრ ას ბიჭსა და ას გოგოს“ [2]. ასეთი ყოფილა, მაშასადამე, კოლხეთში მდგომარეობა, დაახლოებით, ძვ. წ. მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ჰეროდოტეს ცნობა, რომ სპარსელთა ბატონობა კავკასიონის ქედამდე ვრცელდებოდაო—პლუტარქის ზემოთმოტანილს ცნობასთან შეპირისპირებით, რომ იბერიელები არც მიდიელებისა და არც სპარსელების მორჩილებაში არასოდეს არ ყოფილანო. ნიშნავს ეს იმას, რომ მეხუთე საუკუნის დამდეგისათვის იბერიელები თავიანთ მერმინდელ მიწა-წყალზე ჯერ კიდევ დამკვიდრებულნი არ არიან? ჰეროდოტემ არაფერი იცის იბერთა არსებობის შესახებ ამიერ-კავკასიაში. ძველი ქართული საისტორიო მწერლობის წარმოდგენითაც, ქართველები თავის დღევანდელ სამშობლოში ალექსანდრე მაკედონელის ხანაში მკვიდრდებიან, ე. ი., მეოთხე საუკუნის დამლევს ძვ. წ. მაგრამ როგორც სათანადო წყაროები, ისე თვით საკითხიც ჯერ კიდევ დეტალურ შესწავლას მოითხოვს.

რა მოსდის კოლხეთს შემდეგ საუკუნეებში, კარგად არ ჩანს. არ ვიცით, ჰეროდოტეს მიერ აღნიშნული დამოკიდებულება აქემენიდებისაგან როგორ ვითარდებოდა მეხუთე საუკუნის დამლევსა და მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში. ყოველ შემთხვევაში, მეოთხე

---

[1] სტრაბონი, წ. XI, თ. 14, § 5.

[2] III, 97; SC I, 9.

საუკუნის დამლევიდან, როცა იწყება აქემენიდების სამეფოს დაქვეითება, საფიქრებელია, რომ კოლხები სრულიად თავისუფალნი | არიან ამ შორეულ მბრძანებელთა გავლენისაგან. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ უკვე არტაქსერქსე III-ის მეფობაში (358—338), რომელიც ძველი ირანის უკანასკნელი ძლიერების ხანად ითვლება, აქემენიდების მიერ დაპყრობილი მთელი რიგი ქვეყანა და ტომი აჯანყების ცეცხლშია გახვეული. ხოლო როცა ალექსანდრე მაკედონელმა ბოლო მოუღო წინა აზიის ამ უზარმაზარ სახელმწიფოს (330 წ.), მაშინ, რა თქმა უნდა, კავკასიის ხალხებსაც და, მათ შორის, კოლხებსაც, შეეძლოთ სავსებით თავისუფლად ამოესუნთქათ.

ძერმინდელი ხანის, უფრო, ალბათ, მეორე საუკუნის (ძვ. წ.) მდგომარეობას ასწერს სტრაბონი, როცა მოუთხრობს: კოლხეთის „შემდეგდროინდელი (სტრაბონის აზრით, აეტის, მედეას მამის, მომდევნო; მაგრამ აქ აშკარად დარღვეულია ისტორიული პერსპექტივა. ს. ჯ.) მეფეები ჰფლობდნენ „სკეპტუზიებად" (განსაზღვრულ საგამგეო ერთეულებად. ს. ჯ) დაყოფილ ქვეყანას და მოკლებული იყვნენ განსაკუთრებულ ძალას" [1].

განსაკუთრებული როლი, ამ მხრივ, კოლხეთის ისტორიაში პონტოს სამეფომ შეასრულა. ამ სამეფოს, რომელსაც უკვე რამდენიმე საუკუნის არსებობის ისტორია ჰქონდა, ეჭირა მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი (შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროები). განსაკუთრებულ სიძლიერეს პონტომ მითრიდატ ევპატორის მეფობაში (III—I სს. ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებამდე) მიაღწია. მითრიდატმა თავის სამეფოს შემოუერთა მრავალი მეზობლად მდებარე თემი, მათ შორის შავი ზღვის მთელი კავკასიური სანაპირო და თვით ყირიმიც. ამრიგად, მითრიდატმა დაახლოებით პირველი საუკუნის პირველი ათეულის დამლევს (ძვ. წ.) „კოლხების მეომარი ხალხი" „დაიმორჩილა" [2]. ეს დამორჩილება არსებითად ვ ა ს ა-

[1] წ. XI, თ. II, § 18; SC I, 137.

[2] აპიანე, 15, იქვე 526: თარიღისათვის გარკვეულ მასალას იძლევა ავტორისავე ცნობა, რომ სულასთან ბრძოლაში მითრიდატის სარდალს არქელაეს ჯარში ჰყავდა თრაკიელები, პ ო ნ ტ ო ს ს ა ნ ა პ ი რ ო ს მ ცხ ო ვ რ ე ბ ნ ი, სკვითები, კაბადუკიელები, ბითინიელები, გალატები, ფრიგიელები და ყ ვ ე ლ ა ს ხ ვ ა ტ ო მ ი, რ ო მ ე ლ ნ ი ც ა ხ ა ლ დ ა მ ო რ ჩ ი ლ ე ბ უ ლ ი ი ყ ვ ნ ე ნ მ ი თ რ ი დ ა ტ ი ს მ ი ე რ ო. ეს ომი კი მოხდა 86 წ. ძვ. წ. სტრაბონის ცნობითაც, კოლხეთი გადავიდა მითრიდატის მფლობელობაში, როცა ეს მეფე „განსაკუთრებით გაძლიერდა", წ. XI თ. II, § 19, რაც დაახლოებით იმავე დროზე მიუთითებს.

ლ უ რ დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს დ ა მ ყ ა რ ე ბ ა ს მოასწავებდა და არ ნიშნავდა პოლიტიკური დამოუკიდებლობის სრულ მოსპობას. თავდაპირველად კოლხებს მითრიდატისაგან მ ე ფ ე დ გ ა მ ო უ თ ხ ო ვ ი ა თ | თავისთვის მისი შვილი, რომელსაც აგრეთვე მითრიდატი ერქვა სახელად. მითრიდატმა ჯერ შეუსრულა კოლხებს ეს თხოვნა, მაგრამ შემდეგ, დაეჭვებულმა, რომ შვილი განდგომას აპირებდა, ალბათ ძველი სახელოვანი კოლხეთის სამეფოს აღდგენის იდეით გატაცებული, უკან გაიწვია საეჭვოდ ქცეული ბატონიშვილი და სიკვდილით დასაჯა კიდევაც იგი[1]. შემდეგ მითრიდატი კოლხების მმართველად ერთ-ერთს დიდებულთაგანს ნიშნავს ხოლმე, „თავის მეგობართა“ რიცხვიდან, როგორც ამბობს სტრაბონი. დანიშნული, სტრაბონისავე ცნობით, ითვლება მეფის „ნაცვლად“ კოლხეთში და „ქვეყნის მმართველად“ (ὕπαρχος καὶ διοικητὴς τῆς χώρας). ერთერთი ასეთი „ნაცვალი“ ყოფილა სტრაბონის დედის ბიძა მოაფერონი. შემდეგ სტრაბონი მეტად საყურადღებო ცნობასაც დასძენს: „აქედან (ე. ი. კოლხეთიდან) იღებდა მეფე (მითრიდატი) უმნიშვნელოვანეს (უმთავრესს) შემწეობას თავის საზღვაო ძალებისათვის“[2]. ეს „შემწეობა“, უნდა ვიფიქროთ, ორგვარი იყო: ა) აქედან იღებდა მითრიდატი ხომალდების საშენ ხე-ტყის მასალას, რომლითაც განთქმული იყო კოლხეთი; ბ) აქვე შოულობდა მითრიდატი, ალბათ, თავისი უდიდესი ფლოტისათვის თვით მეზღვაურებსაც, რომელნიც,—ადვილად წარმოსადგენია,—გამოდიოდნენ კოლხების ტომის, ლაზების, წრიდან: უუძველესი დროიდან მოყოლებული ჩვენს დრომდე ლაზები (ჭანები) სახელგანთქმული არიან სწორედ, როგორც შავი ზღვის საუკეთესო ნაოსნები. სტრაბონის ჩვენების ერთგვარ განმარტებას წარმოადგენს აპიანეს ცნობა, რომ რომაელების საწინააღმდეგო ომის ფარულ სამზადისში, მითრიდატი „ჰკრავდა კავშირს თრაკიელებსა, სავრომატებსა და სკვითებთან, ელჩებს უგზავნიდა მეზობელ მეფეებს, ა შ ე ნ ე ბ დ ა ხ ო მ ა ლ დ ე ბ ს, ჰ კ რ ე ბ დ ა ხ ო მ ა ლ დ ე ბ ი ს მ ე ქ ი მ ე ე ბ ს ა (πρωρέας) და მ ე ს ა ჭ ე ე ბ ს (κυβερνήτας)“[3].

---

[1] იქვე, 527.

[2] გეოგრაფია, წ. XI, თ. II, § 18; SC I, 137.

[3] დასახ. თხზ., 527.—მენნონის (I და II სს. მიჯნა, ახ. წ.) ცნობით მითრიდატმა „ომით დაიმორჩილა მეფეები, რომელნიც ფაზისის გასწვრივ მკვიდრობენ კავკასიონის გადაღმა მდებარე მხარეებამდის“, SC I, 510. არ ჩანს, ვინ იგულისხმება აქ კოლხების მეფის გარდა.

ხომალდების საშენი მასალის, მექიმეების და მესაჭეების გარდა, კოლხები იძულებული იყვნენ მითრიდატისათვის ხარკიც ეძლიათ. ხოლო ცნობილია რომ თანდათან გაზრდილმა მოხარკეობამ მითრიდატის წინააღმდეგ დიდი მოძრაობა წარმოშვა პონტოს მიერ დამორჩილებულსა და შემოერთებულს ქვეყნებში.

ამ მოძრაობისაგან არც კოლხები ყოფილან გამოთიშულნი: იგივე აპიანე გვიამბობს, რომ, დაახლოებით, 83 წ. მითრიდატი „ეომებოდა განმდგარს კოლხებსა და ბოსფორელებს“ [1]. დიდი შედეგები ამ აჯანყებებს არ მოჰყოლია და კოლხეთი მითრიდატის მფლობელობის ქვეშ დაახლოებით მესამედი საუკუნის განმავლობაში მაინც გამწედ იმყოფებოდა, ვიდრე არ დაემხო თვით მითრიდატი და მისი სამეფო და ვიდრე რომაელების ლეგიონებმა აქ გამარჯვების დროშა არ ააფრიალეს.

რომაელთა გამარჯვება მნიშვნელოვანი იყო აღმოსავლეთ საქართველოსთვისაც. იგი უფრო დაწვრილებით უნდა განვიხილოთ.

§ 7. რომაელთა შემოსვლა ამიერკავკასიაში

საქართველოს სამხრეთით ამ დროს, პონტოს სამეფოს გარდა, კიდევ ორი დიდი სახელმწიფო არსებობს—არმენია (სომხეთი) და პართია (ირანი). სომხეთიც სწორედ ამ ხანებში (პირველ საუკუნის პირველი ნახევარი ჩვენს ერამდე), ტიგრან დიდის მეფობაში, ისეთ ძლიერებას აღწევს, რომლის მსგავსიც მას შემდეგში არასოდეს არ უნახავს. მესამე დიდი სახელმწიფო, რომელიც საქართველოდან სამხრეთ-აღმოსავლეთით და სომხეთის უშუალო მეზობლად მდებარეობდა და რომელმაც მითრიდატისა და ტიგრანის სახელმწიფოებზე უფრო დიდხანს შეინარჩუნა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და სიძლიერე, იყო პართია, სადაც არშაკიდების ცნობილი დინასტია მეფობდა.

ამ ქვეყნებს სამხრეთ-დასავლეთიდან თანდათან უახლოვდებოდა რომის მსოფლიო სახელმწიფო, რომელმაც მცირე აზიაში ფეხი პირველად 133 წ., ძვ. წ., ჩადგა, ხელთ იგდო რა პერგამი. რომის მთავარი მოპირისპირე მხარე წინააზიის ტერიტორიაზე გაბმულ ეკონომიურსა და პოლიტიკურ ურთიერთობაში იყო, რა თქმა უნდა, პართია, როგორც ეს შემდეგში უფრო ცხადად გამოჩნდება, მაგრამ იმ ხანაში, რომელსაც აქ ვეხებით, რომის მმართველ წრეების ყურადღებისა

[1] დასახელებ. თხზ. 527; 80 წ. მითრიდატი კიდევ ეომება ახლებს, რომელნიც კოლხებს ზემოთ ცხოვრობდნენ, მერმინდელს ჩერქეზულ სანაპიროზე, იქვე.

და ზრუნვის მთავარ საგანს პონტოს სამეფო წარმოადგენს, რომელიც სწრაფად ძლიერდება და აშკარად გამოდის რომის კონკურენტის როლში. ამ ბრძოლაში მითრიდატი ინიციატივის მთლიანად თავის ხელში ჩაგდებასაც-კი სცდილობს. გარდა თავის ტერიტორიის გაფართოებისა ჩრდილოეთისაკენ, რაც ზემოთ იყო აღნიშნული, მითრიდატი პოლიტიკურსა და სამხედრო კავშირს აბამს სომხეთსა და იბერიასთან და იმდენსაც-კი ახერხებს რომ ბრძოლა თვით საბერძნეთის ტერიტორიაზე გადააქვს და იტალიაში შეჭრასაც ლამობს. ასეთ ვითარებას რომის სამხედრო ძალების მაქსიმალური დაჭიმვა უნდა გამოეწვია, მით უმეტეს რომ, როგორც რომის ისტორიის სპეციალისტები ამტკიცებენ, მითრიდატის მიერ შექმნილი მდგომარეობა იყო ერთი ძირითად მიზეზთაგანი რომში წარმოშობილ უსაშინელეს ეკონომიურ გაჭირვებისა, რომელიც ძალუმად არყევდა გაბატონებულ საზოგადოებრივ ფენების არსებობის პირობებს და ამწვავებდა კლასობრივ ურთიერთობას. მითრიდატის წინააღმდეგ ლაშქრობაში უშუალოდ იყო დაინტერესებული არმიაც, რომელიც ამ დროს წარმოადგენს დეკლასირებულ ელემენტებისგან დაქირავებულ მასას. თუ საზოგადოდ ძველ სამყაროში ომიანობის ერთი უძლიერეს სტიმულთაგანი ხარკი და ალაფია (ნატყვენავი), მით უმეტეს, რომის ხსენებულ არმიისათვის საშოვრისადმი მისწრაფებას გარკვეული მიზნები უნდა დაესახა პონტოს სამეფოს მიმართულებით, სადაც უმდიდრესი ნადავლი და, უწინარეს ყოვლისა, თვით მითრიდატის საყოველთაოდ განთქმული განძები ყველას თვალწინ ეხატებოდა. თუ როგორი მნიშვნელობა ჰქონდა რომის არმიისათვის მცირე აზიაში ლაშქრობას, ჩანს იქიდან რომ „ყველაფერი, რასაც კი შეეძლო რაიმეგვარი წინააღმდეგობა გაეწია (თვით რომში) გენერლისათვის, რომელსაც თავისი ჯარისკაცები მიჰყავდა მცირე აზიაში ადვილსა და გაუთავებელ საშოვარზე, შეუბრალებლად ნადგურდებოდა“. გაჩაღდა ბრძოლა, რომელმაც ოც წელზე მეტი გასტანა. ეს ხანგრძლივი ბრძოლა ბოლოსდაბოლოს მითრიდატის განადგურებით გათავდა. მასთან ერთად დამარცხება იწვნიეს მითრიდატის მოკავშირეებმაც. ძლევამოსილი რომაელები ჯერ სომხეთში შევიდნენ, სადაც მითრიდატის სიძემ, მეფე ტიგრანმა, მუხლმოდრეკით თავისი სამეფო ნიშნები, სრული მორჩილების ნიშნად, ჩააბარა რომაელების სარდალს, ცნობილ პომპეუსს. ეხლა ჯერი მითრიდატის დანარჩენ მოკავშირეებზე იყო მიმდგარი. პირველ რიგში პომპეუსს, როგორც

ჩანს, იბერია და კოლხეთი ჰქონდა მიზანში ამოღებული. აქეთკენ ლტოლვილ მითრიდატს მისდევდა და აქეთკენვე მოითხოვდა გზის დანებებას ალბანელებისაგან სომხეთში დაბანაკებული პომპეუსი. ალბანელებმა ჯერ გზა მისცეს რომაელებს, მაგრამ შემდეგ თავს დაესხნენ მათ, რადგანაც რომაელების საბოლოო გამარჯვება მაინც, როგორც ჩანს, არაფრად ეპიტნავებოდათ და მომენტიც ხელსაყრელად მიაჩნდათ (პომპეუსს მათ ქვეყანაში | ზამთარმა მოუსწრო). დამარცხებულმა ალბანელების მეფემ პატიება ითხოვა და მიიღო კიდეც. რომაელების სარდალმა ალბანელებთან ზავი შეჰკრა და იბერიისაკენ გასწია. ეს ქვეყანა თურმე უძლეველად ითვლებოდა. მცხოვრებნი „რიცხვით ალბანელებს არ ჩამოუვარდებოდნენ, მეომრობით-კი მათ წააცილებდნენ კიდევაც“ [1]. იბერიის მეფემ არტაგმა, რომელსაც, ზოგის ცნობით, ვითომც ძალიან უნდოდა მითრიდატისთვის ესიამოვნებინა [2], რომაელებისთვის თვალის ახვევა სცადა: ზავის შესახებ მოლაპარაკება გამართა, ფარულად-კი სამხედრო სამზადისს აწარმოებდა. პომპეუსმა ეს ეშმაკობა შეუტყო, თვითონ დასწრება არჩია და თავს დაესხა. სასტიკ ბრძოლების შემდეგ, რომლებმაც თითქოს იბერების მხრით 9.000 მოკლული და 10.000 ტყვე კაცი იმსხვერპლეს [3], არტაგიც, ალბათ გვირგვინის დაკარგვის შიშით შეპყრობილი, იძულებული შეიქნა მორჩილება ეღიარებინა და შეესრულებინა რომაელების მთავარი საზავო პირობა: მძევლებად მიეცა მათთვის თავისი შვილები (გარემოება, რომელიც მიუთითებს არტაგის მონარქიულ უფლებებზე, როგორც აღნიშნული გვაქვს თავის ადგილას)[4]. გარდა ამისა, ქართველთა მეფემ პომპეუსს ძღვენიც მიართვა: სარეცელი, მაგიდა და ტახტი, ყველაფერი ოქროსგან გაკეთებული [5]. აღსანიშნავია უბრალო ქართველ მეომართა სიმამაცე და თავ-

---

[1] პლუტარქი, 34, SC I, 492; აპიანეული, 103, ალბანელებმა და იბერიელებმა პომპეუსის წინააღმდეგ 70.000 მეომარი გამოიყვანეს.

[2] ასე ირწმუნება პლუტარქი, მაგრამ ნამდვილად ქართველები თავიანთ ხაკუთარ ინტერესებისთვის ზრუნავდნენ. ეს ჩანს აპიანეს ცნობიდან, 101, SC I, 529 რომ პომპეუსისაგან 66 წ. დამარცხებულსა და კოლხეთისკენ ლტოლვილ მითრიდატს სადღაც, ჭოროხს სამხრეთით, გზას ეღობავენ ისრებითა და ქვებით, ხოტენელები და იბერიელები.

[3] პლუტარქი, იქვე, 492.

[4] დიონ კასიუსი, SC I, 614.

[5] პლუტარქი, დასახ. თხზ. 493; აპიანე, იქვე, 531.

განწირულება მოსეულ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. მეფისა და სარდლებისგან მიტოვებულნი, იბერიის ჯარის უდიდესი ნაწილის განადგურების შემდეგაც, ცალკე მეომარნი ტყეებში გაფანტულან, და აქ კიდევ იბრძოდნენ თავისუფლების დასაცავად, უშენდნენ რა რომაელებს ისრებს მაღალ ხეებზე ასულნი. მხოლოდ შემდეგ, როცა ეს ხეები მოსჩეხეს, დაიღუპნენ ეს გმირები, როგორც გვიამბობს რომაელი ისტორიკოსი დიონ კასიუსი [1].

ქართლიდან (იბერიიდან) პომპეუსი მდ. ფაზისით კოლხეთში ჩავიდა. იქ, ქალ. დიოსკურიაში (თანამედროვე სოხუმი) წინა ზამთარი გაატარა ლტოლვილმა მითრიდატმა, რომელიც ახალს გრანდიოზულ გეგმებს აწყობდა რომაელების წინააღმდეგ [2]. მაგრამ ვიდრე მითრიდატი მეზობელ ქვეყნებში ამ გეგმების განხორციელებას სცდილობდა, კოლხეთი, განსაკუთრებული ბრძოლის გარეშე, ჩაბარდა რომაელებს. „კოლხეთის სკეპტუხი" („სკიპტროსანი", მეფე?) ამ დროს ყოფილა ვიხმე ოლთაკი, ალბათ მითრიდატის ნაცვალი ამ ქვეყანაში.

პომპეუსი სრულ გამარჯვებას დღესასწაულობდა და როცა მან, რომაელ სარდალთა ჩვეულების თანახმად ტრიუმფალური მსვლელობა მოიწყო და თავის ეტლის წინ 324 კაცი გაიძღოლა, ზოგი ტყვე და ზოგიც მძევალი, დამარცხებულ მეფეთა ყოფილი მთავრები („ჰეგემონები"), შვილები და სარდლები („სტრატეგები"), ამ „ამალაში" ყოფილან ხსენებული ოლთაკიცა და ქართველთა (იბერიელების) სამი მთავარიც („ჰეგემონი") [3].

§ 8. რომთან დამოკიდებულების ხასიათი. ურთიერთ ინტერესები ა/კავკასიაში

პომპეუსის ლაშქრობა ამიერ-კავკასიაში მოხდა 65 წელს ჩვენს ერამდე, თითქმის სრული ორი ათასი წლის წინათ. რა მოუტანა მან ჩვენს ქვეყნებს? პომპეუსი სხვადასხვანაირად მოექცა თავის მოწინააღმდეგეებს იმისდა მიხედვით, თუ როგორს დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ ისინი რომის მთავარ მტერთან, მითრიდატ ევპატორთან. მითრიდატის საკუთარ საშფლობელოს რომაელებმა ოკუპაცია უყეეს. სტრაბონი გადმოგვცემს, რომ მითრიდატი თავდაპირველად

---

[1] კასიუსი, SC I, 613.
[2] აპიანე, იქვე, 529.
[3] იქვე, 537.

ჰფლობდა ტერიტორიას, რომელიც ისაზღვრებოდა მდ. ჰალისით, ტიბარანებსა და სომხებამდის, და გარდა ამისა, ჰალისის გამოღმა, პაფლაგონიის ზოგიერთ ნაწილებსა და სხვა ადგილებს ამასტრეამდის, რომ შემდეგში მითრიდატმა ამ თავის მიწა-წყალს მიუმატა დასავლეთიდან სანაპირო ჰერაკლეამდის, ხოლო, მეორე მხრით, — კოლხეთსა და მცირე არმენიამდის (იგულისხმება, ამათის ჩართვით) და ეს ადგილებიც პონტოს შეუერთაო. „პომპეუსმა, — განაგრძობს სტრაბონი,—დაამარცხა რა იგი (მითრიდატი), ხელთ იგდო (დაეუფლა) ეს ქვეყანა, აღწერილ (ასეთ) საზღვრებში მოქცეული ადგილები არმენიასა და კოლხეთთან მან გაუყო თავის თანამოსაგრე დინასტებს“, დანარჩენი თემები კი ბითინიას შეუერთაო [1].

ამრიგად, კოლხეთიც, როგორც მითრიდატის სამეფოს ნაწილი, რომაელების მიერ დაპყრობილ ქვეყნებს უნდა მივათვალოთ. და, მართლაც, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ პომპეუსს კოლხეთში თავისი კაცი, ვინმე არისტარხი დაუდგენია მმართველად. რომაელი ისტორიკოსები ევტროპი და ფესტი (IV ს.) ამტკიცებენ, თითქოს არისტარხი მეფედ (regem) იყო დანიშნული [2]. ამ მხრივ არისტარხმა თავისთავად ის მოწმობა დაგვიტოვა, რომ ბერძნულ წარწერიანი ფული მოსჭრა, როგორც კოლხეთის მფლობელმა. ეს ფული მოღწეულია ჩვენს დრომდე. ფესტის ცნობაში ყურადღებას იქცევს ისიც, რომ არისტარხი იხსენიება არა მარტო კოლხების, არამედ ბოსფორელების მეფედაც. შემდეგშიაც ჩვენ ვხედავთ, რომ კოლხეთი მეზობელ ქვეყნებთან, უმთავრესად, ბოსფორსა და პონტოსთან, არის დაკავშირებული პოლიტიკურად.

48 წ. ჩვენს ერამდე კოლხეთი ბოსფორის მეფეს ფარნაკს, მითრიდატ დიდის შვილს, დაუპყრია, შემდეგ-კი იგი პონტოს მეფეებს (ჯერ პოლემონს, უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ მის ქვრივს, პომპეუსის რჩეულ მეგობრის, პითოდორის, ასულს, პითოდორიდას) ეკუთვნოდა [3], ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე. მითრიდატის მოკავშირეებს-კი რომაელები სხვარიგად მოექცნენ.

---

[1] გეოგრაფია, XII. თ. 3, § 1.

[2] ევტროპი, S C II, 319: ფესტი, იქვე, 323.

[3] სტრაბონი, გეოგრაფია, XI. თ. II. § 18.

აქ მფლობელი დინასტიები ხელუხლებლად იქნენ დატოვებულნი, რაც ამ ქვეყნებისათვის შეტს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას შოასწავებდა. სამაგიეროდ ამ ქვეყნებს რომის „მეგობრობა“ (ფილია φιλία, ამიციცია amicitia) დაეკისრათ, თუმცა ზოგმა მათგანმა, მაგ. სომხეთმა, თავის ტერიტორიის ნაწილიც დაჰკარგა[1]. კერძოდ, იბერიის დამოკიდებულება რომისადმი მომდევნო საუკუნეებში გამოხატულია ყოველთვის ამ ტერმინით, რომელიც მაინც ერთგვარი იძულებითი ხასიათის ურთიერთობას გულისხმობს, რაც თუნდ იქიდანაც ჩანს, რომ ეს „ფილოკესარები“ და „ფილორომეები“, ე. ი. იმპერატორისა და რომაელთა მეგობრები (იხ. მაგ., მცხეთის ცნობილი წარწერა[2]) ზედიზედ აჯანყებას აწყობენ თავიანთ მაღალ „მეგობრების“ წინააღმდეგ. იბერიაში პომპეუსის ლაშქრობის მომდევნო წლებში რამდენიმე ასეთი აჯანყებაა ცნობილი. ისინი ბოლოსდაბოლოს მარცხით თავდებოდა და „მეგობრობა“ ისევ აღდგენილი იყო ხოლმე. რაში მდგომარეობდა იგი?

თუ ერთდროულ ლაშქრობას შესაძლოა მიზნად ალაფიც ჰქონოდა (მოვიგონოთ ცნობა რომ არტაგმა პომპეუსს „მიართვა ძღვნად“ ოქროს სარეცელი, მაგიდა და ტახტი), აღწერილს ესოდენ ხანგრძლივ ურთიერთობას, რა თქმა უნდა, უფრო ღრმა მიზეზები უნდა ჰქონოდა. კერძოდ, იბერია რომ ავიღოთ, რომისა და იბერიის „მეგობრობა“, წყაროების ენით თუ ვიტყვით, „ს ი მ მ ა ქ ი ა შ ი“ συμμαχία, ე. ი. ს ა მ ხ ე დ რ ო კ ა ვ შ ი რ შ ი გამოიხატებოდა[3], რომელსაც, რა თქმა უნდა, ც ა ლ მ ხ რ ი ვ ი ხ ა ს ი ა თ ი ჰ ქ ო ნ დ ა. იბერია იძულებით იყო მასში შებმული და სასიამოვნოსაც ამ კავშირში, როგორც უკვე ვამბობდით, ბევრს ვერაფერს ხედავდა. იბერიის ეს სამხედრო სამსახური რომის აღმოსავლეთ სანაპიროს სამხედრო ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ უნდა ყოფილიყო მიმართული, ზოგადად რომ ვთქვათ, ხოლო, კერძოდ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო რომისთვის ჩრდილოეთისკენ გამყვან გზების კონტროლი ადგილობრივ ძალების საშუალებით.

---

[1] ანკირიის ძეგლი, SC II, 41.

[2] Помяловский, Сборник греческих и латинских надписей Кавказа. გვ. 68.

[3] დიო კასიუსი, SC I, 620; აპიანე, 113, ამბობს რომ პომპეუსმა ფარნაკი „გამოაცხადა რომაელთა „მეგობრად და მოკავშირედ“ (φίλου καὶ συμμάχου).

ამ გზების ხასიათი მშვენივრად აქვს განსაზღვრული ძველ ქართველ ისტორიკოსს, რომელიც ამიერ და იმიერ-კავკასიის დამაკავშირებელ გზათა შორის ორს უმთავრესს ასახელებს: „ისწავეს ხაზართა ორნივე ესე გ ზ ა ნ ი, რომელ არს ზ ღ უ ი ს კ ა რ ი — დარუბანდი და ა რ ა გ უ ი ს კ ა რ ი, რომელ არს დარიალანი“ (ლეონტი მროველი, მარ. გვ. 8–9). ეს, მართლაც, იყო, ერთი მხრით, არაგვის კარის ანუ დარიალის მსგავსი, კავკასიონის საუღელტეხილო გარდასასვლელები ანუ, ძველ ქართულ ტერმინოლოგიით, „ზეკარები“ [1]; ხოლო, მეორე მხრით, ვიწრო ოლქები კავკასიონის უკანასკნელ კვერნაქებსა და ზღვას შორის, დარუბანდის გასასვლელის მსგავსად, რომელნიც, როგორც ვნახეთ, ზ ღ ვ ი ს კ ა რ ე ბ ა დ იწოდებოდნენ. ერთნიც და მეორენიც მართლაც კ ა რ ე ბ ს წარმოადგენდნენ (და ეხლაც წარმოადგენენ) იმათთვის, ვისაც ამ უზარმაზარ ბუნებრივ მასივების გადალახვა ჰსურდათ. ამით აიხსნება, რომ ყველა ხალხი ამ პუნქტებს | „კარებს“ ეძახდა: სპარს. „დარ“ (=კარი) ხომ დღესაც დაცულია მათ სახელწოდებაში — „დარბანდ“ (=„დახშა კარი“) და „დარ-ი-ალან“ (=„ალანთა კარი“ ანუ „ოვსთა კარი“, ქართული ნომენკლატურით), ბერძნებიც მათ πύλα: ს (=ჭიშკარი) უწოდებდნენ, რომაელები — portae, სომხები — դուռ-ն (კარი), აგრეთვე არამეველებიც და სხვ.

• იბერიის ტერიტორიაზე მდებარეობდა ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამ კართაგან, დ ა რ ი ა ლ ი ს ხ ე ო ბ ა. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მთავარი მნიშვნელობა ჰქონდათ დღევანდელ სამხედრო ოსეთის გზას და, აფხაზეთში, იმ გადასასვლელებს, რომელთაც კოდორის ხეობიდან მდ. ყუბანისა და მის შენაკადების აუზებში გადაჰყავთ. გამოყენებული იყო აგრეთვე სვანეთის საუღელტეხილო გზებიც, და ზოგიერთი სხვაც, რომელთაც ყველა ერთნაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმდროინდელ ტექნიკის პირობებში, განსაკუთრებით როცა საქმე ეხებოდა დიდი მასების მოძრაობას. საქართველოს ფარგლებს გარეშე სხვა გზებიც არსებობდა. მათ შორის განსაკუთრებით ცნობილი და მნიშვნელოვანი იყო ზემოთ დასახელებული დარუბანდის ყელი, დაღისტნისა და დასავლეთ-

[1] ტერმინი „ზეკარი“, რომელიც. თავდაპირველად. მხოლოდ მსაზღვრელი სიტყვა იყო, შემდეგში საკუთარ სახელად იქცა და დღესაც დაცულია მრავალ სათანადო პუნქტში, მიუთითებს რა ამ გეოგრაფიულ ადგილების აღწერილ მნიშვნელობაზე ძველ ხანაში; შეადრ. „ზეკარის“ უღელტეხილი ბაღდათ-ახალციხის გზაზე. მისი ნამდვილი სახელია „რკინისკვარის ზეკარი“, და მრავალი სხვ.

კავკასიონის გასასვლელები და გადასასვლელები. ამ გზებს, ჯერ ერთი, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ კავკასიონის სამხრეთით მდებარე ყველა სახელმწიფოსათვის. ჩრდილოეთ-კავკასიის ვრცელი ტრამალები (ველები) წარმოადგენდნენ აგრეთვე მსოფლიო შარაგზას, რომელზედაც უძველეს, ისტორიისათვის ცნობილ, დროებიდან მოყოლებული განუწყვეტლივ მოძრაობდნენ ტომთა და ხალხთა დიდი მასები, რომელნიც ჩვეულებრივად აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიეშაროებოდნენ. სკვითები, სარმატები *, ჰუნები, თურქები, ხაზარები, პაჭანიგები, ყივჩაყები, მონღოლები და მრავალი სხვა ერთმანეთს ეცვლებოდნენ ამ გზაზე და მორიგეობით ასვამდნენ თავიანთ ბეჭედს აქაურობას. თითქმის ყველა ეს ტომი მეჯოგე ტომი იყო, რომლისთვისაც თავდაპირველ სამშობლოს ცენტრალური აზია წარმოადგენდა. რადგანაც მეურნეობის ამ დარგისათვის „ფართო, დაუსახლებელი, ადგილები მთავარ პირობას შეადგენს“ [1], ბუნებრივ გამრავლების შედეგად, ეს ტომები ვეღარ ეტეოდნენ თავიანთ სამშობლოში და საძოვრებისა და ალაფის მაძიებელ ეთნიკურ ტალღების სახით ეფინებოდნენ მეზობელ ტერიტორიებს, სადაც, ი'შვიათად და ზოგჯერ მეურნეობის გამოცვლასაც ახერხებდნენ, უმეტეს წილად-კი ისევ ისე /მეჯოგე ტომებად რჩებოდნენ, რომელნიც ბინადარ ხალხებისათვის სამეზობლოდ არასოდეს სასურველნი არ ყოფილან. ერთ-ერთი მთავარი სადგური ამ ტომებისათვის ჩრდილოეთ-კავკასიის მოხსენებული ტრიალი ველები იყო. აქედან ისინი კავკასიონის გადალახვასაც ახერხებდნენ აღნიშნულ კარებით, ზოგჯერ ძალიან ღრმადაც იჭრებოდნენ სამხრეთის ქვეყნებში და ყველგან ცეცხლი და მახვილი მიჰქონდათ. ზოგჯერ მათ სპეციალურადაც იწვევდნენ, როგორც საუცხოო მეომრებს, რომელნიც მზად იყვნენ ქირისათვის ყოველგვარი სამხედრო დავალება შეესრულებინათ. ცხადია, ვის ხელშიაც ეს კარები იმყოფებოდა,—ჩრდილოეთის ნომადების სამხრეთისაკენ მოძრაობაც მის ნებასურვილზე ეკიდა, და ამიტომვე უნდა ყოფილიყო ამ კარებით დაინტერესებული რომის მთავრობაც, რომელიც წინააზიაში თავის მტკიცე დამკვიდრების საკითხს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

რომაელი ცნობილი მწერალი, პლინიუს სეკუნდი (გარდ. 79 წ., ახ. წ.), ასე განსაზღვრავს დარიალის მნიშვნელო-

* ამ სიტყვათა გასწვრივ ლეგენდში ავტორს მიუწერია «ალან-ოვსები».
[1] კ. მარქსი, პოლიტ. ეკონომიის კრიტიკისათვის, ტფ. 1932, გვ. 20

ბას: ...„კავკასიის კარები, რომელთაც მრავალნი, მეტად შემცთარად, უწოდებენ კასპიისას, უზარმაზარი ქმნილებაა ბუნებისა, მთების უეცარი გაპობის შედეგი. თვით გასასვლელი მოზღუდულია რკინით შემოჭედილ დირეებით. მათ ქვეშ მიედინება მყრალი მდინარე, ხოლო გამოღმა აგებულია კუმანიად წოდებული სიმაგრე, აგებული იმ მიზნით, რათა დააბრკოლონ მრავალრიცხოვან ტომების გადმოსვლა“ (ნატურალ. ისტ., წ. VI, § 30).

გარდა სამხედროსი, ამ გზებს სრულიად გარკვეული ეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდათ; არა მარტო ამ დროს, არამედ ბევრად უფრო ძველ ხანაშიაც ისინი იმდროინდელ საქონლის გამტარებელ არხების როლს ასრულებდნენ [1]. გასაგებია რომ საქმის ამ მხარისათვისაც რომაელებს თავისი ყურადღება უნდა მიექციათ. მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას რომის ინტერესთა სფეროში, რომელნიც ამ მხარეებისაკენ იყვნენ მიმართულნი, ჩვენ ვანიჭებთ მონათმფლობელთა საჭიროებებს. რომაელთა გაბატონებულ კლასების მეურნეობა, რომელიც მონის შრომის გამოყენებაზე იყო დამყარებული თითქმის მთლიანად და რომელიც „მუდმივ ზრდაში მყოფი | კატონის დროიდან მოყოლებული იმპერატორების ეპოქამდე, ეროვნულ სამეურნეო ფორმად იქცა“, საჭიროებდა მუდმივსა და, ამასთან ერთად, ან მეტად იაფს ან სავსებით მუქთს, წყაროს მონებისას. „და რაც უფრო იზრდება თვით წარმოება, მით უფრო იზრდება მოთხოვნილება მონებზე და მისწრაფება შეიძინონ მონები რაც შეიძლება უფრო იაფად“. მონების ასეთ წყაროს წარმოადგენდნენ ან პირდაპირი ომები, ან ისეთი მონათვაჭრობის ბაზრები, სადაც წვრილ თარეშების, თავდასხმებისა და მოტაცება-დატყვევების გზით შეძენილი მონები (თავისუფლებას მოკლებულნი პირნი) სასურველ დაბალ ფასებში ისყიდებოდნენ. რომის ეკონომიურ და პოლიტიკურ ვანვითარების მკვლევართა აზრით, მონათა მოპოვების საჭიროებით აიხსნება, სხვათა შორის, ის სანაპირო

[1] სტრაბონი, მაგ., XI, თ. V, § 8. მოგვითხრობს რომ კასპიის ზღვის ჩრდილო სანაპიროებზე მცხოვრები აორსები ეაქრობდნენ ინდოეთისა და ბაბილონის საქონლით, რომელსაც იღებდნენ არმენიელებისა და მიდიელებისაგან, და რომელიც მათ აქლემებით გადაჰქონდათ. სიმდიდრის წყალობით ისინი ოქროს სამკაულებს ატარებდნენო.

ომები, რომლებსაც აწარმოებდა რომის ჯერ რესპუბლიკა, შემდეგ—იმპერია, და რომლებსაც უნდა შეევსოთ იმ დროისათვის საგრძნობად ქცეული ნაკლებობა მონებისა. მაგრამ როცა ეს დიდი ომები, რომლებიც ქრონოლოგიურად რესპუბლიკის უკანასკნელ პერიოდზე და იმპერიის პირველ საუკუნეებზე მოდის, ნელდება და, ამრიგად, მონათა ეს პირდაპირი წყარო თანდათან უფრო და უფრო იშრიტება,—ვრცელდება მონათა მოპოვების მეორე საშუალება—ადამიანთა მოპარვისა და მოტაცების საშუალებები. პირველ კეისრების—ავგუსტოსისა და ტიბერიუსის—დროს, მონათა ნაკლებობა რომში განსაკუთრებით საგრძნობი ყოფილა. ამ ნიადაგზე განსაკუთრებით გამრავლებულა ადამიანთა—როგორც თავისუფალთა, ისე მონათა—მოტაცების შემთხვევები და ტიბერიუსი იძულებული გამხდარა გამოეცა განკარგულება, რათა ეწარმოებინათ იტალიის ყველა მონათსადგომების შემოწმება მათში დაფარულ მოპარულ ადამიანების აღმოსაჩენად. ეს განკარგულება, ცხადია, მხოლოდ რომის მოქალაქეებს ესარჩლებოდა. თუ როგორი იყო რომაულ ბიუროკრატიის დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი პროვინციაში, ქვემოთ ვნახავთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მონების ასეთს, განსაკუთრებით მდიდარს, წყაროს წარმოადგენდა სარმატია, ე. ი. შავი ზღვისა და კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე ვრცელი ქვეყანა და მისი მიმდგომი ამიერ-კავკასია.

§ 9. მონათვაჭრობა და ტყვეთაყიდვა სარმატიასა და ამიერ-კავკასიაში

კლასიკურ მწერალთა ცნობით, სარმატიაში ფართოდ იყო გავრცელებული მონობა და მონით ვაჭრობა. 49 წ. სარმატიის ქალაქმა (როგორც ჩანს, შედარებით უმნიშვნელომ და პატარამ) უსპამ, რომელსაც ალყა ჰქონდა შემორტყმული რომაელებისა და მათი მოკავშირეების მიერ, თავისუფალ მოქალაქეთა შეწყალების სანაცვლოდ ათი ათასი მონა შეაძლია რომაელებს [1]. იმ მუდმივ ბაზართა შორის, რომელნიც მასობრივად აწვდიდნენ რომს მონებს (ქიოსი, ათენი, კუნძული დელოსი), ერთი პირველ ადგილთაგანი ეჭირა სწორედ სარმატიის უმთავრეს ქალაქს, ტანაისს, რომელიც მდ. დონის შესართავთან მდებარეობდა. აქაურ მონათვაჭრობის შესახებ სტრაბონი გვამცნობს, რომ, მაგ., „ქალ. ტანაიდი (მდებარეობდა მდ. დონის შესართავთან) წარმოადგენდა

[1] ტაციტი, SC II, 238-9.

(პირველ ს-ში ჩვენს ერამდე) საერთო საბაზრო ადგილს აზიელ და ევროპელ ნომადებისა და ბოსფორიდან ტბით (აზოვის ზღვით) მოსულ პირთათვის. პირველთ მოჰყავდათ და მოჰქონდათ მონები, ტყავ-ბეწვეული და სხვა, ნომადებისათვის ჩვეული, საქონელი, ხოლო სხვებს-კი სანაცვლოდ მიჰქონდათ სამოსი, ღვინო და სხვა საგნები, რომლებიც ცხოვრების ჩვენებურ წესს სჩვევია"-ო [1]. საქართველოს შესახებ ჩვენ მოგვეპოვება პირდაპირი ცნობა მეექვსე საუკუნიდან ჩვენი წელთაღრიცხვით რომ დასავლეთ საქართველოს მთავარ საექსპორტო საგანს მონები შეადგენდნენ. პირველი საუკუნისათვის ასეთი პირდაპირი ჩვენება, ჩვენს ქვეყანას რომ გულისხმობდეს, არ მოიპოვება. მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს შემთხვევითი ამბავია. ამას სხვადასხვა არაპირდაპირი მოწმობაც გვარწმუნებს. სტრაბონი ყირიმელების შესახებ, მაგ., ამბობს რომ „რაკი ისინი ანგაარნი არიან და ზღვასთან ახლოს ცხოვრობენ, თავს არ იკავებენ ძარცვა-გლეჯისა და სხვა ასეთ ბოროტმოქმედებათაგან, რომელნიც უკანონო საშუალებებს წარმოადგენენ გამდიდრებისათვის" [2]. კიდევ უფრო საინტერესოა ჩვენთვის სტრაბონისავე ცნობები შავი ზღვის აღმოსავლეთ (ნაწილობრივ თანამედროვე საქართველოს) სანაპიროს შესახებ, უფრო ზუსტად, ამ სანაპიროს იმ ნაწილის შესახებ, რომელიც მიახლოებით უდრის ტუაფსის, სოჩის და გაგრის რაიონებს. აქაური მცხოვრებნი (ახეები, ზიგები და ჰენიოხები) „ცხოვრობენ საზღვაო ძარცვა-გლეჯით, მეკობრეობით", რისთვისაც მათ სათანადო ნავებიც აქვთ, კ ა მ ა რ ე ბ ა დ წოდებულნი. „ამ თავიანთ კამარებით ისინი გადიან ზღვაში, თავს ესხმიან ხან საბარგო ხომალდებს, ხან რომელსამე ადგილს და ზოგჯერ ქალაქსაც-კი, და, ამრიგად, ისინი ბატონობენ ზღვაზე". ამ მეკობრეობის მიზანი და საგანი საერთოდ ნადავლი იყო, განსაკუთრებით-კი, როგორც ჩანს, ტ ყ ვ ე. „უცხო | ქვეყანაში ... ისინი ჰმალავენ ტყეებში თავიანთ კამარებს, თვითონ-კი ქვეითად დაძრწიან დღე და ღამე ა დ ა მ ი ა ნ თ ა ტ ყ ვ ე დ მ ო ტ ა ც ე ბ ი ს მ ი ზ ნ ი თ. მოტაცებულს ისინი ხალისით აძლევენ თავდახსნის საშუალებას, მისცემენ რა ცნობას დაზარალებულებს თავიანთ წასვლის შემდეგ". ცხადია, იმ შემთხვევაში, როცა ნათესავებს არ ჰქონდა შეძლება თავის ტყვის დახსნისა და გამოსყიდვისათვის, დაკარგულ ადამიანს სხვაგან ელო-

[1] სტრაბ-ნი, გეოგრ. XI, თ. II.
[2] იქვე, VII, თ. IV.

და გაყიდვა. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ამ ცნობის ის ადგილები, საიდანაც ჩანს, რომ რომაელები პირდაპირ აქეზებდნენ და ხელს უწყობდნენ ადამიანებზე მონადირე კავკასიელ პირატების ხელობას. „ზოგჯერ მათ ხელს უწყობენ ბოსფორის მფლობელები, რომელნიც აძლევენ მათ სადგომებს, ბაზარსა და ნაძარცვის გაყიდვის საშუალებას". ბოსფორის მფლობელები ამ დროს რომის ვასალები არიან და მათი ეს პოლიტიკაც სიუზერენის ინტერესებთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული. ბოსფორის ბაზრების მთავარი მუშტრები (განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, ცოცხალ საქონლის მიმართ) თვით რომაელები იყვნენ. მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა მომდევნო ცნობა. ამ პირატებისაგან უფრო დაცულნი არიან დამოუკიდებელი ქვეყნებიო, ამბობს სტრაბონი: „იმ ადგილებში, სადაც ადგილობრივი დინასტები არიან, დაზარალებულნი კიდევ პოულობენ ერთგვარ შემწეობას თავიანთ მფლობელებისაგან. ხშირად ისინი თვით ესხმიან თავს (მეკობრეებს) და ატყვევებენ კამარებსა და მათ ხალხს (ყაჩაღებს). მ ა გ რ ა მ ი მ ,ქ ვ ე ყ ნ ე ბ შ ი, რ ო მ ე ლ ხ ი ც რ ო მ ა ე ლ თ ა მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ქ ვ ე შ ი მ ყ ო ფ ე ბ ი ა ნ, მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა უ ფ რ ო უ მ წ ე ო ა ა ქ გ ა გ ზ ა ვ ნ ი ლ მ მ ა რ თ ვ ე ლ თ ა უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ო ბ ი ს გ ა მ ო"-ო [1]. ამ ქვეყანათა შორის, რა თქმა უნდა, პირველ რიგში დასავლეთი საქართველოა ალბათ ნაგულისხმევი, და სავსებით ცხადია, თუ რას უნდა ნიშნავდეს აქაურ, რომის მიერ დადგენილ, მმართველთა უზრუნველობა.

შენახულია ერთი უაღრესად საყურადღებო ცნობა, რომელიც მოწმობს, რომ პოლიტიკური რეჟიმი, რომაელების მიერ დამყარებული შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და კავკასიაში, ღრმად იჭრებოდა ამ ქვეყნების სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში და დიდ-დიდ ამბების გამომწვევ მიზეზადაც იქცეოდა.

სახელგანთქმული რომაელი ანალისტი გვიამბობს: „პონტში აჯანყდა მონა - ბარბაროსი (barbarum mancipium), რომელიც ოდესღაც სამეფო ფლოტის უფროსი იყო. ეს იყო ანიკეტი, პოლემონის აზატი (libertus), რომელსაც წინათ დიდი ძალა ჰქონდა და რომელიც გულმტკივნეული იყო იმ ცვლილებების გამო, სამეფო რომ პროვინციად აქცია. ვიტელის სახელით მან თავის მხარეზე გადაიბირა პონტოს ნაპირებზე მცხოვრები ხალხები, და ნა-

[1] სტრაბონი, გეოგრ. XI, თ. II.

დავლის იმედით შეაცდინა რა ყოველგვარი მაწანწალები, საკმაოდ მნიშვნელოვან ბრბოთი შეიჭრა ტრაპეზუნტში, ძველთაგანვე სახელოვან ქალაქში. იქ განადგურებულ იქნა კოჰორტა, რომელიც წინათ სამეფო დამხმარე რაზმი იყო, ხოლო შემდეგ ამ მეომრებმა მიიღეს რომაული მოქალაქეობა, დროშები და იარაღი ჩვენებური (ე. ი. რომაული სახისა), მაგრამ შეინარჩუნეს ბერძნული სიზარმაცე და დაუდევრობა. ანიკეტმა ცეცხლი წაუკიდა ფლოტსაც და დასცინოდა დაცარიელებულ ზღვას, რადგანაც მუკიანემ გადაიყვანა ბიზანტიაში საუკეთესო ლიბურნული ხომალდები და ყველა ჯარისკაცი. ამიტომ იყო რომ ბარბაროსები ამაყად მიდი-მოდიოდნენ ზღვაზე, სწრაფად ააშენეს რა ხომალდები, რომელნიც „კამარებად" იწოდებიან... ამ აჯანყებამ მიიპყრო ვესპასიანეს (69-79 ახ. წ.) ყურადღება. მან შეარჩია რაზმები ლეგიონებიდან და მათ უფროსად დაუნიშნა გამოცდილი მხედარი ვირდი გემინი. ეს სარდალი თავს დაესხა წყობილებამოშლილსა და საშოვრის დევნაში დაქსაქსულ მტერს და შერეკა ისინი ხომალდებზე. შემდეგ მან სახელდახელოდ ააგო ლიბურნიკები და მდინარე ხობის (fluminis Chobi) შესართავთან დაეწია ანიკეტს, რომელსაც აქ თავი უშიშრად ეგულებოდა სედოხეზების მეფის (Sedochezorum regis) შემწეობის წყალობით. ეს მეფე ანიკეტს გადაბირებული ჰყავდა მოკავშირედ ფულითა და საჩუქრებით. მეფე ჯერ იცავდა კიდეც შეხვეწილს მუქარით და იარაღით, მაგრამ როცა მას არჩევანი შესთავაზეს გაცემისათვის ჯილდოსა და ომს შორის, მან, იმ ვერაგობის თანახმად, რომელიც ბარბაროსებს სჩვევიათ, პირობა დასდო, რომ დაღუპავდა ანიკეტს და გასცა ლტოლვილნი. ასე მოეღო ბოლო მონებთან ომს (belloque servili finis inpositus)".[1] ადვილად შესამჩნევია, რომ აჯანყებას ორმაგი, როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური, ხასიათი ჰქონდა: თუ, ერთი მხრით, პონტოს, თავისუფლებისთვის მებრძოლი, ხალხები და ამ ხალხური მოძრაობის ზვირთებზე მოტივტივე, ადგილობრივი ყოფილი მმართველი წრეების ნაშთები და წვრილი მფლობელები (მიაქციეთ ყურადღება ცნობებს პ ო ნ ტ ო ე ლ ხ ა ლ ხ ე ბ ი ს გადასვლის შესახებ აჯანყების ორგანიზატორის, სამეფო ფლოტის ყოფილ უფროსის მხარეზე, და სედოხეზების მეფის როლის შესახებ) საკუთარი პოლიტიკური თვითმყოფობისათვის იბრძვიან რომაული ძალადობის წინააღმდეგ, მოძრაობის მიზნის ყველა საკუთარი გაგგ-

[1] ტაციტი, Historiae, III, 47-48 (SC II, 248-9).

ბით, მეორე მხრით, უეჭველია, რომ აჯანყება მნიშვნელოვნად არის გაჟღენთილი მონათა კლასობრივი ბრძოლის ელემენტით. ტყუილად კი არ ეძახის ავტორი ამ ამბებს „მონების ომს“ (გამონათქვამები „ბრბო“, „მაწანწალები“ და ცნობა აჯანყების მძარცველობითი ხასიათისა, ისევე, როგორც სედოხეზების მეფის მოსყიდვის შესახებ, რა თქმა უნდა, შესაძლებელია მონათმფლობელთა საზოგადოების წარმომადგენელი მწერლის ტენდენციის ნაყოფი იყოს).

ასეთი კომბინაცია მონათა მოძრაობისა განვითარების სულ სხვა ტენდენციებთან, რომელნიც ახალ საზოგადოებრივ ეპოქას წარმოადგენენ, საყურადღებო ზოგადი საკითხია. მაგრამ მისთვის ანგარიშის გაწევა მოგვიხდება საქართველოს ისტორიის მომდევნო პერიოდის განხილვისას, როდესაც ქართული ფეოდალიზმის დადგინების პროცესს შეეხებით.

აღწერილმა მოძრაობამ, როგორც თვით ცნობაშია ნათქვამი, შავი ზღვის სანაპიროს დიდი ნაწილი მოიცვა. უკანასკნელი აქტი-კი როგორც ჩანს, საქართველოში, თანამედროვე სამეგრელოში, გათამაშდა, რასაც მდ. ხობის დასახელება გვაგულისხმებინებს (ანტიკური მწერლობა ამ სახელით მხოლოდ სამეგრელოს მდინარეს იცნობს). „სედოხეზები“, ამ შემთხვევაში, რომელიღაც ადგილობრივი სატომო სახელია, გადამახინჯებული უცხოურ წყაროების მიერ. რეალ-ისტორიულად ეს „სედოხეზები“ ალბათ უდრიან „ლაზებს“, რომელთა სამთავროზე ბერძნულ-რომაული მწერლობა სწორედ ამ რაიონში მიუთითებს და რომელთა შესახებაც ამ მწერლობაში უფრო ზუსტი ცნობები იმავე ეპოქაში ჩნდება.

თუ ტაციტის ცნობაში სამხრეთის ხოფაა ნაგულისხმევი (რაც გაცილებით უფრო ნაკლებაა დასაჯერებელი), მაინც საქმე მეორე ქართველ ტომთან, ჭანებთან, გვექნება.

ტაციტის თხრობა უაღრესად საყურადღებო ჩვენებებს იძლევა „სედოხეზების“ პოლიტიკური ორგანიზაციის შესახებ: მათი „მეფის“ მთელი ქცევა გვარწმუნებს, რომ იგი ტომის ბელადი—მამასახლისი კი არ არის, არამედ უკვე პატარა დინასტი, რომელიც დიდი სახალხო მოძრაობის მთავარი მოღალატის როლში გამოდის. ამ მეფის ვერაგობას რომაელთა ისტორიკოსი „ბარბაროსების ზნე-თვისებით“ ხსნის, ნამდვილად კი აქ ეგოისტური კლასობრივი ინტერესების გამომჟღავნებას ჰქონდა ადგილი: მონათა მოძრაობა, რომელიც, როგორც ვთქვით, ამ აჯანყების ერთი მხარე იყო, ამ მეფეები-

სათვის, რომელნიც თვითონ არიან ალბათ მონათმფლობელნი, მიმ-ზიდველს არაფერს შეიცავდა, იგი, პირიქით, საფრთხეს უქმნიდა მათს კეთილდღეობას. ამიტომ იყო რომ გადამწყვეტ მომენტში სე-დოხეზების მეფემ გასცა აჯანყების ბელადი, თვითონ ყოფილი მონა და სოციალურად ასე თუ ისე დაკავშირებული ამ კლასთან, ანიკეტი, რომელიც, ამ მეფესთან „შეფარებული“, გულუბრყვილოდ, „თავს უშიშრად გრძნობდა“.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ადრინდელი ფეოდალიზაციის პროცესი

§ 10. რომთან დამოკიდებულების განვითარება, რომისა და ირანის ომები

ასეთი იყო ის მიზეზები, რომელნიც საფუძველს აძლევდნენ რომის მთავრობას ყურადღებით ეზრუნა თავის მტკიცედ დამკვიდრებისათვის ამიერ-კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში. რომის მფლობელობის კონკრეტული ფორმა დამოკიდებული იყო ძალთა ადგილობრივს რეალურ განწყობილებაზე. თავდაპირველად, ჩვენი ქვეყნების რომისგან დამოკიდებულება გამოიხატა, როგორც ვთქვით, იბერიისათვის — „სიმმაქიაში", იძულებით სამხედრო კავშირში, ხოლო კოლხეთისათვის განსაზღვრული ფორმის ვასალობაში. კოლხეთის მდგომარეობას ახასიათებს ის ფაქტი, რომ რომს დასავლეთ საქართველოში თავისი გარნიზონები ეყენა. ასე, მეორე საუკუნის დამდეგს რომაელთა ციხოვანი ჯარი მდგარა ქ. ფაზისსა (ფოთში) და სებასტოპოლში (სოხუმში) [1]. შემდეგში, ეს დამოკიდებულება იბერიისთვისაც ვითარდება მისი შემჭიდროების მიმართულებით. აქ დიდი როლი ითამაშა იმ გარემოებამაც, რომ რომის სუვერენიტეტს ამიერ-კავკასიაში საშიში მტერი უჩნდება ირანის (ჯერ არშაკიდების, ხოლო 226 წლიდან, სასანიდების მფლობელობის ქვეშ) სახით. ვიდრე რომაელები მითრიდატ ევპატორსა და მის მოკავშირეებს ურტყამდნენ, არშაკიდებს ეს თავისთვის ხელსაყრელად და სასურველად მიაჩნდათ და თავისუფლად დაანებეს რომს პონტოს სამეფოს განადგურება, დიდი სომხეთის ჩამოყვანა პატარა სამეფოს მდგომარეობაზე და სხვა მოკავშირეების დასუსტება. მაგრამ მას შემდეგ, რაც რომი და პართია (არშაკიდების სამეფო) ერთმანეთის პირისპირ მარტონი აღმოჩნდნენ და როდესაც რომმა საქვეყნოდ გამოამეღავნა, რომ მისი მიზნები და ინტერესები წინააზიაში მარტო მოკავშირეების სამხედრო დამარცხებით არ ამოიწურებოდა და რომ მას საჭიროდ მიაჩნდა აქ ფეხის | მტკიცედ მომაგრება და შემდგომი წინსვლაც, — ამის შემდგომ,

[1] არიანე, პერიპლი, SC I. 221—2.

პირველ საუკუნის შუაწლებიდან მოყოლებული ჩვენს ერამდე, ატ-ყდა მრავალსაუკუნოვანი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელ-შიაც ეს ორი დიდი სახელმწიფო პირველობისათვის ეცილებოდა ერთმანეთს. ბრძოლის ფრონტი გაჭიმული იყო კავკასიიდან სპარსე-თის ყურემდე. ამრიგად, იგი ჩვენს ქვეყნებსაც სწვდებოდა. და, რო-გორც ვამბობდით, არშაკიდების ამოცანა იმაშიაც მდგომარეობდა, რომ რომაელთა გავლენის სფეროდან გამოეგლიჯათ ამიერ-კავკასიის ქვეყნები და სომხეთიც. თავდაპირველად უპირატესობა აშკარად რომის მხარეზეა. ეს უპირატესობა დაადასტურა რომისა და პართიის საზავო ხელშეკრულებამ, რომელიც ნიზიბინში დაიდო 298 წელს, და რომელიც, სხვათა შორის, ჩვენს ქვეყნებსაც გულისხმობდა. ამ აქტის მიხედვით, იბერიის მეფეს სამეფო ნიშნები რომაელებისგან უნდა მიეღო[1]. ასეთი მოვალეობა ვასალიტეტის გარეგან გამოხატულებას წარმოადგენს, და, მაშასადამე, რომს არა მარტო შეურჩენია თავისი გავლენა აღმოსავლეთ საქართველოზედაც (დასავლეთი მას კიდევ მჭიდროდ ჰყავდა ჩაჭერილი), არამედ იმისთვისაც მიუღწევია, რომ ძველი „მეგობრობა“ (იძულებითი სამხედრო კავშირი) ვასალურ (თუმც, საფიქრებელია, სუბუქ ფორმის, როგორსაც ჩვენს მეზობელ სომხეთშიც ვხედავთ) დამოკიდებულებად უქცევია. რა თქმა უნდა, ეს ვასალური დამოკიდებულება ნიზიბინის ზავის მიერ კი არ იყო შექმნილი. ნიზიბინის ზავს შეეძლო მხოლოდ დაედასტურებინა ის მდგომარეობა, რომელიც უკვე არსებობდა. მაგრამ თანდათანობით გამარჯვების სასწორი ირანელებისაკენ იხრებოდა.

§ 11. „ერის“ (მესამე გენეს) განვითარება. „მძიმე აბჯრის“ მნიშვნელობა ამ განვითარებისათვის. ჯარის ხასიათი.

მივუბრუნდეთ შინაგან განვითარებას. ამ სამნახევარ საუკუნის განმავლობაში განვითარების მთავარ ფაქტს შეადგენდა „მესამე გენეს“, „ერის“, შემდგომი დიფერენციაცია. აქ, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, უკვე I საუკუნის დამდეგს ჩვენს ერამდე (და იქნებ უფრო ადრეც) ერთგვარი ბზარია გავლენული „მეომრებსა“ და „მიწისმოქმედთა“ შორის. ეს ბზარი ეკონომიკურ ნიადაგზეა წარმოშობილი. იბერიის ლაშ-

[1] პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I[3], 162, 256.

ქარს, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებულს — ომის — შემთხვევაში იკრიბება (სტრაბონი ამბობს. რომ მხოლოდ მთიელებს შეეძლოთ ჯარში ძრავალი ათეული ათასი მეომარი გამოეყვანათ; საერთოდ-კი იბერიის ჯარი თითქოს ალბა|ნელებისაზე მცირე იყო, ხოლო ეს უკანასკნელი უდრიდა 60.000 ჰოპლიტსა და 22.000 ცხენოსანსო[1]: მაშასადამე, იბერიის ლაშქრის რიცხვი 60—70 ათასამდის უნდა ვიანგარიშოთ), თავდაპირველად, მთელი „ერი", ე. ი. მესამე გენეში მოქცეული ნაშთი გვაროვნულ საზოგადოებისა, შეადგენს. მაგრამ რადგანაც, საფიქრებელია, შეიარაღება „ერის" საკუთარ ხარჯზე ხდება (მეფის ხარჯზე, ალბათ, მეფის მხოლოდ საკუთარი გვარდია, მეფის „მონა-სპა", მერმინდელი ტერმინოლოგიით, არის შეიარაღებული; მაგრამ მისი რიცხვი „საერთო ჯართან" შედარებით ეხლა უკვე მცირეა), შეიარაღების ხარჯების განსაკუთრებულ ზრდის შემთხვევაში, „ერის" მცირე შეძლე წევრები მოკლებული ხდებიან ფაქტიურ შესაძლებლობას გავიდნენ ჯარში. შეიარაღების გაძვირება დაკავშირებულია ლითონის (განსაკუთრებით, რკინის) იარაღის შემოღებასთან. კიდევ უფრო ძნელი ხელმისაწვდომი ხდება იარაღი მაშინ, როცა მ ძ ი მ ე ა ბ ჯ ა რ ი შემოდის: არა მარტო საკუთრივ საბრძოლო, არამედ მეომრის თავდასაცავი იარაღიც — ლითონის სამოსი და თავსაბურავი. ტყუილად კი არ ითვლება ფეოდალურ რაინდის მიუცილებელ გარეგან ნიშნად მისი „ჯაჭვ-ჭური" (მუზარად-ჯაჭვის პერანგი და სხვ.). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, როგორც ჩანს, თვით მეომრის შეიარაღებასთან ერთად, მისი ცხენის დაცვაც ლითონისაგან გაკეთებულ განსაკუთრებულ სამოსით. ასეთი მთლიანად ლითონში ჩამჯდარი მხედარი უძლეველად უნდა ყოფილიყო მიჩნეული მარტივად ხმალ-მშვილდ-ისრით შეიარაღებულ ქვეითისათვის.

ამასთან ერთად, თუ მოვიგონებთ რომ იარაღი ყველაზე ადრე იქცევა კერძო საკუთრების საგნად და რომ ის, როგორც მამაკაცის კერძო საკუთრების საგანი, მტკიცე მემკვიდრეობის (მამიდან შვილზე) განსაკუთრებით საყურადღებო და საზრუნავი ობიექტია აგრეთვე, რაც მერმინდელს ფეოდალურ ადათსა და კანონშიც მკაფიოდ ჩანს[2]—კიდევ უფრო ცხადი გახდება რომ იარაღს განსა|კუ|თრებული

[1] XI, თ. IV, § 5; შეადრ. ზემოთ, გვ. 181.

[2] ბექასა და ალბუღას კანონებით, ქალის დაქვრივების შემთხვევაში მზითევი ქალს ან მის მშობლებს ეკუთვნოდა. მხოლოდ აბჯარი უთუოდ ვაჟს უნდა დაჰრჩენოდა: თუ ქალი „შვილოსანი დაქვრივდეს, აბჯარი შვილთა მართებს რა სასა-

სოციალური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა და რომ იგი ხელს უწყობდა როგორც უკვე მიღწეულ, ისე ახალ, იარაღისვე საშუალებით მოპოვებულ, პრივილეგიების დამკვიდრებას და განვითარებას ინდივიდუალისტურ და კერძო მესაკუთრულ მიმართულებით.

სტრაბონისავე ცნობების მიხედვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორი იყო კონკრეტული ტიპი შეიარაღებისა იბერიაში პირველ საუკუნის დამდეგს ჩვენს ერამდე. ალბანელების შესახებ ცნობილი გეოგრაფი გვიამბობს, რომ ისინი „ომობენ ოროლებითა და მშვილდ-ისრით და შეჭურვილნი არიან ჯავშნითა და ფარით, აგრეთვე ნადირის ტყავის მუზარადით, იბერების მსგავსად“ [1]. კიდევ უფრო საყურადღებოა სტრაბონის გეოგრაფიის მეორე ცნობა, რომელიც უმთავრესად იბერიის სამხრეთ მეზობელს, სომხეთს, გულისხმობს. სტრაბონი ამბობს. რომ სისპირიტიდას (ცნობილი ძველი ქართული პროვინცია ს პ ე რ ი, თურქული ისპირი; აღებულ ხანაში სომხეთს ეკუთვნის) „აქვს მშვენიერი საძოვრები, რითაც იგი მიდიასაც არ ჩამოუვარდება, ისე რომ ნესაის ცხენებს, რომლებიც სპარსეთის მეფეს ემსახურებოდა, აქაც აშენებენ... მეორე მხრით, არტავაზდმა (იგულისხმება სომხეთის მეფე, ტიგრანის შვილი, ს. ჯ.) გამოიყვანა ანტონისთან, როდესაც მასთან ერთად მიდიაში შევიდა, ც ხ ე ნ ო ს ა ნ ჯ ა რ ი ს გ ა რ დ ა კ ი დ ე ვ ე ქ ვ ს ი ა თ ა ს ი შ ე ჯ ა ვ შ ნ უ ლ ი ც ხ ე ნ ი. ასეთ ცხენოსან ჯარის მოყვარულნი არიან არა მარტო მიდიელები და სომხები, არამედ აგრეთვე ა ლ ბ ა ნ ე-

ქონლო დიაცსა“... „გლეხთა ესე ქნან: ყოფილა-ცა რომე თუ დიაცი უშვილო მოკვდეს, ზითევი ნახევარი სულისა საურავად გაუშალ და ნახევარი-ღა სამშობლოს მართებს. და თუ ქალი დარჩეს — მას მართებს აქუნდეს: ვინცა გაზარდოს და ვაათხოვოს — მას მართებს, და აქუნდეს და მან გაატანოს. და თუ ვაჟიცა დარჩეს, აბჯარი — ვაესა და საქონელი — ქალსავე“. ამრიგად, აბჯარი უთუოდ ვაჟებს უნდა დაჰრჩენოდათ, მაგრამ, როგორც სავსებით ინდივიდუალურ საკუთრების საგანი, მამას თავისი იარაღი შეეძლო, რომელიც უნდოდა, იმ ვაჟისათვის მიეცა. როცა მე-16 ს-ში ბარათაანთ დიდი გვარი იყრებოდა, მემკვიდრეებს დავა აუტყდათ მამისეულ იარაღის გამო და გაყოფისათვის დამსხდარმა შუაკაცებმა ასეთი სამართალი გააჩინეს მოცემულ კაზუსის შესახებ: „მამისა მათისა აბჯარზედა ირჩოდეს. და გერმანოზ ასრე ისარჩლა: მამამან ჩემმან მისსა სიცოცხლესა შიგა მე მომცაო. ამისი ასრე გავაჩინეთ: თუ გერმანოზ მოწამე იშოვოს და შეაფიცოს ასრე, რომე მამას მათსა აბჯარი და აბჯრისა იარაღი გერმანოზისთუის და ანუ უმცროსისა ძმისათუის მიეცეს, თუ შეაფიცოს — სხვანი ძმანი ნუღარა სთხოვენ. და თუ ვერ შეაფიცოს — მამისა მათისა ეული არის და ისიცა ძმურად გაიყონ“: ქრნკ. II, 351.

[1] XI, თ. IV, § 5.

ლ ე ბ ი ც იმიტომ, რომ ისინიც ხმარობენ შეჯავშნულ ცხენებს“ [1]. ღრმად საინტერესო ცნობაა! ექვსი ათასი მძიმედ შეიარაღებული მეომარი, შეჯავშნულ ცხენზე ამხედრებული, გარდა ჩვეულებრივ ცხენოსან ჯარისა, — ეს სურათი მაშინვე მიგვითითებს იმ საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაზე, რომელსაც იგი განეკუთვნება.

აქ საყურადღებოა განსაკუთრებული ჩვენება რომ შეჯავშნულ ცხენებს ალბანელებიც ხმარობდნენ. ჩვენ სრული უფლება გვაქვს სომხეთიდან და ალბანეთიდან ეს დაწესებულება იბერიაშიც გადავიტანოთ, — თავის ადგილას უკვე ვამბობდით, რამდენი ანალოგიური მომენტია ამ ქვეყნების განვითარებაში. გარდა ამისა, სტრაბონი ხომ პირდაპირ ამბობს, რომ ალბანელებისა და იბერიელების შეიარაღება ერთნაირი იყო. ისიც ვიცით, რომ საწარმოო ძალთა განვითარების მხრივ იბერია ალბანეთზე შორს წინ იდგა და უფრო სომხეთს უსწორდებოდა, ხოლო საწარმოო ძალთა განვითარება განსაკუთრებით ადრე სწორედ ჯარის ორგანიზაციაში იჩენს თავს. „ომი უფრო ადრე ჩამოყალიბდა, ვიდრე მშვიდობიანობა; [განსამარტებელია] ის წესი, თუ როგორ განვითარდა ზოგი ეკონომიური ურთიერთობა, როგორიცაა დაქირავებული შრომა, მანქანები და სხვ., უფრო ადრე ომის გზითა და ლაშქარში, ვიდრე ბურჟუაზიულ საზოგადოების შიგნით. აგრეთვე დამოკიდებულება საწარმოო ძალასა და მიმოსვლა-მიმოზიდვის საშუალებებს შორის განსაკუთრებით თვალსაჩინოა ლაშქარში“ [2].

ასეთ მძიმედ შეიარაღებულ ძველ (მერმინდელ ხანის) ქართველ მეომრისგან აქვს გადმოღებული ჰაგიოგრაფს ის აღწერილობა, რომელიც მას ჰსურს არმაზის კერპის სურათად წარმოგვიდგინოს: „დგა კაცი ერთი სპილენძისაჲ და ტანსა მისსა ეცვა ჯ ა ჭ ვ ი ო ქ რ ო ჲ-ს ა ჲ და ჩ ა ფ ხ უ ტ ი ოქროჲსაჲ და ს ა მ ჭ ა რ ნ ი ესხნეს ფრცხილი და ბივრიტი და ჭელსა მისსა აქუნდა ჭ რ მ ა ლ ი ლესული“ [3]. რა თქმა უნდა, ეს ცნობა რამდენიმე საუკუნით გვიანდელია იმ ეპოქასთან შედარებით, რომელსაც აქ ვიხილავთ. მაგრამ, როგორც ვნახეთ, მსგავსი საომარი იარაღი ბევრად ადრე შემოდის. არის სხვა მოსაზ-

---

[1] XI, თ. XIV, § 9.

[2] მარქსი, პოლიტიკ. ეკონომ. კრიტიკისათვის, გვ. 33.

[3] ნინოს ცხ., შატბ.: Опис. II, 759.

რებებიც, რომლებიც ამასვე გვარწმუნებს, მაგრამ აქ მათზე ვერ შეეჩერდებით[1].

შეჯავშნულ ცხენის შესახებ აგრეთვე საყურადღებო ცნობები მოიპოვება ძველ ქართულ მწერლობაში. ვახტანგ გორგასლის შესახებ, მაგ., მემატიანე ამბობს, რომ ერთ-ერთ ბრძოლაში მეფე „აღჯდა ტაიჭსა, შეჭურვილსა ჯავშნითა, და აღიღო ფარი| მისი ვიგრის ტყავისა, რომელსა ვერა ჰკუეოდა მახვილი“ [2]-ო. სპეციალური ტერმინიც არსებობდა ძველ ქართულში, „თოროსანი ცხენი“, რომელიც სწორედ ასეთს ჯავშნიან ცხენს გულისხმობს. ამ ტერმინს უკვე იგივე ვახტანგის მემატიანე იცნობს. მისი ტექსტის სხვა ადგილებიდან, თუ ტერმინის ასეთ მნიშვნელობას გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რომ მეხუთე საუკუნის ქართლში არსებობდა განსაკუთრებული რაზმი ჯავშნიან ცხენოსნებისა და რომ ჯარისა და სამხედრო საქმის ორგანიზაცია საოცრად მოგვაგონებს იმ პირობებს, რომელიც ამ მხრივ სტრაბონის დროინდელ სომხეთში (და, მაშასადამე, იბერიაშიც) არის საგულისხმებელი. ოსეთს სალაშქროდ წასულ გორგასლის სპა, ე. ი. ჯარი, ასეა აქ აღწერილი: „სპანი იგი წარმოემართნეს განმზადებულნი, ცხენთოროსანნი და ჯაჭუ-ჩაბალახოსანნი წინათ-კერძო (ე. ი. წინა მხარეს) და მათსა უკან—ქუეითნი, და ქუეითთა უკანით—სიმრავლე მჴედართა, და ესრეთ მიჰმართეს. ხოლო ოვსნი წარმოდგეს ქარაფსა ზედა (ე. ი. კლდეზე) და დაასხეს ისარი, ვითარცა წვიმა მძაფრი. მაშინ მეფე ვახტანგ მოქცეულ იყო სპასა მისსა ზურგით, რჩეულითა მჴედრობითა, უზახებდა, განაძლიერებდა, ნუგეშინისცემდა სპათა მისთა. მაშინ წინათ ცხენ-თოროსანთა აღვლეს გზა ქარაფისა, აღჴდეს ვაკესა, და აღუდგეს უკან ქუე-

[1] ეხლახან გამოქვეყნდა ერთი მონოგრაფია, А. Амиранашвили,—Новая находка в низовьях р. Ингура, ტფილისის სახ. უნივერსიტეტის გამოც. 1925 წ., სადაც აღწერილია სამეგრელოში ნაპოვნ ერთი სამარხის ინვენტარი, რომელშიაც აღმოჩნდა, სხვათა შორის, ჯავშანიც. მკვლევრის აზრით, ეს არის ნაშთი „ერთ-ერთი სატომო თავადის, პატარა მეფის, მომავალ ფეოდალების არაშორეულ წინაპრის, მამაკაცის სამარხისა“ და ეკუთვნის I ს. მეორე ნახევარს—II ს. დამდეგს ანახ. წ., გვ. 71—ჩვენს შემთხვევაში, უკვე მთელი რაზმია ასეთ ჯავშანში ჩამჯდარი

[2] ჯუანშერი, მარ. 132.

ითნი და შემდგომად—სიმრავლე მჴედართა, და იქმნა ბრძოლა ძლიერი მათ შორის“ [1]. მაშასადამე, ქართლის ჯარი შესდგება ქვეითობისა, ჩვეულებრივ მხედრობისა, სპეციალურ სამხედრო ნაწილისა, რომელსაც ჯავშნიანი ცხენები ჰყავს, და, დასასრულ, რჩეულ მხედრების, ალბათ მცირე, რაზმისაგან, რომელიც, როგორც ჩანს, მეფის მცველია. ბრძოლის პროცესში ჯავშნიანი ცხენოსნები ავანგარდს შეადგენენ, მათს უკან ქვეითობა დგას, არიერგარდში-კი ჩვეულებრივი მხედრობაა. ცხადია, თუ რამდენად განვითარებულს საწარმოო ძალებსა და სოციალურ დიფერენციაციას გულისხმობს ჯარის ორგანიზაციის ეს ტიპი მოტანილ ფაქტების სინათლეზე. ეხლა ჩვენთვის გასაგები უნდა იყოს ნამდვილი მნიშვნელობა ქსნის ერისთვების ანალისტის ცნობისა, რომ როდესაც ჩვენთვის უკვე ნაცნობს როსტომ ბიბილურს მეფემ ერისთაობა უწყალობა, ამასთან ერთად უბოძა სათანადო გარეგნული ნიშნებიც: ...„შემოსა სამოსლითა მით, რომელ ემოსა მაშინ | მეფესა, და შეაცვა ბეჭედი და საყურე და სარტყელი თვსი, საჭურველი და ცხენი თოროსანი, დროშა და შუბი“-ო [2]. მაშასადამე, ერისთავს დანარჩენ მასისაგან განასხვავებდა, გარეგნულ ნიშანთა შორის, განსაკუთრებული იარაღი, საჭურველი, დროშა, შუბი და, აგრეთვე, თოროსანი, ჯავშნიანი ცხენი.

იბერიის მეფეს, აღწერილ „სახალხო“ ლაშქრის გარდა, რომელიც, როგორც ვთქვით, თავდაპირველად მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იკრიბება, რა თქმა უნდა, ჰყავს სპეციალური რაზმი, უფრო მუდმივ ხასიათისა. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი უფლება ჰაერში იქნებოდა განოკიდებული. ვისგან შესდგება ეს რაზმი? კონკრეტული ცნობა ამის შესახებ შენახული არ არის. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ ნაწილობრივ მონებიც არიან. მონები პართიის სამეფო ჯარში მნიშვნელოვან კონტინგენტს შეადგენდნენ. მოვიგონოთ აგრეთვე როსტომ ბიბილურის რაზმის შემადგენლობა. „ოვსეთიდან“ გარდმოხვეწილნი, დვალეთში მოდიან ძმები „როსტომ, ბიბილა, წითლოსან და ძენი მათნი, სამეოცდა ათითა მონითა კეთილითა“. შემდეგ დვალთაც თავიანთ ქვეყანაში მათი ყოფნა აღარ ჰსურთ და როსტომს და მის ძმებს აძევებენ: „აღიყვა-

[1] ჯუანშერი, მარ. 134, ბრ. 119.
[2] ქრნკ. II, 4.

ნეს და მოასხნეს ჭევსა ისრონლისასა, ნაკაფოვანს, როსტომ და ყოველნი ძმანი და მ ო ნ ა ნ ი მ ი ს ნ ი". აქ როსტომი ცხრაზმისხევლებს ჰშველის გრუვის ციხის აღებაში: „მაშინ მოვიდა როსტომ ძმითა და ს ა მ ე ო ც დ ა ა თ ი თ ა მ ო ნ ი თ ა და წარუძღვა წინა, ვითარცა ლომი ზახილითა და ვითარცა ვეფხვი სიფიცხითა, ვითარცა ჯიქი სიმხნითა" [1]. მაშასადამე, თვით ოჯახის წევრებს გარდა, როსტომის რაზმი მხოლოდ მონებისაგან, „კეთილ" (—კარგ, ვარგებულ) მონებისგან, იყო შემდგარი.

ამ მონათაგან ზოგი, შესაძლოა, გაზატებულიც ყოფილიყო და მეფის კარზე უბრალო რაზმელის თანამდებობაზე ზევით დაწინაურებულიყო. მაგრამ გარდა ამისა მეფის რაზმში უეჭველია იმთავითვე თავისუფალნიც იქნებოდნენ. თუ ისევ ბიბილურთა გაერისთვეების ეპიზოდს მივმართავთ საანალოგიოდ, ეს პირნი იმ კატეგორიას ეკუთვნიან, საიდანაც გამოსული არის ლარგვისის მამასახლისი, გუგაკ ხუციანდაბისძე, მთავარი დასაყრდენი როსტომისა მის შემდგომ კარიერაში. ესენი „ერისგანნი", მესამე გენეს წევრები, არიან. ე კ ო ნ ო მ ი ფ რ ი დ ი ფ ე რ ე ნ ც ი ა ც ი ი ს შ ე დ ე გ ა დ მ ა თ უ კ ვ ე თავის ს ო ც ი ა ლ უ რ წ რ ე შ ი ც გ ა ნ კ ვ ე ულ ა ზ ე ვ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს მ ი უ ღ წ ე ვ ი ა თ. ასეთ | პირებს შესაძლოა ეპყროთ როგორც სამხედრო, ისე საერო სახელმწიფო თანამდებობანი. რაც უფრო მეტად იტვირთებიან ისინი აქ, მით უფრო და უფრო მკვეთრად ეთიშებიან საკუთარს სოციალურ გარემოს. რაც უფრო მეტად იტვირთებიან ისინი სამხედრო და სახელმწიფო სამსახურში, მით უფრო და უფრო მეტად ცდილობენ ისინი საკუთარ მეურნეობის გაძღოლისა და მოვლის ტვირთი სხვას გადააკისრონ. ასე იქმნება სრულიად გარკვეული სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობა.

ამ სამეფო გვარდიას საკუთარი სახელწოდებაც უნდა ჰქონოდა, მაგრამ ამის შესახებ ჩვენ სხვა ადგილას ვისაუბრებთ.

ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას, წყაროების მდგომარეობის მიხედვით, სასურველ სისრულით გავითვალისწინოთ შემდგომი პროცესი „ერის" დიფერენციაციისა და მისგან ამ ახალი საზოგადოებრივი და ეკონომიური ზედაფენის ცალკე წრედ გამოყოფისა,

[1] ჭრნკ. II, 4.

მაგრამ კანტი-კუნტად მაინც ჩნდება გარკვეული ცნობები, რომლებიც ყოველმხრივ უნდა იქნან გამოყენებულნი.

§ 12. „ერის" განვითარების გარეგანი პირობები

ჯერ ამ განვითარების პირობების შესახებ. რომაელთა შემოსვლას ჩვენში უეჭველად უნდა დაეჩქარებინა ეს პროცესი. რომაელებს თან მოჰყვა და ნაწილობრივ თვით მათ მოიტანეს ბევრად უფრო შფოთიანი (სოციალურად) დრო, ბევრად უფრო დაჭიმული, საომარ მოქმედებითა და სამხედრო საჭიროებებით სავსე. ხანა, ვიდრე ეს იყო მანამ (რამდენადაც ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევენ მოღწეული წყაროები). ომიანობა, რა თქმა უნდა, წინათაც იყო, მაგრამ ეს უნდა ყოფილიყო ადგილობრივი თავდასხმები, წვრილი თარეშები და სხვ. ახლა-კი უკვე მსოფლიო მასშტაბის ბრძოლები წარმოებს. სასტიკი ბრძოლები მითრიდატსა და მის მოკავშირეებთან, შემდეგ ამტყდარი მრავალსაუკუნოვანი სამკვდრო-სასიცოცხლო ომი რომაელებსა და ირანელებს შორის, რომელიც სულ უფრო და უფრო ითრევს თავის სფეროში ამიერ-კავკასიასაც, რომაელთა მუდმივი სამხედრო საზრუნავი ჩრდილოეთ საზღვრებზე, თვით ადგილობრივი თავდასხმებისა და თარეშების ახალი ხასიათი და მიმართულება (ამის შესახებ ქვემოთ), — ყოველივე ამას არ შეიძლებოდა თავის დაღი არ დაეჩინა აქაურ ცხოვრებისათვის. მოვიგონოთ თუნდაც, თავის ადგილას აღწერილი, ბრძოლა სომხეთისათვის I ს-ში ახ. წ., რომელშიაც იბერიის სამეფო დინასტია სომხეთის ტახტის პრეტენდენტად გამოდის, — ბევრი რამეა ამ ეპიზოდში საგულისხმო. ასეთი მოვლენები იწვევდნენ სახელმწიფო და სამხედრო აპარატის | გართულებას, მონარქიის გაძლიერებასა და მისი ხასიათის შეცვლას სამხედრო-სამოხელეო მიმართულებით და იმ ახალ სოციალურ ძალების ზრდას, რომლებსაც უნდა დაეყრდნოს ქართლის ძველი სამეფო ხელისუფლება.

თავისთავად ცხადია, თვით რომის მთავრობის რეჟიმი, ჩვენს ქვეყანაში დამყარებული, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აქ რომაელებმა მტკიცედ მოიდგეს ფეხი, ბორკავდა და აფერხებდა ქვეყნის განვითარებას.

§ 13. „ერის“ განვითარების შინაგანი პირობები. მეურნეობა. შრომის საზოგადოებრივ განაწილების სახე, ალებ-მიცემა.

მაგრამ ომს არ შეუძლია არაფრისგან ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა შექმნას. ქართულ ფეოდალიზმის დეკადანსის ეპოქაში ბრძოლა და თარეში უფრო უხვადაც არის მოცემული, მაგრამ ეს უკანასკნელი კაპიტალიზმის წყარო კი არ არის,—იგი კიდევ უფრო ანიავებს ქვეყნის საწარმოო ძალებს და კიდევ უფრო აგვიანებს ახალ ეკონომიკურ ეპოქის დადგომას. საჭირო იყო შინაგან პირობების მომწიფება რომ ეს გარეგანი ფაქტორები წინწამბიძგებელ სტიმულის როლში გამოსულიყვნენ.

ყოველგვარ კლასობრივ სტრუქტურას საფუძვლად შრომის საზოგადოებრივი განაწილება უძევს. ახალ სოციალურ კლასების წარმოშობის ფესვებიც ამ სფეროში უნდა ვეძიოთ. შრომის საზოგადოებრივ განაწილების ძველი წესის ნიადაგზე პირველ თავში აღწერილი ხაზოგადოება და სახელმწიფო წარმოიშვა. როგორც ვამბობდით. შესაძლოა ამ საზოგადოების წარმოშობა საქართველოს ტერიტორიის გარეთ ვიგულისხმოთ. საქართველოს მიწა-წყალზე დამკვიდრების შემდეგ მეურნეობის ხასიათი უნდა შეცვლილიყო თანდათანობით (ეს განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოზე ითქმის). ვითარდება მიწისმოქმედება მემინდვრეობის მიმართულებით. ვრცელდება, ჩანს უფრო ფართოდ, ვიდრე ეს იყო მანამდე, პურეული კულტურები, ზოგიერთ რაიონებისათვის განსაკუთრებულ გავრცელებას პოულობს მესაქონლეობა, სოფლის მეურნეობაში კიდევ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ეთამაშა მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებას. ვენახსა და ღვინოს ქართველი ტომები, საფიქრებელია, თავის ძველ სამშობლოშიც იცნობდნენ. მაგრამ განსაკუთრებული წონა მეურნეობაში მევენახეობას ახალ ტერიტორიაზე დამკვიდრების შემდეგ უნდა მიეღო (ამის შესახებ სპეციალურ ნარკვევში ვისაუბრებთ). მევენახეობას ამ დროს საქართველოს მეზობლად მდებარე მრავალ ქვეყანაში მისდევენ, თუმცა საწარმოო ძალთა განვითარების საერთო დონის მიხედვით თვით მევენახეობის კულტურაც აქ სხვადასხვა სიმაღლეზეა ასული. აღმოსავლეთი საქართველო, ამ მხრივ, საფიქრებელია, უფრო ახლო იდგა ბოსფორთან (ყირიმში), ვიდრე ალბანეთთან, რომლის შესახებაც თავის ადგილას

ვსაუბრობდით. ბოსფორში-კი ეს კულტურა საკმაოდ მაღალ საფეხურზე იყო ასული. ჩვენ ვიცით, რომ აქ ვაზს საზამთროდ მიწაში ჰფლავდნენ (მაშასადამე, ვენახი დაბლარია)[1]. ღვინოს ბოსფორელებისათვის სამრეწველო მნიშვნელობა ჰქონდა: ქალ. ტანაისში, რომელიც მდ. დონის შესართავთან მდებარეობდა და რომელიც „პანტიკაპეას შემდგომ ყველაზე დიდი სავაჭრო-საბაზრო პუნქტი იყო ბარბაროსებისათვის"[2], ღვინო გაცვლა-გამოცვლის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საქონელთაგანი იყო: თუ აზიელი (მაშასადამე, ჩრდილოეთ კავკასიის) და ევროპელი ნომადები აწოდებდნენ ამ ბაზარს მონებს, ტყავ-ბეწვეულსა და სხვას, მათი მეურნეობის, პროდუქტს, ბოსფორიდან ზღვით მოსულ ხალხებს მოჰქონდათ აქ თურმე სამოსი, ღვინო და სხვა მსგავსი საქონელი[3]. უეჭველია, რომ ეს ტომები სწორედ ღვინოს ეტანებოდნენ განსაკუთრებით ხარბად. ამასთან ერთად, ამ ღვინის მუშტარ ტომებს სამხრეთიდან სწორედ საქართველო (კერძოდ და პირველ რიგში — იბერია) ეკრა. ამიტომ სრულიად ბუნებრივია მივიღოთ რომ მათ ღვინო ქართველ (კერძოდ — იბერიის) ტომთაგანაც შეეძლოთ შეეძინათ. იბერიასთან სარმატიას ისეთი ჩინებული გზა აკავშირებდა, როგორიცაა დარიალის ხეობა. მაშასადამე, იბერიისთვისაც ამ დროს უკვე მეღვინეობას სამრეწველო მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, შესაბამისად, თვით კულტურაც (აქ ყოველთვის, უწინარეს ყოვლისა, იბერიას ვგულისხმობთ) შედარებით მაღალი უნდა იყოს. ვენახი იბერიაში დაბლარია, ჩანს (სტრაბონის შენიშვნები ალბანურ ვენახების მდგომარეობის შესახებ ალბათ აგრეთვე დაბლარს გულისხმობენ).

რაკი მეღვინეობას სამრეწველო ხასიათი შეიძლებოდა ჰქონოდა, სათანადო მეურნეობანიც უნდა გაჩენილიყვნენ. მოთხოვნილების ზრდას ამ საქონელზე სათანადო მეურნეობათა გაფართოების ცდა უნდა გამოეწვია და, შესაბამისად, საჭირო მუშახელის საკითხიც უნდა გაეჩინა. ბუნებრივია, რომ თავდაპირველად აქ მონის შრომა გამოეყენებინათ, და სწორედ ამ მეურნეობის სფეროში შეიძლება | მონათმფლობელურ წარმოების წესის თავისებურებას დავაკვირ-

[1] სტრაბონი, გეოგრაფია, II, თ. I, § 16; VII, თ. III, § 18.
[2] იქვე, VII, თ. IV, § 5.
[3] იქვე, XI, თ. II, § 3.

დეთ. ეს კულტურა იმდენად რენტაბელურია რომ მონის შრომას შეუძლია აქ თავის თავი გაამართლოს ეკონომიურად. მაგრამ ეს იმ აუცილებელ პირობით, რომ მონის შრომა აქ გამოყენებულია მეურნეობის პატრონის უმეშვეო მეთვალყურეობის პირობებში. ვაზი იმდენად სათუთი მცენარეა, რომ ამ მეთვალყურეობის შესუსტების შემთხვევაში იგი მონის თავისდამი დამოკიდებულებას ვერ აიტანს. როცა მეურნეობის მესაკუთრე იძულებულია უფრო ხანგრძლივად მოსწყდეს თავის მეურნეობას, ეს გარემოება უფრო მკაფიოდ იჩენს თავს, საჭირო ხდება წარმოების ახალ წესზე მოწყობა. აქ იბადება ეკონომიკური შესაძლებლობა მონის შრომის შეცვლისა ყმის შრომით.

ამ ახალ ხანას საერთოდ უნდა გაეფართოებინა საქართველოში სააღებმიცემო ბრუნვის წრე. ეს სრულიად არ ეწინააღმდეგება ~~ჩვენს საერ ზემოთ თქმულს ამ ეპოქის ომიან ხასიათის შესახებ:~~ ომი და ვაჭრობა ამ დროს მჭიდროდ არის ~~დაკავშირებული, და~~ კონკრეტულ მდგომარეობის შესახებ ჩვენ კონკრეტულ მასალების მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ.

ამ მხრივ საყურადღებოა რომაულ ფულის ტრიალის ფაქტები ჩვენში. პირველი საუკუნის დამლევიდან ჩვენს ერამდე ამიერ-კავკასიაში შემოაქვთ რომაული დინარი (ცერძოდ, ავგუსტოსის ფული) აუარებელ რაოდენობით. სპეციალისტების მტკიცებით, როგორც აღმოსავლეთს, ისე დასავლეთ საქართველოში კუთხე არ მოიპოვება ისეთი, სადაც ეს რომაული მონეტა ნაპოვნი არ იყოს. შემდეგში მოთხოვნილება ფულის ნიშნებზე იმდენად იზრდება, რომ მას ვეღარ აკმაყოფილებს მათი გარედან შემოსული მასა და, ისევე როგორც ძველად, თავის დროზე, ადგილობრივ სჭრიან ფულს რომაულ დედნის მიბაძვით. შემდეგში თვით ეს მინაბაძი იქცევა ორიგინალად ახალ მიბაძვისათვის და ა. შ. ეს მიბაძვით მოჭრილი ადგილობრივი ფული, სპეციალისტების დასკვნით, ეკუთვნის I—II სს. ჩვენი წელთაღრიცხვით[1]. ყოველივე ეს აშკარად მიუთითებს გაცვლა-გამოცვლის სიცხოველეზე ამ ხანაში. ამ პროცესის გაფართოებას ხელს უწყობდა, გარკვეულ დრომდე, საქართველოს მეზობლად მდებარე ტერიტორიის ერთ პოლიტიკურ სუვერენიტეტის ქვეშ მოქცევა, და, მაშასადამე, სხვადასხვა ხალხების წინანდელზე მეტად დაახლოება ერთმანეთთან. სტრაბონი ამბობს: ...„აზიაში მთელი ჩვენი სანაპირო ემორ-

[1] Пахомов, Монеты Грузии, 10—12.

ჩილება მათ (რომაელებს). თუ სათვალავში ახეების, ზიგებისა და ჰ ენიოხების მიწებს არ ჩავაგდებთ, სადაც მწირსა და ვიწრო ადგილებში ეს ხალხები ყაჩაღურსა და მომთაბარე ცხოვრებას ეწევიან. რაც შეეხება ხმელეთს აზიის შუაგულისაკენ, ნაწილობრივ იგი რომაელებს ეკუთვნის, ნაწილობრივ-კი — პართელებსა და მათ ზემოთ მცხოვრებ ბარბაროსებს... მაგრამ აქაურობისაგანაც ყოველთვის ზოგი-რამ რომაელების ხელში გადადის. ამ რომაულ სამფლობელოს ერთი ნაწილი მეფეთა მმართველობის ქვეშ იმყოფება, ნაწილს-კი თვით რომაელები ჰფლობენ, გადააქციეს რა იგი პროვინციად, სადაც ჰგზავნიან მმართველებსა და ხარკის ამკრეფლებს. არის აგრეთვე თავისუფალი ქალაქებიც, რომელთაგანაც ზოგთ იმთავითვე დაამყარეს რომაელებთან მეგობრული კავშირი, სხვებმა-კი თვით მიიღეს უკანასკნელთაგან თავისუფლება, რჩეულობის ნიშნად. მათი მფლობელობის ქვეშ იმყოფებიან აგრეთვე ზოგიერთნი მთავარნი, ერისთავნი და ქურუმნი, რომელნიც მამაპაპეულ კანონებით ჰმართავენ"[1]. მაშასადამე, მთელი წინააზია ამ დროს ორ დიდ ეკონომიკურ-კულტურულ — რომაულ და პართულ — სამყაროს ორბიტაშია მოქცეული. ჩრდილოეთიდან მათ სარმატია ეკვროდა, ამიერ-კავკასია-კი შუაში იყო მოყოლილი. ასეთ პირობებში საქართველოს სააღებ-მიცემო კავშირმა ამ ქვეყნებთან განვითარების უფრო ხელსაყრელი პირობები მოიპოვა. რანაირია ამ აღებ-მიცემის ეკონომიკური და სოციალური ხასიათი და რა არის მისი საგანი? რა თქმა უნდა, მისი მოცულობა და ეკონომიკური მნიშვნელობა ბევრად უფრო მცირეა, ვიდრე მერმინდელ (თუნდაც IX—X) საუკუნეებში. სტრაბონის ცნობით, როგორც ვიცით, კოლხეთი მდიდარია ხე-ტყით, სელით, კანაფით, ცვილითა და ფისით, გარდა ამისა აგრეთვე ნაყოფითაც (ხილით?)[2]. ეს სიტყვები ალბათ იმას გულისხმობენ რომ აღნიშნული საქონელი აქაურ ბაზარზე იშოვება უცხოელ ვაჭრებისათვის. ასეთივეა, საფიქრებელია, იბერიის ბაზრის მდგომარეობაც. აღნიშნულ საქონელს უნდა დავუმატოთ, ზემოთქმულის მიხედვით, ღვინოცა და განსაკუთრებით-კი, მ ო ნ ე ბ ი ც.

ზემოთ დავრწმუნდით, რომ მოპარვა-მოტაცებისა და წვრილ თავდასხმების გზით მოპოვება მონებისა ამ დროს საერთოდ ვრცელდება რომის იმპერიაში, და რომ, კერძოდ, ეს მოვლენა ფართო ხა-

[1] სტრაბონი, XVII, თ. III, § 24.
[2] იქვე, XI, თ. II, § 17.

სიათს იღებს შავი ზღვის კავკასიურ სანაპიროზე. ისიც ვნახეთ, რომ მონების ერთს უმდიდრეს წყაროთაგანს საქართველოს მოსაზღვრე სარმატია | შეადგენს. ამიტომ ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, რომ ამ ხანის ის რ ო მ ა უ ლ ი ფ უ ლ ი, რომელიც ასეთი რაოდენობით არის შენახული ჩვენი ქვეყნის ნიადაგში, ს წ ო რ ე დ მ ო ნ ებ- შ ი ა დ ა ხ ა რ ჯ უ ლ ი. თავის ადგილას დავრწმუნდით, რომ ადამიანების ტაცება შავი ზღვის კავკასიურ სანაპიროზე ამ დროს ზოგიერთ ტომებისათვის ნამდვილ პროფესიად არის გადაქცეული. ასეთი ხელობა, რა თქმა უნდა, საქართველოშიც იქნებოდა გავრცელებული. რიცხვი ასეთ პროფესიონალებისა, რომელნიც ადამიანებზე ნადირობდნენ, თანდათან უნდა გამრავლებულიყო სწორედ რომაელთა წაქეზების წყალობით. ალბათ ბევრი რამ საქართველოს ამ დროინდელ ისტორიაში სწორედ ამ ფაქტების ნიადაგზე აიხსნება.

ეს ადამიანის მტაცებელნი იმავე დროს თავიანთ საქონლის უმეშვეო ვაჭრებიც არიან. აქ მჟღავნდება ამდროინდელ აღებ-მიცემის საერთო სოციალური ხასიათიც. საეჭვოა რომ ამ ეპოქაში უკვე არსებობდეს მნიშვნელოვანი ჯგუფი ისეთ ადგილობრივ მკვიდრთა, რომელნიც მხოლოდ ვაჭრობას მისდევენ. ბაზარზე გამოსულ პირთა უდიდეს უმრავლესობისათვის ბაზისს მაინც საკუთარი სოფლის მეურნეობა შეადგენს. წარმოშობით ეს პირნი იმავე „ერს“ ეკუთვნიან.

დავასკვნათ: ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქრისტიანულ წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის „ერში“, „ყოველ ერში“ (მესამე „გენეში“), ეკონომიკურ დიფერენციაციის ნიადაგზე, უკვე მკაფიოდ ირკვევა მთელი კატეგორია ადამიანებისა, რომელნიც ფორმალურ-სოციალური მნიშვნელობით („წოდებრივად“) ჯერ თავიანთ წრეს („გენეს“) არ გამოჰყოფიან, მაგრამ ა რ ს ე ბ ი თ ა დ დანარჩენს მასაში რეალიეფურად ერჩევიან. უმეტესწილ შემთხვევაში, მათი მეურნეობა უფრო მსხვილია და ბაზართან უფრო დაკავშირებული. ასეთი გამსხვილება შესაძლებელი ხდება ზოგიერთ განსაკუთრებით რენტაბელურ კულტურების (კერძოდ — მევენახეობის) ნიადაგზე. საკირო დამატებითს მუშახელს ასეთ მეურნეობაში თავდაპირველად მონები წარმოადგენენ. ეკონომიკურ შეძლების საფუძველზე და შეიარაღების განსაკუთრებულ ტიპის არსებობის პირობებში ეს პირნი შეადგენენ ძირითად კონტინგენტს გაპროფესიონალების გზაზე დამდგარ მეომრებისას, რომელთაც ამას გარდა, ამავე ნიადაგზე, მოეპოვებათ

რეალური საშუალება სახელმწიფო და სამხედრო სამსახურში დაწინაურებისა. ეპოქის საერთო პირობები ხელს უწყობენ ამ სოციალურ ტიპის შემდგომს დასრულებას, გამოკვეთას. ამ პირობათა შორის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება მონათვაჭრობას, რომელიც აქ ადამიანთა პირვა-ტაცებასთან განუყრელადაა დაკავშირებული. ეს ხელობა, ჯერ ერთი, შემოსავლის უმდიდრესი წყაროა, შემდეგ იგი ზრდის პროფესიონალ მეომართა თვისებებს, ამრავლებს თვით ამ მეკობრე-მეომართა რიცხვს და ხელს უწყობს, საფიქრებელია, ისეთ პირთა ცალკე რაზმების წარმოშობას, რომელთაც მეტნაკლებად მუდმივი ხასიათი და გარკვეული სტრუქტურა (ერთგვარ იერარქიის საფუძველზე) აქვთ.

§ 14. ძართლის განვითარება I—II ს. ს.

ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები მერმინდელ საუკუნეებიდან ადასტურებენ მოცემულ მოსაზრებას. მეორე საუკუნის პირველ ნახევარში, ბერძნულ-რომაულ ცნობებით, იბერიაში მეფობს ფ ა რ ს მ ა ნ ი, რომელთანაც კავშირის შენარჩუნებას რომაელი იმპერატორები, როგორც ჩანს, დიდს მნიშვნელობას ანიჭებენ და ამ კავშირის განმტკიცებას, კერძოდ, პირად ურთიერთობითაც ცდილობენ. როცა ფარსმანი ცოლ-შვილით ადრიანე კეისარს (117—138 წ. წ.) რომში ეწვია სტუმრად ძვირფას საჩუქრებით, იმპერატორმა საპასუხოდ თვითონაც ისე დაასაჩუქრა იბერიის მეფე, რომ არც ერთ სხვა მეფისათვის მას ამდენი არ მიუცია, თუმცა ბევრს მიუღია მისგან აუარებელი საჩუქარიო. ფარსმანს იმპერატორმა, სხვა დიდებულ საჩუქრებს გარდა, გ ა უ ფ ა რ თ ო ვ ა ტ ე რ ი ტ ო რ ი ა და მიუძღვნა ს პ ი ლ ო და ხ უ თ ა ს მ ხ ე დ რ ი ს ა გ ა ნ შ ე მ დ გ ა რ ი რ ა ზ მ ი. სპილოსაც საომარი დანიშნულება უნდა ჰქონოდა (VI საუკუნისათვის, უფრო მდიდარ წყაროთა წყალობით, ვიცით რომ ამ.-კავკასიის ტერიტორიაზე მოქმედ ჯარებში, მაგ., ირანულ ჯარებში, საომარი სპილოები ჩვეულებრივი მოვლენაა). უკვე ეს გარემოება ძალიან დამახასიათებელია და გარკვევით მიუთითებს იბერიის მონარქიის ძლიერ განვითარების შესახებ სამხედრო მიმართულებით. ფარსმანს, ჯერ ერთი, სათანადო სამხედრო მოთხოვნილებანი უნდა ჰქონოდა, რაკი მას ასეთს თავისებურ ძღვენს აძლევდნენ. შემდეგ, მას თვითონაც უნდა ჰყოლოდა ასეთი მუდმივი რაზმებიც, და, საფიქრებელია უფრო ძლიერიც, რომ ამ უცხოელებს, სამეფო კარზე რეალურ ძალთა, მეფისათვის არასასურველი, განწყობილება არ

შეექმნათ. მეტიც: ფარსმანის ამალა, რომელიც მეფეს რომში თან ჩაჰყვა, როგორც ეს ქვემოთაა მოხსენებული, თავისთავადაც კეისრის მიერ ნაჩუქარ რაზმზე პატარა არ უნდა ყოფილიყო, რომ სტუმარს ასეთ საჩუქრისათვის ეჭვის თვალით არ შეეხედა და იგი თავისს საპატიო დატყვევების ცდად არ მიეჩნია. შემდეგ ისტორიკოსი მოგვითხრობს: ადრიანემ ფარსმანს „ნება მისცა მსხვერპლი შეეწირა კაპიტოლის ტაძარში, მისი (ფარსმანის) ცხენოსანი ქანდაკება მარსის ველზე დაადგმევინა და უმზერდა, თუ როგორ ვარჯიშობდნენ თვით (ფარსმანი), მისი შვილი და სხვა პირველი (=მთავარი, წარჩინებული) იბერები აბჯარში“ [1]. მაშასადამე, მეფის ამალაში, რომელიც, როგორც ვთქვით, ბრავალრიცხოვანი უნდა ყოფილიყო, წარჩინებული ქართველებიც ყოფილან. მათს წარჩინებულებას უკვე ის ფაქტიც ადასტურებს რომ ისინი მეფესა და მის შვილთან ერთად ვარჯიშობენ. ეს ვარჯიშობა ალბათ ცხენზე წარმოებს, და იქნებ სწორედ ამიტომ დაადგმევინა კეისარმა ფარსმანის ცხენოსანი ქანდაკება. დაუჯერებელიცაა რომ ასეთი პატივით მიღებულს იბერიის მეფეს ქვეითად ეხტუნა იმპერატორის წინაშე. შემდეგ, საყურადღებოა ცნობა რომ ქართველები ვარჯიშობდნენ აბჯარში (ἐν ὅπλοις)[2]. რადგანაც ჩვეულებრივად სხვა გამოთქმებში (კერძოდ — კომპოზიტებში) ეს სიტყვა მძიმე (ჰოპლიტის) შეიარაღებას გულისხმობს, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ცხენოსანი იბერები მძიმედ შეჯავშნულნი ვარჯიშობდნენ. წარჩინებული ერისკაცები, რომელნიც მძიმედ შეჯურვილნი ასპარეზობენ და ცხენს ისე ხმარობენ, რომ იმპერატორის აზიზ კარის ყურადღებასაც იმსახურებენ — ეს სურათი ჩინებულად მოწმობს რომ ფეოდალურ კლასის სოციალური წინაპრები უკვე საკმაოდ გაზრდილან და თავიანთს საზოგადოებრივ სიჭაბუკეს უახლოვდებიან. თუ რომელს ადგილობრივ ტერმინს უნდა შეესატყვისებოდეს ბერძნულ ტექსტის „პირველნი“, ქვემოთ ვნახავთ.

§ 15. დას. საქართველოს ვითარება II ს.

კიდევ უფრო საინტერესოა ცნობა, რომელიც ამავე ხანისაა და უკვე დასავლეთ საქართველოს გულისხმობს. ეს ცნობა ეკუთვნის რომის ერთს მცირეაზიელ მოხელეს, ფლ. არიანეს, რო-

[1] დიონ კასიუსი, SC I, 622.
[2] იქვე.

მელიც რომის პროვინციის, კაბადუკიის, მმართველი იყო და რომელმაც 134 წ., ან. წ., — ალბათ თავის მთავრობის დავალებით და საინსპექციო მიზნით, — მოიარა შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო და იმპერატორს სათანადო წერილობითი ანგარიში მიართვა. არიანეს მიერ წარმოდგენილი სურათიდან ჩანს, რომ ქ. ტრაპეზუნტიდან მოყოლებული ძღ. ბზიფის ხეობამდის (აფხაზეთში), ერთმანეთის მეზობლად, შემდეგი ტომები სახლობდნენ: სანები, მაკრონები და ჰენიოხები, ზუდრეიტები, ლაზები, აფსილები, აბასკები და სანიგები. ამ ტომთაგან საკუთრივ დასავლ. საქართველოს, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გურია-სამეგრელო-აფხაზეთის ტერიტორიაზე უცხოერიათ ლაზებს, აფსილებს, აბასკებსა და სანიგებს.

სამწუხაროდ, არიანე არაფერს გვეუბნება ამ ტომების შინაგანმდგომარეობისა და მათი ურთიერთობის შესახებ. მაგრამ იმ ძუნწი მითითების მიხედვით, რომელიც ავტორს მოეპოვება სამთავროთა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ვითარებაზე, შეიძლება მაინც რამდენიმე, ზოგადი ხასიათის, დასკვნა გამოვიტანოთ.

არიანე, სახელდობრ, წერს: „ლაზების მეფე არის მალასა (თუ — მალაშა), რომელმაც თავისი ხელისუფლება, მეფობა, მიიღო შენგან (ე. ი. ადრიანე კეისრისაგან). ლაზებს მეზობლობენ აფსილები. მათი მეფეა იულიანე, რომელმაც თავისი ხელისუფლება, მეფობა, მიიღო მამაშენისაგან (ე. ი. ტრაიანე კეისრისაგან). აფსილების მეზობლები არიან აბასკები, რომელთა მეფეა ჰრესმაგა. ამანაც თავისი ხელისუფლება, მეფობა, შენგან მიიღო. აბასკების გვერდით სანიგებია, რომელთა ქვეყანაში მდებარეობს სევასტოპოლისი; სანიგების მეფემ სპადაგამ თავისი ხელისუფლება, მეფობა, შენგან მიიღო“.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ცნობის ნიადაგზე შესაძლებელია გარკვეული დებულების წამოყენება აღწერილ პოლიტიკურ წარმონაქმების შესახებ. რაკი ლაზების, აფსილების, აბასკებისა და სანიგების „მეთაურებს“ თ ა ვ ი ა ნ თ ი უ ფ ლ ე ბ ე ბ ი რ ო მ ი ს კ ე ი ს რ ე ბ ი ს ა გ ა ნ ჰ ქ ო ნ ი ა თ მ ი ღ ე ბ უ ლ ი, დ ა ა რ ა ს ა კ უ თ ა რ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ა გ ა ნ, ცხადია, რომ ისინი ტომურ-გვაროვნულ საზოგადოების ბელადებად ვერ ჩაითვლებიან და ვერც მათი საგამგეო მიიჩნევა ტომურ-გვაროვნულ ორგანიზაციად.

შემდეგ: თუ ეს „მეფეები“ გვაროვნულ საზოგადოების მსახურნი-კი არ არიან, არამედ უკვე პატარა „ბატონების“ როლში გვევლი-

ნებიან, აშკარაა რომ მათი ხელისუფლების დასაყრდენად საკმარისი არ იყო ის რომაული გარნიზონები, რომლებიც მხოლოდ ფაზისსა (ფოთი) და სევასტოპოლში (სოხუმი) მდგარან. ეს წერილი მეკლობელნი, — რომელნიც, უეჭველია, ადგილობრივი მკვიდრნი უნდა ყოფილიყვნენ (ამას. სხვათა შორის, მათი სახელებიც: მალაშა, ჰრეს-მაგა, სპადაგა მოწმობს), — ხომ რომელიღაც ადგილობრივს საზოგადოებრივ ძალებსაც უნდა დაჰყრდნობოდნენ. ყოველივე ეს უკვე გარკვეულს სოციალურ დიფერენციაციას გულისხმობს.

ზემოთქმულთან დაკავშირებით, უკვე შემთხვევითი არ გეგონია ის გარემოება, რომ არიანე უწყებულ ტომთა მეთაურებს „ბასილევს"-ს, მეფეს, ეძახის, მათს ხელისუფლებას კიდევ — „ბასილეია"-ს: „ბასილეია" აქ აღნიშნავს როგორც ხელისუფლებას ზოგადად, ისე, საფიქრებელია, ამ ხელისუფლების ხასიათსაც, ამ ბერძნული სიტყვის იმ დროს გაბატონებული აზრით. რომ ეს ასეა, ამახ არიანეს დოკუმენტის იმავე პარაგრაფის ერთი საყურადღებო ცნობა გვიდასტურებს. შავი ზღვის სანაპიროს აღებულ მონაკვეთზე მცხოვრებ ტომთაგან არიანე სპეციალურად გამოჰყოფს ერთს, სახელდობრ, ტრაპეზუნტიელთა უშუალო მეზობლებს, ს ა ნ ე ბ ს (სარწმუნოა, რომ ეს ქართველი ჭ ა ნ ე ბ ი არიან). მაშინ როცა ყველა დანარჩენ ტომს მეფე, ბაზილევსი, ჰყოლია, — რომის კეისრებისაგან ღანიშნული, — სანები სულ სხვა მდგომარეობაში ყოფილან: ...„ისინი, — ამბობს არიანე, — ამჟამადაც ლაშქრობის მოყვარულნი არიან, შეურიგებელი მტრები არიან ტრაპეზუნტიელებისა და გამაგრებულ ადგილებში ცხოვრობენ. ე ს ხ ა ლ ხ ი უ მ ე ფ ო ა (არ ჰყავს მეფე). ძველთაგანვე ვალდებულია ხარკი უხადოს რომაელებს, მაგრამ თავის ყაჩაღობის წყალობით არაწესიერად იხდის გადასახადებს. მაგრამ ეხლა, ღვთით, წესრიგის გზას დაადგება, თუ არადა — გადავრეკავთ აქაურობიდან" (იქვე).

შეუძლებელია და დაუჯერებელი, რომ სანებს ამ დროს ტომის მეთაურები, ბელადები, არ ჰყოლოდათ. ხუთი საუკუნით ადრე, ტრაპეზუნტისავე ოლქში და იქნებ სწორედ ამ სანების წინაპრებში (მოსინიკებში) ქსენოფონტმა ნახა და აღწერა მსგავსი ბელადები. ქსენოფონტმა მათი აღნიშვნისათვის იგივე ტერმინი „ბაზილევსი" იხმარა (lib. V, c. 4, § 26), მაგრამ ცხადია რომ ამ სიტყვას არ შეიძლებოდა მთლად ერთი და იგივე აზრი და ფუნქცია ჰქონოდა ესოდენ დიდი დროით ერთმანეთისაგან დაშორებულ ძწერლებისათვის.

თუ მოვიგონებთ იმასაც, რომ კარგა ხნის შემდეგაც, მაგ., VI ს-ში, ახ. წ., სანებს-ჭანებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შეძენილი ეს „სიკეთე" — მეფის ხელისუფლება, მაშინ მით უფრო ბუნებრივი და გასაგები გვეჩვენება ის ფაქტი, რომ არიანეს დროს (II ს.) სანები, ერთი მხრით, ხოლო, მეორე მხრით, ლაზები, აფსილები, აბასკები და სხვები განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ.

არიანეს მიერ დასახელებული პოლიტიკური წარმონაქმნების შემდგომი დახასიათებისათვის მნიშვნელოვანი იქნებოდა მათი წარმოშობის დროისა და პირობების გარკვევა. უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ ისინი, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს პირველი საუკუნის მეორე ნახევრისა, ახ. წ. ამ მხრივ მაჩვენებელია არიანეს ადრიანესადმი მიმართული განცხადება, აფსილების მეფეს ხელისუფლება მ ა მ ა შ ე ნ ი ს ა გ ა ნ აქვს მიღებულიო. აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება წინა მეფობა ტრაიანე კეისრისა (98—117). — ტრაიანე ნათესავი და მამობილი იყო ადრიანესი. სხვა სამთავროებიც, რომელნიც გარშემო ერტყნენ აფსილებისას, ამ უკანასკნელზე უფრო ახალგაზრდა არ უნდა ყოფილიყვნენ.

კერძოდ, ლაზთა სამთავროს შესახებ იბადება ეჭვი, ხომ არა აქვს მას ფესვები გადგმული ძველი კოლხეთის იმ ვითარებაში, რომელიც სტრაბონს (თუ მის ერთ-ერთ წყაროს) აქვს აღწერილი. სახელდობრ, სტრაბონი გვიამბობს: მედეას მამის, აეტის, შემდგომად „მომდევნო მეფეებს, რომელნიც „სკეპტუხიებად" დაყოფილ ქვეყანას ჰფლობდნენ, უკვე ისეთი ძალა აღარა ჰქონდათ"-ო (lib. XI, c. II, § 18). თითქოს უეჭველი უნდა იყოს, რომ ავტორი რაღაც შინაგან მიზეზს ჰხედავს კოლხეთის მეფეების დასუსტებასა და მათი ქვეყნის დაყოფას შორის. თუ ეს ასეა, მაშინ „სკეპტუხიებად დაყოფა" ნიშნავს არა ჩვეულებრივს ადმინისტრაციულ დანაწილებას (ასეთი დანაწილება არ შეიძლებოდა გამხდარიყო მეფეთა დასუსტების მიზეზი), არამედ მოასწავებს ცენტრალური ხელისუფლების დაქუცმაცებასა და დაქსაქსვას, გარკვეულ სახის დეცენტრალიზაციას. სტრაბონის ცნობა უნდა მიუთითებდეს კოლხეთის დანაწილებაზე ცალკეულ ტომურ ორგანიზაციებად (დასავლეთი საქართველო ყოველთვის მრავალტომიანი ქვეყანა იყო). ურთიერთობაც ამ ტომებს შორის ცვალებადი იყო. ძველი კოლხეთის როგორც მრავალტომიანობის, ისე ტომურ ორგანიზაციისა და ტომთა ურთიერთდამოკიდებულებისათვის დამახასიათებელია სტრაბონის „გეოგრაფიის" ცნობა

სვანების შესახებ (lib. XI, c. II § 19): სვანები თითქმის პირველნი არიან აქაურ ტომთა შორის „ძალითა და სიძლიერით, ყოველ შემთხვევაში ისინი გაბატონებული არიან მეზობლებზე". სვანეთის იმდროინდელი სოციალური წყობილება ჩვენ სხვაგან გვაქვს დახასიათებული [1]. ამდენადვე, უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ არიანეს დროინდელი ზოგიერთი სამთავრო წარმოადგენს უწყებული სკეპტუხიების შემდგომ განვითარებას [2].

ნათქვამის შემდეგ, შეგვიძლია კიდევ ერთი, ჩვენთვის მნიშვნელოვანი, დასკვნა გავაკეთოთ: დას. საქართველოს ტერიტორიაზე ოთხი სამთავროს არსებობა II ს. დამდეგს არის არა გარეშე ძალის (რომაელების) მიერ თავზე მოხვეული მდგომარეობა, არამედ ნაყოფია ამ ქვეყნის საკუთარი, შინაგანი, განვითარებისა. ასეთი პოლიტიკა დას. საქართველოში ფაქტიურად ზედმეტიც უნდა ყოფილიყო რომაელებისათვის. რომაელებმა დას. საქართველო ხელთ ჩაიგდეს, როგორც სხვისი (მითრიდატ პონტოელის) საბრძანებლის ერთი ნაწილი, დასუსტებული, პოლიტიკურ მთლიანობასა და დამოუკიდებელ სახეს მოკლებული. ამ დაპყრობის შემდეგაც კოლხეთი რომის სხვა პროვინციებთან, მაგ., ბოსფორთან, ერთს ადმინისტრაციულ ფარგლებში გაერთიანებული ჩანს. ამრიგად, არიანეს მიერ აღწერილი მდგომარეობის ხელოვნურად შექმნას რომის მთავრობისათვის აზრი არ ჰქონდა.

მაშასადამე, ვიმეორებთ, ეს მდგომარეობა უნდა მიჩნეულ იქნას რომელიღაც ადგილობრივ საზოგადოებრივ ძალების თვითორგანიზაციის, შეკრებისა და გაერთიანების, შედეგად. ცხადია, ეს ინტეგრაცია, ძველ წესწყობილებასთან შედარებით, ახალ საფუძველზე ხდება. რაკი ზემოთ გავიხსენეთ, რომ არიანეს მიერ დახასიათებული დას. საქართველოს სამთავროები უკვე ტომურ-გვაროვნულ ორგანიზაციებს კი არ წარმოადგენენ, არამედ გარკვეული, თუმცა პრიმიტიული, სოციალური დიფერენციაციის ნიადაგზე არიან აღმოცენებულნი, ამიტომ ეხლა საკითხი თვით ამ დიფერენციაციის ხასიათის შესახებ დგება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ ახალი საზოგადოების შინაგანი სტრუქტურაა გასარკვევი.

---

[1] ს. ჯანაშია, გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში, ტფ. 1932 წ. გვ. 27 შემდგ.

[2] როგორც ზემოთ ვამბობდით, შესაძლოა ტაციტის „სედოხეზების" სამეფოში უკვე ლაზების სამეფოს წინაპარი დავინახოთ.

ამ საკითხზე სავსებით დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა შეუძლებელია, წყაროების არაჩვეულებრივი სიმცირის გამო. ზოგიერთი ნიშანი და რეტროსპექტული თვალსაზრისი ჩვენ მხოლოდ შემდეგი საერთო დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. უეჭველია, რომ გვაროვნულ წყობილების ნაშთები ამ დროს ჯერ კიდევ უაღრესი სიძლიერითაა გამოხატული. მათს მოქმედებას ჩვენ ბევრად უფრო მერმინდელ ხანაშიაც დიდი ანგარიში უნდა გავუწიოთ. ასევე ცხადია, რომ პირველყოფილ მონობასაც თავისი გარკვეული წონა აქვს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობაში. იგი შემდეგშიაც იჩენს თავს, უფრო გაძლიერებულ სახითაც ზოგჯერ, ჩვეულებრივად კი საკმაოდ რთულს, წინააღმდეგობრივსა და კომბინაციურ დამოკიდებულებაში წარმოების სხვა წესებთან.

აღნიშნულ ელემენტების გვერდით ჩვენ ფეოდალურ ურთიერთობის ჩანასახსაც ვგულისხმობთ და, სხვებთან შეპირისპირებით, მის შედარებითს უპირატესობასაც ვვარაუდობთ. აღნიშნულ მთავრების ხელისუფლებაც ადრინდელ-ფეოდალურ დიფერენციაციის ნიადაგზე წარმოშობილად მიგვაჩნია. თვით მთავრები სათანადო ტრანსფორმაციაქმნილ ძველ ტომის ბელადებად გვყავს წარმოდგენილი, რომელთაც, თავიანთი საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე, უზურპაცია უყვეს მათთვის ჩაბარებულ უფლებებსა თემის დელეგირებულ „მსახურებიდან თემისავე ბატონებად იქცენ". თავისთავად ცხადია, რომ ეს ფეოდალური წყობა ამ დროს ჯერ სავსებით პრიმიტიული ფორმისაა და მის საბოლოო გამარჯვებამდე, აღებულ ქვეყანაში, კიდევ გრძელი და ძნელი გზა ძევს. იგი მხოლოდ, სხვა ელემენტებთან შედარებით, ბევრად უფრო მეტს საარსებლო უნარს აჩენს და უფრო სწრაფადაც იზრდება [1].

16. სოციალური და პოლიტიკური პირობები ქრისტიანობის ოფიციალურ კულტად ქცევისა ქართლში. ქართლის სოციალური სტრუქტურა

მომდევნო ხანებისათვის ჩვენ, სამწუხაროდ, გვაკლია ცნობები. აღებულ თემის ინტერესისათვის იძულებული ვართ საკმაოდ დიდი ნახტომი გავაკეთოთ და მეოთხე საუკუნეში გადმოვიდეთ, იმ ხანაში, როცა აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლში (იბერიაში), ერთი შეტად მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა—ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად იქცა. პირობები,

[1] იხ. ს. ჯანაშია, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, ტფ. უნ. შრომები, ტ. I.

რომლებშიც ეს ფაქტი მოხდა, საყურადღებო მასალას წარმოადგენს საქართველოს სოციალურ ისტორიისათვის და სწორედ ამიტომ აქ უფრო დეტალურ განხილვას საჭიროებს.

არ უნდა ავრიოთ ერთმანეთში ქრისტიანობის გავრცელებისა და მისი სახელმწიფო სარწმუნოებად გადაქცევის ამბები. თვითეული მათგანი საკუთარ პირობებში მიმდინარეობდა. ჩვენ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად ქცევამდის საქართველოშიც უნდა არსებულიყო (რა თქმა უნდა, პირატესად, ქალაქებში, მაგ., მცხეთაში) ადგილობრივი წვრილი ქრისტიანული თემური ერთობანი, დაახლოებით ისეთივე ხასიათის მქონენი, როგორიც ჰქონდათ მათ რომის იმპერიის სხვა პროვინციებში.

აქ ჩვენ განსაკუთრებით სწორედ ქრისტიანობის ოფიციალურ კულტად ქცევის ისტორია გვაინტერესებს. სწორედ ამ მოვლენის ისტორიულ გარემოზე აშკარავდება ქართულ საზოგადოებრივ განვითარების შესაბამისი საფეხური. თუ წინამორბედ ამბებს ჩავუკვირდებით, აპრიორულად საქმის ვითარება ასე უნდა წარმოგვიდგეს: მონარქიის სამხედრო-სამოხელეო ხასიათი ამ დროისათვის საჭირო სიძლიერითაა უკვე გაძოხატული. ეს იმიტომ რომ უკვე სათანადოდ გამოკვეთილია ის სოციალური ძალა, რომელსაც მონარქიას შეუძლია დაეყრდნოს. ამ ძალას შეადგენენ ის წევრები „ერისა", რომელთა შესახებაც ზემოთ ვსაუბრობდით და რომელნიც მეორე საუკუნის პირველ ნახევარში იხსენიებიან („პროტოი" — „პირველნი") გარკვევით. ამ საუკუნენახევრის თუ ორი საუკუნის განმავლობაში ისინი შეუჩერებელ ზრდის პროცესს განიცდიან. მათი სოციალურ-ეკონომიური ზრდა მიმდინარეობს თავისთავად, როგორც ვნახეთ. ურთიერთობა მონარქიასთან, თავის მხრივ, აჩქარებს ამ პროცესს: მეფის ხელშია მნიშვნელოვანი მიწის ფონდები და „ყმები" (მეოთხე გენე), რომელთაც მეფე ურიგებს ამ პირებს სხვადასხვა ფორმით, მხოლოდ, საფიქრებელია, მუდამ სამხედრო სამსახურის პირობით. ეს ურთიერთობა მჭიდრო კავშირის ნიადაგად იქცევა მეფესა და „მხედართა" შორის. მეორე მხრით, ტაძრები და მათი წარმოადგენელი ქურუმები, თავიანთ მეურნეობით, სულ უფრო და უფრო შეუფერებელნი ხდებიან ცხოვრების ახალ პირობებისათვის. მათი არსებობა ტრადიციასა და ინერციაზეა დამყარებული. აუცილებლო-

ბით იბადება წინააღმდეგობა ქურუმებსა, ერთი მხრით და, მეორე მხრით, ახალ მონარქიასა და მის სოციალურ მოკავშირეებს შორის. სხვა არა იყოს რა, მეფე შურით უნდა უყურებდეს ტაძრების მემამულეობას ვანსაკუთრებით ეხლა, როცა მონარქიის საკუთარი ძიწის ფონდი კლებულობს თანდათან, სამხედრო-სალენო ურთიერთობის განვითარების პროცესში. ამ ბრძოლაში მეფე და მისი მოკავშირენი ახალ იარაღსაც პოულობენ — ქრისტიანობას, რომელიც ქურუმთა ძველ სარწმუნოებას უპირისპირდება.

ეს აბრიორული სქემა დასტურდება ქართულ წყაროების ნაკლულ ჩვენებით. ამ უკანასკნელთა შესახებ უნდა ვთქვათ რომ, თუმც სათანადო ქართული ლიტერატურული ძეგლები მოღწეულ სახით ნაგვიანევ ხანას ეკუთვნიან, მაგრამ ისინი უეჭველად შეიცავენ ძველ ელემენტებს და, სხვა ჩვენებათა უფრო მკვიდრ ნიადაგზე შემუშავებულ ისტორიულ პერსპექტივის დაცვის პირობებში, — მათი გამოყენება შესაძლებელი და შესაწყნარებელი ხდება.

ჯერ ერთი, თვით სოციალურ დიფერენციაციის ზემოთ წარმოდგენილი სურათი სავსებით და შესანიშნავად არის აღბეჭდილი ქართულს საისტორიო და ნახევრადსაისტორიო მწერლობაში. ის ზედაფენა „ერისა", რომლისთვისაც ბერძენ მწერალს „პროტოი" („პირველნი") შეურქმევია, ადგილობრივ „წარჩინებულთა" სახელწოდებას ატარებს. (შემდეგდროინდელს ბიზანტ. მწერლობაში ქართ. „წარჩინებულს" ჩვეულებრივად უკვე „ლოგიმოსი" უდრის, რაც სრული სემანტიკური კორესპონდენტია ქართ. ტერმინისა). „წარჩინებული" არის არა მარტო ზოგადი ეპითეტი ამ წრისათვის, არაძედ ტექნიკური სოციალური ტერმინიც. მცხეთის მეორე მეფის შესახებ მემატიანე[1] მოგვითხრობს რომ იგი — მეფე საურმაგი — იძულებული შეიქნა, რაკი შინაურობაში მტკიცე მდგომარეობა არა ჰქონია, აზნაურია გარდა (რომელნიც, ისტორიკოსის წარმოდგენით, არაქართულ წარმოშობისა არიან, ალექსანდრე მაკედონელის სარდლის, ა ზ ო ნ ი ს რაზმელთაგანნი) აგრეთვე უცხო ტომებსაც დაჰყრდნობოდა. ოსებისა და დურძუკების (ქისტ-ღლიღვების) მეშველ ჯარი. იგი „წარმოემართა ქართველთა ზედა და ვერვინ წინააღუდგა მას და

[1] ვიმეორებთ: არ გვავიწყდება რომ ეს ქართ. წყაროები ნაგვიანევი რედაქციების სახითაა წარმოდგენილი. მათი ჩვენებანი ამ უძველეს ხანაზე ჩვენ მიერ გამოყენებულია ყოველთვის კრიტიკულად, სხვა კატეგორიის წყაროებთან და მერმინდელ ფაქტებთან შეჯერების შემდეგ.

დაიპყრა ქართლი". გამარჯვების შემდეგ საურმაგი სათანადოდ გაუსწორდა მტრებსა და მეგობარ-მოკავშირეებს: „მოსრნა განდგომილნი მისნი და რომელთამე შეუნდო. ხოლო დაამდაბლნა ქართლოსიანნი და წარჩინებულ ყუნა აზნაურნი" („აზნაური" აქ ნახმარია „აზონელის", აზონის რაჯმელების მნიშვნელობით). მაშასადამე, „წარჩინებული" „მდაბალს" უპირისპირდება აქ სოციალურად: საურმაგი ქართველებს ამდაბლებს და, სამაგიეროდ, თავის ერთგულ „ჰრომებს", აზნაურებს, ამაღლებს. იგი არც სხვებს ივიწყებს. მან „წარმოიყუანნა ყოველთა კავკასიის ნათესავთა (=ტომთა) ნახევარნი და რომელნიმე მათგანნი წარჩინებულ ყუნა და სხუანი დასხნა მთიულეთს დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე... და ესენი დაიპყრნა მისანდობელად თჳსად"-ო[1]. ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოყვანილ მთიელებისათვის ზოგისთვის მეფეს წარჩინებულება უბოძებია, სხვებისთვის-კი მარტივად საცხოვრებელი ადგილი. აქაც გარკვეული სოციალური აზრია მოცემული. ეს ახალი პრივილეგიური წრეები მეფის მისანდობელნი, მისი სოციალური საყრდნობი ხდებიან.

თავისთავად ცხადია, რომ ეს ცნობა მემატიანის მიერ მოცემულ ქრონოლოგიურ ჩარჩოში ხელოვნურად არის მოთავსებული. იგი, ისევე როგორც ქვემოთ აღნიშნული ცნობაც. მხოლოდ ტერმინის შერმინდელ გაგებისათვის არის საინტერესო. პირველ საუკუნის დამლევისათვის ჩვენს ერამდე მოხსენებულნი არიან „მცირედნი ვინმე ქართველნი არაწარჩინებულნი"[2]. მაგრამ ბევრად უფრო რეალური უნდა იყოს, ისტორიულად, ამ ტერმინის ხმარება ფარსმან ქველის ეპოქისათვის, რომელიც, მეფობათა თანამიმდევრობის ქრონოლოგიით, მეორე საუკუნეზე მოდის. მეტიც: შესაძლოა ეს ფარსმანი სწორედ ის ფარსმანი იყოს, რომელმაც რომში იმგზავრა და რომლის მხლებლებად უცხოელმა მწერალმა ივერიის „პირველნი", „წარჩინებულნი", მოიხსენია. ქართველი ძველი ანალისტი გვიამბობს, რომ ამ ფარსმანის სიკვდილის გამო „იქმნა გლოვა და ტირილი და ტყეცა ყოველთა ზედა ქართველთა წარჩინებულითგან ვიდრე გლახად-

[1] ლეონტი მროველი, მარ. 23, ბრ.-მარი 33.
[2] იქვე, მარ. 27.

მდეგ[1]. ქართველ საზოგადოების უმაღლეს საფეხურზე ამ დროს წარჩინებულნი დგანან, ყველაზე დაბლა კი გლახანი (ან იქნებ: გლახნი) არიან ნაგულისხმევნი. ქართ. „წარჩინებულსა“ და ბერძნ. „პროტო-ლოგიმოსს“ სრული ზედმიწევნილობით გამოჰხატავს სომხ. „ლავ“. VII ს. დამდეგის ქართ.-სომხ. მიწერ-მოწერის (სომხურადაა შენახული) საშუალებით ირკვევა, რომ ქართლის მმართველ წრეებს მაშინ წარმოადგენენ „მთავარნი და ყოველნი წარჩინებულნი“ („ამენაინ ლავქ“). თვით სომხეთისათვის-კი უკანასკნელ ფენას ეს საბუთები „აზატ ორიარს“ (თავისუფალ ერს) უწოდებენ[2], რაც მიუთითებს რომ ქართველისათვის ჩვენთვის საინტერესო ტერმინი სპეციფიკური და ტექნიკური მნიშვნელობისაა.

მაგრამ განსაკუთრებით რეალური გვეჩვენება ის სურათი, რომელიც მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარს გულისხმობს. უეჭველია რომ როგორც მატიანისებურ თხრობებში, ისე მერმინდელ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებშიც, რომელნიც ქართლის სამეფო სახლისა და წარჩინებულ წრეების გაქრისტიანების შესახებ მოგვითხრობენ, ძველი ელემენტია დაცული. სათანადო კრიტიკული ძიდგომა შეიძლებს ისტორიულ ჭეშმარიტების მარცვალს მერმინდელი შენაზარდი, ტენდენციური და ყალბი, ფენები ააცალოს. ამჟამად აქ ხსენებულ ცნობებს ჩვენ მხოლოდ აღებულ თვალსაზრისით განვიხილავთ.

ქართლის საზოგადოებრივი სტრუქტურა ამ დროს უფრო მრავალნაწევროვანი და მრავალფეროვანი ჩანს, ვიდრე წინა საუკუნეებში. „წარჩინებულთა“ ფენა, რა თქმა უნდა, უფრო ძლიერია, მაგრამ თვით წარჩინებულთა შორისაც უკვე გარკვეულ პირებს შემდგომი დაწინაურებისთვის მიუღწევიათ. ესენი არიან „მთავარნი“. რადგანაც შემდეგ ხანაში ამ ტერმინს ჩვეულებრივად და უპირატესად პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ამიტომ შეიძლება მკითხველმა მასში აქაც ანალოგიური აზრი ჩასდოს. შეიძლება ტერმინს პოლიტიკური ელფერი მართლაც უკვე ამ დროს ჰქონდეს გადაკრული, მაგრამ უეჭველია რომ მას სოციალური მნიშვნელობაც ჰქონდა. ქართლისა და სომხეთის გაქრისტიანების ისტორიის ცნობილი ქალი პერსონა-

---

[1] ლეონტი მროველი, 39.

[2] Գիրք Քղքաց, 168, 170.

ეები, ნინო და რიფსიმე. მ თ ა ვ რ ე ბ ი ც არიან წოდებულნი. ისე-ვე უნდა გავიგოთ ეს სიტყვა შემდგომ ნაწყვეტში: „ძოდრკა მეფე მუხლთა თვსთა ზედა და ყ ო ვ ე ლ ნ ი მ თ ა ვ ა რ ნ ი და ყოველი სიმრავლე ერისაჲ... ხოლო დედოფალი და სხუანი ოგი მ თ ა ვ ა რ ნ ი დ ე დ ა ნ ი არა სადა განეშორებოდეს წმიდასა ეკლესიასა“ [1].

მთავართა გვერდით მოხსენებულნი „ერ ი ს თ ა ვ ნ ი“-კი უკვე აშკარად მეფის მოხელენი არიან, შესაძლოა სარდლები, ან აგრეთვე „საქვეყნოდ გამრიგე“ მოხელენი. ისინი მეფის განკარგულების განმხორციელებელნი არიან, როგორც ქვემოთ ვნახავთ. შემდეგ ერსებობს კიდევ უფრო დაწინაურებული წრე, რომელიც მეფესთან განსაკუთრებით ახლოს დგას. ეს ერის მეფის „პალატ-ბანაკი“. „პალატის“ ქვეშ იგულისხმებიან, ცხადია, მისი პალატის. კარის, ხალხი, კარისკაცები, რომელნიც მეფის უახლოესი თანამშრომელნი, მრჩეველნი, არიან. „ბანაკი“-კი უმაღლეს საძხედრო პირთ უნდა აღნიშნავდეს, რომელთაც აგრეთვე განსაკუთრებით ახლო ადგილი უჭირავთ მეფესთან ამ სფეროში (როგორც ზემოთ ერის აღნიშნული. პომპეუსმა ქართლის მეფის სამი მთავარი, სარდალი, წაიყვანა ტყვედ). პალატ-ბანაკის ურთიერთობა თავისთან ერის და შემდეგ მათი დამოკიდებულება მეფესთან კარგად ერის გამოხატული იმ სიტყვებში, რომლებსაც ჰაგიოგრაფი ნინოს ეუბნებოდა მეფის მიმართ: ... „სიმრავლე წყალობისა გ ა რ ე მ ო ს ბ ა ნ ა კ ს ა და შ ი ნ ა გ ა ნ პ ა ლ ა ტ ს ა და ყოველსა ერსა თქუენსა ზედა იყავნ“-ო [2]. ბანაკი, როგორც უმაღლესი სამხედრო წრე, მეფისა და მისი სასახლის გ ა რ ე, ს ა გ ა რ ე ო, ს ა ქ ვ ე ყ ნ ო ს საყრდენს წარმოადგენს, პალატი-კი შ ი ნ ა ურ ი, კარის, დ ა ბ ა ზ ი ს. წრეა. „ბანაკი“ მეფეს ახლავს მის შორეულ მგზავრობაშიაც: მცხეთიდან კახეთს წასულ მეფეს თან მოუმორებლად ახლავს მისი „ბანაკი“ [3].

აღნიშნული დაწესებულებები ეცხო წყაროების ჩვენებითაცაა დადასტურებული: „ბანაკია“ ის ამალა, რომელიც ფარსმან მეფეს ა ჰ ყ ვ ა რომში (იხ. ზემოთ, § 14). ხოლო „პალატი“ მოხსენებულია უფრო გვიან, „სინკლიტის“ სახით (უფრო სწორედ. იქ „სინკლიტის“ წევრები არიან დასახელებულნი). როცა საუბარია იბერიის მეფის,

---

[1] ნინოს ცხ., შატბ. 792.

[2] ნინოს ცხ., ჰელ. 730.

[3] ქართლ. მოქც., ჰელ. 719.

ძამანარსეს, კონსტანტინოპოლში ჩასვლის შესახებ 535 წ [1]. გარდა ამ წრეებისა, როგორც უკვე მოტანილ ციტატებიდანაც შეიძლებოდა დავრწმუნებულიყავით, „ერიც", „ყოველი ერიც" იხსენიება. „ყოველი ერი" მთელი ქართლის მოსახლეობას გულისხმობს ზოგადად: „განვიდა მეფე და ყოველნი მთავარნი მისნი და ყ ო ვ ე ლ ი ე რ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა დედებითურთ და ყრმებით" [2]. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ერი ძველი გვაროვნული საზოგადოება უკვე აღარ არის. საგულისხმოა და იქნებ შემთხვევითიც არ იყოს, რომ როცა „ქართლის მოქცევის" მატიანის შატბერდული ვარიანტი ამბობს გაქრისტიანების შესახებ: „წარემართა მეფე და ყოველი ქართლი ქრისტიანობასა"-ო, ჭელიშური ვარიანტი იმავე აზრს სულ სხვა რედაქციით გამოსთქვამს: ... „მეფე... წარემართა ქრისტეანობასა ყ ო ვ ლ ი თ ს ა ბ რ ძ ა ნ ე ბ ლ ი თ მ ი ს ი თ"-ო [3]. ძველი ავტონომიური ერი ეხლა უკვე სხვის საბრძანებლად ქცეულა — სავსებით ნიშანდობლივი ჩვენებაა! ასევე დამახასიათებელია ცნობა ნინოს მიერ კუხეთის ტომთა გაქრისტიანების შესახებ: „მონათლნა კხოელნი და სოჯნი ერითურთ მათით" [4]. რადგანაც მომდევნო ფრაზაში კახეთის „მთავართა" მონათვლაა ნახსენები, ცხადია, ზემოთაც ასევე უნდა ვავიგოთ — მოინათლნენ კხოელი (ანუ: კუხელი) და სუჯი მთავრები მათის ერით. მაშასადამე, აქაც მითითებაა იმაზე, რომ წინანდელი თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ი ერ ი ეხლა უკვე სხვაზეა დამოკიდებული. ფეოდალურ საზოგადოებაში ხომ ერი უკვე აღარ ეკუთვნის თავის თავს, ის „თავის უფალი" უკვე აღარ არის, მას სხვა ჰყავს უფალი და ბატონი. ამიტომ შეიძლება დიდ აზნაურზე ითქვას რომ იგი „ერმრავალია", როგორც „ქართლის მატიანე" ამბობს მარუშისძის შესახებ: „იყო მათ ჟამთა ერისთავი ქართლისა იოვანე მარუშისძე, კაცი ძლიერი და ერმრავალი"-ო [5]. ზოგიერთ შემთხვევაში ამ ავტორებს ერი თითქოს ერთგვარ თვითმოქმედების ასპარეზზედაც გამოჰყავთ. მაგრამ, ჯერ ერთი, ერის ნებისყოფა ამ შემთხვევებში შედარებით უვნებელ და ნეიტრალურ საგნებისადმი არის მი-

---

[1] Theophanis Chornographia, I, 216, De-Boor, 1883 წ.
[2] ნინოს ცხ., ჭელ. 791.
[3] ქართლ. მოქც. 715.
[4] იქვე, 717.
[5] მარ. 236.

მართული. შემდეგ, თვით „ერიც“ აქ ახალ შინაარსის ცნებაა. მაგ., ახალ რელიგიის ოფიციალურად მიღების შემდგომ ბერძნები წინადადებას იძლევიან საუფლო ნიშის აღმართვის შესახებ. ეს „სათნო უჩნდა მეფესა და ყ ო ვ ე ლ ს ა ერსა“ [1], მეფემ და ერმა მიიღეს წინადადება. შემდეგ ეძებენ სათანადო ადგილს და მეფე ამის შესახებ ერს ეთათბირება: ... „განაზრახვიდა მეფე ყ ო ვ ე ლ ს ა მ ა ს ე რ ს ა, ვითარმედ რომელსამე ადგილსა აღჰმართონ სახეᲲ იგი ჯუარისაᲲ. ხოლო კაცად-კაცადი (=თვითეული) იტყოდა, სადა ვის მარჯვე უჩნდა, არამედ ვერ სადა გამოირჩიეს“, ყველა თავისას გაიძახოდა, ვისაც რა ეხერხებოდა, და ვერ შეთანხმდნენო [2]. ბოლოს, სასწაული სწყვეტს საკითხს. ნაჩვენები ადგილი „სათნო უჩნდა ყ ო ვ ე ლ ს ა ერ ს ა და ყ ო ვ ე ლ თ ა ერ თ ბ ა შ ა დ აღიღეს ჯუარი იგი და აღჰმართეს... და ყო მირეან მეფემან და ყ ო ვ ე ლ მ ა ნ ერ მ ა ნ მ ც ხ ე თ ი ს ა მ ა ნ შესაწირავი: დიდი“-ო [3]. მაშასადამე, ეს ერი მ ც ხ ე თ ი ს ერ ი ყოფილა, ქ ა ლ ა ქ ი ს ერ ი. ასეთი ქალაქის ერი-კი სრულებით არ არის სავალდებულო გვაროვნულ საზოგადოებას ეიგივებოდეს. ქალაქის ერი, შესაძლოა, მ ო ნ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ უ რ დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა ს ა ც წარმოადგენდეს, მაგ., და თავის სოციალურ შინაარსით იგი განსხვავებული იქნება პირველყოფილ დემოკრატიისაგან. საერთოდ უნდა ითქვას, რომ „ერის“ ძველი მნიშვნელობა ფეოდალურ ეპოქაში ახსოვდათ და ტერმინი სხვადასხვა კონტექსტში შეიძლებოდა ხმარებულიყო ისეთ კრებულის აღსანიშნავად, რომელიც განსაკუთრებულ, კერძოდ — საკანონმდებლო, უფლებებით არის აღჭურვილი. ეს გ ა რ ე მ ო ე ბ ა თ ა ვ ს ი ჩ ე ნ ს, მაგალითად, ფ ე ო დ ა ლ უ რ ს ა მ ე ფ ო ს ა ბ ჭ ო ს, „დ ა რ ბ ა ზ ი ს ერ ნ ი“-ს ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა შ ი.

თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ა დ, ამ ტერმინში ლოგიკური მახვილი სიტყვა „ერნის“ მოუდიოდა. ეს ჩანს ისეთ შემთხვევებიდანაც, როცა „დარბაზი“ სხვა სიტყვითაა შეცვლილი. უკანასკნელი ლევან დადიანი ერთს თავის საბუთში სწერს: „ჩემნი ოჯახის ერნი, დიდნი და მცირენი... მოწმენი არიან“-ო. მისსავე სხვა საბუთებში ნახმარია „დარბაზის ერნი“! თვით მოვლენები თავის სოციალურ აზრით-კი,

---

[1] ნინოს ცხ., შატბ. 793.
[2] იქვე, 794.
[3] იქვე, 795.

ასაკებია. დიამეტრულად განსხვავდებოდნენ ერომანეთისაგან — „დარბაზის ერნი" ფეოდალურ კლასის საწარმომადგენლო ორგანო იყო, და არა მთელი ხალხისა. გარდა ამისა, ამ ერის ფუნქცია დარბაზით განისაზღვრება, რომელიც მეფეს ეკუთვნის და მეფის ძალაუფლებასთან ერთად იზრდება.

[1] გარდა ამისა, როცა საეკლესიო მწერალს ჰსურს დაგვარწმუნოს რომ ერმა, თუნდაც ქალაქის ერმა, ერთხმად მიიღო ქრისტიანობა, ამაში მისი ტენდენცია მჟღავნდება, და არა ისტორიული სინამდვილე მთელი თავისი სახით.

ტენდენციური და ყალბია აგრეთვე ცნობები მოწინააღმდეგე საზოგადოებრივ ძალთა შესახებ. არაფერი ან, ყოველ შემთხვევაში, უაღრესად მცირე და უფერული რამ არის ნათქვამი ქურუმთა წოდების შესახებ. ქართული წარმართობა წარმოდგენილია, როგორც კერპთაყვანისმცემლობა. ქართველები „ცეცხლისა და ქუათა და ძელთა თაყუანის სცემდეს" [1], მათი ძველი ღმერთები არიან „ღმერთნი დიდთა ნაყოფთა მომცემელნი და სოფლის მპყრობელნი, მზის მომფენელნი და წვიმისა მომცემელნი, ქუეყნისა ნაყოფთა განმზრდელნი ქართლისანი — არმაზ და ზადენ, — ყოვლისა დაფარულისა გამომძიებელნი და ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი — გაცი და გა" [2]. ღმერთებს ჰყავთ თავიანთი „მსახურნი", რომელნიც განსაკუთრებულ პრივილეგიებით არიან აღჭურვილნი. არმაზის „მსახურად" და, ამასთან დაკავშირებით, „მცხეთის მკუიდრად" გახდომა [3], მაგალითად, მიჩნეულია ისეთ უპირატესობად, რომლის მინიჭებაც მხოლოდ მეფეს შეუძლია. ჩვენ ვიცით უკვე, რა პრივილეგიები იგულისხმება აქ. ამ პრივილეგიების საფუძველზე შეუძლია მემატიანეს სთქვას რომ ეს „ღმერთები" (=ტაძრები) არიან არა მარტო „სოფლის (ე. ი. ქვეყნის) მპყრობელნი", არამედ, უფრო კონკრეტულად, რომ ისინი არიან „ღმერთნი, მპყრობელნი ქ ა რ თ ლ ი ს ა ნ ი" [4]. სათანადოდ, პოლიტიკური მდგომარეობაც მცხეთაში წარმოდგენილია როგორც ისეთი მდგომარეობა, როცა „ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ" [5]. თუ მოვიგონებთ იმას, რასაც ჩვენ

---

[1] ნინოს ცხ., შატბ. 750 (შეადრ. 752).

[2] იქვე, 769.

[3] იქვე.

[4] ლეონტი მროველი, მარ. 26.

[5] ნინოს ცხ., ჰელ. 748.

ოავის ადგილას ეამბობდით ქეერუმთა ბატონობის საფუძვლებისა და ხასიათის შესახებ, ამ ციტატებში ბევრი რამ იქნება ჩვენთვის საგულისხმო. საერთოდ-კი, ცნობები ნაკლულია და სულ არაფერი არ ვიცით ყველაზე დაბლა მდგომ სოციალურ ჯგუფების (სტრატონისეულ მეოთხე გენეს) მდგომარეობის შესახებ.

აი, ასეთი იყო ქართლის საზოგადოებრივი აღნაგობა, როცა აქ წამოიჭრა საკითხი ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ კულტად მიღების შესახებ. როგორც ვამბობდით, ქრისტიანობა მიიღეს სამეფო დინასტიამ და მისმა მოკავშირე საზოგადოებრივმა კლასმა, თავის სოციალურ-პოლიტიკურ ინტერესების გულისათვის. ეს კლასი ერისაგან გამოთიშულ ელემენტებისაგან შესდგებოდა. ზოგადად ესენი არიან „წარჩინებულნი" [1], ხოლო ამ წარჩინებულთა შორის, ვნახეთ, არიან ცალკე ჯგუფები „მთავართა", „ერისთავთა", მეფის „პალატბანაკისა" და სხვ. საერთოდ კი, მერმინდელი ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, ეს არის „აზნაურთა" წრე თუ ჯგუფი (არ ვიცით, ნამდვილად არის ის ამ დროს უკვე ცალკე წოდებად ჩამოყალიბებული, თუ არა). მერმინდელი ტერმინოლოგიაო, ვამბობთ, რადგანაც უეჭველად მიგვაჩნია, რომ ამ სოციალურმა ფენამ თავის შინაგან განვითარების გზით უკვე სავსებით მკაფიო სახეს მიაღწია უფრო ადრე, ვიდრე მის აღსანიშნავად უცხოური (ირანულ წარმოშობის) ტერმინი „აზნაური" დამკვიდრდებოდა [2]. ვიმეორებთ, ამ მერმინდელ ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ქრისტიანობა საქართველოს მოეღლინა როგორც აზნაურთა რელიგია და ძველი მონარქიის ოფიციალური კულტი. და მიუხედავად ქრისტიანულ წყაროების მთელი ტენდენციურობისა, მათში მაინც არის შერჩენილი (ე. ი. მთლად ვერ წარუხოცავთ) კვალი იმ ბრძოლისა, რომელიც, თეოკრატიულ ელემენტების განადგურების შემდეგ, კიდევ გაუმართავთ ქრისტიანობის მოიქცულებისა და გაძავრცელებლებისათვის. მას შემდეგ,

---

[1] ეს არ იყო ერთადერთი ტერმინი ამ ფენის აღსანიშნავად. სხვა ტერმინიც ბრავალი იყო, და განსაკუთრებით ცალკე კუთხეებს თავისი ადგილობრივი ტერმინებიც მოეპოვებოდათ (მაგ. თავადნი, მოთაულნი, თავკაცნი, ერისთავნი, თავნი და სხვ.). სხვადასხვა დროსაც აგრეთვე მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხრივ. დაწვრილებით ამის შესახებ სხვა ადგილას.

[2] ტერმინ „აზნაურის" ისტორიისათვის იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლის ისტ., წ. I, გვ. 190.

ოაკ „ნათელი მოიღო მირეან მეფემან და ნანა დედოფალმან და ყოველმან პალატ-ბანაკმან მათმან", ამის შემდეგ საჭიროდ მიიჩნიეთ „უქადაგონ" ქრისტიანობა პროვინციასაც. პირველ რიგში მიჰმართავენ მცხეთის ჩრდილოეთით მდებარე მთიან რაიონებს. აქ წასულ ნინოს თან წაუყვანია საბერძნეთიდან მოსული სამღვდელოება და „ერისთავი ერთი. წარვიდა და დადგა წობენს და მოუწოდა მთეულთა ჭართალელთა და ფხოელთა და წილკანელთა და უქადაგა სარწმუნოებაჲ ქრისტეჲსი". მაგრამ ამ მთიულებს არ აღმოჩნდათ საჭირო „სათნოება": „ხოლო მათ პირუტყუ-სახეთა (ე. ი. პირუტყვის მსგავსთა) განუყარეს თავი და პირნი გარემიიქცივნეს და იღრჭენდეს კბილთა მათთა წმიდისა ნინოსთჳს". მაგრამ ნინოს ერისთავი თან ტყუილად კი არ ახლდა — ქადაგების გარდა სხვა მეთოდების გამოყენების საჭიროება იმთავითვე იყო გათვალისწინებული. „ხოლო ნინო უბრძანა ერისთავსა, რათა წარმართოს მცირედ მახჳლი მათ ზედა. და ერისთავმან მცირედ წარჰმართა მახჳლი, და ვითარცა შებმა უყვეს, შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დალეწად. და გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს, დაბასა ედემს და ნათელსცა ერწუ-თიანელთა. ხოლო ყუარელთა რა ესმა ესე, შეშინდეს და გარდაკრბეს თუშეთს, რომელნი უკუანაჲსკნელ იპოვნეს: თრდატ მეფემან მოიყვანნა და მონათლნა" [1]. მაშასადამე, ზოგნი ამ მთიელ თემთაგან არა მარტო წინააღმდეგობას უწევდნენ ქრისტიანობის მოციქულებს, არამედ, როცა იმედი აღარა ჰქონდათ თავის გამარჯვებისა, მამაპაპეულ მიწა-წყალსაც სტოვებდნენ და სხვაგან მიიხვეწებოდნენ. ჩანს, კახეთშიაც ყველა „აღტაცებით" არ შეჰხვედრია ახალ სარწმუნოებას — წყაროები ამბობენ აქ „მთავართა" გაქრისტიანების შესახებ და „ერი"-კი არ იხსენიება.

მერმინდელი ისტორიკოსებიც ვერ ჰმალავენ. რომ როცა „ნათელ იღეს ყოველმან ერმან და სიმრავლემან ქართლისამან... არა ნათელ იღეს მთეულთა კავკასიისათა... არამედ დადგეს ბნელსა შინა ჟამ რაოდენმე" [2], რომ მეფე ამ გარემოების გამო იძულებული ყოფილა გახეცხადებინა: „მნებავს ესრეთ, რათა იძულებით

[1] ქართლ. მოქც., შატბ., ტელ. 716—717.
[2] ლეონტი მროველი, მარ. 98.

მ ა ხ ვ ი ლ ი თ ა მ ო ვ ა ქ ც ი ე ნ ი თ მთეულნი... და დ ა ვ ა ო ნ-ნ ე ძესა ღმრთისასა და ვათაყუანნე პატიოსანსა ჯუარსა“-ო [1]. ამავე ისტორიკოსს მოეპოვება ერთი ძალიან საყურადღებო ცნობა რომ ქრისტიანობის გასავრცელებლად ადმინისტრაციულ ღონისძიებათა შორის მარტო მახვილი როდი იყო გამოყენებული, არამედ სხვა უფრო დახვეწილი საშუალებებიც. „სხუანიცა მთიულელნი უმრავლესნი არა მოიქცეს. არამედ დ ა უ მ ძ ი მ ა მ ა თ მ ე ფ ე მ ა ნ ხ ა რ-კ ი, ოდეს არა ინებეს ნათლისღება“-ო [2]. რატომ იყო რომ ახალსარწმუნოების პროპაგანდისტებს სწორედ მთაში შეჰხვდათ ასეთი გააფთრებული წინააღმდეგობა? ეს სავსებით გასაგებია: სწორედ მთაში ამ დროს ფეოდალური ურთიერთობა ან სრულიად არ არსებობდა, ან სუსტად იყო ჩასახული, და, მაშასადამე, აქ არ არსებობდა ჯერ კიდევ ის სოციალური ფენა, რომელსაც ქრისტიანობა დაემყარებოდა. იყო, რა თქმა უნდა, სხვაც, სოციალურად ანალოგიური, თუმცა ბუნებრივად განსხვავებული, რაიონები. შედეგი იქაც იგივე იყო. მოიპოვება დოკუმენტალური ცნობები იმის შესახებ, რომ მრავალ საუკუნის შემდეგაც საქართველოს მრავალ კუთხეში წარმართობა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ქრისტიანობა. მთიულების შესახებ თვით ზემოთ აღნიშნული წყაროც ამბობს, რომ „რომელნიმე უკანასკნელ მოაქცივნა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოზმან, რომელნიმე მათგანნი დარჩეს წარმართებასავე დღესამომდე“ [3], ჩვენს დრომდეო, ავტორის დრო-კი რამდენიმე საუკუნითაა დაშორებული აღებულ ეპოქას.

ქრისტიანობის მიმღებ წრეების დახასიათებისათვის იქნებ უმნიშვნელო არ იყოს წყაროების ცნობები ეკლესიების მაშენებელთა შესახებ. გასაგებია რომ საზოგადოდ ქრისტიან მაშენებელთა შორის და კერძოდ პირველ ქრისტიან მაშენებელთა შორის ქართლში მეფენი და ეპისკოპოსნი იხსენიებიან. მაგრამ თითქოს განსაკუთრებული აზრი ეძლევა ისეთ ცნობებს, რომლებშიაც საუბარია ტაძრების აშენების შესახებ აზნაურთა მიერ, და ეს უკანასკნელნი აქ კორპორაციულად არიან ნაგულისხმევნი. მეოთხე საუკუნის მეორე ნახევრისათვის აღნიშნულია, რომ ვარაზბაკურ მეფის „ზ ე ა ღ ა შ ე-

---

[1] ლეონტი მროველი, მარ. 106—7 და შენ.
[2] იქვე, 107.
[3] იქვე.

ნეს აზნაურთა ეკლესიაჲ გიორგი წმიდისა მცხეთასსა. მეხუთე საუკუნის დამდეგისათვის, მიახლოებით, ნათქვამია რომ არჩილ მეფის „ზე აზნაურთა სტეფანე წმიდაჲ აღაშენეს ეკლესია ზედ“[1]. მხოლოდ უკვე მეექვსე საუკუნის დამდეგისათვის ცალკე ერის აღნიშნული რომ მეფე დაჩის „ზე ტფილისს კაცნი დასხდებოდეს და მარიამ წმიდაჲ ეკლესიაჲ აღაშენეს“[2]. ოღონ აქ მაინც მკაფიოდ არ ჩანს, ვინ არიან ეს კაცნი, სამაგიეროდ აზნაურებით ნათელია მომდევნო ცნობაში, რომელიც მიახლოებით მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარს გულისხმობს. ამ დროს, გუარამ ერისთვის ზე „ტფილისსა მკვდართა დიდსა ეკლესიასა“ დაიწყეს. ნახევარსა იქმოდა ყოველი ერი და ნახევარსა ერისთავნი“[3]. ორნახევარ საუკუნის განმავლობაში, საზოგადოებრივ განვითარებასთან დაკავშირებით, ქრისტიანობას დიდი ნაბიჯები წაუდგამს წინ თავის გავრცელების მხრით. ტფილისის „ყოველი ერი“, ქალაქის ერი, უკვე იმ საქმიანობის თანამონაწილე (მოთავეც, როგორც ჩანს) ერის, რომელიც წინათ მხოლოდ აზნაურებს ახასიათებდა.

მაგრამ ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად ქცევა ქართლში გულისხმობდა არა მარტო გარკვეულს შინაურ სოციალურსა და პოლიტიკურ პირობებს, არამედ გარკვეულს გარეპოლიტიკურ პირობებსაც. ეს გარეპოლიტიკური პირობები გასასაზღვრულნი იყო რომისა და ირანის ბრძოლით პირველობისათვის წინაარაზიაში. მებრძოლ მხარეთა დაინტერესებით ამიერ-კავკასიის ქვეყნებისა და, კერძოდ, ქართლის მიმართ და, დასასრულ, თვით ქართლის მცხოვრებელ წრეების გაჭიუობილებებითა და მიდრეკილებებით ამ ბრძოლაში.

როგორც თავის ადგილას ვამბობდით, მესამე საუკუნიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც ირანის სამეფო ტახტი სასანიანებმა დაიპყრეს, იწყება ირანის თვალსაჩინო გაძლიერება. მესამე საუკუნის შუა წლებში მათ მწარე დამარცხება აწვნევინეს რომაელებს მით უფრო ადვილად, რომ ამ დროს იმპერია თავისთავადაც ძალზე იყო მისუსტებული, რადგანაც შინაური და საგარეო აშლილობა თა-

[1] ქართლ. ცხოვ. 720.
[2] იქვე. 722.
[3] იქვე. 724

ვის მწვერვალზე იყო ასული. ირანელებმა იმასაც-კი მიაღწიეს, რომ თვით კეისარი ვალერიანე ტყვედ წაიყვანეს (260 წელს), რაც დაგვირგვინება იყო ირანის მეფის შაბურ I-ის ცდისა ხელში ჩაეგდო რომის იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციები. ირანელების გაძლიერებას, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნებისთვისაც, საითკენაც ირანის მეფეები ხარბი თვალით ადრეეც იცქირებოდნენ. ირანელების გავლენა ამიერ-კავკასიაში ყველაზე ადრე, გასაგებია, სომხეთში და ალბანეთში ვრცელდებოდა. სომხეთში მათ წინა საუკუნეებშიაც არა ერთგზის მიუღწევიათ ჰეგემონიისათვის. სომხურ ეროვნულ ტრადიციების მიხედვით, უკვე პირველმა სასანიანმა არდაშირმა (226—240) დაიპყრა სომხეთი, დახარკა იგი და 26 წლის განმავლობაში ჰმართავდა მას თავის მოხელეების საშუალებით [1]. რომაულ წყაროების ჩვენებითაც სომხეთი არდაშირის შვილის შაბურის დროს სპარსულ გავლენის სფეროში შედიოდა [2]. ირანელების „მოღვაწეობა" სომხეთში, როგორც ჩანს, არც თვით სომხებს ჰხიბლავდა და სომხების მეზობლებისთვისაც ცუდი მაგალითი უნდა ყოფილიყო. როცა იმპერატორი ვალერიანე ირანელებმა ტყვედ წაიყვანეს, სომხეთის მეფეს არტავაზდს შაბურისათვის მიუწერია — ამ აქტით (ვალერიანეს ტყვედ წაყვანით) შენ გადაიმტერე და ჩვენც გადაგვამტერე, იმიტომ რომ ჩვენ შემწეობა გამოგიგზავნეთ, ყველა ხალხი, რომელნიც მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებიან რომაელებთან, ან ემორჩილებიან მათ [3]. ამ ხალხთა შორის სომეხთა მეფე აღმოსავლეთში და | პონტოში მცხოვრებ ხალხებსაც იხსენიებს. და მართლაც ბაქტრიელებს, ი ბ ე რ ი ე ლ ე ბ ს, ა ლ ბ ა ნ ე ლ ე ბ ს ა და ტავროსკვითებს უკუუგდიათ შაბურის წერილები, რომლებითაც სპარსეთის მეფე ამ ხალხებს ალბათ თავის მხარეს ეპატიჟებოდა, და, სამაგიეროდ, რომაელთა წინამძღოლთათვის მიუწერიათ, ვალერიანეს ტყვეობიდან გამოხსნის საქმეში დაგეხმარებითო [4]. მაშასადამე, მესამე საუკუნის მეორე ნახევარში ამ ხალხების მმართველ წრეების ორიენტაცია რომისკენ ყოფილა მიმართული. უეჭველია, ამ მოვლენას თავისი უფრო ღრმა მიზეზებიც უნდა ჰქონოდა.

---

[1] ხორენელი, II, 77.
[2] კაპიტოლინი, SC II, 298
[3] იქვე.
[4] იქვე.

298 წლის ზავმა, როგორც ვნახეთ, დაადასტურა რომის უპირატესობა კერძოდ ქართლში. მაგრამ ქართლის დამოკიდებულება რომისაგან ამ დროს სავსებით მსუბუქი ფორმის უნდა ყოფილიყო, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ეს ვასალობა იყო. რომის იმპერატორები ხომ უფრო ადრეეეც ცდილობდნენ უხვი საჩუქრებით განემტკიცებინათ თავიანთი „მეგობრობა" იბერიის მეფეებთან. მაგრამ შემდეგ, საერთო მდგომარეობის გამო, კიდევ უფრო მეტი საფუძველი ჰქონდათ ასეთი პოლიტიკა განეგრძოთ. მეოთხე საუკუნის სამოციან წლებში, ირანელთა გაძლიერებულ შემოტევების გამო (361 წ. ზამთარში), რომაელები ცდილობდნენ მდ. ტიგროსის გაღმა მცხოვრები მეფენი და სატრაპები თავიანთ მხარეს გადმოებირებინათ მდიდარი საჩუქრებითა და საპირო შთაგონებით. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ცდილობდნენ მოექრთამათ ბრწყინვალე სამოსლებითა და მრავალფეროვან საჩუქრებით არშაკი და მირიანი („მერიბანე"), სომხეთისა და ქართლის (იბერიის) მეფეები, რომელთაც შეეძლოთ მაშინდელ საეკვო გარემოებაში ევნოთ რომაელებისათვის, სპარსელების მხარე რომ მიეღოთო, ამბობს რომაელი ისტორიკოსი[1]. მართლაც, მეოთხე საუკუნის დამდეგიდან ირანელების იერიშები რომაული ტერიტორიის მიმართ სულ უფრო და უფრო ძლიერი ხდება. ამიერ-კავკასიაში, სომხეთისა და ალბანეთის შემდეგ, ირანელებს ეხლა ქართლიც ჰქონდათ მიზანში ამოღებული და ძალონეს არა ზოგავდნენ რომ რომაელები აქედან გაეძევებინათ. რადგანაც არც ერთს მებრძოლ მხარეს იმ ხანად ისეთი რეალური ძალა არ გააჩნდა რომ იარაღით გადაეჭრა საკითხი, ამიტომ ადგილობრივ მმართველ წრეების განწყობილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ორივე მხარე სწორედ ამ განწყობილების მოპოვებას ცდილობდა.| წყაროებიც მკაფიოდ მიუთითებენ მდგომარეობის ასეთ ხასიათზე. მეხუთე საუკუნის დამდეგისათვის, როცა ბრძოლა ქართლის გამო ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გადაწყვეტილი, ძველი ქართველი ჰაგიოგრაფი აღნიშნავს: „მათ ჟამთა შინა უკუე იყო ბრძოლა შორის ბერძენთა და სპარსთა და ეშინოდა ბერძენთა, ნუ უკუე შეერთოს მეფე ქართველთა სპარსთა და ბრძოდიან სამეუფოსა ბერძენთასა და მძლე ექმნენ ბერძენთა, ამისთჳსცა მოსთხოვა (კეისარმა)... მეფესა ქართველთასა ფიცითა სიმტკიცე, რათა არა

[1] ამიანე მარცელინე. SC II, 324.

შეერთოს სპარსთა". ქართლის მეფე სათანადო პირობას იძლევა. მაგრამ კეისარმა მას „უმეტესისა სიმტკიცისათვს მოსთხოვა მძევალიცა მეფესა ქართველთასა. ხოლო რათა არა განიწვალნენ (ე. ი., არ გაიყონ, არ გაეთიშონ ერთმანეთს) ბერძენნი და ქართველნი და რათა იყოს მათ შორის მშუიდობა და სიყუარული, ამისთვსცა თავს იდვა ესე მეფემან ქართველთამან და წარგზავნა ძე თვსი" მძევლადო[1]. დასავლეთისკენ აუღიათ ორიენტაცია ქართლის მმართველ წრეებს ჩვენთვის საინტერესო ხანაშიაც. დამოკიდებულება შორეულ რომთან მათთვის უფრო ხელსაყრელი იყო და ძისაღები, ვიდრე ირანელების ზედ კარზე ძომდგარი ბატონობა. მემატიანე ამტკიცებს, რომ პირველი ქრისტიანი ქართველი მეფე (მირიან) „უღონო იქმნა მირიან და შეეშინა ოტებისათკს ქართლით, რამეთუ მომწყდარ იყუნეს წყობასა მას შინა ყოველნი წარჩინებულნი მისნი... და ამისთვსცა წარგზავნა მოციქული წინაშე კოსტანტინე მეფისა და ითხოვა მისგან მშვიდობა და აღუთქვა მას მსახურება და განდგომა სპარსთაგან და შემოდგომა ძისი, რომელი ესკ სთნდა კონსტანტინეს, რამეთუ შიში აქუნდა კუალადცა სპარსთა მეფისაგან და თანაშემწეობისაგან (ქართველებისა სპარსელების საწარგებლოდო). დაეზავა მირიანს და აღიყუანა შვილი მირიანისი ძძევლად"-ო[2]. რომის იმპერიაში ამ დროს ქრისტიანობა უკვე საბელმწიფო რელიგიაა, და იგი ბუნებრივად გამოყენებული ხდება აღწერილ საურთიერთო პოლიტიკურ მიდრეკილების განსამტკიცებლად. ეს ამბავი და ძისი ნამდვილი აზრიც მშვენივრად აქვს აღწერილი იმავე მემატიანეს. როცა მირიან მეფემ თავისი საბრძანებელი „განამტკიცა... სრულსა სარწმუნოებასა ზედა", კონსტანტინე კეისარმა ქართველთა მეფეს „ძძევალი, ძე მირიანისი... გამოუგზავნა... ნიჭითა დიდითა (დიდი საჩუქრებითა) და მოუწერა | ესრეთ: „მე, კონსტანტინე თვითმპყრობელი, ახალი მონა ცათა მეუფისა, პირველ ეშმაკისაგან წარტყუენული და გამოჴსნილი დამბადებელისა მიერ, მო-

---

[1] პეტრე ქართველის ცხ., მარის გამოც.: „православный палестинский сборник", вып. 47, зз. 5—5.

[2] ლეონტი მროველი, მარ. 54.

ესწერ შენდა... ჩემთავე ახალნერგისა მორწმუნისა მეფისა მირიანისა — იყავნ შენთანა მშვიდობა და სიხარული. ვინაჲ თგანიცან შენ სამება და ერთარსება, ღმერთი დამბადებელი ყოვლისა, არღარა მიჴმს მე შენგან მძევალი, არამედ კმა არს ჩუენ შორის შუამდგომელად ქრისტე... და ჯუარი მისი... ვიყუნეთ ჩუენ სიყუარულსა ზედა ძმებრივსა. შვილი შენი შენდავე მიმინიჴებია, იხილე და განიხარე... განსდევნენ ღმერთმან დამბადებელმან ეშმაკი მაცთური საზღვართაგან შენთა"-ო[1], რადგანაც შენ ჩვენი ღმერთი იცან, მძევალი ეხლა ჩვენთვის საჭირო აღარ არის, მის მაგივრობას ქრისტე შეასრულებს — ის განამაგრებს კავშირს ჩვენ შორის და მაცთურ ეშმაკსაც (ირანელებს!) გააძევებს ჩვენი მიწა-წყლიდანაო. ჯერ საკვლევია, რა თქმა უნდა, თუ საიდან აქვს ავტორს ეს საყურადღებო ცნობა ამოღებული, მაგრამ ოთ თვით ცნობა სავსებით შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს, ამას საუცხოოდ ადასტურებენ უცხოური წყაროები. ბერძნული წყარო მე-4 საუკუნისა, რომელსაც საფუძვლად დასდებია იბერიის საშეფო სახლის შვილის მოთხრობა ქართლის გაქრისტიანების შესახებ და რომელიც თითქმის თანამედროვეა ამ ამბებისა, გვამცნობს: როცა ახლად გაქრისტიანებულ იბერიიდან მოციქულები მივიდნენ რომის იმპერატორთან სამღვდელო პირთა გამოსათხოვად, „კოსტანტინე მეფემ ისინი მეგობრულად მიიღო, უხაროდა რა უფლისათვის. მან შეიწყნარა თხოვნა და... ხელთდაასხმევინა (ე. ი. აკურთხებინა) იბერთა ეპისკოპოსი. ამავე დროს მას (კარგად) ესმის რომ ეს არის ნიში ღმერთისა, რომელიც უცხო თესლთ უქვემდებარებს მას"-ო[2].

ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად მიღება ქართლში უნდა მომხდარიყო მეოთხე საუკუნის ოცდაათიანს თუ ორმოციან წლებში. ქართლის იმ მეფეს, რომელმაც ეს აქტი შეასრულა, ქართულ-სომხური წყაროები ეძახიან მირიანს, ბერძნულ-ასურულნი-კიბაკურს. არსებითად ეს ცნობები არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს.

---

[1] ლეონტი მროველი, მარ. 109—110.

[2] „მიმომბილველი", I, 62—3; შეადრ. რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერის" ცნობა მირიანის შესახებ.

უცხოურ წყაროების | ბაკური არის მირიანის მემკვიდრე და მომდევ-
რო მეფე ბაკური[1]. ამ ბაკურმა, როგორც ვნახეთ, გარკვეული რო-
ლი ითამაშა აღწერილ აბ̇ბებში. შესაძლებელია ის მძევალი არ ყო-
ფილიყო (და ეს გარემოება მერმე იყოს შეთხზული), მაგრამ სავსე-
ბით დასაჯერებელია, რომ მას იმპერატორის კარზე ეცხოვრა და
კეისრის მთავრობას მისი იქ ყოფნა მართლაც გამოეყენებინა თავის
მიზნებისათვის. შესაძლებელია ისედაც მომხდარიყო, რომ ქართულ
სამეფო სახლიდან ფაქტიურად ქრისტიანობა პირველად სწორედ
კეისრის კარზე მყოფ ბაკურს მიეღო. სახელმწიფოს გაქრის-
ტიანებას-კი მხოლოდ მეფის მონათვლა უდებდა საფუძველს. ქარ-
თული წყაროებიც შემდეგში ბაკურს განსაკუთრებით ენერგიულ
ბიმდევრად აცხადებენ ახალ სარწმუნოებისათვის და მისი შემდგო-
მი გავრცელების აქტიურ ორგანიზატორად. ამიტომ გასაგებია რომ
ბაკური ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ გამოეცხადებინათ გარ-
კვეულ წრეებს — აქაც ალბათ პოლიტიკური ტენდენციები იფარებ.

რომ ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი სწორი უნდა იყოს, ამაში
დასავლეთ საქართველოს გაქრისტიანების ისტორია გვარწმუნებს.
უეჭველია რომ დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის ოფიცია-
ლურ კულტად ქცევას მნიშვნელოვნად დააგვიანდა აღმოსავლეთ
საქართველოსთან შედარებით. თანაც ეს მოხდა იქ დიდი ყოყმანისა
და მერყეობის შემდეგ, როგორც ჩანს. ამავე დროს ისიც უეჭვე-
ლია, რომ ამ ფაქტის განხორციელებისათვის დასავლეთ საქართვე-
ლოში ბევრად უფრო ხელსაყრელი პირობები იყო, თუ ფორმალურ
თვალსაზრისზე დავდგებით. დასავლეთი საქართველო იმთავითვე
ბევრად უფრო მჭიდრო კავშირშია რომის სახელმწიფოსთან, ვიდრე
ქართლი. იგი გეოგრაფიულადაც ხომ უფრო ახლოს იყო რომთან.
გარდა ამისა, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უძველეს

---

[1] ასე ეძახის მას უძველესი „ქართლის მოქცევის“ მატიანე. უფრო გვიანდელი,
ლ. ბროველის, თხზულებით ამ პირს ბაქარი ჰქვიან. ცხადია, უპირატესობა
პირველ წყაროს უნდა მიეცეს. სახელი „ბაქარი“ ამ დროს მით უმეტეს შეუძლე-
ბელია, რომ, როგორც დოც. ნ. ბერძენიშვილმა მიაქცია ჩვენი ყურადღება, ეს
სახელი არაბულ წარმოშობისაა და აღებულ ხანისათვის ანაქრონიზმს წარმო-
ადგენს.

დროიდან მოყოლებული იყო უცხოელთა ფაქტორიები — ზღვისპირა
საკაპრო ქალაქები (ფაზისი, დიოსკურია, პიტიუნტი), რომლებშიც
მოსახლეობის უდიდეს ნაწილს აგრეთვე უცხოელები, კერძოდ, ბერ-
ძნები, შეადგენდნენ. იმპერიის სხვა ნაწილებთან ეკონომიურად,
პოლიტიკურად და კულტურულად მეტად ახლო დაკავშირებულმა,
ამ ქალაქების მოსახლეობამ ქრისტიანობაც ადრე მიიღო. მეოთხე
საუკუნის პირველ ნახევარში ზოგიერთს ამ ქალაქთაგანში უკვე საე-
პისკოპოსო კათედრაც-კი არსებობს. ყოველივე ამას სათანადო გავ-
ლენა უნდა მოეხდინა ქრისტიანობის გავრცელებაზე ადგილობრივ
მოსახლეობაში. საამისო ფაქტებიც არსებობს—ახალ რელიგიის მიმ-
დევართა არსებობის შესახებ ლაზიკაში. მაგრამ უკვე ვამბობდით —
ქრისტიანობის გავრცელება ერთია და მისი სახელმწიფოებრივი
სანქცია და ლეგალიზაცია — მეორე. მართალია, მოხსენებულია რომ
მეხუთე საუკუნის სამოციან წლების დამდეგს კონსტანტინოპოლში
ჩასული ლაზიკის მეფე, გუბაზი, თავის ქრისტიანობის ნიშნებს ატა-
რებდა[1], მაგრამ ეს, როგორც ჩანს, ვერ გამოდგება იმის საბუთად
რომ ლაზიკის სამეფო სახლი საბოლოოდ გადასული იყო ქრისტია-
ნობის მხარეს. შესაძლოა ლაზიკის მეფის მხრით ეს ერთგვარი ხერ-
ხიც ყოფილიყო: ის კონსტანტინოპოლში თავის სამართლებლად
იყო ჩასული, რადგანაც მას რომაელების ღალატი ბრალდებოდა. და,
მართლაც, ამ ცნობის ავტორი ამტკიცებს, რომ ლაზიკის მეფემ რო-
მაელი კარისკაცები, რომელთაც იგი თავდაპირველად საყვედურით
აავსეს, მოხიბლა თავის პირმშონე სიტყვებითა და თავის ქრისტია-
ნობის ნიშნებითო. მეორე მხრით, ამავე პირის შესახებ ნათქვამია
რომ იგი კონსტანტინოპოლში ჩავიდა ირანულ ტანისამოს-
ში გამოწყობილი და მიდურად მცველებით გარშე-
მორტყმულიო[2]. მაშასადამე, მას ირანული ზნე-ჩვეულება და მიდრე-
კილებაც მკაფიოდ ახასიათებდა. პოლიტიკური ორიენტაციაც მას,
ცხადად ვიცით, ირანული ჰქონდა. ლაზიკის სამეფო სახლის საბო-
ლოო გაქრისტიანება, რაც, რა თქმა უნდა, ნიშნავდა ამ რელიგიის
ოფიციალურ კულტად ქცევას ეგრისში (ლაზიკაში), მოხდა, რო-
გორც ჩანს, მხოლოდ მეექვსე საუკუნის ოციან წლებში, და ისიც

[1] პრისკე, SC I, 842.
[2] იქვე.

თავისებურსა და საგულისხმო პირობებში. ლაზთა მეფე წათე ბიდის კონსტანტინოპოლს, სადაც კეისარს უცხადებს სურვილს გაქრისტიანებისა და ეგრისის სამეფო ტახტზე დამტკიცების შესახებ (ის ბიზანტიის ვასალია!). კეისარი სიხარულით ნათლავს წათეს და მ ი ს შ ვ ი ლ ს (მაშასადამე, მეფის ოჯახიც წარმართია), უბოძებს მას სამეფო გვირგვინსა, ძვირფას სამოსლებსა და სამკაულებს და თანაც ცოლად ჰრთავს წათეს თავის ერთ დიდებულ კარისკაცთაგანის ასულს[1]. ცხადია, ქრისტიანობა, რომელიც თან გაჰყვა წათეს სამეფო გვირგვინსა და ახალ ცოლს, იყო პ ი რ ო ბ ა იმისათვის, რომ იმპერატორს თავისი ვასალი ტახტზე დამტკიცებინა. წათეს მეორე ცოლიც ბიზანტია-ეგრისის პოლიტიკურ კავშირის განმტკიცებისიარაღი უნდა ყოფილიყო. ეს პოლიტიკური მდგომარეობა აიძულებდა ალბათ წინათაც ლაზიკის სამეფო სახლს წინააღდგომოდა ქრისტიანობას. მისთვის კავშირი რომთან სრულებით არ იყო საძიებელი. ეს კავშირი არსებობდა, და არსებობდა საკმაოდ მძიმე ფორმითაც: დასავლეთი საქართველო იმთავითვე რომის ვ ა ს ა ლ ი იყო და ა რ ა ფ ე დ ე რ ა ტ ი. გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ გარკვეულ პერიოდში ქვეყანა ხარკსაც იხდიდა რომის სასარგებლოდ. ასეთ პირობებში, იბერიის საწინააღმდეგოდ, ეგრისის მმართველი წრეები აშკარად ირანულ ორიენტაციისა არიან. ჩვენ, სამწუხაროდ, თითქმის სრულებით არ მოგვეპოვება ცნობები დასავლეთ საქართველოს ვითარების შესახებ მეოთხე საუკუნეში. მეხუთე საუკუნის შუა წლებისათვის-კი (456 წ.) დადასტურებულია რომ ლაზები ირანელების დახმარებას ეძიებენ რომაელების წინააღმდეგ. ეგრისის მეფემ გუბაზმა ამ დახმარების გამოსათხოვრად ელჩები გაუგზავნა „პართიის" მეფეს, მაგრამ ირანელებს ამ დროს ომი ჰქონდათ ჰუნებთან და ლაზებმა თხოვნაზე უარი მიიღეს. ამიტომ, თუ თავდაპირველად ლაზებმა დამარცხება აწვნევინეს რომაელებს, ეხლა გუბაზი იძულებული შეიქმნა მორჩილება განეცხადებინა იმპერატორისათვის, შეესრულებინა მისი მთავარი მოთხოვნა და თავისი სამეფო შვილისათვის დაეთმო, ერთმმართველობის დამყარების მიზნით ეგრისში. შემდეგ გუბაზი კონსტანტინოპოლშიაც ჩავიდა (465—474 წლებს შორის: ეს ამბავი მოხდა დედაქალაქის გადაწვის, 465 წ., შემდეგ და იმპერატორ ლეონის მეფობაში, ლეონი-კი გარდაიცვალა 474 წ.

[1] თეოფანე, ქრონოგრაფია, I, 168.

3. II), სადაც საბოლოოდ გამოასწორა თავისი საქმე [1], როგორც ეს ზემოთ იყო მოთხრობილი. გუბაზის მემკვიდრე, როგორც ჩანს, უფრო მოქნილ პოლიტიკას აწარმოებდა და რომაელების ძალის გამოყენებას სცდილობდა ურჩობისადმი მიდრეკილ სვანების წინააღმდეგ [2].

რაც უფრო მეტი დრო გადიოდა და ირანელები უფრო და უფრო მაგრად იდგამდნენ ფეხს ქართლში, მით უფრო მეტ მზრუნველობას იჩენდა კონსტანტინოპოლის მთავრობა თავის ინტერესების მიმართ ეგრისში. რომაელებს საფუძვლიანად ეშინოდათ იმისა, რომ ირანელები დასავლეთ საქართველოს ხელში ჩაგდებასაც მოინდომებდნენ. ასეთი ვითარება განსაკუთრებით აშკარა გახდა მეექვსე საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული. 502 წ. ირანელებმა აიღეს ქალ. თეოდოსიოპოლიც-კი (ერზერუმი), რაც მრისხანე გაფრთხილება იყო რომაელებისათვის. უკანასკნელნი ეხლა თვითონ ცდილობენ ინიციატივის ხელში ჩაგდებას და კავშირს აბამენ ირანელების საწინააღმდეგოდ განწყობილ ელემენტებთან ქართლში. რომაელების აქტიურობა საქართველოში განსაკუთრებით უნდა გაძლიერებულიყო მას შემდეგ, რაც იუსტინე კეისრის მეფობის პირველსავე წლებში (518—523 [3]) ირანელებმა დიპლომატიური გზით დააყენეს ეგრისის საკითხი: ირანელების წარმომადგენელი რომაელთა წარმომადგენლებს, საზავო მოლაპარაკების დროს, უმტკიცებდა რომ „კოლხიდა, რომელსაც ეხლა ლაზიკე ეწოდება, ძველითგანვე... სპარსელთა ქვეშევრდომი იყო“ და რომ ეს ქვეყანა ეხლა „რომაელებს ძალით უჭირავთ, უსამართლოდ“-ო. „რომაელები აღშფოთებით ისმენდნენ ამას, სპარსელები რომ ლაზიკესაც ეცილებოდნენ“ [4]. მართალია, იმ მომენტში ირანელებმა თავისი ვერ გაიტანეს, მაგრამ მათ მიერ აღძრული საკითხი საბოლოოდ მაინც გადაწყვეტილი არ იყო. კონსტანტინოპოლის მთავრობა მაინც დარწმუნებული იყო, რომ ირანის მბრძანებელს, „კავადს, განზრახვა ჰქონდა რამენაირად შეჭ-

[1] პრისკე პანიელი, SC I, 840—843, 847.

[2] იქვე, 845-6.

[3] ეს ამბავი ხდება იუსტინეს გამეფების შემდეგ (518) და, როგორც ჩანს, გურგენ, ქართლის მეფის, აჯანყებამდე (523).

[4] პროკოპი კესარიელი, იხ. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის გამოც. „გეორგიკა“ II, 21.

რილიყო რომაელთა მიწაწყალში“ [1]. ამიტომ, როცა ირანელებისაგან შევიწროებულმა ქართლის მეფემ „გურგენმა მოინდომა იუსტინე მეფის მხარეს გადასულიყო და პირობა მიეღო, რომ რომაელები არასდროს სპარსელების ხელში არ ჩააგდებდენ იბერებს“, რომაელების იმპერატორმა გურგენს „დიდის სიამოვნებით მისცა ეს დაპირება და ბოსპორში გაგზავნა დიდძალი ფულით „ერთი სანდო კაცი“, რათა ჰუნნების ჯარი ფულის საშუალებით დაეყოლიებინა და იბერთა დასახმარებლად გაეგზავნა“. რადგანაც ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა, „მეფემ პეტრე სტრატეგოსი გ ა გ ზ ა ვ ნ ა ლ ა ზ ი კ ე შ ი რამდენიმე ჰუნნითურთ, რომ ის დახმარებოდა გურგენს, რამდენადაც შესაძლებელი იყო. ამავე დროს კავადმაც დიდძალი ჯარი გაგზავნა გურგენისა და იბერების წინააღმდეგ... გურგენმა რომ დაინახა, რომ ის სუსტია სპარსელთა იერიშის ატანისათვის, რადგან რომაელების გამოგზავნილი / დ ა მ ხ მ ა რ ე ძალები საკმაო არ იყო, ლ ა ზ ი კ ე შ ი გ ა ი ქ ც ა იბერთა ყველა დიდებულითურთ და თან წაიყვანა ცოლი, შვილები და ძმები... ლაზიკის საზღვრებში რომ მოვიდენ, აქ გაჩერდენ და, ძნელგასავლელი ადგილებით დაცულნი, იგერიებდენ მტერს. სპარსელები კი დაედევნენ მათ, მაგრამ მაინცადა-მაინც ვერაფერი დააკლეს, რადგან საქმეს აფერხებდა ძნელგასავლელი ადგილები. შემდეგ იბერები ბიზანტიონში ჩავიდენ“ [2].

ამრიგად, ლაზიკა ამ დროს რომაელებს უკვე გადაქცეული აქვთ ირანელების საწინააღმდეგო მოქმედების ბაზად და ირანის მეამბოხეთა თავშესაფარად. თვით ლაზებს კი თავი ორჭოფულად ეჭირათ და აღწერილი მდგომარეობა არაფრად ეპიტნავებოდათ. იგივე მემატიანე ამტკიცებს, რომ „ლაზებს არ სურდათ თავისი ქვეყნის თანადაცვა“, ე. ი., ეგრისის მმართველ წრეებს არ უნდოდათ დახმარებოდნენ რომაელებს მათს სამხედრო თავდაცვის ოპერაციებში ლაზიკის საზღვრებზეო, და ამიტომ „მეფემ გადაწყვიტა გაეგზავნა ჯარი და სარდალი ირენე. იბერიის საზღვრებიდან რომ შედიხარ, იქვეა ლაზების მიწაწყალზე ორი სიმაგრე, რ ო მ ე ლ თ ა დ ა ც ვ ა ძ ვ ე ლ ი თ გ ა ნ ვ ე ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი მ ც ხ ო ვ რ ე ბ ლ ე ბ ი ს ს ა ზ რ უ ნ ა ვ ს შ ე ა დ გ ე ნ დ ა, თუმცა მათ ბევრი ნაკლებობის გადატანა უხდებოდათ, რადგან იქ არ მოდის არც ხორბალი,

[1] პროკოპი კესარიელი, იხ. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის გამოც. „გეორგიკა“ II, 21.

[2] იქვე, 21—24.

არც ღვინო, არც სხვა რამ სიკეთე. სხვა ადგილიდან რისამე შემოზიდვა, ვიწრობების წყალობით, შეიძლება მხოლოდ ისე, თუ კაცები თვითონ მოიტანენ. მაინც, რადგან იქ რამდენადმე ქვრიმა მოდიოდა, ლაზები ახერხებდენ, ჩვეულებისამებრ, თავის გამოკვებას. მეფემ გამოიყვანა იქიდან ეს მცველები (ცხადია იმიტომ, რომ რომაელები მათ ვერ ენდობოდნენ, ს. ჯ.) და რომაელ ჯარისკაცებს უბრძანა სიმაგრეების სადარაჯოზე დამდგარიყვნენ. თავდაპირველად მათ ლაზები აწოდებდენ ძლივს-ძლივობით საჭირო სურსათს, მაგრამ შემდეგ მათ უარი განაცხადეს ამ საძსახურზე და რომაელებმა ეს სიმაგრეები დატოვეს; ისინი ხელთ იგდეს სპარსელებმა სრულიად გაურჯელად"[1]. ნათელია: როცა ლაზები აღნიშნულ ციხეებს თავისად ჰგრძნობდნენ, ისინი მათს და მთელი ქვეყნის დაცვასაც ახერხებდნენ; ეხლა მათ არავითარი სურვილი არ ჰქონდათ თავი მოეტყუებინათ და თავისი ქვეყნის დაცვის მაგიერ არსებითად რომაელთა ინტერესების უვნებლობისათვის ეღვაწნათ, — რომაელები ხომ მათ სრულიად არა სასურველ ბატონობას უმზადებდნენ, ლაზების დაუხმარებლად კი რომაელებს ამ შორეული და ძნელად მისადგომი სიმაგრეების (აქ იგულისხმება შორაპანი და სკანდა) შენარჩუნება არ შეეძლოთ და ციხეებიც სრულიად გაურჯელად ირანელებმა დაიპყრეს. შორაპანი და სკანდა რომაელებმა მხოლოდ 532 წ. დაიბრუნეს.

ამ სიმაგრეების თავდაპირველი გადასვლა ირანელთა ხელში სრულებით არ ნიშნავდა ამ უკანასკნელთა გაბატონებას მთელს ეგრისში, ან რომაელების წასვლას აქედან. რომაელებმა მხოლოდ ეგრისის აღმოსავლეთი საზღვარი დასტოვეს. უფრო მისაწვდომ პუნქტებში კი, განსაკუთრებით, ზღვისპირა ზოლში, განსაკუთრებული მაგრება დაიწყეს. იგივე რომაელი მემატიანე გვიამბობს: „როდესაც მოხდა გურგენ, იბერთა მეფის, წყალობით შემთხვეული ამბავი, როგორც ეს ზემოთ იყო ჩემ მიერ მოხსენებული, ლაზებთან დაიწყეს ჩადგომა რომაელთა ჯარისკაცებმა, რომლებითაც ის ბარბაროსები შეწუხებული იყვნენ, და, პირველ ყოვლისა, შეწუხებული იყვნენ

[1] პროკოპი კესარიელი, იხ. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის გამოც. „გეორგიკა" II, 24—25.

პეტრე სტრატეგოსით, რომელიც ადვილად ექცეოდა ხოლმე მათ უდიერად"-ო [1]. ეს სწორედ ის პეტრეა, რომელიც იუსტინე კეისარმა გაგზავნა ეგრისში ქართლის მეფის გურგენის დასახმარებლად.

აი, სწორედ ამ დროს და ამ პირობებში მიიღო წათემ რომაელებისაგან ეგრისის სამეფო გვირგვინი და ქრისტიანობა: თეოფანე ქრონოგრაფი პირდაპირ ამბობს, რომ წათეს გამეფება და გაქრისტიანება ძოხდა 523 წ. [2].

ძოვლენის შინაგანი და გარეგანი ძიზეზები და მექანიკა ნათელია.

საინტერესოა, რომ ირანელებს შურისძიებაც უცდიათ ლაზების მიმართ: მომდევნო კეისრის, იუსტინიანეს, მეფობის პირველ წელს, 528-ში, მათ გაულაშქრნიათ ლაზების წინააღმდეგ. ეგრისის მეფეს, წათეს და იუსტინიანეს მიერ გამოგზავნილს რომაულს დამხმარე რაზმს მტერი დაუმარცხებია [3].

§ 17. ჯვარი, როგორც ფეოდალური რელიგიისა და იდეოლოგიის სიმბოლო. ძართული ძრისტიანული კულტურის გავრცელება კავკასიის მთიანეთში

ქრისტიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი გარეგნული ემბლემა და სიმბოლო, რომელიც ამ სარწმუნოებამ ჩვენშიც თავიდანვე მოიტანა და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ძისცა, იყო ჯვარი.

ცნობილია, რომ ჯვარი არის წინაქრისტიანული მოვლენა. ქრისტიანობამ გამოიყენა ის, გაავრცელა ხალხის ფართო მასებში ეს ემბლემა და მას თავისი სამსახური დააკისრა. ჯვარი, ისევე, როგორც ხატი, იყო გარკვეული ხარკი მმართველი წრეებისა იმ ფსიქო-იდეოლოგიის მიძართ, რომლითაც ფართო მასები შეპყრობილი იყვნენ. ეს იყო ხარკი ძველი კერპთთაყვანისმცემლური განწყობილების სასარგებლოდ, რომელიც უაღრესად ძლიერი იყო ხალხში. ქრისტიანობამ ბევრი რამ მიიღო ძველი და ცდილობდა ძველ გუდაში თავისი ახალი ღვინო ჩაესხა, ძაგრამ ცხა-

[1] პროკოპი კესარიელი, იხ. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის გამოც. „გეორგიკა", II, 46

[2] „დასაბამიდან სოფლისა" 6015 წ., „ქრონოგრაფია", დე-ბოორის გამოც., I, 168. მეექვსე საუკუნეში მიიღეს ქრისტიანობა აბაზგებმაც, რაც აღიარებულია საყოველთაოდ. ესეც საბუთია იმისა, რომ მეხუთე საუკუნეში ლაზიკაში, რომლის ნაწილს შეადგენსმაშინ აფხაზეთი, ქრისტიანობა ჯერ კიდევ სახელმწიფო სარწმუნოება არ არის.

[3] თეოფანე. იქვე, I, 174.

დია, ამ გზით თვით სითხესაც გარკვეულად ეცვლებოდა იერი და ფერი.

ქრისტიანული ჯვარის საქართველოში შემოტანის შესახებ ჩვენ თავიდანვე გარკვეული ცნობები გვაქვს.

უძველესი მატიანე ნინოს შესახებ ამბობს, რომ — პირველ სამ წელს ქართლში მოსვლის დღიდან ნინო „ილოცვიდა ფარულად ადგილსა ერთსა, შებურვილსა ბრშამლითა მაყულისაჲთა". და სწორედ ამ დროს მან თითქოს „შექმნა სახჱ ჯუარისაჲ ნასხლევისაჲ"[1], ე. ი., ნინოს მაყვლის ბუჩქის ქვეშ ჰქონდა თითქოს სამლოცველო და აქ შექმნა მან „სახე ჯვარისა", ნასხლევიდან ჯვარი გააკეთა. ბუნებრივად იბადება აზრი რომ აქ იგულისხმება ვაზი, მაგრამ ამ აზრს ხსნის გაცილებით უფრო მკაფიოდ შემდეგი დროის წყარო, რომელიც „ქართლის მოქცევის" მატიანეზე არის დამყარებული და მის შემდგომ გადამუშავებას წარმოადგენს.

ამ მერმინდელ წყაროში ნათქვამია, რომ ეს ნინოს ჯვარი იყო „ჯუარი... შემზადებული ნასხლევთაგან ვაზთასა"[2].

აქ პირდაპირ არის ნათქვამი რომ ჯვარი ვაზისაგან იყო გაკეთებული.

მეორე წყარო, აგრეთვე ნაგვიანევი (XII ს.) რედაქციის ნაყოფი, გვეუბნება რომ ეს ჯვარი ვითომც ჯერ კიდევ საქართველოში მოსვლამდე მიიღო ნინომ ქრისტეს დედისაგან. ნინო ჯერ კიდევ საქართველოს გარეთ ხედავს ჩვენებაში თითქოს „ზედა კერძო ცხედარსა (=საწოლსა) მისსა იყო ვაზის რტოჲ გარდაფენილი. გამოუჩნდა ყოვლად წმიდაჲ იგი ნეტარსა ნინოს და ჰრქუა: „აჰა, ესერა, წარგავლინებ შენ ქადაგებად ნათესავთა მიმართ უცხოთა, ნაწილსა ჩემსა ქუეყანასა ჩრდილოჲსასა, ერისა მიმართ ქართველთასა, წარვედ სიმჴნით და ყოველთა უქადაგე ჭეშმარიტებაჲ". ხოლო მან, შეძრწუნებულმან ხილვისა მისგან, მიუგო: „დედოფალო, ვერ შესაძლებელ არს ეგე ჩემ მიერ, რამეთუ მე დედაკაცი ვარ უცხოჲ, უნდოჲ და უსწავლელი, ანუ რაჲ იყოს სასწაულ და წინამძღუარ საქმისა ამის".

მაშინ დედოფალმან მიყო ზედა კერძო ცხედრისა მისისა მყოფ-

[1] „მოქცევაჲ ქართლისაჲ", შატბ. რედ.: Опис. II, 712.
[2] ქცხ. მარ., 75.

სა მას რტოსა ვენაჯისასა და მოჰკუსთა მისგან და შექმნა ჯუარის სახედ და მისცა იგი ჭელთა ნინოჲსთა და ჰრქუა: «ამით ნიშითა სძლო ყოველთა მანჭანებათა ეშმაკისათა და წარგემართოს ქადაგებაჲ შენი, და თანაშემწე გეყო და არა დაგიტეო შენ". „ამისსა შემდგომ მოეგო რაჲ თავად თჳსად ნეტარი იგი, იხილა ჭელთა შინა თჳსთა, რამეთუ აქუნდა ჯუარი იგი ვაზისაჲ... კრძალულად მარადის ეპყრა მის შორის ჯუარი იგი წმიდა" [1]. შემდეგ ავტორი გვაცნობებს, რომ ეს ჯვარი შეინახეს დიდ ჯვარში, რომელიც კლდეზე აღმართეს საჯარო თაყვანისცემისათვის: „და ჯუარი იგი ვენაჯისა რქისაჲ, რომელი მოიღო წმიდის ღმრთისმშობელისაგან — არს მას შინა ნაწილად" [2].

ნინოს საწოლზე თითქოს გადმოფენილა ვაზის რტო და ქრისტეს „დედა" ეუბნება — წადი იმ უცხო ტომებში, რომლებიც ჩემი წილხვდომილი არიან და უქადაგე ძათ ქრისტეს სარწმუნოებაო. ამან თითქოს ნინო შეაშინა. მე გაძოუცდელი, უცხო, უცოდინარი ქალი ვარ, რა უნდა იყოს ნიშანი და წინამძღოლი ჩემი საქმისა იმ შორეულს და უცხო ქვეყანაშიო. „დედოფალი" უკეთებს ნინოს ჯვარს ვენახის რტოსაგან, ამ ნიშნით შენ აჯობებ ეშმაკს და ყოველგვარ წინაალმდეგობას დასძლევო.

შემდეგში ქართულმა ეკლესიამ ნინოს ჯვარის გარშემო დიდი ლეგენდა შექმნა და იგი თავის ერთ-ერთ ყველაზე დიდ თაყვანისცემის საგნად აქცია.

გადმოცემით, ჯვარი როლს თამაშობს არა მარტო ნინოს საკუთარ ცხოვრებაში, არამედ იმ ამბებშიაც, როდესაც ქრისტიანობა ოფიციალურ კულტის ადგილს იჭერს ჩვენში. ამის შესახებ უძველეს წყაროში ნათქვამია:

| ... „ნათელი მოიღო მირეან მეფემან და დედოფალმან და ყოველმან სახლმან მათმან. ითხოვეს ხჳ ეპისკოპოზმან და ნინო, რათა შექმნან ჯუარი. და ძიება ყვეს ხუროთა. და პოვეს ძე ერთი, მდგომარე ბორცუსა ზედა კლდისასა, რომელსა ფურცელი მისი არაოდეს დასცუიოდა, და სულ ჰამოჲ იყო ხე იგი და შუჱნიერი ფრიად... მეფემან წარგზავნა ძე თჳსი რევ და მთავარ-დიაკონი. იხილეს შუჱნიერად დგომა ხისა მის... და უბრძანა ხუროთა მოკუსთაჲ ხისა.

---

[1] ცხოვრება წმ. ნინოსი, ტფ. 1903, გვ. 13.

[2] იქვე, გვ. 39.

მის. და შექმნეს სახე პატიოსნისა ჯუარისა... სამგუამად შექმნეს ხისა მის ტანისაგან სამნი ჯუარნი და აღმართნეს მცხეთას, ვითარცა სწერია მცირესა მას მოკლედ აღწერილსა მას წიგნსა ქართლისა მოქცევისასა, გრიგოლი დიაკონისა ძიერ აღწერილსა. და ერთი ჯუარი აღმართა მირიან მეფემან მთასა ზედა მაღნარისასა, რომელსა ჰქუიან ოზოთისა და ერთი იგი მახლობელად პატიოსნისა ჯუარისაჲ"... [1].

მაშასადამე, ახალი კულტის მიღების პირველი აქტები მდგომარეობდა ნათლისღებასა და ხის ჯვრის აღმართვაში. ყურადღებას იქცევს რომ ჯვრის გასაკეთებლად ყოველთვის ეძებენ საუკეთესო ხეს. შემდეგ, ჯვრის მნიშვნელობის განმარტებისას ახალი სარწმუნოებისთვის, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ აქ დასახელებულ უძველეს ქართულ ისტორიულ ნაწარმოებში, რომელსაც არ მოუღწევია ჩვენამდე, უმთავრესად სწორედ ჯვრის აღმართვის ისტორია ყოფილა მოთხრობილი. ჩვენ გვაქვს სხვა უტყუარი ცნობებიც ამგვარი ჯვრების შესახებ. ეს იყო მინდვრად დადგმული, ჩვეულებრივად ქვის პოსტამენტზე დამაგრებული, ჯვარი, რომელსაც ხალხი თაყვანსა სცემდა ისე, როგორც უწინ სცემდა თაყვანს კერპებს. სომხური წყაროებიდან ვიცით, რომ ასეთი ჯვრების თაყვანის საცემად სომხეთიდანაც კი მოდიოდნენ საქართველოში. ეს ცნობები ეკუთვნის VI საუკუნეს.

ასეთსავე როლს ჯვარისას ჩვენ ვხედავთ სხვა მეზობელ ქვეყნების მოქცევაშიც. ასე, მაგალითად, სუმბატ დავითის-ძე ჰერაკლე კეისრის შესახებ გვიამბობს, რომ ქართლიდან იგი „მივიდა გარდაბანს ვარაზ გაგელისასა [2] და დაილაშქრა ადგილსა მას, რომელსა ჰქვიან ხუზაშენი, და ნათელსცა ჰერაკლე ვარზა გრიგოლისა (ქცხ.: ვარაზ გაგელსა) და ყოველსა ერსა მისსა. დაიწყო შენებად ეკლესიასა, რომელი იგი უბრწყინვალეს არს ყოველთა ეკლესიათა და წარვიდა ბერდუჯს, და დადგა გულსა სოფლისასა, და აღმართა ჯუარი ქჯს. და დადვა საფუძველი წმიდისა ღმრთისმშობელისა ეკლესიისა და აღასრულა გუმბადი მისი" [3].

[1] ქართლის მოქცევა, შატბ. და ჰელ.: Опис. II, 713—714. ქარაგმები გახსნილია და ტექსტში შეტანილია მცირეოდენი კორექტურა, უმთავრესად ორთოგრაფიული ხასიათისა.

[2] დამახინჯებულია, უნდა იყოს „ვარაზ გრიგოლისასა".

[3] ქცხ. მარ. 340—341.

აქაც, როგორც ვხედავთ, ჯვარი გვევლინება, ასე ვთქვათ, როგორც ახალი მოძღვრების მატერიალური გამოსახულება, რომელიც აკმაყოფილებს ფართო მასების ძველ ანიმისტურ რწმენებსა და შეხედულებებს. ასეთი განწყობილების შესახებ ჩვენ გვაქვს ერთი საინტერესო ცნობა, შემონახული XII საუკუნიდან.

აი, რას გვიამბობს თამარ მეფის ისტორიკოსი ფხოველებისა და დიდოელების შესახებ („ფხოველები" დღევანდელი ფშაველები და, განსაკუთრებით, ხევსურებია, დიდოელები მათი უახლოესი მეზობელი დაღისტნის თემია, რომელიც დღესაც ამ სახელწოდებას ატარებს): ისინი „ბშთვარსა და უხარშავსა ჰამენ და მრავალნი ძმანი ერთსა დედაკაცსა მიიყუანებენ ცოლად, რომელნიმე უჩინარსა რასამე ეშმაკსა თაყუანისცემენ, და ზოგნი — უნიშნოსა შავსა ძაღლსა. და ამას ჰყოფენ, ხოლო ფხოველნი ჯვარის მსახურნი არიან და ქრისტიანობასა იჩემებენ" [1].

როგორც აქ გადმოცემული ცნობები ფხოველებისა და დიდოელების ზნე-ჩვეულებათა შესახებ (მაგ., უაღრესად საყურადღებო ცნობა პოლიანდრიის შესახებ), ისე სხვა მოსაზრებებიც სრული უეჭველობით გვარწმუნებს, რომ აღნიშნული ტომები ამ დროს თემურ-გვაროვნულ ყოფას განიცდიან. ასეთს სოციალურ გარემოში ქრისტიანობა, როგორც ფეოდალური რელიგია, ცხადია მკვიდრად ფეხს ვერ მოიდგამდა. იძულებით შეტანილსაც მას აქ, გასაგებია, უნდა სათანადოდ გამოეცვალა თავისი ბუნება და ფუნქცია. სწორედ აქიტომ ამბობს ეს ფეოდალური ისტორიკოსი, ქრისტიანობას ი ჩ ვ მ ე ბ ე ნ ო, ე. ი., მათ ნამდვილ ქრისტიანებად არ სთვლის. თუ მოვიგონებთ რომ ფხოველები დღევანდელი ხევსურები არიან და იმასაც, თუ როგორი გავრცელება ჰქონდა XX ს. დამდეგსაც ჯვრის ემბლემას ხევსურებს შორის, დავრწმუნდებით, რომ შემატიანის ცნობა მართალია რომ ჯვარის სამსახური ჯერ კიდევ ქრისტიანობას არ ნიშნავს, რომ აქ მოხდა თავისებური და სასურველი, მოცემული საზოგადოებრივი წრის ინტერესებისათვის, გამოყენება ამ ემბლემისა.

ერთის მხრივ, მაშასადამე, როგორც ვთქვით, ჯვარი არის სიმბოლო, რომლის საშუალებით ქრისტიანობა ეგუება წინათვე არსებულ რწმენებს, განწყობილებასა და წარმოდგენებს. მეორე მხრივ,

[1] ქცხ. მარ. 527.

უეჭველია რომ თვითეულ კონკრეტულ გარემოში ეს სიმბოლო თავის შემდგომ გამოყენებასა და გამოხატულებას პოულობს. კერძოდ, რით უნდა აიხსნას რომ ნინოს ჯვარი, რომელიც შემდეგში ასეთ უდიდეს სიწმინდედ იყო გამოცხადებული ქართული ქრისტიანული ეკლესიის მიერ, ამ ლეგენდის შემქმნელმა (რა თქმა უნდა, ეს ლეგენდაა) ნინოს უსათუოდ ვაზისაგან გააკეთებინა? ჩვენ ვფიქრობთ, ესეც უნდა აიხსნას იმ ნიადაგზე, რა ნიადაგზე ავხსენით ჩვენ თვითონ ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად მიღება.

ჩვენ ვთქვით, რომ როდესაც ჯვრისათვის ხეს ეძებდნენ, ცდილობდნენ საუკეთესო, ყველაზე ძვირფასი, ხე შეერჩიათ. მ ე ვ ე ნ ა ხ ე ო ბ ა წ ა მ ყ ვ ა ნ ი კ უ ლ ტ უ რ ა ი ყ ო ქ ა რ თ უ ლ ი ფ ე ო დ ა ლ ი ზ მ ი ს ა თ ვ ი ს და ს ა უ კ ე თ ე ს ო მ ა ს ა ლ ა დ ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ი ს ს ი მ ბ ო ლ ო ს ა თ ვ ი ს ს ა თ ა ნ ა დ ო ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ წ რ ე შ ი ს წ ო რ ე დ ი ს მ ც ე ნ ა რ ე მ ი ი ჩ ნ ი ე ს, რ ო მ ე ლ ი ც ა მ წ ა მ ყ ვ ა ნ ი კ უ ლ ტ უ რ ი ს მ ა ტ ა რ ებ ე ლ ი ა. რომ ეს ლეგენდა სწორედ ასეთი ფეოდალური ფსიქო-იდეოლოგიის ნიადაგზე უნდა აიხსნას, ამაში ჩვენ გვარწმუნებს ჯვრის გამოყენების კიდევ სხვა შემთხვევები.

ჯერ ერთი, ჯ ვ ა რ ი გ ა ბ ო დ ი ს, რ ო გ ო რ ც ფ ე ო დ ა ლ უ რ ი ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს ნ ი შ ა ნ ი. ვგულისხმობთ ქვისაგან გაკეთებულ ჯვრებს, რომელსაც აღმართავდნენ ისეთ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც კერძო საკუთრების საგნად იყო გამოცხადებული. ამჟამად ჩვენ გვაქვს უძვირფასესი ძეგლი VI საუკუნისა, ამგვარი ნიშანი, რომელსაც სათანადო წარწერაც აქვს: ვგულისხმობთ წყისეს (ადიგენის რაიონი) ქვაჯვარის წარწერას, რომელიც შემდეგს ტექსტს შეიცავს (ქარაგმების გახსნით): „ესე ჯუარი ქრისტ(ს)ი მე, კონსტანტი, ძემან სტეფანესმან და გუდასმან, აღჰუმართე, სახელსა მცხეთისა ჯურისასა, ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა, შაჰრაძანსა ა, საცოდ (სალოცველად?) ჩუენდა, ცოლისა და შვილთა. ნოენბერსა იზ. ამენ“ [1]. ეს არის, მოღწეულთა შორის, უძველესი დოკუმენტი, რომელიც აშკარად მოწმობს, რომ მეექვსე საუკუნის დამლევს თუ მეშვიდე საუკუნის დამდეგს, მიწა ყიდვის და, საერთოდ, თავისუფალი

[1] ა. შანიძე. ძვ. ქართ. ჭრესტომათია, ტფ. 1935, გვ. 25

განსხვისების საგანია. ამ უფლების, ფეოდალური საადგილმამულო უფლების, გარეგანი გამოხატულებაა სწორედ აქ ეს ქვა-ჯვარი [1].

ასეთივე ფეოდალური საკუთრების ემბლემად გვევლინება ჯვარი სხვა ქვეყნებშიაც. ბიზანტიურ ეკლესიაში, მაგ. ჯვარი, თავისი ჩვეულებრივი რელიგიურ-რიტუალური ფუნქციის გარდა, კისრულობს იერარქთა კანონიკურ-საიურისდიქციო და, აშასთან ერთად, სავსებით გარკვეული ეკონომიური უფლებებისა და ხელისუფლების გამოხატვის მოვალეობასაც. ეპისკოპოსის ჯვრის აღმართვა ავტოდესპოტიურ (თვითმმართველ) მონასტრებში იყო გარეგანი ნიშანი ამ მონასტრების დამორჩილებისა ეპისკოპოსის კანონიკურ იურისდიქციისადმი. მაგრამ თუ მიტროპოლიტი ასეთ მონასტრებში თავის ჯვარს აღმართავდა (სამიტროპოლიტო სტავროპიგია), მაშინ ისინი უკვე მიტროპოლიტის განკარგულებაში გადადიოდნენ. ყველაზე უფრო ფართედ აღნიშნული უფლებით, რა თქმა უნდა, პატრიარქები სარგებლობდნენ (საპატრიარქო სტავროპიგია). პატრიარქის სტავროპიგიული უფლება მდგომარეობდა და გამოიხატებოდა იმაში, რომ სამონასტრო ტაძრის საკურთხევლის უკან აღიმართებოდა პატრიარქის ხის ჯვარი, რომელსაც წარწერა ჰქონდა ცერემონიის წლისა და დღის შესახებ. ამგვარი საპატრიარქო ჯვრის აღმართვით ეკლესია-მონასტრები ადგილობრივ ეპისკოპოსების იურისდიქციიდან პატრიარქის უშუალო იურისდიქციაში გადადიოდა. პატრიარქებს შეეძლოთ აღნიშნული უფლება იმპერიის ყველა მხარეში განეხორციელებინათ. რადგანაც იურისდიქციას თანსდევდა უაღრესად მნიშვნელოვანი ნივთიერი შემოსავალი, ამიტომ ამ ჯვრის აღმართვის, სტავროპიგიური უფლების განხორციელების, გარშემო მწვავე ბრძოლები იმართებოდა პატრიარქებს, მიტროპოლიტებსა და ეპისკოპოსებს შორის [2].

ჯვრის ასეთი როლი იყო ერთი კერძო შემთხვევა გარეგნული ნივთიერი ნიშნის გამოყენების საერთო ჩვეულებისა ინდივიდუალური უფლებების, პირველ რიგში — საკუთრების უფლების, აღსანიშნავად. იმავე ბიზანტიაში ეს ნიშნები „ტიტულებად“ იწოდებოდა. მათ მიწებზე აღმართავდნენ იმის აღსანიშნავად რომ ეს მიწები პატ-

[1] ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. ტფ. 1935, გვ. 92—93.

[2] К. Н. Успенский, Очерки по истории Византии, ч. I, М. 1917, стр. 192—194.

როკინიუმის ძალით რომელიმე მაგნატის განკარგულებაში იყო გადასული. როგორც ჩანს, ასეთი ტიტულების აღმართვით იზრდებოდა სწორედ სენატორთა მსხვილი მიწისმფლობელობა. ამიტომაც იყო რომ კეისრები ებრძოდნენ ამ ჩვეულებას და ტიტულების აღმართვის უფლებას თავის პრეროგატივად აცხადებდნენ, რითაც შესაძლებლობას იტოვებდნენ სამეფო მემამულეობის გაფართოებისათვის. იუსტინიანე 535 წ.| გამოცემულს ინსტრუქციაში ადგილობრივ მმართველებისადმი, ამ უკანასკნელთა საყურადღებოდ დაჟინებით მიუთითებდა, რომ ამგვარი ტიტულების შეუბრალებელი აღმოფხვრა იყო ადგილობრივ მმართველთა უმთავრესი მოვალეობათაგანი. საინტერესოა, რომ ასეთი ინსტრუქციით იუსტინიანე სპეციალურად მიმართავს პ ო ნ ტ ო ს მოდერატორს[1].

აღნიშნული საერთო ჩვეულება საქართველოშიაც დიდად იყო გავრცელებული და მის შესახებ ჩვენ დოკუმენტური ჩვენებები მოგვეპოვება ქართული ფეოდალიზმის თითქმის მთელ სიგრძეზე.

ბიზანტიურ „ტიტულს" ჩვენში „ხელი" (ჴელი) შეესატყვისება. სათანადო აქტს „ჴელის აღმართვა" ეწოდება. ცხადია, ტერმინი „ხელი" აქ თავისი ძველი მნიშვნელობით, უ ფ ლ ე ბ ი ს აზრით, არის გამოყენებული. „ხ ე ლ ი ს ა ღ მ ა რ თ ვ ა მ ი წ ა ზ ე" მიწაზე უფლების გამოცხადებას ნიშნავს. მატერიალურად ეს „ხელი" სხვადასხვა სახისა იყო — უბრალო ქვებით დაწყებული, გათავებული გამოსახულებიანი და წარწერიანი ქვებით. ზოგზე სწორედ ადამიანის ხელის მტევანია ამოკვეთილი, ზოგზე — ჯვარი, ზოგი თვით არის ჯვარის სახისა. უძველესი ძეგლი ამ გვარისა, რომელიც თავის-თავს „ჴელს" უწოდებს, ჯერჯერობით მეათე საუკუნისაა ცნობილი[2]. აღუმართავთ იგი ცხრაზმის ხევის ხევისუფალთ, როგორც ჩანს, იმის იურიდიკულად გაფორმებისათვის, რომ მათ მიერ „აგებულ" წისქუილთა და სახლის" სასარგებლოდ გარკვეული „სამსახური" იყო დაწესებული. აქ, საფიქრებელია, ხელისმოწერის აღსანიშნავად, სხვა სიმბოლურ ნიშანთა შორის, ჯვარიცაა რამდენიმეჯერ გამოყენებული.

სამიჯნე სამანიც, რომელიც, თავისი დანიშნულებით, უახლოვ-

---

[1] К. И. Успенский, Очерки по истории Византии, ч. I, გვ. 93.

[2] ორი ფიქალწერილი: „საისტ. მოამბე", წ. I, 1925 წ., გვ. 96 შემდეგ.

დება განმარტებულ კატეგორიას, აგრეთვე მსგავსი ტიპებისაა ცნობილი. ვახტანგ VI-ის „დასტურ-ლამალი" მათგან იხსენიებს „ქვას", „ქუა-კაცს" (ან „ქუა-კაცა"), „ჯ უ ა რ ი ა ნ ქ უ ა ს", „სამანი ქუას" [1].

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ „ჯვრის" ზემოაღწერილ ფუნქციასთან შესაძლოა დაკავშირებული იყოს ჩვეულება ჯვრის ნიშნის გამოყენებისა ხელისმოწერის მიზნით, წერა-კითხვის უცოდინართა მიერ (როგორც ზემოთ აღწერილ „ხელშია"). აქაც ეს ნიშანი გამოდის როგორც ინდივიდუალობის სიმბოლო.

ჩვენ არ დაგვჭირდება აქ აზრის განვრცობა იმის შესახებ, რომ ქრისტიანობის შემოსვლა ჩვენში იყო მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქრისტიანობა საქართველოში არ შემოსულა როგორც ისეთი რელიგია, რომელსაც პირველად მოსდევდა თან მწიგნობრობა. მწიგნობრობა საქართველოში არსებობდა ქრისტიანობამდეც. ამაში ჩვენ დარწმუნებული ვართ. მაშასადამე, ქრისტიანობას მწიგნობრობა არ შემოუტანია. პირიქით, მან მოსპო ის ძველი კულტურა, რომელიც ჩვენში მანამდე არსებობდა.

ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, ისიც ნათელია, რომ ქრისტიანობის გზით ახალი კულტურული კავშირები იბმებოდა დასავლეთის ქვეყნებთან და ფეოდალური ქართული კულტურა სწორედ ქრისტიანობის მიერ გაკვლეული გზებით წარიმართა გარკვეულ დრომდე, ვიდრე ფეოდალური საზოგადოების განვითარება საკითხს არ დააყენებს ქრისტიანული საეკლესიო კლერიკალური იდეოლოგიისა და კულტურის დაძლევის აუცილებლობის შესახებ.

ამ თვალსაზრისით ჯვარს შეიძლება ჩვენ დავუკავირდეთ როგორც ისეთს გარეგნულ ნიშანს, რომელიც ქრისტიანობის გავრცელების გზებზე მიუთითებს.

ამ მხრივ საყურადღებოა რომ მაშინ, როდესაც (რამდენადაც ვიცით) აღმოსავლეთ საქართველოში თავიდანვე ამ ნიშნის გამოსახატავად მკვიდრი ქართული სიტყვა „ჯვარი" იყო გამოყენებული, დასავლეთ საქართველოში სათანადო ადრინდელი ტერმინი ბერძნულია — „სტავროს". ეს ტერმინი თავდაპირველად იყო, როგორც ჩანს, ჭანურ-მეგრულშიაც, რის ნაშთსაც ჩვენ ვპოულობთ ჭანურ

[1] „დასტურ-ლამალი", ა. უმიკაშვილის გამ., გვ. 36—39.

„სტავროშინა“-ში. იგივე სიტყვა დღემდე შენახულა სვანურში ბარდმონაშთის სახით[1]. ეს გარემოება სხვა ფაქტებთან ერთად მაჩვენებელია სწორედ იმ გზებისა და ფორმებისა, რომლებითაც ქრისტიანობა ვრცელდებოდა აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოში.

თუ აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანული ეკლესიის ენა თავიდანვე ადგილობრივია, ეროვნული — ქართული, დასავლეთ საქართველოში ჩვენ სხვა სურათს ვხედავთ. იქ საეკლესიო ენა, თავდაპირველად, ბერძნულია, როგორც ჩანს. ყოველ შემთხვევაში უცილობელია, რომ ეგრისის ზღვისპირა საეპისკოპოსოებში სწორედ ამგვარი უნდა ყოფილიყო ვითარება. ანალოგიურივე უნდა ყოფილიყო მდგომარეობა შიდა რაიონების უმრავლესობაშიც, ისევე როგორც მეზობელ ჭანეთში და აბაზგიის საერისთავოში. მაგრამ შემდეგში, საკმაოდ რადიკალური ტეხილის სახით, ბერძნულ-ბიზანტიური საეკლესიო კულტურა დასავლეთ საქართველოში ადგილს უთმობს ქართულს. ეს ამბავი ჯერ კიდევ პირველ გაერთიანებამდე (X ს.) ხდება. ამრიგად დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა კულტურული დაახლოება ხდება უფრო ადრე, ვიდრე პოლიტიკური გაერთიანება. ამას თავისი საფუძველი ჰქონდა. განსაკუთრებული როლი ამ საქმეში შეასრულა აბაზგიის საერისთავოს განვითარებამ და აფხაზთა სამეფოს წარმოშობამ. აფხაზთა მეფეებმა უკვე IX ს. დამდეგისთვის არა მარტო დაიპყრეს თავიანთი ძველი სიუზერენების — ეგრისის მეფეების — სამფლობელო, არამედ გაარღვიეს ეგრისის ძველთა-ძველი პოლიტიკური საზღვარი აღმოსავლეთით — სკანდა-შორაპნის ხაზი — და ხელთ იგდეს პროვინცია არგვეთი, ზემო იმერეთის უმნიშვნელოვანესი ნაწილი. შემდეგ, IX საუკუნეშივე, აფხაზთა მეფეების ექსპანსია გადალახავს ლიხის ქედსაც და ქართლში იჭრება.

ამ გარემოებამ რომ აფხაზთა მეფეებმა ფართო ტერიტორიაზე გაშალეს თავისი პოლიტიკური სუვერენიტეტი, აიძულა ისინი ეცადნათ უფრო ფართო, კერძოდ კულტურული თვალსაზრისით, პოლიტიკის წარმოება. აფხაზთა მეფეებმა, პირველად ისტორიაში, დას. საქართველოს სატახტო ქალაქი ქუთაისში გადმოიტანეს. ეს გარემოებანი — რომ ძველ დროში, არგვეთში, როგორც ჩანს, ქართული

[1] აკ. წანიძე, შემთხვევა ბერძნული სიტყვის აკუზატიური ფორმით სესხებისა სვანურში: ტფ. უნ. მოამბე, V, 1925 წ., გვ. 254-6.

მოსახლეობაა, რომ აფხაზთა მეფეები ცდილობენ მთელი საქართველოს გამაერთიანებელი დინასტიის როლი ითამაშონ, რომ ხდება საქართველოს სხვადასხვა რაიონების დაახლოება სამეურნეო აღმავლობის ნიადაგზე, — ყოველივე ეს ხელს უწყობს აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო კულტურის შეჭრას დასავლეთ საქართველოში. ბერძნულ ენას ეკლესიასა და საეკლესიო მწერლობაში, ისევე როგორც სახელმწიფო დაწესებულებებში, სცვლის ქართული. აფხაზთა სამეფოში ქართულმა ენამ აღწერილი მდგომარეობა მოიპოვა უკვე IX საუკ., რაც დოკუმენტალურად მტკიცდება. ბუნებრივია, რომ ამ პროცესის ერთი პატარა გარეგნული ნიშანთაგანი იყო ბერძნ. „სტავროსის“ შეცვლა ქართ. „ჯვარით“. საინტერესოა ამ ნიშნის მოძრაობა კავკასიონის ჩრდილოეთით.

ნიადაგი ქრისტიანობის გავრცელებისათვის, როგორც განმარტებული გვაქვს, იყო ფეოდალური ურთიერთობის განვითარება. ფეოდალიზმის განვითარებასთან ერთად ქრისტიანობა ნელ-ნელა იპყრობს მთელ კავკასიას. ამ მხრით, ჩრდილო კავკასიამ, რა თქმა უნდა უკანასკნელ რიგში მიიღო ქრისტიანობა, იმიტომ რომ აქ ყველაზე ნელი ტემპით ვითარდება ეს ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა. ამ შემთხვევაში, ბაზა, ასე ვთქვათ, ამოსავალი წერტილი ქრისტიანობის გავრცელებისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში არის უკვე საქართველო — ჯერ აფხაზთა სამეფო, შემდეგ — საქართველოს ფეოდალური მონარქია.

საყურადღებო ცნობებია, მაგალითად, ბიზანტიურ წყაროებში დაცული ალანების ანუ ოსების გაქრისტიანების შესახებ.

ამ ცნობათა ანალიზით ირკვევა, რომ ქრისტიანობა ოსებს (ალანებს) მიუღიათ მეათე საუკუნის დამდეგს, როცა, აქ, ფეოდალური განვითარების წარმატებას შეუქმნია ხელსაყრელი საზოგადოებრივი პირობები ამ ამბისათვის. მთავარი ინიციატორი და პრაქტიკული ორგანიზატორი ალანთა გაქრისტიანების საქმისა აფხაზთა მეფე ყოფილა. აფხაზთა სამეფო და ოსეთი ამ დროს უშუალოდ მოსაზღვრე ქვეყნებია თუნდაც იმიტომ, რომ ყუბანის სათავეები ოსებს უჭირავთ. სწორედ აქეთკენ, მდ. კოდორისა და მისი შენაკადების სათავეებით, მიიმართება გზა, რომელიც გადალახავს კავკასიონს ქლუხორის და, ზოგჯერ, მარუხის ზეკარით და რომელსაც ძველთანვე აფხაზეთისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ოსე-

ოის ამ სასაზღვრო ხაზს გულისხმობს სწორედ „ქართლის მატიანე", როცა გვიამბობს რომ მურვან ყრუსაგან ლტოლვილი აფხაზეთის ერისთავი ლეონ „შესრულ იყო ციხესა შინა სობღისსა, რომელ არს გარდასავალსა ოვსეთისასა"-ო [1]. ოსეთთან დაკავშირებული ინტერესები, ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათისა, არის სწორედ ის სტიმული, რომელიც აფხაზეთის მმართველ წრეებს აიძულებს ოსების გაქრისტიანებაზე იზრუნონ.

ოსები იღებენ ქრისტიანობას, როგორც ოფიციალურ კულტს, კონსტანტინოპოლელი პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის დროს, რომლის მიმოწერა ამ საქმის გამო აფხაზთა მეფესთან არის ჩვენამდე დასახელებული წყარო [2]. ნიკოლოზი ორჯერ იყო პატრიარქად: 901—907 წწ. და 912—925 წწ. ეს თარიღები არკვევს ნიკოლოზის კორესპონდენტის, აფხაზთა მეფის, რომლის სახელი წერილებში არ შენახულა, ვინაობასაც. საქმე ისაა, რომ პატრიარქი ულოცავს აფხაზეთის მფლობელს მამისეულ სამეფო ტახტზე ასვლას, ეს-კი შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ ცნობილს გიორგი II-ს, რომელიც, ჩვენი ანგარიშით, ტახტზე ადის, დაახლოებით, 915—6 წ., და არა მამას გიორგისას, კონსტანტინე III-ს, რომელიც გამეფებულია, ყოველ შემთხვევაში, არა უადრეს IX ს. ოთხმოციანი წლებისა, როცა ნიკოლოზი ჯერ კიდევ პატრიარქი არ ყოფილა. გიორგი აფხაზთა მეფე მართლაც ცნობილია თავისი საეკლესიო მშენებლობით [3].

საყურადღებოა ნიკოლოზის წერილების შინაარსი. პირველ ეპისტოლეში პატრიარქი ულოცავს გიორგის ახლად გარდაცვალებული მამის ტახტზე ასვლას და სამძიმარს უცხადებს მას შვილური მწუ-

---

[1] ქცხ მარ. 201.

[2] ნიკოლოზ მისტიკოსის წერილთა კრებულს საერთოდ უაღრესად დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს; იხ. А. Васильев, История Византии, т. I, 307.

[3] მის წესაებრ მატიანე წერს: „იყო იგი სრული ყოვლითა სიკეთითა, სიბრძნითა და ახოვნებითა, ღმრთის მოყუარე. ი ყ ო უ მ ე ტ ე ს ყ ო ვ ე ლ თ ა შ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი ე კ ლ ე ს ი ა თ ა... ამან განაგნა და განაწყუნა ყოველნი საქმენი კეთილნი მამულისა სამეფოსა თჳსისა. აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეპისკოპოსოდ"... ქცხ. მარ.. 229;—ერთ-ერთ წერილში, რომელიც თუმცა თავისი შინაარსით ალანების გაქრისტიანების ამბავთან დაკავშირებული არ არის, მიმართულია აბაზგიის მეფლობელისადმი, უკანასკნელი წოდებულია გრიგორად (იხ. № 162. იქვე!). უეჭველია, დედანში „გიორგი" უნდა ყოფილიყო, რაც შემდეგში გადამწერლების მიერაა დაშახინჯებული. არსებითად ისაა საყურადღებო, რომ გიორგი მეფე ნიკოლოზის მუდმივი კორესპონდენტი გამოდის.

ხარების გამო. წერილის დასასრულ პატრიარქი, როგორც ჩანს, უპასუხებს აფხაზეთის მფლობელს შეკითხვაზე ალანიის არქიეპისკოპოსისათვის შემწეობის აღმოჩენის შესახებ და მთელ საქმეს მთავრის კეთილწადიერ მოსაზრებაზე მიაგდებს: დარწმუნებული ვარ, მეზობელი ხალხის მწყემსს შემწეობას აღმოუჩენო [1]. ეს წერილი ერთ საკითხსაც აღძრავს: „ეს მეზობელი ხალხი", ალანები, ხომ არ ეხმარებოდნენ გიორგის ტახტის გამო ბრძოლაში, რომელიც ატყდა გიორგის მამის, კონსტანტინეს, გარდაცვალების შემდეგ და რომელშიაც გიორგის კონკურენტს, მის უმცროსსა და, როგორც ჩანს, — დედით სხვა ძმას ბაგრატს დახმარება მოსდიოდა სამხრეთიდან, ტაო-კლარჯეთის იმდროინდელ უძლიერეს მფლობელისაგან, რომელიც სიმამრი იყო ამ ბაგრატისა [2].

! პატრიარქის მილოცვაც შესაძლებელია მეტოქეზე გამარჯვებასაც გულისხმობდეს.

მეორე წერილში პატრიარქი მადლობას უცხადებს აფხაზთა მბრძანებელს სტუმართმოყვარეობისა და დახმარებისათვის, რომელიც მას ალანთა მისიონერ-არქიეპისკოპოსისათვის გაუწევია. „სხვადასხვა პირთაგან, რომელნიც იცნობენ შენს ღვაწლს, — წერს ნიკოლოზი, — ჩვენ შევიტყვეთ რომ შენ, ღვთის შემწეობით, დიდი გულმოდგინეობა გამოიჩინე ალანთა მთავრისა (არქონტისა) და იმათ, ვინც, მასთან ერთად, წმინდა ნათლისღების ღირსნი შეიქნენ, განათლების საქმეში" [3].

თვით ალანთა არქიეპისკოპოს პეტრესადმი მიმართულ წერილებიდანაც ჩანს, რომ ოსების მოქცევა ახალი საქმეა. მაგრამ ჩვენთვის

---

[1] Migne, Patr. gr, t. CXI, 236, № 46; Ю. Кулаковский, Христианство у Алан: „Визант. временник", V, გვ. 1 შემდ.

[2] „ქართლის მატიანე" ამბობს: „გარდაიცვალა კონსტანტინე მეფე და იმეღბოდა ეუეყანა აფხაზეთისა ეამ-რაოდენმე, რამეთუ ესენი ძენი ორნი კონსტანტინე მეფისა: ერთი უხუცესი და მეორე, რომელი უშუა (სხუამან?) ცოლმან, უმრწემესი. უხუცესსა ერეუა გიორგი და უმრწემესსა – ბაგრატ. და იყო მათ შორის ბრძოლა ფიცხელი, რომელიც თჳთეულად ჰპოო ცხოვრებასა მათსა. ხოლო ესე ბაგრატ სიძე იყო გურგენ ერისთავთა-ერისთავისა. უშუელდა გურგენ ყოვლითა ძალითა მისითა. ვიდრე არ მიიცვალა ბაგრატ, არა იყო მშვიდობა შორის მათსა. შემდგომად სიკუდილისა მისისა, მიიღო სრულობით მეფობა აფხაზთა გიორგი მეფემან": ქცხ. მარ., გვ. 228—229 და შენიშვნები.

[3] Migne, Patr. gr., t. CXI, 241, № 51.

აქ განსაკუთრებით საინტერესოა ნიკოლოზის, პეტრესადმი მიმართული, ის წერილები, რომელნიც მოვლენის სოციალურ მხარეს ამჟღავნებენ.

ერთ წერილში იგივე პატრიარქი ურჩევს ამ ახლად გაქრისტიანებულ ოსეთში მყოფ ეპისკოპოსს იმოქმედოს მამობრივი ჩაგონებით, უბრალო ხალხის მიმართ გამოიყენოს სიმკაცრეც. ხოლო წარჩინებულ და ძლიერ პირებთან მეტისმეტი სიფრთხილე მოიხმაროს, რომ ეკლესიისათვის ახლად მოპოვებული ერი ქრისტიანობისაგან გარე არ მიიქცესო [1]. ცხადია, რომ აქაც საქმე გვაქვს საზოგადოების გარკვეულ დიფერენციაციასთან, რომლის შუქზედაც ახალი სარწმუნოების მოვლენა თავის სწორ განმარტებას პოულობს.

ასეთივე მნიშვნელობა აქვს სხვა წერილსაც, რომელშიაც პატრიარქი რჩევას იძლევა, ალანების ერის მთავარსა (ἡγεμὼν τοῦ ἔθνους) და სხვა პირთ (უეჭველია, წარჩინებულთ) გარკვეული შეღავათები მისცენ იმ მხრივ, რომ ნუ დაუშლიან მათ მათთვის ჩვეულის ქორწინების წესით იცხოვრონო [2]. აქაც ჩანს რომ ქრისტიანობის გამავრცელებელთ ოსეთში ორიენტაცია მმართველ წრეებზე ჰქონდათ აღებული.

რაკი ქრისტიანობა ოსეთში აფხაზეთიდან შედის უშუალოდ და აფხაზეთი კიდევ ამ დროს, კულტურული თვალსაზრისით, ქართული ქვეყანაა, ამიტომ ქრისტიანობასთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიაში ქართული კულტურა გადადიოდა. აღნიშნული პროცესის ნივთიერი ნაკვალევია სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილი ფაქტი, რომ მდ. ყუბანის სათავეებში, კერძოდ, მდ. ტებერდას ხეობაში, დღემდე შენახულია ქართული ხუროთმოძღვრების საყურადღებო ძეგლები. ეს ძეგლები მისდევს სწორედ იმ აფხაზეთ-ოსეთის გზას, — რომლის შესახებაც ზემოთ იყო საუბარი, — და ამ გზის არსებობის უტყუარ საბუთსაც წარმოადგენს.

საქართველოდან ვრცელდება ქრისტიანობა და, მასთან ერთად, ქართული ქრისტიანული კულტურა ჩრდილოეთ კავკასიის შუა და აღმოსავლეთ ნაწილშიაც. აბიბოსის შესახებ, რომელიც ნეკრესის (კახეთში) ეპისკოპოსი იყო, მატიანე ამტკიცებს, რომ მან „მოაქ-

[1] Migne, Patr. gr., + CXI, 247. 52.
[2] იქვე, № 133.

ცივნა უმრავლესნი მთიულნი არაგუსა აღმოსავლით“ (ქცხ. მარ. 197).

რადგანაც ქ. ნეკრესი თვითონ კავკასიის მთის კალთებზე მდებარეობდა, ამიტომ საფიქრებელია, რომ „მთიულებში“ მემატიანე მთის კავკასიელ ტომებსაც გულისხმობს. ასე ესმის ეს კერძოდ ვახუშტის, რომელიც ამბობს რომ აბიბოსი იყო „მწყემსი გალმა მჴრისა დიდოთურთ“. მერვე საუკუნისათვის შემდგომს ენერგიულ აქტებს, ქრისტიანობის აღმოსავლეთ კავკასიისა და კავკასიის მთიანეთში დამკვიდრების მხრივ, მემატიანე მიაწერს არჩილ მეფეს. მატიანით, არჩილ „დაჯდა წუქეთს (ზაქათალა-ნუხის მხარე. ს. ჯ.) და აღაშენა კასრი. და ჴევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე. და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი. და იყო მაშინ, რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუ-ხუასრო. და არა ინება მისაგან წაღებად წუქეთი. აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი, ნუხპატისი, ორთა წყალთა შუა. ხოლო ნუხპატელნი უწინარეს იყუნეს კაცნი წარმართნი და მჴეცის ბუნებანი, არამედ ყრუსა მოესრა სიმძლავრე იგი მათი. და იძულებით მონათლნა არჩილ იგინი“ [1]. აქაც ნაცნობი სურათია: გარკვეულს საზოგადოებრივ პირობებში (მემკვიდრეობითი ერისთავობა) პოლიტიკური და, უეჭველია, აგრეთვე ეკონომიური ინტერესები აიძულებს ქართლის მმართველ წრეებს იზრუნონ „მხეცისბუნებიან წარმართების“ „ცივილიზაციის“ შესახებ გაქრისტიანების გზით, ე. ი. სასურველი მიმართულებით ნორმალიზებული ურთიერთობის კალაპოტში ამ ტომების ჩაყენებისათვის. მეთოდი სხვადასხვა წრეების მიმართ სხვადასხვანაირია: ერისთავებს უდასტურებენ მათს მემკვიდრეობითს პრეტენზიას საერისთავო „ხელის“ მიმართ, ხალხი-კი, რომლის „სიმძლავრე“ ადრევე შეუმუსრავს მურვან ყრუს, ინათლება „იძულებით“. ყოველივე ამას თანსდევს ციხე-ქალაქების გაძლიერებული მშენებლობა, რაც, ერთი მხრით, უფრო მტკიცე ორგანიზაციას უქმნის ამ იძულებას, მეორე მხრით-კი —

[1] ქცხ. მარ. 210. მატიანის დათარიღებით, ეს ამბები ხდება მურვან ყრუს შემოსევიდან 50 წლის გასვლის შემდეგ, ე. ი. VIII ს. ოთხმოციან წლებში. არაბული ხანის შედარებით გვიანდელ პერიოდზე მიუთითებს ერისთავის სახელიც „აბუ-ხუასრო“. ცნობა იმდენად კონკრეტულია, რომ მის სინამდვილეში ეჭვის შეტანა უსაფუძვლო იქნებოდა.—ტექსტი აღდგენილია.

ეკონომიური ინტერესების ხასიათს ამჟღავნებს. პოლიტიკური გეოგრაფიის თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებოა თუშებისა და ხუნზების (თანამედროვე ავარიელები, ხუნძები) ერთს ქართულ საერისთავოში მოქცევა. ამ მხრით ცნობის მნიშვნელობა ჩვენ დაწვრილებით სხვაგან გვექნება განმარტებული.

ისეთს მაღალი მთის ქვეყანაში, როგორიცაა ხუნზეთი, ქრისტიანობის გავლენა VIII ს. არ უნდა ყოფილიყო ღრმა, რამდენადაც ფეოდალური ურთიერთობა მაშინ კავკასიის მთიანეთში ახლად ფეხადგმული იყო. ამიტომაცაა რომ შემდეგშიაც ჩნდება ცნობები ახალ ღონისძიებათა შესახებ ამ მხრივ დასახელებულ მხარეებში. ნიადაგი პროცესის გაღრმავებისათვის იქმნებოდა, უწინარეს ყოვლისა, თვით სათანადო რაიონების ფეოდალიზაციის, ხოლო შემდეგ, ქრისტიანულ ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ გავლენის ზრდით. უკანასკნელი მხრით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა დავით აღმაშენებლის საქმიანობას, რომლის შედეგადაც საქართველოს ფეოდალური მონარქიის სუვერენიტეტი შორს გადასცდა, ჩრდილოეთით, კავკასიონის ქედს. ყივჩაყების გადმოყვანისას, გვიამბობს დავითის ისტორიკოსი, მეფე და მისი თანამოღვაწენი „შევიდეს ოვსეთს და მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა. აიხუნა მძევალნი ორგნითვე, ოვსთა და ყივჩაყთა, და ესრეთ ადვილად შეაერთნა ორნივე ნაოესავნი და ყო შორის მათსა მშვიდობა და სიყუარული ვითარცა ძმათა. აღიხუნა ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისა და კავკასიისა მთისა თანა და შექმნა გზა მშვიდობისა ყივჩაყთათჳს“ [1], და საერთოდ თავისთვის, რა თქმა უნდა. უეჭველია რომ „მშვიდობის გზებს“ თან მისდევდა და აძტკიცებდა ქრისტიანობა. ტყუილად კი არ ახ|ლდა დავითს თან მისი მწიგნობართუხუცესი, გიორგი ჭყონდიდელი, სამეფოს უპირველესი ბერთაგანი და პირველი ძოხელე.

მთელი XII ს., ამ თვალსაზრისით, დავითის მიერ დასმული ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს. XIII ს. მონღოლებმა ამ ურთიერთობას მძიმე ლახვარი ჩასცეს. მაგრამ მთლიანად იგი მაინც ვერ გაუწყვეტიათ. ამ მხრივ საყურადღებოა „ჟამთააღმწერელის“ ცნობა, რომელიც დიმიტრი თავდადებულის ძეფობისათვის (XIII ს. სამოცდა-

[1] დავითის ისტორია: ქცხ. მარ. 300—302.

ათიანი და ოთხმოციანი წლები) მიუთითებს პიმენ სალოსის სამისიონერო მოღვაწეობაზე დაღისტანში. მემატიანის თქმით, ეს პიმენი „გარეჯით წარმოვიდა და დაემკვდრა ბელაქანს ქუაბსა რასმე. [მან] ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცივნა, რომელნი ჰგიან სარწმუნოებასა ზედა ქრისტესა“ [1]. რადგანაც ქამთააღმწერელი, ამ ცნობის ავტორი, XIV ს. მწერალია (იგი ყოველ შემთხვევაში გიორგი ბრწყინვალის მეფობის მომსწრეა), ცნობა ისე უნდა გავიგოთ, რომ XIV ს. ლეკები ჯერ კიდევ ქრისტიანები იყვნენ. ისლამის გაბატონება დაღისტანში ჯერ თემურ-ლენგისა და შემდეგ, განსაკუთრებით, თურქ-ოსმალების ღვაწლს უნდა მიეწეროს.

აღწერილი მოვლენების საყურადღებო ტერმინოლოგიური ნაკვალევიდან ჩრდ. კავკასიაში აღვნიშნავთ „ჯვარს“. ქართული ტერმინი „ჯვარი“ დღემდე შენახულია კავკასიის მთიანეთისა და ჩრდილო-კავკასიის მრავალ ადგილას (ჩერქეზებში: შავიზღვისპირა შაფსუღებში, ყუბანის შაფსუღებში, საერთოდ კიახების სხვადასხვა ტომში, ყაბარდოელებში [2]; აბაზებში (პირიქითა აფხაზეთში); ოსებში; ქისტებში).

საყურადღებოა, ამასთან, ტერმინის დღევანდელი მნიშვნელობანი, რომელთაგანაც ძირითადია ორი: 1) ტერმინს შერჩენილი აქვს ძველი აზრი, იგი გამოხატავს ქრისტიანულ სიმბოლოს, 2) ტერმინი აღნიშნავს წარმართულ ღვთაებას, კერპს. საინტერესოა ეს უკანასკნელი მნიშვნელობა ტერმინისა: უეჭველია, იგი ვითარდება იმ შედარებით გვიანდელ ხანაში (XVII—XVIII სს.), როცა ხსენებული ტომების გაბატონებულმა წოდებამ, თავად-აზნაურობამ, ახალს პოლიტიკურ პირობებში, თავისთვის უფრო ხელსაყრელად მიიჩნია ქრისტიანობა ისლამზე გაეცვალა. გლეხობა-კი, იცავდა რა თავის საკუთარს ინტერესებს, თავადაზნაურობის ახალი იდეოლოგიის, ისლამის, დასაპირისპირებლად ერთ ხანს ებღაუჭებოდა ძველს, სწორედ ისევე, როგორც ამას ჩადიოდა იგი, როცა იგივე აზნაურობა ქრისტიანობას იღებდა. ეს გლეხური „ქრისტიანობა“ მართლაც უფრო წარმართობა იყო, ვიდრე მართლმადიდებელი თუ რომელიმე სხვა ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრება. არსებითად, გლეხობა

[1] ქცუ მარ. 731.

[2] ჩერქეზებმა ქრისტიანობა მიიღეს ალანებზე ადრე, ბიზანტიელებისაგან, მაგრამ შემდეგ აგრეთვე დაექვემდებარნენ საქართველოს პოლიტიკურსა და კულტურულ გავლენას.

ქრისტიანობის ბატონობის ხანაშიაც თავის ძველს ანიმისტურ-წარმართულ რწმენებს მისდევდა. „ჯვარს“ წარმართულ, ე. ი. ამ შემთხვევაში, დევნის ღირს ემბლემად და კერპად აცხადებენ ახალი რელიგიის მოციქულნიც — მათს დამოკიდებულებას ამ შემთხვევაში სულ სხვა ხასიათი აქვს, და ტერმინიც მათ პირში სხვა აქცენტის მატარებელია.

აი, რამდენიმე ფაქტი გამოთქმული აზრის საილუსტრაციოდ. ძველი ალანების შოამმავალ ოსებში „ძუარ“ (ქართ. „ჯვარი“) ნიშნავს: „ჯვარს“, „წმინდანს“, „ღვთაებას“, „სალოცავს“ (სალოცავ ადგილს) და, წარმოიდგინეთ, ავადმყოფობა „ყვავილსაც“ კი: „და მარდ. და ძუარ ფუსაფად“,—„დაიღუპოს შენი მკვდარი და შენი ძუარიო“,—იწყევლებოდა ძველად ოსი. ცნობილია ოსეთის ქვა-ჯვარები, რომლებსაც თაყვანს სცემდნენ. არის ასეთი ძალიან საინტერესო ოსური ანდაზაც: „ხოხ ძუარჯვნ, ბვდგრ ალდარჯვნ“ — „მთაში ძუარია (წარმართული სალოცავი) ბევრი, ბარში კი — ალდარი (თავადი)“! სწორედ იმ ურთიერთობის გამოხატულებაა ეს თქმა, რომელზედაც ზემოთ ესაუბრობდით: ბარში ფეოდალური ურთიერთობა ძლიერია და „ძუარიც“ მთისკენ იხევს! ამ სალოცავებს თავიანთი ეურუმები ჰყავდათ, რომელთაც „ძუარ ლაგ“-ს უწოდებდნენ [1].

ასევეა ჩერქეზებშიაც. უმეტეს წილად ეს სიტყვა (გამოითქმის როგორც „ჯუარ“ ‖ „ჯორგ“ [კიახებში], „ჟორ“ ‖ „ჟორ“ [ყაბარდოელებში] იქ ესმით, როგორც რაღაც „ღვთაება“, „კერპი“, „წარმართული სალოცავი“, „ჩირაღდანი“. ეს სალოცავები შენახული იყო უკანასკნელ დრომდე, მაგ., ტუაფსეს რაიონში. ეს იყო უბრალო მშედლური წესით გაკეთებული რკინის ჯვარი, წვეტიანი ბოლოთი დაბაგრებული ხეზე სადმე უღრან ტყეში. აქ მოდიოდნენ მაჰმადიანი ჩერქეზები, თაყვანს სცემდნენ მას, ჰკლავდნენ სამსხვერპლო საქონელს. უკანასკნელი ასეთი „ჯუარი“ მოსქრეს ტუაფსეს რაიონში, კოლეხვას ხეობაში, ამ ათიოდე წლის წინათ [2].

ძველი მნიშვნელობაც აქვს შერჩენილი ტერმინს ჩერქეზებში მრავალგან და აგრეთვე აბაზებში (პირიქითელ აფხაზებში) [3].

---

[1] В. Миллер, Осетинско-русский словарь, I, სათანადო სიტყვის ქვეშ.

[2] აულ აგუიდან 15 კილომეტრის მანძილზე. ჯვარი გაკეთებული ყოფილა მაღლის ხეზე, სამრეთისაკენ პირმიქცევით. ნივთი ამჟამად ინახება ადიღეს საოლქო მუზეუმში (№ 976), სადაც ის ჩვენ ვნახეთ. იხ. აგრეთვე „Адыгский областной музей“, Краснодар, 1929, გვ. 7 და 18.

[3] ეს ცნობები შეკრებილია ჩვენ მიერ ჩრდ. კავკასიაში სამეცნიერო მოგზაურობის დროს 1929 წ. გაბაფხულზე და შემოდგომით: შაფსუღურ აულ აგუიში ა ლ ა ლ მ უ ს ა ბ გვაცნობა, რომ „ჯუარ“ ნიშნავს ღვთაებას; ბზადუღების აულ თლასთონა-ჰაბლში გვითხრეს რომ „ჯორ“ არის „ჩირაღდანი“, ხოლო „ჯორგმ“ ᲩᲘᲜᲘᲚᲘ<ᲠᲘ“—„ცეცხლთაყვანისმცემელი“! ყუბანის შაფსუღებში, აულ აფიფსიფში, მოხუცმა თლაფსთან ბეასომ გადმოგვცა რომ „ჯორ“ ნიშნავს კერპს, კერპთა-

ჩვენ აქ ვეღარ განვიხილავთ, აღებული თვალსაზრისით, საქართველო-რუსეთის კულტურულ ურთიერთობას, რაც უაღრესად საყურადღებო და საინტერესო ფაქტებშია გამოხატული. ეს შესრულებული იქნება სპეციალურ ნარკვევში [1].

§ 18. ადრინდელ-ფეოდალურ ურთიერთობების განვითარება დას. საქართველოში II—IV სს. ეგრისის სამეფოს წარმოქმნა

ცნობების თითქმის სრული უქონლობის გამო, ჩვენ არაფერი ვიცით ფეოდალურ კლასის განვითარების შინაგანი პირობების შესახებ ლაზიკაში. სხვადასხვა არაპირდაპირი ჩვენების საფუძველზე შესაძლოა მხოლოდ ვიფიქროთ, რომ ამ განვითარებას აქ არ შეჰხვედრია ისეთი წინააღმდეგობა, როგორც ქართლში. თეოკრატიული ელემენტები, რომელთაც ჩვენ აქაც ვპოულობთ გარკვეულს დაწყებით პერიოდში, უფრო სუსტად უნდა ყოფილიყვნენ გამოხატულნი და უფრო ადრე უნდა გამქრალიყვნენ, ვიდრე ქრისტიანობა აქ შინასოციალურ და შინაპოლიტიკურ ურთიერთობის სცენაზე გამოვიდოდა. ქრისტიანობის როლი, მაშასადამე, ამ მხრივაც სხვაგვარი იყო ლაზიკაში, ვიდრე ქართლში.

ფეოდალურ ურთიერთობის ზრდის ისტორიისათვის დას. საქართველოში მეტად საყურადღებოა ფაქტი ახალ სახელმწიფოებრივ ორგანიზმის წარმოშობისა აქ. მეორე საუკუნის პირველ ნახევარში დას. საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა, როგორც ვნახეთ (§ 15), ოთხი | წვრილი პოლიტიკური ერთეული. იმავე დროს, რომაელებს სანაპირო ციხე-ქალაქებში, ფაზისსა და სევასტოპოლში, თავისი ჯარი უყენიათ — საკმაო გარანტია იმისათვის, რომ აღწერილი ვითარება, ხელსაყრელი რომაელებისათვის, არ დაირღვეს. მეორე საუკუნის მეორე ნახევარში და მესამე საუკუნეში აქ, ჩანს, იგივე მდგომარეობაა: 255—6 წ. გუთები ანუ სკვითები, — როგორც,

---

ყვანის მკემლობის დროინდელ სალოცავსო. ყაბარდოელები (ყაბარდოს ავტ. სსრ) ასლან ჯარდანხა (აულიდან ფსუგანსუ) და თახურათ თენხა (აულიდან ყუაკიყუაი იშხარა) ამტკიცებდნენ რომ „ჯრრ“ || „ეორ“ არის ერთადერთი სიტყვა ყაბარდოულში ჯვარის აღსანიშნავად. ყაბარდოელივე ლიდ ბეთროხუხა (აულიდან ხათუაი) ამასვე ადასტურებს. აბაზი მუსა შჰაგუაშის (აულიდან დუდარიყუა-ქკთ) ცნობით „ჯუარ“ აბაზურში მხოლოდ ჯვარს ნიშნავს. ამასვე ადასტურებდნენ აბაზები ალი ნაკოხრაა (აულიდან ბიბარდ-ქკთ) და უმარ ბალარაა (აულიდან ლოოქთ).

[1] ამ პარაგრაფში მოცემული დებულებები, უფრო გაშლილი სახით, ავტორს წარმოდგენილი ჰქონდა თავის საჯარო ლექციაში, რომელიც წაკითხულ იქნა ტფილ. სახ. უნივერსიტეტში 1937 წ. 13 აპრილს.

ტრადიციით, მათ ეძახიან იმდროინდელი ბიზანტიელი მემატიანენი. — თავს ესხმიან პიტიუნტს (ბიჭვინტას), მაგრამ უკუქცეული არიან პიტიუნტის რომაელთა ციხოვან ჯარის მიერ და მეტისმეტი ასწრაფებით შინ ბრუნდებიან, რადგანაც ეშინიათ, რომ მეზობელი სიმაგრეების გარნიზონები შეიტყობენ ამ ამბავს, პიტიუნტის რაზმს შეუერთდებიან და მთლად გაგვანადგურებენო. მაშასადამე, ბიჭვინტის მახლობლად მდებარე სტრატეგიულ მნიშვნელობის პუნქტებშიც ციხოვანი რომაელები მდგარან. ცოტა ხნის შემდეგ, გუთებმა ასეთივე მარცხი განიცადეს ფასიდთან, სადაც მათ ადგილობრივი ტაძრის ხელში ჩაგდება ჰსურდათ, მაგრამ, სამაგიეროდ, პიტიუნტის ალბა-კი მოახერხეს და იქაური ციხის ჯარიც გაქელიტეს[1]. ცხადია რომ III ს. ორმოცდაათიან წლებში მთელი ქვეყანა რომაელების განკარგულებაში იმყოფება *. ძალთა განწყობილება იცვლება, ჩანს, IV საუკუნეში, როცა რომაელების საქმეები აღმოსავლეთში ძალიან გაფუჭდა. უეჭველია, რომაელთა გავლენა ამ დროს უნდა შესუსტებულიყო დას. საქართველოშიაც. თუ გარდამწყვეტ მნიშვნელობას არ მივცემთ იმ ცნობას, რომ კონსტანტინე I-ის (324 — 337 წწ.) მიერ დაყოფილ იმპერიის ის ნაწილი, რომელიც აღმოსავლეთის პროვინციებს შეიცავდა, შავი ზღვის სანაპიროებზე მხოლოდ ფაზისის სიმაგრეებამდის ვრცელდებოდა[2] და, მაშასადამე, რიონს ჩრდილოეთით მდებარე რაიონები იმპერიის ფარგლებს გარეთ მოდიოდა, რასაც ეწინააღმდეგება ცნობილი ამბავი საეკლესიო მოღვაწის, იოანე ოქროპირის, გადასახლებისა კონსტანტინოპოლის მთავრობის მიერ პ ი ტ ი უ ნ ტ — ბ ი ჭ ვ ი ნ ტ ა შ ი (407 წ.), მაინც ყველაფერი მოწმობს რომ ამ დროს უკვე, განსაკუთრებით-კი, საუკუნის შუაწლებიდან მოყოლებული, რომაელები ძალიან შევიწროებული არიან და წათი პოლიტიკური ჰეგემონიაც მნიშვნელოვნად შეზღუდულია. სწორედ ამ დროს უნდა მომხდარიყო, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ის საყურადღებო ამბავი, რომ ლაზების ტომის სამთავროს, ერთს ზეშოდასახელებულ | ოთხთაგანს, თავის პოლიტიკური საზღვრები გაუფართოე-

[1] ზოსიმე, SC I, 790—791.

[2] იქვე, 797.

* ამ სიტყვაზე მითითებით დედანში აკტორის ხელით წერია: „მაგრამ ეს ინსაც ნიშნავს, რომ რომაელები ებლა უფრო სუსტნი არიან, ვიდრე იყვნენ“.

ბია დანარჩენთა ხარჯზე. რომაელების დასუსტება ამ პროცესისათვის იყო მხოლოდ პირობა. არსებითად, მომხდარი ფაქტი შედეგი იყო ბუნებრივი განვითარებისა ფეოდალურ ძალთა გამსხვილებაში.

ახალ სახელმწიფოს ბიზანტიელები „ლაზიკეს" ეძახიან, ქართული წყაროები — „ეგრისს", სომხები — „ეგერქს". „ეგრისიდან" არის ნაწარმოები ტომური სახელწოდება „მეგრელიც" (შეადარ. „მეგვიპტელი" „ეგვიპტიდან", „მაჭარელი" „აჭარიდან"...). რადგანაც ყველაფრიდან ჩანს რომ სწორედ „ეგრისი" იყო ადგილობრივი სახელწოდება, ამიტომ ჩვენც ყოველთვის ამ ტერმინს ვიხმართ.

თუ როდის წარმოიშვა ეგრისის სამეფო, ამის შესახებ ჩვენ მხოლოდ ერთი, თუმცა არა პირდაპირი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უაღრესად საყურადღებო ცნობა მოგვეპოვება ბერძნულს საისტორიო მწერლობაში. ეს ცნობა მემატიანე მენანდრეს ეკუთვნის.

როცა დიდი ომების დამთავრების შემდეგ ეგრისში (VI ს.) ირანელები და რომაელები საზავო პირობების გაფორმებისათვის ზრუნავდნენ (562 წ.), დიდი დავა გამოიწვია სვანეთის საკითხმა: ირანელები ამ მხარეს თავისად სთვლიდნენ, რომაელებიც მას არ სთმობდნენ. რომაელების ელჩმა პეტრემ მაშინ მთავარ არგუმენტად ასეთი მოსაზრება წამოაყენა: პეტრემ სთქვაო, — მოგვითხრობს მენანდრე, — მე შენ ეხლავე დაგიმტკიცებ მთელ ჭეშმარიტებას, თუ როგორ იყო ეს ყველაფერი მოწყობილი ლაზებშიო. სვანეთის მთავარი ლაზს ემორჩილებოდა და შეტანილი იყო მის სახარკო დავთარში. მეფე იღებდა მისგან ფუტკრის ნაყოფს, ტყავებსა და სხვა მსგავს საგნებს. როცა სვანების მთავარი გარდაიცვლებოდა, ლაზების მფლობელი აირჩევდა გარდაცვლილის მემკვიდრეს და რომაელთა კეისარს შეატყობინებდა მომხდარის შესახებ. კეისარი უპასუხებდა წერილობით და უბრძანებდა გადაეცა, ვისთვისაც ჰსურდა, სვანეთის უმაღლესი ხელისუფლების ნიშნები, ოღონდ სვანი კი ყოფილიყო იგი. ასეთი ჩვეულება დაშყარდა ჩვენი მეფის თეოდოსის დროიდან და გრძელდებოდა პაპა თქვენის (პეტრე ესაუბრება თვით ირანის შაჰს) პეროზისა და ჩვენი მეფის ლეონის დრომდისო. შემდეგ პეტრემ ქლამიდის ქვეშ გამოიღო წიგნი, რომელშიაც ეწერა, გვერდისგვერდ და ცალ-ცალკე, იმ ლაზთა მეფეების სახელები,

რომელნიც აწესებენ სვანთა მთავრებს. წიგნის შინაარსი, თუმც სხვა სიტყვებით გადმოცემული, ასეთი იყო: „ესენი არიან ლაზთა მეფენი, რომელნიც აწესებდნენ (ადგენდნენ) სვანთა მთავრებს, იმ დროიდან, როცა რომს ჰმართავდა თეოდოსი, ხოლო სპარსეთს ბაჰრამი და იმ დრომდის, როცა კეისრად იყო ლეონი, ხოლო შაჰად — პეროზი". როცა ეს წაიკითხა, პეტრემ სთქვა: ამ თხრობიდან ჩვენ ვიცნობთ ლაზთა მეფეებს ჩვენს დროამდის და მათს ხელქვეით მყოფს სვანთა მთავრებსაო.

აქ მოხსენებულ ისტორიულ პირების ვინაობა კარგად ირკვევა; ისინი არიან: პირველი რიგისა — კეისარი თეოდოსი I (379 — 395 წწ.) და შაჰი ბაჰრამ IV (388 — 399 წწ.), ხოლო მეორე რიგისა — კეისარი ლეონ I (457 — 474 წწ.) და შაჰი პეროზი (459 — 483 წწ.). სათანადო სინქრონისტულ ანგარიშის საფუძველზე უნდა მივიღოთ რომ სვანეთის მთავრის დამოკიდებულება ლაზთა მეფისაგან დამყარებულა 388 — 395 წლებში და გაგრძელებულა 459 — 474 წლებამდის.

ეს ქრონოლოგიური დასკვნა თავის დასაყრდენსა და ისტორიულ ახსნას ჰპოვებს ყოველივე იმაში, რაც ჩვენ ვიცით აღმ. რომის იმპერიის მდგომარეობის შესახებ აღნიშნულ პერიოდებში. ხომ ეჭვს გარეშეა რომ, თუ აღნიშნულ წვრილ ტომურ სამთავროების აღმოცენება რომის მთავრობის სურვილის გარეშე მოხდა, შემდგომი გამსხვილება ადგილობრივ ძალებისა, რაც ეგრისის სამეფოს წარმოქმნაში გამოიხატა, ძით უმეტეს არასასურველი უნდა ყოფილიყო კეისრისათვის. ასეთ რამეს ისინი შეიძლებოდა მხოლოდ უნებლიეთ დასთანხმებოდნენ, გარკვეულ გარემოებათა იძულების გამო, როცა ფაქტიურად მათ არც შეეძლოთ ხელი შეეშალათ ასეთი პროცესისათვის. კონსტანტინოპოლის მთავრობას მხოლოდ ის უნდა ეცადნა, რომ მისთვის მაქსიმალურად სასურველი ფორმა და მიმართულება მიეცა ამბების მსვლელობისათვის, რომ, გარეგნულ კეთილგანწყობილების შემწეობითა და ერთგვარი დათმობის საშუალებით გაძლიერებულ ლაზთა მეფისა და მისი პრეტენზიების მიმართ, ნაწილობრივ მაინც შეენარჩუნებინა ამ მნიშვნელოვანი ქვეყნის დამოკიდებულება იმპერიისაგან.

სწორედ ასეთი დრო უდგება რომის იმპერიას აღმოსავლეთის

საზღვრებზე IV ს. სამოციან წლებიდან. მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა რომსა და ირანს შორის, მიუხედავად სამხედრო და პოლიტიკურ წარმატების ხ'შირი ცვალებადობისა, ჯერ კიდევ III ს. მიწურულებში რომის სასარგებლოდ ჰხრიდა გამარჯვების სასწორს. მაგრამ მომდევნო საუკუნეში უკვე აშკარა ხდება, რომ უპირატესობა თანდათან სასანიანთა ირანის მხარეზე გადადის. სასანიდები ნელი-ნელ |აცლიან ხელიდან რომაელებს ბათს პოზიციებს. კერძოდ, ამიერ-კავკასიაში სასანიდები თავიანთ გავლენას ყველაზე ადრე, გასაგები ბუნებრივი პირობების მიხედვით, ჯერ არმენიასა და ალბანეთზე (თანამედროვე საბჭ. აზერბაიჯანზე), ხოლო შემდეგ ქართლზე ავრცელებენ. რომაელები მძიმედ, მაგრამ მაინც შეუჩერებლად, უკან იხევენ. აქ, ამიერ-კავკასიაში, ყველაზე ადვილად რომაელებს ფეხის მოკიდება, რა თქმა უნდა, დას. საქართველოში შეეძლოთ. მართლაც, IV ს. სამოციან წლების დამდეგს ეს მხარე ჯერ კიდევ რომაელების მოხარკე ჩანს. ამიანე მარცელინე მოგვითხრობს: „[362 წელს, იულიანე კეისართან] ყოველი მხრიდან მოდიოდნენ ელჩები, ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად: ერთი მხრით — ტიგროსგაღმელ ხალხებისა და სომხებისაგან, რომელნიც ზავს ემუდარებოდნენ... ჩრდილოეთიდან და ი მ შ ო რ ე უ ლ ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი დ ან, ს ა დ ა ც ზ ღ ვ ა ს ე რ თ ვ ი ს მდ. ფ ა ზ ი ს ი, ბოსფორელებისა და სხვა, მანამდის უცნობ ხალხებისაგან, რომელთაც მოეგზავნათ ელჩები თხოვნით: მიეცათ მათთვის ნება მშვიდობიანად ეცხოვრათ მშობლიურ ქვეყნების ფარგლებში, ყ ო ვ ე ლ წ ლ ი უ რ ჩ ვ ე უ ლ ებ რ ი ვ ხ ა რ კ ი ს გ ა დ ა ხ დ ი თ“. მაგრამ მდგომარეობის შემდგომი გაუარესება აღმოსავლეთის ფრონტზე, ცხადია, თავის გავლენას ახდენდა დას. საქართველოს ვითარებაზედაც. ხოლო აზიაში საქმე სულ უფრო და უფრო ფუჭდებოდა: თუ, თავდაპირველად, აქ მდგომარეობა იმდენად საეჭვო იყო, რომ საჭირო ხდებოდა არაჩვეულებრივ ღონისძიებათა განხორციელება არსებულ პირობების შესანარჩუნებლად, შემდეგ უკვე ირანის მოზღვავებულ ძალთა შეჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა. იგივე ამიანე მარცელინე 361 წლის შესახებ, მაგ., გვიამბობს: „სპარსეთის მეფე გაჭირვებით უკუგდებულ იქნა, ზამთრის შეუფერებელ პირობების წყალობით, მაგრამ რადგანაც ეშინოდათ რომ იგი, წელიწადის უფრო ხელსაყრელი დროის დადგომისთანავე, მეტი სიძლიერით შოიტანდა იერიშს, ამიტომ ტიგრო-

სის გალმა მყოფ მეფეებსა და სატრაპებს გაუგზავნეს ელჩები მდიდარი საჩუქრებით იმისათვის, რათა შეგონებით გადმოებირებინათ ისინი ჩვენს (ე. ი. რომაელების) მხარეზე და რათა მათ არ განეზრახათ არაკეთილი მოტყუება ან ვერაგობა. ყოვლის უწინარეს მაინც ცდილობდნენ მოესყიდათ ბრწყინვალე სამოსლებითა და მრავალნაირი საჩუქრებით არსაკი და მერიბანი, არმენიისა და იბერიის მეფეები. რადგანაც მათ შეეძლოთ რომაელთა საქმისათვის ევნოთ, მაშინდელს საეკვო გარემოებაში რომ სპარსელების მხარეს გადასულიყვნენ". რომაელთა საქმეების შემდგომი, ფრიად თვალსაჩინო. გაუარესებისათვის აქ მხოლოდ რამდენიმე წელიწადი იყო საჭირო. კარგად ცნობილია, რომ 368 წ. რ ო მ ა ე ლ ე ბ ი ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი შ ე ი ქ ნ ე ნ პ ი რ ვ ე ლ ა დ ე ღ ი ა რ ე ბ ი ნ ა თ ი რ ა ნ ე ლ ე ბ ი ს ე რ თ გ ვ ა რ ი უ ფ ლ ე ბ ე ბ ი ქ ა რ თ ლ ზ ე დ ა დ ა ე თ მ ო თ მ ა თ თ ვ ი ს ა მ ქ ვ ე ყ ნ ი ს ე რ თ ი, ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი, ნ ა ხ ე ვ ა რ ი. სომხეთში რომაული გავლენა განადგურებული იყო იობიანეს მიერ 365 წ. დადებულ სამარცხვინო ზავის შემდეგ. სომხეთის მეფე არშაკი, მომდევნო წლებში, ტყვედ წაიყვანეს ირანელებმა და მოჰკლეს. არშაკის შვილი, რომელმაც ორიოდე დღის განმავლობაში ფარულად იმეფა თავის სამშობლოში, ბოლოს მაინც იძულებული იყო გაჰქცეოდა ირანელებს და თავი შეეფარებინა იმ მთების ხეობებში, რომლებიც ჰმიჯნავენ რომაელთა სამფლობელოსა და ლაზების ქვეყანას. აქ ლტოლვილნი ხუთი თვე იმალებოდნენ უღრან ტყეებსა და გაუვალ ხევხუვებში. მტერმა მაინც დაიპყრო მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრეები, აიღო დედაქალაქიც და ქვრივ დედოფალთან ერთად ხელთ იგდო სამეფო საგანძურებიც. ირანელთა გაბორორტების მაჩვენებელია რომ ისინი სჩეხავდნენ თურმე ხეხილის ბაღებს. მალე მოკლულ იქნა სომხეთის ეს უიღბლო მეფეც. ხოლო სწორედ იმ თეოდოსის მეფობაში, რომელსაც ასახელებს მენანდრე, რომაელების მდგომარეობა სომხეთში უკვე კატასტროფულ სახეს იღებს. უზურპატორ ევგენისთან ბრძოლის გამო თეოდოსიმ სრულიად სამხედრო ძალების გარეშე, გაშიშვლებული და დაუფარავი, დასტოვა აღმოსავლეთის პროვინციები, რომლებსაც ეხლა, კასპიის კარებით შემოჭრილი, ჰუნები ესევიან. ცხადია, სასანიანი შაჰებისათვის ეს ხელსაყრელი დრო იყო. და, მართლაც, 387 წ. თეოდოსი ზავსა ჰკრავს მათთან, რომლის პირობე-

ბითაც სომხეთი გაიყო ამ ორ სახელმწიფოს შორის. **რ ო მ ა ე ლ ებ ს ერ გ ო თ მ ხ ო ლ ო დ ე რ თ ი მ ე ხ უ თ ე დ ი. ყ ო ვ ე ლ ი ვ ე დ ა ნ ა რ ჩ ე ნ ი ს ა ბ ო ლ ო ო დ გ ა დ ა ვ ი დ ა ი რ ა ნ ი ს ხ ე ლ შ ი.**

ეხლა გასაგებია რომ თეოდოსის მეფობა და, განსაკუთრებით კიდევ, ოთხმოციან-ოთხმოცდაათიან წლების მიჯნა სავსებით შესაფერისი დრო იყო იმისათვის, რომ გაძლიერებულ ლაზთა მეფეს თავისი პოლიტიკურ-ტერიტორიული ექსპანსიის დადასტურება მოეთხოვნა კეისრისაგან. ეს უკანასკნელი იმითაც კმაყოფილი იქნებოდა, თუ ლაზების მეფე იმპერატორის ფორმალურ ვასალობაზე მაინც არ იტყოდა უარს.

ალბათ დაახლოებით იმავე ხანებში უცნიათ ლაზთა მეფის სიუზერენიტეტი სხვა ტომებსაც — აფსილებს თუ აფშილებს, აბასკებს, სანიგებს და სხვებსაც. მეხუთე საუკუნის დამდეგისათვის უკვე ჩამოყალიბებულია, როგორც ჩანს, ეგრისის სამეფოს ის სტრუქტურა, რომელიც აგრეთვე ნიშანდობლივი და დამახასიათებელია: ლაზები რომაელთა ქვეშევრდომებად ითელებიან, მაგრამ არც ხარკს იხდიან არც სხვა რამეში ემორჩილებიან მათ; ერთადერთი მათი მოვალეობაა დაიცვან თავიანთი ქვეყნის ჩრდილოეთი საზღვარი, რათა ჰუნები და სხვა ნომადები ამ გზით არ შეიჭრან რომაელთა ტერიტორიაზე; როცა ლაზების მეფე კვდება, კეისარი მის მემკვიდრეს, რომელმაც სამეფო ტახტი უნდა მიიღოს (წესისა და ადათის მიხედვით), უგზავნის ხელისუფლების ნიშნებს; ლაზების მიწაწყალზე რომაელთა ჯარები არ დგას — ისინი აქ მხოლოდ VI ს. ოციან წლებიდან ჩნდებიან. მაშასადამე, **ლ ა ზ ე ბ ი ს მ ე ფ ე კ ე ი ს რ ი ს ვ ა ს ა ლ ი ა, რ ო მ ე ლ ს ა ც თ ა ვ ი ს ს ი უ ზ ე რ ე ნ ი ს წ ი ნ ა შ ე მ ხ ო ლ ო დ ს ა მ ხ ე დ რ ო ს ა მ ს ა ხ უ რ ი ა წ ე ვ ს მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა დ.** ლაზების **მ ე ფ ე ს** თავისი ვასალებიც ჰყავს, მაგ., აბაზგები, რომელნიც „ძველთაგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ, **თ უ მ ც ა ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ჰ ყ ა ვ დ ა თ თ ა ვ ი ს ი მ კ ვ ი დ რ ი ო რ ი მ თ ა ვ ა რ ი**".

ლაზების ქვეშევრდომნი არიან აგრეთვე აფსილებიც. სამწუხაროდ, მათი პოლიტიკური ორგანიზაციის შესახებ არაფერი ვიცით. აფსილების მსგავსად მისიმიანებიც (მოსახლეობდნენ მდ. კოდორის ზემოთა ხეობაში) კოლხთა, ე. ი. ლაზთა, მეფის ქვეშევრდომნი

არიან, მაგრამ ისინი თავისებურ ენას ლაპარაკობენ და საკუთარ კანონებსაც მისდევენ (ე. ი. გარკვეულ ავტონომიით სარგებლობენ). ლაზების ქვეშევრდომი იყო სკუმიაც (თანამედროვე ლეჩხუმი[1]), სვანეთთან ერთად. ამ ტომებს თავისი მკვიდრი მთავრები ჰყავთ, რომელთა გარდაცვალების შემდეგ ახალს ლაზთა მეფე ნიშნავს. უფრო სრული ცნობა სვანების დამოკიდებულების შესახებ ეგრისისაგან ზემოთ იყო მოთავსებული.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული საფუძველს აძლევდა აგათია მეტატიანეს ეთქვა ლაზების შესახებ რომ ისინი ძლიერი და მამაცი ტომია, რომელიც სხვა ძლიერ ტომებზედაც ბატონობს. ისინი ამაყობენ კოლხების ძველი სახელით და ზომაზე მეტად მოაქვთ თავი, შესაძლოა, არც თუ უსაფუძვლოდო.

თუ როგორი იყო იმ ვალდებულების ხასიათი, რომელიც აღნიშნულ მთავრებს დაკისრებული ჰქონდათ ეგრისის მეფის წინაშე, ამის შესახებ პირდაპირი ცნობები შენახული არ არის საკმაო რაოდენობით. სვანთა მთავრის ვალდებულებების შესახებ ზემოთ იყო გადმოცემული სათანადო ცნობა, მაგრამ, ჩვენი აზრით, არც ისაა სრული: იქ სვანების ნატურალური ხარკია მხოლოდ აღნიშნული, მაშინ როდესაც ჩვენ უეჭველად მიგვაჩნია რომ ამ ტომთა მფლობელების მთავარი მოვალეობა ეგრისის მეფის წინაშე სამხედრო სამსახურში მდგომარეობდა. ყველა დასახელებული ტომი ხომ ეგრისის სწორედ იმ ჩრდილოეთ საზღვარზე მოსახლეობდა, რომლის დაცვაც შეადგენდა თვით ეგრისის მეფის ძირითადსა და ერთადერთს მოვალეობას კონსტანტინოპოლის იმპერატორის წინაშე. ამ მოვალეობას ეგრისის მეფე ვერ შეასრულებდა, თუ თავისი ყმებისაგან არ მოითხოვდა იმასვე, რასაც მისგან მისი სიუზერენი მოითხოვდა, ე. ი. სამხედრო სამსახურს. მთელი აღნიშნული ურთიერთობა-კი, — თუმცა იგი ზედნაშენის კატეგორიისა და, მის მიხედვით დასკვნების გამოყვანისას, სათანადო სიფრთხილეს საჭიროებს, — სხვა ნიშნებთან ერთად, უფლებას გვაძ-

[1] ჩვენ დამაჯერებლად მიგვაჩნია პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრება რომ „სკუმია" ფორმა ლე-ჩხუმის ბერძნ. გადმოცემაა: გეორგიკა, II, 96, შენ.

ამ ადგილას დედანში ავტორის ხელით მიწერილია: „ასეთი მოსაზრება უფრო ადრე გამოთქმული ჰქონია მინორსკის, Laz: Enz. Islamica".

ლევს მეტი კატეგორიულობით ვილაპარაკოთ აღებული ქვეყნის ერთგვარი ფეოდალური ხასიათის შესახებ.

გარკვეული სინათლე ეფინება იმ საკითხსაც, თუ რატომ ერგო წილად დს. საქართველოს ადრინდელ-ფეოდალურ ძალთა გაერთიანების ჰეგემონია სწორედ ლაზთა სამთავროს. ეს აშკარად აიხსნება იმ გარემოებით, რომ აღებულ ხანაში ყველა უწყებულ ტომურ სამთავროდან სწორედ ლაზების სამთავროს ჰქონდა საუკეთესო პირობები აღნიშნულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობის განვითარებისათვის. აი, რას გვიამბობს ამის შესახებ იგივე აგათია, VI ს. დამლევის ბიზანტიელი მწერალი: „იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მ ე ა რ მ ე გ უ ლ ე ბ ა ა რ ც ე რ თ ი ს ხ ვ ა, ე ს ო დ ე ნ ს ა ხ ე ლ გ ა ნ თ ქ მ უ ლ ი დ ა მ ო რ ჩ მ უ ლ ი, რ ო გ ო რ ც თ ა ვ ი ს ი ს ი მ დ ი დ რ ი ს ს ი უ ხ ვ ი თ, ი ს ე ქ ვ ე შ ე ვ რ დ ო მ თ ა ს ი მ რ ა ვ ლ ი თ, რ ო გ ო რ ც მ ი წ ა-წ ყ ლ ი ს ს ი ჭ ა რ ბ ი თ ა დ ა მ ო ს ა ვ ლ ი ა ნ ო ბ ი თ, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით (წინა ფრაზაში პირდაპირ დასახელებულია რომ ავტორი ლაპარაკობს ლაზების ანუ კოლხების შესახებ. ს. ჯ.). იმ დროს, როდესაც წინანდელ მცხოვრებლებს ამ მხარისას სრულიად არ სცოდნიათ ზღვის დადებითი თვისებები, წარმოიდგინეთ — მათ არც-კი გაეგონათ ხომალდის სახელი მანამდე, სანამ მათთან არგოს ნავი მივიდოდა, ე ხ ლ ა ნ დ ე ლ ი მ ც ხ ო ვ რ ე ბ ლ ე ბ ი დ ა ს ც უ რ ა ვ ე ნ კ ი დ ე ც [ნავებით], რამდენადაც შესაძლებელია, და ვ ა ჭ რ ო ბ ა შ ი ა ც ნ ა ხ უ ლ ო ბ ე ნ დ ი დ ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ ა ს. ისინი უკვე არც ბარბაროსები არიან, არც ბარბაროსულ ცხოვრებას ეწევიან, ორაძედ, რომაელებთან კავშირის წყალობით, თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონითი სახე მიუციათ“. ცოტა უფრო მკაცრად მსჯელობს აგათიას წინამორბედი, მეორე ბიზანტიელი მემატიანე, პროკოპი კესარიელი, მაგრამ მასაც, ბოლოს და ბოლოს, იგივე დებულება აქვს განვითარებული. სახელდობრ, თუ ლაზიკას, მთლიანად აღებულს თავისი ვასალების ტერიტორიით, პროკოპი აშკარად ღარიბ ქვეყნად სთვლის და ამბობს: „ლაზიკეში არსად არ არის მარილი, არც ხორბლეული მოდის, არც ღვინო, არც რამ სიკეთე“, — რაც. უეჭველია, ერთგვარი გაზვიადება უნდა იყოს. ეგრისის ერთი, ცენტრალური, რაიონის შესახებ იგივე პროკოპი

ს.ულ სხვა ცნობას გვაწვდის: „ძოხირისი ეროე დღის სავალ გზაზეა (დაახლ. 30 — 35 კილომ.) არქეოპოლისს დაშორებული (ე. ი. თანამედროვე ნოქალაქევს, მარტვილის რაიონში) და შეიცავს მრავალ.ს. მჭიდროდ დასახლებულ, სოფელს. კოლხიდის მიწა-წყალზე ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს: ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფნიც იქ კარგად ხარობენ, თუმცა ლაზიკის სხვა ადგილებზე არ შეიძლება იგივე ითქვას“. შემდეგ ავტორი ამბობს რომ ამ მხარეს ჩაძოუდის მდინარე რიონი, რომლის ნაპირზე აშენებულს უძველეს ციხე-ქალაქს ლაზები ქუთათისს უწოდებენო. იქვე, კიდევ ერთხელ, ამ მხარის პროკოპი „კოლხიდის საუკეთესო ნაწილს“ ეძახის. სათანადო ცნობების ანალიზით ირკვევა რომ ბიზანტიელ მწერალთა „მუხირეზისი“ გულისხმობს საკმაოდ დიდ რაიონს, რომელიც, მთლიანად ან ნაწილობრივ, შეიცავდა თანამედროვე ქუთაისის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, აბაშისა და მარტვილის რაიონებს, უფრო ზუსტად, მათს ვაკე ნაწილს, რომელიც, სამეურნეო თვალსაზრისით, გარკვეულ მთლიანობას შეადგენს. რომ ეს ყველაზე დაწინაურებული სექტორია, ამას მოწმობს აქ აღმოცენება ლაზიკის უმდიდრესი ქალაქებისა, კერძოდ, როდოპოლისის (ვარდციხის) და ქუთაისისა. ეს უკანასკნელი გარემოება დაედო საფუძვლად ამ მხარის ძველ-ქართულ სახელწოდებას — „სამოქალაქო“-ს. სოციალურ-ეკონომიური თვალსაზრისით, ამავე რაიონს მიეკუთვნება ეგრისის პოლიტიკური ცენტრი და მისი მეფეების საჯდომი — არქეოპოლისი-ნოქალაქევი, თუმცა ფორმალურად იგი მუხირეზისის ფარგლებს გარეთ ითვლებოდა. პოლიტიკურ ცენტრის მცირეოდნად განზე გაწევა ძირითადი რაიონიდან ღრმა ისტორიულ მიზეზებით აიხსნება, რის შესახებაც ავტორს სხვაგან ექნება საუბარი [1].

§ 19. სოციალურ-პოლიტიკურ ძალთა განწყობილების ცვლილების ისტორია და პიროვნები

საბოლოო კონფლიქტი ქურუმებსა და მეფე-აზნაურებს შორის ‘ძედარებით სწრაფად გადაწყდა, მაგრამ თვით აღნიშნული წინააღმდეგობა ხანგრძლივ ვითარდებოდა, როგორც ჩანს. ამ მხრივ შესაძლებელია ინტერესს არ იყოს მოკლებული, და არც დიდად დაშორებული ისტო-

[1] ს. ჯანაშია, ეგრისის სამეფოს წარმოშობა: ტფ. სახ. უნ. შრომები, I.

რიულ სინამდვილეს, უძველეს ქართულ მატიანის, „ქართლის მოქ-
ცევის“, მიერ წარმოდგენილი სურათი, რომელსაც უეჭველად ატ-
ყვია მერმინდელ სტილიზაციის ნიშნებიც. ქართლის პირველი მეფე,
აზო, ალექსანდრე მაკედონელის სარდალი, „ძველ მცხეთას“, დამ-
ჯდარა. არ ჩანს, სად გულისხმობს მემატიანე ამ „ძველ მცხეთას“, მაგ-
რამ ისტორიულად მაინც, თუ გეოგრაფიულადაც არა, იგი მემატია-
ნისათვის არ უდრის მერმინდელ მცხეთას. აზოს მომდევნო ფარნა-
ვაზი უკვე იწყებს, როგორც ჩანს, არმაზის შენებას (აღმართავს არ-
მაზის კერპს და აგებს არმაზის ზღუდეს წყლის ძხარეს). შემდგომ
მეფობათა განმავლობაში გრძელდება არმაზის შენება და იგი აშკა-
რად ხდება მეფეთა რეზიდენცია. მხოლოდ მერვე მეფის, ბრატმა-
ნის ზეობაში, „მცხეთას ქალაქი დაეწყო“, რომლის შენებაც მთავრ-
დება მეთერთმეტე მეფობაში. და ამის შემდეგ, მემატიანის რწმუნე-
ბით, „მეფობაჲ ორად გაიყო: ორნი მეფენი დასხდეს იმიერ და
ამიერ“ (ე. ი. ერთი — არმაზს და მეორე — მცხეთას). შემდეგ მემა-
ტიანე ექვს წყვილ მეფეს ასახელებს — თვით სამეფო, მისი წარმოდ-
გენით, მაინც მთლიანია (ეს ჩანს მეფობათა სათვალავიდან). უკა-
ნასკნელ ორმეფობის შესახებ ნათქვამია: „მეფობდა იმიერ როკ და
ამიერ მირდატ, და ამისაზე მოაკლდა არმაზი სამეუფოჲ და მცხეთას
ოდენ იყო მეფობაჲ“— მცხეთა საბოლოოდ იმარჯვებს [1]. საკმარისია
ჩავუკვირდეთ მცხეთა-მუხრანის რაიონის თვისებებს რომ აღვია-
როთ — იმ სამეურნეო პროცესებისათვის, რომელნიც, როგორც თა-
ვის ადგილას ვამბობდით, საფუძვლად დაედვნენ ფეოდალურ ურ-
თიერთობის განვითარებას, ეს რაიონი სწორედ შესაფერის ბუნებ-
რივ პირობას წარმოადგენდა.

საინტერესოა, რომ უძველეს ქართულ მატიანის, „ქართლის
მოქცევის“, წარმოდგენითაც ეს რაიონი არის ინტენსიურ კულტუ-
რის უძველესი რაიონი: როცა ალექსანდრე მაკედონელმა მეორე
ლაშქრობის დროს მოახერხა ქართლის მთავარ ციხე-ქალაქების დაპ-
ყრობა, ქალაქ სარკინის გარდა (სარკინე მდებარეობდა მტკვრის
მარცხენა ნაპირას, შიო-მღვიმის მონასტრის ხაზზე), იგი „დადგა
სარკ|ნესა დასავალით კერძო და დასცა ვენაკი და როჲ (-რუ) გა-
მოიღო ქსნით და დასხნა კაცნი მერუვენი დასტაგითა რუისაჲთა,
და ჰრქჳან ადგილსა მას ნასტაგისი“-ო [2]. სახელწოდება „ნასტაგისი“

[1] სამი ისტორიული ქრონიკა, 5—10.

[2] იქვე, 3.

ეხლაც ცოცხალია ძეგველებში და ასე ეძახიან ისინი ძეგვის დიდი ხიდის ზემოთ გადებულ ბოგირიდან მოყოლებული მტკვრის პირა ზოლს მდ. ქსნამდის და ქსანს იქითაც (ცნობა ჩაწერილია ჩვენს მიერ 1933 წ. X. 29. — აქვეა ძველი ეკლესიაც). მაშასადამე, აქ, მემატიანის წარმოდგენით, ალექსანდრეს, რომლის ეპოქიდან იწყება, მისივე მტკიცებით, ქართლის პოლიტიკური ისტორია, გამოუყვანია სარწყავი არხი და გაუშეხებია ვენახი. შეიძლება, რა თქმა უნდა (თუმცა ამ საკითხსაც შესწავლა სჭირია), მემატიანეს ეს ამბავი შეთხზული ჰქონდეს უკვე არსებულ გეოგრაფიულ სახელწოდების ეტიმოლოგიისათვის. მაგრამ, თუნდაც ასეთი ეტიმოლოგიზაციისათვის აუცილებელი პირობა იყო რაიონის სათანადო სამეურნეო თვისებები უკვე მატიანის შედგენის, ე. ი., შედარებით ძალიან ადრინდელ ხანაში. მართლაც, რაიონი (რა თქმა უნდა, არა მარტო ნასტაგისი, არამედ მომდგამი არეც) სავსებით შესაფერისია მაღალი კულტურებისათვის — მევენახეობისა, მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის. რუც მატიანეში შემთხვევით არ არის დასახელებული — ამ ტიპის მელიორაციის თვალსაზრისით ეს იყო ერთი ყველაზე უფრო განვითარებული რაიონი ძველ საქართველოში. მუხრანის თემი ეხლაც ყოველშრივ გადასერილია ძველი, დღესაც მოქმედი, არხებით. საინტერესოა რომ მეზობელ წილკანში, რომელიც ცოტა უფრო მაღალ ზონას ეკუთვნის, სხვა ცნობით, რ ა მ დ ე ნ ა დ მ ე უ ფ რ ო გ ვ ი ა ნ (თუმცა თავისთავად ადრე), VI ს. გაუყვანიათ არხი[1]. თუ მოვიგონებთ იმასაც, რომ მუხრანი, უკვე მის შესახებ დაცულს უძველეს ცნობაში და შემდეგშიაც ჩვეულებრივად მ ე ფ ი ს ს ა დ გ ო მ ი, „სასახლე", და ს ა ზ ა მ თ რ ო რ ე ზ ი დ ე ნ ც ი ა ჩანს (არა გვგონია, რომ მუხრანი ასეთ მდგომარეობაში მოქცეულიყოს მხოლოდ დავით აღმაშენებლის მიერ ჩატარებულ ფეოდალურ სენიორიის კონფისკაციის შედეგად), მაშინ ეაზრი იბადება, რომ ეს რაიონი შესაძლებელია ყოფილიყო ძველ ქართლის მეფეთა ძირითადი და,

[1] ვგულისხმობთ ისე წილკნელის ცხოვრების ცნობას, „საქ. სამ". 211, რომ ისემ, ვითომც „სასწაულებრივად", რუ გამოიყვანა ქსნიდან: „ქუეყანა იგი დაარამდებოდა, და წყალი იგი უჩუეველსა მას და კაცთაგან უქმარსა ადგილსა მოვიდოდ... ვიდრემდის მოითრია მისა საყდარსა წილკანს. რომელ ესე ჰგიეს ვიდრე დღეინდელად დღედმდე, საკმრად მის ადგილისა". რეალურად ამ ცნობის მნიშვნელობა ისაა რომ, ავტორის წარმოდგენით, მის დროს მოქმედი არხი ძალიან ძველი წარმოშობისაა.

იქნებ, უძველესი დომენი. ხოლო ამასთან დაკავშირებით მოულოდნელი და საინტერესო "ბუქი ეფინება იმ გარემოებას, რომ მუხრანის ერთი უმთავრეს არხთაგანი „საგლახოს რუს" სახელწოდებას ატარებს: იქნებ ეს სწორედ იმის კვალი იყოს რომ აქ, სწორედ მეფის ძირითად დომენზე, სადაც მეფის „ხუდაბუნები" იყო (იხ. დ. აღმაშენებლის ანდერძი შ. - მღვიმის მონასტრისადმი), ისხდნენ საშეფო ყმები, სტრაბონისეული „ლაოი", ე. ი., ქართ. „გლეხები" თუ „გლახები". საინტერესოა აგრეთვე მახლობელ სოფლის, საქადაგიანოს, სახელიც, მაგრამ ამის შესახებ სხვაგან.

§ 20. საგარეო ურთიერთობა IV საუკ. მეორე ნახევარსა და V საუკ. პირველ ნახევარში. „ქართველთა საპიტიახშოს" დაარსება

აღწერილი ამბების შემდგომი განვითარება გადაჯაჭულია საგარეო ურთიერთობის ფაქტებთან. ირანელების გაძლიერებულ იერიშებს, — რომელთაც კიდევ უფრო მძაფრი ხასიათი უნდა მიეღოთ ქრისტიანობის ოფიციალურ კულტად ქცევის შემდეგ ქართლში, რასაც ერთგვარ გამოწვევისა თუ მუქარის ხასიათი ჰქონდა ირანისათვის, — პირველ თვალსაჩინო შედეგად მოჰყვა 368 წლის ფაქტი. ამ წელს ირანის შაპან-შაჰს ქართლის მეფე საურმაგი, რომაელთა მფარველობის ქვეშ მყოფი და მათ მიერ დადგენილი, გაუდევნია, მის მაგიერ ქართლისავე სამეფო სახლის წევრი, ვინმე ასპაგური, დაუდგენია და ამ უკანასკნელისათვის სამეფო დიადემაც უბოძებია. ამან რომაელების პასუხი გამოიწვია. ატყდა ბრძოლა. რადგანაც არც ერთ მხარეს საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტად საკმაო ძალა არ გააჩნდა, ადგილობრივ შეთახხვებით, რამაც შემდეგში რომაელთა დასტურიც მოიპოვა, ქართლის სამეფო ორ ნაწილად გაყოფილა მტკვრის მიხედვით — ერთში, რომელიც ემეზობლებოდა არმენიასა და ლაზებს, მეფობდა საურმაგი, მეორეში, რომელიც ემეზობლებოდა ალბანეთსა და ირანს, — ასპაგური. რაც არსებითად რომისა და ირანის გავლენის სფეროთა გამიჯვნას მოასწავებდა. შაბურმა პროტესტი გამოაცხადა, ქართლის სამეფოს გაყოფა ჩემდა დაუკითხავად და უნებურად მოხდაო. არსებულ მდგომარეობას ირანის მთავრობა სრულებით არ. სთელიდა იდეალურად — მისი საბოლოო მიზანი ქართლის მთლიანად ხელში ჩაგდება იყო, და ამიტომ რომაელებისაგან მოითხოვდა (374 წ.) იბერიის დაყოფის გაუქმებასა და ქართლიდან რომაულ გარნიზონების გაყ-

ვანას [1]. მართლაც. მომდევნო ხანაში ორმეფობა, ფორმალურად ძაინც, როგორც ჩანს, მოისპო. შემდეგში ქართლის სამეფო ისევ მთლიანი ჩანს და მისი მეფე — შაჰან-შაჰის ვასალი. ასეთი ვასალი ყოფილა ქართლის მეფე ბაკური [2], რომლის მეფობაც, როგორც ჩანს, სამოცდაათიან წლებზე მოდის, მაგრამ არც ამით დაკმაყოფილებულან სპარსელები. ფორმალურად მოსპობილი ორმეფობა მათ ფაქტიურად განაახლეს სპეციალურ დაწესებულების — პიტიახშობის — შექმნით ქართლში. ეს იყო კონტროლის ორგანო ადგილობრივ მმართველ წრეებისა და, უწინარეს ყოვლისა, მეფის მიმართ. საგანგებო მოხელე, რომელიც „ქართველთა პიტიახშის" („პიტიახში" სპარსულად „ქვეყნის მმართველს" ნიშნავს) წოდებულებას ატარებს, თვალყურს ადევნებს ქართლის მეფის, სპარსეთის ვასალის, მოქმედებას. ამით თვით პოლიტიკური დამოკიდებულებაც, რა თქმა უნდა, უფრო მჭიდრო ხდება. უძველესი ქართული მატიანე ამ ამბავს ასე ასწერს: „მაშინ მოვიდა ქრამ-ხუარ-ბორ-ზარდ, სპარსთა მეფისა პიტიახში, ტფილისად, ქალაქად ციხედ, და ქართლი მისსა ხარკსა შედგა, და სომხეთი და სივნიეთი და გუასპურაგანი" [2].

აქ ორი საინტერესო გარემოებაა აღნიშნული. ერთი: პიტიახში ტფილისს ჯდება (ეს პირველი მითითებაა ქართულ წყაროებში ტფილისის წინ წამოწევის შესახებ (IV საუკუნეში!) და ძნელი სათქმელია, თუ რამდენად მართალი უნდა იყოს იგი. ისტორიულად დასაჯერებელია პიტიახშისათვის ასეთ რეზიდენციის შერჩევა ქართლის სამეფო რეზიდენციისათვის დასაპირისპირებლად). მეორე — ხარკის დაწესება ირანელების მიერ ქართლში უკვე ამ დროს (IV ს. დამლევი). ამ ამბის სინამდვილეც საძიებელია. მაგრამ უეჭველია რომ ამ ადგილობრივ ცნობაშიც აღნიშნულია ის დიდი გავლენა, რომლისთვისაც ქართლში მიუღწევიათ ირანელებს IV საუკუნის სამოცდაათიან წლებში *.

---

[1] ამიანე, SC II, 332—336.

[2] პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტორია, I³, 245.

[3] „სამი ქრონიკა", 24.

* ამ კონტექსტზე მითითებით დედანში ავტორს შენიშვნა გაუკეთებია: „შესასწორებელია. სპარს. გავლენის გაძლიერება უფრო გვიანდელი ხანისათვის უნდა ვიგულისხმოთ".

რაც შეეხება „პიტიახშობას“, V საუკ. იგი იქცევა მემკვიდრეობით „ხელად“ (თანამდებობად) ქვემო ქართლის ერთს ფეოდალურ, იქნებ სეფეწულთა, საგვარეულოში (თუმცა მემატიანე ეკუნმერის წარმოდგენით, ეს პიტიახშები ჩამომავლობით თითქოს ირანელები, „ნათესავნი ფეროზისნი“, არიან). საპიტიახშოს პოლიტიკური ფუნქცია იგივე რჩება. სათანადოდ ირანელები არაჩვეულებრივად ზრდიან პიტიახშის ტერიტორიას — ეს თითქმის სამეფოა ქართლის სამეფოში: | იმავე ჯუანშერით, VII ს. პიტიახშნი „მთავრობენ თრიალეთს, ტაშირს და აბოცს“ [1], ე. ი. მთელს ქვემო ქართლს. სხვა ცნობებითაც დასტურდება საპიტიახშოს აღნიშნული ფარგლები და გარდა ამისა, უკანასკნელთა გავრცელება აღმოსავლეთ მესხეთის ერთ ნაწილზედაც, ხოლო ეს ტერიტორია დაახლოებით ჰფარავს იმას, რომელიც 368 წ. შეთანხმებამ მიაკუთვნა ორად გაყოფილ ქართლის ნაწილს, სადაც ირანის კანდიდატი, ასპაგური, მეფობს (რომაულ ცნობით ხომ გაყოფილ იბერიას შუა მიჯნად მტკვარი დაედო). ამიტომ „საპიტიახშო“ არსებითად ასპაგურის სამფლობელოს შემდგომი განვითარებაა და მისი ფესვები 368 წ. აქტში უნდა ვეძიოთ. „ქართველთა საპიტიახშოს“ და „ჰერეთის საძთავროს“ გაიგივება [2], რა თქმა უნდა, შეცდომაა — ჰერეთი საპიტიახშოს მოსაზღვრე ქვეყანა იყო მხოლოდ (შეადრ. ალბანეთი ზემოთ მოტანილ რომაულ ცნობაში: „ჰერეთი“ სწორედ „ალბანეთია“).

IV საუკუნის დამლევსა და V-ის დამდეგს, შინაურმა აშლილობამ ირანში შეასუსტა, ჩანს, ქართლის დამოკიდებულება ირანელებისაგან და საშუალება მისცა ქართლის მეფეს მისთვის უფრო საჭიროველი რომაული ორიენტაცია ეძია კვლავინდებურად. მაგრამ V საუკუნის ოციან წლებიდან მოყოლებული ირანელებმა უკვე საბოლოოდ განამტკიცეს თავიანთი მდგომარეობა ამიერ-კავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. 428 წელს მათ მეფობა მოსპეს სომხეთში. ამით ქართლისა და ალვანეთის შემდგომ ბედის საკითხიც უკვე გადაწყვეტილი იყო. კერძოდ, ქართლში მეფე ისევ ვასალურ დამოკიდებულებაში ვარდება ირანის შაჰან-შაჰისაგან და პი-

[1] ქ. ცხ. მარ. 208. საინტერესოა, რომ სხვაგან მატიანე საპიტიახშოს აიგივებს სომხითთან, იქვე, 188. არსენი კათალიკოზიც ამბობს, ქრნკ. I, 320, რომ მოაღ. ცურტაველი „დაედგინა წმიდასა შუშანიკს ნაწილსა თანა სომხეთისასა“.

[2] იხ. მაგ., პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტორია, I², 192, 258, 350.

ტიახშ-ს როლიც ისევ ძლიერდება. იგი აქტიურად ერევა ქართლის სამეფოს შინაურ საქმეებში. მეხუთე საუკუნის დამდეგის ერთ-ერთ მეფის, მირდატის, შესახებ მატიანე, მაგ., გვაცნობებს: „ესე წარიყვანა პიტიახშმან ვარაშ ბაღდადს და მუნ მოკუდა“ (ანაქრონისტული ცნობა ბაღდადის შესახებ აქ, რა თქმა უნდა, მერმინდელი ჩანართია) [1]. მეზობელ სომხეთის მდგომარეობისა და საერთო ვითარების მიხედვით საფიქრებელია, რომ ქვეყანა ამ დროს მაინც უკვე ხარკს იხდის ირახელების სასარგებლოდ.

§ 21. ქართლის საზოგადოებრივი აღნაგობა V ს. სხვადასხვა სოციალურ კლასებისა და ჯგუფების ადგილი და როლი შინაურ და საგარეო ურთიერთობაში

მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებო ამბები მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში დატრიალდა. ჯერ ერთი, თვით ცნობებიც ამ ეპოქის შესახებ ბევრად უფრო მრავალფეროვანი და მდიდარი ხდება. ეს, უწინარეს ყოვლისა, ქართულ წყაროებს შეეხება. იგივე „ქართლის მოქცევის“ მატიანე (მისი საბოლოო რედაქცია მე-7 — მე-8 საუკუნეს განეკუთვნება) ეპოქის შესახებ მრავალ საყურადღებო ჩვენებას შეიცავს. უფრო ნაგვიანევია ისტორიკოს ჯუანშერის (ან ამ სახელს უკან ამოფარებულ მწერლის) თხზულება, — ეპოქის მთავარ გმირის, ვახტანგ გორგასლის, მეფობის აღწერილობა, — მაგრამ მასშიაც, მერმინდელი არასწორი და ზოგჯერ ლეგენდარული, შენაზარდების სქელი შრის ქვეშ აგრეთვე უაღრესად მნიშვნელოვან, ძალიან ძველ, ელემენტებს აღმოვაჩენთ. შემდეგ, ამ პერიოდს გვისურათებს საყოველთაოდ ცნობილი, ქართულ ორიგინალურ ლიტერატურის უძველესი, ჩვენამდე მოღწეული, ძეგლი — იაკობის „შუშანიკის მარტვილობა“. არის სხვა, ფრაგმენტული, ცნობებიც. უკვე ეპოქის ამ ლიტერატურულ მემკვიდრეობის შედარებითი სიმდიდრე და მრავალსახეობა მოწმობს თვით ცხოვრებისა და საზოგადოებრივ ურთიერთობის გართულებას. ძველი ქართული (ქრისტიანული ხანის) მწერლობა, ფეოდალური თავის ხასიათით, რა თქმა უნდა, თავის მატარებელ სოციალურ ძალის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა. — გარდა ამისა, მეზობელ ერთა, განსაკუთრებით-კი, სომეხთა, ისტორიოგრაფიაში დაცული ჩვენებანი გვშვე-

[1] „სამი ქრონიკა“, 26.

ლიან სურათის მთლიანობის აღდგენასა და ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მომარჯვებაში.

ყველაფერი მოწმობს რომ ახალი წოდებრივი საზოგადოება უკვე გარკვეულ სახეს ატარებს. სხვადასხვა ტერმინებით, მაგრამ არსებითად ერთსა და იმავე სოციალურ ჯგუფებს აგვიწერენ წყაროები. უმაღლეს სოციალურ ფენას, ჯუანშერის მიხედვით, ისევ ის წარჩინებულნი შეადგენენ. მაგრამ რამდენად ტექნიკური მნიშვნელობა აქვს უკვე ამ სიტყვას, როგორც სოციალურ ტერმინს, ჩანს ცნობიდან ქართლის საკათალიკოზო ტახტის მპყრობელთა შესახებ: „აქათგან არღარა მოიყუანებდეს კათალიკოზსა საბერძნეთით, არამედ ქართველნი დასხდებოდეს წარჩინებულთა ნათესავთანი“ [1], გარკვეულ დროიდან კათალიკოზებად თვით ქართველები არიან, წარჩინებულთა შთამომავლობისაო. მაშასადამე, წარჩინებულების ცნება ამ დროს უკვე შთამომავლობის სემანტიკურ მომენტსაც შეიცავდა. წარჩინებულთა წრიდან არიან უმაღლესი სამეფო მოხელეები — სპასპეტი, ერისთავები და სხვები. წარჩინებულება ისეთი საზოგადოებრივი საფეხურია, რომლის მიღწევაც სხვა გრადაციის ხალხისათვის გარკვეულ დაწინაურებას ნიშნავს. ამ მხრივ დიდად საყურადღებოა ჯუანშერისვე ცნობა რომ ვახტანგმა „გასცა ნიჭი ერსა თჳსსა და წარჩინებულ ქმნნა ჭკუდარნი მსახურნი (სხვა ვარიანტით: მჭნედ მსახურნი), გამოცდილნი წყობასა მას შინა ოვსთასა“-ო [2]. მაშასადამე, მეფეს შეეძლო თავის მხედრებისა და მსახურებისათვის (რომელთა შესახებაც ჩვენ ცალკე ვისაუბრებთ) წარჩინებულება ებოძებინა და ამ საფეხურზე (მსახურობა), რომელიც უკვე ერთგვარი უპირატესობის მაჩვენებელი იყო დანარჩენ მასასთან შედარებით, უფრო მაღლაც დაეყენებინა. ამ წრეს უდრის ან შეიძლება რამდენადმე მასზე ფართო იყოს აზნაურობა. ტერმინს „აზნაურს“ ჯუანშერიც ხმარობს, მაგრამ უფრო ხშირად იგი სხვა ძეგლებში გვხვდება. იაკობის თხზულების მიხედვით ქართლში უმაღლეს საზოგადოებრივ ჯგუფს აზნაურები შეადგენენ. აზნაურობას ამ დროისათვის უკვე შინაგანი დიფერენციაციაც განუცდია. იხსენიებიან აზნაურნი „დიდ-დიდნი“, რაც, რა თქმა უნდა, „მცირე“ აზნაუ-

[1] ჯუანშერი, მარ. 187.
[2] მარ.. 136.

რებსაც გულისხმობს [1]. ეს გარემოება უკვე აზნაურობის ხანგრძლივ განვითარების პროცესზე მიუთითებს. ამავე გარემოებისა და, მასთან ერთად, აზნაურთა გარკვეულ სოციალურ განკერძოებულობის მაჩვენებელია ისეთი ტერმინები, როგორიცაა „ზეპური", „სეფექალი" და სხვ., რომელნიც აზნაურის შთამომავლობისა და მფლობელობისაღმი კუთვნილებას აღნიშნავენ. ვინ უპირისპირდებოდა აზნაურებს იმდროინდელ საზოგადოებრივ ქვედა საფეხურზე? იაკობის მიხედვით, ესენი იყვნენ „უაზნონი", ისეთი მასა მოსახლეობისა, რომელიც. თვით თავის სახელწოდების აღნაგობის მიხედვით, აზნაურის თვისებებს მოკლებულ პირთაგან შედგებოდა. თუ იაკობის თხზულების მიხედვით ჯერჯერობით მაინც არ შეიძლება იმის თქმა (საკითხის უფრო დეტალურად შესწავლამდე), რომ მეხუთე საუკუნეში „უაზნო" უკვე ეწოდება ყველა იმას, ვინც აზნაური არ არის (წრეც შესაძლებელია მეტ-ნაკლებად შეზღუდული ყოფილიყო), სამაგიეროდ, ჯუანშერი გვაძლევს ასეთს ზოგადი მნიშვნელობის ტერმინს. ვახტანგის მეფობის სარწმუნოებრივ მოვლენების აღწერისას, ჯუანშერი გვიამბობს რომ მცხეთელთა ეპისკოპოსმა ბინქარანმა, რომელიც ფარულად ცეცხლისმსახური ყოფილა, თავის მხარეზე მხოლოდ დაბალ ხალხის გადაბირება მოახერხაო. ბინქარანი, ამბობს მემატიანე, „ასწავებდა ქართველთა სჯულსა თჳსსა. არამედ არა ერჩდა (არ დაემორჩილა, არ დაჰყვა) წარჩინებულთაგანი, გარნა (მაგრამ, გარდა, თუ არ) წვრილისა ერისაგანი მოაქცია ცეცხლისა მსახურებასა. და შეერია ქართლსა შინა ერსა ზედა წვრილსა ცეცხლის მსახურება"... მაგრამ ბინქარანს აღმოუჩნდება მოწინააღმდეგე, რომელიც მას ბრძოლას უმართავს და ნაწილობრივ გამოასწორებს ბინქარანის მიერ ქრისტიანობისათვის მიყენებულ ზიანს: „ესე მიქაელ ეპისკოპოსი წინააღუდგა ბინქარანსა მაცთურსა, რამეთუ ასწავებდა ყოველთა სჯულსა ჭეშმარიტსა. ამან (მიქაელმა) იპყრნა სარწმუნოებასა ზედა ყოველნი წარჩინებულნი ქართლისანი და ერიცა უმრავლესი. არამედ მცირედნი ვინმე წვრილისა ერისაგანნი მოიქცეს ცეცხლის. მსახურებასა"-ო [2]. შესანიშნავი ცნობაა, რომელიც მიუთი-

[1] იაკობის სომხ. თარგმანში „დიდ-დიდ აზნაურს" „ნახარარი" უდრის, რაც კარგად აოკვევს ქართული ტერმინის მნიშვნელობას.
[2] მარ. 123.

თებს ქართველ „ერის“ (სტრაბონისეულ მესამე გენეს) დიფერენციაციის მეტად მნიშვნელოვან ეტაპზე. ეხლა უკვე აშკარა გამხდარა რომ მთელი საზოგადოება ორ სხვადასხვა ნაწილად არის გაპობილი: ერთი მხრით, მაღლა მოქცეული უმცირესობა — „სეფეწულნი“, „წარჩინებულნი“, „ერისთავ'ნი“, „მოთაულნი“, „თავადნი“ (არა მერმინდელ წოდებრივ მნიშვნელობით), „მთავარნი“ და სხვა, ასეთი ჯურის ხალხი, მეორე მხრით, დამდაბლებული უმრავლესობა, „წვრილი ერი“, ძველი „ერის“, გვაროვნულ დემოკრატიის, ისეთი ნაშთები, რომელთაც პირადი თავისუფლება ჯერ კიდევ თითქმის მთლიანად შერჩენილი აქვთ, მაგრამ რომელთაც სხვა თავისი მნიშვნელოვანი (მაგ., პოლიტიკური) უფლებები დაუკარგავთ. „წვრილ ერის“ ხსენება შემდეგ საუკუნეებში კიდევ დიდხანს გვხვდება. ეს იმიტომ რომ „წვრილი ერი“ კიდევ დიდხანს იბრძვის გაალმასებით თავის უკანასკნელ, გვაროვნულ საზოგადოების წიაღიდან გამოყოლილ, უფლებების შენარჩუნებისათვის. მაგრამ სულ უფრო და უფრო დიდი მასები „წვრილ ერისა“ და სულ უფრო და უფრო სწრაფი ტემპით ეშვებიან კიდევ უფრო დაბლა, ისინი საკუთრივ „გლეხობის“, „ყმა-გლეხობის“, კატეგორიაში გა[და]დიან. ამ პროცესის დამთავრება საქართველოს ძირითად არეზე ნიშნავდა ფეოდალურ საზოგადოების საბოლოო ჩამოყალიბებას.

წყაროები არ შეიცავენ კონკრეტულ მითითებებს „წვრილ ერის“ სპეციფიკურ ნიშნების შესახებ, მაგრამ მერმინდელ ცნობებისა და ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისის წყალობით ამ ნიშნების მიახლოებით წარმოდგენა შესაძლებელი ხდება. წვრილ ერის წევრისათვის, ჯერ ერთი, დამახასიათებელი უნდა იყოს პირადი თავისუფლება. შემდეგ — ის რომ მისი მდგომარეობის სპეციფიკურობისათვის სამამულო დამოკიდებულება ამ დროს ჯერ კიდევ სავალდებულო არ არის. პირიქით, „წვრილ ერს“ ამ დროს თავისი სამამულო უფლებები უმრავლეს შემთხვევაში ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს, სათემო თუ კერძო მფლობელობის სახით. მისი ვალდებულებები უმეტეს წილ შემთხვევაში პოლიტიკურ ნიადაგზე არიან აღმო-

ცენებულნი იმ გარემოების წყალობით, რომ ძველ გვაროვნულ საზოგადოების ნებაყოფლობითი ვალდებულებანი თავის საკუთარ არჩეულ მოხელეების მიმართ ეხლა, უზურპაციის გზით, მითვისებული აქვთ სახელმწიფოსა და ცალკე კერძო პირთ. ასეთი ვალდებულებებია ეხლა სახელმწიფო გადასახადები — ხარკი, სამხედრო ბეგარა, საციხო და საციხისთავო ვალდებულებანი, და გარდა ამისა, სხვადასხვა „ძღვენები", „სათხოვრები", „საჩუქრები" და სხვ., ე. ი. ისეთი მისართმევები, რომელნიც ფორმალურად ნებაყოფლობით ხასიათს ატარებენ, მაგრამ ფაქტიურად და არსებითად სავალდებულონი არიან (ეს შეეხება მხოლოდ ამ „ძღვენსა" და „საჩუქარს"). საწარმოო თვალსაზრისით, წვრილ „ერისგანები" წვრილი მწარმოებლები არიან. გასაგებია ამიტომ რომ ქონებრივად „წვრილი ერი" საშუალოდ ან მცირედ შემძლე პირებისაგან შესდგება. ღარიბ-ღატაკთა გაჩენასაც მათ წრეში საკმაო შესაძლებლობა მოეპოვება. ამ ნიადაგზე შეიძლება სამამულო დამოკიდებულებაც გაჩნდეს. საზოგადოებრივად „წვრილი ერი", ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზის გამო, რა თქმა უნდა, მოკლებულია „წარჩინებულთა" თანასწორ პატივსა და უფლებებს. თვით სახელწოდება „წვრილი", რომელიც აშკარად კნინობითობის მნიშვნელობას ატარებს, უკვე მოწმობს ამას. ცხადია რომ ეს სახელი ზევიდან არის დარქმეული, იგი ამ წარჩინებულთა ტერმინია „დაბალ", „პატარა", ხალხის აღსანიშნავად (მსგავსი ტერმინები სხვა ქვეყნების ისტორიაშიაც გვხვდება). თვით „წვრილი ერი"-კი, რომელიც განაგრძობდა თავის უფლებებისათვის ბრძოლას და რომელსაც საკუთარი ჩამომავლობა კარგად ახსოვდა, თავის თავს „ერს" ეძახოდა. ჯერ კი|დევ მეთოთხმეტე საუკუნეში მთის თავისუფალი მოსახლეობა თავის თავს „ჰეროვანს" უწოდებს, ე. ი. „ერის" მოდგმას, „ერის" შთამომავლობას [1]. ამავე ძირის ნაყარია მეგრული „ერებამი", „ჰერებამი", რაც „მშვენიერს", „სასიამოვნოს" ნიშნავს („ერები" მეგრულად აღნიშნავს „დიდ ოჯახს მთელი თავისი ქონებითა და საქონლით".

[1] ტერმინი დაცულია, მაგ., გიორგისეულ „ძეგლისწერაში მთიულთათვის". ჰეროვანია ზენახვა მთაში საესებით გასაგებია. ჯერ კიდევ სტრაბონის დროს მესამე გენეს, ერის, მთავარი ადგილსამყოფელი მთიანი რაიონებია: ეს აშკარაა სტრაბონის ცნობიდან, რომ იბერიაში სწორედ მთიელები იყვნენ გამოჩენილნი თავიანთი მეომრობით, მოლაშქრეობა-კი მესამე გენეს ნიშანი იყო.

მისი კავშირი „ერთან“ უეჭველია)[1]. სხვადასხვანაირი სემანტიკური აქცენტი, რომელიც ამ ფორმებს (ერთი მხრით — „წვრილი ერი“, მეორე მხრით — „ჰეროვანი“, „ჰერებამი“) თვალსაჩინოდ თან ახლავს, მათს სხვადასხვაგვარ სოციალურ წარმოშობას ცხადად მოწმობს.

„წვრილ ერის“ გვერდით საკუთრივ ყმა-გლეხობაც ამ დროს უეჭველია მოიპოვება, მხოლოდ ბევრად უფრო მცირე რაოდენობით. სამწუხაროდ, წყაროები ამ სოციალურ კატეგორიას სრულებით არ იხსენიებენ. სამაგიეროდ, წყაროები ეხლა უკვე ხშირად აღნიშნავენ საზოგადოების ფსკერზე მოთავსებულ „მონა-მხევლებს“ (მხევალი — მონა-ქალი).

აზნაურები, წვრილი ერი, გლეხები, მონები წარმოადგენენ ძირითადს წოდებრივ კატეგორიებს ქართლის მოსახლეობისას მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში. მაგრამ ამ დაჯგუფებებით არ ამოიწურება მაშინდელ სოციალურ დანაწევრების მთელი მრავალფეროვნება. აზნაურთა (წარჩინებულთა) შორის, უკვე ვამბობდით, ამ დროს „დიდ-დიდნიც“ განირჩევიან. ჩვენ ეხლა სწორედ მათ უნდა ჩავუკვირდეთ, უამისოდ გაუგებარი დარჩებოდა როგორც ვახტანგის მეფობის შინაპოლიტიკური ამბები, ისე ირანელების მოქმედებაც ქართლში. „დიდ-დიდი“ აზნაურები ისეთი პირნი უნდა იყვნენ, რომელნიც თავის წრის სხვა წევრთაგან პირველ რიგში ალბათ ქონებრივ შეძლებით განირჩევიან. საფიქრებელია რომ ეს ქონებრივი შეძლება, უწინარეს ყოვლისა, მსხვილ მამულშია გამოხატული (ეპოქისათვის დამახასიათებელი მიწისმფლობელობის ფორმით), რომელიც მათ სხვადასხვა გზით აქვთ შეძენილი. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ცხადია, მოძრავ ქონებასაც (პირველ რიგში, ჯოგს, შემდეგ ფულს, განძებს და სხვ.). ამ ნიადაგზე თვით აზნაურთა წრეშიც მათი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა განსაკუთრებული ხდება. ეს მნიშვნელობა ჩვენ წყაროების პირდაპირ თუ არაპირდაპირ ჩვენებათა წყალობით შეიძლება გავარკვიოთ. მივაქციოთ, კერძოდ, ყურადღება ირანელების პოლიტიკას ქართლში. უკვე 368 წლის აქტი, ქართლის სამეფოს ორ ნაწილად გაყოფა მოწმობს იმას, რომ არსებობდა რაღაც ფენა ქვეყანაში, რომელსაც, მათი სხვადასხვაგვარი

[1] ი. ყიფშიძე, მეგრ. გრამატიკა, ლექსიკონი.

ინტერესების მიხედვით, შეიძლებოდა დაჰყრდნობოდნენ ერთს მხარეში — რომაელები, მეორე მხარეში-კი ირანელები. მეხუთე საუკუნეში უცხო ძალის ეს შინაური საყრდენი უფრო მკაფიოდ ჩანს. გორგასლის მამის მეფობისათვის მემატიანე აღნიშნავს: „მეფობდა მირდატ, და მთავარებისკოპოსი იყო გლონოქორ. და ესე მთავარებისკოპოსი ერისთავადაც იყო ბარაზპოდ პიტიახშისაგან ქართლს და ჰერეთს"[1]. უაღრესად საყურადღებო ცნობაა: ირანის მთავრობის ემისარი ქართლში — პიტიახში — ქართლის ეკლესიის მეთაურს-(ჯერ კათალიკოსობა არ არსებობს) თავის ერისთავად, საერო მოხელედ, ნიშნავს! კავშირი იბმება სპარსეთის ცეცხლისმსახურ მთავრობასა და ქართლის ქრისტიანულ ეკლესიას შორის. მაგრამ ჩვენ ვიცით ჯუანშერისაგან რომ მეხუთე საუკუნის გარკვეულ (ჯუანშერის შემცდარ ისტორიულ პერსპექტივის მიხედვით — უფრო გვიანდელ) ხანიდან მოყოლებული ქართლის ეკლესიის საჭეთ-მპყრობელთა ტახტზე „დასხდებოდეს წარჩინებულთა ნათესავთანი", წარჩინებულთა, აზნაურთა შიღალ წრის, შთამომავალი პირები. მაშასადამე, ირანელების მიერ ქართლის ეკლესიასთან კავშირის გაბმა არსებითად ნიშნავდა ადგილობრივ აზნაურობის გარკვეულ ფენებთან კავშირის დამყარებას. ასეთსავე მოვლენას, მხოლოდ სპეციფიკურ პირობებში განვითარებულს, ეხედავთ ჩვენ მეზობელ სომხეთშიაც. ძველი ქართველი მწერალი, არსენი კათალიკოზი, გვიამბობს რომ გარკვეულ ხანაში ირანელები სომხეთში სწორედ ადგილობრივ ეკლესიას ეყრდნობიან: „რომელთამე კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა მეფენი სპარსთანი დაიშვილნეს და ძეობილად უწოდდეს..., რომლისათჳსცა მსჯელობა შთავრობისა თჳთ მიიტაცეს და არა სიმართლისაებრ კანონთასა. არამედ თჳსისაებრ ნებისა იქცეოდეს, საჴმარსა ეკლესიათასა, არა ჳითარ დაწესებულ იყო ეკლესიათათჳს, არამედ საჴმრად თჳსად და კაცთა საჩუენებლად განაბნევდეს, რომლისათჳს ეპისკოპოსნი ყოველნი და მამასახლისნი ყოველნი მიიქცეს ღმრთისა განსარისხელსა ამაოსა შესაძინელსა სათნოებითა მეფეთა უღმრთოთათა... და იქმნეს საეპისკოპოსონი ჳითარცა საკერპონი, და მივიდიან აზნაურნი კარად საეპისკოპოსოდ | და არა ჰპოვიან ჟამი შესლვად და შეიქციან

[1] „სამი ქრონიკა", 28; წატბ. 721.

სირცხვლეულნი, ვითარცა კარისაგან სპარსთა მარზპანთაჲსა და უფროჲს-ღა“ [1].. ირანელების შემდგომი დაახლოება ქართლის დიდ აზნაურებთან გამოიხატა თვით პიტიახშის თანამდებობის გადაცემაში ამ აზნაურობის წარმომადგენელთათვის, რაც მოწმობდა როგორც თვით ამ დიდ აზნაურთა ზრდას, ისე წინააღმდეგობის განვითარებას დიდ აზნაურთა ჯგუფსა და ქართლის მეფეს შორის. ქართლის ადგილობრივ მკვიდრ პიტიახშთა ისტორია საყურადღებო ფურცელია ქართულ ფეოდალიზმის განვითარებისა. მეხუთე საუკუნის შუა წლებისათვის იხსენიება პიტიახში არშუშა. იგი „მთავრობს“ (წყაროების გამოთქმაა) ე. წ. ქვემო-ქართლის (თრიალეთის ქედის სამხრეთით მდებარე ნაწილი ქართლისა, სომხეთამდე; აღმოსავლეთით ისაზღვრებოდა მტკვრით) გარკვეულ ტერიტორიაზე. განსაზღვრულ ხანაში, როგორც ვნახეთ, ქართველთა პიტიახშს თითქმის მთელი ქვემო-ქართლი ექვემდებარებოდა. არშუშას განსაკუთრებულ საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ როლზე მიუთითებს ის ცნობა რომ როცა ირანის მეფემ, იეზდიგერდ მეორემ, მოიწადინა ქართლში, სომხეთში და ალბანეთში მაზდეიანობის გავრცელება ადგილობრივ ფეოდალურ ძალების საშუალებით, ქართლიდან მან სხვა თავკაცებთან ერთად პირველ რიგში სწორედ არშუშა პიტიახში დაიბარა. არშუშამ, სხვებთან ერთად, იეზდიგერდის მოთხოვნით, უარყო ქრისტიანობა და იქვე იქნა დატოვებული, ალბათ როგორც თავმდები იმისა რომ შინ დაბრუნებული ქართლის სხვა წარჩინებულნი მეფის ნების აღმსრულებელნი იქნებოდნენ. არშუშას სოციალურ მდგომარეობაზე მიუთითებს ის გარემოებაც რომ იგი მოყვრობითაა დაკავშირებული მეზობელ ქვეყნის, სომხეთის უდიდეს ფეოდალურ საგვარეულოსთან — მამიკონიანებთან. არშუშას შემდეგ ქართველთა პიტიახშის უფლებას მისი შვილი ვარსქენი იღებს. ვარსქენიც ქართლში მეფის შემდეგ პირველი კაცია, როგორც ეს (და სხვა, ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტებიც) ჩანს იაკობ ხუცესის შესანიშნავ თხზულებიდან. ირანის მეფის კარზე ის შინაურ კაცივითაა. მისი პირველი ცოლი სომხეთის ყველაზე წარჩინებულ დიდებულის, ვარდან მამიკონიანის, ქალია. მეორე ცოლად-კი თვით ირანის მეფის ასულს ირთავს. მის მეუღლეს ყველანი დედოფალს უწოდებენ. საპიტიახშოს მთელი მოსახლეობა, როგორც საერო, ისე

[1] ქრნკ. I, 326.

სასულიერო. მის სრულ განკარგულებაში იმყოფება. თავის სამ-
ფლობელოში დაბრუნებისას იგი განკარგულებას იძლევა, რათა
„წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და | მისნი ძენი და შსახურნი"[1].
ვარსქენის განკარგულებით, მის ცოლს, ამ „დედოფალს", ჯაჭვსა და
ბორკილებში სვამენ, სცემენ (ასჯერ დაჰკრეს ჯოხი!), საპყრობილეში
უსასტიკეს რეჟიმში ჰყავთ. ის თავის ცოლს საკუთარ ხელითაც სცემს
და მიწაზე ათრევს, და „დედოფლის" გამოსარჩლებას ვერავინ ჰბე-
დავს. მხოლოდ პიტიახშის ღვიძლი ძმა კადნიერდება თავის რძლის
შველისათვის, მაგრამ... „შუელად აღდგა ჯოჯიკ, ძმაჲ მისი, და იბ-
რძოდეს, ვიდრემდის გუემა (=სცემა) იგიცა და კუბასტიცა თავსა
მისსა მოხეთქა"[2]. არც სასულიერო პირებს აყრიათ სიკეთე პიტიახ-
შისაგან. ეპისკოპოსს აგინებს და მისს ღმერთსაც ჰგმობს. ეპისკო-
პოსის ერთს მოსარჩლე მღვდელს ვარსქენი ჯოხით სცემს: „უხეთქნ
კუერთხითა ხუცესსა მას ზურგსა და მან ვერღარა იკადრა სიტ-
ყუად"[3]. ვარსქენი გარკვეულ ტერიტორიაზე ყველას „უფალია"
(=ბატონი), და ასეც მიჰმართავენ მას. ზემოთ მოხსენებული ხუცე-
სი სწორედ ასე ეუბნება ვარსქენს: „უფალო, რაჲსა ეგრე იქმ?"[4]...
ბატონო, ეგრე რათა შვრებიო. თუ როგორია ფსიქოლოგიური გან-
წყობილება პიტიახშის მიმართ, ერთი დამახასიათებელი ეპიზოდი
გვისურათებს. ნაცემი შუშანიკი ტაძრიდან (=სასახლიდან) საპყრო-
ბილეში მიჰყავთ. იქვე მდგომ ერთ სასულიერო პირს უნდა „დედო-
ფალს" გამხნევებისა და ნუგეშის სიტყვა უთხრას. იშვიათ მხატ-
ვრულ ექსპრესიით ავტორი ასე ასწერს ამ სცენას: „დიაკონი ვინმე
ერთი მის ეპისკოპოსისაჲ დგა წმიდისა შუშანიკის თანა მას ქამსა,
რომელსა გამოჰყვანდა იგი ტაძრით, და უნდა რაჲთამცა ჰრქუა
თუ: «მტკიცედ დეგ» და თუალი ჰკიდა პიტიახშმან, სხუაჲ ვერღა-
რაჲ სცალდა სიტყუად — ესთენ ოდენ ჰრქუა: «მტკი»... და დადუმნა
ხოლო და სივლტოლად იწყო (=გაიქცა) სწრაფით"[5]. ასეთი შიშით
სავსე დამოკიდებულება პიტიახშისადმი ცხადად ჰმოწმობს იმ გა-
ნუსაზღვრელ უფლებას, რომელიც ჰქონდა მას თავის სამფლობე-
ლოს მოსახლეობის მიმართ. ამ უფლების განმტკიცებისათვის გან-

[1] შუშანიკის წამება, ს. გორგაძის გამოც., 2.
[2] იქვე, 3.
[3] იქვე, 11.
[4] იქვე, 10.
[5] იქვე, 11.

საკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პიტიახშის უფლების შთამომავლობით დამკვიდრებას ერთ სახლში. მეექვსე საუკუნის შუა წლებში ქართლის პიტიახშად ისევ არშუშა იხსენიება. სახელის გახმეორების მიხედვით ცხადია, რომ იგი იმავე სახლს ეკუთვნის (შესაძლოა, ზემოთ მოხსენებულ არშუშას შვილიშვილი და ვარსქენის შვილიც იყოს). მეშვიდე საუკუნის დამდეგსაც ქართლის მთავართა შორის აგრეთვე არშუშა იხსენიება. ესეც ალბათ იმავე ოჯახის შთამომავალია. საუკუნეების სიგრძეზე, ვხედავთ ჩვენ, პიტიახშის „სამთავრო“ უფლება ერთსა და იმავე სახლს მტკიცედ უჭირავს ხელში. გასაგებია, თუ როგორ კარგად შეეძლო ამ სახლს ასეთ პოლიტიკურ მდგომარეობის გამოყენება თავის სოციალურ და ეკონომიურ ძლიერების შემდგომ ზრდისა და გადიდებისათვის.

მაგრამ ქართლის პიტიახში მხოლოდ ერთი „მთავართაგანი“ იყო [1]. შესაძლოა (და მეფობის უკანასკნელ პერიოდში ეს ასეც იყო), ის სხვებზე შემძლე და წარჩინებულიც ყოფილიყო. მაგრამ აზნაურობის წრეში, ეჭვს გარეშეა, ამ დროს უკვე არის სხვა ისეთი ოჯახებიც, რომელნიც მეტ-ნაკლებად ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან. ესენი არიან არა მარტო „დიდ-დიდი“ აზნაურები, როგორც მათ იაკობი იხსენიებს. მათ ნაწილობრივ განვლილი აქვთ უკვე პატიახშთა მსგავსი გზა განვითარებისა.

ფეოდალურ ძალების ამ პირველ გამსხვილების მაჩვენებლებს სხვადასხვა სფეროებში ვპოულობთ. ავიღოთ ეკლესია. ქრისტიანულ ეკლესიის ორგანიზაცია ყოველთვის ეგუებოდა იმ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აღნაგობას, რომელშიაც იგი ეწყობოდა. ქართლშიც ასე იყო. ვახტანგ გორგასლის მეფობაში ქართლის ეკლესია უკვე საკმაოდ რთულ სტრუქტურის მატარებელია. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა საეპისკოპოსოების მრავალრიცხოვანება, რომელსაც ამ დროისათვის აღნიშნავენ წყაროები. ეს ფაქტი იმ მხრივაა საყურადღებო, რომ იგი მიუთითებს იმ ცენტრალურ პუნქტთა რიცხვის ზრდაზე, რომელთა გარშემოც ჯგუფდებოდნენ ქართლის ახალგაზრდა ფეოდალური ძალები. ისე როგორც პიტიახშის სამფლობელო საეკლესიო-იერარქიულ თვალსაზრისით ცალკე საეპისკოპოსოს შეადგენდა, რომელსაც „პიტიახშის სახლის“ საეპისკოპოსო ეწოდებოდა, ასევე ცალკე მეტ-ნაკლებად განვითარებულ

[1] შუშანიკის წამება, 3C.

სენიორალურ ცენტრებს ვგულისხმობთ ჩვენ იქ, სადაც საეპისკოპოსო კათედრებია აღნიშნული [1].

ასეთსავე საზოგადოებრივ მოვლენას შეესატყვისებოდა ის სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული ორგანიზაცია, რომლის შესახებაც ლაპარაკობენ წყაროები. მაგრამ ეს ცნობები უფრო მეტს კრიტიკულ დამოკიდებულებას მოითხოვენ, და მათს განხილვას აქ აღარ შევუდგებით.

ეპოქის საზოგადოებრივ ურთიერთობის სირთულის გასაშუქებლად საჭიროა კიდევ ერთს გარკვეულ კატეგორიაზე მითითება. ესენი არიან „მსახურნი“ ანუ „ტაძრეულნი“ (სიტყვისაგან „ტაძარი“, რაც ძველად სასახლეს აღნიშნავდა). ესენი არიან პირნი, წარმოშობით, ალბათ, უმეტეს წილ შემთხვევაში „წვრილ ერისაგან“ (ზოგჯერ ისინი შესაძლებელია გაზატებული მონებიც ყოფილიყვნენ), რომელნიც შეფის ან დიდ აზნაურის კარზე რაიმე სამსახურს ასრულებდნენ. მათი რაობა კარგად ჩანს იაკობ ხუცესის თხზულებაში. თავის სამფლობელოში დაბრუნებულ ვარსქენ პიტიახშს წინ ეგებებიან „აზნაურნი, მისნი ძენი და მსახურნი“ [2]. რა ფუნქცია ეკისრებათ მათ? ჯოჯიკი, ვარსქენის ძმა, ეუბნება შუშანიკს: დაჰყევ ქმრისნებას, თორემ „უწყი მე, აწ მოავლინნეს მსახურნი და თრევით წარგიყვანოს შენ“ [3]. ურჩ ცოლს პიტიახში საპყრობილეში (ჯერ — შინაურ, შემდეგ-კი ნამდვილ პატიმრობაში) სვამს — ამ ბრძანების შემსრულებელი და მცველი მსახურია: ... „ბრძანა... კრძალულად დაცვაჲ მისი ერთითა მსახურითა“ [4]. შემდეგშიაც ეს პირი სულ მსახურად იხსენიება. ამავე დროს იაკობი მას „მცველს“ ეძახის [5]. მაშასადამე, მსგავსი ადმინისტრაციულ-პოლიციური მოვალეობანი „მსახურებს“ უნდა შეესრულებინათ. გარდა ამისა, მსახურნი შინაურ წესრიგს იცავენ პიტიახშის „ტაძარში“, წმინდა საყოფაცხოვრებო დავალებებსაც ასრულებენ იქ და სხვ. ერთ დღეს „მოვიდა მგელი იგი (პიტიახში) ტაძრად და ჰრქუა მსახურთა თჳსთა: „დღეს მე და ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ერთად პური ვჭამოთ, ხოლო სხუა-

---

[1] ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, 18—19.
[2] შუშანიკის წამ. 2.
[3] იქვე, 6.
[4] იქვე, 8.
[5] იქვე.

სა ნუ ვის უფლიედ ჩუენ თანა შემოსლვად"-ო [1], ე. ი. პიტიახშის ტაძარში პურის ჭამის გარიგება და გარკვეულ. წინასწარ წესების დაცვა მსახურებს ჰქონდათ დაკისრებული. თავისთავადაც გასაგებია და ჯუანშერის თხზულებიდანაც ჩანს, რომ მსახურნი თავიანთ „უფალს" ომშიაც მისდევდნენ.

„მსახურობა" გარდამავალი საფეხური იყო „წვრილ ერსა" და „წარჩინებულთა" ანუ „აზნაურთა" შორის. „წვრილ ერიდან" გამოსულ კაცს, რომელიც „მსახური" იყო მეფის ან დიდ აზნაურის კარზე, თვითონ ჰქონდა გააზნაურების შესაძლებლობა. თავის ადგილას უკვე მოტანილი იყო ჯუანშერის ცნობა რომ ვახტანგ გორგასალმა, ოსეთის ომის შემდეგ, „გასცა ნიჭი (საჩუქარი) ერსა თჳსსა და წარჩინებულ ქმნნა მხედარნი, მსახურნი გამოცდილნი წყო|ბასა მას შინა ოვსთასა"-ო. კიდევ უფრო საინტერესო და საყურადღებოა ცნობა, რომელიც უკვე უფრო გვიანდელ ხანას გულისხმობს (რეალურად იგი მერვე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს). სახელდობრ, მემატიანე ამბობს რომ მეფე არჩილი „მოვიდა კახეთად და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყუნა იგინი"-ო [2], — მამულებსა და აზნაურობას უბოძებს მეფე თავის ტაძრეულებს, მსახურებს.

„ტაძრეულსა" და „მსახურს" შორის არსებული სხვაობის დეტალური გარკვევისათვის კონკრეტული მასალა გვაკლია. ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ ტაძრეულნი რანგით რამდენადმე მსახურებზე მაღლა უნდა მდგარიყვნენ, იმდენად, რამდენადაც თვით „ტაძარი" თავისი სემანტიკური მნიშვნელობით „მაღლა" იდგა „სახლზე" (აქედან არის ნაწარმოები მსახური).

§ 22. საადგილმამულო ურთიერთობა IV—V სს.

იმ რთული საზოგადოებრივი ბრძოლის გასაღები, რომელსაც ჩვენ ქართლში ვხედავთ IV—V სს., რა თქმა უნდა, საადგილმამულო ურთიერთობაში უნდა ვეძიოთ. ამ მხრივ ქართლს ზოგადად შეეფერება ის დახასიათება, რომელიც კ. მარქსმა ძველ რომს მისცა: „შინაგანი ისტორია (მარქსი გულისხმობს რომის შინაგან ისტორიას ავგუსტოსის ეპოქამდე. ს. ჯ.) შეიძლება plainly

[1] შუშანიკის წამ. 7.

[2] ჯუანშერი, მარ. 209—210.

დავიყვანოთ წვრილი მიწისმფლობელობის ბრძოლამდე მსხვილ მიწისმფლობელობასთან, თავისთავად ცხადია, იმ მოდიფიკაციათა შემოტანით, რომლებიც მონობის არსებობითაა შეპირობებული“ [1].

ქართლის შინაგანი ისტორიაც, აღებულ ხანაში, შეიძლება დაყვანილ იქნას მიწისმფლობელობის ერთი ფორმის ბრძოლაზე მეორესთან. ამ მებრძოლი ფორმებიდან ზოგი ძველია და ზოგიც ახალი.

•

როგორია ეს ფორმები?

ზოგადად რომ განვსაზღვროთ, მოძრაობის მიმართულება, ა ნ ტ ა გ ო ნ ი ს ტ უ რ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა თ ა ხ ა ნ ა შ ი, ისეთია რომ პირველყოფილ-კომუნისტური საზოგადოებრივი საკუთრების ადგილას *, მიწაზე, კერძო საკუთრება მკვიდრდება. მაგრამ ეს პროცესი ერთბაშად არ ხორციელდება. მიწის კერძო საკუთრების სრული ინდივიდუალიზაცია მხოლოდ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ხდება. ფეოდალურ საზოგადოებაში გაბატონებულია უკვე სხვა ფორმა — პიროვნითი საოჯახო კერძო საკუთრება მიწაზე. ინდივიდუალური მიწის საკუთრება ფეოდალურ საზოგადოებაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად არის შებოჭილი. რაც შეეხება მონათმფლობელურ საზოგადოებას, რაკი იგი დამოუკიდებელი სოციალურ-ეკონომიური ფორმაციაა, ამიტომ, თავისთავად ცხადია, მასაც საადგილმამულო საკუთრების დამოუკიდებელი, თავისი საკუთარი, ფორმა უნდა ახასიათებდეს. ღრმა შენიშვნა მონათმფლობელური, გაბატონებული ტიპის, საადგილმამულო საკუთრების ხასიათზე მოცემული აქვს კ. მარქსს: „საკუთრების მეორე ფორმა, ეს ანტიკური სათემო და სახელმწიფოებრივი საკუთრებაა, რომელიც წარმოიშვის რამდენიმე ტომის, ხელშეკრულებისა თუ დაპყრობის გზით, ერთ ქალაქად გაერთიანების წყალობით და რომლის დროსაც დაცულია მონობა. სათემო საკუთრების გვერდით ვითარდება უკვე აგრეთვე მოძრავი, ხოლო შემდეგში — უძრავიც, კერძო საკუთრება, მაგრამ როგორც ნორმისაგან გადახრილი და სათემო სა-

[1] მარქსის წერილი ენგელსს, 1853 წ. 8. III: Сочинения Маркса и Энгельса. т. XXII, გვ. 89.

* ამ წინადადების გასწვრივ ავტორს დედანში უწერია: პირველ-ყოფილი თ ე მ ურ ი საკუთრების ადგილას! ცალკე თემების საკუთრება შეადგენს მაშინ ალბათ სატომო საკუთრებას. როცა ჩნდება მონათმფლობელური სახელმწიფო, ეს უკანასკნელი, საფიქრებელია, ცდილობს მეფის კორპორაციული საკუთრებით (სეფე — სახლის საკუთრებით) დაჩაგროს ცალკე თემთა საკუთრება!

კუთრებისადმი დაქვემდებარებული ფორმა. სახელმწიფოს მოქალაქეები მხოლოდ თანაზიარად ჰფლობენ თავიანთს მომუშავე მონებს და უკვე ამის გამო შეკრულნი არიან სათემო საკუთრების ფორმით. ეს არის თანაზიარი კერძო საკუთრება სახელმწიფოს აქტიური მოქალაქეებისა, რომელნიც იძულებულნი არიან, მონათა წინაშე, დაიცვან ასოციაციის ეს ბუნებრივად აღმოცენებული ფორმა. ამიტომ ამ საძირკველზე დაფუძნებული საზოგადოების მთელი აღნაგობა, და მასთან ერთად, ხალხის ხელისუფლება, იწყებს დაქვეითებას იმზომ, რაზომაც ვითარდება უპირატესად უძრავი კერძო საკუთრება" [1]. ანტიკური საადგილმამულო საკუთრების ეს შესანიშნავი ანალიზი მეცნიერულ შუქს ჰფენს ჩვენს პრობლემასაც და აღებული ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურის გარკვევას გვიადვილებს.

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოთ აღნიშნული საადგილმამულო საკუთრების ფორმები მხოლოდ გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ უ ლ ი ტიპებია თვითეული შესაბამისი საზოგადოებრივი ფორმაციისათვის. მათ გვერდით და მათთანვე ურთიერთმოქმედებაში ჩვენ ყოველთვის ვხვდებით სხვა ელემენტებსაც — ძველი ფორმების გარდმონაშთებსა და ახალი ფორმების ჩანასახებს. შეუბოჭავი განკარგულება მიწაზე, მაგ., სუსტად გამოხატული, ჩვენ გვხვდება უკვე კლასობრივი საზოგადოების ყველაზე ადრინდელ საფეხურზედაც.

რა მდგომარეობაა, აღებული თვალსაზრისით, საქართველოში, | კერძოდ ქართლში, რომლის შესახებაც ჩვენ მაინც მეტი ცნობები მოგვეპოვება? რაკი ჩვენი აზრით, საქართველო და, პირველ რიგში, ქართლი ჯერ კიდევ ფეოდალური ქვეყანა არ არის, ფეოდალური წყობა აქ მხოლოდ ერთი, ძლიერი, ელემენტის სახითაა მოცემული, რაკი, მეორე მხრით, განვითარების კლასობრივი პერიოდის დამდეგს ქართველ ტომებში გაბატონებულად ჩვენ მონათმფლობელური ურთიერთობა მივიჩნიეთ და ეს ურთიერთობა IV — V საუკუნეებში ჯერ კიდევ მეორე ძლიერი კომპონენტის სახითაა მოცემული, ამიტომ საადგილმამულო ურთიერთობის სფეროშიაც აქ სურათი უფრო ჭრელი უნდა იყოს და არის კიდეც.

---

[1] Сочинения Маркса и Энгельса, т. IV, стр. 12—13.

უძველესი, საგვარეულო, საკუთრების ნაშთი აქ ჯერ კიდევ არის შემონახული სათემო მიწისმფლობელობის სახით. მის გვერდით, სოციალური დიფერენციაციის პირველ ნაბიჯებთან ერთად, ჩნდება კერძო საკუთრება მიწაზე. სოციალური დიფერენციაციის მონათმფლობელურ ხასიათთან დაკავშირებით საადგილმამულო კერძო საკუთრებაც სპეციფიკურ სახეს იღებს — სასეფო და სატაძრო „თანაზიარი" კერძო საკუთრების სახით. მონათმფლობელური საზოგადოებრივი ურთიერთობის გაბატონება სასეფო და სატაძრო, — აღნიშნული ხასიათის, — მემამულეობის გაბატონებულ, წამყვან, ფორმად გადაქცევას მოასწავებდა.

ამასთან ერთად, როგორც ჩანს, საკმაოდ ადრე ჩნდება, სუსტად გამოხატული, ინდივიდუალური კერძო საკუთრება მიწაზე. მისი ობიექტია წვრილი მიწის ნაჭრები, რომელნიც, ახოს აღებისა თუ სხვა გზით, თავისუფალი განკარგულების და, მაშასადამე, ყიდვა-გაყიდვის საგნად არიან გადაქცეულნი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ასეთი მიწის ნაკვეთები იწოდება „აგარაკებად". „აგარაკის" განმარტება ჩვენ მოცემული გვექნება სხვა ადგილას — ქართული ფეოდალური საადგილმამულო საკუთრების დახასიათებისას. იქ ჩვენ ვნახავთ რომ „აგარაკი" და „სოფელი" ფეოდალური საადგილმამულო საკუთრების ორ ძირითად ობიექტს აღნიშნავს. ამ ცნებებისა და ტერმინების თანხლება გარკვეული აზრის მქონეა: აქ სათემო, სასოფლო, მიწებთან ერთად ისახელება იმთავითვე სასოფლო მიწებს გარეშე მოქცეული, კერძო განკარგულებაში მყოფი, ცალკეული მიწის ნაკვეთები — „აგარაკები". აგარაკი ათვისებული და მითვისებულია არა სოფლის, თემის, არამედ ინდივიდის მიერ. მამულების ეს ორივე კატეგორია ფეოდალურ მფლობელობაში თავისი საკუთარი გზით შედის. ტერმინი „აგარაკის" მნიშვნელობისათვის საყურადღებოა ამ სიტყვის ეტიმოლოგია: ტერმინის ფუძე საკუთრივ „მიწას" ნიშნავს და ეს თავისთავად მეტად დამახასიათებელია — ინდივიდუალისტურს ფსიქო-იდეოლო-

გიურ სამყაროში | „მიწა“ უპირატესად და „ნამდვილად“ ის მიწის-ნაკვეთია, რომელიც თავისუფალი განკარგულების საგანია [1].

ყველაზე გვიან ჩნდება, ზემოთ აღწერილი გზებით, ადრინდელ-ფეოდალური მიწისმფლობელობა. იგი გაბატონებისაკენ მიისწრაფის და ამიტომ ბრძოლას იწყებს ჯერ სატაძრო და შემდეგ სასეფო მემამულეობასთან.

ჩვენ ვნახეთ ზემოთ, თავის ადგილას, თუ როგორ იქნა განადგურებული თავდაპირველად სატაძრო ძველი, მონათმფლობელური მემამულეობა და მასზე დაძყარებული თვით ამ მონათმფლობელთა კორპორაცია თავისი „ბუნებრივად აღმოცენებული ასოციაციის ფორმით“, — ქურუმთა წოდება.

ახლად შექმნილი ქრისტიანული საეკლესიო ორგანიზაცია, რომელმაც ძველი წარმართული ეკლესია შესცვალა, უკვე ფეოდალურს (ადრინდელ-ფეოდალურ) ნიადაგზე ეწყობა. ქრისტიანული ეკლესიისა და, მასთან ერთად, კიდევ უფრო მეტად, ერისკაც წარჩინებულთა მემამულეობის ფეოდალური ხასიათისათვის მეტად ნიშანდობლივია „ქართლის მოქცევის“ ერთი ცნობა, რომელიც რატომღაც არ იქცევს მკვლევართა ყურადღებას. ამ ცნობით, ვარაზ-ბ აკურის „ზ[1]“, ე. ი. მეფობაში, რომელიც მესამე მეფობაა პირველი ქრისტიანი მეფის, მირიანის, შემდგომ და, დაახლოებით, მეოთხე აუკუნის დამლევზე მოდის, „აღაშენეს აზნაურთა წ[2] იგი ეკლესიაჲ მცხეთას, და დაიამოთაულეს (sic!) დიდსა მას ეკლესიასა სოფლებითა და ქარდაგებითა ქართლს შინა“ [2].

ჭელიშური ნუსხა რამდენადმე განსხვავებულ რედაქციას იძლევა: . . . „აღაშენეს აზნაორთა ეკლესიაჲ გ[3]ი წ[4]სა

[1] „აგარაკი“ თავის შესატყვისებს ჰპოვებს ბერძნულ-ელინისტურსა და რომაულ სამყაროში.' ანალოგიური ფაქტები ჩვენ შეიძლება საკმაო რაოდენობით ვუჩვენოთ (ფუძე— fundus, მოდი და მრავალი სხვა), მაგრამ აქ ამის შესახებ Lრტყვას ვეღარ ჩამოვაგდებთ! აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს საინტერესო შეხვედრას: ბერძნ. მეტ ეკი* (მეტოჲკი), ჩვენი აზრით, ამკარად დაკავშირებულია გურულ „მუტაკაა“-სთან („მუტაკია გლეხი“ გურიაში, დოკ. ნ. ბერძენიშვილის ცნობით ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომ გლეხს აღნიშნავდა).

[2] Ш.ტბ.: Опис. II, 720; ქრნკ. I, 43.

* დედნის ქვედა არშიაზე ავტორის ხელით მიწერილია: მეტეკი—გადმოსახლებულია, შეადრ. ევსტათი თესალონიკელი ; კომენტარი დიონისესი, 689, SC I, 203, კოლხების შესახებ. მაშასადამე, მეტეკი უდრის ქართ. „უცხოს“,რომელიც უპირისპირდება „მკვიდრს“.

ბცხეთას და მიათ"ლეს დიდსა მ"ს ეკლესიასა სოფლებითურთ"[1]. აქ, ჩვენი აზრით, ქ[ელიშური ნუსხა] სამართლიანად ასწორებს „წმიდაჲ იგი"-ს „გიორგი წმიდისა"-ზე, რითაც თვით ტაძრის რომელობის შესახებ ცნობა უფრო კონკრეტული ხდება. შემდეგ საყურადღებოა რომ სრულიად იშვიათი ფორმა „დაიამოთაულეს" შეცვლილია ჩვეულებრივი და გასაგები „მიათუ[ლეს"-ით. სხვაფრივ, შატბერდული საკითხავი უფრო ძველი უნდა იყოს.

ცნობაში, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს, როგორც ეს ზემოთ, თავის ადგილას, აღნიშნული გვაქვს, მტკიცება რომ მაშენებელი „აზნაურთა" ჯგუფია. ეს გარემოება უკვე მკაფიოდ ახასიათებს მოვლენის საზოგადოებრივ მხარესა და სათანადო სოციალური წრის გაზრდილ მნიშვნელობას. შემდეგ განსაკუთრებით საინტერესოა ცნობა ეკლესიის შინაგანი ურთიერთობისა და ორგანიზაციის შესახებ. როცა „აზნაურთა" კორპორაციამ ეს ახალი ტაძარი ააშენა წმ. გიორგის სახელობაზე, ამ დროისათვის მცხეთაში და ქართლის ზოგიერთს სხვა მსხვილ ცენტრში უკვე აგებული იყო ტაძრები (მცხეთის ქვემო ეკლესია, მცხეთის ზემო ეკლესია, ერუშეთის, მანგლისის, წილკნისა და ნეკრესის ეკლესიები; ერუშეთისა და მანგლისის ტაძრებზე ის კი უნდა შევნიშნოთ რომ მხოლოდ მათი საძირკვლის ჩაყრაზეა სათანადო წყაროში საუბარი). ქართლის ეკლესია უკვე გარკვეულს, არც თუ მცირეს — ტერიტორიის მიხედვით, ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელსაც თავისი სამმართველო აპარატი ჰქონდა და მმართველი ჯგუფი ჰყავდა. აზნაურებსაც მათ მიერ ახლად აგებული ტაძარი სწორედ ამ ორგანიზაციაში შეუყვანიათ: დიდს ეკლესიას „დაიამოთაულეს" (!) თუ „მიათუალეს"-ო რომ არის ნათქვამი, ეს, რა თქმა უნდა, იმას ნიშნავს რომ გიორგი წმინდის ტაძარი ქართლის ეკლესიის მეთაურის კათედრალისათვის დაუქვემდებარებიათ. მაგრამ დაქვემდებარებული ერთეული მარტო ნაგებობით (და მრევლით) კი არ განისაზღვრებოდა. ეს იმავე დროს გარკვეული ს ა ძ ე უ რ ნ ე ო ერთეულიც იყო: მას თან მიჰყვება საკუთარი „სოფლები და ქარდაგები" (შატბ. საკითხავი). ცხადია, რომ აქ მფლობელობის

[1] შატბ., Опис. II, 720.

ობიექტი და ქონება იგულისხმება. „სოფელი“, უეჭველია, მოსახლეობის ერთეულს აღნიშნავს. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრების მიხედვით [1], „უძველეს ქართულ მწერლობაში „სოფელი“ ქვეყანასა ჰნიშნავდა“ და მხოლოდ მე-9 — 10 საუკუნეებიდან მოყოლებული ეს ტერმინი აღნიშნავს „დაბას“. მართლაც, უძველეს ქართულ მწერლობაში სიტყვა „სოფელი“ ქვეყნის, ოლქის, სანახების აზრით იხმარება უპირატესად. მაგრამ თავისთავად ცხადი უნდა იყოს, რომ ასეთი მნიშვნელობა ტერმინისა არ შეიძლება თავდაპირველი იყოს. ანალოგიური სხვა ტერმინებიც ვიწროდან ფართო, კონკრეტულიდან უფრო განყენებული მნიშვნელობისაკენ ვითარდებიან. მაგ., „ქუეყანა“ თავდაპირველად „მიწას“ ნიშნავს, „მიწაც“ შემდეგში ფართოვდება „ქვეყნიერების“ აზრის ფარგლებამდე (შეადრ. „დედამიწა“), დაბაც თანდათან იფართოებს მნიშვნელობის მოცულობას, განსაკუთ|რებით, თუ მართალია ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრება, რომ ტერმინი „დაბა“ თავდაპირველად დამუშავებულ მიწასა და ნახნავს აღნიშნავდა [2]. აქ ყველგან ჩვენ ვხედავთ ტერმინის მნიშვნელობის გაფართოების პროცესს უფრო კონკრეტულიდან უფრო ზოგადისა და განყენებულისაკენ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტერმინ „სოფელ“-საც თავდაპირველად უფრო ვიწრო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ჩვენი აზრით, იგი უფ ძირისაგან ნაწარმოები სიტყვაა (ს-ოფ-ელ-ი ← ს-უფ-ელ-ი ← სა-უფ-ელ-ი (?); შეადრ. უფალი, მამფალი ← მამაუფალი, დედაუფალი →დედოფალი, სუფევა, სასუფეველი) და ისეთსავე დამოკიდებულებაში (რა თქმა უნდა, წარმოების თვალსაზრისით; რეალური ურთიერთობა ამ მოვლენებისა სხვადასხვაგვარი იყო) იმყოფება მე-უფ-ე-სთან, როგორც ს-ეფ-ე მ-ეფ-ე-სთან; პირველი რიგი განვითარების (როგორც ენობრივის, ისე სოციალურის) უფრო ადრინდელ საფეხურს წარმოგვიდგენს, ვიდრე მეორე. მეუფე — სუფელი პატრიარქალური ხანის უკანასკნელი პერიოდის ნაშთია, ყველა ნიშნის მიხედვით, ხოლო მეფე—სეფე კლასობრივ საზოგადოებასა და სახელმწიფოსთან ერთად ჩნდება. შესაბამისად, მეუფე (სათანადოდ

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლის ისტ., წ. 1, 1928, 139—140.

[2] იქვე, 140.

ცვლილ პირობებში — ბამფალი ← მამა-უფალი) პატრიარქია, ხოლო სუფელი — ტერიტორიული თემი, რომელიც გვაროვნული საზოგადოებიდან კლასობრივისაკენ გარდამავალ ხანაში ჩნდება.

ჩვენი გაგების სასარგებლოდ სვანურ „სუფ"-ზე უნდა მივუთითოთ, რომელიც მოედან-ს აღნიშნავს და რომელიც ამავე ძირის წარმოებაა. თუ იგი ქართ. სუფელ-ის ნასესხობაა, მაინც მისი სემანტიკური ფუნქცია სვანურში ჩვენთვის ძალიან საყურადღებო ხდება: ცხადია, აქ დაცულია ის მომენტი, როცა სასოფლო თემს ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს თავისი ძირითადი ორგანო — სასოფლო კრისკრება; თვით კოლექტივთან ერთად „სუფელი" ამ ერისკრებასაც აღნიშნავს. შემდეგ ტერმინი უკავშირდება, როგორც ეს სვანურშია წარმოდგენილი, იმ ადგილს, სადაც ჩვეულებრივად თავს იყრის „სუფელი".

ამრიგად, სრულებით არ უნდა იყოს ჩვენთვის გაუგებარი, რომ უძველეს ხანაში სოფელი მოსახლეობის უფრო წვრილ ერთეულსაც აღნიშნავდა. ამდენადვე „ქართლის მოქცევის" ზემოთ მოტანილ ცნობაში „სოფლები" შესაძლებელია სწორედ დაბებსაც აღნიშნავდეს (უფრო მსხვილი ერთეულების გულვება აქ ძნელია).

ამრიგად, ეს ცნობა მეტად საყურადღებო ჩვენებას შეიცავს: ხომ ! ცხადია რომ თუ გიორგი წმინდის ეკლესია აზნაურებმა ააშენეს, მამულიც ამ ეკლესიას აზნაურებმავე გაუჩინეს; შემდეგ — აშკარაა ისიც, რომ ეს „სოფლები" მაშენებელ აზნაურთა საადგილ-მამულო ფონდიდანაა გამოყოფილი; ამრიგად, უკვე მ ო ძ რ ა ვ ი მ ა მ უ ლ ე ბ ი აქვთ აზნაურობასა და ეკლესიას და მათი პირვანდელი განმკარგულებელნი სწორედ „აზნაურნი" (წარჩინებულნი) არიან. შემდეგ თვით ეკლესიასთან ერთად ეს შეწირული მამული ქართლის მთავარ ეპისკოპოსის ტახტს უქვემდებარდება („დაიამოთაულეს"). კიდევ უფრო საინტერესო გახდებოდა მოცემული ცნობა ჩვენთვის რომ მოხერხებულიყო სიტყვა „ქარდაგი"-ს მნიშვნელობის გარკვევა. ტერმინი, გარეგნულად, ირანულ სიტყვას (მიმღეობითი წარმოებისას) ჰგავს. მაგრამ არა გვგონია ეს მერმინდელი „ქადაგი" იყოს. საშუალო სპარსულში არსებული მსგავსი ძირების მიხედვით აქ შესაძლებელია „მუშაკი" იგულისხმებოდეს (მაშინ ეს ჩვენება კიდევ უფრო საყურადღებო იქნებოდა), ან „ხახლი". მაგრამ გარდამწყვეტი სიტყვა ირანისტებს ეკუთვნის.

ამრიგად, „ქართლის მოქცევის“ განხილული ცნობა პირდაპირი მითითებაა ქართლის საერო და საეკლესიო წარჩინებულთა („აზნაურთა“) ადრინდელ-ფეოდალური მიწისმფლობელობის შესახებ. საეკლესიო სფეროში ამ მიწისმფლობელობას მე-5 საუკუნეში უკვე მთლიანად ეჭირა ძველი (მონათმფლობელური) საკუთარო მემამულეობის ადგილი. სულ სხვა მდგომარეობაა საერო ცხოვრების სფეროში. აქ ადრინდელ ფეოდალურ მიწისმფლობელობას უხდება ჯერ კიდევ დიდი ბრძოლის წარმოება სასეფო მემამულეობასთან.

ქართლის სასეფო მემამულეობაში ჩვენ თავიდანვე შეგვიძლია შევამჩნიოთ ორი ელემენტი: 1) საკუთრივ სამეფო დომენი, რომელიც სეფე-სახლის უშუალო განკარგულებაში იმყოფება; იგი შესდგება „სამაშასახლისო სამსახურებლისა“ და დაპყრობილი ტერიტორიისაგან, 2) მთელი დანარჩენი მიწა-წყალი („აგარაკების“ გამოკლებით), რომელსაც სეფე-სახლში გაბატონებული შეხედულება, თეორიული ნორმა, აგრეთვე სეფე-სახლის ს ა კ უ თ რ ე ბ ა დ აცხადებს; თავისთავად ცხადია, რომ სეფე-სახლის გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა ამ კატეგორიის მიწების მიმართ პრაქტიკაში მეტ-ნაკლებად შეზღუდულია არსებული ფ ა ქ ტ ი უ რ ი მ ი წ ი ს მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ი თ (სათემო მიწისმფლობელობა, წვრილი კერძო მიწისმფლობელობა, ადრინდელ-ფეოდალური მიწისმფლობელობა). აქ, ამ სფეროში, იბადება სწორედ კონფლიქტი თეორიულ ნორმასა და ფაქტიურ მდგომარეობას შორის, უპირატესად მაშინ, როცა ფაქტიური მიწისმფლობელობის სახით წარმოდგენილია მსხვილი კერძო მეურნეობანი (წარჩინებულთა). კონფლიქტი კიდევ უფრო მწვავდება იქ, სადაც ამ ადრინდელ-ფეოდალური მიწათმფლობელობის ობიექტი სასეფო დომენიდან მომდინარეობს. პირველ რიგში სეფე-სახლს გამოეყოფიან, მემამულეობის თვალსაზრისით, სეფე-წულები, გაზრდილი და გამრავლებული სამეფო სახლის გვერდითი შტოები. ეს სეფე-წულები ჰქმნიან სწორედ ქართლის უძველეს მემამულე არისტოკრატიას, რომელიც შემდეგ, თავისი ინტერესებით, უპირისპირდება სეფე-სახლის უფროს შტოს [1]. გარ-

[1] ქართლის სეფე-წულთა შესახებ დაწვრილებით იხ. С. Джанашиа К критике М. Хорепского: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. VI, ტფ. 1937.

და ამისა, სასეფო დომენიდან ადგილ-მამულს პირობით მფლობელობაში იღებენ ერიდან დაწინაურებული მსახურეული პირებიც (ერისთავები, მთავრები და სხვ.), როგორც ეს თავის ადგილას უფრო დაწვრილებით გვაქვს მოთხრობილი.

სამეურნეო ცხოვრების გართულება, კერძოდ, ისეთი მაღალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარება, როგორიცაა ვენახი, ხეხილი და სხვა, სათანადო საბაზრო ურთიერთობის პირობებში, იწვევს მისწრაფებას, ადრინდელ-ფეოდალურ ძალთა მხრივ, განმტკიცებულ იქნას ფაქტიურად არსებული მიწისმფლობელობა მემკვიდრეობითი მყარი მემამულეობის სახით. ამ მისწრაფებას წინ ეღობება სამეფო ხელისუფლება თავისი ნორმებითა და თავისი შეხედულებებით. ჩაღდება ბრძოლა, რომელიც განსაკუთრებით მკაფიო გამოხატულებას იღებს ვახტანგ გორგასლის მეფობაში.

§ 23. ვახტანგ გორგასლის მეფობა. ბრძოლა მეფის ხელისუფლებასა და მსხვილ მემამულეობას შორის

ასეთი იყო ქართლის საზოგადოებისა და ეკონომიკის სახე, როცა სამეფო ტახტზე ადის ვახტანგ გორგასალი, ერთი ყველაზე უფრო მკაფიო და თან სავსებით ისტორიული ფიგურა საქართველოს უძველეს ისტორიაში. უკვე ტახტზე ასვლისას ვახტანგი ირანის ვასალად ითვლებოდა, როგორც ჩანს: „წარიყვანეს ვახტანგ სპარსთა და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოიქცა“-ო [1], ამბობს მემატიანე. მაგრამ თავის მეფობის უკანასკნელ პერიოდში ვახტანგი ცდილობს ამ დამოკიდებულებისაგან გათავისუფლებას. იწყება ომი, რომელიც თვით ქართლის ტერიტორიაზე მიმდინარეობს. პოლიტიკურ დამოკიდებულების გარდა, ომის მიზეზი უნდა ყოფილიყო ის ხარკიც, რომელსაც ქართლი იხდიდა ირანის სასარგებლოდ.

მაგრამ, გარდა ამისა, ეს საგარეო ომი განისაზღვრებოდა და ნაწილობრივ გამოწვეულიც იყო იმ შინაგან წინააღმდეგობით, რომელიც ქართლის მეფესა და დიდ აზნაურობას შორისაა განვითარებული. ქართლის მონარქია, რომლის მოკავშირედაც ვხედავთ

[1] „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, 28

ჩვენ აზნაურებს მეოთხე საუკუნის დამდეგს, თავისი წარმოშობითა და მთელი თავისი ხასიათით არ შეეფერებოდა ქართლის ახალგაზრდა ფეოდალურ ძალთა ინტერესებს. თუ ამ დროს ეს ძალები შეურიგდებიან ცენტრალურ ხელისუფლებას, ეს ხელისუფლება სულ სხვა ხასიათისა უნდა იყოს. იგი ცენტრალური უნდა იყოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა ამ ადრეულ ფეოდალურ ერთეულების ურთიერთობისათვის, რომელთა შორისაც სუსტი კავშირი მაინც არსებობს. სხვაფრივ კი მათ ჭარბად გამოხატული ადგილობრივი ინტერესები აქვთ, რომელნიც სათანადო პოლიტიკურ ფორმასაც მოითხოვენ. ეს ინტერესები ამ წრის მემამულეობის ნიადაგზეა აღმოცენებული — მთავარ სტიმულად აქ გვევლინება მისწრაფება განმტკიცებულ იქნას მემკვიდრეობითი, მყარი, მიწისმფლობელობის ფორმით ფაქტიურად არსებული მდგომარეობა. ამიტომ ცენტრალურ ხელისუფლების წარმომადგენელი მათთვის (ამ წრის წევრებისათვის) მხოლოდ იმდენად იქნება მოსათმენი, რამდენადაც იგი იქნება მხოლოდ „პირველი თანასწორთა შორის", ამ ტოლთავე მსგავსი მემამულე, ქართლის ძველი მონარქი-კი, და განსაკუთრებით ვახტანგ გორგასალი, ეს, ყველა ცნობის თანახმად, ძლიერი და ხელისუფლების მოყვარე პიროვნება, „თვითმპყრობელობას" ცდილობს. იგი „მეფეა თვითმპყრობელი", მას „არა ცუდად აბიეს ჴრმალი, რამეთუ ღმრთისა მიერ მთავრობს ვითარცა ლომი შორის ცხოვართა" [1]. სამამულო სფეროში ძველი ქართლის მეფე, მით უმეტეს, ვახტანგი, — თავის თავს უზენაეს მესაკუთრედ სთვლის. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას „ამოძრავებულ" მიწაზე (რაც სათემო მემამულეობის გარეშე მდებარეობს), სულ ერთია, ეს „მოძრავი" მამულები მეფის დომენიდან მოდინარეობენ, თუ ეკონომიკურ განვითარების გზით სათემო მიწებიდან არიან გამოთიშულნი და კერძო მფლობელობის საგნად ქცეულნი. ვახტანგ გორგასლის ეს მისწრაფება მსხვილი მემამულეობის ტენდენციების შეზღუდვისა და ცენტრალიზმისაკენ გამოიხატა, როგორც ჩანს, რთულ სამმართველო-ადმინისტრაციულ აპარატის შექმნაში და შემდეგ, ამ აპარატის საშუალებით, სათანადო ღონისძიებათა გატარებაში. მაგრამ ქვეყანაში ეხლა არ არსე-

[1] ჯუანშერი, შრომები, ტ. I.

ბობდა საკმაო ძალა, რომელსაც ეს ცენტრალიზმი შეიძლებოდა დაჰყრდნობოდა, და ვახტანგის ცდა წინასწარ განწირული იყო. რა | თქმა უნდა, ვახტანგის საგარეო და საშინაო პოლიტიკა მარცხით თავდება. წაგებულია ბრძოლა ირანელებთან და ამის მიზეზია არა მარტო სამხედრო უპირატესობა ირანელებისა, არამედ უფრო მეტად ხს შინაგანი სისუსტე ვახტანგისა, რომლის წყაროც წარჩინებულთა ოპოზიციაა. თვით ირანელებთან ომის პროცესში ადგილი ჰქონდა აშკარა ღალატს. სომხურ წყაროების ცნობით, როგორც-კი ირანელთა სარდალი ჰაზარავუხტი, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა, ვახტანგ ქართლის მეფე ან შეიპყარ, ან მოჰკალ, ან გააძევეო, ქართლში შევიდა, მაშინვე მისკენ გადასულან, როგორც ისინი, ვინც ირანის შაჰან-შაჰთან ერთგულების კავშირში იმყოფებოდნენ, აგრეთვე ისინიც, ვინც თავდაპირველად ვახტანგს ემხრობოდნენ, მაგრამ ეხლა მეფესა და სახარების ფიცს უღალატესო. სწორედ ამ ღალატმა აიძულა ვახტანგი თავისი სამეფო დაეტოვებინა და ეგრისში გახიზნულიყო[1]. ცხადია, რომ ეს „მოღალატენი" იყვნენ სწორედ ის პიტიახში და სხვა ძმანი მისნი, „აზნაურნი დიდ-დიდ-ნი", რომელთაც ზემოთ გავეცანით და რომელთაგანაც ზოგს ჩვეულებრივ პატივსა და ჯილდოს გარდა, თურმე მეფობაც კი ჰქონდა აღთქმული შაჰან-შაჰისაგან[2]. და-ამ ღალატის გამო იყო რომ ვახტანგის ბრძანებით ვარსქენ პიტიახში მოკლულ იქნა კიდევაც. მაგრამ ვახტანგისა და ამ წრის ბრძოლა ჯერ კიდევ ირანელ-ქართველთა ომამდე დაიწყო. თავდაპირველად იგი ეკლესიაში მიმდინარეობს. ჩვენ ვნახეთ რომ ქართლის ეკლესიის მმართველი წრეები ამ დროს „აზნაურობასთან" არიან დაკავშირებულნი და რომ ძათ გარკვეული ურთიერთობა აქვთ ირანის მთავრობასთან სწორედ იმიტომ, რომ ისინი მატარებელი არიან იმავე ინტერესებისა, რომლითაც ეს „დიდი აზნაურნი" იყვნენ გამსჭვალულნი. ეკლესიის კავშირი ირანელებთან არა მარტო პოლიტიკური სახისაა (მთავარეპისკოპოსი ერისთავად!). ირანელები ქართლის ქრისტიანულ ეკლესიაში ზურგს უმაგრებენ ისეთს კონფესიონალურ-სარწმუნოებრივ მიმართულებას, რომელიც მტრულადაა განწყობილი აღმოს. რომის,

---

[1] ლაზარე ფარპელი, *Պատմագիրք Հայոց*, გვ. 146.

[2] იქვე.

„ბერძენთა“, ოფიციალურ ეკლესიაში გაბატონებულ, დოგმის წინააღმდეგ. ამიტომაა რომ მეხუთე საუკუნის ქართლის ეკლესიაში ასე ხშირად იხსენიებიან „ეპისკოპოსნი, შემშლელნი წესისანი“ [1]. ერთი მათგანის შესახებ მემატიანე ამბობს, რომ „აჩუენებდა იგი მართლმადიდებლობასა, ხოლო იყო ვინმე მოგვი უსჯულო და შემშლელი | წესთა“, ე. ი., როგორც ჩანს მანიქეველი [2]. მანიქეველობაკი, ასე ვთქვათ, განსაზღვრულ ხანის „სპარსული“ სახე იყო ქრისტიანიზმისა.

მაგრამ გაცილებით უფრო საყურადღებო და საინტერესოა ის კონფლიქტი, რომელიც გორგასალს მოსვლია მიქაელ მთავარეპისკოპოსთან, როგორც ჩანს, იმ პერიოდში, როცა მეფე ირანელების წინააღმდეგ მზადებას პრაქტიკულად შეუდგა. ეკლესიის მეთაურსა და ვახტანგს შორის მდგომარეობა იმდენად გამწვავებულა, რომ, უძველესი ცნობით, ერთხელ, ყოველგვარ სამეფო ეტიკეტის წინააღმდეგ, მიქაელ მთავარეპისკოპოსმა „მიამთხუია ფერჯი პირსა მეფისასა ვახტანგს გორგასალსა... და განაძო ეკლესიისაგან“-ო [3]. სხვა ცნობით, მიქაელს ისე მაგრად ჩაუცია მეფისათვის ფეხი პირში, რომ კბილებიც შეულეწია მისთვის [4]. საპასუხოდ, „მეფე აღივსო გულისწყრომითა მრავლითა და ექცა ფერი პირისა მისისა“... და შემდეგ, მან „წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთა და ითხოვა მეფისაგან და პატრეაქისაგან კათალიკოზი“ [5], ვახტანგი აწესებს კათალიკოსობას. ცენტრალიზაციის ცდა სახელმწიფო აპარატში იწვევდა ასეთსავე ცდას ეკლესიაშიც.

მონარქიის შეხედულება საერო და საეკლესიო ხელისუფლების ურთიერთობის შესახებ მკაფიოდ აქვს გამოხატული ჯუანშერს იმ სიტყვებში, რომელსაც იგი ათქმევინებს კონსტანტინოპოლის პატრიარქს დასახელებული მიქაელის მიმართ, უკანასკნელის საქართველოდან გაძევების შემდეგ:

---

[1] ჯუანშერი, მარ. 138.

[2] იქვე, 120; პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერ. ისტ., I², 282-3.

[3] „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, შატბ. და ბელ.: Опис. II, 721—2; ჯუანშერი, მარ. 177.

[4] ჯუანშერი, 177.

[5] იქვე („მოქც.“ და ჯუანშ.).

... „კაცნიერებისათჳს მეფისა თანა-გაც შენ სიკუდილი, ვითარ-ცა იტყჳს: დაემორჩილენით თქუენ მეფეთა; რამეთუ არა ცუდად აბიეს ჴრმალი, რამეთუ ღმრთისა მიერ მთავრობს, ვითარცა ლომი შორის ცხოვართა“ [1], იმის გამო რომ შენ მეფეს ასეთი რამ შეჰკადრე, შენ სიკვდილის ღირსი ხარ; საღმრთო წერილი გვიბრძანებს, დაემორჩილეთ საერო მთავრობასო. ტყუილად კი არ აბია ხმალი მეფეს, ეს მისი ხელისუფლების სიმბოლოა; ხელისუფლება კიდევ მეფეს მიღებული აქვს ღვთისაგან, რომლისაგანაც მეფეს მინიჭებული აქვს მთავრობა ერზე ისევე, როგორც ლომს ცხვრის ფარაზეო, — აი პატრიარქის სიტყვების აზრი. კათალიკოსი მეფისაოვის საჭირო იყო საეკლესიო მმართველ წრეების დასამორჩილებლად, რომელნიც მონარქიის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი და ირანელებთან კავშირში იმყოფებოდნენ, როგორც წარჩინებულთა ჯგუფის სხვა წარმომადგენლები. თვით ეს მიქაელიც, როგორც ჩანს, მონოფიზიტია, ე. ი. ირანის მთავრობის მფარველობის ქვეშ ძყოფ ერთ-ერთ ქრისტიანულ სექტის მიმდევარი.

მაგრამ ვერც ამ ღონისძიებამ უშველა ვახტანგს. მოწინააღმდეგეებმა გაიმარჯვეს არა მარტო პოლიტიკურად, მათ თვით ვახტანგის ფიზიკურადაც თავიდან მოშორება მოახერხეს: ერთი ძველი ცნობა გვარწმუნებს, რომ ვახტანგი „მოიკლა სპარსთა ბრძოლასა შინა მონაყოფილისაგან მისისა, რამეთუ იცოდა განახევიჯაქჳსაჲ ღლიასა ქუეშე, და აღიპყრა რა ჴრმალი თჳსი (გორგასალმა), რათა სცეს კაცსა სპარსთაგანსა, მონამან მან ბოროტმან ჰკრა ისარი ღლიასა ქუეშე“-ო [2].

ეს „მონაყოფილი“ და მისი მოქმედება ჩვენს სპეციალურ ყურადღებას იპყრობს. მართალია, ცნობა განკერძოებით დგას და თვით ფაქტიც ამიტომ კერძოობითი შემთხვევის შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ თუ მოვიგონებთ ყოველივე იმას, რაც ზემოთ იყო ნათქვამი ქართლის სოციალური სტრუქტურის, კერძოდ, მონათმფლობელობის შესახებ, უნდა დავასკვნათ, რომ ქართლის „მონათა და „მონაყოფილთა“ მოძრაობის შესახებ ცნობათა სიმცირე მხოლოდ წყაროების მდგომარეობით აიხსნება. ვახტანგის მკვლელი

---

[1] მარ., 178.

[2] ჭრნკ. I, 50.

„მონაყოფილიც“ ამიტომ მთელი საზოგადოებრივი წრის წარმოშადგენლად უნდა მივიჩნიოთ. იგი შორეული მემკვიდრეა „მონაყოფილ“ ანიკეტისა და მის თანამებრძოლთა, რომელთაც ოთხი საუკუნის წინათ „მონათა ომის“ ცეცხლი დაანთეს კოლხეთში. აღმოსავლეთ საქართველოში მონათა მოძრაობა, ბუნებრივად, უფრო დაგვიანებით ჰკრავს თავის ისტორიულ წრეს.

ამხანაგმა ი. სტალინმა აღნიშნა, რომ „მონათა რევოლუციამ ლიკვიდაცია უყო მონათმფლობელებს და გააუქმა მშრომელთა ექსპლოატაციის მონათმფლობელური ფორმა“. აქ იგულისხმება ისეთი წმინდა მონათმფლობელური ქვეყნები (მაგ., რომი), სადაც მონათმფლობელური წესი წარმოებისა ბოლომდე გაბატონებულ წესად დარჩა. მაგრამ ამხანაგ სტალინის სიტყვები ვრცელდება ქართლზედაც იმდენად, რამდენადაც აქ მონათმფლობელურმა ურთიერთობამ ერთგვარი წონა შეინარჩუნა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მე-5 საუკუნემდე, კონსერვატიული ანტაგონისტური ურთიერთობის სახით.

ქართლის ამ კონსერვატიული ელემენტების მეთაური იყო ვახტანგ! გორგასალი, როგორც უკვე ვამბობდით. ვახტანგის ძირითადი პოლიტიკური მოწინააღმდეგე წარჩინებულთა წრეა. ვის-ღა უნდა დაეყრდნოს მეფე მათ წინააღმდეგ ბრძოლაში? ცხადია წარმოების სხვა წესებისა და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენელთ. მეფის ასეთ სოციალურ საყრდენად, ბუნებრივად, საგულისხმებელია, ერთის მხრით, მონათმფლობელური ელემენტები, რამდენადაც ისინი ჯერ კიდევ არსებობენ ქართლში,[1] მეორე მხრით — „წვრილი ერი“, — წარჩინებულთა („აზნაურობის“) შეურიგებელი მტერი. „წვრილი ერის“, თავისუფალ წვრილ მწარმოებელთა, და წარჩინებულთა ანტაგონიზმის შესახებ ჩვენ ზემოთ, თავის ადგილას, არა ერთგზის გვქონდა საუბარი. ფეოდალიზმის გამარჯვებას ამ ხალხისათვის მხოლოდ დამოუკიდებელი არსებობის

---

[1] მონურ შრომის გამოყენებაზე ამდროინდელ ქართლში მეეკრმეტყველურად მიუთითებენ ეპოქის არქიტექტურული ძეგლები, რომელნიც მკაფიოდ განსხვავდებიან ფეოდალურ ხანის ძეგლთაგან. ასეთია, მაგ., ციხე-ქალაქი უჯარმა, ვახტანგის ერთი რეზიდენციათაგანი, რომლის კედლების თავისებური წყობა და ქვის ფლის ტექნიკა (კვადრები) სწორედ მონათმფლობელური ხანისაა. თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობით, უჯარმა „აგებული იყო ვახტანგ გორგასლისაგან“, მარ. 385.

მოსპობა მოაქვს. მეფეში იგი, გასაგებია, მოკავშირეს ხედავს, რადგანაც მეფე ამ ადრინდელ ფეოდალურ ძალებს ებრძვის. მეფესა და წვრილ ერს ისიც აკავშირებს, რომ იმდროინდელ მონურ შრომის ექსპლოატატორთა უმრავლესობა სოციალურად სწორედ წვრილ ერში უნდა ვეძიოთ. ამ ურთიერთობით ვხსნით ჩვენ რომ ქართულს ხალხურ (ე. ი., არსებითად „ერისა" და „წვრილი ერის" ფსიქო-იდეოლოგიურ სამყაროდან მომდინარე) გარდმოცემებსა და პოეზიაში ვახტანგი განსაკუთრებული გმირობის შარავანდედითაა შემოსილი. ამ პოეზიის ერთი ფრაგმენტული ძეგლი ამტკიცებს რომ „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა".

ასეთ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, თავისთავად ცხადია, საგულისხმებელია მონათა მოძრაობაც, რომელიც მონათფლობელთა მჩაგვრელობის წინააღმდეგ არის მიმართული. ამასთან ერთად სოციალური ძალები ისეა დაჯგუფებული, რომ მონები წარჩინებულთა მხარეზე უნდა აღმოჩნდნენ. უფრო სწორედ რომ ვთქვათ, წარჩინებულნი იყენებენ მონათა სტიქიურ სულისკვეთებას და, ამდენად, ძველ ქართლს ანგრევს არა მარტო ფეოდალიზაციის პროცესი, არამედ მონათა მოძრაობაც. გასაგებია რომ გამარჯვების ნაყოფი მხოლოდ ფეოდალებს უვარდებათ ხელში, მონებისათვის კი *ოცვლება მხოლოდ ექსპლოატაციის ფორმა.*

ვახტანგის სიკვდილის შემდეგ (პროფ. ივ. ჯავახიშვილის ანგარიშით, იგი მოკლულ იქნა 502 წელს [1]) მეფობამ ქართლში მხოლოდ ოციოდე წელიწადი ძლივს გასძლო, ისიც ალბათ დიდად სახეცვლილმა. ქართლის მეფემ გურგენმა ირანელების წინააღმდეგ ახალი აჯანყება მოაწყო, რომელიც, იმავე მიზეზების წყალობით, კიდევ უფრო ადრე დამარცხდა და 523 წ. გურგენი იძულებული შეიქნა მთელი თავისი სახლობითა და ამალით ეგრისში გაქცეულიყო. *მალე ირანელებმა ქართლში მეფობა საკუთარი მოსპეს, რამაც, ასე ვთქვათ, საერთაშორისო სანქცია მიიღო 532 წ., რომ-ირანის საზავო ხელშეკრულებაში.*

წყაროებს საუცხოოდ აქვთ აღნიშნული, რომ მეფობის მოსპობა დიდ აზნაურთა გამარჯვებას, შემდგომ გაძლიერებას და გაბა-

---

[1] პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტორია. I³, 267.

ტოხებასაც მოასწავებდა. ისტორიკოსი სუმბატ დავითის-ძე ამბობს: „ვინათგან (=იმ დროიდან როცა) მ ო ა კ ლ დ ა მ ე ფ ო ბ ა შ ვ ი ლ-თ ა გ ო რ გ ა ს ლ ი ს ა თ ა, მ ი თ ჟ ა მ ი თ გ ა ნ ე ბ ყ რ ა უ ფ-ლ ე ბ ა ქ ა რ თ ლ ი ს ა ა ზ ნ ა ურ თ ა“-ო. ე ს „ქ ა რ თ ლ ი ს ა ზ ნ ა ურ ნ ი“ მონარქიას და მის მოკავშირეებზე უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ.

აღნიშნული ამბები, მეოთხე საუკუნის დამდეგის ამბების შემ-დეგ, უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო ქართული ფეოდალიზმის განვითარებაში. იგი მოასწავებდა ფეოდალურ საზოგადოების და-ბადებას ქართლში [1].

---

[1] დაწვრილებით: ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში ტფ. 1935 წ.

ბოლოსიტყვაობა

წარმოდგენილი მონოგრაფია დამუშავებულია ტფ. სახ. უნივ. საქ. ისტორიის კათედრაზე, და უმეტესწილად ადრევე გამოქვეყნებულია სხვადასხვა სახით: 1) 1930 წლიდან — როგორც ნაწილი ავტორის საუნივერსიტეტო კურსებისა (რაც თავის გამოხატულებას ჰპოვებდა ავტორის მიერ, დოც. ნ. ბერძენიშვილთან ერთად, შედგენილს „საქართველოს ისტორიის პროგრამაში“ უმაღლეს სასწავლებლებისათვის), 2) საჯარო მოხსენებების სახით (მათგან, თვით წიგნში მოთითებულ მოხსენებათა გარდა, აქ აღვნიშნავთ: „სახლის, როგორც სოციალური ორგანიზაციის განვითარება“, რუსთაველის სახ. ინსტიტუტის ისტორიის სექციის სხდომაზე 1934. 20. XII — ამ მოხსენებიდან წარმოდგენილ პუბლიკაციის § 1-ში მხოლოდ ერთი პატარა ექსცერპტია შესული; „ერთი ისტორიული თარიღის გაძო“, საქ. ისტ. კათედრის სხდომაზე 1935. 14. V, იხ. აქვე § 9, და სხვ.); 3) ბეჭდური პუბლიკაციის სახით: „ადრინდელი ფეოდალიზმი“, ტფ. 1934, საქ. დაუსწრ. პედ. ინსტ.-ის გამოც., რომელშიაც უკვე მოცემულია წარმოდგენილი წიგნის ყველა ძირითადი დებულება.

ავტორი

რედაქციისაგან

აკად. **ხიმონ ჯანაშიას** შ რ ო მ ე ბ ი ს I ტომში შევიდა მისი ორი მონოგრაფიული გამოკვლევა: „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“ და „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“. ავტორს განზრახული ჰქონდა ეს გამოკვლევები შეევსო და განეერცო. ამ მიზნით მას საავტორო ეგზემპლარში ჩაკინძულ თავისუფალ ფურცლებზე შეუტანია შენიშვნები და დამატებანი, ხოლო წიგნის არშიებზე მიუწერია მცირე შენიშვნები, კორექტურულ შეცდომათა გასწორებანი და დაუსვამს საგანგებო ნიშნები, აგრეთვე კითხვითი და ძახილის ნიშანი; ზოგიერთი წინადადება ხაზგასმულია და არშიაზე უზის ძახილის ნიშანი (ალბათ სათანადო ადგილებზე ყურადღების გასამახვილებლად).

წინამდებარე ტომი დაიბეჭდა საავტორო ეგზემპლარის მიხედვით თითქმის უცვლელად. გასწორებულია მხოლოდ ავტორისა და რედაქციის მიერ შენიშნული კორექტურული შეცდომები და სქოლიოებში ჩამოტანილია რამდენიმე შენიშვნა; დანარჩენი შენიშვნები და დამატებანი წიგნს დართული აქვს აქვე. დამატებებიდან ჩანს, თუ რა სიღრმითა და მოცულობით ჰქონდა ავტორს განზრახული მონოგრაფიების შევსება.

ზ ე ნ ი ზ ვ ნ ე ბ ი

ზრომიხა—ფეოდალური რევოლუცია საქართველოში

2-3 გვერდებს შუა ჩაკინძული თავისუფალი ფურცლის პირველ გვერდზე, თავში წერია:

VI ს. მნიშვნელობის „ბრძნ.“ განმარტება: იხ. კაკ[აბა]ძე, „საისტ. კრ.“, II, 36—7.

იმავე გვერდზე ქვევით წერია:

დამატებით გაითვალისწინე:

K. Güterbock, Byzanz und Persien... im Zeitalter Justinians. Berlin, 1906 (სვანეთი, 107).

E. Stein, Studien zur Geschichte des byzantinischen Reiches vornehmlich unter den Kaisern Justinus II und Tiberius Constantinus, Stuttgart, 1919 (სვანეთი, 6).

7-8 (=6-7) გვერდებს შუა ჩაკინძულ თავისუფალ ფურცელზე მე-8 (=7) გვერდის მიმართ ავტორს უწერია:

გაშალე ესტ. მცხ^ის წამების ცნობა ასურელ მთავართა შესახებ მარზპანის კარზე. ეს, რა თქმა უნდა, არამეველი მოხელეები არიან. დაუკავშირე ამას ტერმინი „ხარკი“.

39 (=36) გვერდის მეორე აბზაცის პირველი ორი სტრიქონის („ციხისძირის სტრატეგიული მნიშვნელობა...“) პირისპირ ცალკე ფურცელზე წერია: ციხე გურიისა.

65 (=61) გვერდზე სიტყვა „უკანასკნელს“ (სტრ. 28) ხაზგასმულია და არშიაზე მიწერილია: სტ.

68 (=63) გვერდის მე-15 სტრიქონის ფრაზა „VI ს. მომდევნო პერიოდში“ ხაზგასმულია და გვერდით უწერია: მთელ სიგრძეზე? უხერხულია სტილისტიკურად!

76 (=71) გვერდზე მე-16 სტრიქონის გასწვრივ რთული წინადადების „თუმცა ამ „შესავლის“ მდებარეობას...“ პირისპირ არშიაზე წერია) გადახედე!

78 (=73) გვერდზე მე-8 სტრიქონის („რომელიც თურქების სა-...“: პირისპირ არშიაზე მიწერილია: აფხაზეთი.

79 (=74) გვერდზე 25-26-ე სტრიქონის პირდაპირ („ასე მოგვითხრობს ბიზანტიელი მემატიანე“) არშიაზე წერია: დააზუსტე!

დააზუსტე! არის მიწერილი აგრეთვე 85 (=80) გვერდზე 23-24-ე ხაზგასმული სტრიქონის („იქნებ ამ ბუნდოვან ცნობაში...“) გასწვრივ.

83 (=78) გვერდის არშიაზე მიწერილია წინადადების („პირველი თემები აღმოსავლეთის განაპირა პროვინციებში ჩნდება“-ს) პირისპირ: სტ. იხსენიება?

86 (=80) გვერდზე მე-9 სტრიქონიდან რთულ წინადადებას („ფორმალური საფუძველი აღნიშნული მოვლენისა ის შეხედულებაა...“) პირისპირ არშიაზე უწერია: განავრცე!

86 (=81) გვერდის არშიაზე რთული წინადადების გასწვრივ („პატრიკობამ“ უდიდესი გავრცელება ჰპოვა...“ სტრ. 30) მიწერილია: შეავსე ჩემი „К критике М[оисея] Х[оренского]“.

105-107 (=98-99) გვერდებს შუა ჩაკინძულ თავისუფალ ფურცელზე 105 (=98) გვერდის მხარეზე წერია:

(104=) გვ. 97, შენ. 2: არაბ. ტერმინებს მიუმატე „ბეითალ-მანი“ ← ბეით-ალ-მალ; შეადრ. Huart, Hist. des arabes,

შამილმაც თავის ხაზინას, რომელიც შესდგებოდა შემოსავლისაგან, შამილს რომ შემოსდიოდა, როგორც სამღვდელოების მეთაურსა და სამხედრო ძალების წინამძღოლს, „ბეითულმალ“-ი უწოდა: Дубровин, Ист. войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. I, გვ. 491, СПб. 1871.

შეადრ. აფხ. ამალ.

70-იანების „განმარტება“ კაკ[აბა]ძესთან: იხ. „საისტ. კრ.“, II, 36—38, 39, 56—7—8.

წიგნის ბოლოში ჩაღებულია ცალკე ფურცელი, რომელზეღაც ფანქრით დაწერილია შემდეგი შენიშვნები:

კეისრის კარის გარიგება—ibid. 87

კავკასიელი მთავრები ეგზოტიკურ სამოსში 92—93

იბერიის დედოფალი და თეოდორა 94

დომესტიკები — გვარდიელები 97

კუროპალატი—99, 104

პატრიკიოზები 100, 102, 113

ლაზები—105

ბიზანტ. წარმატებანი ლაზიკასა და იბერიაში იუსტინეს დროს 133

გარეგანი ძლიერება ბიზანტ. იუსტ. დროს 130

VI ს. დამდეგის ომები 133

პატრიკიოზი=ვიცეიმპერატორი 135

იმპერატორი — სიუზერენი ყველასი 138
ქრისტიანობა და იმპერია, ჯვარი და კვერთხი 138—139
მეორე გვერდზე:
ვანდალების მეფეს — ლათინ. 141
იუსტინიან. ფულებზე ვგონებ სულ ლათინ. წარწერებია
ტიტული იპატოსი ბეჭედზე 125
Giustiniano = იუსტინიანე (დანტე) 36
იუსტინიანეს ტიტულატურაში — ალანთა მეფე 27
ნიშანი იუსტინ. ბეჭედზე წაგავს რატის ხატის ნიშნებს 9

შრომისა—საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე

146 (=15) გვერდის არშიაზე „სარმატების მეფეები“-ს (32 სტრ.) პირისპირ მიწერილია: სარმატები.

170-171 (=37) გვერდის მიმართ ცალკე ფურცელზე მარცხნივ თავში ფანქრით წერია:

შეადრ. ამას კაკ[ა ბ ა]ძ ი ს ნასიბრძნი: „საისტ. კრ.“, II, 24, 26, 53, 56.

182 (=48) გვერდის „ს ი მ მ ა ქ ი ა შ ი“ სიტყვის (21 = 8 სტრ.) პირისპირ ცალკე ფურცელზე მარჯვნივ დაწერილია:

შეადრ. ქართ. წყაროების „თანამოლაშქრეობა“.

184-185 (=50) გვერდის მიმართ ცალკე ფურცელზე მარჯვნივ პირველი აბზაცის პირისპირ წერია:

სტრაბონიც ხომ ამბობს: „Со стороны северных кочевников [ведет] трудный трехдневный подъем, а за ним узкая речная долина вдоль реки Арага, требующая четырех дней пути для одного; конец пути охраняет неприступная стена“ (წ. 11, თ. 3, § 5; SC I, 140).

აქ არ ჩანს კარგად, გზის რომელ ბოლოში იყო კედელი.

იმავე გვერდის შენიშვნის (ს ტ რ ა ბ ო ნ ი) პირისპირ, მარჯვნივ, ცალკე ფურცელზე დაწერილია:

აორსები, როგორც ჩანს, ცხოვრობდნენ დონიდან აღმოსავლეთით კასპამდე: ... „кочевники, [живущие] между Мэотидою и Каспийским [морем]—Навианы, Панксаны и уже племена Сираков и Аорсов. Аорсы и Сираки, кажется, беглецы [из] живущих выше... Царь Сираков Авеак, когда Фарнак владел Воспором, выставил 20000 всадников, царь Аорсов Спадин—даже 200000,

а верхние аорсы еще больше, так как они владели более обширною страною и господствовали, можно [მეორე გვერდზე] сказать, над наибольшею частью Каспийского побережья, так что даже торговали [...შემდეგ ცნობა, მოყვანილი ჩემს შენ[იშვნა]ში, ვაჭრობის შესახებ. დასასრულ კი ნათქვამია — ს. ჯ.] Аорсы живут по Танаиду, а Сираки по Ахардею, который вытекает с Кавказа и впадает в Мэотиду" (ახარდეი — 'Αχαρδέου—ალბათ ყუბანს უდრის. ს. ჯ.) (SC I, 147—148).

186-188 (=52-53) გვერდებს შუა ჩაკინძულ თავისუფალ ფურცელზე სულ თავში მარჯვნივ წერია:

უსპელების წინადადება რომაელებმა უარჰყვეს: „избивать сдавшихся [считали] бесчеловечным, а конвоировать такую массу людей — трудным" (ტ ა ც ი ტ ი, SC II, 239).

195 (=59) გვერდის „სომხები"-ს (სტრ. 22) გასწვრივ ცალკე ფურცელზე მარცხნივ დაწერილია:

შეჯავშნული ცხენოსნობა (იხ. თ ე მ ი ს ტ ე, SC I, 695).

შეჯავშნული ცხენოსნები სარმატებში (ტ ა ც ი ტ ი, SC II, 248).

სამხედრო აღზრდა ბარბაროსებში (იბერებშიაც! SC I, 696).

206 (=69) გვერდზე წინადადების ბოლო წევრს „...შ ე მ დ გ ა რ ი რ ა ზ მ ი" (სტრ. 25) აქვს ვარსკვლავი და ქვეშ ჩამოტანილია არშიაზე:

„ ' ე ლ ი ს პ ა რ ტ ი ა ნ ი, ა დ რ ი ა ნ ი, SC II, 293.— ამ ცნობებს სჭირია დამატებითი ანალიზი.

207 (=70) გვერდის მიმართ ცალკე ფურცელზე მარჯვნივ სულ თავში წერია:

დაუმატე ტ ა ც ი ტ ი ს ცნობა რადამისტის შესახებ: „У Фарасмана был сын по имени Радамист, стройного роста, замечательный телесною силою, искусный в национальных упражнениях и пользовавшийся большою известностью у соседей" (Annales, XII, 44; SC II, 241).

იმავე ფურცელზე სულ ბოლოს დაწერილია:

ჰენიოხების მეფე მოჰკლა სატრაპმა თირიდატმა, რომელმაც ამბოხება მოაწყო არმენიაში იმპერატორ მარკ ავრელის დროს (დ ი ო ნ კ ა ს ი უ ს ი კ ო კ ე ი ა ნ ი, SC I, 622).

215 (=78) გვერდის მიმართ ცალკე ფურცელზე მარჯვნივ სულ თავში წერია:

დაუმ[ატე] ტ ა ც ი ტ ი ს ცნობა რადამისტის შესახებ.

217 (=79) გვერდის უკანასკნელი აბზაცის გასწვრივ ცალკე ფურცელზე მარცხნივ ფანქრით დაწერილია:

შეადრ.: შუშანიკმა „აკურთხნა ჯოჯიკ და (ოლი და შვილნი მისნი და მონა-მწეალნი მისნი და ყოველი ეზოჲ და პალატი მისი“ (შუშ. წამ., ს. გ ო რ გ [ა ძ ი ს გამოცემა], გვ. 20_{17-19}).

226 (=87) „სამოციან წლებში“ (სტრ. 9) პირისპირ ცალკე ფურცელზე მარცხნივ წერია:

შეადრ. თ ე მ ი ს ტ ე ს საყურადღებო ცნობა (SC I, 691, (692,[1]5), 693, 694).

231-232 (=92-93) გვერდებს შუა ჩაკინძულ თავისუფალ ფურცელზე წერია: დაბუსტე! იგი შენიშვნად მოუდის 231 (=92) გვერდის ტექსტის ხიტყვას „ბძინე“-ს (სტრ. 15), რომელსაც ქვეშ წერტილები აქვს დასმული.

ასევე:

232 (=92) გვერდზე წინადადების ბოლო წევრებს „იყო მოთხრობილი“ (სტრ. 2) ქვეშ წერტილები უზის და მის პირდაპირ დაწერილია კითხვითი და ძახილის ნიშნები: ?!

233 (=94) გვერდზე „მმართველ წრეებს“ (სტრ. 26) ქვეშ წერტილები აქვს დასმული და მის პირისპირ ცალკე ფურცელზე მარჯვნივ წერია:

არ უნდა!

238-239 (=98-99) გვერდებს შუა ჩაკინძულ ცალკე ფურცელზე 239 გვერდის მეორე აბზაცის მე-5 სტრიქონის პირისპირ წერია:

შეადრ. ჟამთააღმწერელი ჯიქურის საქმიანობის შესახებ ფხოველებში (ივ. ჯ [ა ვ ა ხ ი შ ვ ი] ლ ი ს კონიექტურით: „მეჯორენთ“ > „მეჯუარედ“; შეადრ. ქცხ. Br.), M. 657.

256 (=115) გვერდის პირველი 4-7 სტრიქონების მიმართ ცალკე ფურცელზე მარცხნივ სულ თავში ფანქრით ავტორს მიწერილი აქვს:

მენანდრეს ცნობის უცნაური ანალიზი იხ. კ ა კ ა ბ ა ძ ე ს თ ა ნ: „საისტ. კრებ.“, II, 16—17.

259 (=118) გვერდის ბოლო აბზაცის პირისპირ („ლაზების ქვეშევრდომნი არიან აგრეთვე აფსილებიც“) ცალკე ფურცელზე წერია:

აფშილების პოლიტ[იკური] ორგანიზაციისათვის გაითვალისწ[ინე] თ ე რ დ ე ტ ე ს ისტორია!

262 (=120) გვერდის მე-4 სტრიქონის პირისპირ ცალკე ფურცელზე წერია:

კოლხების კულტურა SC I, 696 (თემისტია).

263 (=122) გვერდის 33 სტრიქონის პირდაპირ ცალკე ფურცელზე დაწერილია:

„კაცნი მერუენნი დასტაგითა რუისაადთა“ ალბათ გულისხმობს რუს ეკონომ. ექსპლოატაციას მეფის მიერ. — გამოირკვეს დასტაგის ნამდვილი მნიშვნელობა (შეადრ. მარრი)!

271 (=128) გვერდის ჩართული სიტყვების პირისპირ „მ ე ო რ ე მ ხ რ ი თ“ (სტრ. 9) ცალკე ფურცელზე წერია:

მთავარი იხ. „ნუშ. მარტვ.“, ვარსქენის სიტყვა: „მთავარსა ვის ეკოლოს“.

274 (=131) გვერდის არშიაზე 25 სტრიქონის პირდაპირ მიწერილია:

მსჯელობა
მთავრობისა
მიტაცება

280 გვერდზე ვარსკელავვეშ მოცდენილ! ნიშნიშვნა ავტორს უწერია ცალკე ფურცელზე დედნის 136 გვერდის უკანასკნელი აბზაცის მე-3 სტრიქონის პირისპირ.

ასევე 283 გვერდზე ვარსკელავვეშ დაბეჭდილი ნიშნიშვნა ავტორს ნელით დაწერილია ორა დედნის არშიაზე, როგორც აქ არის შეცდომით აღნიშნული, არამედ წიგნში ჩაკინძულ ცალკე ფურცელზე დედნის 139 გვერდის მარცხნივ 1 შენიშვნის პირისპირ.

წიგნის ბოლოში ჩაკეცულია შუაზე გაკეკეცილი ცალკე ფურცელი, რომლის პირველ გვერდზე ავტორს ფანქრით უწერია:

1. ფეოდალიზმის ცნება.
2. ფორმაციები, რა უსწრებს ფ[ეოდალი]ზმს. საქ[ართველო]ში. მონათმფლობელობა. „მოკლე კურსი“.
3. სტრაბონისეული საზოგადოება.
4. ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობის გზები:

პოლიტიკური ვითარება:

1. მიწის მონოპოლიზაცია. „აგარაკი“.
2. მეურნეობის ახალი დარგების განვითარება.
3. ბაზრის გაფართოება და დამატებითი მუშახელი.
4. მონობა. მონების დასმა მიწაზე.
5.

ფურცლის შიგნით მელნით წერია:

დასამატებელია:

საქალაქო მშენებლობა VI ს[აუკუნე]ში!
პატრონყმობა!
ეთნოლოგია წინაფეოდალური საქართველოსი!

შამჩნეულ შეცდომათა გასწორება

გვ.	სტრ.	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
62	5	რომელიც (მეფე) საპირო არ არის	რომელიც (მეფე), საბოლოო ანგარიშით, საპირო არ არის
70	28	განსაზღვრას,	განსაზღვრავს,
70	29	ელემენტებისაკენ,	ელემენტისაკენ,
78	17	უშუალო	უშუალოდ
82	13	ცოტაა)[1].	ცოტაა)[1],
85	22	განსაზღვრულ, გარკვეულ მომენტში,	განსაზღვრულ მომენტში,
87	25	კალანკატუელის ცნობა,	კალანკატუელის, ცნობა
105	2 შენიშ.	სტეფანე ბიზანტიელის	თეოფანე ბიზანტიელის
105		ს. ჯ.). გორგენი	ს. ჯ.) გორგენი

დაიბეჭდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკად. სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით.

▲

რედაქტორი საქ. სსრ მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი—ნ. ბერძენიშვილი

ტექრედაქტორი—ან. თოდუა

▲

სტ. შეკვ. 162. უე 06433 ტირ. 4000
ხელმოწერილია დასაბეჭდ. 23.12.49
ქაღ. ზ. 60×94. საბეჭდ. ფურ. 20.
სააღრიცხვო-საგამომცემლო ფ. 20.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა
აკაკი წერეთლის ქუჩა, № 7
Типография АН Грузинской ССР
ул. Ак. Церетели, № 7